PROTECTION OF HUMAN RIGHTS IN NATIONAL AND INTERNATIONAL LAW

The book was prepared by
Georgian Young Lawyers' Association and the Institute of State and Law of
Georgian Academy of Sciences

Tbilisi
2002

ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში

(სტატიათა კრებული)

კრებული მომზადდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის
ინსტიტუტის მიერ





თბილისი
2002



ეძღვნება ადამიანის უფლებათა სამართლის მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებას საქართველოში

კრებული გამოიცა **ნოვიბის, "აირის"-საქართველოსა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** ფინანსური მხარდაჭერით.

the book was published by assistance of **NOVIB, IRIS-Georgia** and **USAID.**

აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

კრილოვის ქ. 15
თბილისი 380002, საქართველო
(+995 32) 93 61 01
ტირაჟი 500 ცალი

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და გამოხატავს მხოლოდ ავტორის შეხედულებებს. აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

კრებულის რეკომენდირებული ციტირება: მაგ., ლ. ასათიანი, ომბუდსმენი და ინსტიტუციური ავტონომია: მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის გამოცდილება, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, კ. კორკელია (რედ.), 2002 წ., გვ. ...

© 2002. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ISBN 99928-818-9-5

სარჩევი

რედაქტორისაგან – *კონსტანტინე კორკელია* 7

სტატიები:

ლექსო ასათიანი
ომბუდსმენი და ინსტიტუციური ავტონომია: მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის გამოცდილება 9

ზურაგ გურდული
საერთაშორისო ტრიბუნალების პრაქტიკის მნიშვნელობა საერთაშორისო სისხლისა და ჰუმანიტარული სამართლის განვითარებაში: *დუშ კო ტადიჩის საქმე* 17

გაგა გაგრიჩიძე
ადამიანის უფლებათა დაცვა და ევროპის გაერთიანების სამართალი 26

ირაკლი გივიაშვილი
ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ინტერპრეტაცია 33

ევა გოცირიძე
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კლასიფიკაციისათვის 39

ლევან იზორია
ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი 43

კონსტანტინე კორკელია
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში 53

კონსტანტინე კუბლაშვილი
აზრის თავისუფლება – ადამიანის უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება 109

კონსტანტინე კუბლაშვილი
ხელოვნების თავისუფლება და მისი მნიშვნელობა 137

გოჩა ლორთქიფანიძე
გაეროს უშიშროების საბჭოს N1373(2001) რეზოლუცია და საქართველოს ვალდებულებები ადამიანის უფლებათა სფეროში 153

გივი მიქანაძე
სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში: პრობლემები და პრიორიტეტები 162

ალექსანდრე ორახელაშვილი
ადამიანის უფლებათა სამართლის მიმართება სახელმწიფოთა საერთაშორისო პასუხისმგებლობის სამართალთან 178

მერაბ ტურავა
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი 191

ლალი ფაფიაშვილი
ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ 229

პაატა ცნობილაძე
სიტყვის თავისუფლება – დემოკრატიული პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ელემენტი 247

ლაშა ჟელიძე
სიცოცხლის უფლება ფეტუსისთვის 256

ნინო ხაინდრავა
სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის საზედამხედველო სისტემების შედარებითი ანალიზი 267

ავტორთა შესახებ 284

რედაქტორისაგან

წინამდებარე კრებულის გამოცემა განაპირობა ადამიანის უფლებათა დაცვის განსაკუთრებულმა აქტუალობამ დღევანდელი საქართველოსათვის. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის დახვეწას, რაც შეიძლება მოხდეს სხვა სახელმწიფოთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტიტუტების გამოცდილების გაზიარებით.

უდავოა, რომ სულ უფრო იზრდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გავლენა ეროვნული ინსტიტუტების საქმიანობაზე. ამ პროცესში საქართველო არ არის გამონაკლისი. საქართველოს სასამართლოები სულ უფრო ხშირად იყენებენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რასაც დადებითი წვლილი შეაქვს ადამიანის უფლებათა დაცვაში ეროვნულ დონეზე.

კრებულში, ძირითადად, წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტების ნაშრომები. ავტორების ასეთი შერჩევა განპირობებულია მეცნიერ და პრაქტიკოს იურისტთა მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობით. ცხადია, ნებისმიერი გადაწყვეტილება ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა ადამიანის უფლებათა დაცვა, მეცნიერულ დასაბუთებას საჭიროებს. მხოლოდ ასეთი თანამშრომლობის შედეგად შეიძლება შეიქმნას ადამიანის უფლება დაცვის ეფექტიანი მექანიზმი.

აღსანიშნავია, რომ ავტორები თავისუფალი იყვნენ სტატიათა თემატიკის შერჩევაში. შედეგად, გამოიკვეთა ის პრობლემატიკა, რომელსაც ქართველი მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტები აქტუალურად მიიჩნევენ. სტატიებში განხილულია საქართველოსათვის ისეთი პრობლემური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო დამცველის ინსტიტუტის საქმიანობასთან, სიტყვის თავისუფლებასთან, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის გამოყენებასთან ეროვნულ დონეზე, თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებებთან, ადამიანის უფლებათა შეზღუდვის კანონიერებასთან და სხვა. სტატიებში წარმოდგენილი თემატიკის მოკლე ჩამონათვალიც კი ადასტურებს კრებულში განხილული საკითხების მნიშვნელობას თანამედროვე საქართველოსათვის.

წინამდებარე კრებული საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ერთობლივი პროექტია. უკვე რამდენიმე წელია, რაც აღნიშნული ორგანიზაციები ნაყოფიერად თანამშრომლობენ. ეს პროექტიც იმ წარმატებული თანამშრომლობის გაგრძელებაა, რომ-

ლის შედეგადაც 2001 წელს გამოიცა სტატიათა კრებული – „საქართველო და საერთაშორისო სამართალი". ამ უკანასკნელმა ქართული იურიდიული საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, რომელმაც წინამდებარე სტატიათა კრებულის გამოცემის იდეას მხარი დაუჭირა და სისრულეშიც მოიყვანა.

სტატიებში გამოხატულია ავტორების შეხედულებანი, რომლებიც შესაძლოა არ იყოს გაზიარებული სარედაქციო საბჭოს მიერ. კრებული განკუთვნილია როგორც ეროვნული და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისათვის, ისე ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

კონსტანტინე კორკელია

ოქტომბერი, 2002

ომბუდსმენი და ინსტიტუციური ავტონომია: მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის გამოცდილება

ლექსო ასათაშვილი

1. ომბუდსმენის ინსტიტუტი: ზოგადი დახასიათება

1.1. წარმოშობა და ძირითადი ნიშნები

ომბუდსმენის ინსტიტუტი შვედეთში 1809 წელს წარმოიშვა. მისი სახელწოდება შვედეთის კონსტიტუციური სამართლიდან მომდინარეობს და დაფუძნებულია ამ ქვეყნისათვის დამახასიათებელ მმართველობის ერთ-ერთ ფორმაზე. ტრადიციულად, ომბუდსმენი მეფის წარმომადგენლად ითვლებოდა და მისი ძირითადი ფუნქცია ადმინისტრაციული მუშაკების საქმიანობაზე ზედამხედველობა იყო.[1]

შვედეთში ასევე არსებობს ომბუდსმენის სხვა ნაირსახეობები: *ეკონომიკური და სავაჭრო თავისუფლების ომბუდსმენი*, რომელიც 1954 წელს დაფუძნდა და რომლის ფუნქციას წარმოადგენს თავისუფალი ეკონომიკის პრინციპების, მონოპოლისტური საქმიანობისა და უკანონო ეკონომიკური პრაქტიკის ზედამხედველობა;[2] 1971 წელს დაფუძნდა *მომხმარებელთა ომბუდსმენის* ინსტიტუტი, რომელიც მომხმარებელთა უფლებების დაცვითაა დაკავებული. ორივე ომბუდსმენი მეფის მიერ ინიშნება და მინისტრთა საბჭოს წევრია. შვედეთში ასევე დაარსდა *პრესის ომბუდსმენის* ინსტიტუტი, რომელიც ინიშნება ჟურნალისტთა ორგანიზაციების მიერ.

თანამედროვე გაგებით, ომბუდსმენის ინსტიტუტი, ზოგადად, შემდეგნაირად შეიძლება დახასიათდეს: საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დანიშნული ერთი ან რამდენიმე პირისაგან მართული ორგანო, რომლის სპეციალური ფუნქციაა მოქალაქეთა საჩივრების განხილვა და გამოძიება.[3] საყოველთაოდ აღიარებული მოდელის მიხედვით, ომბუდსმენი ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე, თუმცა იგი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მისი ძირითადი ფუნქციაა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა საჯარო ხელისუფლების ხელყოფისაგან.

ომბუდსმენის ინსტიტუტის ძირითადი მახასიათებელი ნიშნები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

ა) იცავს პირთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს საჯარო ხელისუფლების ხელყოფისაგან;

ბ) იღებს იურიდიულად არასავალდებულო, ანუ სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებებს;

---

[1] A. Legrand, L'Ombudsman scandinave; études comparées sur le contrôle de l'administation, Paris, 1970. 15-26.

[2] H. Stemberg, L'ombudsman suédois pour les consommateurs, Revue Internationale de Droit Comparé, Paris, 1994, 577-581.

[3] H. Fix-Zamudio, Justicia Constitucional, Ombudsman y Derechos Humanos, Ed. CNDH, México, 2001, 204. (ავტორის თარგმანი).

გ) თავის საქმიანობაში სარგებლობს დამოუკიდებლობით;

დ) არა აქვს ადმინისტრაციულ ორგანოთა აქტების გაუქმების უფლებამოსილება;

ე) არა აქვს სასამართლო ფუნქციები.

1.2. სახალხო დამცველი – ომბუდსმენის ერთ-ერთი ფორმა

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ომბუდსმენის ინსტიტუტმა ფართო აღიარება ჰპოვა, განსაკუთრებით ევროპასა და ლათინურ ამერიკაში. თანამედროვე მსოფლიოში იგი სხვადასხვა სახელით არის ცნობილი. ომბუდსმენის ერთერთი ფორმაა სახალხო დამცველი.

სახალხო დამცველის ინსტიტუტი საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ იქმნება კონსტიტუციის ან სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე. თუმცა, აფრიკისა და ბრიტანეთის თანამეგობრობის ზოგიერთ ქვეყანაში სახალხო დამცველის ინსტიტუტის დაფუძნება სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის პრეროგატივაა. ამ შემთხვევაში სახალხო დამცველი ანგარიშვალდებულია აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე.

სახალხო დამცველის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ზედამხედველობა საჯარო ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვაზე. სახალხო დამცველი მოქალაქესა და მთავრობას შორის მიუკერძოებელი შუამავლის როლს ასრულებს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული განსხვავებანი სახალხო დამცველის ფუნქციებს შორის, მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები საერთოა. კერძოდ, სახალხო დამცველს შეუძლია:

ა) გაეცნოს პირთა საჩივრებს და გამოიძიოს ადამიანის უფლებათა დარღვევები;

ბ) გამოძიების პროცესში გაეცნოს საჯარო ხელისუფლების ნებისმიერ დოკუმენტს;

გ) მოსთხოვოს ახსნა-განმარტება ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეს;

დ) წარუდგინოს რეკომენდაციები საჯარო ხელისუფლებას ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ;

ე) წარუდგინოს სპეციალური მოხსენება კომპეტენტურ ორგანოებს რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო;

ვ) დადგენილი პერიოდულობით წარადგინოს მოხსენება მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით.

1.3. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული დაწესებულებები[4]

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული დაწესებულება უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია ადამიანის უფლებათა დაცვისა და განვითარების თვალსაზრისით. ყველა სახელმწიფოში უნდა მოქმედებდეს ისეთი დამოუკიდებელი ინსტიტუტები, რომლებსაც შეიძლება მიემართოს ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში.

[4] Centre for Human Rights, Professional Training Series N4: National Human Rights Institutions, United Nations, Geneva, 1995.

საერთაშორისო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული დაწესებულებების ეფექტიან ფუნქციობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭო ჯერ კიდევ 1946 წელს დაინტერესდა ადამიანის უფლებათა ეროვნული დაწესებულებების საქმიანობით. მან 1946 წელს მიმართა წევრ-სახელმწიფოებს განეხილათ შესაბამის ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული დაწესებულებების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობა.[5] რამდენიმე წლის შემდეგ გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს დღის წესრიგში ხელახლა დადგა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ფუნქციობის საკითხი. საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციაში, რომელშიც აღიარებულ იქნა ადამიანის უფლებათა ეროვნული დაწესებულებების როლი, რეკომენდაციით მიემართა წევრ-სახელმწიფოებს ხელი შეუწყონ ამ ინსტიტუტების საქმიანობას.[6]

1960-იან წლებში ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ადამიანის უფლებათა ეროვნული დაწესებულებების როლს საერთაშორისო სამართლის ნორმების პოპულარიზაციის საქმეში. 1978 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ მოაწყო საერთაშორისო სემინარი ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული დაწესებულებების შესახებ, რომელზეც მიიღეს მთელი რიგი პრინციპებისა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლი კიდევ უფრო გაიზარდა პარიზში 1991 წლის 7-9 ოქტომბერს ჩატარებული კონფერენციის შედეგად, რომელიც მიეძღვნა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების საქმიანობას. კონფერენციაზე გაკეთებული დასკვნები, პრინციპების სახით, აისახა გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის №1992/54 რეზოლუციაში.[7] აღნიშნულ პრინციპებს ეწოდა „პარიზის პრინციპები", რომლის თანახმად, ადამიანის უფლებათა ეროვნულ დაწესებულებებს შემდეგი ფუნქციები უნდა ეკისრებოდეს:

ა) საერთაშორისო სამართლის ნორმებთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის ხელშეწყობა;

ბ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებისა და განხორციელების ხელშეწყობა;

გ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ეროვნული ანგარიშების მომზადების ხელშეწყობა;

დ) გაეროსთან, რეგიონულ ორგანიზაციებსა და სხვა სახელმწიფოების ეროვნულ დაწესებულებებთან თანამშრომლობა.

მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისია,[8] რომლის საქმიანობასაც ეს სტატია იხილავს, პარიზის პრინციპების შესაბამისად შექმნილი ეროვნული დაწესებულებაა.

[5] ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუცია, N2/9, 1946 წლის 21 ივნისი.
[6] ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუცია, N772B (XXX), 1960 წლის 25 ივლისი.
[7] რეზოლუცია ცნობილია როგორც პარიზის პრინციპები, რეზოლუცია N1992/54: „პრინციპები ეროვნული დაწესებულებების სტატუსის შესახებ". იგივე პრინციპები მოგვიანებით მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის მიერ (რეზოლუცია N48/134), 1993 წლის 20 დეკემბერი.
[8] Comisión Nacional de los derechos Humanos de México. იხ. ინტერნეტ-მისამართზე: [www.cndh.org.mx].

2. ომბუდსმენის ინსტიტუტი მექსიკის შეერთებულ შტატებში

2.1. ისტორია

მექსიკის შეერთებულ შტატებში ომბუდსმენის პირველ პრეცედენტად ითვლება სან ლუის პოტოსის შტატში 1847 წელს შექმნილი ე.წ. „ღარიბთა პროკურატურა". პროკურატურას შეადგენდა სამი პროკურორი, რომელთა მიზანი იყო საჯარო ხელისუფლებისაგან ღარიბთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა. მათ ფუნქციებში შედიოდა ფაქტების გამოძიება, დარღვეული უფლებების აღდგენა და უფლებებისა და ინტერესების შელახვაზე პასუხისმგებელთა სასამართლოს წინაშე წარდგენა.

1979 წელს, პირველად მექსიკის თანამედროვე ისტორიაში, ნუევო ლეონის შტატში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი მექსიკის კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად.

1983 წელს ქალაქ კოლიმას მერიის დეკრეტის შესაბამისად, ფუნქციობა დაიწყო სამეზობლო პროკურატურამ, რომლის ძირითადი მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვა.

1985 წელს დაფუძნდა საუნივერსიტეტო უფლებების დამცველის ინსტიტუტი, რომლის ფუნქციაც სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საუნივერსიტეტო უფლებების დაცვის უზრუნველყოფაა.[9]

1986-87 წლებში შეიქმნა სამთო ადგილობრივი მოსახლეობისა და სამთო სოციალური პროკურატურები.

1988 წელს აგვასკალიენტეში (*Aguascalientes*) ჩამოყალიბდა მოქალაქეთა დაცვის პროკურატურა.

1988 წელს ასევე შეიქმნა კერეტაროს (*Querétaro*) სამეზობლო უფლებების დამცველის ინსტიტუტი.

1989 წლიდან ფუნქციობს ფედერალური რაიონული მთავრობის სოციალური პროკურატურა.

საბოლოოდ, 1989 წელს შინაგან საქმეთა სამდივნოს[10] სტრუქტურაში დაარსდა ადამიანის უფლებათა გენერალური დეპარტამენტი, რომელიც მექსიკის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული კომისიის უშუალო წინამორბედია. სხვადასხვა წელს მექსიკაში გატარებული ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებას, ადასტურებს, რომ მექსიკაში ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნის საკითხი ნელ-ნელა მწიფდებოდა, რაც ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის შექმნით დაგვირგვინდა.

2.2. მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისია

მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნულ კომისიას უფრო ფართო ფუნქციები აქვს, ვიდრე სკანდინავიის ანალოგიური ფუნქციების მქონე ინსტიტუტებს. იგი არა მხოლოდ იხილავს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს, რისთვისაც მას შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება შეუძლია, არამედ ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, აყალიბებს ადამიანის უფლებათა დარგში ეროვნულ პოლიტიკას და უშუალო მონაწილეობს მის განხორციელებაში, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებისა და რეკომენდაციების შემუშავების ჩათვლით.

[9] Universidad Nacional Autónoma de México. იხ. ინტერნეტ-მისამართზე: [www.serpiente.dgsca.unam.mx].
[10] Secretaría de Gobernación. იხ. ინტერნეტ-მისამართზე: [www.segob.gob.mx].

როგორც უკვე აღინიშნა, მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის უშუალო წინამორბედი დაარსდა 1989 წლის 13 თებერვალს, შინაგან საქმეთა სამდივნოს ადამიანის უფლებათა გენერალური დეპარტამენტის სახით. 1990 წლის 6 ივნისს, საპრეზიდენტო დეკრეტით დაარსდა ე.წ. ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისია, შინაგან საქმეთა სამდივნოსაგან დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც 1992 წლის 28 თებერვალს მიენიჭა კონსტიტუციური ორგანოს რანგი.[11] ამგვარად, მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისია დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციად სწორედ 1992 წლიდან ითვლება.

1999 წლის 13 დეკემბერს გატარებული საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდა მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის სტატუსი. ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ეროვნული კომისიის პრეზიდენტი, რომელიც 1999 წლამდე რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ინიშნებოდა, რეფორმის შედეგად, ირჩევა პარლამენტის ზედა პალატის – სენატის, მიერ 5 წლის ვადით და ანგარიშვალდებულია აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წინაშე.

მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის სტატუსი განისაზღვრა მექსიკის კონსტიტუციის 102-ე მუხლით[12] და ეროვნული კომისიის შესახებ ორგანული კანონით.

ამჟამად მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის პრეზიდენტია დოქტორი ხოსე ლუის სობერანეს ფერნანდესი (José Luis Soberanes Fernández). ორგანიზაციას აქვს შემდეგი სტრუქტურა: პრეზიდენტის აპარატი, საკონსულტაციო საბჭო, ტექნიკური სამდივნო, აღმასრულებელი სამდივნო, 4 გენერალური კვლევითი ოფისი, საჩივრებისა და ორიენტაციის გენერალური დეპარტამენტი, ავტომატი-

[11] Salinas de Gortari, Carlos, პოლიტიკური კონსტიტუციის 102-ე მუხლის დამატების პროექტის მოტივები. 1991 წლის 18 ნოემბერი.
[12] „ფედერალური პარლამენტი და ფედერალური ერთეულების საპარლამენტო ყრილობები, მათი შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში დააარსებენ მექსიკის სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებათა დამცავ ორგანოებს, რომლებიც გაეცნობიან საჩივრებს ნებისმიერი ხელისუფლების ან სახელმწიფო მუშაკის ადამიანის უფლებათა დამრღვევი ქმედების ან უმოქმედობის შესახებ, ფედერალური სასამართლო ხელისუფლების გარდა. წინა აბზაცში მითითებული ორგანოები შეიმუშავებენ საჯარო და სავალდებულო ხასიათის არმქონე რეკომენდაციებს და წარადგენენ საჩივრებს შესაბამისი ხელისუფლების წინაშე. ამ ორგანოებს არ აქვთ კომპეტენცია საარჩევნო, შრომით და სასამართლო სფეროში.
ფედერალური პარლამენტის მიერ დაარსებული ორგანოს სახელწოდებაა ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისია და გააჩნია მმართველობითი, ქმედებისა და საბიუჯეტო ავტონომია ისევე, როგორც საკუთარი იურიდიული სტატუსი და ქონება.
ადამიანის უფლებათა ეროვნულ კომისიას გააჩნია საკონსულტაციო საბჭო, რომლის 10 წევრიც სენატის ხმების 2/3-ით ანდა პარლამენტის მუდმივი კომისიის ხმების 2/3-თ აირჩევა... ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის თავმჯდომარე, რომელიც, ამავე დროს, საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარეა, ირჩევა წინა აბზაცში გათვალისწინებული წესით. ირჩევა ხუთი წლით, მაქსიმუმ ორი ვადით...
ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია სახელმწიფო ხელისუფლებების წინაშე... " (ავტორის თარგმანი).

ზებული ინფორმაციის გენერალური დეპარტამენტი, პრესისა და სპეციალური პროექტების გენერალური დეპარტამენტი, ადმინისტრაცია, დანაშაულის მსხვერპლთა გენერალური დეპარტამენტი და შიდა კონტროლის პალატა.

2.2.1. ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის პირველი ეტაპი

მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისია თავდაპირველად ჩამოყალიბდა აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში. იგი ექვემდებარებოდა შინაგან საქმეთა სამდივნოს, რომლის კომპეტენციაში შედიოდა ადამიანის უფლებების დაცვა.[13] ასეთი ადმინისტრაციული დაქვემდებარება გახდა კომისიის სერიოზული კრიტიკის მიზეზი,[14] ვინაიდან ეროვნულ კომისიას, მისი მაშინდელი სტატუსის გამო, არ ჰქონდა უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი – ავტონომია. თუმცა მან, მისი პირველი პრეზიდენტის, ხორხე კარპისოს, ადმინისტრაციის პერიოდში დაიმსახურა მოსახლეობის ნდობა, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვისათვის.[15]

მისი საქმიანობის პირველ ეტაპზე, ავტონომიური სტატუსის არქონის მიუხედავად, ეროვნულმა კომისიამ მოახერხა თავისი არსებობის აუცილებლობის დამტკიცება, ვინაიდან საგრძნობი იყო მისი პოზიტიური როლი ადამიანის უფლებათა დაცვაში.

2.2.2. მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის კომპეტენცია

ეროვნული კომისიის შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად, მის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) საჩივრების მიღება და მოკვლევის განხორციელება საჯარო ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით;

ბ) საჯარო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისათვის რეკომენდაციების მომზადება და საჩივრების წარდგენა;

გ) კონფლიქტების მოგვარება მომჩივანთა და სახელმწიფო ორგანოებს შორის;

დ) წინადადებების შემუშავება საკანონმდებლო რეფორმის შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

მიუხედავად ამ ფუნქციებისა, ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისია არ არის კომპეტენტური განიხილოს დავები, რომლებიც დაკავშირებულია არჩევნებსა და შრომით ურთიერთობასთან ისევე, როგორც სასამართლო დავები. თუ რატომ არ ვრცელდება ხსენებულ საკითხებზე ეროვნული კომისიის კომპეტენცია, დასაბუთებულია შემდეგნაირად:

[13] Precisiones sobre algunas opiniones relacionadas con la naturaleza y funciones de la CNDH, en Gaceta de la CNDH, 1992, 11-17.

[14] Barragán Barragán, José, El laberinto de ilegalidad de la Comisión Nacional de Derechos Humanos, 1992.

[15] 2001 წელს ჩატარებული სოციალური გამოკითხვის შედეგად, მოსახლეობა მექსიკის რესპუბლიკაში მოქმედი სახელმწიფოებრივი და სოციალური დაწესებულებებიდან ყველაზე მეტად, პირველ რიგში, ეკლესიას, შემდგომ რესპუბლიკის პრეზიდენტსა და, ბოლოს, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ კომისიას ენდობა.

ა) საარჩევნო დავებში ჩაურევლობა ეროვნული კომისიის არაპოლიტიკური ხასიათის შენარჩუნების გარანტიაა. გარდა ამისა, მექსიკის ფედერალური კანონმდებლობის მიხედვით, ასეთი დავები მექსიკის ფედერალური საარჩევნო ტრიბუნალის კომპეტენციაში შედის;[16]

ბ) შრომითი დავები, როგორც წესი, ეხება კერძო პირებს შორის არსებულ უთანხმოებას, მაშინ, როდესაც ეროვნული კომისიის ძირითადი ფუნქციაა საჯარო ხელისუფლებისაგან ინდივიდის უფლებათა და ინტერესთა დაცვა. ამას გარდა, შრომით დავებს იხილავენ ამისათვის სპეციალურად შექმნილი შრომითი ორგანოები;

გ) სასამართლოს ხელისუფლება დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა იკრძალება კანონმდებლობით.

2.2.3. საპროცესო რეგლამენტაცია

ნებისმიერ პირს ან მის წარმომადგენელს შეუძლია წარუდგინოს საჩივარი ადამიანის უფლებათა ეროვნულ კომისიას. ერთადერთი პირობა, რომელიც დაწესებულია საჩივრის წარდგენასთან დაკავშირებით, ეხება მისი წარდგენის ვადას. საჩივარი ეროვნულ კომისიას უნდა წარედგინოს ადამიანის უფლებების დარღვევის დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა ან ამავე ვადაში იმ დღიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო თავისი უფლებების დარღვევის შესახებ.

ეროვნულ კომისიას შეიძლება მიემართოს როგორც წერილობით, ისე ზეპირად. თუ დაზარალებული არ ფლობს ესპანურ ენას, ეროვნული კომისია მას უზრუნველყოფს თარჯიმნით.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული კომისიის წინაშე საჩივრის წარდგენა არ ქმნის ***non bis in idem*** პრეცედენტს.

საჩივრის მიღების შემდეგ ეროვნული კომისია უკავშირდება საჩივარში მითითებულ სახელმწიფო ორგანოს, ამ ორგანოსა და დაზარალებულს შორის დავის მოგვარების მიზნით. თუ მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, მაგრამ შესაბამისი სახელმწიფო ორგანო არ ასრულებს შეთანხმების პირობებს, ეროვნულ კომისიას შეუძლია განაახლოს საქმის განხილვა. თუ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ეროვნულ კომისიას შეუძლია შესაბამის სახელმწიფო ორგანოს მოსთხოვოს კომისიისათვის სპეციალური მოხსენების წარდგენა.

საჩივრის წარდგენის შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ეროვნულ კომისიას ასევე შეუძლია გამოიკვლიოს საჩივარში მითითებული ფაქტები და ადამიანის უფლებათა დარღვევის დადგენის შემთხვევაში შესაბამის სახელმწიფო ორგანოს წარუდგინოს რეკომენდაცია დარღვეული უფლების აღდგენის უზრუნველსაყოფად.

მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის ხელთ არსებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომლის მეშვეობით იგი იცავს ადამიანის უფლებებს, მის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გამოქვეყნებაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეკომენდაციები არ აკისრებს სახელმწიფო ორგანოებს რაიმე იურიდიულ ვალდებულებას, იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონკრეტული პირების უფლებების დაცვაზე.

[16] Tribunal Federal Electoral del Poder Judicial de la Federación.

2.2.4. სპეციალური ღონისძიებები

მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისია ატარებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს ადამიანის უფლებათა ეროვნული მექანიზმის განმტკიცების თვალსაზრისით. შეიძლება რამდენიმე ასეთი ღონისძიების მაგალითის მოყვანა:

ა) გენერალური (ზოგადი) რეკომენდაციების შემუშავება. 2001 წელს, პირველად თავისი არსებობის ისტორიაში, მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნულმა კომისიამ დაიწყო გენერალური (ზოგადი) რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული რეკომენდაციები ეყრდნობა არა კონკრეტულ საჩივრებს, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ზოგად თემებს, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვა პენიტენციურ სისტემაში;[17]

ბ) პროექტი ადამიანის უფლებათა სფეროში ინდიკატორებისა და დიაგნოზის შესახებ. 2002 წლის დასაწყისიდან, ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისია ინტენსიურად მუშაობს აღნიშნულ პროექტზე, რომლის მიზანია ადამიანის უფლებათა კონკრეტული დიაგნოზის დადგენა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით;

გ) გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარიატთან ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ტარდება კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სისტემის განმტკიცებას.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს განმტკიცებასა და ადამიანის უფლებათა დაცვაში უდიდესი როლი ენიჭება ომბუდსმენის ინსტიტუტს, რადგან ნებისმიერ საზოგადოებაში მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი და ძლიერი ომბუდსმენი მოსახლეობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტია.

[17] 2002 წლის მაისისათვის მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნულ კომისიას შემუშავებული და გამოქვეყნებული აქვს 3 ზოგადი რეკომენდაცია: N7/2001 – სოციალური ადაპტაციის ცენტრებში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ; N26/2001 – იძულებითი გაუჩინარების შესახებ 70-იან და 80-იან წლებში; N3/2002 – პენიტენციალურ დაწესებულებებში ქალთა უფლებების შესახებ.

საერთაშორისო ტრიბუნალების პრაქტიკის მნიშვნელობა საერთაშორისო სისხლისა და ჰუმანიტარული სამართლის განვითარებაში: *დუშკო ტადიჩის საქმე*

ზურაბ ბურდული

ცოტაოდენი რამ უახლესი ისტორიიდან:

2002 წლის 1 ივლისი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. მისი მნიშვნელობის შესაფასებლად, ალბათ, გარკვეული დრო უნდა გავიდეს, თუმცა ერთი რამ დღეს უკვე ნათელია: ამ დღეს კაცობრიობის ისტორიაში პირველად ამოქმედდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, ე.წ. „რომის სტატუტი" – დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო საზოგადოებრიობის მცდელობებს აღეკვეთათ ყველაზე საშიში დანაშაულები, ბოლო მოეღოთ ამ ქვეყნად ყველაზე ღირებულის – ადამიანის სიცოცხლის – მასობრივი გაუფასურების შემოქმედთა დაუსჯელობისათვის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ რომის სტატუტის მნიშვნელობაზე საუბრისას მთავარი (ჯერჯერობით) ის იმედი და ნდობის კრედიტია, რომელიც ამ უნიკალურ მექანიზმს გამოუცხადა საერთაშორისო თანამეგობრობამ. მას წინა აქვს ის გზა, რომლითაც უნდა გაამართლოს ეს იმედი და დაამტკიცოს, რომ სკეპტიკოსები ცდებოდნენ, როდესაც მას სათანადოდ არ აფასებდნენ, და რომ „ყველა გზა რომში მიდის".

უნდა აღინიშნოს, რომ რომამდე სავალი გზა საკმაოდ მძიმე გამოდგა. სახელმწიფოები დიდი ხნის განმავლობაში ყოყმანობდნენ უნივერსალური და მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი მექანიზმის შექმნის თაობაზე და კმაყოფილდებოდნენ კონკრეტულ შეიარაღებულ კონფლიქტებსა და დროის კონკრეტულ მონაკვეთში ჩადენილი დანაშაულების დასასჯელად *ad hoc* ტრიბუნალების ამოქმედებით: ნიურნბერგი, ტოკიო, ყოფილი იუგოსლავია, რუანდა - აი, სია იმ მცდელობათა მაქსიმუმისა, რაც კაცობრიობამ განახორციელა 1998 წლამდე. სახელი ამ ეკლიან გზაზე მდგარი მთავარი წინააღმდეგობისა ბანალური და კარგად ნაცნობია – სუვერენიტეტი.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ მიუხედავად ზემოხსენებული ტრიბუნალების სამოქმედო არეალის შეზღუდულობისა, მათ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს (და კვლავაც ასრულებენ) და თვით ის ფაქტიც, რომ რომის სტატუტი დღეს რეალობაა, დიდწილად ამ ტრიბუნალების დამსახურებაცაა. მათ მიერ განხილულ ზოგიერთ საქმეზე გამოტანილი განაჩენი კი საერთაშორისო სისხლის სამართლისა და ჰუმანიტარული სამართლის განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია და ეჭვგარეშეა, რომ დიდად წაადგება ახალშობილ მუდმივმოქმედ სასამართლოს.

წინამდებარე სტატიაში მკითხველის ყურადღებას სწორედ ერთ-ერთ ასეთ საქმეზე მივაპყრობთ – ესაა დუშკო ტადიჩის საქმე, რომელიც უაღრესად საინ-

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო · ადვოკატთა ასოციაციის ბიბლიოთეკა

ტერესოა თავისი შინაარსით, იმ მიდგომებით, რომლებსაც ტრიბუნალმა მიმართა საერთაშორისო ჰუმანიტარული და სისხლის სამართლის სხვადასხვა თეორიისა და მათი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, აგრეთვე იმ დასკვნებით, რომელთაგან ზოგიერთი საკმაოდ მოულოდნელი, გაბედული და, შეიძლება ითქვას, არაცალსახაა არგუმენტირების თვალსაზრისით.

როდესაც დუშკო ტადიჩი ბოსნია-ჰერცოგოვინას ტერიტორიაზე 1992 წელს ბოსნიელი მუსლიმების წინააღმდეგ მრავალრიცხოვან და საზარელ დანაშაულებს ჩადიოდა, ის ვერც კი წარმოიდგენდა, თუ როგორ „შეუწყობდა ხელს", რა თქმა უნდა, უნებლიეთ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარებას.

1993 წელს, პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, შეიქმნა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისათვის.[1] ტრიბუნალმა ბინა ჰააგაში დაიდო. 1994 წელს გერმანიაში დააკავეს და ჰააგაში ჩაიყვანეს დუშკო ტადიჩი. მომდევნო წელს ტრიბუნალის სააპელაციო პალატამ მიიღო განჩინება ტრიბუნალის უფლებამოსილების თაობაზე,[2] რომელშიც უმნიშვნელოვანესი საკითხები იქნა განხილული და განმარტებული. კერძოდ ის, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები სასამართლო გადასინჯვას ექვემდებარება, რომ ტრიბუნალის შექმნა კანონიერ საფუძველზე მოხდა, რომ შეიარაღებული დაპირისპირებანი ყოფილ იუგოსლავიაში ატარებდა როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო კონფლიქტების ხასიათს, რომ ომის დანაშაულების ცნება და კონცეფცია თანაბრად ვრცელდება არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტებზეც და ბევრი სხვა მომიჯნავე საკითხი, რომელთა მნიშვნელობაზე საუბარი ზედმეტად მიგვაჩნია.

1999 წლის 15 ივლისს ტრიბუნალის სააპელაციო პალატამ, ტადიჩის საქმის არსებითი განხილვის შედეგად, გამოიტანა საბოლოო განაჩენი,[3] რომლითაც ტრიბუნალმა რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საერთაშორისო საჯარო სამართლის, საერთაშორისო სისხლის სამართლისა და ჰუმანიტარული სამართლის საკითხებზე, მიმართა რა ზოგიერთ შემთხვევაში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავებულ ინტერპრეტაციას, აგრეთვე, ჰუმანიტარული სამართლით დადგენილი „დაცული პირების" კატეგორიის ახლებურ ხედვას, დანაშაულის შერაცხადობისა და ბრალის ელემენტების სპეციფიკურ განმარტებებს.

წინამდებარე სტატიით შევეცდებით ზემოხსენებული განაჩენის რამდენიმე მომენტზე გავამახვილოთ ყურადღება, რამდენადაც მათ გარშემო ბევრი კითხვა გაჩნდა და გავბედავთ ვივარაუდოთ, რომ ეს კითხვები კიდევ დიდხანს იქნება იურისტებისა და არა მხოლოდ იურისტების ყურადღების საგანი.

[1] საერთაშორისო ტრიბუნალი იმ პირთა დასასჯელად, რომლებიც პასუხისმგებელი არიან 1991 წლიდან ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზულ დარღვევებისათვის (შემდგომში „ტრიბუნალი"), შეიქმნა გაეროს უშიშროების საბჭოს 1993 წლის 25 მაისის 827-ე რეზოლუციით.

[2] განჩინება დაცვის შუამდგომლობის შესახებ ტრიბუნალის უფლებამოსილების თაობაზე, პროკურორი დუშკო ტადიჩის წინააღმდეგ; საქმე №IT-94-1-AR72, ICTY, სააპელაციო პალატა, 1995 წლის 2 ოქტომბერი.

[3] განაჩენი საქმეზე – პროკურორი დუშკო ტადიჩის წინააღმდეგ, საქმე №IT-94-1-A, ICTY სააპელაციო პალატა, 1999 წლის 15 ივლისი.

I. ყოფილ იუგოსლავიაში არსებული კონფლიქტის კვალიფიკაცია

ტრიბუნალის სასამართლო პალატამ თავის განაჩენში დადასტურებულად მიიჩნია დუშკო ტადიჩის მიერ ტრიბუნალის წესდების მე-3 მუხლით განსაზღვრული ომის წარმოების კანონებისა და ჩვეულებების დარღვევა. თუმცა, შინაარსობრივად, მსგავსი ქმედებების ჩადენა არ დააკვალიფიცირა ტრიბუნალის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზულ დარღვევებად. სააპელაციო პალატამ განსხვავებული მიდგომა აირჩია, თუ რატომ, - ამ საკითხში სიცხადის შესატანად მიზანშეწონილი იქნება გავიხსენოთ ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევების კონცეფცია და მისი კავშირი შეიარაღებული კონფლიქტის ხასიათთან.

ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციები და მათი პირველი დამატებითი ოქმი ზოგიერთი სახის დანაშაულს მიიჩნევს „სერიოზულ დარღვევად"[4] და აცხადებს მათ დასჯადად უნივერსალური იურისდიქციის პრინციპზე დაყრდნობით. ჟენევის ამ კონვენციების ტექსტისა და დამკვიდრებული ინტერპრეტაციის თანახმად, სერიოზული დარღვევების კონცეფცია არ გამოიყენება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებთან მიმართებით. ეს შეფასება სამართლიანად იქნა გაზიარებული სააპელაციო პალატის მიერ უფლებამოსილების თაობაზე მიღებულ განჩინებაში.[5] ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევები უნდა ჩადენილ იქნეს „დაცული პირების" ან ობიექტების მიმართ და, აქვე, ეს დაცული პირები, მშვიდობიანი მოსახლეობის შემთხვევაში, არიან ის „... პირები, რომლებიც აღმოჩნდებიან კონფლიქტის მონაწილე იმ მხარის ხელში, რომლის მოქალაქეებიც ისინი არ არიან."[6]

ცხადია, ტადიჩი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევებისათვის რომ გაესამართლებინათ, ამოსავალი წერტილი უნდა ყოფილიყო იმ შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო ხასიათის დამტკიცება, რომლის დროსაც მან ეს დანაშაულები ჩაიდინა. საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტის არსებობას ჟენევის კონვენციების მე-2 მუხლი ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში ადგენს. ზოგიერთი შეიარაღებული კონფლიქტი შეიძლება ატარებდეს როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო ხასიათს; ერთ შემთხვევაში იმის გამო, რომ უცხო სახელმწიფო ერევა შიდასახელმწიფოებრივ შეიარაღებულ კონფლიქტში ან მეორე შემთხვევაში, - მაშინ, როდესაც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი წარმოებს ქვეყნის შიგნით არსებული მოკავშირე ჯგუფების საშუალებით.[7] ამ უკანასკნელის დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი გამოიყენება ფრაგმენტულად, ანუ ორ სახელმწიფოს შორის სრული მოცულობით, ხოლო სახელმწიფოსა და მის ტერიტორიაზე მებრძოლ აჯანყებულ ჯგუფებს შორის მოქმედებს არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი. სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის ზოგადი წესის თანახმად, ამგვარი კლასიფიცირება საჭირო არაა მაშინ, როდესაც შიდასახელმწი-

[4] ჟენევის კონვენცია (ჟკ), I, მუხ. 50, ჟკ, II, მუხ. 51, ჟკ, III, მუხ. 130, ჟკ, IV, მუხ. 147, დამატებითი ოქმი (დ.ო.) I, მუხლები: 11 (4), 85 და 86.

[5] ტადიჩის საქმე, იხ. სქოლიო 2, პუნქტები: 79-83.

[6] ჟკ, IV, მუხ. 4.

[7] როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე ცივი ომის პერიოდის კონფლიქტებში.

ფოებრივი კონფლიქტის მხარე მესამე სახელმწიფოს დე ფაქტო წარმომადგენლად (agent) შეიძლება ჩაითვალოს.

ბოსნიელი სერბები, თავისთავად, არ წარმოადგენდნენ სახელმწიფოს და, ამდენად, სააპელაციო პალატას უნდა განესაზღვრა, მოქმედებდნენ თუ არა ისინი როგორც იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის (იფრ) წარმომადგენლები. ამასთან, სააპელაციო პალატას უნდა დაედგინა ის სამართლებრივი სტანდარტიც, რომლის მიხედვითაც გარეშე ძალის დახმარება საერთაშორისო კონფლიქტების სამართლის გამოყენებადობის საფუძველს იძლევა. სააპელაციო პალატამ უკუაგდო ის სტანდარტი, რომელიც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა საქმეზე - *ნიკარაგუა შეერთებული შტატების წინააღმდეგ*,[8] რომლის მიხედვით, მხოლოდ მონაწილეობა, თუნდაც გადამწყვეტი ხასიათის, აჯანყებულთა ფინანსირებაში, წვრთნაში, აღჭურვაში, მათთვის სამიზნეების შერჩევასა და ოპერაციების დაგეგმვაში არასაკმარისია, რათა აჯანყებულთა მიერ ჩადენილ კონკრეტულ ქმედებებზე პასუხისმგებლობა შეერაცხოს მესამე სახელმწიფოს. ამგვარი პასუხისმგებლობის დადგომის აუცილებელ პირობად აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ აჯანყებულთა საბრძოლო ოპერაციებზე მესამე სახელმწიფოს მხრიდან ე.წ. ეფექტიანი კონტროლის პრინციპი დაადგინა.

ტადიჩის საქმეზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, მიუხედავად სახელმწიფო და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განსხვავებულობისა,[9] თვით სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ნიკარაგუას საქმეზე დამკვიდრებული სტანდარტის ტესტიც არადამაჯერებელი იყო და გადასინჯვას საჭიროებდა, ანუ, სააპელაციო პალატის აზრით, კონკრეტულ საბრძოლო მოქმედებებზე ეფექტიანი კონტროლის სტანდარტი ზედმეტად მაღალი და მესამე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის დასასმელად სავსებით საკმარისი იყო ე.წ. ზოგადი (საერთო) კონტროლის სტანდარტი. სხვა სიტყვებით, უცხო სახელმწიფოს მხრიდან სამხედრო თუ გასამხედროებულ ორგანიზაციაზე ზოგადი (საერთო) კონტროლის არსებობა შესაძლებელს ხდიდა მისთვის ამ ორგანიზაციის მიერ ჩადენილ ყველა ქმედებაზე პასუხისმგებლობის შერაცხვასა და, შესაბამისად, საერთაშორისო კონფლიქტებში გამოყენებადი ჰუმანიტარული სამართლის ამოქმედებას.[10]

კითხვები, რომლებიც ლოგიკურად ჩნდება ტრიბუნალის მოსაზრებასთან დაკავშირებით, რამდენიმეა. პირველ რიგში, - ცვლის თუ არა რაიმეს ტრიბუნალის მიერ განსხვავებული სტანდარტის დადგენა? – მის საკუთარ პრაქტიკაში, ალბათ, კი, თუმცა იგი არ წარმოადგენს წინაღობას მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსთვის, რომ მან კვლავაც გამოიყენოს ნიკარაგუას საქმეზე დადგენილი სტანდარტი და ტესტი. პრობლემა კი, გარკვეულწილად, **ორმაგი სტანდარტის** შექმნის გამო იქმნება; მეორე დაარანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ტრიბუნალის მიერ ახალი სტანდარტის არგუმენტირებისთვის მოხმობილი პრაქტიკული მა-

[8] *Military and Paramilitary Activities in Nicaragua and against it*, I.C.J. Reports 1986, para.219.

[9] შესაბამისად, ტადიჩის საქმეში მსჯელობის საგანი დუშკო ტადიჩის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა იყო და არა რომელიმე სახელმწიფოსი, რომლის წარმომადგენლადაც ჩაითვლებოდა ეს უკანასკნელი.

[10] უფრო ადრე ტრიბუნალმა მსგავსი თვალსაზრისი გამოხატა *Celebici*-ს საქმესაც, სადაც გამიჯნა სახელმწიფო და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, უკუაგდო ნიკარაგუის საქმით დადგენილი სტანდარტი. იხ. განაჩენი საქმეზე *Celebici*, პუნქტები 233 და 234.

გალითები არცთუ უმტკივნეულოდ ჯდება ტადიჩის საქმის კონტექსტში. კერძოდ, მაგალითები მეტწილად ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დაეკისრა მის ტერიტორიაზე მოქმედი შეიარაღებული ჯგუფების ქმედებებზე (აქ ტერიტორიული კონტროლის ფაქტორი ერთ-ერთი განმაპირობებელია) ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩადენილ ქმედებებზე, სადაც ოკუპანტი სახელმწიფო ფიზიკურად იყო წარმოდგენილი.

გარდა ამისა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს,[11] ტრიბუნალის მიდგომა შეიცავს შეფასების ისეთ რისკს, როგორიცაა „იურიდიული ეთნიკური წმენდა": ნაცვლად ბოსნია-ჰერცოგოვინას სახელმწიფოს შემადგენელი ხალხის სტატუსისა, სერბები (და ხორვატები) მიჩნეული არიან უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებად (agents) ამ მოსაზრების ლოგიკა ასეთია: თუკი მათი ქმედებები უცხო სახელმწიფოს შეიძლება შეერაცხოს, რატომ არ შეიძლება თვით ეს ადამიანები განვიხილოთ უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომებად?[12]

ზემოთ დასმული შეკითხვა უფრო მძაფრი ხდება, თუ გავიხსენებთ ამავე ტრიბუნალის მიერ უფრო ადრე გამოტანილ განაჩენს სელებიჩის საქმეზე, სადაც სასამართლო პალატამ აღნიშნა, რომ ბოსნიის ხელისუფლების მიერ დატყვევებული ბოსნიელი სერბები დაცულ პირებს წარმოადგენდნენ, რადგან მათ უარი თქვეს ბოსნია-ჰერცოგოვინას მოქალაქეობაზე.[13]

თუ ამგვარ თეორიას კიდევ უფრო ჩავუღრმავდებით, აღმოჩნდება, რომ უცხოელებად მიჩნეული პირების (სერბებისა და ხორვატების) იძულებითი გადაყვანა თავიანთ „სამშობლოში" ომის დანაშაული კი არა, ფრიად სასახელო და კეთილი საქმე ყოფილა (?!).[14] ამგვარი მიდგომა აბსურდულად თუ არა, სულ ცოტა, სახიფათოდ მაინც მოჩანს, განსაკუთრებით პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში, მშვიდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის ხელშეწყობის კონტექსტში.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი ტადიჩის საქმეზე გამოტანილ განაჩენში: სააპელაციო პალატამ გააგრძელა ზემოაღნიშნული თეორია და მოგვცა ჟენევის სამართლით განსაზღვრული დაცული პირების ცნების ახლებური განმარტება (ყოველ შემთხვევაში მისი რამდენიმე ელემენტი მაინც). თუ აქამდე ჟენევის კონვენციების მიხედვით დაცულ პირებში, როგორც წესი, მოიაზრებოდნენ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მოქალაქეები, აპატრიდები და ლტოლვილები, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოქალაქეობის ფაქტორი არც ისეთი მნიშვნელოვანია და უპირატესობა მიანიჭა ე.წ. „ერთგულებისა და ეფექტიანი (რეალური) მფარველობის" ფაქტორებს. შესაბამისად, დუშკო ტადიჩის მსხვერპლნი განხილულ იქნენ როგორც უცხო სახელმწიფოს – იფრ-ს, ერთგულნი და, ამდენად, დაცული პირების სტატუსის მატარებელნი.

ცხადია, სააპელაციო პალატის სურვილი დღეს არსებული იურიდიული ნორმების ***lato sensu*** ინტერპრეტაციით ჰუმანიტარული სამართლის ახალ რეალობებთან

[11] იხ. *The judgement of the ICTY appeals chamber on the merits in the Tadic case*, მარკო სასოლი და ლორა მ. ოლსონი; International Review of the Red Cross, ICRC, September 2002, volume 82, # 839.

[12] იქვე.

[13] იხ. განაჩენი საქმეზე: სელებიჩი, პუნქტები: 250-266.

[14] დამატებით, იხ. მე-11 სქოლიოში მოხმობილი მასალა.

მისადაგებისა მისასალმებელია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარმა ინტერპრეტაციამ თავი რომ დაიმკვიდროს საერთაშორისო სამართალში, არგუმენტების სიმცირესა და სიმსუბუქეს არ უნდა უჩიოდეს.[15]

ამასთან, ის მისწრაფება, რომელიც ტადიჩის საქმეზე ტრიბუნალის სააპელაციო პალატის განაჩენში იგრძნობა და რომელიც მიმართულია საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში გამოყენებადი ჰუმანიტარული სამართლის მოქმედების არეალის გავრცობისაკენ ისეთ კონფლიქტებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ აშკარად გამოხატული საერთაშორისო ხასიათი, ბადებს კითხვას: განა ყოველთვის უკეთეს დაცვის რეჟიმს სთავაზობს დაცულ პირებს ეს სამართალი? პასუხი ამ კითხვაზე არ შეიძლება იყოს ცალსახა. როგორც წესი, ეს ასეა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში - არა. მაგალითად, სამოქალაქო მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება უპირობოდ აკრძალულია არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების სამართლით,[16] მაშინ, როდესაც საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მარეგულირებელი სამართლით, ასეთი ქმედება იკრძალება მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე.[17]

საკითხი, ალბათ, სხვაგვარად უნდა დაისვას. ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე წარმოებულ შეიარაღებულ კონფლიქტებში ისევე, როგორც სხვა კონფლიქტებში, პრობლემას უფრო მეტად წარმოადგენს ის, რომ არანაირ *წესს* (ნორმას) იცავენ და არა ის, რომ *არასწორ* წესებს იცავენ.

II. ომის დანაშაულების ჩამდენთა პასუხისმგებლობის საკითხი: *ახალი ასპექტები?*

ტადიჩის საქმეში ერთ-ერთი ბრალდება შეეხებოდა ხუთი მამაკაცის მკვლელობას, რაც ტადიჩის სამხედრო შენაერთის მიერ ერთ-ერთ სოფელში ჩატარებული ოპერაციის შედეგად განხორციელდა. სასამართლო პალატამ ვერ აღმოაჩინა საქმეში მტკიცებულება ამ ადამიანების მკვლელობაში ტადიჩის მონაწილეობის შესახებ და ამ ნაწილში ბრალდება არ გაიზიარა. სააპელაციო პალატამ სხვაგვარად განსაჯა: „საერთო მიზნის" დოქტრინის მიხედვით, მან ჩათვალა, რომ ტადიჩი პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო მკვლელობებზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ჩადენილი იყო მისი ჯგუფის სხვა წევრების მიერ, და მაშინაც, თუ ეს ქმედებები აუცილებლობით არ შეადგენდა საერთო გეგმის ნაწილს. სააპელაციო პალატის აზრით, ამგვარი პასუხისმგებლობა დგება იმის გამო, რომ მკვლელობის რისკი გახდა წინასწარ განჭვრეტადი შედეგი საერთო გეგმის განხორციელებისა და ბრალდებულმა გამოიჩინა გაუფრთხილებლობა ან გულგრილობა ასეთი რისკისადმი.[18]

აქაც, როგორც ჩანს, ახალ სტანდარტთან გვაქვს საქმე. და რას ეფუძნება ეს ახალი სტანდარტი? - არც ტრიბუნალის წესდებას და არც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს, არამედ, როგორც სააპელაციო პალატა თვლის, სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული სამართლებრივი სისტემების ანალიზს. სააპელაციო პალატამ შეისწავლა ისეთი ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, როგორებიცაა: საფრანგეთი, იტალია, შეერთებული შტატები და ნიდერლანდები. აშკარად გამოიკვეთა ბრალის ორი ფორმა, რომელიც ყველაზე ახლოს იდგა ტადიჩის შემთხვევასთან: პირველი, ე.წ. ***dolus eventualis*** (არაპირდაპირი განზრახვა) და ***culpa*** (გაუფრთხილებლობა). სააპელაციო პალატის დასკვნით, არც ერთი მათგანი ბოლომდე არ მიესადაგებოდა ტადიჩის საქმეს და ამიტომაც აღნიშნა, რომ ამ სფეროში საერთო, ზოგადი პრინციპი, რომელიც დამკვიდრებული იქნებოდა სხვადასხვა ხალხის სამართლებრივ სისტემებში, არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, სააპელაციო პალატამ მოულოდნელად დაასკვნა, რომ მის მიერ დადგენილი სტანდარტია „. . . საერთაშორისო სისხლის სამართლის ჩვეულებითი ნორმის გამოძახილი ეროვნულ კანონმდებლობებში".[19] (!).

სააპელაციო პალატის ასეთი დასკვნა და მანამდე გაწეული ანალიზი ერთმანეთს მთლად არ ემთხვევა. გარდა ამისა, ერთ მნიშვნელოვან მომენტს უნდა გაესვას ხაზი: მშვიდობიანობის დროს კრიმინალური დაჯგუფების წევრობისაგან განსხვავებით (როდესაც პირი თვითონ წყვეტს, შეუერთდეს თუ არა ასეთ დაჯგუფებას), ომის დროს სამხედრო შენაერთის წევრობა ხშირად არაა არჩევითი და პირი გაწვევის შედეგად მიდის ჯარში. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მან იცის, რომ საომარი მოქმედებების დროს მისი შენაერთის მიერ შეიძლება ჩადენილ იქნეს დანაშაული, თავისთავად, მისი შენაერთში გაწევრიანება არ გულისხმობს მსგავს ქმედებებში პირის მონაწილეობის ევენტუალურ განზრახვას (მაშინ, როდესაც კრიმინალურ დაჯგუფებაში გაწევრიანებისას პირს გააზრებული აქვს მოსალოდნელი ქმედება და მისი შედეგები, თუნდაც არაპირდაპირ, მისი განზრახვა ფორმირებულია).

უმრავლესი ქვეყნის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა პასუხისმგებლობას აკისრებს იმ „კრიმინალებს", რომლებიც შეუერთდნენ კრიმინალურ დაჯგუფებას, ისეთი დანაშაულებისათვის, რომლებიც ჯგუფის სხვა წევრების მიერ იქნა ჩადენილი, საერთო გეგმის გარეთ, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ასეთი დანაშაულების ჩადენის ალბათობა წინასწარ განჭვრეტადი იყო ჯგუფთან მიერთების მომენტისთვის. ომიანობის დროს პოტენციური „კრიმინალების" სულ სხვა ჯგუფთან – ჯართან – გვაქვს საქმე. მათ ჰქვიათ კომბატანტები, რომელთაც სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობისა და, მათ შორის, მოწინააღმდეგის მოკვლის, ლეგალური უფლებაც აქვთ, მაგრამ ამავე დროს ევალებათ დაიცვან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპები.[20] ხშირად ისინი არ იცავენ ამ პრინციპებს, რისთვისაც პასუხი უნდა აგონ კიდეც, მაგრამ მხოლოდ მათ, ვინც ისინი დაარღვია. კონკრეტული ჯარისკაცი, რომლის თანამებრძოლებმაც ჩაიდინეს მკვლელობა თუ გაუპატიურება, არ შეიძლება ბრალდებულ იქნეს ამ ქმედებებში მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ირიცხება იმავე შენაერთში, რომელშიც ზემოაღნიშნული დანაშაულების ჩამდენი.

საერთაშორისო სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპიც ხომ იმით გამოიხატება, რომ პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულებისათვის ინდივიდუალიზებულია. სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან შედარებით, ინდივიდუალურ პა-

---

[15] ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, რომ სახელმწიფოები დაცული პირების კონტექსტში განიხილავენ საკუთარ მოქალაქეებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს, თუნდაც ეს უკანასკნელნი ასეთ მოქალაქეობას არცთუ სასურველად მიიჩნევდნენ.

[16] იხ. ჟენევის კონვენციების 1977 წლის 8 ივნისის II დამატებითი ოქმი, მუხლი 17.

[17] ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს IV კონვენცია, მუხლი 49 (1).

[18] ტადიჩის საქმე, სააპელაციო პალატის განაჩენი, პუნქტი 204.

[19] იქვე, პუნქტი 226.

[20] იხ. 1977 წლის 8 ივნისის I დამატებითი ოქმი, მუხლები: 43 და 44.

სუხისმგებლობას გაცილებით მეტი მორალური და პრევენციული ძალა აქვს. გარდა ამისა, იგი ნათელს ხდის, რომ საშინელ დანაშაულებს ჩადიან არა „სერბები" ან „ხორვატები", „აფხაზები" ან „ქართველები", „პალესტინელები" ან „ებრაელები", არამედ ცალკეული კრიმინალები. მანამ, სანამ პასუხისმგებლობა ექსკლუზიურად სახელმწიფოს ან „ხალხებს" დაეკისრებათ, დაუსჯელობის ალბათობა გაცილებით დიდი იქნება.

III. ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ელემენტები

ტადიჩის საქმეზე სააპელაციო პალატამ თანამიმდევრულად გააგრძელა საკუთარი პრაქტიკა და კიდევ ერთხელ შეეცადა შეეტანა სიცხადე ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ზოგიერთ ელემენტში. კერძოდ, ის, რომ აუცილებელია დადგინდეს შემაკავშირებელი რგოლის არსებობა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობასა და ჩადენილ დანაშაულს შორის. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ასეთი რგოლის განმსაზღვრელად უნდა არსებობდეს ორი პირობა: 1) ქმედების ჩადენა „გეოგრაფიულად და ქრონოლოგიურად დაკავშირებული უნდა იყოს შეიარაღებულ კონფლიქტთან"[21] და 2) ქმედება „არ უნდა იყოს არსობრივად განყენებული შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტიდან."[22]

სასამართლო პალატამ ჩათვალა, რომ ეს უკანასკნელი პირობა კიდევ ორი კომპონენტისაგან შედგება, კერძოდ:

1) ქმედების ჩამდენმა იცის ქმედების ჩადენასთან დაკავშირებული უფრო ფართო კონტექსტის შესახებ;[23]

2) ქმედების ჩადენა არაა განპირობებული მხოლოდ და მხოლოდ ჩამდენის პირადი მოტივებით.[24]

ყურადსაღებია, რომ სააპელაციო პალატამ აღნიშნული მეორე კომპონენტი არ გაიზიარა, უფრო სწორად, ჩათვალა იგი არარელევანტურად. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს: თუ, დავუშვათ, ახალგაზრდა გერმანელმა მამაკაცმა ნაცისტური რეჟიმის პირობებში მოკლა მეზობელი ებრაელი მამაკაცი, რომელიც მის ცოლს აცდუნებდა, - უნდა ჩაითვალოს თუ არა ეს ქმედება შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ჩადენილად? სააპელაციო პალატის პოზიციის თანახმად, უნდა ჩაითვალოს, რადგან ადგილი აქვს გენოციდური რეჟიმის აპარატით სარგებლობას პირადი მოტივებით დანაშაულის ჩასადენად. ვფიქრობთ, ეს საკითხი ბევრ კითხვას ბადებს და კვლავაც გახდება დებატების საგანი. ჩვენი მიზანი არაა ამ თემის სიღრმისეულად განხილვა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პირადი მოტივების სრული იგნორირება არცთუ დამაჯერებლად მოჩანს, რადგან თითქმის ყველა ქვეყნის სისხლისსამართლებრივ სისტემებში პირადი მოტივი, სხვა თუ არაფერი, დანაშაულის შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებად მოიაზრება და მათ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ.

დაბოლოს, მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ტადიჩის საქმეში არსებულ ერთ მნიშვნელოვან მომენტზე: სააპელაციო პალატამ, როდესაც ქმედების „დის-

[21] ტადიჩის საქმე, სააპელაციო პალატის განაჩენი, პუნქტები: 239 და 633.
[22] იქვე, პუნქტი 634. (თარგმანი არაოფიციალურია).
[23] იქვე, პუნქტები 656-657.
[24] იქვე, პუნქტები 658-659.

კრიმინაციულ განზრახვაზე" მსჯელობდა, რამდენიმე, შეიძლება ითქვას, რევოლუციური შეფასება გააკეთა. კერძოდ:

1) საკუთარი წესდების მე-5 მუხლის განმარტებისას, მიიჩნია, რომ დისკრიმინაციული განზრახვის არსებობა საჭიროა მხოლოდ „დევნის" ტიპის დანაშაულებისთვის,[25] უარყო რა ამით ტრიბუნალის წესდების მოსამზადებელ მასალებში (*travaux préparatoires*) გამოხატული საპირისპირო მოსაზრება;

2) ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ანალიზისას, სააპელაციო პალატამ მიუთითა რამდენიმე დოკუმენტზე, როგორც ჩვეულებითი სამართლის წყაროზე. კერძოდ, მან მოიხმო „მშვიდობისა და ადამიანის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ კოდექსის" პროექტი,[26] რომელიც მიღებული და ძალაში შესული არ იყო, ისევე, როგორც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წესდება (რომის სტატუტი). სააპელაციო პალატამ მათზე მიმართება გააკეთა როგორც *opinio juris* წყაროზე, რაც, თუ განსაკუთრებით რომის სტატუტის ხელმომწერ სახელმწიფოთა რიცხვს გავითვალისწინებთ,[27] არცთუ უმართებულოა, თუმცა *opinio juris* ფორმირების კონტექსტში აღსანიშნავია, რომ რამდენიმე გავლენიანი და მნიშვნელოვანი სახელმწიფო (როგორიცაა, მაგალითად, შეერთებული შტატები) არ ირიცხებოდა სტატუტის ხელმომწერთა სიაში;

3) სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მისი პოზიცია განსხვავდება როგორც შეერთებული შტატების, რუსეთის ფედერაციისა და საფრანგეთის მიერ გამოთქმული პოზიციებისაგან, ასევე გაეროს გენერალური მდივნის ანგარიშში ასახული პოზიციისაგან ზემოხსენებულ საკითხთან მიმართებით. თუმცა იქვე განმარტა, რომ ამ უკანასკნელთ არ აქვთ იმდაგვარი იურიდიული ძალა, როგორიც თავად ტრიბუნალის წესდებას და, შესაბამისად, მიჰყვა წესდების მე-5 მუხლის სიტყვასიტყვით განმარტებას.

სააპელაციო პალატის პოზიციაში საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გნებავთ საერთაშორისო სამართლის პოზიტივისტური თეორიის, გნებავთ ვოლუნტარისტული თეორიის მიმდევართათვის დაისვა კითხვა: რამდენად მნიშვნელოვანია (განმსაზღვრელია) საერთაშორისო სამართლის ნორმის ფორმირებაში გაეროს უშიშროების საბჭოსა (და მისი წევრი სახელმწიფოების) და *travaux préparatoires* პოზიცია? ტრიბუნალის ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ხომ არ გვაქვს საქმე ისეთ შემთხვევასთან, როდესაც ქმნილება შემქმნელს ხელიდან უსხლტება? ამ კითხვებზე, ალბათ, დრო გასცემს პასუხს. ამ ეტაპზე კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტადიჩის საქმეზე ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის გადაწყვეტილება და მის მიერ დანერგილი პრაქტიკა, მიუხედავად მრავალი კითხვისა, რომელსაც ის ბადებს, ერთობ წაადგება საერთაშორისო სისხლისა და ჰუმანიტარული სამართლის განვითარებას. ეს პრაქტიკა არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება მომავალი მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს როლისა და პრაქტიკის დამკვიდრებისთვისაც.

[25] ტრიბუნალის წესდების მე-5 მუხლის h) პუნქტი მხოლოდ პოლიტიკურ, რასობრივ და რელიგიურ ნიადაგზე დევნას შეეხება.
[26] მშვიდობისა და ადამიანის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ კოდექსის პროექტი; საერთაშორისო სამართლის კომისიის 48-ე სესიის ანგარიში, 6 მაისი–26 ივლისი, 1996 წელი, UNGAOR, N10 (A/51/10).
[27] ეს რიცხვი 140-მდე სახელმწიფოს მოიცავს.

ადამიანის უფლებათა დაცვა და ევროპის გაერთიანების სამართალი

გაგა გაბრიჩიძე

1. ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპის სამართალში

ევროპის გაერთიანებების დამფუძნებელ ხელშეკრულებებში ადამიანის უფლებათა კატალოგი მოცემული არ არის.[1] მიუხედავად ამისა, ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლის მეორე აბზაცის მიხედვით, „კავშირი პატივს სცემს იმ ძირითად უფლებებს, რომლებიც 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციით არის გარანტირებული და რომლებიც წევრ-სახელმწიფოთათვის საერთო საკონსტიტუციო ტრადიციებიდან, როგორც გაერთიანების სამართლის საყოველთაო პრინციპები, გამომდინარეობენ."[2]

ვიდრე ზემოაღნიშნული დებულება მაასტრიხტის ხელშეკრულებით ევროპული ხელშეკრულებების ნაწილი გახდებოდა, ევროპის გაერთიანების სასამართლოს უკვე დაფიქსირებული ჰქონდა თავისი პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.[3] კერძოდ, მან აღნიშნა, რომ „ძირითადი უფლებები მიეკუთვნება სამართლის საყოველთაო პრინციპებს, რომლებიც სასამართლომ უნდა დაიცვას. ამ უფლებების დაცვის პროცესში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს წევრ-სახელმწიფოთათვის საერთო საკონსტიტუციო ტრადიციები ისე, რომ გაერთიანებაში არც ერთი ღონისძიება უნდა იქნეს კანონიერად აღიარებული, თუკი ისინი ეწინააღმდეგება ამ სახელმწიფოთა კონსტიტუციებით დაცულ ძირითად უფლებებს."[4]

სწორედ აღნიშნული არგუმენტაციის შესაბამისად, ევროპის გაერთიანების სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებშიც სახეზე იყო „გაერთიანების სამართლის უფრო მაღალი რანგის საყოველთაო პრინციპის" ხელყოფა და „გაერთიანების კანონმდებელი [...] თავისი უფლებამოსილებების საზღვრებს აშკარად და მნიშვნელოვნად აჭარბებდა, რითაც არღვევდა უფრო მაღალი რანგის სამართლებრივ ნორმას."[5]

ევროპის გაერთიანების სასამართლო ხშირად მიმართავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციას, რათა უზრუნველყოს აღნიშნულ კონვენციასა და მის ოქმებში ჩამოყალიბებული უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვა. 1998 წლის დეკემბერში მან ისეთი გადაწყვეტილებაც კი მიიღო, რომლის მიხედვითაც, ევროპის გაერთიანების პირველი

[1] ასეთი კატალოგი ევროპის პარლამენტმა საკუთარი ინიციატივით შეადგინა და წარმოადგინა 1989 წლის 12 აპრილს გაკეთებულ განცხადებაში' (ABl. EG 1989 Nr. C 120).

[2] სტატიაში მოყვანილი ციტატების თარგმანი შესრულებულია ავტორის მიერ.

[3] Stephen Weatherill/Paul Beaumont, EU Law, London 1999, გვ. 284.

[4] 1979 წლის 13 დეკემბრის სასამართლო გადაწყვეტილება (Liselotte Hauer), Rs. 44/79, Slg. 1979, 3744 f.; იხ. ასევე 1974 წლის 14 მაისის სასამართლო გადაწყვეტილება (Nold), Rs. 4/73, Slg. 1974, 491; EuGH -Internationale Handelsgesellschaft -, Rs. 11/70, Rn 355.

[5] 1992 წლის 19 მაისის სასამართლო გადაწყვეტილება (Mulder & Heinemann), Rs. C-104/89, Slg. 1992, I-3132.

ინსტანციის სასამართლო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას არღვევდა, როდესაც ერთ-ერთ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას ძალიან დიდი დრო მოანდომა.[6]

ევროპის გაერთიანება არ არის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მონაწილე. შესაბამისად, ყოველთვის არსებობდა იმის საფრთხე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ოდესმე დაადგენდა ევროპის გაერთიანების სამართლის რომელიმე ნორმის შეუსაბამობას კონვენციასთან. აღნიშნული რისკი დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ თეორიულად არსებობდა. 1999 წლის თებერვალში კი სტრასბურგის სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ევროპის გაერთიანების პირველადი სამართლის ერთერთი აქტის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის პირველ ოქმთან შეუსაბამობა ირიბად დაადგინა.[7]

გაერთიანების ორგანოებმა ევროპის გაერთიანების სასამართლოს კომპეტენცია – მიიღოს ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, ერთმნიშვნელოვნად აღიარეს ჯერ კიდევ 1977 წლის 5 აპრილის ძირითადი უფლებების დაცვის შესახებ ერთობლივი განცხადებით[8], რაც, სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების განმარტებისათვის მნიშვნელოვან პრაქტიკად შეიძლება იქნას მიჩნეული.[9] ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებამ ევროპის გაერთიანების სასამართლოს უკვე არსებული პრაქტიკის საბოლოო საერთაშორისოსამართლებრივი ხასიათის ლეგიტიმაცია მოახდინა.[10]

ევროპის გაერთიანების სასამართლომ, სასამართლოების საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისად, გაერთიანების ძირითადი უფლებების შინაარსი თანდათან, კონკრეტული საქმეების საფუძველზე ჩამოაყალიბა. აღნიშნული სასამართლო პრაქტიკა საშუალებას გვაძლევს შევადგინოთ ძირითადი უფლებების შემდეგი „კატალოგი":[11]

– ადამიანის ღირსება;[12]

– პირადი სფეროს,[13] საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემა;[14]

[6] EuGH - Baustahlgewebe/Kommission -, Rs. C-185/95 P, Slg. 1998, 8417.

[7] 1999 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Matthews, Rs. Nr. 24833/94; იხ. Piris, Jean-Claude, Hat die Europäische Union eine Verfassung?, Europarecht 2000, გვ. 319; აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ უფრო დეტალურად იხილეთ ქვემოთ; შეად. ასევე Piris, Jean-Claude, Hat die Europäische Union eine Verfassung? Braucht sie eine?, in: Europarecht 2000 (3), გვ. 320.

[8] ABl. EG 1977 Nr. C 103.

[9] შეად. BVerfGE 73, 339/383.

[10] შეად. Wetter, Irmgard, Die Grundrechtscharta des Europäischen Gerichtshofes: die Konkretisierung der gemeinschaftlichen Grundrechte durch die Rechtsprechung des EuGH zu den allgemeinen Rechtsgrundsätzen, Frankfurt/Main 1998, გვ. 6.

[11] შეად. Grabitz, Eberhard/Hilf, Meinhard (Hrsg.), Kommentar zur Europäischen Union, München, Stand: 1997, Art. 164, Rn 62.

[12] EuGH - Slg. 1996, I-2143.

[13] EuGH - Slg. 1992, I-2575; EuGH - AIDS-Test -, Slg. 1994, I-4737.

[14] EuGH - Hoechst -, Slg. 1989, 2859.

– თანასწორობის პრინციპი;[15]
– გაერთიანების თავისუფლება;[16]
– სქესობრივი დისკრიმინაციის აკრძალვა;[17]
– რწმენის თავისუფლება;[18]
– სიტყვის თავისუფლება;[19]
– ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება;
– პროფესიის არჩევის თავისუფლება;[20]
– საკუთრების უფლება;[21]
– სასამართლო პროცესთან დაკავშირებული უფლებები;[22]

გაერთიანების ძირითადი უფლებების ადრესატები არიან გაერთიანების ორგანოები, თუმცა წევრ-სახელმწიფოებსაც ეკისრებათ შესაბამისი ვალდებულებები იმ შემთხვევაში, თუკი მათი ქმედება გაერთიანების სამართლის მოქმედების სფეროში ხორციელდება. მაგალითად, ასეთ ქმედებად შეიძლება ჩაითვალოს წევრ-სახელმწიფოს მიერ გაერთიანების სამართლის იმპლემენტაციის მიზნით განხორციელებული ქმედება[23] ან როდესაც წევრ-სახელმწიფოს რომელიმე ქმედება ევროპის სამართლებრივ თავისუფლებებს ზღუდავს.[24] გაერთიანების ძირითადი უფლებების სუბიექტები კი წევრი სახელმწიფოების ყველა ფიზიკური პირი და ის იურიდიული პირია, რომელიც ერთ-ერთ წევრ-სახელმწიფოში არის დაფუძნებული, ასევე, მესამე სახელმწიფოს მოქალაქეები, თუკი ისინი ევროპის გაერთიანების სამართლის მოქმედების ფარგლებში ექცევიან.

2. ევროპის გაერთიანების სამართლისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ურთიერთდამოკიდებულება

აღსანიშნავია, რომ ევროპის გაერთიანების სასამართლო ეროვნულ კონსტიტუციებსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებს განიხილავს

[15] EuGH - Ruckdeschel -, Slg. 1977, 1753.
[16] EuGH - Slg. 1974, 917; EuGH - Bosman -, Slg. 1995, I-4921.
[17] EuGH - Defrenne II -, Slg. 1976, გვ. 455; EuGH - Roks -, Slg. 1994, I-571; EuGH - Megner und Scheffel -, Slg. 1995, I-4741.
[18] EuGH - Prais -, Slg. 1976, 1589.
[19] EuGH, Slg. 1984, გვ. 19; EuGH, Slg. 1991, I-4069; EuGH - Familiapress -, Slg. 1997, I-3689.
[20] EuGH - Hauer -, Slg. 1979, გვ. 3727; EuGH - Keller -, Slg. 1986, გვ. 2897; EuGH - Heylens -, Slg. 1987, გვ. 4097; EuGH - Katsikas -, Slg. 1992, I-6577; EuGH - Bananenmarktordnung -, Slg. 1994, I-4973.
[21] EuGH - Hauer -, Slg. 1979, გვ. 3727; EuGH - Bananenmarktordnung -. Slg. 1994, I-4973.
[22] EuGH - Johnston -, Slg. 1986, გვ. 1651; EuGH - Heylens -, Slg. 1980, გვ. 2033; EuGH - Hoffmann-La-Roche -, Slg. 1979, გვ. 461; EuGH - National Panasonic -, Slg. 1980, გვ. 2033; EuGH, Slg. 1986, გვ. 2263; EuGH - Pecastaing -, Slg. 1980, გვ. 691; EuGH - Baustahlgewerbe -, Slg. 1998, I-8417; EuGH - AM&S -, Slg. 1982, გვ. 1575; EuGH - Regina -, Slg. 1984, გვ. 2689; EuGH - Boehringer -, Slg. 1972, გვ. 1281.
[23] EuGH, Slg. 1989, გვ. 2609.
[24] EuGH, Slg. 1991, I-2925.

არა როგორც სამართლის ძირითად წყაროს, არამედ როგორც დამხმარე წყაროს, რომელთა მეშვეობით და, იმავდროულად, გაერთიანების ინტერესების გათვალისწინებით, აყალიბებს ევროპის გაერთიანების ძირითადი უფლებების შინაარსს.[25] ევროპის გაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილებებში ხშირად გვხვდება პოზიცია, რომლის მიხედვით, ადამიანის უფლებათა და ძირითად უფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია ევროპის გაერთიანებისათვის სავალდებულო მინიმალურ სტანდარტს წარმოადგენს.[26] თუმცა ზოგიერთ გადაწყვეტილებაში სასამართლო ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებულ კონვენციასთან მიმართებით აღნიშნავს, რომ მას მხოლოდ „განსაკუთრებული მნიშვნელობა“ აქვს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში არსებობენ.[27] სავარაუდოა, რომ ევროპის გაერთიანების სასამართლოს სტრასბურგის ინსტანციების[28] პრაქტიკა მისთვის სავალდებულო ძალის მქონედ არ მიაჩნია.[29] ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ქარტიაში მოცემულ იმ უფლებებს, რომლებსაც ადამიანის უფლებათა და ძირითად უფლებათა დაცვის ევროპის კონვენციაც ითვალისწინებს, იგივე მნიშვნელობა და შინაარსი აქვს, რაც მათ აღნიშნული კონვენციით ენიჭებათ. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ კონვენციით გათვალისწინებული დაცვის ხარისხი მინიმალურ სტანდარტად ჩაითვალოს.

ევროპის არც ერთ გაერთიანებას არ მოუხდენია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის რატიფიცირება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანების ყველა წევრი სახელმწიფო აღნიშნული კონვენციის მონაწილეა. ევროპის გაერთიანების კონვენციასთან შეერთება, ევროპის გაერთიანების სასამართლოს აზრით, დღესდღეობით სამართლებრივად შეუძლებელია, რადგანაც გაერთიანებას შესაბამისი კომპეტენცია არა აქვს, ხოლო აღნიშნული კომპეტენციის მინიჭება მხოლოდ დამფუძნებელ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შემდეგ გახდება შესაძლებელი.[30] ევროპის გაერთიანების სასამართლო თვლის, რომ არსებობს იმის საფრთხე, რომ ამ ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში მოხდება მის ხელთ არსებული სასამართლო ხელისუფლების მონოპოლიის შეზღუდვა. მართლაც უდავოა, რომ სტრასბურგის სასამართლოსათვის ევროპის გაერთიანების ნორმატიული აქტების კონტროლის კომპეტენციის მინიჭება მსგავს სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევდა.

მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის რატიფიცირება ევროპის გაერთიანების მიერ თუნ-

[25] იხ. Streinz, Rudolf, Europarecht, 5. Auflage, Heidelberg 2001, გვ. 133.
[26] იხ. EuGH - Hauer -, Rs. 44/79, Slg. 1999, 3727/3745; EuGH - Kommission/Niederlande -, Rs. C-353/89, Slg. 1991, I-4069/4097, Rn 30.
[27] შეად. EuGH - Kommission/Deutschland -, Rs. 249/86, Slg. 1989, 1263/1290, Rn. 10; EuGH - ERT/ Dimotiki Etaira -, Rs. C-260/89, Slg. 1991, I-2925/2963, Rn. 41; დასკვნა 2/94, Slg. 1996, I-1759/1789, Rn. 33.
[28] 1998 წლის 1 ნოემბრამდე ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ხოლო 1998 წლის 1 ნოემბრიდან – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.
[29] შეად. EuGH - Otto BV/Postbank -, Rs. C-60/92, Slg. 1993, I-5683/5711; EuGH, დასკვნა 2/94 Slg. 1996, I-1759/1789, Rn. 34.
[30] EuGH - დასკვნა 2/94 Slg. 1996, I-1759/1789.

დაც იმიტომ არის შეუძლებელი, რომ ეს უკანასკნელი ღიაა რატიფიცირებისათვის მხოლოდ სახელმწიფოებისათვის.[31] ამ შემთხვევაშიც საერთაშორისო ორგანიზაციისათვის კონვენციის რატიფიცირების შესაძლებლობის მიცემა მხოლოდ კონვენციაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ არის დასაშვები.[32]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც ზედამხედველობას ახორციელებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებაზე, უარს აცხადებს ევროპის გაერთიანების აქტების კონვენციასთან შესაბამისობის შემოწმებაზე იმ არგუმენტით, რომ ევროპის გაერთიანება არ წარმოადგენს კონვენციის მონაწილეს.[33] თუმცა იმავდროულად, სტრასბურგის სასამართლო თვლის, რომ ის ფაქტი, რომ სახელმწიფოებმა თავიანთი სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილი რომელიმე – ამ შემთხვევაში ევროპის გაერთიანება – ზეეროვნულ ორგანიზაციას გადასცეს, არ ათავისუფლებს მათ ადამიანის უფლებათა დარგში აღებული ვალდებულებებისაგან. მოცემულ შემთხვევაშიც კვლავინდებურად სახელმწიფოს აკისრია პასუხისმგებლობა.[34] შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო ირიბად, მის ხელთ არსებული კომპეტენციის საფუძველზე, მაინც ამოწმებს ევროპის გაერთიანების პირველადი და მეორადი სამართლის შესაბამისობას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციასა და მის ოქმებთან.

3. ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტია

ევროპის კავშირისათვის ძირითადი უფლებების დაწერილი კატალოგის შექმნის თვალსაზრისით, პირველი კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა ევროპული საბჭოს კიოლნის 1999 წლის 3-4 ივნისისა და ტამპერეს 1999 წლის 15-16 ოქტომბრის სხდომებზე. ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფოსა და მთავრობათა მეთაურების, კომისიის პრეზიდენტის, ევროპის პარლამენტისა და ეროვნული პარლამენტის 62 წარმომადგენლის შემადგენლობით შეექმნა ორგანო, რომელსაც დაევალა ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის პროექტის შემუშავება. აღნიშნულმა „კონვენტმა", გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის, რ. ჰერცოგის ხელმძღვანელობით, შეიმუშავა ქარტიის ტექსტის პროექტი 2000 წლის 2 ოქტომბრისათვის.[35] ქარტიას საფუძველად დაედო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია და მისი ოქმები, 1961 წლის ევროპის სოციალური ქარტია, 1989 წლის ევროპის გაერთიანების ქარტია სოციალური უფლებების შესახებ და ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების დებულებები კავშირის მოქალაქეობის, ძირითადი თავისუფლებებისა და სოციალური უფლებების შესახებ.[36] ადამიანის უფლებათა

[31] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციის 56-ე მუხლი.

[32] იხ. Koenig, Christian, Haratsch, Andreas, Europarecht, Tübingen 1998, გვ. 34.

[33] 1999 წლის 18 თებერვლის სასამართლო გადაწყვეტილება (Matthews), Rs. Nr. 24833/94.

[34] იქვე, Bieber, Roland, Auf dem Weg zum Beitritt zur EMRK oder ein Grundrechtskatalog für die Europäische Union?, გვ. 12.

[35] იხ. ABl. EG Nr. C 364, 18.12.2000, გვ. 1; EuGRZ 2001, გვ. 554.

[36] დეტალურად ქარტიის შესახებ იხ. Alber, Siegbert, Widmaier, Ulrich, Die EU-Charta der Grundrechte und ihre Auswirkungen auf die Rechtsprechung, in: EuGRZ 17-19 (2000), გვ. 497.

და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის „კლასიკური" უფლებების დაკავშირება ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ძირითად თავისუფლებებთან, ასევე ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მიზნებსა (მაგ., კულტურების მრავალფეროვნება, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა დაცვა) და პროგრამულ დებულებებთან (მაგ., დაქირავებულთა უფლებების დაცვა, სოციალური უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა), ერთი მხრივ, უფლებებისა და მოთხოვნების, მეორე მხრივ, უზრუნველყოფის ხასიათის დებულებების გვერდიგვერდ ყოფნა ძალაუნებურად წარმოქმნის გარკვეულ დისონანსს.[37] ეს კი შედეგია მიზნის პოლიტიკური ხასიათისა და კომპრომისის აუცილებლობისა, რაც გაუგებრობებისა და კამათის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. აღნიშნულმა პრობლემებმა უკვე იჩინა თავი ქარტიის შემუშავების პროცესში, მაგრამ მოსალოდნელია სიტუაციის უფრო გამწვავება ქარტიისათვის სავალდებულო ძალის მინიჭების შემთხვევაში.[38] ქარტიაში გადამწყვეტია ის, რომ ევროპის გაერთიანების სასამართლოს კონტროლი, ძირითადი უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, უფრო მკაცრდება. ქარტია იყოფა 7 თავად და ნათლად არის ფორმულირებული: ზოგადი დებულებები, ადამიანის ღირსება, თავისუფლებები, თანასწორობა, სოლიდარობა, სამოქალაქო უფლებები, სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული უფლებები და ა.შ.

ქარტიის 51-ე მუხლის მიხედვით, იგი მოქმედებს ევროპის გაერთიანების ორგანოებისა და დაწესებულებებისათვის სუბსიდიურობის პრინციპის დაცვის გათვალისწინებით და წევრი სახელმწიფოებისათვის. რაც შეეხება ამ უკანასკნელებს, მათ მიმართ ქარტია მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ გაერთიანების პირველადი და მეორადი სამართლის განხორციელებისაკენ მიმართულ ქმედებებთან დაკავშირებით.

ევროპული საბჭო ნიცის 2000 წლის 7-9 დეკემბრის სამიტზე „მიესალმა" ქარტიის შექმნას. ქარტიას არა აქვს იურიდიულად სავალდებულო ძალა, რისი მინიჭებაც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების 48-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურით. აღნიშნული ნაბიჯის გადადგმა კი ჯერჯერობით გადაიდო. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ქარტიის ინტეგრირების შესაძლებლობა მისი დღევანდელი რედაქციით ევროპის გაერთიანების პირველად სამართალში სამართლებრივად პრობლემატური ჩანს.[39] კერძოდ, ქარტია ითვალისწინებს ისეთ ძირითად უფლებებსაც, რომელთა დაცვის უზრუნველყოფაც ევროპის გაერთიანების კომპეტენციებში არ შედის (მაგ., ოჯახსა და ქორწინებასთან დაკავშირებული უფლებები, მუშაობის უფლება), ან კიდევ ისეთ უფლებებს, რომელთა უზრუნველყოფაც გაერთიანების შეზღუდული კომპეტენციების პირობებში უაღრესად ძნელი იქნება (ეკონომიკური და სოციალური უფლებები).

ჯერჯერობით ძნელია იმის წინასწარმეტყველება, თუ რამდენად შეუძლია ევროპის გაერთიანების სასამართლოს გამოიყენოს ქარტია როგორც ერთ-ერთი

[37] Streinz, Rudolf, Europarecht, 5. Auflage, Heidelberg 2001, გვ. 133.

[38] Streinz, Rudolf, Europarecht, 5. Auflage, Heidelberg 2001, გვ. 133.

[39] შეად. Bubnoff von, Eckhart, Schwerpunkte strafrechtlicher Harmonisierung in Europa unter Berücksichtigung der Orientierungsvorhaben aus der Grundrechtscharta 2000, ZEuS 2 (2001), გვ. 170.

დამხმარე წყარო.[40] სავარაუდოა, რომ ამ მიზნით სასამართლო გამოიყენებს გაერთიანების ორგანოების ქარტიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებს, როგორც „პრაქტიკას" სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ან კიდევ, ქარტია გამოიყენება როგორც წევრი სახელმწიფოების საერთო კონსტიტუციური ტრადიციების დაფიქსირება.[41]

4. დასკვნა

ნიცის სამიტზე საზეიმო ვითარებაში მოხდა ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის, როგორც „ევროპის კავშირის სულის" პრეზენტაცია. ქარტია წარმოადგენს გარკვეულ სინთეზს, რომელიც ითვალისწინებს განსხვავებულ კონსტიტუციურ ტრადიციებს. იგი სრულიად შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციას, აკონკრეტებს ძირითადი უფლებების ევროპულ სტანდარტებსა და გაერთიანების ძირითად პრინციპებს. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქარტიას არა აქვს იურიდიულად სავალდებულო ძალა და იგი რეალურად ორიენტირის ფუნქციას შეასრულებს.

გაერთიანების სამართლის ფარგლებში ადამიანის უფლებების სრულფასოვანი და უნიფიცირებული დაცვის განხორციელება, აგრეთვე, შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ ევროპის გაერთიანება მოახდენდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის რატიფიცირებას. თუმცა ეს მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, თუ უფრო ადრე აღნიშნულ კონვენციაში ცვლილების შეტანა მოხდებოდა, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა არა მარტო სახელმწიფოებს, არამედ, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებს გამხდარიყვნენ მოცემული კონვენციის მხარეები.[42] გარდა ამისა, კომპეტენციებთან დაკავშირებით, აუცილებელი იქნებოდა სადავო საკითხების გადაწყვეტაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციაში ევროპის გაერთიანების გაწევრიანება დღის წესრიგში არასდროს დამდგარა, რადგანაც ევროპის გაერთიანებას არ სურს დაექვემდებაროს სხვა სამართლებრივ წესრიგს. ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის შემუშავება გარკვეულწილად პოლიტიკური სიგნალი იყო, რაც გაერთიანების სამართლის სრული ავტონომიის შენარჩუნებისაკენ სწრაფვას ადასტურებს.

[40] გენერალურმა ადვოკატმა ალბერმა „TNT Traco/Poste Italiane"-ს საქმეზე (Rs. C-340/99) თავის 2001 წლის 1 თებერვლის საბოლოო დასკვნაში მიუთითა ქარტიაზე; ევროპის გაერთიანების პირველი ინსტანციის სასამართლომ კი საქმეში „Mannesmannröhren-Werke/Kommission" (Rs. T-112/98, Nr. 6/01, გვ. 23) ქარტიის მოქმედება ratione temporis უარყო.

[41] Streinz, Rudolf, Europarecht, 5. Auflage, Heidelberg 2001, გვ. 133.

[42] შეად. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის 66-ე მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ინტერპრეტაცია

ირაკლი გივიაშვილი

1. შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციას ხელი მოეწერა 1950 წელს, ძალაში კი 1953 წელს შევიდა. კონვენცია, ძირითადად, განსაზღვრავს იმ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია დაახასიათა როგორც „ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციური დოკუმენტი".[1] აქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ინტერპრეტაცია გავლენას ახდენს ევროპაში ადამიანთა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ასპექტებზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ინტერპრეტაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კონვენციაში ჩამოყალიბებული კონკრეტული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფისათვის.

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის პრეამბულის თანახმად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ პოლიტიკური ტრადიციების, იდეალებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კომპეტენტურია განახორციელოს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით გათვალისწინებული დებულებების ინტერპრეტაცია. ევროპული სასამართლო, თავისი გადაწყვეტილებებით (პრეცედენტული სამართლით), ხელს უწყობს ევროპული სახელმწიფოების ერთიანი მიდგომის ფორმირებას ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებების, როგორც ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების, ევოლუციას ევროპაში ჩაეყარა საფუძველი. ნიშანდობლივია, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ჩამოყალიბებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების კოლექტიური უზრუნველყოფის პირველ მცდელობასაც სწორედ ევროპაში ჰქონდა ადგილი.[2] ასევე მნიშვნელოვანია, რომ კონვენცია პირველი იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო-სამართლებრივი აქტია, რომელმაც მოიცვა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა მთელი კომპლექსი.[3]

ევროპის საბჭო მიზნად ისახავს თავის წევრ სახელმწიფოებს შორის უფრო მტკიცე ერთიანობის მიღწევას და ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შენარჩუნებასა და შემდგომ განხორციელებას მიიჩნევს.[4] აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამი-

[1] *ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ*, 1995 წელი, 75-ე პუნქტი.

[2] ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის პრეამბულა.

[3] ლ. ალექსიძე, *თანამედროვე საერთაშორისო სამართალი*, თბ., 2001, გვ. 219.

[4] ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის პრეამბულა.

ანის უფლებათა დაცვა წარმოადგენს სახელმწიფოთა ინტეგრაციის ერთ-ერთ საშუალებას, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ინტერპრეტაცია ხელს უწყობს ამ პროცესს.

ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია და მისი საზედამხედველო ორგანო – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ქმნიან ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის მყარ საშუალებას. უფლებების ინტერპრეტაციას კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ საშუალების ეფექტიანად ასამოქმედებლად.

2. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ინტერპრეტაციის პრინციპები

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ინტერპრეტაცია წარმოადგენს კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების შინაარსის დადგენის საშუალებას. ევროპის კონვენციის, როგორც მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების, ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით. ასეთი ნორმები, უპირველეს ყოვლისა, ასახულია საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 31-33-ე მუხლებში. კონვენციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერად, ჩვეულებრივი მნიშვნელობის შესაბამისად, ტერმინები განიმარტება თავიანთ კონტექსტში, ხელშეკრულების ობიექტისა და მიზნების გათვალისწინებით.[5]

2.1. სიტყვასიტყვითი ინტერპრეტაციის პრინციპი

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ტექსტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონვენციის დებულებების ინტერპრეტაციისათვის. კონვენციის ტექსტი მნიშვნელოვანი წყაროა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების ნების დადგენისათვის. მისი გამოყენება მნიშვნელოვანია არა მარტო სიტყვასიტყვითი, არამედ სისტემური და ტელეოლოგიური ინტერპრეტაციისათვის.

2.2. სისტემური ინტერპრეტაციის პრინციპი

სისტემურ ინტერპრეტაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონვენციის სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული დებულების შინაარსის დადგენის საქმეში, რომელთა მნიშვნელობა შეიძლება მათი საერთო კონტექსტიდან გამომდინარეობდეს. სისტემური ინტერპრეტაციის მიზანია კონვენციაში ჩამოყალიბებული უფლებებისა და თავისუფლებების ერთიანი ინტერპრეტაცია. სისტემური ინტერპრეტაციის პრინციპი უზრუნველყოფს პირთა უფლებების დაცვას არამართლზომიერი შეზღუდვისაგან.

2.3. ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის პრინციპი

საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 31-ე მუხლი ადგენს ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის პრინციპს. აღნიშ-

[5] კ. კორკელია, *საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში*, თბ., 1998, გვ. 268.

ნული მუხლის თანახმად: „ხელშეკრულება უნდა განიმარტოს [...] ხელშეკრულების ობიექტისა და მიზნების გათვალისწინებით.“ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ტელეოლოგიური ინტერპრეტაციით დგინდება, თუ რა არის კონვენციის მიზანი კონკრეტულ შემთხვევაში. კონვენცია მიმართულია როგორც ინდივიდუალური უფლებების,[6] ისე დემოკრატიული საზოგადოების ფასეულობების დაცვისაკენ.[7]

ადამიანის უფლებათა დაცვა, როგორც ადამიანის უფლებათა კონვენციის მიზანი, მოიცავს ფართო არეალს, რაც ხელშეკრულების ინტერპრეტაციისას სათანადოდ უნდა იქნეს გააზრებული. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ინტერპრეტაცია შეიძლება ეროვნულ კანონმდებლობაში კონსტიტუციური კანონის ინტერპრეტაციას გაუთანაბრდეს.[8] კონსტიტუციური კანონის ინტერპრეტაციის დროს გადამწყვეტი ყურადღება ექცევა არა დებულების ტექსტს, არამედ კანონის, როგორც გარანტის, მიზანს.[9]

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის საფუძველზე შექმნილმა პრეცედენტულმა სამართალმა (case-law) კონვენციის დებულებები ახალ სიბრტყეში, ხელშეკრულების მიზანთან სრულ შესაბამისობაში დაგვანახვა.

ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის კარგი მაგალითია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოს შეიძლება დაეკისროს პროცესის ხარჯების ანაზღაურება სამოქალაქო საქმეებზეც. ასეთი მიდგომა საინტერესოა, რადგან კონვენციის მე-6 მუხლში მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესზეა ყურადღება გამახვილებული. მაგრამ, ვინაიდან მაღალმა ხარჯმა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა შეიძლება შეაფერხოს, ევროპულმა სასამართლომ ადეკვატურად განმარტა კონვენციის მე-6 მუხლი.

2.4. ევოლუციური ინტერპრეტაციის პრინციპი

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რის გამოც მის ინტერპრეტაციაზე ვრცელდება საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმები, კერძოდ კი ვენის 1969 წლის კონვენციის ნორმები, კონვენციის საზედამხედველო ორგანოებმა (ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და ევროპული სასამართლო) განავითარა რამდენიმე პრინციპი, რომელიც ასევე გამოიყენება კონვენციის დებულებების განმარტებისათვის.

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ევოლუციური ინტერპრეტაციის პრინციპი აღიარებს უფლებების შინაარსის დროთა განმავლობაში განვითარების შესაძლებლობას. აღნიშნული მიდგომით შესაძლებელია კონვენციის დებულებათა ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც გაითვალისწინებს არა ამ უფლებათა პირველად მნიშვნელობას, არამედ ისე განმარტავს ამა თუ იმ უფლებას, რომ მან ასახოს საზოგადოებაში შეცვლილი ცნობიერება.

თაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ საქმესთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „კონვენცია არის

[6] Harris, O`Boyle, Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, 1995, p. 6.
[7] *კჯელდსენი, ბუსკ მადსენი და ფედერსონი დანიის წინააღმდეგ*, 1976., 53-ე პუნქტი.
[8] Frowein, Unification and Development of Decision-Making of Constitutional Courts, 2001, p. 12.
[9] იქვე.

ცოცხალი დოკუმენტი, რომლის ინტერპრეტაციაც უნდა მოხდეს თანამედროვე გარემოებების გათვალისწინებით.[10]

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპის კონვენციის ევოლუციური ინტერპრეტაციის თანახმად, სხეულებრივი დასჯა მიჩნეულ იქნა დამამცირებლად და, შესაბამისად, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ იმის დასადგენად, არის თუ არა სხეულებრივი დასჯა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, „არ შეიძლება სასამართლოზე არ მოახდინოს გავლენა სისხლის სამართლის სფეროში ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში განვითარებულმა და საყოველთაოდ აღიარებულმა სტანდარტებმა.[11] ამ გადაწყვეტილების მიღებისას ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა მონაწილე სახელმწიფოებში სისხლის სამართლის სისტემის 1950 წლის შემდგომი განვითარება.[12] ევოლუციური ინტერპრეტაციის პრინციპის საფუძველზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ ასევე აკრძალა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების დისკრიმინაცია.[13]

სასამართლომ ცალსახად განაცხადა, რომ ევროპულ საზოგადოებაში უპირატესობა ენიჭება თანამედროვე სტანდარტებს და არა იმ სტანდარტებს, რომლებიც არსებობდა კონვენციის მიღების დროს.[14]

2.5. პროპორციულობის პრინციპი

კონვენციის მე-8-11-ე მუხლები ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობას სხვადასხვა საფუძველზე. შეზღუდვა შეიძლება გამართლებულ იქნას, თუ იგი მიმართულია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების, დანაშაულის აღკვეთის, საზოგადოებრივი წესრიგის, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა ან მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისაკენ.

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდვის საფუძველი ძალიან ზოგადია, რაც არ გამორიცხავს სახელმწიფოების მხრიდან მათ ბოროტად გამოყენებას. აღნიშნული გარემოება განაპირობებს პროპორციულობის პრინციპის გამოყენების აუცილებლობას, რათა დადგინდეს შეზღუდვების კანონიერება.

სორინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ საქმესთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენციისათვის მთლიანობაში დამახასიათებელია საზოგადოებრივი ინტერესების მოთხოვნებსა და ინდივიდების ძირითად უფლებებს შორის არსებული სამართლიანი თანაზომიერების ძიება.[15]

2.6. შეფასების ფარგლების დოქტრინა

შეფასების ფარგლების დოქტრინის თანახმად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ეძლევათ მოქმედების გარკვეული თავისუფლება ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით.

[10] 1875 წ.
[11] *თაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1978 წელი, 31-ე პუნქტი,.
[12] Frowein/Peukert, Europaeische Menschenrechtskonvention – EMRK – Kommentar, 1996, S. 6-7.
[13] *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ*, 1979 წელი.
[14] Harris, O`Boyle, Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, 1995, p. 8.
[15] 89-ე პუნქტი, 1989 წელი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ აღნიშნული დოქტრინა პირველად განიმარტა საქმეში *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*. საქმე ეხებოდა მე-8-11-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვას. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ხშირად უფლების შინაარსის დადგენის საქმეში სახელმწიფო ხელისუფლება უფრო კომპეტენტურია, ვიდრე საერთაშორისო სასამართლო. ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ხსენებული არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს სახელმწიფოებს სრული თავისუფლება აქვთ მათთვის მინიჭებული ფარგლების შეფასებაში.[16] ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლემ პატივი უნდა სცეს ეროვნული მოსამართლის მოსაზრებებს და გარკვეულწილად ენდოს კიდეც მათ.

შეფასების ფარგლების დოქტრინის გამოყენებით, საკმაოდ ხშირად ხდება სახელმწიფოს მოქმედების გამართლება კონვენციის მე-15 მუხლთან (გადახვევა საგანგებო სიტუაციის დროს) დაკავშირებულ საქმეებზე. განსაკუთრებით მაშინ არის სახელმწიფოს გადახვევის გამართლების მაღალი შანსი, როდესაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების პრაქტიკა კონკრეტულ საკითხზე მრავალფეროვანია.

2.7. ეფექტიანი ინტერპრეტაციის პრინციპი

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ეფექტიანი ინტერპრეტაციის პრინციპის მიზანია უფლებათა და თავისუფლებათა ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფა. ეფექტიანი ინტერპრეტაციის პრინციპი შეუძლებელს ხდის ფორმალური პროცედურების მეშვეობით ადამიანის უფლებათა რეალური განხორციელების შეზღუდვას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *არტიკო იტალიის წინააღმდეგ* აღნიშნა, რომ კონვენცია მიზნად ისახავს არა თეორიული და ილუზიური, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანი უფლებების უზრუნველყოფას.[17] ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის საკმარის საფუძვლად სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ადვოკატის უუნარობა და არაეფექტიანობა მიიჩნია. სასამართლომ ინტერპრეტაციის აღნიშნული პრინციპი გამოიყენა ასევე სახელმწიფოთა პოზიტიური ვალდებულებების დარღვევის დასადგენად.

2.8. კონვენციის ტერმინების ავტონომიური მნიშვნელობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციით გათვალისწინებულ ტერმინებსა და პრინციპებს ავტონომიური მნიშვნელობით იყენებს. ხშირად ერთი და იგივე იურიდიული ტერმინები მონაწილე სახელმწიფოების განსხვავებულ სამართლის სისტემებში სხვადასხვა მნიშვნელობას ატარებს. ევროპულმა სასამართლომ არჩია კონვენციის ტერმინების ავტონომიური მნიშვნელობით ინტერპრეტაცია, რაც იძლევა მონაწილე სახელმწიფოების მიერ ერთი და იმავე ტერმინის სხვადასხვაგვარი გაგების თავიდან აცილების შესაძლებლობას. კონვენციის ტერმინების სხვადასხვაგვარმა გაგებამ შეიძლება განსხვავებული სტანდარტის დადგენა გამოიწვიოს.

[16] 49-ე პუნქტი, 1976 წელი.

დასკვნა

საქართველოს სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ინტერპრეტაციის პრინციპების გამოყენება წარმოადგენს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის თავიდან აცილების საშუალებას. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ინტერპრეტაციის პრინციპებმა დიდი წვლილი შეიტანა ადამიანის უფლებათა პრაქტიკულ დაცვაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ და ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის ინტერპრეტაციის ეფექტიანი პრინციპების ჩამოყალიბებითა და განვითარებით მნიშვნელოვნად განაპირობა ევროპაში ადამიანის უფლებათა რეალური დაცვა.

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ინტერპრეტაციამ ცხადყო, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა შესაძლებელია მხოლოდ ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე და ამ დავალებას ევროპულმა კომისიამ და სასამართლომ წარმატებით გაართვა თავი.

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ინტერპრეტაციის პრინციპების გამოყენებას ქართველი მოსამართლეების მიერ ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მათი გამოყენებით საქართველოს სასამართლოები ნელ-ნელა დაამკვიდრებენ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა ეროვნული მექანიზმის ეფექტიან ფუნქციობას.

[17] 33-ე პუნქტი, 1980 წელი.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კლასიფიკაციისათვის

ევა გოცირიძე

ცნობილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა[1] მრავალი კლასიფიკაცია. თითოეული მათგანი განსხვავებული ნიშნით ხორციელდება. განმსაზღვრელია, თუ რა უდევს საფუძვლად ამა თუ იმ კლასიფიკაციას. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომელი უფლება როდის წარმოიშვა, აუცილებელია ვცნოთ პირველი, მეორე და მესამე თაობის უფლებები. თუ შინაარსობრივი ნიშნით ვიმსჯელებთ, ძნელად თუ ავუვლით გვერდს უფლებათა დაყოფას პოლიტიკურ, სამოქალაქო, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა უფლებებად. უკვე დიდი ხანია საყოველთაო ხმარებაშია ისეთი ცნებები, როგორიცაა: „ძირითადი უფლებები“, „კლასიკური უფლებები“, „კოლექტიური უფლებები“ და სხვა.

წინამდებარე სტატიის ინტერესს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ისეთი კლასიფიკაცია, რომელიც, ერთი მხრივ, საშუალებას მოგვცემს სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ კერძო და საჯარო ინტერესის ურთიერთქმედებისა და ურთიერთთანაფარდობის შესახებ ცალკეული კატეგორიის უფლებებთან მიმართებით, ხოლო, მეორე მხრივ, მყარ მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით უზრუნველვყოთ ამ უფლებათა სწორი გაგება, განმარტება და საიმედო დაცვა სათანადო სამართლებრივ სივრცეში. ამჯერად მხედველობაშია ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, ანუ ის ქვეყნები, რომლებმაც სხვადასხვა დროს მოახდინეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის რატიფიცირება და წარმოადგენენ ამ კონვენციის მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს.

ასეთი კლასიფიკაციის აუცილებლობა და მნიშვნელობა უშუალოდ გამომდინარეობს ევროპული კონვენციის დანიშნულებიდან. ვინაიდან კონვენციის ამოცანაა, რომ ადამიანის უფლებათა ქმედითი დაცვა თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს არა ცალმხრივად, ე.ი. არა მაინცდამაინც ერთი რომელიმე მოდავე მხარის სასარგებლოდ, არამედ ინტერესთა გონივრული გაწონასწორებისა და საამისოდ თანაზომიერ ღონისძიებათა განხორციელების გზით, ამიტომ, სრულიად კანონზომიერად, მოქმედებას იწყებს პრინციპი, რომელსაც პირობითად შეიძლება *დინამიკური ბალანსი* ეწოდოს. ეს იმას ნიშნავს, რომ, მართალია, ბალანსი უნდა იქნეს მიღწეული, მაგრამ სხვადასხვა უფლებასთან და ვითარებასთან მიმართებით ერთგვაროვნად კი არა, არამედ განსხვავებულად, დიფერენცირებულად, რასაც საკუთრივ ამ უფლებათა ონტოლოგიური ბუნება და მისგან გამომდინარე მათი საკანონმდებლო კონსტრუქცია განსაზღვრავს. ეს კი თავის აუცილებელ წანამძღვრად მოითხოვს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა შესატყვის კლასიფიკაციას.

დინამიკური ბალანსის პრინციპზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციისა და მისი გამოყენების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საშუალებას იძლევა, დასახული ამოცანის შესაბამისად, გამოიყოს სამი ძირითადი ჯგუფი:

ა) ხელშეუვალი, ანუ აბსოლუტური უფლებანი;

[1] სიმარტივისათვის შემდგომში ყველგან მოიხსენიება, როგორც „ადამიანის უფლებები“.

ბ) კვეცადი, ანუ შეფარდებითი უფლებანი;

გ) დათქმითი, ანუ კვალიფიციური უფლებანი.

ხელშეუვალია ისეთი უფლებები, რომლებიც არანაირ პირობებში შეიძლება შეიზღუდოს, თვით ომისა და საგანგებო ვითარების ჩათვლით, და რომელთა გაწონასწორება საზოგადო საჯარო ინტერესით პრინციპულად დაუშვებელია. ასეთია: სიცოცხლის უფლება (კონვენციის მე-2 მუხლი); წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა თუ სასჯელის აკრძალვა (მე-3 მუხლი); მონობის აკრძალვა (მე-4 მუხლის პირველი პუნქტი); სასჯელის უკუქცევითი გამოყენების აკრძალვა (მე-7 მუხლი).

კვეცადია ისეთი უფლებები, რომელთა მიმართ ეროვნულმა ხელისუფლებამ *შეიძლება* დაუშვას გარკვეული უკანდახევა მხოლოდ ომის ან სხვა საგანგებო ვითარების დროს, ანდა განსაზღვრული გარემოებების არსებობისას, რომლებიც, როგორც წესი, შესაბამის მუხლებშია მითითებული. ამ უფლებათა შეზღუდვა, რაიმე საჯარო ინტერესის ზოგად საფუძველზე მითითებით, დაუშვებელია. მათ რიცხვს განეკუთვნება: იძულებითი შრომის აკრძალვა (მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები); თავისუფლების უფლება (მე-5 მუხლი); აზრის თავისუფლება (მე-9 მუხლის პირველი პუნქტი); აზრის გამოხატვის თავისუფლება, მაგრამ არა რელიგიური აღმსარებლობისა (მე-9 მუხლის, 1-ლი ნაწილი); ქორწინების უფლება (მე-12 მუხლი); განათლების უფლება (1-ლი ოქმის მე-2 მუხლი); თავისუფალი არჩევნების უფლება (1-ლი ოქმის მე-3 მუხლი); სიკვდილით დასჯის აკრძალვა (მე-6 ოქმი); სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (მე-6 მუხლი), მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან ან უფლების ერთი ასპექტი, კერძოდ, საქმის საქვეყნოდ განხილვის უფლება, თავისი არსით, დათქმითია და შეიძლება შეიზღუდოს საჯარო ან სხვა პირთა ინტერესების შესაბამისად.[2]

ამ და დათქმით უფლებათა შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ამ უფლებათა შეზღუდვას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს გამართლება, როდესაც არსებობს ომის ან სხვა საგანგებო ვითარება ან როდესაც საკუთრივ შესაბამისი მუხლები ითვალისწინებს ტექსტუალურად და მკაფიოდ კონკრეტულ გარემოებებს, რომელთა არსებობისას ისინი შეიძლება შეიზღუდოს. მაგალითად, კონვენციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს იძულებით შრომას, მაგრამ იმავე მუხლის მე-3 პუნქტი იქვე უშვებს რამდენიმე გამონაკლისს. ასევე, მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას, მაგრამ

[2] ეს უფლება შეიძლებოდა სრულიად დამოუკიდებელ კატეგორიადაც გამოგვეყო, როგორც ერთგვარი *sui generis*. ამის საკმაო საფუძველს იძლევა სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკა. საქმე ის არის, რომ შეიქმნა პრეცედენტი, რომლის თანახმად, მე-6 მუხლში სასამართლომ „ამოიკითხა" სხვა რამდენიმე შეზღუდვაც. სახელდობრ, მან მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევად მიიჩნია ეროვნული სასამართლოს მიერ ანონიმურ მოწმეთა გამოყენება, რომელთაც სერიოზული საფრთხე ემუქრებოდათ: „... მე-6 მუხლი მართლაც არ მოითხოვს ექსპლიციტურად მოწმეთა ინტერესის გათვალისწინებას საზოგადოდ. [... მაგრამ მათი სიცოცხლე, თავისუფლება და უსაფრთხოება შესაძლოა განსაცდელში აღმოჩნდეს. ამის საწინააღმდეგოდ, სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპი ასევე მოითხოვს, რომ შესაბამის შემთხვევაში დაცვის ინტერესები (ამ შემთხვევაში ეს იგივე მართლმსაჯულების საჯარო ინტერესია – ე.გ.) გაწონასწორდეს იმ მოწმეთა ან დაზარალებულთა სასარგებლოდ, რომლებიც ჩვენების მისაცემად არიან გამოძახებულნი. იხ. *Doorson* v. *Netherlands* (1996) 22 EHRR 330. ასეთივე გამონაკლისი დაამკვიდრა სტრასბურგის სასამართლომ მცირეწლოვანი და უმწეო მოწმეების ანონიმურობის დაშვებით მართლმსაჯულების საჯარო ინტერესის საპირისპიროდ. იხ. *X and Y* v. *UK* (1993) 5 EHRR CD 113. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამდაგვარი შეზღუდვები ერთობ მომჭირნეობას მოითხოვს და გამოიყენება ოდენ *აუცილებლობისა* და *თანაზომიერების* პირობათა უმკაცრესი დაცვით. მეტიც, საბოლოო ჯამში, სწორედ ისინი განსაზღვრავს მე-6 მუხლის მოქმედების ფარგლებს და არამც და არამც არ უნდა მოხდეს მათი აღრეცა დათქმით უფლებებში.

მომდევნო დებულება შეიცავს ამომწურავ ნუსხას გარემოებებისა, რომელთა არსებობისას ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს. თუ ეს შესაძლებელი შეზღუდვა აშკარად და ცხადად არ იქნებოდა ჩამოყალიბებული საკუთრივ მუხლის ტექსტში, მაშინ, დათქმითი უფლებებისაგან განსხვავებით, დაუშვებელი გახდებოდა მოცემული უფლების შეზღუდვის გამართლება რაიმე საჯარო ინტერესზე დაყრდნობით.

დათქმითი უფლებები კონვენციაში პოზიტიური ფორმითაა ჩამოყალიბებული, თუმცა ექვემდებარება შეზღუდვით პირობებს (დათქმებს),[3] რომელთა ძალით საერთო საჯარო ინტერესი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. ესენია: პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მე-8 მუხლი); რელიგიისა და რწმენის თავისუფლება (მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი); აზრის გამოხატვის თავისუფლება (მე-10 მუხლი); გაერთიანების თავისუფლება (მე-11 მუხლი); და საკუთრების უფლება (1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი).

ზემოთ აღნიშნული დათქმების გამოყენება ე.წ. „დათქმითი უფლებების" მიმართ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკაში, რომელიც დასაბამიდან დღემდე განუხრელად მოითხოვს, რომ ამ უფლებათა შეზღუდვა მხოლოდ მაშინ იქნეს შეწყნარებული, თუ ის, ვინც შეზღუდვას ახორციელებს,[4] დაამტკიცებს, რომ:

ა) *სწორედ ეს შეზღუდვა, თანაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, „კანონითაა გათვალისწინებული"*. ეს მხოლოდ იმას როდი ნიშნავს, რომ იგი უბრალოდ შიდასახელმწიფოებრივი სამართლით იყოს გათვალისწინებული. შემდეგი დამატებითი მოთხოვნებიც უნდა იყოს დაკმაყოფილებული: „კანონი" უნდა აკმაყოფილებდეს „ხელმისაწვდომობისა" და „განჭვრეტადობის" კრიტერიუმებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი აზრი ადვილად გასაგები უნდა იყოს ადამიანებისათვის, ხოლო მისი დარღვევის შედეგები კი — ადვილად განჭვრეტადი. კანონი ნათლად და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული. მისი ნორმები უნდა იყოს ცხადი, კონკრეტული, არ იძლეოდეს სხვადასხვაგვარი განმარტებისა და მათი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. ინდივიდუალურ უფლებათა შეზღუდვა, როდესაც ეს აუცილებელია, უნდა ხდებოდეს მხოლოდ ისეთი კანონის საფუძველზე, რომელიც არ ქმნის საფრთხეს უფლებათა მეტისმეტი შეზღუდვისათვის. მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული, თუ როდის, რა პირობებში, რა ვითარებაში და რა ვადით არის შესაძლებელი ინდივიდუალურ უფლებებში ჩარევა. კანონი უნდა ქმნიდეს სრულ გარანტიას უფლებათა დაცვის სფეროში.[5] ასე რომ, ესა თუ ის სამართლებრივი ნორმა, ევროპის კონვენციისა და შესაბამისი სამოსამართლო იურისპრუდენციის გაგებით, ვერ განიხილება „კანონად", თუ იგი მკაფიოდ არ განსაზღვრავს, როდის, რა პირობების არსებობისას შეეფარდება იგი ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევას, არ აძლევს ადამიანს იმის შესაძლებლობას, რომ თუნდაც იურიდიული რჩევა-დარიგების საფუძველზე განსაზღვროს, თუ რომელი და როგორი ქმედება ჩაითვლება სამართალდარ-

[3] დაფქმებს, რომლებსაც საკუთრივ კონვენცია ითვალისწინებს ამა თუ იმ უფლებასთან ან მუხლთან მიმართებით, ცხადია, სრულიად სხვა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს და არაფერი ესაქმება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა დათქმებთან, რისი უფლებაც მათ ენიჭება კონვენციის 57-ე (უწინდელი 46-ე) მუხლის საფუძველზე. შედარებისათვის ამ საკითხზე უახლეს ლიტერატურაში იხ. Leach Philip; Taking a Case to The European Court of Human Rights, 2001, 193. იხ. აგრეთვე, სტრასბურგის სასამართლოს ბოლო დროის შესაბამისი იურისპრუდენცია: *Fisher* v. *Austria* (1995) 20 EHRR 349, para. 41; *Belilos* v. *Switzerland* (1988) 10 EHRR 466, para. 55.

[4] ეს შეიძლება იყოს როგორც ორგანო, უწყება ან დაწესებულება (მაგ., პარლამენტი, საკრებულო), ისე ინდივიდი (მაგ., თანამდებობის პირი – პრეზიდენტი, მოსამართლე, მინისტრი, პროკურორი).

[5] *Kruslin* v. *France*, 1990; *Leander* v. *Sweden*, 1987.

ღვევად და, შესაბამისად, განჭვრიტოს თავისი მოქმედების იურიდიული შედეგები.[6]

ბ) *შეზღუდვა ისახავდა „მართლზომიერ მიზანს“*, ანუ ერთ-ერთს იმ მიზანთაგან, რომლებიც ჩამოთვლილია მუხლებში: 8(2), 9(2), 10(2), 11(2). ესენია: 1) ეროვნული უშიშროების ინტერესები; 2) ტერიტორიული მთლიანობა ან საზოგადოებრივი უსაფრთხოება; 3) უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილება; ან 4) ჯანმრთელობის, ზნეობის ან სხვა პირთა უფლებების დაცვა; 5) მართლმსაჯულების ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა და სხვა. ყველა მათგანი ექვემდებარება შეზღუდვით განმარტებას ***in dubio pro libera*** პრინციპის შესაბამისად.

გ) *შეზღუდვა „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“*. ეს მოთხოვნა მაშინ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, თუ ის, ვინც დათქმითი უფლების შეზღუდვას ახორციელებს, შეძლებს დაამტკიცოს, რომ შეზღუდვა ნაკარნახევია „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით“, რომელიც, თავის მხრივ, თანაზომიერია ამ საჭიროებისათვის დასახული მიზნისა. სხვანაირად, შეზღუდვა უნდა იყოს *აუცილებელი* და *თანაზომიერი*. სიტყვა - „აუცილებელი“, ამ კონტექსტში როდი ნიშნავს „გარდაუვალს“, თუმცა არც ისეთი ტევადი და მოქნილია, როგორც „საფუძვლიანი“, „გონივრული“ ან „სასურველი“.

თუ რამდენად თანაზომიერია მიღებული ზომა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებისა“, ყოველთვის ადვილი შესაფასებელი არ არის. ზოგჯერ აუცილებელი ხდება დამატებითი კრიტერიუმების გამოყენება. მაგალითად: 1) იყო თუ არა გატარებული ღონისძიება „შესატყვისი (რელევანტური) და საკმარისი“? 2) ხომ არ არსებობდა სხვა ალტერნატივა, რომელიც ნაკლებად შეზღუდავდა ადამიანის უფლებას? 3) იყო თუ არა გადაწყვეტილების მიღებისას დაცული პროცედურული წესები? 4) არსებობდა თუ არა საიმედო გარანტიები შექმნილი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ? ან 5) საერთოდ არარად ხომ არ აქცევდა მოცემული კონკრეტული შეზღუდვა კონვენციით დაცული კონკრეტული დათქმითი უფლების „მთელ დედააზრს“?

დ) *შეზღუდვა არ არის დისკრიმინაციული*. აქ იგულისხმება სხვადასხვა კატეგორიის ადამიანთა მიმართ სხვადასხვაგვარი მოპყრობა ან დამოკიდებულება, რასაც არ აქვს „ობიექტური და გონივრული“ გამართლება.[7] ამ მხრივ, განსაკუთრებული დაბეჯითებითა და გამოწვლილვით სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკაში ხდება შესაძლო დისკრიმინაციის გამორკვევა სქესისა და რასობრივი წარმომავლობის საფუძველზე.[8]

ამ მოკლე და სქემატური მიმოხილვიდანაც კი ცხადი ხდება, თუ რაოდენ მრავალფეროვანი, რთული და წინააღმდეგობრივია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მოქმედების არეალი, რომელიც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო ფართოვდება და ღრმავდება.[9] ამიტომ ამ სივრცეში თუნდაც მცირედი სიცხადის შეტანა მარტო მეცნიერული ცოდნისა და დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილების სისტემატიზაციისათვის კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ იმისთვისაც, რომ რაც შეიძლება მალე იქნეს დაძლეული სოზოგადოებაში აქა-იქ ფეხმოკიდებული ერთობ ზერელე შეხედულებები ადამიანის უფლებათა და მათი დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმების შესახებ.

[6] *SW* v. *United Kindgom* , 1995; *Goodwin* v. *Untied Kingdom*, 1996.

[7] *Belgain Linguistic case* (No. 1) 1967 EHRR 241.

[8] *Abdulaziz, Kabales and Balkandali* v. *UK* (1985) 7 EHRR 471.

[9] ამის დასტურად მრავალი გარემოება მეტყველებს. თუმცა თვალსაჩინოებისათვის ერთი მაგალითის მოხსენიებაც კი საკმარისია. ეს არის მე-12 ოქმის მიღება, რომელიც მნიშვნელოვნად აფართოებს ევროპული კონვენციის მოქმედების არეს.

ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი

ლევან იზორია

საქართველოში ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის, მისი გადაწყვეტილებების დახვეწა და სრულყოფაა. საბოლოო ჯამში სწორედ საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს კონსტიტუციით განმტკიცებული ადამიანის უფლებების ფარგლებსა და მოცულობას. აღნიშნული ფარგლების საფუძველზე განისაზღვრება ადამიანის უფლებებში სახელმწიფოს მხრიდან უკანონო ჩარევის შემთხვევები. ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რა კრიტერიუმებით უნდა განსაზღვროს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მოცემული შემთხვევები.

ადამიანის ძირითად უფლებებში სახელმწიფოს უკანონო ჩარევის დასადგენად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებების სამოტივაციო ნაწილში თანაზომიერების პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს. ამ პრინციპის ფუნქცია, ზოგადად, სახელმწიფო ხელისუფლებისათვის გარკვეული საზღვრების დადგენაში, ხოლო კონკრეტულად - სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების შეზღუდვის ფარგლების განსაზღვრაში მდგომარეობს.

წინამდებარე სტატია მიმოიხილავს თანაზომიერების პრინციპის კონსტიტუციურ საფუძვლებს, მის შინაარსსა და მნიშვნელობას.

I. თანაზომიერების პრინციპი, როგორც კონსტიტუციური კონტროლის მასშტაბი

თანაზომიერების პრინციპი კონსტიტუციური კონტროლის მნიშვნელოვანი ელემენტია. ყველა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება აღნიშნულ პრინციპს უნდა ემყარებოდეს. ტერმინოლოგიურად თანაზომიერების პრინციპს სხვადასხვა სინონიმით აღნიშნავენ, მათ შორის, ზომაზე მეტის აკრძალვა, შესაბამისი, გონივრული, პროპორციული.[1]

გერმანიის, ავსტრიის, შვეიცარიის, საფრანგეთისა და იტალიის სამართლებრივ სისტემებთან ერთად, მან საერთაშორისო სამართალშიც მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა.[2] იგი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.[3]

II. თანაზომიერების პრინციპის კონსტიტუციური და ზოგადთეორიული საფუძვლები

1. საქართველოს კონსტიტუციაში თანაზომიერების პრინციპი ცალკე ნორმად არ არის განმტკიცებული. მაგრამ აქედან არ შეიძლება ნაადრევად დავასკვნათ,

[1] Jakobs, Der Grundsatz der Verhältnismäßigkait, DVBl 1985, S. 97.

[2] Stern, Übermassverbot and Abwägungsgebot, in: Staatsrecht III, 1994, S. 761 ff.

[3] Bleckmann, Begründung und Anwendungsbereich des Verhältnismäßigkeitsprinzips, JuS 1994, S. 178.

რომ იგი კონსტიტუციურ მნიშვნელობას მოკლებულია. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის უმრავლეს ქვეყანაში თანაზომიერების პრინციპი კონსტიტუციაში ასევე არ არის ფორმულირებული, მას კონსტიტუციური მნიშვნელობის პრინციპად აღიარებენ.

ასე მაგალითად, გერმანიაში თანაზომიერების პრინციპის კონსტიტუციური მნიშვნელობის დასაბუთების თვალსაზრისით პირველად სამეცნიერო ლიტერატურამ თქვა თავისი სიტყვა. კრაუსის 1953 წლის დისერტაციამ[4] იგი ადმინისტრაციული სამართლიდან კონსტიტუციურ დონეზე აიყვანა. აღნიშნული პოზიცია 60-იანი წლების დასაწყისში ლერხეს ნაშრომმა განამტკიცა.[5] გადამწყვეტი სიტყვა ამ მიმართულებით გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს ეკუთვნის. 60-იანი წლების ბოლოს მან ცალსახად აღიარა თანაზომიერების პრინციპის კონსტიტუციური მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ იგი კონსტიტუციაში განმტკიცებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და ძირითადი კონსტიტუციური უფლებების არსიდან გამომდინარეობს.[6] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც მსგავსად ასაბუთებს თანაზომიერების პრინციპის ნორმატიულ მნიშვნელობას. აღნიშნული არგუმენტაცია, თანაზომიერების პრინციპის კონსტიტუციური მნიშვნელობის დასაბუთების თვალსაზრისით, უნდა გაითვალისწინოს ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ.

2. ზოგადთეორიულ ასპექტში თანაზომიერების პრინციპი სამართლის პრინციპს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ხასიათდება როგორც უმაღლესი რანგის სამართლის წყარო, რომელიც სამართლიანობის იდეიდან გამომდინარეობს.[7] სამართლის პრინციპები სამართლის სისტემის მატერიალური საფუძველია. ნორმათა იერარქიაში მათ უმაღლესი რანგი ენიჭებათ. სხვა სამართლის წყაროები არ შეიძლება მათთან წინააღმდეგობაში მოვიდეს. ამასთან, სამართლის პრინციპებს სუბსიდიური მნიშვნელობა აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის შეფარდება მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, როდესაც არ არსებობს კონკრეტული სამართლის ნორმა, რომელიც აღნიშნულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს მოაწესრიგებს. სამართლის პრინციპები სამართლის ნორმებისაგან იმით განსხვავდება, რომ ისინი კონკრეტულ ფაქტობრივ შემადგენლობას არ შეიცავენ. ამდენად, განსაზღვრულ ფაქტობრივ შემადგენლობასთან მათი უშუალო შეფარდება შეუძლებელია. ისინი უფრო მეტად გარკვეული სამართლებრივი ღირებულების ოპტიმიზაციაა, რომელთა გამოყენება ნორმის მსგავსად არა სავალდებულო, არამედ შესაძლებელია.[8]

III. თანაზომიერების პრინციპის შინაარსი

მიუხედავად იმისა, რომ თანაზომიერების პრინციპის შინაარსი, სამართლის ნორმისაგან განსხვავებით, მოკლებულია კონკრეტულ ფაქტობრივ შემადგენლობას, შეიძლება მისი ძირითადი სტრუქტურული ელემენტების გამოყოფა. ესენია:

[4] Kraus, Der Grundsatz der Varhältnismäßigkeit, 1955.
[5] Lerche, Übermaß und Verfassngsrecht, 1961.
[6] BVerfGE 19, 342 (348).
[7] Jakobs, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, DVBl 1985, S. 98.
[8] Alexy, Zum Begriff des Rechtsprinzips, Rechtstheorie, Beiblatt 1 (1979), S. 63.

დასაშვებობის, აუცილებლობისა და შესაბამისობის, ანუ პროპორციულობის, ელემენტები.[9] თანაზომიერების პრინციპის აღნიშნული ელემენტები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის დადგენისას უნდა გაითვალისწინოს. ამ საკითხს ქვემოთ დაეთმობა ყურადღება, წინამდებარე თავში კი განიხილება თანაზომიერების პრინციპის ელემენტები ნორმატიულ აქტებთან მიმართებით.

1. *დასაშვებობა*

ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის დადგენის თვალსაზრისით, თანაზომიერების პრინციპის უწინარესი მოთხოვნაა, რომ ნორმატიული აქტი გარკვეული მიზნის მისაღწევად მისაღები საშუალება იყოს. ე.ი. ნორმატიული აქტი, ანუ საშუალება, რომელიც მიზნის მიღწევას ართულებს ან მას შეუძლებელს ხდის, დაუშვებელია და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურია.[10]

მაგალითი: ნორმატიული აქტის საფუძველზე ტყის განადგურების შეჩერებისა და მისი შენარჩუნების მიზნით სატრანსპორტო საშუალებებისთვის სიჩქარის შეზღუდვა მაშინ იქნება მისაღები, თუ სიჩქარის შეზღუდვით გამოწვეული გამონაბოლქვის შემცირება ტყის შენარჩუნებასთან იქნება უშუალო კავშირში. ამ შემთხვევაში, საშუალებას ნორმატიული აქტი, კერძოდ კი სატრანსპორტო საშუალებებისთვის სიჩქარის შეზღუდვის მოთხოვნა, წარმოადგენს, ხოლო მიზანს - ეკოლოგიური ინტერესი, კერძოდ, ტყის მდგომარეობის შენარჩუნება.

საშუალების დასაშვებობა არ ნიშნავს მის მიზანშეწონილობას. საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ნორმატიული აქტი დასაშვები მის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად, სასამართლო კონტროლს ექვემდებარება. მიზანშეწონილობის საკითხი კი არასამართლებრივი შეფასების საგანია.

2. *აუცილებლობა*

თანაზომიერების პრინციპის მეორე ელემენტის მიხედვით, ნორმატიული აქტი აუცილებელი უნდა იყოს დასახული მიზნის მისაღწევად. აუცილებელია ის ნორმატიული აქტი, რომელიც მიზნის მისაღწევად ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანია როგორც საზოგადოებისათვის, ისე თითოეული ადამიანისათვის.[11]

ზემოთ აღნიშნული მაგალითის საფუძველზე, სატრანსპორტო საშუალებებისთვის სიჩქარის შეზღუდვა მაშინ არ იქნება აუცილებელი, თუ ახალი მცენარეების დარგვით ისედაც შესაძლებელია ტყის შენარჩუნება. ამ შემთხვევაში ტყის მდგომარეობის შენარჩუნება ისეთი საშუალებითაა შესაძლებელი, რომელიც როგორც მოქალაქეს, ისე საზოგადოებას ყველაზე ნაკლებ ზიანს მოუტანს. ამდენად, სატრანსპორტო საშუალებებისთვის სიჩქარის შეზღუდვა არ იქნება აუცილებელი აღნიშნული მიზნის მისაღწევად.

დასაშვებობის და აუცილებლობის ელემენტებს არა აქვთ ერთი და იგივე მნიშვნელობა. მხოლოდ ის, რაც მისაღებია, შეიძლება იყოს აუცილებელი. რაც აუცილე-

[9] Pieroth/Schlink, Staatsrecht II, 1997, S. 65.
[10] იქვე, გვ. 66.
[11] Grabitz, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, AöR 1983, S. 568 ff.

ბელია, არ შეიძლება იყოს დაუშვებელი. სისტემური თვალსაზრისით, აუცილებლობის ელემენტს, დასაშვებობის ელემენტთან შედარებით, უპირატესი მნიშვნელობა აქვს: საშუალების აუცილებლობის დადგენა მხოლოდ მისი დასაშვებობის შემთხვევაშია შესაძლებელი, მაგრამ თავად დასაშვებობის დადგენა ყოველთვის არ არის მისი აუცილებლობის საფუძველი.

3. *პროპორციულობა*

თანაზომიერების პრინციპის მესამე ელემენტს პროპორციულობის კრიტერიუმი წარმოადგენს. იგი განსაზღვრავს დამოკიდებულებას მიზანსა და საშუალებას შორის, კერძოდ კი ადგენს, იმყოფება თუ არა საშუალებით, ე.ი. ნორმატიული აქტით, გამოწვეული უფლების შეზღუდვა შეზღუდვის მიზანთან პროპორციულ, თანაზომიერ დამოკიდებულებაში. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი სიტყვა შეზღუდული სიკეთისა და შეზღუდვის მიზნის შეფასებას, კერძოდ მათ შეპირისპირებას ეკუთვნის. მან უნდა უზრუნველყოს, რომ ერთი სიკეთე არ იქნება ცალმხრივად, მეორე სიკეთის ხარჯზე, არაპროპორციულად შეფასებული.[12]

IV. თანაზომიერების პრინციპი, როგორც ადამიანის უფლებების შეზღუდვის ფარგლების დადგენა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თანაზომიერების პრინციპის კონსტიტუციური მნიშვნელობა ნორმატიული აქტებით ადამიანის უფლებების შეზღუდვის ფარგლების დადგენით უნდა წარმოაჩინოს. ამ თვალსაზრისით, თანაზომიერების პრინციპი საკანონმდებლო ხელისუფლებას ადამიანის უფლებების შეზღუდვისას გარკვეულ ჩარჩოში აქცევს. მისი განსაკუთრებული როლი იმ ძირითად კონსტიტუციურ უფლებებთან მიმართებით გამოიხატება, რომლებიც მოცემული შეზღუდვის უშუალო კანონისმიერ დათქმას ახდენს. თუმცა იგი ასევე იმ კონსტიტუციურ უფლებებთანაც გამოიყენება, რომელთაც არ აქვთ აღნიშნული დათქმა.

კანონმდებლის მიერ ადამიანის უფლებების შეზღუდვის სფეროში თანაზომიერების პრინციპის გამოყენება საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერებას ითხოვს. სამართლებრივ სახელმწიფოდ ორგანიზებული საზოგადოების თითოეული წევრი იმის მოლოდინშია, რომ საზოგადოებაში სიკეთეთა განაწილება სამართლიანი იქნება.[13] ადამიანის უფლებებისა და, შესაბამისად, კერძო ინტერესების საკანონმდებლო შეზღუდვა მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესების საფუძველზეა გამართლებული. არ შეიძლება მოქალაქის ინდივიდუალური სფეროს იმაზე მეტი მოცულობით შეზღუდვა, ვიდრე ეს აუცილებელია.[14] რაც უფრო ერევა კანონმდებელი ადამიანის თავისუფალი განვითარების ელემენტარულ სფეროებში, მით უფრო დიდია მისი გამართლების მოთხოვნები. ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის კანონისმიერი დათქმით, კონსტიტუციის შემოქმედმა ადამიანის უფლებების სფეროში პიროვნებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება განსაზღვრა. ამ დათქმის საფუძველზე კანონმდებელს უფლება აქვს კანონის ფორმით გამოხატოს საჯარო ინტერესები, რათა ამ გზით ადამიანის უფლებების ფარგლები ნათელყოს.

[12] Stern, Übermassverbot und Abwägundsgebot, in: Staatsrecht III, 1994, S. 761 ff.
[13] Dreier, Recht und Gerechtigheit, in: Einführung in das Recht, 1991, S. 95ff.
[14] Häberle, AöR 1970, S. 86 ff; dens., Öffentliches Interesse als juristisches Problem, 1970.

თანაზომიერების პრინციპის ელემენტების საკანონმდებლო ხელისუფლებაზე ზემოქმედების საკითხის გასაშუქებლად პირველ რიგში საჭიროა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროს, ადამიანის უფლებების შეზღუდვისა და ამ შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლების საკითხების განხილვა.

1. *ადამიანის უფლებების დაცვის სფერო*

ადამიანის უფლებების დაცვის სფერო თავისი შინაარსით, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებების მიერ დაცული ობიექტით, უნდა განისაზღვროს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს ადამიანის უფლებების შინაარსის ინტერპრეტაცია ასრულებს. აღნიშნული ინტერპრეტაციის თავისებურებას ის განაპირობებს, რომ იგი ხშირად ადამიანის უფლებების დაცვის ობიექტს ისეთი ცნებებით ახასიათებს, რაც აშკარად განსხვავდება საყოფაცხოვრებო ტერმინოლოგიისაგან. მაგალითად, ისეთი უფლება, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, შეიძლება ინტერპრეტაციის საფუძველზე ჩანასახზეც გავრცელდეს.

ადამიანის უფლების დაცვის სფეროს დადგენა ხშირად შეუძლებელია ერთი იზოლირებული უფლების საფუძველზე. იგი, სისტემური განმარტებით, ხშირად სხვა ძირითად უფლებებთან და კონსტიტუციურ პრინციპებთან ერთად უნდა განისაზღვროს. ადამიანის უფლებათა ინტერპრეტაციისა და, შესაბამისად, მათი დაცვის სფეროს განსაზღვრის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ამ საქმეში დიდია ასევე სამეცნიერო ლიტერატურის როლი.

2. *ადამიანის უფლების შეზღუდვა*

კლასიკური გაგებით, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროს შეზღუდვას სახელმწიფო ახდენს ისეთი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელიც უშუალოდ, საბოლოოდ და იმპერატიულად გარკვეული ძირითადი უფლების შეზღუდვაზეა ორიენტირებული.[15]

ადამიანის უფლებების შეზღუდვის კლასიკური ცნება ოთხი ელემენტისაგან შედგება:

- პირველ რიგში, ის ითხოვს, რომ აღნიშნული შეზღუდვა ნორმატიული აქტის საფუძველზე მოხდეს;
- შეზღუდვა ატარებს საბოლოო ხასიათს, თუ სახელმწიფოს განზრახ, გამიზნულად სურს ადამიანის უფლების შეზღუდვა;
- უშუალოა შეზღუდვა, როდესაც სახელმწიფოს ქმედება პირდაპირ, უშუალოდ ორიენტირებულია საზიანო შედეგზე და როდესაც იგი სახელმწიფო ქმედების გაშუალებულ შედეგს არ წარმოადგენს;
- იმპერატიულია შეზღუდვა, როდესაც იგი ბრძანებით და იძულებით უნდა განხორციელდეს.

3. *ადამიანის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლება*

სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლების შეზღუდვის შემთხვევაში უნდა დადგინდეს, არის თუ არა ეს შეზღუდვა კონსტიტუციურად გამართლებული. პირვ-

[15] Iarass, in: Iarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, 1997, S. 21.

ელ რიგში გასარკვევია თავად ძირითადი უფლებების შეზღუდვის ფორმალური კონსტიტუციური საფუძვლები. ამ თვალსაზრისით, შეიძლება გამოიყოს სამი ჯგუფი: კონსტიტუციაში ადამიანის უფლებების შეზღუდვის კანონისმიერი დათქმა, ადამიანის უფლებების უშუალო კონსტიტუციური კრიტერიუმებით შეზღუდვის საფუძვლები და ადამიანის უფლებების კონსტიტუციის იმანენტური პრინციპებით შეზღუდვის საფუძვლები.

კონსტიტუციაში ადამიანის უფლებების შეზღუდვის კანონისმიერი დათქმის მიხედვით, ადამიანის უფლებებში სახელმწიფოს ჩარევა უშუალოდ კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული ან იგი კანონის საფუძველზე უნდა სრულდებოდეს (მაგ., საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი). ადამიანის უფლებების კანონისმიერი შეზღუდვის საფუძვლებში კონსტიტუცია კანონთან ერთად პირდაპირ აწესებს იმ კონკრეტულ პირობებსა თუ მიზნებს, რომლებზეც კანონი უნდა იყოს ორიენტირებული (მაგ., კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 24-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები, 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი). კანონისმიერი დათქმის საფუძველზე ადამიანის უფლებებში სახელმწიფოს ჩარევა იქნება ფორმალურად კონსტიტუციური, თუ იგი უშუალოდ კანონით არის გათვალისწინებული ან კანონის საფუძველზე სრულდება.

ადამიანის უფლებების უშუალო კონსტიტუციური შეზღუდვის საფუძვლები თავად განსაზღვრავს ადამიანის უფლებებში ჩარევის წინაპირობებსა და კრიტერიუმებს. მაგალითად, სხვათა უფლებების შელახვის შემთხვევაში კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს ამავე მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობას. ადამიანის უფლებების უშუალო კონსტიტუციური შეზღუდვის საფუძვლები მოცემულია კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტში, 25-ე მუხლის 1-ელ პუნქტში, 26-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებში, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტში და სხვ. ადამიანის უფლებებში უშუალო კონსტიტუციური შეზღუდვის საფუძველზე სახელმწიფოს ჩარევა ფორმალურად იქნება კონსტიტუციური, თუ იგი კონსტიტუციაში უშუალოდ განსაზღვრულ წინაპირობებს აკმაყოფილებს.

ადამიანის უფლებები, რომლებიც არც კანონისმიერ და არც უშუალოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ ჩარევებს ექვემდებარება, შეიძლება კონსტიტუციის იმანენტური პრინციპებით შეიზღუდოს (მაგ.: კონსტიტუციის მე-16 მუხლი). აღნიშნული პრინციპებია, მაგალითად, სამართლებრივი, სოციალური სახელმწიფოს და თავად ადამიანის უფლებების პრინციპები. ამ შემთხვევაში ადამიანის უფლებებში სახელმწიფოს ჩარევა ფორმალურად იქნება კონსტიტუციური, თუ იგი კონსტიტუციის იმანენტური პრინციპების კონკრეტიზაციას წარმოადგენს.

ადამიანის უფლებების შეზღუდვის აღნიშნული კონსტიტუციური საფუძვლები მხოლოდ ფორმალურ მხარეს ეხება. შესაბამისად, საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლების შეზღუდვა კონსტიტუციურია, თუ კონსტიტუცია თვითონ იძლევა ასეთი შეზღუდვის კანონისმიერ დათქმას. რაც შეეხება თავად კანონის მატერიალურ სისწორეს, მისი კონსტიტუციურობის საკითხს, ანუ იმის გარკვევას, იცავს თუ არა საკანონმდებლო ხელისუფლება ადამიანის კონსტიტუციური უფლებების ფარგლებსა და მოცულობას, ამას ადამიანის უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციური საფუძვლები არ განსაზღვრავს. ამ თვალსაზრისით, სწორედ თანა-

ზომიერების პრინციპის მნიშვნელობაა თვალსაჩინო. როგორც კონსტიტუციური პრინციპი, იგი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებებში ჩარევას ზღუდავს. ის უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, თავისუფლების და, მეორე მხრივ, თავისუფლების შეზღუდვის ერთგვარ გაწონასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და ადამიანის უფლებების ზომაზე მეტად შეზღუდვას კრძალავს.[16] ამდენად, თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებების ფორმალური შეზღუდვის მატერიალური სისწორის კონსტიტუციური საზომი და კრიტერიუმია. კონსტიტუციური კონტროლის თვალსაზრისით, მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლება თანაზომიერების პრინციპზეა დამოკიდებული. თუ ადამიანის უფლებების შეზღუდვის მიზნით სახელმწიფოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი თანაზომიერების პრინციპის სამივე ელემენტის მოთხოვნებს თანამიმდევრულად აკმაყოფილებს, მაშინ მისი კონსტიტუციურობაც უზრუნველყოფილია, ე.ი. აღნიშნული აქტი კონსტიტუციური გამართლების ასპექტით, პირველ რიგში, დასახული მიზნის მისაღწევად უნდა იყოს დასაშვები; მეორე, იგი უნდა იყოს აუცილებელი, ანუ მინიმალური ზიანის მომტანი, დაბოლოს, პროპორციული, ანუ შეზღუდვით გამოწვეული ზიანისა და შეზღუდვის მიზნის თანაზომიერი შეფარდების გარანტი.

V. შეპირისპირება, როგორც თანაზომიერების პრინციპის მნიშვნელოვანი ელემენტი

თანაზომიერების პრინციპის პირველი ორი ელემენტის – დასაშვებობისა და აუცილებლობის – განსაზღვრა არ არის იმდენად პრობლემატური, როგორც მესამე ელემენტის, პროპორციულობის შინაარსის დადგენა. ზოგადად, პროპორციულობის ელემენტის მნიშვნელობა სხვადასხვა დაპირისპირებულ სიკეთეთა შორის წონასწორობის დამყარებაში მდგომარეობს.[17] ადამიანის უფლებებთან მიმართებით, ეს სიკეთეებია, ერთი მხრივ, თავად ძირითადი უფლება და, მეორე მხრივ, ის ღირებულება, რომლის გამოც ადამიანის უფლება იზღუდება.

აღნიშნულ სიკეთეთა თანაზომიერი დამოკიდებულების წინაპირობა სიკეთეთა შეპირისპირებაა.[18] შეპირისპირება, თავისთავად, იურიდიული მეთოდოლოგიის ცენტრალური თემაა. როგორც საპირისპირო ინტერესების თანაზომიერი შეჯერების მასშტაბი, სიკეთეთა შეპირისპირება უდიდეს მნიშვნელობას ადამიანის უფლებების სფეროში იძენს. მას ხშირად „კონსტიტუციური სამართლის მეთოდოლოგიის გასაღებსაც" უწოდებენ.[19]

კონსტიტუციური სამართლის ფარგლებში შეპირისპირების პროცესში ფასდება ის სიკეთეები, რომლებიც თავად კონსტიტუციიდან გამომდინარეობს. შეპირისპირების მიზანი მათი ოპტიმალური გამოვლინებაა. ამ მიზნის ფარგლებში კი პრო-

[16] Lerche, Übermaß und Verfassungsrecht, 1961.
[17] Jakobs, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 1985, S. 108f.; Schneider, Die Güterabwägung des Bundesvarfassungsgerichts bei Grundrechtskonflikten, 1979, S. 211 f.; Schwabe, Probleme der Grundrechtsdogmatik, 1977, S. 320 f.
[18] Larenz, Methodenlehre der Rechtswissenschaft, 1991, S. 418.
[19] Schlink, Abwägung im Varfassungsrecht, 1976, S. 13.

პორციულობა ასრულებს გადამწყვეტ როლს. დაუშვებელია საპირისპირო სიკეთეთა შეჯერების პროცესში ერთი სიკეთე მეორე სიკეთის ხარჯზე არაპროპორციულად იყოს შეფასებული. ამდენად, იურიდიული შეპირისპირება, შეჯერება, საბოლოო ჯამში თანაზომიერ, პროპორციულ შეფასებას ნიშნავს. ამ თვალსაზრისით, იგი თანაზომიერების პრინციპებზე, კერძოდ მის მესამე ელემენტზე – პროპორციულობის მოთხოვნაზეა, ორიენტირებული.[20]

თანაზომიერების პრინციპის მესამე ელემენტის, პროპორციულობისა და, შესაბამისად, იურიდიული შეპირისპირების პრობლემა, როგორც დასაწყისში აღინიშნა, მისი შინაარსის დადგენაში მდგომარეობს. პროპორციულობა არ შეიძლება თავისი შინაარსის განსაზღვრების თვალსაზრისით ორიენტირებული იყოს სხვა კრიტერიუმებზე. იგი თავად გახლავთ ინტერესთა თანაზომიერი შეფასების საზომი, მაგრამ ეს საზომი არ არის აბსოლუტურად განსაზღვრული და სტატიკური. იგი კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან მიმართებით მუდამ დინამიკური და შეფარდებითია, აბსოლუტურია მხოლოდ პროპორციულობის მუდმივი მოთხოვნა. თავად შეფასების შინაარსი იმ კონკრეტულ ფაქტზეა დამოკიდებული, რომლის მიმართაც გამოიყენება თანაზომიერების პრინციპი, ანუ იმ კონკრეტული ინტერესების ხასიათსა და მნიშვნელობაზე, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება შეჯერებული და გაწონასწორებული თანაფარდობით უნდა მოწესრიგდეს.

მაგალითად, საკუთრების შეზღუდვის სფეროში კანონმდებლის უფლებამოსილება მით უფრო დიდია, რაც მეტია კონკრეტული საკუთრების ობიექტის სოციალური ფუნქცია. თავად საკუთრების უფლების სოციალური ფუნქციის დადგენისათვის კი მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ეხება ეს საკუთრება საზოგადოებრივ ინტერესებს. მაგალითად, მიწის საკუთრება, გარემოს დაცვის თვალსაზრისით, ეხება საზოგადოებრივ ინტერესებს და, შესაბამისად, სოციალური ფუნქციითაა დატვირთული, განსხვავებით, მაგალითად, წიგნებსა თუ ტანისამოსზე საკუთრებისაგან. კანონმდებლის უფლებამოსილებაც საკუთრების შეზღუდვის სფეროში მხოლოდ საკუთრების სოციალური ფუნქციის ადეკვატური და, შესაბამისად, პროპორციული უნდა იყოს. საკუთრების შეზღუდვა არ შეიძლება იმაზე მეტი მოცულობით, რასაც კონკრეტული სიტუაციაში საზოგადოებრივი ინტერესი ითხოვს.

იქ, სადაც ღირებულებათა შეფასება ხდება, დედუქცია დამარცხებისთვის არის განწირული. იურიდიული შეპირისპირება მოსამართლის არგუმენტებისა და შეხედულებების არჩევის პროცესია, რომელიც ყოველთვის კონკრეტულ ფაქტზე, ანუ კონკრეტულ ინტერესსა თუ უფლებაზე არის დამყარებული.[21] მოსამართლეს შეუძლია მაგალითად, დემოკრატიისათვის პრესის თავისუფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ აღნიშნული უფლების შეზღუდვის შესაძლებლობა მინიმუმამდე დაიყვანოს, მაგრამ თუ კონკრეტულ სიტუაციაში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნება საქართველოს უშიშროებას შეუქმნის საფრთხეს, მაშინ პრესის თავისუფლება შესაბამის შეზღუდვას დაექვემდებარება.

მაშასადამე, თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, ადამიანის უფლების შეზღუდვის როგორც კონსტიტუციური გამართლების, ისე აღნიშნული შეზღუდვის არაკონსტიტუციურობის დადგენის თვალსაზრისით, გადამწყვეტი მოსამართლის სამართლიანი არგუმენტია. აღნიშნული არგუმენტი კი თანაზომიერების პრინციპის სამსაფეხურიანი სისტემის შედეგია.

[20] Stern, Übermaßverbot und Abwägungsgebot, in: Stern, Staatsrecht III, 1994, S. 761 f.

[21] BVerfGE 7, 198; 12, 113; 20, 162; 35, 202; 62, 230; 69, 315; 71, 206; 76, 196; 82, 43; 85, 1.

VI. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და თანაზომიერების პრინციპი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თანაზომიერების კონსტიტუციურ პრინციპს არ იცნობს. მართალია, მის გადაწყვეტილებებში ზოგჯერ გაიჟღერებს ხოლმე ინტერესთა თანაზომიერი შეჯერების მოთხოვნა, მაგრამ იგი არ არის თანაზომიერების პრინციპის, როგორც კონსტიტუციური კონტროლის სისტემატური შეფარდების, შედეგი.

სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებების შეზღუდვის კანონიერების დადგენის თვალსაზრისით, სტატიის დასაწყისში უკვე აღინიშნა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თანაზომიერების პრინციპით ხელმძღვანელობის აუცილებლობის შესახებ. ამ აუცილებლობას განვიხილავთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 21 დეკემბრის განჩინების მაგალითზე,[22] რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 31 დეკემბრის №733 ბრძანებულების კონსტიტუციურობა უნდა დაედგინა. ბრძანებულების მიხედვით, ალექსანდრე ჭავჭავაძის პარკისა და სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სამთავრობო რეზიდენციის შენობა-ნაგებობები და ღვინის ქარხანა, რომელიც კერძო საკუთრება იყო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლად გამოცხადდა. აღნიშნულ ბრძანებულებას სამართლებრივ საფუძვლად დაედო სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი და კულტურის შესახებ კანონის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის მიხედვით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა პრივატიზაციას არ ექვემდებარება.

საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დაედგინა, შეიძლებოდა თუ არა ღვინის ქარხნის შენობის განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მოქცევა. საკონსტიტუციო სასამართლომ ბრძანებულების კონსტიტუციურობა და, შესაბამისად, ღვინის ქარხნის შენობის დაცვის აუცილებლობაც აღიარა. სამოტივაციო ნაწილში მან სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლზე მიუთითა, რომლის მიხედვით, შენობა მიწის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს და მასთან ერთად ერთ სამართლებრივ რეჟიმს ექვემდებარება. ამ ნორმის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ საწარმოს შენობის, როგორც "ისტორიული ძეგლის", განსაკუთრებული დაცვა მიწის განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე დაასაბუთა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ბრძანებულების ფორმალური კონსტიტუციურობის, ანუ მისი კანონიერი საფუძვლების საკითხის გარკვევით შემოიფარგლა. რაც შეეხება თავად ამ საფუძვლების მატერიალურ სისწორეს, იგი ყურადღების მიღმა დატოვა. თანაზომიერების პრინციპის, როგორც კონსტიტუციური კონტროლის, მნიშვნელობა სწორედ აღნიშნული მატერიალური სისწორის დადგენაში მდგომარეობს. მან უნდა უზრუნველყოს ნორმატიული აქტის შინაარსის კონსტიტუციურობა.

[22] N2/85/1.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ პრეზიდენტის ბრძანებულებით შეზღუდული ღვინის ქარხნის მესაკუთრის დაცვის სფერო და აღნიშნული უფლების შეზღუდვის ფაქტი უნდა დაედგინა, შემდეგ კი, ამ შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლების დასასაბუთებლად, თანაზომიერების პრინციპით უნდა ეხელმძღვანელა. თანაზომიერების პრინციპით მას უნდა დაედგინა უფლების შეზღუდვის კანონისმიერი საფუძვლების შინაარსის კონსტიტუციურობა, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბრძანებულების სამართლიანობა.

ამ თვალსაზრისით, თანაზომიერების პრინციპის პირველი ელემენტის — დასაშვებობის, მოთხოვნის საფუძველზე, უწინარესად, გასარკვევი იქნებოდა საკითხი იმის შესახებ, იყო თუ არა ბრძანებულება მიზნის მისაღწევად დასაშვები საშუალება. ამ შემთხვევაში ბრძანებულება ზღუდავდა მეწარმის თავისუფლებას ისტორიული ძეგლის დაცვისა და ამ ძეგლის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, შენარჩუნების მიზნით. მეორე საფეხურზე საკონსტიტუციო სასამართლოს საშუალების, ე.ი. ბრძანებულების, აუცილებლობის საკითხი უნდა გაერკვია. მიზნის განხორციელების თვალსაზრისით, ბრძანებულება აუცილებელი საშუალება იქნებოდა იმდენად, რამდენადაც ამ მიზნის მისაღწევად ნორმატიული აქტის სახით სხვა ალტერნატივა არ იარსებებდა, რომელიც მეწარმეს უფრო ნაკლები ინტენსიურობით შეზღუდავდა. მეწარმის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლებისათვის თანაზომიერების პრინციპის სტრუქტურული ელემენტების საბოლოო საფეხურზე, საკონსტიტუციო სასამართლოს კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციული დამოკიდებულების საკითხი უნდა გაერკვია. ამ შემთხვევაში, კერძო ინტერესს საკუთრების უფლება, ხოლო საჯარო ინტერესს ისტორიული ძეგლის დაცვა წარმოადგენდა. კონკრეტული სიტუაციის საფუძველზე სასამართლოს აღნიშნული ინტერესების შეფასება, მათი შეპირისპირება უნდა მოეხდინა. კერძოდ, მესაკუთრის შეზღუდვის მოცულობა მას ისტორიული ძეგლის კულტურული ღირებულებიდან გამომდინარე უნდა განესაზღვრა, და არა მიწის განსაკუთრებული სტატუსის მიხედვით. საკითხის ასეთი სახით დასმით შესაძლოა ღვინის ქარხნის ისტორიულ ძეგლად აღიარებაც სადავო გამხდარიყო. ეს კი ბრძანებულების კონსტიტუციურობას გახდიდა საეჭვოს. თუ საკონსტიტუციო სასამართლო ღვინის ქარხნის კულტურულ ღირებულებას დაასაბუთებდა, მაშინ ღვინის ქარხნის მესაკუთრის შეზღუდვის მოცულობა, თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე, კერძო (მესაკუთრე) და საჯარო (ისტორიული ძეგლის კულტურული ღირებულება) ინტერესების თანაზომიერ შეფარდებაზე იქნებოდა დამოკიდებული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში

კონსტანტინე კორკელია

1. შესავალი

რა როლი ენიჭება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს (პრეცედენტებს) ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკაში? უნდა გამოიყენოს თუ არა საქართველოს სასამართლოებმა ევროპული სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ევროპის კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს? და რა პრაქტიკა ვითარდება საქართველოს სასამართლოებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების თვალსაზრისით? – ეს ის ძირითადი კითხვებია, რომლებსაც გაეცემა პასუხი ამ ნაშრომში.

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად აღიარების შედეგად კონვენციით გათვალისწინებული ნორმები შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წყარო გახდა, თუმცა ევროპის კონვენცია, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, რჩება საერთაშორისო სამართლის წყაროდ. ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია, როგორც საერთაშორისო სამართლის წყარო, საქართველოსათვის სავალდებულოა საერთაშორისო დონეზე და ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად მისი აღიარების შედეგად იგი იურიდიულად სავალდებულო გახდა ეროვნულ დონეზეც და, შესაბამისად, წარმოშობს უფლებებსა და მოვალეობებს იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის.[1]

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული სასამართლოებისათვის, რომლებმაც მართლმსაჯულების განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელონ კონვენციის ნორმებით, როგორც ეროვნულ დონეზე მოქმედი იურიდიულად სავალდებულო ქცევის წესებით.

სასამართლო დავის გადაწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ეროვნულ დონეზე გამოყენების შესაძლებლობა, მათ შორის საქართველოს სასამართლოებში, როგორც წესი, ეჭვს არ იწვევს. მაგრამ, თუ ევროპის კონვენციის ნორმების გამოყენების შესაძლებლობა ეროვნულ დონეზე არ არის სადავო, კონვენციის საფუძველზე მიღებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების – პრეცედენტული სამართლის – როლი ეროვნულ დონეზე, განსაკუთრებით კი ეროვნული სასამართლოებისათვის, ხშირად იწვევს აზრთა სხვაობას ქართველ იურისტებს შორის.[2] მათი უმრავლესობა თვლის, რომ საქართველოს სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ხოლო უმცირესობა საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

---

[1] იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლი და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

[2] ეს საკითხი სხვა ქვეყნებში ასევე იწვევდა აზრთა სხვაობას.

რა განაპირობებს მოსაზრებას, რომლის თანახმად, საქართველოს სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი?

იურისტების უმრავლესობის მოსაზრება, რომლის თანახმად, საქართველოს სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, გამომდინარეობს იქიდან, რომ ორი სხვადასხვა სამართლებრივი კატეგორია აღინიშნება ერთი ტერმინით – „პრეცედენტული სამართალი", რაც ამ ორი განსხვავებული სამართლებრივი კატეგორიის აღრევითაა გამოწვეული.

სამართლის თეორიაში მიღებულია სამართლებრივი სისტემების გამიჯვნა *ანგლოსაქსურ* და *კონტინენტურ* სისტემებად. ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის მიმდევარ ქვეყნებში, რომლებსაც ხშირად პრეცედენტული სამართლის ქვეყნებს უწოდებენ, ადრე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება (პრეცედენტი) მომდევნო სასამართლო საქმესთან დაკავშირებით გამოიყენება როგორც სამართლის წყარო. ამ სისტემის მიმდევარ სახელმწიფოებში ეროვნული სასამართლოების პრეცედენტული სამართალი ხდება იურიდიულად სავალდებულო სხვა სასამართლოებისათვის. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება (პრეცედენტი) სამართლის წყაროა დიდი ბრიტანეთის სასამართლოებისათვის.[3] კონტინენტური სამართლის სისტემის მიმდევარ სახელმწიფოებში სასამართლოს გადაწყვეტილებები არ არის სამართლის წყარო და, შესაბამისად, ადრე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები (პრეცედენტები) იურიდიულად სავალდებულო არ არის ეროვნული სასამართლოებისათვის მომდევნო საქმეებზე.[4]

ცხადია, საქართველო არ განეკუთვნება ანგლოსაქსური, ანუ პრეცედენტული, სამართლის ქვეყნების ჯგუფს. ამიტომ კონტინენტური სამართლის სისტემის მიმდევარი სხვა სახელმწიფოების მსგავსად, ადრე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება არ არის სამართლის წყარო და იურიდიულად სავალდებულო საქართველოს სასამართლოებისათვის მომდევნო სასამართლო საქმეებთან დაკავშირებით.[5]

[3] D. McGoldrick, The United Kingdom's Human Rights Act 1998 in Theory and Practice, in: International and Comparative Law Quarterly, vol. 50, N4, 2001, 918.

[4] მნიშვნელოვანია, რომ იურისტთა მზარდი რაოდენობის აზრით, სამართლის თეორიაში არსებული მკაცრი გამიჯვნა პრეცედენტული და არაპრეცედენტული სამართლის სისტემების მიმდევარ სახელმწიფოებს შორის პრაქტიკაში არც ისე მკაფიოა. იხ. პროფ. ტარუფოს (პავიას უნივერსიტეტი, იტალია) მოხსენება (მე-3(2) პუნქტი), წაკითხული თბილისში 2002 წლის 15-17 აპრილს ჩატარებულ ევროპის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეთა VII კონფერენციაზე. მოხსენების ინგლისურენოვანი ტექსტი ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინტერნეტ-გვერდზე: [www.supremecourt.ge].

[5] მიუხედავად იმისა, რომ საქართველო კონტინენტური სამართლის ქვეყანაა, სამართლის პრაქტიკაში არსებული ტენდენციები არ გამორიცხავს ორი სამართლებრივი სისტემის ურთიერთგავლენას, მათ შორის საქართველოს სამართლებრივ სისტემაზე. ამ პოზიციას ადასტურებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ბესარიონ ზოიძე: „[...] სამართალთა [საერთო და პოზიტიური] ჰარმონიზაციის თანამედროვე პროცესი გვეუბნება, რომ ისინი ძალიან დაუახლოვდებიან ერთმანეთს. მე ვფიქრობ, რომ ზოგიერი პრეცედენტული სამართალი ჩვენშიაც უნდა შემუშავდეს. კანონმდებლობას არ შეიძლება ჰქონდეს სრულყოფილების პრეტენზია. გარკვეულ ფარგლებში სასამართლოც უნდა ქმნიდეს სამართალს. ხშირად სასამართლოსათვის საინტერესოა ის სამართალიც, რომელიც არაპოზიტიურ ფორმაშია. მითუმეტეს, რომ სამართალი გაცილებით მეტია, ვიდრე ეს კანონმდებლობაა." იხ. ინტერვიუ ბ. ზოიძესთან – „თავისუფლება პირობითი ცნებაა...", ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 2000 წელი, გვ. 8-9; ასევე იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ლამარა ჩორგოლაშვილის მოსაზრება: ლ. ჩორგოლაშვილი, კონსტიტუციური კონტროლის თეორიისა და პრაქტიკის სადავო საკითხები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 2002 წელი, გვ. 43-44.

ვინაიდან საქართველო არ არის პრეცედენტული სამართლის ქვეყანა, ქართველი იურისტების უმრავლესობა კითხვას – უნდა გამოიყენოს თუ არა საქართველოს სასამართლოებმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი? – უარყოფითად პასუხობს. მათი პასუხი გამომდინარეობს იმ ტერმინოლოგიური იდენტურობიდან, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს ისინი.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ანგლოსაქსური სამართლის სისტემის მიმდევარ ქვეყნებში ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს ეწოდება „პრეცედენტული სამართალი", ამ ტერმინების მნიშვნელობა პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუ ანგლოსაქსური სამართლის სისტემის მიმდევარ ქვეყნებში დადგენილია, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლის წყაროა და სავალდებულოა ქვეყნის ყველა სხვა სასამართლოსათვის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულო არ არის ყველა სახელმწიფოსათვის.

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით, რომელმაც დააარსა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც დავის მხარეები არიან. ევროპის კონვენციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს: „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, შეასრულონ სასამართლოს გადაწყვეტილება ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან." ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია, კერძოდ, მისი 46-ე მუხლის პირველი პუნქტი არ ეხება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ვალდებულებებს იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც არ არიან კონკრეტული დავის მხარენი.

კონვენციის ამ დებულების მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა *მხოლოდ* იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც კონკრეტული სასამართლო დავის მხარეა მხოლოდ კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით. ამდენად, იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც არ არიან კონკრეტული დავის მხარენი, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება (პრეცედენტი) არ არის სავალდებულო.[6]

ხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ არის სამართლის წყარო იმ მნიშვნელობით, რომლითაც „პრეცედენტული სამართალი" გაიგება ანგლოსაქსური სამართლის სისტემის მიმდევარ ქვეყნებში.[7] ამიტომაც მცდარია დასკვნა, რომლის თანახმად, საქართველოს სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი იმის გამო, რომ საქართვე-

[6] E. Klein, Should the Binding Effect of the Judgements of the European Court of Human Rights be Extended? in: Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.), 2000, 706.

[7] მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთი პრეცედენტული სამართლის ქვეყანაა, ისიც კი განასხვავებს „პრეცედენტული სამართლის" ორგვარ მნიშვნელობას. ბრიტანეთის ლორდთა პალატამ საქმეში – *კლუნისი კეირდის წინააღმდეგ* (2001 წ.) – განაცხადა, რომ „ევროპული კომისიისა და სასამართლოს პრეცედენტების მნიშვნელობა არ უნდა იქნეს ისე გაგებული, როგორც ისინი გაიგება ჩვენს სამართალში". ციტ.: D. McGoldrick, The United Kingdom's Human Rights Act 1998 in Theory and Practice, in: International and Comparative Law Quarterly, vol. 50, N4, 2001, 918.

ლო არ არის პრეცედენტული სამართლის ქვეყანა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული არა როგორც სამართლის წყარო, არამედ როგორც ევროპის კონვენციის დებულებათა ავტორიტეტული განმარტება. ეს საკითხი დეტალურადაა განხილული ნაშრომის მომდევნო ნაწილში.

ვიდრე განიხილება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გავლენა ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკაზე, აუცილებელია გაკეთდეს ტერმინოლოგიური განმარტება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების (პრეცედენტების) ერთობლიობას სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ. მის აღსანიშნავად ხშირად იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა: „პრეცედენტული სამართალი", „იურისპრუდენცია", „სამოსამართლო სამართალი", „სასამართლო პრაქტიკა". წინამდებარე ნაშრომში ძირითადად გამოიყენება ტერმინი – პრეცედენტული სამართალი, თუმცა ხსენებული სხვა ტერმინების გამოყენებისას მათ იგივე სამართლებრივი დატვირთვა და მნიშვნელობა ენიჭებათ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომი არ იხილავს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენებას იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც კონკრეტული დავის მხარეები არიან. ნაშრომი შემოიფარგლება მხოლოდ იმ სახელმწიფოებზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენების განხილვით, რომლებიც არ არიან კონკრეტული სასამართლო დავის მხარეები.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გავლენას ახდენს ხელისუფლების სამივე განშტოებაზე, ასეთი გავლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლებაზე. ამიტომ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გავლენაზე სასამართლო ხელისუფლებაზე.

2. ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სამართლებრივი რეგულირება

იურისტებს, მათ შორის მოსამართლეებს, განსაკუთრებით კონტინენტური სამართლის სისტემის მიმდევარ ქვეყნებში, ხშირად უჩნდებათ კითხვა: სახელმწიფოს რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება ის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მართლმსაჯულების განხორციელებისას?

კითხვის ასეთი ფორმულირება ნაწილობრივ გამომდინარეობს პრეცედენტული სამართლის არასწორად გაგებული მნიშვნელობიდან, რაც უკვე განხილულ იქნა. ამ კითხვის ავტორები იშველიებენ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ანალოგს და საკითხს ასე სვამენ: თუ ევროპის კონვენციის გამოყენება ეროვნულ დონეზე განისაზღვრა სახელმწიფოს კონკრეტული ნორმატიული აქტით (მაგალითად: კონსტიტუციით ან სპეციალური კანონით), რომლის საფუძველზეც კონვენცია აღიარებულია შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წყაროდ, სახელმწიფოს რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობა ეროვნულ დონეზე, მათ შორის მართლმსაჯულების განხორციელებისას?

ზოგადად ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები სხვადასხვა ფორმით ადგენს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობას ეროვნულ დონეზე. ზოგიერთ სახელმწიფოში საკანონმდებლო აქტი განსაზღვრავს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.[8] ასეთი სახელმწიფოს მაგალითია დიდი ბრიტანეთი, რომლის „ადამიანის უფლებათა აქტში" (1998 წელი) პირდაპირ მითითებულია, რომ ბრიტანეთის სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი კონვენციის დებულებათა განმარტების დროს;[9] იგივე წესია გათვალისწინებული ირლანდიის კანონპროექტით „ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის შესახებ", რომელიც დასამტკიცებლად წარდგენილია ირლანდიის პარლამენტში.[10]

სახელმწიფოთა უმრავლესობაში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობა განისაზღვრება ეროვნული სასამართლოების პრაქტიკით. თვალსაჩინოებისათვის შეიძლება რამდენიმე სახელმწიფოს სასამართლო პრაქტიკის მოშველიება: *გერმანიის* ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში პირდაპირ მიუთითა, რომ ფედერალური კონსტიტუციის განმარტებისას უნდა გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის შინაარსი და განვითარების მდგომარეობა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი კონსტიტუციაში განმტკიცებულ უფლებათა შინაარსისა და ფარგლების დადგენის საშუალებაა.[11]

შვეიცარიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომელიც პირად თავისუფლებას ეხებოდა, მიუთითა, რომ ეს უფლება უნდა განიმარტოს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით.[12] *ნორვეგიის* უზენაესმა სასამართლომ 2000 წლის 23 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ნორვეგიის სასამართლოებმა უნდა გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევრო-

---

[8] ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა შვედეთის მაგალითი. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოს კანონმდებლობა პირდაპირ არ ადგენს ევროპის კონვენციის განმარტების აუცილებლობას ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, პარლამენტმა ასეთი განზრახვა გამოხატა ევროპის კონვენციის შვედეთის კანონმდებლობის ნაწილად აღიარების დროს. იხ. I. Cameron, Sweden, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 839-840.

[9] იხ. ადამიანის უფლებათა აქტის მე-2 ნაწილის I-ლი პუნქტი. ტექსტი იხ. ინტერნეტ-გვერდზე: [www.hmso.gov.uk/acts/acts1998/19980042.htm]. ასევე იხ: F. Klug, The Human Rights Act 1998, *Pepper* v. *Hart* and All That, Public Law, Summer 1999, 250-251; K. Starmer, European Human Rights Law: The Human Rights Act 1998 and the European Convention on Human Rights, 1999, 25.

[10] კანონის მე-4 ნაწილი. კანონის ტექსტი იხ. [www.irlgov.ie/oireachtas/frame.htm], იქვე იხ. კანონის განმარტებითი მემორანდუმის მე-16 პუნქტი.

[11] Decisions of the Federal Constitutional Court, 1987, vol. 74, 370. ციტ.: J. Frowein, Incorporation of the Convention into Domestic Law, in: Aspects of Incorporation of the European Convention of Human Rights into Domestic Law, J.P. Gardner (Ed.), 1993, 6; G. Ress, The Effect of Judgements and Decisions in Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 834-835.

[12] YBECHR 1977, 801ff.

პის კონვენცია იმ განმარტებით, რომელიც მიეცა კონვენციის დებულებებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით.[13]

კვიპროსის უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კვიპროსის სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკას, მიუთითა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ასრულებს ორიენტირის ფუნქციას ეროვნული სასამართლოებისათვის.[14] *პოლონეთის* უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი უნდა იქნეს გათვალისწინებული პოლონეთის კანონმდებლობის განმარტებისათვის.[15]

ამ მაგალითებიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობა ეროვნული სასამართლოების მიერ ძირითადად განისაზღვრება არა ამისათვის სპეციალურად მიღებული ნორმატიული აქტით, არამედ ეროვნული სასამართლოების პრაქტიკით.

3. ევროპულ სახელმწიფოთა სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკა

იყენებს თუ არა ევროპული სახელმწიფოების სასამართლოები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ევროპულ სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციასთან ერთად, ხშირია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება *გერმანიის* სასამართლოების მიერ.[16] ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს *ავსტრიის* სასამართლოთა პრაქტიკაზე.[17] ავსტრიაში როგორც საკონსტიტუციო სასამართლო, ისე საერთო იურის-

[13] The European Convention on Human Rights at 50, Human Rights Information Bulletin (special issue), N50, 2000, 19. ასევე იხ.: L. Wildhaber, The Application of the Convention and its Case-Law in the Member States; report delivered at the Conference: "The European Convention on Human Rights and its Case Law: Application by Domestic Courts and Public Administration", 6 March 2001, Riga, Latvia.

[14] *Cosmos Press* v. *The Police*, 2 CLR 73, 1985, 76-81. ასევე იხ. G. Ress, The Effect of Judgements and Decisions in Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 842.

[15] III ARN 75/94. cit. A. Wyrozumska, Impact of the Case-Law of the Organs of the European Convention on Human Rights on Domestic Law and the National Judge. Judge and International Law, 1998, 150. ერთერთ საქმესთან დაკავშირებით პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლო ასევე დაეყრდნო ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე – *როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ* (2000 წლის 4 მაისი), – რომლითაც დაასაბუთა თავისი პოზიცია. L. Wildhaber, The Application of the Convention and its Case-Law in the Member States; report delivered at the Conference: `The European Convention on Human Rights and its Case Law: Application by Domestic Courts and Public Administration", 6 March 2001, Riga, Latvia.

[16] J. Frowein, Federal Republic of Germany, in: The Effect of Treaties in Domestic Law, F. Jacobs & S. Roberts (Eds.), 1987, 77; H. Steinberger, Reference to the Case-Law of the Organs of the European Convention on Human Rights before National Courts, in: Proceedings of the Sixth International Colloquy about The European Convention on Human Rights, 13-16 November 1985, 1988, 748-750.

[17] Second Report, Committee on International Law in National Courts, International Law Association, 1996, 7; H. Tretter, Austria, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 117 et seq.

დიქციის სასამართლოები იყენებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.[18] ევროპის კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს რეგულარულად იყენებს *ნიდერლანდების* სასამართლოები. ნიდერლანდების სასამართლოები არ იყენებს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტს, თუ აღმოაჩენს, რომ ის ეწინააღმდეგება კონვენციასა და მის განმარტებას, რომელიც მოცემულია ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.[19]

ევროპის კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ხშირად გამოიყენება *შვეიცარიის* სასამართლოების მიერ.[20] მაგალითად, შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ საქმეში, რომელიც სატელეფონო მოსმენის კანონიერებას ეხებოდა, დავის მოგვარების მიზნით ევროპული სასამართლოს რამდენიმე პრეცედენტი გამოიყენა.[21] ევროპული სასამართლოს პრეცედენტის (საქმე *დე კუბერი ბელგიის წინააღმდეგ*) გათვალისწინებით, შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ შეცვალა თავისი მიდგომა მიუკერძოებელი სასამართლო პროცესის კონცეფციის მიმართ.[22] ამ გადაწყვეტილებით ფედერალურმა სასამართლომ აკრძალა ერთი და იმავე მოსამართლის მონაწილეობა წინასწარ გამოძიებასა და საქმის არსებითად განხილვაში, რადგან მიიჩნია, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულება ეწინააღმდეგებოდა ევროპის კონვენციის მე-6(1) მუხლს (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება).[23] *საფრანგეთის* სასამართლოები, მიუხედავად თავდაპირველი თავშეკავებისა ევროპის კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების მიმართ, ამჟამად ხშირად იყენებს კონვენციას და პრეცედენტულ სამართალს თავის პრაქტიკაში.[24]

განსაკუთრებით განვითარებულია *ესპანეთის* სასამართლოების, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს, პრაქტიკა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების თვალსაზრისით.[25] *პორტუგალიის* სასამართლოები

[18] იხ. Judgements of the Constitutional Court of 16 March 1987, Collection (VfSlg) No. 11297/82 (ციტ.: საქმე – *სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, Collection (VfSlg) No. 10948/86; Judgements of the Supreme Court of 18 March 1987, 9 Os 1819/87 and of 27 January 1986, EvBl, 1987/126; the Judgement of the Vienna Court of Appeal of 2 December 1986, 27 Bs 545/86, Medien und Recht 1986, 11 (ციტ.: საქმე *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ*). ასევე იხ. A. Morawa & C. Schreuer, The Role of Domestic Courts in the Enforcement of International Human Rights-A View from Austria, in: Enforcing International Human Rights in Domestic Courts, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 177.

[19] H. Fox, P. Gardner & C. Wickremasinghe, The Enforcement of International Judgements in the Domestic Legal System, L'integration du droit international et communautaire dans l'ordre juridique national, 1996, 66; 602-604.

[20] M. Borghi, Switzerland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 864 et seq.

[21] მაგ., *სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*; *სილვერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*; *კლასი გერმანიის წინააღმდეგ*.

[22] M. Borghi, Switzerland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 867.

[23] G. Ress, The Effect of Judgements and Decisions in Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 829-830.

[24] C. Dupré, France, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 321-324.

[25] G. E. Roca, Spain, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 815 et seq; G. Ress, The Effect of Judgements and Decisions in Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 841; ასევე იხ. T. Buergenthal, Self-Executing and Non-Self-Executing Treaties in National and International Law, 235 *Recueil des Cours* IV 1992, 355.

საკმაოდ ხშირად იყენებს ევროპის კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.[26] მართალია, პორტუგალიის კონსტიტუცია დეტალურად აწესრიგებს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს, პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გათვალისწინებული უნდა იქნეს კონსტიტუციის ადამიანის უფლებათა დებულებების განმარტებისათვის.[27]

კვიპროსის სასამართლოები ასევე იყენებენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.[28] *ნორვეგიის* სასამართლოები ხშირად ხელმძღვანელობენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით.[29] ნორვეგიაში განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ევროპის კონვენციის მე-5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-6 მუხლებთან (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი.[30] *დანიის* სასამართლოები, ევროპის კონვენციასთან ერთად, ითვალისწინებს ასევე ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.[31] *ფინეთის* სასამართლოები იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.[32] *შვედეთის* სასამართლოები პრაქტიკაში ხშირად მიმართავს ევროპის კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.[33]

თურქეთის სასამართლოებმა 90-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება პრაქტიკაში.[34] კანონმდებლობის ნაწილად ევროპის კონვენციის გამოცხადების შემდეგ *მალტის* სასამართლოები, განსაკუთრებით საკონსტიტუციო სასამართლო, რეგულარულად იყენებს ევროპის კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.[35]

[26] J. Madureira, Portugal, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 686 et seq.
[27] *Ibid*, 685.
[28] Para. 43, Report of the Supreme Court of the Republic of Cyprus, XIIth Congress of the Conference of the European Constitutional Courts: "The Relations between the Constitutional Courts and the Other National Courts, Including the Interference in this Area of the Action of the European Courts", 14-16 May 2002, Brussels. მოხსენება ხელმისაწვდომია კონფერენციის ინტერნეტ-გვერდზე: [http://www.confeuconstco.org]; ასევე იხ. A. Loizou, Cyprus, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 220, 222-225.
[29] E. Møse, Norway, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 644 et seq.
[30] R. Ryssdal, Norwegian Problems of Compliance with the Convention and Norwegial Perspectives on Incorporation of the Convention, in: Aspects of Incorporation of the European Convention of Human Rights into Domestic Law, J.P. Gardner (Ed.), 1993, 35-36.
[31] P. Germer, Denmark, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 265-270; H. Fox, P. Gardner & C. Wickremasinghe, The Enforcement of International Judgements in the Domestic Legal System, L'integration du droit international et communautaire dans l'ordre juridique national, 1996, 66.
[32] A. Rosas, Finland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 301.
[33] I. Cameron, Sweden, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 844-845.
[34] Y. Özdek & E. Karacaoðli, Turkey, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 891.
[35] J. S. Pullicino, Malta, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 570 et seq.

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ასევე რეგულარულად გამოიყენება *ლუქსემბურგის* სასამართლოების მიერ.[36]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკა ასევე დამკვიდრდა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოებში, რომლებიც უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში გახდნენ ევროპის საბჭოს მონაწილენი და მოახდინეს ევროპის კონვენციის რატიფიცირება: *პოლონეთის* სასამართლო პრაქტიკაში ხშირია ევროპის კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება;[37] *სლოვენიის* სასამართლოები გამოირჩევა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების ინტენსივობით იმ სახელმწიფოებისაგან, რომლებიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გახდნენ ევროპის კონვენციის მონაწილენი;[38] *ბულგარეთის* საკონსტიტუციო სასამართლო თავის პრაქტიკაში მზარდი სიხშირით იყენებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;[39] *ჩეხეთის* სასამართლოები, განსაკუთრებით საკონსტიტუციო სასამართლო, რეგულარულად იყენებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;[40] *უნგრეთის* სასამართლოები, კონვენციასთან ერთად, ასევე იყენებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.[41]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკა ნელ-ნელა მკვიდრდება ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ ქვეყნებში, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მონაწილენი გახდნენ: *რუსეთში*, რომელიც ევროპის კონვენციის მონაწილე გახდა 1998 წლის 5 მაისს, სასამართლოები, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციასთან ერთად, სულ უფრო ხშირად იყენებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.[42] მა-

[36] დ. სპიელმანი აღნიშნავს, რომ „[ლუქსემბურგის] სასამართლოები თითქმის ყოველდღიურად იყენებენ კონვენციასა და მის ოქმებს. D. Spielmann, Luxembourg, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 535. ლუქსემბურგის სასამართლოების პრაქტიკა კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებისა იხ. ibid, 537 et seq.
[37] A. Drzemczewski & M. Nowicki, Poland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 666.
[38] A. Mavčič, Slovenia, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 791 et seq; L. Wildhaber, The Application of the Convention and its Case-Law in the Member States; report delivered at the Conference: "The European Convention on Human Rights and its Case Law: Application by Domestic Courts and Public Administration", 6 March 2001, Riga, Latvia (on file with the author).
[39] A. Arabadjiev, Bulgaria, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 196, 201.
[40] D. Jílek & M. Hofmann, Czech Republic, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 252-255.
[41] H. Bokor-Szegö & M. Weller, Hungary, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 387-392.
[42] Para. 43, Report of the Constitutional Court of the Russian Federation, XIIth Congress of the Conference of the European Constitutional Courts: "The Relations between the Constitutional Courts and the Other National Courts, Including the Interference in this Area of the Action of the European Courts", 14-16 May 2002, Brussels. მოხსენება ხელმისაწვდომია კონფერენციის ინტერნეტ-გვერდზე: [http://www.confeuconstco.org]. ასევე იხ. G. Danilenko, International Law in the Russian Legal System, American Society of International Law, Proceedings of the 91st Annual Meeting 1997, (1998), 300; M. Ferschtman, Russia, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 742 et seq.

გალითისათვის შეიძლება რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილების მოშველიება, რომელშიც სასამართლო დაეყრდნო ევროპული სასამართლოს პრეცედენტებს ისეთ უფლებებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (კონვენციის მე-5 მუხლი),[43] ადვოკატის დახმარების მიღების უფლება (კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და მე-3(c) პუნქტები),[44] საკუთრების უფლება (კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლი),[45] სამართლიანი სასამართლოს უფლება (კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი);[46] *ესტონეთის* სასამართლოებში ასევე მკვიდრდება ევროპის კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკა;[47] ეროვნული სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის გამოყენების პრაქტიკა მკვიდრდება ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც.[48]

ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა პრაქტიკის მიმოხილვამ ცხადყო, რომ ევროპულ სახელმწიფოებს შორის აზრთა თანხვედრაა ევროპის კონვენციასთან ერთად ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობაზე.

[43] ამ საქმესთან დაკავშირებით რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლო დაეყრდნო ევროპული სასამართლოს ექვს გადაწყვეტილებას. იხ. რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება საქმეზე – „რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 51-ე მუხლის მეორე ნაწილის კონსტიტუციურობის შემოწმების შესახებ", 2000 წლის 27 ივნისი, N11-პ, მე-3 პუნქტი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ინტერნეტ-გვერდზე: [http://ks.rfnet.ru].

[44] იქვე.

[45] რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლო დაეყრდნო ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს საქმეებზე: *სპორონგი და ლუნნოლი შვედეთის წინააღმდეგ* (1982 წ.) და *ჯეიმსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (1986 წ.). იხ. რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება საქმეზე – „ქ. მოსკოვში ფასიანი მიწათსარგებლობის საფუძვლების შესახებ ქ. მოსკოვის კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის კონსტიტუციურობის შემოწმების შესახებ", 2001 წლის 13 დეკემბერი, N16-პ, მე-3 პუნქტი. საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ სხვა საქმეში, ევროპის სასამართლოს ზემოხსენებული ორი გადაწყვეტილების გარდა, საკონსტიტუციო სასამართლო დაეყრდნო ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე – *ლისგოუ და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (1986 წ.); საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება საქმეზე – „გაკოტრების შესახებ ფედერალური კანონის 104-ე მუხლის მე-4 პუნქტის დებულებათა კონსტიტუციურობის შემოწმების შესახებ", 2000 წლის 16 მაისი, N8-პ, მე-3 და მე-5 პუნქტები. იხ. რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ინტერნეტ-გვერდზე.

[46] რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლო დაეყრდნო ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე – *პორტასი საბერძნეთის წინააღმდეგ* (1997 წ.), იხ. რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება საქმეზე – „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების რეფერენდუმში მონაწილეობის უფლებისა და საარჩევნო უფლებათა ძირითადი გარანტიების შესახებ ფედერალური კანონის 64-ე მუხლისა და რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო დუმის დეპუტატთა არჩევნების შესახებ ფედერალური კანონის 92-ე მუხლის კონსტიტუციურობის შემოწმების შესახებ", 2002 წლის 15 იანვარი, N1-პ, მე-4 პუნქტი. იხ. რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ინტერნეტ-გვერდზე.

[47] R. Maruste, Estonia, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 286-287.

[48] V. Vadapalas, Lithuania, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 512 et seq; L. Wildhaber, The Application of the Convention and its Case-Law in the Member States; report delivered at the Conference: "The European Convention on Human Rights and its Case Law: Application by Domestic Courts and Public Administration", 6 March 2001, Riga, Latvia (on file with the author).

4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების მოტივები

რა განაპირობებს ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებას მართლმსაჯულების განხორციელების დროს?

როგორც უკვე აღინიშნა, ევროპის კონვენციით ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხოლოდ სასამართლო დავაში მონაწილე სახელმწიფოებისათვის. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან კონკრეტული დავის მხარეები, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს იყენებს პრაგმატული მოსაზრებით. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, მათ შორის ეროვნული სასამართლოები, პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როგორც კონვენციის საზედამხედველო ორგანო, ახდენს ევროპის კონვენციის დებულებათა ავტორიტეტულ განმარტებას. ეს განაპირობებს სახელმწიფოების, მათ შორის ეროვნული სასამართლოების, მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების (პრეცედენტების) გამოყენებას, რომლებიც ეხება კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს.[49]

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე, ის ამ გადაწყვეტილების (პრეცედენტის) მეშვეობით განმარტავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს.[50] კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებით ევროპული სასამართლო ადგენს სტანდარტს, რომლის მნიშვნელობა სცილდება კონკრეტულ სასამართლო საქმეს.[51] ევროპული კონვენციის განმარტებით, რაც გამოიხატება პრეცედენტულ სამართალში, ევროპული სასამართლო ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დადგენის ფუნქციას.[52] ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დადგენის ფუნქციაზე ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში. მან განაცხადა, რომ „ფაქტობრივად სასამართლოს გადაწყვეტილებები მიზნად ისახავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე განსახილველად წარმოდგენილ საქმეთა გადაწყვეტას, არამედ, უფრო ზოგადად, ნათელი მოჰფინოს, დაიცვას და განავითაროს კონვენციით გათვალ-

[49] E. Klein, Should the Binding Effect of the Judgements of the European Court of Human Rights be Extended? in: Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.), 2000, 705. ასევე იხ. Para. 43, Report of the Constitutional Court of the Russian Federation, XIIth Congress of the Conference of the European Constitutional Courts: `The Relations between the Constitutional Courts and the Other National Courts, Including the Interference in this Area of the Action of the European Courts", 14-16 May 2002, Brussels. მოხსენება ხელმისაწვდომია კონფერენციის ინტერნეტ-გვერდზე: [http://www.confeuconstco.org].

[50] J. Polakiewicz, The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law, 17 Human Rights Law Journal, N11-12, 1996, 407.

[51] საქმე *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, Series A, N25, 154-ე პუნქტი.

[52] J. Polakiewicz, *The Implementation of the ECHR and of the Decisions of the Strasbourg Court in Western Europe: An Evaluation*, The Domestic Implementation of the European Convention on Human Rights in Eastern and Western Europe (eds. E. Alkema, T. Bellekom, A. Drzemczewski *et al.*), 1992, 154.

ისწინებული ნორმები და ამგვარად ხელი შეუწყოს სახელმწიფოების, როგორც ხელშემკვრელი მხარეების მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებას".[53]

4.1. ეროვნული სასამართლოები ათვითცნობიერებს, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის, მისი პრეცედენტული სამართლის გაანალიზების გარეშე ძალზე რთულია კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შინაარსის სწორად დადგენა და, შესაბამისად, კონვენციის დებულებათა სწორად გამოყენება. კონვენციაში ჩამოყალიბებული მრავალი ნორმა ძალზე ზოგადად არის ფორმულირებული. კონვენციით გათვალისწინებული დებულებების შინაარსი გამოიხატება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.[54] ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში, კონკრეტულ გადაწყვეტილებებში ზუსტდება კონვენციის (და მისი ოქმების) დებულებათა შინაარსი და მოცულობა.[55] კონვენციის დებულებათა განმარტება, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, ნათელს ჰფენს კონვენციით განმტკიცებულ ვალდებულებათა ფარგლებსა და შინაარსს, რაც ხშირად პირდაპირ არ ჩანს კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად.[56]

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აზუსტებს კონვენციის ცალკეულ დებულებათა შინაარსსა და ფარგლებს, ისევე როგორც გამოყენების სფეროს, ევროპულ სახელმწიფოთა ეროვნული სასამართლოები არ განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციას ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გარეშე.[57] როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტმა ლუციუს ვილდჰაბერმა აღნიშნა: „გადამწყვეტი მნიშვნელობა ეროვნულ სამართალში ენიჭება კონვენციის ტექსტს, თუმცა ასეთივე მნიშვნელობა უნდა განეკუთვნოს შესაბამის სასამართლო პრაქტიკას, რომელიც კონვენციის ტექსტიდან გამომდინარეობს."[58]

ევროპის კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტები არ განისაზღვრება მხოლოდ კონვენციის ტექსტით. ისინი დადგენილია როგორც კონვენციის ტექსტით, ისე მის საფუძველზე მიღებული პრეცედენტული სამართლით.[59] სხვა სიტყვებით, ევროპის კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტებში მოიაზრება არა მხოლოდ თავად კონვენციის ტექსტით გათვალისწინებული სტანდარტები, არამედ ასევე

[53] *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, Series A, N25, 154-ე პუნქტი.

[54] J. Polakiewicz, The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law, 17 Human Rights Law Journal, N11-12, 1996, 407.

[55] L. Wildhaber, Speech made at Ministerial Conference on Human Rights to Commemorate the Fiftieth Anniversary of the Convention, in: The European Convention on Human Rights at 50, Human Rights Information Bulletin (special issue), N50, 2000, 42.

[56] J. Polakiewicz, The Execution of Judgements of the European Court of Human Rights. in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 72-73.

[57] J. Madureira, Portugal, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 683.

[58] ლ. ვილდჰაბერი, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 2002 წელი, გვ. 63.

[59] M. Melchior. Main Point of the General Report, Seminar "Partners for the Protection of Human Rights: Reinforcing Interaction Between the European Court of Human Rights and National Courts", 9-10 September 2002, Strasbourg.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით ჩამოყალიბებული სტანდარტები.[60]

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოშველიება, რომლის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე. თუ არ გაანალიზდა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ძალზე რთულია იმის დადგენა, კონკრეტულად რას გულისხმობს: სამართლიანი და საჯარო მოსმენა, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო, გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს ასეთი მოსმენა და როგორ უნდა იქნეს ეს პრინციპები გამოყენებული პრაქტიკაში.

ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობას ადასტურებენ მეცნიერი იურისტები. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დავეყრდნოთ იორგ პოლაკიევიჩის შეხედულებას, რომელმაც აღნიშნა:

„კონვენციის მრავალი დებულების ნამდვილი მნიშვნელობის სათანადოდ გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მხედველობაში მიიღება სტრასბურგის სასამართლოსა და კომისიის პრაქტიკა.

სტრასბურგის პრეცედენტული სამართლის მზარდი მნიშვნელობა გავლენას ახდენს ეროვნული სასამართლოების მიერ კონვენციის გამოყენებაზე. თუ წარსულში ზოგადად მოიშველიებოდა კონვენციის ცალკეული დებულებანი, დღეს ეროვნული სასამართლოები რეგულარულად ითვალისწინებს ამ დებულებათა გამოყენების პრაქტიკას სტრასბურგის სასამართლოს მიერ. მაგალითად, საქმის სამართლიანი განხილვის გარანტიები ან მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა არ განისაზღვრება ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მხოლოდ მე-6 მუხლის საფუძველზე. მათი [*საქმის სამართლიანი განხილვის გარანტიების ან მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის*–კ.კ.] დამახასიათებელი ნიშნების დასადგენად ეროვნული სასამართლოები იყენებს იმ კონკრეტულ კრიტერიუმებს, რომლებიც სხვადასხვა საქმის კონტექსტში განვითარდა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში."[61]

ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დიდია იმის ალბათობა, რომ ევროპული კონვენციის დებულებებს განსხვავებულად განმარტავენ ეროვნული სასამართლოები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ევროპის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა სახელმწიფოს მიერ. თუ ეროვნულმა სასამართლომ არ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, მან შეიძლება უფრო ვიწროდ განმარტოს ის უფლება, რომელიც ენიჭება პირს. ამის შედეგად პირი არ იქნება უზრუნველყოფილი იმ უფლებით, რომელიც მას ენიჭება ევროპის კონვენციით. ასეთ შემთხვევაში, თუ პირი მიმარ-

[60] M. Macovei, Freedom of Expression: A Guide to the Implementation on Article 10 of the European Convention on Human Rights, 2001, 5.

[61] J. Polakiewicz, The Status of the Convention in National Law, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 51.

თავს ევროპულ სასამართლოს იმის მტკიცებით, რომ ეროვნულმა სასამართლომ იგი არ უზრუნველყო იმ უფლებით, რომელიც მას ენიჭება ევროპის კონვენციით, ევროპული სასამართლო მის სასარგებლოდ გადაწყვეტს დავას და დაადგენს, რომ სახელმწიფომ, რომლის სასამართლომაც კონვენციით გათვალისწინებული დებულება უფრო ვიწროდ განმარტა, ვიდრე ეს განსაზღვრულია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, არ შეასრულა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებანი.[62]

კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა შინაარსის დადგენაში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ კონვენცია არის არა სტატიკური, არამედ „ცოცხალი" დოკუმენტი.

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია მიღებულია 1950 წელს. იგი პირველი იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო სამართლებრივი აქტია, რომელმაც საერთაშორისო დონეზე განამტკიცა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.[63] ამ პერიოდიდან მოყოლებული, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვა როგორც უნივერსალურ, ისე რეგიონულ დონეზე მნიშვნელოვნად განვითარდა, განმტკიცდა ადამიანთა უფლებრივი გარანტიები, გაფართოვდა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსი და მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია გამონაკლისი არ არის. მისი მიღებიდან გასული ხუთი ათწლეულის განმავლობაში ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებშიც იცვლებოდა საზოგადოებრივი ცნობიერება, მიდგომა ამა თუ იმ ზნეობრივი ფასეულობებისადმი. მათთან ერთად შეიცვალა ადამიანის უფლებათა შინაარსი, გაფართოვდა ის გარანტიები, რომლებიც პირს ენიჭება ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით.

ბუნებრივია, რომ ევროპულ სასამართლოს ჯეროვანი პასუხი უნდა გაეცა აღნიშნული ცვლილებებისათვის, რაც შეუძლებელი იყო სასამართლოს მიერ საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ზნეობრივი ფასეულობების კვალდაკვალ ევროპის კონვენციით დაცული უფლებებისათვის უფრო ფართო შინაარსის მინიჭების გარეშე. ამისათვის ევროპის კონვენციის საზედამხედველო ორგანოებმა[64] ჩამოაყალიბა და განავითარა ევროპის კონვენციით განმტკიცებული უფლებების „დინამიკური" განმარტების კონცეფცია. სასამართლომ თავის ერთ-ერთ საქმეში მიუთითა, რომ მხედველობაშია მისაღები კონვენციის სპეციალური ხასიათი, კერძოდ კი ის, რომ კონვენცია „ცოცხალი" დოკუმენტია, რომელიც უნდა განიმარტოს დემოკრატიულ სახელმწიფოში დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.[65] სასამართლომ უარყო კონვენციის სტატიკური, ისტორიული განმარტების იდეა.[66] შესაბამისად,

[62] J. Velu, Report on „Responsibilities for States Parties to the European Convention", in: Proceedings of the Sixth International Colloquy about The European Convention on Human Rights, 13-16 November 1985, 1988, 592-593.

[63] თუმცა 1945 წელს მიღებულმა გაეროს წესდებამ პირველად მოახდინა ადამიანის უფლებათა დაცვის „ინტერნაციონალიზაცია".

[64] ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

[65] *Inter alia*, იხ. საქმე *გან დერ მიუსელი ბელგიის წინააღმდეგ*, 1983 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება, 32-ე პუნქტი.

[66] J. Frowein, The European Convention on Human Rights as the Public Order of Europe, in: Collected Courses of the Academy of European Law, 1990, vol. I(2) 1992, 302.

ევროპის კონვენციით გათვალისწინებულ კონცეფციებს ევროპული სასამართლო იმ მნიშვნელობით განმარტავს, რაც ასახავს ევროპული საზოგადოების დღევანდელ განვითარებას და არა იმ მნიშვნელობით, რომელიც კონვენციის მიღების დროს არსებობდა.[67] მაგალითად, საქმეში – *თაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (1978 წელი), რომელიც ეხებოდა არასრულწლოვანის გაწკეპვლას, – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპის კონვენცია, კერძოდ მისი მე-3 მუხლი,[68] უნდა განიმარტოს დღევანდელი მნიშვნელობით და არა იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ენიჭებოდა 1950 წელს. ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმის არსი იყო ის, წარმოადგენდა თუ არა არასრულწლოვანის გაწკეპვლა ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, კერძოდ კი შეადგენდა თუ არა ეს მოქმედება ღირსების შემლახავ სასჯელს. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განვითარებისა და ზოგადად დამკვიდრებული სტანდარტების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გაწკეპვლა არის ღირსების შემლახავი სასჯელი და, შესაბამისად, მიიჩნია, რომ არასრულწლოვანის გაწკეპვლით დაირღვა ევროპის კონვენციის მე-3 მუხლი.[69]

ამ კონცეფციის მეშვეობით ევროპული სასამართლო აზუსტებს კონვენციით დაცული უფლებების შინაარსს, აფართოებს მათში ჩამოყალიბებულ გარანტიებს.[70] ხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ კონვენციის ნორმების განმარტება იცვლება და ვითარდება დროთა განმავლობაში, საზოგადოების ცნობიერების განვითარებისა და ზნეობრივი ფასეულობების შეცვლასთან ერთად.[71] ესა თუ ის მოქმედება, რომელიც 50-60-ან წლებში არ განიხილებოდა კონვენციის დარღვევად, 80-90-იან წლებში შეიძლება ასეთად ჩაითვალოს.

ევროპული კონვენცია საკმაოდ „მშრალი" დოკუმენტია. კონვენციის ანალოგიური დებულებები ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობაში შეიძლება მოიძებნოს, მაგრამ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამდიდრებს ამ დებულებებს, განმარტავს კონვენციის ნორმებს, ადგენს მისი გამოყენების შესაძლებლობას კონკრეტულ გარემოებათა მიმართ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით ეროვნულმა ინსტიტუტებმა, მათ შორის სასამართ-

[67] R. Bernhardt, The Convention and Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 31-32.

[68] „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას".

[69] საქმე *თაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1978 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება; ასევე იხ. J. Merrils, The Development of International Law by the European Court of Human Rights, 1993, 79-80.

[70] N. Mikkelsen, The Implementation in National Law of the Rights and Freedoms Embodies in the European Convention on Human Rights, in: The Implementation in National Law of the European Convention on Human Rights, Proceedings of the Fourth Copenhagen Conference on Human Rights, 28-29 October, 1988, 1989, 93.

[71] Para. 43, Report of the Constitutional Court of the Russian Federation, XIIth Congress of the Conference of the European Constitutional Courts: „The Relations between the Constitutional Courts and the Other National Courts, Including the Interference in this Area of the Action of the European Courts", 14-16 May 2002, Brussels. მოხსენება ხელმისაწვდომია კონფერენციის ინტერნეტ-გვერდზე: [http://www.confeuconstco.org].

ლოებმა უნდა გაითვალისწინოს ამ პრეცედენტების მიღების პერიოდი. ვინაიდან ევროპის კონვენცია „ცოცხალი" დოკუმენტია, რის გამოც კონვენციის ამა თუ იმ უფლების შინაარსი შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლასთან ერთად, დასაშვებია, რომ ესა თუ ის კონკრეტული პრეცედენტი, რომელიც გამოიყენა ეროვნულმა სასამართლომ, შეიძლება მოძველებული იყოს. რაც უფრო ძველია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, მით უფრო ნაკლებად სარწმუნოა იგი და, შესაბამისად, მით უფრო დიდია ევროპის კონვენციით გათვალისწინებული უფლების არასწორი განმარტების რისკი.[72] ამიტომაც ეროვნულმა სასამართლოებმა მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს, რათა აღმოაჩინოს და გამოიყენოს უახლესი პრეცედენტები, რომლებიც მიღებულია ევროპული სასამართლოს მიერ. ცხადია, რომ ამისათვის საჭიროა ჩამოყალიბდეს სისტემა, რომელიც მოსამართლეებს მისცემს საშუალებას, მუდმივად ადევნონ თვალყური ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის დებულებათა „ახლებურ" განმარტებას.

როგორც უკვე აღინიშნა, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რათა განმარტოს ევროპის კონვენციის დებულებები. ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს შეუძლია, მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინოს ეროვნულ სასამართლოებს კონვენციის დებულებების გამოყენებისას. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რისთვისაც მათ უნდა მოიძიონ ევროპული სასამართლოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებიან ანალოგიურ სიტუაციას, დასაშვებია, ეროვნულმა სასამართლომ ვერ მიაკვლიოს ევროპული სასამართლოს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ნათელს მოჰფენს ევროპის კონვენციის დებულებათა განმარტებას იმ კონტექსტში, რომელიც ეროვნული სასამართლოს მიერ განიხილება. ამის მიზეზი შეიძლება მარტივი იყოს: ევროპულ სასამართლოს არ ჰქონდეს განხილული ანალოგიური დავა იმის გამო, რომ არავის მიუმართავს მისთვის ადამიანის უფლებათა ასეთ გარემოებაში დასაცავად. ცხადია, ევროპული სასამართლო იხილავს საქმეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მიმართა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევის მტკიცებით. ევროპული სასამართლო არ არის უფლებამოსილი, განიხილოს საქმეები ***in abstracto***. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება ვერ აღმოაჩინოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტი, რომელიც ეროვნული სასამართლოს წინაშე განსახილველი საქმის გარემოებების ანალოგიურია, ასეთი პრეცედენტის არარსებობა არ ნიშნავს, რომ ეროვნულმა სასამართლომ უნდა შეწყვიტოს კონვენციის განხილვა და საქმე გადაწყვიტოს მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის საფუძველზე.[73] ეროვნულმა სასამართლომ თავად უნდა შეაფასოს საქმის გარემოებები და კონვენციის შესაბამისი დებულებები გამოიყენოს დავის გადასაწყვეტად. მაგალითად, თუ ეროვნული სასამართლო იხილავს დავას კონვენციის მე-8–მე-11 მუხლებთან დაკავშირებით,[74] მას

[72] P. Plowden & K. Kerrigan, Advocacy and Human Rights: Using the Convention in Court and Tribunals, 2002, 157.

[73] M. Scheinin, International Human Rights in National Law, An Introduction to the International Protection of Human Rights (Eds. R. Hanski & M. Suksi), 1999, 421-422.

[74] პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება; აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; აზრის თავისუფლება; შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება.

შეუძლია განიხილოს ამ მუხლების მე-2 პუნქტებით დადგენილი სამი კრიტერიუმი, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს ხსენებული მუხლებით დადგენილი უფლებები და თავისუფლებები.[75]

ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ, რათა შესაძლებელი გახდეს კონვენციით გათვალისწინებული ამა თუ იმ სამართლებრივი ცნებისა თუ პრინციპის კონკრეტული შინაარსის დადგენა, რის გარეშეც ძალზე რთულია კონვენციის დებულებათა სწორი გამოყენება.[76]

4.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება იმ გარანტიების დადგენისათვის, რომლებიც დაცულია კონვენციით. როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით (და მისი დამატებითი ოქმებით) დაცული უფლებები და თავისუფლებები არ არის ყოვლისმომცველი. კონვენციაში შეუძლებელია ყველა იმ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ დებულებების მოძიება, რომლებიც იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შეიძლება მიენიჭოთ.

მიუხედავად ამისა, ის ფაქტი, რომ კონვენციაში პირდაპირ არ არის მითითება ამა თუ იმ გარემოებაზე, რომლებზეც შეიძლება გავრცელდეს კონვენციის კონკრეტული უფლება, არ ნიშნავს, რომ გამორიცხება ამ გარემოებაზე კონვენციით გათვალისწინებული უფლების გავრცელება. კონვენციით განმტკიცებული გარანტიების გამოყენების არეალი შეიძლება გაფართოვდეს ევროპული კონვენციის პრეცედენტული სამართლით და გამოყენებულ იქნეს ისეთი გარემოებების მიმართ, რომლებიც პირდაპირ არ არის მოხსენიებული ევროპულ კონვენციაში.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება კონკრეტული მაგალითების მოყვანა. საქმეში – *კლასი გერმანიის წინააღმდეგ*, რომელიც ეხებოდა სატელეფონო მოსმენას, – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ არ იცავს სატელეფონო საუბრების კონფიდენციურობას, ამ მუხლით განსაზღვრული ცნება „პირადი ცხოვრება" და „მიმოწერა" მოიცავს მას.[77]

ასევე შეიძლება სხვა მაგალითის მოყვანა, რომელიც ნათელყოფს, კონვენციის დებულებებთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობას კონკრეტული უფლების შინაარსის დასადგენად. საქმეში – *ნიმიტცი გერმანიის წინააღმდეგ*, რომელიც ეხებოდა მ. ნიმიტცის, პროფესიით ადვოკატის, პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის პატივისცემის უფლებას (კონვენციის მე-8 მუხლი), – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ განმცხადებლის საადვოკატო ოფისის გაჩხრეკამ დაარღვია მისი პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის პატივისცემის უფლება. ევროპულმა სასა-

[75] M. Macovei, Freedom of Expression: A Guide to the Implementation on Article 10 of the European Convention on Human Rights, 2001, 24.

[76] T. Buergenthal, International Tribunals and National Courts: The Internationalization of Domestic Adjudication, in: Recht zwischen Umbruch und Bewahrung: Ferstschrift für Rudolf Bernhardt, 1995, 687.

[77] საქმე *კლასი გერმანიის წინააღმდეგ*, 1978 წელი, 41-ე პუნქტი.

მართლომ განმარტა, რომ საადვოკატო ოფისი, უფრო ზოგადად კი განმცხადებლის სამუშაო ადგილი, ექცევა ევროპის კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში.[78] აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ცნება „საცხოვრებელი", რომელიც დაცულია ევროპის კონვენციის მე-8 მუხლით, მოიცავს ინდივიდის სამუშაო ადგილს და, შესაბამისად, იცავს პირს უკანონო ჩარევისაგან.[79]

მართალია, ევროპის კონვენცია პირდაპირ არ აწესრიგებს ექსტრადიციის საკითხს, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა ნათელი მოჰფინა იმას, რომ იმ სახელმწიფოში პირის ექსტრადიცია, რომელშიც მის მიმართ არსებობს წამების ან არაადამიანური მოპყრობის დასაბუთებული ეჭვი, შეიძლება ჩაითვალოს გადამცემი სახელმწიფოს მიერ ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად. ცხადია, თუ სახელმწიფომ, მისმა ეროვნულმა სასამართლომ არ განიხილა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და არ დაადგინა ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის გამოყენების შესაძლებლობა ექსტრადიციის საკითხებზე, იგი არ ჩათვლის, რომ კონვენციის მე-3 მუხლი უნდა იყოს გამოყენებული ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

ამდენად, მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით ეროვნულმა სასამართლოებმა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ ევროპის კონვენციის სტანდარტების დადგენა ძალზე რთულია მხოლოდ კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად. კონვენციაში შეიძლება საერთოდ არ იყოს მოხსენიებული ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელზეც ვრცელდება კონვენციის უფლებები და თავისუფლებები. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება საშუალებას აძლევს მოსამართლეებს, რათა ისინი ჩასწვდნენ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს.

4.3. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ განპირობებულია ასევე იმით, რომ იგი აძლევს ეროვნულ სასამართლოებს იმ გადაწყვეტილების განჭვრეტის შესაძლებლობას, რომელსაც სავარაუდოდ მიიღებს ევროპული სასამართლო ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში განაცხადით მიმართვის შემთხვევაში.

თუ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადრე განხილულ საქმეზე დაადგინა კონვენციის დარღვევა ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს მიერ, დიდია იმის ალბათობა, რომ მსგავს საქმეზე, რომელიც მომავალში შეიძლება განიხილოს ევროპულმა სასამართლომ, იგი მიიღებს ასეთსავე გადაწყვეტილებას, კერძოდ, დაადგენს სახელმწიფოს მიერ კონვენციის დარღვევას.[80]

თუ ეროვნული სასამართლოები არ გაითვალისწინებენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, არ მოახდენენ კანონმდებლობისა და პრაქტიკის, განსაკუთრებით კი სასამართლო პრაქტიკის, კორექტირებას ევროპული სასამართლოს მიერ ანალოგიურ საქმეებზე ადრე მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, ისინი დადგებიან რეალური საფრთხის წინაშე, რომ ევროპული სასამართლო დაადგენს ევროპის კონვენციის დარღვევას ამ სახელმწიფოს მიერ. სხვა სიტყვებით, თუ ეროვნულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ევროპული სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები ანალოგიურ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა, სავარაუდოა, რომ ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემთხვევაში ევროპული სასამართლო იმავეს დაადგენს.[81]

ცხადია, სახელმწიფოს, მისი ეროვნული სასამართლოების ინტერესებშია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება, რაც მას მისცემს შესაძლებლობას, დაიცვას იურიდიული და ფიზიკური პირების უფლებები ევროპული სტანდარტებით. თუ ეროვნულმა სასამართლოებმა გამოიყენა პრეცედენტული სამართალი და მასში დადგენილი სტანდარტებით დაიცვა პირთა უფლებები, ნაკლებად მოსალოდნელია, ამ პირებმა მიმართონ ევროპულ სასამართლოს თავიანთი უფლებების დასაცავად და აქედან გამომდინარე, მცირეა იმის ალბათობა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინოს, რომ ამ სახელმწიფომ დაარღვია ევროპის კონვენცია.

თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები (პრეცედენტები) არ არის მისთვის სავალდებულო მომდევნო საქმეებზე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს, რომ ის გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც წესი, ითვალისწინებს თავის ადრინდელ გადაწყვეტილებებს, მათ შორის კონვენციის ამა თუ იმ მუხლის განმარტებას.[82] ამ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *კოსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* – აღნიშნა:

„მართალია, [...] სასამართლოსათვის არ არის სავალდებულო თავისი ადრინდელი გადაწყვეტილებები, [...] მაგრამ, იგი, ჩვეულებრივ, მისდევს და იყენებს თავისსავე პრეცედენტებს, რაც სამართლებრივი სიცხადისა და კონვენციის პრეცედენტული სამართლის თანამიმდევრულად განვითარების ინტერესებისთვისაა საჭირო".[83]

საერთაშორისო სასამართლოების მიერ თავიანთი გადაწყვეტილებების მხედველობაში მიღების ფენომენი ბრიტანელმა იურისტმა ჰ. ლაუტერპახტმა შემდეგნაირად ახსნა:

„რადგან ასეთი გადაწყვეტილებები არის დროთა განმავლობაში შეძენილი სამართლებრივი გამოცდილება, რომლის მიმდევრობა მოხერხებულია; რადგან ისინი ასახავენ იმას, რაც წარსულში სასამართლომ სამართლიანად ჩათვალა; რადგან ადრე მიღებული გადაწყვეტილებების პატივისცემა უზრუნველყოფს სიცხადესა და სტაბილურობას, რაც მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელებ-

[78] 1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, Series A, N251 B, 1992, 29-ე-33-ე პუნქტები.

[79] იქვე; ასევე იხ. L. Clements, N. Mole & A. Simmons, European Human Rights: Taking a Case Under the Convention, 1999, 24-25.

[81] E. Alkema, Responsibilities Deriving from the Implementation of the European Convention on Human Rights: Responsibilities for States Parties to the Convention, in: Proceedings of the Sixth International Colloquy about The European Convention on Human Rights, 13-16 November 1985, 1988, 708.

[82] L. Wildhaber, Precedent in the European Court of Human Rights, in: Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.), 2000, 1529-1531.

[83] 1990 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, Series A, N184, 35-ე პუნქტი.

ისათვის; და [...] რადგან მოსამართლეებს ბუნებრივად არ სურთ, ამისათვის საკმარისი მიზეზების გარეშე აღიარონ, რომ წარსულში შეცდნენ."[84]

ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც წესი, ითვალისწინებს თავის ადრინდელ გადაწყვეტილებებს (პრეცედენტულ სამართალს), არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია შეცვალოს თავისი შეხედულება და განსხვავებულად განმარტოს კონვენციის დებულებები. საქმეში – *კოსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* – ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა მომდევნო საქმეებზე გამოყენების პრაქტიკა „ხელს არ შეუშლის სასამართლოს, გადაუხვიოს ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას, თუ იგი დარწმუნდა, რომ არსებობს ამისათვის დამაჯერებელი მიზეზები. ასეთი გადახვევა შეიძლება მოხდეს, რათა, მაგალითად, უზრუნველყოფილ იქნეს კონვენციის ისეთი განმარტება, რომელიც ასახავს საზოგადოებრივ ცვლილებებს და შეესატყვისება დღევანდელ პირობებს."[85]

როგორც თავად კონვენციით, ისე სასამართლო პრაქტიკით დადასტურებულია ევროპული სასამართლოს მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რომელიც განასხვავებს მის დღევანდელ მიდგომას ადამიანის უფლებათა დაცვის ამა თუ იმ საკითხისადმი ადრინდელი მიდგომისაგან.[86] ევროპის კონვენციის 30-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს ევროპული სასამართლოს მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რომელიც შეუთავსებელია სასამართლოს მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებასთან.[87] რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას ევროპის კონვენციის ისეთ განმარტებასთან დაკავშირებით, რომელიც განსხვავდება ადრინდელი განმარტებისაგან, სასამართლო პრაქტიკაში მრავლად იყო შემთხვევა, როდესაც ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის დებულებათა განმარტება განსხვავდებოდა ადრინდელისაგან.[88]

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სასამართლოების ნაწილი დავების გადაწყვეტისას იყენებს არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, არამედ ევროპული კომისიის გადაწყვეტილებებს. როგორც ცნობილია, ევროპულმა კომისიამ შეწყვიტა საქმიანობა მას შემდეგ, რაც განხორციელდა ევროპის კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმა.[89] მართალია, ეროვნული სასა-

[84] H. Lauterpacht, The Development of International Law by the International Court, 1958, 14.

[85] 1990 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, Series A, N184, 35-ე პუნქტი.

[86] იხ. საქმეები: *დელკური ბელგიის წინააღმდეგ* (1970 წელი) და *ბორგერსი ბელგიის წინააღმდეგ* (1990 წელი); *შესერი შვეიცარიის წინააღმდეგ* (1979 წელი) და *ჰუბერი შვეიცარიის წინააღმდეგ* (1990 წელი); ასევე იხ. L. Wildhaber, Precedent in the European Court of Human Rights, in: Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.), 2000, 1532-1533.

[87] ევროპის კონვენციის 30-ე მუხლის თანახმად: „როდესაც პალატის განხილვაში მყოფი საქმე წამოჭრის სერიოზულ საკითხს, რომელიც გავლენას ახდენს კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებაზე, ან პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ განაჩენთან შეუთავსებელი შედეგი, პალატას უფლება აქვს, განაჩენის გამოტანამდე ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგებლოდ, თუ საქმის ერთ-ერთი მხარე არ არის წინააღმდეგი."

[88] J. Merrils, The Development of International Law by the European Court of Human Rights, 1993, 14.

[89] კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმა დასრულდა 1998 წელს კონვენციის მე-11 დამატებითი ოქმის ძალაში შესვლით. მართალია, ახალმა ევროპულმა სასამართლომ 1998 წლის 1 ნოემბრიდან დაიწყო ფუნქციონირება, მაგრამ ევროპულმა კომისიამ კიდევ ერთი წელი გააგრძელა საქმიანობა დარჩენილ საქმეებზე მუშაობის დასასრულებლად.

მართლოები დავების გადაწყვეტის დროს, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გარდა, ეყრდნობა კომისიის გადაწყვეტილებებს კონვენციის დებულებათა განმარტებისათვის, მათ მხედველობაში უნდა მიიღონ ის გარემოება, რომ ხშირად სასამართლოს შეხედულება კონვენციის დებულებათა განმარტების შესახებ განსხვავდებოდა კომისიის შეხედულებისაგან. იმის გათვალისწინებით, რომ საბოლოოდ ევროპული სასამართლო ადგენდა, თუ როგორ უნდა განიმარტოს ევროპის კონვენციის დებულებები, უეჭველია, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ეროვნული სასამართლოებისათვის კონვენციის დებულებათა განმარტების ბევრად უფრო ავტორიტეტული წყაროა, ვიდრე ევროპული კომისიის გადაწყვეტილებები.[90] ამას გარდა, გასათვალისწინებელია, რომ ევროპულმა კომისიამ შეწყვიტა არსებობა და, შესაბამისად, ევროპული კომისიის განმარტება შეიძლება აღარ ასახავდეს დღევანდელ რეალობას.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მნიშვნელოვანი როლი მართლმსაჯულების განხორციელებისას დასტურდება არა მხოლოდ იმ სახელმწიფოთა ეროვნული სასამართლოების პრაქტიკით, რომლებშიც ევროპის კონვენცია განიხილება კანონმდებლობის ნაწილად, არამედ ასევე იმ სახელმწიფოების სასამართლოების პრაქტიკით, სადაც ევროპის კონვენცია არ არის ასეთად მიჩნეული. დღეისათვის კონვენციის მონაწილე ერთადერთი სახელმწიფო, რომელშიც კონვენცია არ არის აღიარებული კანონმდებლობის ნაწილად, ირლანდიაა.[91] მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გამოიყენება ირლანდიის სასამართლოების მიერ ირლანდიის კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანი დებულებების განმარტებისათვის. ბრიტანეთი[92] და ნორვეგია[93] იმ სახელმწიფოთა მაგალითია, რომლებშიც ეროვნული კანონმდებლობის ნაწილად კონვენციის აღიარებამდეც კი ეროვნული სასამართლოები იყენებდნენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ეროვნული კანონმდებლობის ზოგადი და ბუნდოვანი ნორმების განმარტებისათვის.[94]

საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს იყენებს არა მხოლოდ ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სასამართლოები, არამედ არაევროპულ სახელმწიფოთა სასამართლოები.[95] ნაწილობრივ ეს ტენდენცია განპირობებულია ევროპის კონვენციით და სამო-

[90] K. Starmer, European Human Rights Law: The Human Rights Act 1998 and the European Convention on Human Rights, 1999, 19. რაც შეეხება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებებს, რომელნიც კონვენციის მე-11 ოქმის ძალაში შესვლამდე (1998 წ.) ასევე არსებითად წყვეტდნენ საქმეებს, მათი მნიშვნელობა ეროვნული სასამართლოებისათვის უკიდურესად მცირეა, რადგან მისი გადაწყვეტილებები არ საბუთდებოდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა მსგავსად. იხ. P. Plowden & K. Kerrigan, Advocacy and Human Rights: Using the Convention in Court and Tribunals, 2002, 158.

[91] G. Ress, The Effect of Judgements and Decisions in Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 821; D. O'Connell, Ireland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 431.

[92] A. Wyrozumska, Impact of the Case-Law of the Organs of the European Convention on Human Rights on Domestic Law and the National Judge, Judge and International Law, 1998, 143.

[93] E. Møse, Norway, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 633-634.

[94] ასევე იხ. შვედეთის მაგალითი, I. Cameron, Sweden, *ibid*, 843-844.

[95] E. Benvenisti, National Courts and the International Law on Minority Rights, 2 Austrian Review of International and European Law, 1, 1997, 4-5.

ქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებული დებულებების მსგავსებით.[96] ამას მოწმობს არაევროპულ სახელმწიფოთა სასამართლოების გადაწყვეტილებები. მაგალითად, საქმეში – *ფილარტიგა პენა-ირალას წინააღმდეგ* – აშშ-ის საკასაციო სასამართლომ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომელიც წამების აკრძალვას ეხებოდა.[97] ზიმბაბვეს უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *თაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, – რათა დაედასტურებინა, რომ სხეულებრივი სასჯელები „არაადამიანური და ღირსების შემლახავი" დასჯაა, რაც ევროპის კონვენციის მე-3 მუხლით იკრძალება.[98] ამავე სასამართლომ სხვა საქმეში, რომელიც არასრულწლოვანის სხეულებრივ დასჯას ეხებოდა, გამოიყენა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: *თაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* და *კემბელი და კოსანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.[99] ზიმბაბვეს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთერთ საქმეში გაანიხილა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.[100] ინდოეთის უზენაესმა სასამართლომ მოიშველია ევროპის კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ინდოეთის კონსტიტუციის განმარტებისათვის.[101] კანადის სასამართლო პრაქტიკისათვის ასევე ცნობილია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება.[102]

5. ადვოკატთა როლი ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებისას

ადვოკატებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ეროვნული სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებისას. ეროვნული სასამართლოების წინაშე ადვოკატებმა უნდა მოიშველიონ არა მხოლოდ ევროპის კონვენცია, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. ადვოკატის არგუმენტები ბევრად დამაჯერებელი იქნება, თუ იგი დაეყრდნობა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებს, დაასაბუთებს, რომ კონვენციით გათვალისწინებული უფლება ისე უნდა განიმარტოს, როგორც ეს გაა-

[96] R. Lillich, Towards the Harmonization of International Human Rights Law, in: Recht zwischen Umbruch und Bewahrung: Ferstschrift für Rudolf Bernhardt, 1995, 467.

[97] 630 F 2d 876 (1980).

[98] *Ncube, Tshuma and Ndhlovu* v. *The State* (1988) 2 Afr. L. Rep. 702. ციტ.: J. Merrils, The Development of International Law by the European Court of Human Rights, 1993, 20.

[99] საქმე – *კემბელი და კოსანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (1982 წელი) – ეხება სკოლაში ბავშვთა მიმართ სხეულებრივი სასჯელის, როგორც დისციპლინური ღონისძიების, გამოყენების აკრძალვას. იხ. *Juvenile* v. *The State*, Judgement No. 64/89, Crim. App. No.156/88. ციტ.: J. Merrils, The Development of International Law by the European Court of Human Rights, 1993, 20.

[100] J. Dugard, The Role of Human Rights Treaty Standards in Domestic Law: The Southern African Experience, The Future of UN Human Rights Treaty Monitoring, P. Alston & J. Crawford (Eds.), 2000, 277-278.

[101] A. Lester, Freedom of Expression, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 468 (footnote 16).

[102] Report of the Sixty-Sixth Conference, International Law Association (1994), 1994, 334; Y. Iwasawa, The Domestic Impact of International Human Rights Standards: The Japanese Experience, The Future of UN Human Rights Treaty Monitoring, P. Alston & J. Crawford (Eds.), 2000, 267.

კეთა ევროპულმა სასამართლომ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეროვნული სასამართლოს დარწმუნებას ადვოკატის პოზიციის მართებულობაში. თუ ადვოკატი მხოლოდ კონვენციის ტექსტს დაეყრდნო და არ მიუთითა ევროპული სასამართლოს კონკრეტულ პრეცედენტზე იმის დასტურად, თუ როგორ განმარტა და გადაწყვიტა ევროპულმა სასამართლომ მსგავსი დავა, ადვოკატის მიერ კონვენციის მოშველიების ეფექტი შეზღუდული იქნება და, შესაბამისად, მცირე იქნება სასამართლოს მიერ ადვოკატის პოზიციის გაზიარების ალბათობაც.

მიზანშეწონილია მოვლენების განვითარების სავარაუდო სცენარის განხილვა. თუ ადვოკატი თავისი პოზიციის დასასაბუთებლად დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის კონკრეტულ დებულებას, მაგრამ მან არ მოიშველია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი – არ მიუთითა ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის შესაბამისი დებულების განმარტებასა და გამოყენებაზე კონკრეტულ სიტუაციაში, რომელიც მსგავსია ეროვნული სასამართლოს წინაშე განსახილველი საქმისა, ეროვნული სასამართლოს პასუხი ამ საქმის მიმართ ევროპის კონვენციის გამოყენებაზე, ადვოკატისათვის, სავარაუდოდ, არასასურველი იქნება.

თუ განსხვავება ადვოკატის მიერ მოშველიებულ კონვენციის დებულებასა და იმ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის დებულებას შორის, რომელიც ამავე საკითხებს აწესრიგებს, არ იქნება აშკარა ეროვნული სასამართლოსათვის, რისი ალბათობაც არც ისე დიდია ევროპის კონვენციის დებულებათა ზოგადი ფორმულირებების გამო, ეროვნული სასამართლო ადვილად გააქარწყლებს ადვოკატის არგუმენტს იმის შესახებ, თუ რა უფლებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი, ან/და როგორ უნდა გადაწყდეს სასამართლო დავა. თუ ადვოკატმა არ მოიშველია ევროპული სასამართლოს პრეცედენტი, რომელიც ეროვნული სასამართლოსათვის აშკარას გახდის, რომ პრეცედენტით დადგენილი სტანდარტი უფრო მაღალი ხარისხით იცავს პირს (ან ვრცელდება ისეთ ურთიერთობაზე, რაზეც არ ვრცელდება შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი), სასამართლო, სავარაუდოდ, მიუთითებს, რომ ევროპის კონვენციის მსგავსი ნორმა დადგენილია ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტით (მაგალითად, კანონით) და დაადასტურებს, რომ მათ შორის არ არის შეუსაბამობა. თუ სასამართლომ მიიჩნია, რომ ევროპის კონვენცია და საქართველოს კანონმდებლობა არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ეროვნული სასამართლო, სავარაუდოდ, საერთოდ არ გამოიყენებს ევროპის კონვენციას.

ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი ადგენს, როგორც წესი, ქცევის უფრო დეტალურ წესებს, ვიდრე ევროპის კონვენცია, რის გამოც, ეროვნული სასამართლოს აზრით, ევროპის კონვენციის გამოყენება არ შეიტანს მნიშვნელოვან დადებით წვლილს სასამართლო დავის მოგვარებაში. ეროვნული სასამართლოს ასეთი პოზიცია არ იქნება უსაფუძვლო, თუ ორი აქტიდან (ევროპის კონვენციიდან და შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტიდან), რომელთა შორის არ არის წინააღმდეგობა, ერთი ადგენს უფრო კონკრეტულ ნორმას (მაგალითად, კანონი), ვიდრე მეორე (მაგალითად, ევროპის კონვენცია), ძირითადად არ არის უფრო ზოგადი ნორმის გამოყენების აუცილებლობა.[103]

[103] შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ასეთ შემთხვევაში არ წარმოიშობა ამ აქტების იერარქიული თანაფარდობის საკითხი, თუ სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ორი აქტი (კონვენცია და კანონი) არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

თუ ეროვნულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ევროპის კონვენცია და ქვეყნის კანონმდებლობა არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ეროვნული სასამართლო უკეთეს შემთხვევაში გადაწყვეტილებაში გამოიყენებს კონვენციის შესაბამის დებულებას მხოლოდ როგორც საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის ამსახველ ნორმას. ასე იქნება თუ ისე, ადვოკატის მიერ ევროპის კონვენციაზე დაყრდნობის ეფექტი უმნიშვნელო იქნება, რადგან იგი, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოშველიების გარეშე ვერ დაარწმუნებს ეროვნულ სასამართლოს, რომ კონვენციის სადავო დებულება მის სასარგებლოდ უნდა იყოს გამოყენებული. ცხადია, ადვოკატის მიერ ევროპული კონვენციის მოშველიება არ მოახდენს მისთვის სასურველ გავლენას ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ, თუ ადვოკატი, ევროპულ კონვენციასთან ერთად, არ დაეყრდნო ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც აზუსტებს კონვენციის შესაბამისი დებულების გამოყენებას კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება დაასკვნას, რომ კონვენციის მოშველიებული დებულება არ ვრცელდება კონკრეტულ გარემოებაზე. როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთ შემთხვევაში კონვენციის დებულებებიდან პირდაპირ არ ჩანს, რომ კონვენციის ესა თუ ის უფლება ვრცელდება კონკრეტულ გარემოებაზე.

მეორე მხრივ, თუ ადვოკატი, ევროპის კონვენციის დებულებასთან ერთად, დაეყრდნობა ევროპული სასამართლოს კონკრეტულ გადაწყვეტილებას, რომლითაც იგი დაასაბუთებს, როგორ განმარტა ევროპულმა სასამართლომ ეს უფლება და გადაწყვიტა დავა, ადვოკატის პოზიციის ასეთ დასაბუთებას ეროვნული სასამართლოს მხრიდან, სავარაუდოდ, საკითხის დეტალური განხილვა მოჰყვება (ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მოსამართლეთა ცნობისმოყვარეობა განაპირობებს ადვოკატის მიერ მოშველიებული პრეცედენტის გაცნობასა და მის ანალიზს). ასეთ შემთხვევაში სასამართლო განიხილავს არა მხოლოდ ევროპის კონვენციის დებულებასა და მის „ეროვნულ" ანალოგს (შესაბამის შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტს), არამედ ევროპის კონვენციის ზოგადი ნორმის განმარტებას პრეცედენტული სამართლით და ანალოგიური დავის გადაწყვეტას ევროპული სასამართლოს მიერ. ადვოკატის მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების შედეგად ეროვნული სასამართლოსათვის ნათელი იქნება, ერთი მხრივ, ევროპის კონვენციის ნორმა, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ნორმის გამოყენება კონკრეტულ გარემოებაში. ევროპის კონვენციისა და პრეცედენტული სამართლის განხილვის შედეგად ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღოს, ვიდრე ის გადაწყვეტილება, რომელსაც იგი მიიღებდა ადვოკატის მიერ მხოლოდ ევროპის კონვენციის მოშველიების შემთხვევაში. ამდენად, ადვოკატს ბევრად დიდი შანსი აქვს, დაარწმუნოს ეროვნული სასამართლო თავისი პოზიციის დასაბუთებულობაში, თუ იგი, ევროპის კონვენციასთან ერთად, მოიშველიებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, ადვოკატის მიერ მოშველიებული პრეცედენტის ანალიზის შედეგად ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება დაასკვნას, რომ ამ პრეცედენტის გარემოებები განსხვავდება ეროვნული სასამართლოს მიერ განსახილველი საქმის გარემოებებისაგან და, შესაბამისად, არ გამოიყენოს ეს პრეცედენტი სასამართლოს დავის გადასაწყვეტად.

მაგრამ სანამ ადვოკატი ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებით შეეცდება ეროვნული სასამართლოს დარწმუნებას, რომ კონკრეტული უფლება ისე უნდა განიმარტოს, როგორც ეს გააკეთა ევროპულმა სასამართლომ, მანამდე ადვოკატი თავად უნდა დარწმუნდეს, განამტკიცებს თუ არა მის (ადვოკატის) პოზიციას ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. ამისათვის, ცხადია, ადვოკატი უნდა გაეცნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

თუ ადვოკატი არ გაეცნო ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და მხოლოდ ევროპის კონვენციის ტექსტის გაცნობით შემოიფარგლა, მან თავად შეიძლება გააკეთოს მცდარი დასკვნა, რომ კონვენციის დებულებებით არ არის დაცული ის გარანტიები, რომლის დარღვევის დამტკიცება მას აქვს განზრახული სასამართლოს წინაშე. ასეთი მცდარი დასკვნის შედეგად ადვოკატი სასამართლოს წინაშე არ მოიშველიებს კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს თავისი პოზიციის დასასაბუთებლად, რაც შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს სასამართლო დავის ადვოკატისათვის არასასურველი შედეგით დასრულებაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებით ადვოკატს შეუძლია განჭვრიტოს, ექნება თუ არა მის განაცხადს დავის მოგების პერსპექტივა ევროპულ სასამართლოში განაცხადის შეტანის შემთხვევაში, თუ ეროვნულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა. ცხადია, თუ საქმის გარემოებები მსგავსია იმ გარემოებებისა, რომელზეც ევროპულმა სასამართლომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება და დაადგინა სახელმწიფოს მიერ ევროპის კონვენციის დარღვევა, სავარაუდოა, რომ მომდევნო საქმეზეც ევროპული სასამართლო იმავეს დაადგენს.

ასევე შეიძლება აღინიშნოს, რომ ადვოკატების აქტიური როლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებისას სტიმულს მისცემს ეროვნულ სასამართლოებს, რათა გამოიყენონ პრეცედენტული სამართალი.

ნიშანდობლივია, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოშველიება ადვოკატის მიერ არა მხოლოდ თავის, არამედ ეროვნული სასამართლოს ინტერესებშიც არის, რადგან იგი აძლევს შესაძლებლობას სასამართლოს, საქმე განიხილოს სრული სამართლებრივი სურათის საფუძველზე და მიიღოს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება.

6. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება ნორმაშემოქმედებით პროცესში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გამოყენებული უნდა იქნეს არა მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელებისას, არამედ ასევე ნორმაშემოქმედებით პროცესში. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მხოლოდ ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაზე, არამედ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის კანონმდებლობის დახვეწაში. როგორც უკვე აღინიშნა, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი განმარტავს კონვენციის დებულებათა შინაარსს. თუ სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობას ევროპის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან, მცირე იქნება ევროპის კონვენციის დარღვევის რისკი ნორმატიული მიზეზით. ქვეყნის კანონმდებლობის შემუშავების დროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინება სახელმწიფოს მისცემს შესაძლებლობას, თავიდან აიცილოს ევროპის კონვენციის დარღვევა ნორმატიული მიზეზით.

თუ სახელმწიფომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განხილვის შედეგად აღმოაჩინა გადაწყვეტილება სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა იმის გამო, რომ ქვეყნის კანონმდებლობა არ შეესაბამებოდა კონვენციის სტანდარტებს, დიდია ევროპული სასამართლოს მიერ ანალოგიური გადაწყვეტილების მიღების ალბათობა ამ სახელმწიფოდან მსგავს გარემოებაში კონვენციის დარღვევის მტკიცებით ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში. ცხადია, თუ სახელმწიფო თავის კანონმდებლობაში აღმოაჩენს იმავე ნორმას, რომელიც ევროპულმა სასამართლომ ადრინდელ პრეცედენტში უკვე მიიჩნია კონვენციის დარღვევად, რის შედეგადაც ეს სახელმწიფო მოახდენს თავისი კანონმდებლობის კორექტირებას, აღარ იარსებებს კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევის საფუძველი.[104] ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ნორმატიული აქტების პროექტები შემოწმდეს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

უდავოა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებას განსაკუთრებული როლი ენიჭება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის.

ქვეყნის კანონმდებლობაზე ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გავლენა მხოლოდ კონვენციის სტანდარტების შეუსაბამო ნორმატიული აქტების დადგენით არ შემოიფარგლება. ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ენიჭება ასევე მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი ვაკუუმის შესავსებად.[105] კონკრეტული საქმის განხილვისას ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ სადავო საკითხი არ არის, ან მხოლოდ ნაწილობრივ არის მოწესრიგებული კანონმდებლობით. ასეთ შემთხვევაში ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და მის მიხედვით გადაწყვიტოს დავა. კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი ვაკუუმის შესავსებად პრეცედენტული სამართლის გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მარეგულირებელი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფას.

[104] E. Klein, Should the Binding Effect of the Judgements of the European Court of Human Rights be Extended? in: Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.), 2000, 706.

[105] F. Francioni, The Jurisprudence of International Human Rights Enforcement: Reflections on the Italian Experience, in: Enforcing International Human Rights in Domestic Courts, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 30.

ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივი პრაქტიკა ადასტურებს, რომ სახელმწიფოები თვალყურს ადევნებენ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რის შედეგადაც ახდენენ თავიანთი კანონმდებლობის კორექტირებას ამ პრეცედენტების მიხედვით.

ამის დასტურად შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოყვანა ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა პრაქტიკიდან.[106] მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე – *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ*, რომელიც ეხებოდა კანონიერი და უკანონო შვილების უფლებრივ მდგომარეობას ევროპის კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლების შესაბამისად.[107] ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, რომელმაც აკრძალა დისკრიმინაცია კანონიერ და უკანონო შვილებს შორის, არა მხოლოდ ბელგიამ (რომელიც მოპასუხე იყო ამ საქმეზე და რომლისთვისაც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად სავალდებულო იყო) შეცვალა თავისი სამემკვიდრეო კანონმდებლობა, არამედ ნიდერლანდებმაც შეიტანა ცვლილება სამოქალაქო კოდექსში, რომლითაც გააუქმა დისკრიმინაციული მოპყრობა კანონიერ და უკანონო შვილებს შორის მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებით.[108]

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გავლენას ეროვნულ კანონმდებლობაზე ადასტურებს სხვა მაგალითიც. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად საქმეზე – *პროგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,[109] – რომელიც ეხებოდა დაკავებული პირის სასამართლოს წინაშე დაუყოვნებლივ წარდგენას, ნიდერლანდებმა შეიტანა ცვლილება თავის კანონმდებლობაში, რათა შესაბამისობაში მოეყვანა იგი მოხსენიებულ გადაწყვეტილებასთან.[110]

ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე – *მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*[111] – მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, რომელიც ეხებოდა სატელეფონო მოსმენის სამართლებრივ რეგულირებას, ირლანდიამ მიიღო ნორმატიული აქტი, რომელმაც შეცვალა სატელეფონო მოსმენების განხორციელების წესი ირლანდიაში.[112]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა ასევე მოახდინა გავლენა შვეიცარიის კანონმდებლობაზე. მაგალითად, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად საქმეზე – *ენხელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*,[113] – რომელიც ეხებოდა სამხედრო მოსამსახურეთათვის სხვადასხვა სასჯელის შეფარდებას სამხედრო დისციპლინის დარღვევისათვის,

[106] J. Polakiewicz, The Execution of Judgements of the European Court of Human Rights, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 62.

[107] საქმე *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ*, 1979 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება.

[108] A. Wyrozumska, Impact of the Case-Law of the Organs of the European Convention on Human Rights on Domestic Law and the National Judge, Judge and International Law, 1998, 146.

[109] 1998 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება, Series A, N145 B.

[110] L. Zwaak, The Netherlands, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 623.

[111] 1984 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება, Series A, N82.

[112] D. O'Connell, Ireland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 437.

[113] 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, Series A, N22.

შვეიცარიამ შეცვალა თავისი კანონმდებლობა, რათა ის შეესაბამებინა კონვენციის სტანდარტებთან.[114]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა ასევე მოახდინა გავლენა კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოთა, მათ შორის: დანიის, ავსტრიის, გერმანიის კანონმდებლობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები უშუალოდ არ ეხებოდა ამ სახელმწიფოებს.[115]

როგორც ხსენებული მაგალითებიდან ჩანს, სახელმწიფოები, როგორც წესი, ითვალისწინებენ ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებსაც კი, რომლებშიც ისინი არ არიან დავის მხარეები. თუმცა არის შემთხვევა, როდესაც სახელმწიფომ არ გაითვალისწინა ასეთი პრეცედენტები, რის შედეგადაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა ამ სახელმწიფოს მიერ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 1978 წელს მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე – *კლასი გერმანიის წინააღმდეგ*, – რომელიც ეხებოდა სატელეფონო მოსმენას. დიდმა ბრიტანეთმა თავისი კანონმდებლობა არ შეუსაბამა ხსენებულ გადაწყვეტილებას. ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე წელიწადში განიხილა დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში შეტანილი საჩივარი (საქმე *მელოუნი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ*), რომელიც მსგავს გარემოებებს ეხებოდა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ დიდმა ბრიტანეთმა დაარღვია ევროპის კონვენცია. მხოლოდ ამის შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა შეცვალა თავისი კანონმდებლობა.[116]

7. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში

საქართველოს სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკის განხილვამდე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთხელ გაამახვილა ყურადღება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობაზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს. ამას ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ლადო ჭანტურიას მიერ გამოთქმული აზრი:

„მას შემდეგ, რაც საქართველო ევროპის საბჭოს წევრი გახდა და მოახდინა ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის რატიფიცირება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართალმა ქართული მართლმსაჯულებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს ისეთივე უშუალო მოქმედება აქვთ საქართველოში, როგორც კონვენციის ტექსტს."[117]

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ასევე გაამახვილა ყურადღება მოხსენებაში – „საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ", რომელიც გაკეთდა საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე:

„[...] განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოსამართლეების მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაცნობას. [...] ჩვენი მოსამართლეების მიერ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაცნობა და მისი პრეცედენტული გადაწყვეტილებების გაანალიზება ხელს შეუწყობს ქართულ სამართალში ევროპული სამართლის ინკორპორაციას და ჩვენს მართლმსაჯულებაში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტების რეალურ დამკვიდრებას. [...] ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის გაცნობა ჩვენი სასამართლო კორპუსისათვის სასარგებლო იქნება როგორც სამართლებრივი თვალსაზრისით, ასევე იმ პასუხისმგებლობის გააზრებისათვის, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო კისრულობს ევროსაბჭოში გაწევრიანებით. თითოეული მოსამართლე საქმის განხილვისას უნდა ითვალისწინებდეს, რომ მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შესაძლოა გახდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობის საგანი და სწორედ ეს გადაწყვეტილებები იქნება მომავალში ჩვენი სახელმწიფოს ავტორიტეტის განმსაზღვრელი ერთ-ერთი კრიტერიუმი."[118]

ამ მაგალითებიდან ნათელია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობას კარგად აქვს გათვითცნობიერებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობა მართლმსაჯულების განხორციელებისას.

იყენებს თუ არა საქართველოს სასამართლოები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს პრაქტიკაში?

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად განხილულ იქნა საქართველოს სასამართლოების ოფიციალურად გამოქვეყნებული ყველა გადაწყვეტილება (გამონაკლის შემთხვევაში, განხილულ იქნა ის გადაწყვეტილებებიც, რომლებიც არ გამოქვეყნებულა). იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ყველა სასამართლოს, განსაკუთრებით პირველი ინსტანციის სასამართლოების, გადა-

[114] M. Borghi, Switzerland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 859.

[115] C. Nørgaard, Danish Perspectives on Incorporation of the Convention, in: Aspects of Incorporation of the European Convention of Human Rights into Domestic Law, J.P. Gardner (Ed.), 1993, 45; R. Bernhardt, The Convention and Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 39; S. Jensen, The European Convention on Human Rights in Scandinavian Law: A Case Law Study, 1992, 53-54; H. Tretter, Austria, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 109; A. Zimmermann, Germany, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 353.

[116] J. McBride, The Role of Individual Petitions in the European Convention System, in: The Implementation in National law of the European Convention on Human Rights, Proceedings of the Fourth Copenhagen Conference on Human Rights, 28-29 October, 1988, 1989, 58.

[117] იხ. ლ. ჭანტურია, წინათქმა, „ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს სამოსამართლო სამართლის მიმოხილვა", საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2001 წელი, გვ. 1.

[118] იხ. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლ. ჭანტურიას მოხსენება „საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", N161(3902), 2001 წლის 4 ივლისი. ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლ. ჭანტურიას მოხსენება, რომელიც გაკეთდა ევროპის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეთა VII კონფერენციაზე, თბილისი, 2002 წლის 15-17 აპრილი. გამოსვლის ტექსტი ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინტერნეტ-გვერდზე: [www.supremecourt.ge].

წყვეტილებები არ ქვეყნდება, არ უნდა გამოირიცხოს გამოუქვეყნებელ გადაწყვეტილებებში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების შესაძლებლობა. თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს არ შეცვლის საქართველოს სასამართლოებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებულ საერთო სურათს.[119]

საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის შესწავლამ დაადასტურა, რომ უკვე არის საქართველოს საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების რამდენიმე შემთხვევა.[120]

მიზანშეწონილია საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა განხილვა, რომლებშიც გამოყენებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

7.1. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელშიც, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციასთან ერთად, დადგა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების

[119] პირველი ინსტანციის 28 სასამართლოდან მიღებული ინფორმაციით, მათ პრაქტიკაში არ ყოფილა გამოყენებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები.

[120] *საქართველოს უზენაესი სასამართლო:*
1. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, განჩინება, 2001 წლის 22 ივნისი. დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფა. იხ. „ადამიანის უფლებათა დაცვის სამაგალითო გადაწყვეტილებები" (2001 წ.), თბილისი, 2002 წელი, გვ. 78;
2. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, გადაწყვეტილება N3კ/376-01, 2001 წლის 18 ივლისი. დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფა. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი: სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეები, N10, 2001 წელი, გვ. 1176;
3. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, გადაწყვეტილება N3კ/754-01, 2001 წლის 5 დეკემბერი. დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფა.
4. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, გადაწყვეტილება N3კ/390-02, 2002 წლის 4 ივლისი. დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფა.
5. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, გადაწყვეტილება N3კ/337-02, 2002 წლის 25 ივნისი. გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 18 დეკემბრის N2ა/176 გადაწყვეტილება. დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფა.
6. ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, გადაწყვეტილება N3ბ/აკ-131-კ-02, 2002 წლის 4 ოქტომბერი, დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საოლქო სასამართლო:
1. სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია, გადაწყვეტილება N2/ა-176, 2001 წლის 18 დეკემბერი. დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფა;
2. სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია, გადაწყვეტილება N2/ა-83-2001, 2001 წლის 21 დეკემბერი. დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფა.
3. სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის დადგენილება (მოსამართლის თვითაცილების შესახებ), N3ბ-52-2002, 2002 წლის 8 თებერვალი.
4. სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია, გადაწყვეტილება N2/ა-25-2002, 2002 წლის 3 ივლისი. დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფა.

რაიონული სასამართლო:
ჭიათურის რაიონული სასამართლო, გადაწყვეტილება N2/64, 2002 წლის 3 აპრილი. დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფა.

საკითხი, ეხებოდა ერთ-ერთი რელიგიური მიმდინარეობის რეგისტრაციას.[121] ეს საქმე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა 2001 წლის 22 თებერვალს.

სასამართლო პროცესის ის მონაკვეთი, რომელიც ნაშრომში განხილული საკითხების ინტერესის საგანია, შემდეგნაირად წარიმართა: სასამართლო პროცესის დროს კასატორი მხარის ადვოკატმა თავისი პოზიციის დასასაბუთებლად, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციასთან ერთად,[122] მიუთითა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე.[123] მან მოიშველია ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება, მათ შორის საქმეები: *სიდიროპულოსი საბერძნეთის წინააღმდეგ, ჰასანი და ჩაუში ბულგარეთის წინააღმდეგ* და *მანუსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოშველიებით თავისი პოზიციის დასაბუთების დროს ადვოკატს სასამართლომ შეაწყვეტინა სიტყვა და აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ ევროპული სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილებები ეხება სხვა სახელმწიფოებს (და არა საქართველოს) და, შესაბამისად, მან არ უნდა მიუთითოს ამ გადაწყვეტილებებზე. სასამართლოს ამ არგუმენტის საპასუხოდ ადვოკატმა განუმარტა სასამართლოს, თუ რატომ ეყრდნობა იგი ევროპული სასამართლოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებს, კერძოდ, განაცხადა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტებზე მითითება ევროპის კონვენციით გათვალისწინებული დებულებების შინაარსის დადგენის საშუალებაა. ადვოკატის ამ არგუმენტზე სასამართლოს კომენტარი არ გაუკეთებია. ადვოკატმა გააგრძელა მითითება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე თავისი პოზიციის დასასაბუთებლად.

საბოლოოდ, უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი. მიღებულ განჩინებაში უზენაესმა სასამართლომ არ მიუთითა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე. მან მხოლოდ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-9, მე-10, მე-11 და მე-14 მუხლებზე.

სასამართლო პროცესის ამ ეპიზოდთან დაკავშირებით შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა. სასამართლოს აზრით, მხარეს არ შეეძლო ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობა, რომლებიც მიღებულია სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ადვოკატს შეეძლო დაყრდნობა ევროპული სასამართლოს მხოლოდ იმ გადაწყვეტილებაზე, რომელშიც საქართველოა დავის მხარე.

სასამართლოს მიერ ადვოკატის საპასუხო არგუმენტის (თუ რატომ იშველიებს იგი ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს) კომენტირებისაგან თავის შეკავების გაგება შეიძლება ორგვარად: ერთი მხრივ, შეიძლება იმის მტკიცე-

[121] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, განჩინება N3კ/599, 2001 წლის 22 თებერვალი. დავის საგანი: „ჰენსილვანიის (აშშ) საგუშაგო კოშკის, ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოების საქართველოს წარმომადგენლობის" 1998 წლის 11 მაისის და „იეჰოვას მოწმეთა კავშირის" 1998 წლის 17 აპრილის რეგისტრაციის გაუქმება.

[122] კასატორი მხარის ადვოკატი ამტკიცებდა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-9, მე-10, მე-11 და მე-14 მუხლების დარღვევას. იხ. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის მე-9 პუნქტი.

[123] ასევე იხ. კასატორის მიერ მომზადებული ზეპირი არგუმენტები უზენაესი სასამართლოს სხდომისათვის და საკასაციო საჩივარი. დოკუმენტები ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ინტერნეტ-გვერდზე: [www.jv-georgia.org].

ბა, რომ ადვოკატმა დაარწმუნა სასამართლო თავისი პოზიციის მართებულობაში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით, რის გამოც სასამართლოს აღარ გაუკეთებია რაიმე კომენტარი ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით კონვენციის დებულებების განმარტების მართებულობის შესახებ; მეორე მხრივ, ადვოკატის ხსენებულ არგუმენტზე სასამართლოს მხრიდან კომენტარისაგან თავის შეკავების გაგება შეიძლება იმგვარად, რომ სასამართლო არ დაეთანხმა პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობის ასეთ დასაბუთებას და მიუხედავად იმისა, ადვოკატს ნება დართო, თავისი პოზიცია დაესაბუთებინა პრეცედენტული სამართლის საფუძველზე, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო პრეცედენტულ სამართალზე დამყარებული არგუმენტაცია. ასეა თუ ისე, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში არ მოიხსენია ადვოკატის მიერ სასამართლო სხდომაზე მითითებული პრეცედენტები და, შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილება არც დაუსაბუთებია ევროპული სასამართლოს პრეცედენტების მიხედვით.

რა იყო სასამართლოსა და ადვოკატს შორის განსხვავებული შეხედულებების არსი ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლის შესახებ?

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე მითითებასთან დაკავშირებით სასამართლოსა და ადვოკატს შორის განსხვავებული შეხედულების წარმოშობის მიზეზი უნდა ვეძიოთ განსხვავებულ წარმოდგენაში, რომელიც ჰქონდათ სასამართლოსა და ადვოკატს მართლმსაჯულების განხორციელებისას ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლთან დაკავშირებით. როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლომ მიუთითა, რომ ევროპული სასამართლოს მოხსენიებული გადაწყვეტილებები ეხება სხვა სახელმწიფოებს და არა საქართველოს. სავარაუდოდ, სასამართლოს არგუმენტის არსი ის იყო, რომ, რადგან ეს გადაწყვეტილებები ეხებოდა სხვა სახელმწიფოებს და არა საქართველოს, ისინი სავალდებულო არ იყო საქართველოსათვის. უზენაესი სასამართლოს ამ პოზიციაში შეუძლებელია ეჭვის შეტანა. უეჭველია, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც კონკრეტული დავის მხარეა. ეს წესი, როგორც უკვე აღინიშნა, განმტკიცებულია ევროპის კონვენციის 46-ე მუხლით, რომლის თანახმად, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებანი სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც არიან დავის მხარეები. ხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლოს პოზიცია, რომ ადვოკატის მიერ მოხსენიებული პრეცედენტები არ ეხება საქართველოს და, შესაბამისად, საქართველოსათვის სავალდებულო არ არის, აბსოლუტურად სწორია.

მაგრამ ადვოკატი არც ამტკიცებდა, რომ მის მიერ მოხსენიებული პრეცედენტები სავალდებულოა საქართველოსათვის. მისი მიზანი იყო არა ამ პრეცედენტების საქართველოსათვის სავალდებულოობის დამტკიცება, არამედ იმის დასაბუთება, თუ როგორ უნდა ყოფილიყო განმარტებული კონვენციის დებულებები. ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით ადვოკატი ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ ევროპულმა სასამართლომ ისე განმარტა კონვენციის დებულება, რომ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული მსგავსი მოქმედება ჩათვალა ევროპის კონვენციის დარღვევად. ადვოკატის პოზიციიდან გამომდინარე, თუ ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს კონკრეტული მოქმედება ჩათვალა

ევროპის კონვენციის დარღვევად, საქმის გარემოებების მსგავსების გათვალისწინებით, უზენაესმა სასამართლომაც ასეთი მოქმედება უნდა მიიჩნიოს კონვენციის დარღვევად.

ამ სასამართლო საქმიდან გამომდინარეობს, რომ ევროპული სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც საქართველო არ არის დავის მხარე, მართალია, ქვეყნისათვის სავალდებულო არ არის, მაგრამ ისინი საქართველოს სასამართლოებმა უნდა გამოიყენოს ევროპის კონვენციის ცალკეული დებულების შინაარსის დადგენის მიზნით. საქართველოსათვის არ შეიძლება სავალდებულო იყოს ის გადაწყვეტილება, რომელშიც საქართველო მხარე არ არის. ლოგიკას მოკლებულია, საქართველო იყოს ვალდებული, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, გადაუხადოს კომპენსაცია პირს იმ საქმეზე, რომელშიც საქართველო მოპასუხე არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განხილული გადაწყვეტილება თვალსაჩინოა და სავარაუდოდ ასახავს საქართველოს მოსამართლეთა საკმაოდ დიდი ნაწილის შეხედულებას ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლის შესახებ მართლმსაჯულების განხორციელებისას. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არც ისე დიდი ხნის წინ იქნა მიღებული (2001 წლის თებერვალი), საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით ადასტურებს, რომ საქართველოს სასამართლოთა პოზიცია ნელ-ნელა იცვლება ამ საკითხის მიმართ. ამას მოწმობს საქართველოს სასამართლოთა ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც გამოყენებულ იქნა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

7.2. საქმე, რომელიც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა 2001 წლის 22 ივნისს, ეხებოდა საქართველოს პარლამენტის წევრის რომან კვაჭაძის სარჩელს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის შესახებ გაზეთ „ლანჩხუთი პლუსის" ჟურნალისტების, ზ. ნაკაშიძისა და ქ. ნაკაშიძის წინააღმდეგ.[124]

ლანჩხუთის რაიონიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი რ. კვაჭაძე სარჩელის საფუძვლად მიუთითებდა, რომ მოპასუხეებმა ხსენებულ გაზეთში გამოაქვეყნეს სტატია „ეჰ, რომან, რომან", სადაც მის მიმართ გავრცელდა ცრუ მონაჭორი, რითაც მას მიაყენეს შეურაცხყოფა, განზრახ დაამცირეს მისი პატივი და ღირსება ამომრჩევლებისა და თანამოქალაქეების თვალში. გამოქვეყნებულ სტატიაში რ. კვაჭაძე მოხსენიებულია როგორც კაცი, რომელმაც „თავი დაკარგა". მის მიმართ გამოყენებულია ისეთი ფრაზები, როგორიცაა: „ვინ ხარ შენ და როგორ მოხვდი ამ გაუგებრობაში, რასაც პარლამენტის წევრობა ჰქვია?", „დავიჯერო, სამივე მოსმენის დროს გეძინა?", „ლანჩხუთში ფეხებს გვჭრის და პარლამენტში თავს", „ისე ნელა მწიფდება, ვაი, რომ ლანჩხუთს ამდენი დრო არა აქვს, რომ ამ უიმედო პროცესის დასასრულს დაელოდოს", „მატყლის საჩეჩად გაგიშვა ლანჩხუთმა პარლამენტში?"; „კანონის წაკითხვაც ვერ გისწავლია ერთი რიგითი მოქალა-

[124] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, განჩინება, 2001 წლის 22 ივნისი. იხ. „ადამიანის უფლებათა დაცვის სამაგალითო გადაწყვეტილებები" (2001 წ.), თბილისი, 2002 წელი, გვ. 76-79.

ქის დონეზე"; „გაზეთის წაკითხვა არ გცოდნია კიდევ", „ამგვარი გამოხტომებისათვის თავში ნაუთაქებენ ხოლმე, ჩემო რომან, მაგრამ ვაი, რომ მარტო ეს არ უშველის შენს გაჭირვებას", „ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას – სარდლობა".

რ. კვაჭაძე, როგორც კასატორი, ითხოვდა გამოქვეყნებული სტატიის ავტორებისაგან გავრცელებული ინფორმაციის უარყოფასა და მორალური ზიანის ანაზღაურებას. მისი აზრით, მოპასუხეებს განზრახული ჰქონდათ, გამოეთიშათ იგი საპარლამენტო არჩევნებიდან. მოპასუხეების აზრით, სტატიაში არ არის გამოთქმული შეურაცხმყოფელი ფრაზები უშუალოდ რ. კვაჭაძის მიმართ, არამედ სტატია კრიტიკულად აფასებს ლანჩხუთის რაიონის დეპუტატის საქმიანობას საქართველოს პარლამენტში, რაც, მოპასუხეთა შეხედულებით, გამოწვეული იყო პარლამენტარის პასიურობით, რომელიც მან გამოიჩინა ლანჩხუთის რაიონისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით.

პირველად სარჩელი განიხილა ჩოხატაურის რაიონულმა სასამართლომ. მან მიიჩნია, რომ მოპასუხეებმა მოსარჩელე რ. კვაჭაძის მიმართ შეგნებულად გაავრცელეს მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ისეთი ცნობები, რომლებიც სინამდვილეს არ შეესაბამებიან. ჩოხატაურის რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი და საქართველოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" და ნაწილობრივ დააკმაყოფილა რ. კვაჭაძის მოთხოვნა. ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ზ. ნაკაშიძეს და ქ. ნაკაშიძეს დაევალათ ამავე გაზეთის მეშვეობით მოსარჩელის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა და ბოდიშის მოხდა, ასევე რ. კვაჭაძის სასარგებლოდ 15000 ლარის გადახდა.

ქუთაისის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა ზ. ნაკაშიძისა და ქ. ნაკაშიძის სააპელაციო საჩივარი. მან გააუქმა ამ საქმეზე ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით რ. კვაჭაძეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. რ. კვაჭაძემ ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ მიიჩნია დასაბუთებულად და საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა რ. კვაჭაძის საკასაციო საჩივარი. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ, უპირველეს ყოვლისა, სასამართლო დაეყრდნო საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. სასამართლო ასევე დაეყრდნო „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" კანონის მე-19 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ოპერატიულად მიიღონ ცნობები სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ. ამავდროულად უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, ერთი მხრივ, პირთა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის აუცილებლობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, სიტყვის თავისუფლებაზე.

ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. საქართველოს უზენაესი სასამართლო დაეყრდნო ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე – *კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ*, რომლის თანახმად, „აზრის გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ისეთი განცხადებებისა და გამოთქმის უფლებასაც, რომელიც შეურაცხმყოფელი, აღმაშფოთებელი და შემაწუხებელია". ამ პრეცედენტის მოშველიებით უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა, რომ პირის, მათ შორის ჟურნალისტის, მიერ გამოხატული აზრი შეიძლება იყოს არა მხოლოდ პოზიტიური, არამედ ნეგატიური. ნეგატიური შეფასება შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი, აღმაშფოთებელი და შემაწუხებელიც კი.

მაგრამ უზენაესი სასამართლოსათვის არ იყო საკმარისი იმის დადასტურება, რომ გამოხატული აზრი შეიძლება იყოს როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური. სასამართლოს უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ სად უნდა გაივლოს ზღვარი, ერთი მხრივ, კრიტიკის დასაშვებ ფარგლებსა და, მეორე მხრივ, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფას შორის.

ამისათვის უზენაესმა სასამართლომ ისევ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გამოიყენა. მან გამოიყენა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ*, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიტიკური მოღვაწის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე ჩვეულებრივი ინდივიდის მიმართ. უზენაესმა სასამართლომ ასევე მიუთითა მოხსენიებული პრეცედენტის იმ ნაწილზე, რომლის თანახმად, პოლიტიკური მოღვაწე, ჩვეულებრივი ინდივიდისაგან განსხვავებით, წინასწარ შეცნობილად და აუცილებლად უქვემდებარებს თავის ქმედებებს და ჟესტებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და საზოგადოების კონტროლს. ამ პრეცედენტის საფუძველზე უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ „პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ, თუ ეს კრიტიკა უხეშად არ ხელყოფს მათ პირად ცხოვრებას და ხელშეუხებლობას."

ამ პრეცედენტის საფუძველზე უზენაესმა სასამართლომ დაასაბუთა, რომ პოლიტიკური მოღვაწე ან სახელმწიფო მოხელე თავის საქმიანობას თავად, წინასწარ შეცნობილად უქვემდებარებს საზოგადოებრივ კონტროლს, რის გამოც მისი საქმიანობა შეიძლება გახდეს მძაფრი საზოგადოებრივი კრიტიკის ობიექტი, რაც ასეთმა პირმა უნდა ითმინოს თავისი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. თავისი საქმიანობის დაქვემდებარება საზოგადოებრივ კონტროლს, რაშიც ჟურნალისტებს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ, გამომდინარეობს იქიდან, რომ პოლიტიკური მოღვაწის ან სახელმწიფო მოხელის საქმიანობა წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს.

საყურადღებოა, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ამ გადაწყვეტილების მიღებისათვის. იგი მხოლოდ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების გამოყენებით (სამოქალაქო კოდექსისა და კანონის

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ") ვერ დაასკვნიდა, რომ კრიტიკის დასაშვები ფარგლები უფრო ფართოა პოლიტიკური მოღვაწის მიმართ, ვიდრე ეს არის ჩვეულებრივი ინდივიდის მიმართ.

7.3. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფასთან დაკავშირებული სხვა საქმეც განიხილა, რომელშიც გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.[125]

მრეწველობის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, ვ. კერესელიძემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში აღძრა სარჩელი ყოფილი პარლამენტარის ნ. ჯაიანის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის მიერ სატელევიზიო გადაცემაში გაკეთებული განცხადებების გამო, რომელიც დაკავშირებული იყო ვ. კერესელიძის სამსახურებრივ საქმიანობასთან. მოსარჩელემ მოითხოვა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ვ. კერესელიძის სარჩელი. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. ნ. ჯაიანს დაევალა ვ. კერესელიძის მიმართ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ფრაზების უარყოფა.

ნ. ჯაიანმა ეს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, სადაც მან აღნიშნა, რომ ვ. კერესელიძის მიმართ გადაცემაში გამოთქმული აზრი მისი, როგორც საჯარო პირის – მინისტრის მოადგილის მიმართ გამოთქმული კრიტიკა, საქმიანობის შეფასებაა და არა რაიმე ფაქტობრივი ცნობების (მონაცემების) გავრცელება, რომელიც შელახავდა მის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა ნ. ჯაიანის საკასაციო საჩივარი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლთან ერთად, უზენაესი სასამართლო დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლს (გამოხატვის თავისუფლება), რომლის თანახმად, გამოხატვის თავისუფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იდეები. უზენაესმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის განმარტებისათვის გამოიყენა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ*, რომლის თანახმად, ხელისუფლების წარმომადგენლებისა და რიგითი მოქალაქეების მიმართ შეურაცხყოფის ფაქტების შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს განსხვავებული სტანდარტები, კერძოდ, დასაშვები კრიტიკის ფარგლები სახელმწიფო მოხელეთა მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე რიგითი მოქალაქეების მიმართ.

[125] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, გადაწყვეტილება N3კ/376-01, 2001 წლის 18 ივლისი. დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფა. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი: სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეები, N10, 2001 წელი, გვ. 1172-1177; იხ. „ადამიანის უფლებათა დაცვის სამაგალითო გადაწყვეტილებები" (2001 წ.), თბილისი, 2002 წელი, გვ. 79-82;

უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნ. ჯაიანის მიერ ვ. კერესელიძის მიმართ გამოყენებული გამონათქვამები ეხებოდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს და აღნიშნა: „პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ." სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ „რეპუტაციის (პატივის, ღირსების) დაცვის ინტერესი წონასწორდება საზოგადოების ინტერესთან – თავისუფლად განიხილოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე."

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტი, რომლის მეშვეობითაც დაადგინა, რომ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე სახელმწიფო მოხელე შეიძლება დაექვემდებაროს მძაფრ კრიტიკას და რომ ამ კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე რიგითი მოქალაქის მიმართ დასაშვები კრიტიკა.

7.4. თბილისის საოლქო სასამართლომ ასევე განიხილა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან დაკავშირებული სარჩელი, რომელიც აღძრეს საქართველოს ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა (კ. თარგამაძე) და სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებმა (ა. ჩხაიძე, ვ. დავითაია, ზ. ვარაზაშვილი, ნ. ივანიშვილი, ზ. უროტაძე და რ. მაჭავარიანი) ჟურნალისტ ე. ჩაფიძისა და გაზეთ „რეზონანსის" წინააღმდეგ.

სარჩელში აღინიშნა, რომ 2001 წლის 16 მარტს გაზეთ „რეზონანსში" გამოქვეყნდა ჟურნალისტ ე. ჩაფიძის პუბლიკაცია სათაურით: „დინამო" – შვიდი პოლიციელის საკუთრება, თარგამაძეს და კომპანიას შევარდნაძე ბიუჯეტიდან 7 მილიონს ჩუქნის". გაზეთის ამავე ნომრის სატიტულო გვერდზე გაკეთებულია წარწერა – „სუპერაფერა". წარწერის გვერდით მოთავსებულია კ. თარგამაძის ფოტოსურათი. სარჩელის თანახმად, პუბლიკაციაში გატარებულია აზრი, რომ მოსარჩელეებმა მოტყუებით და ძალით ხელში ჩაიგდეს და მიისაკუთრეს საფეხბურთო კლუბი „თბილისის დინამო" და აპირებენ „თბილისის დინამოზე" მიმართული სახელმწიფო სახსრების პირადი ინტერესებისათვის გამოყენებას.

სარჩელში ასევე აღნიშნულია, რომ 2001 წლის 17 მარტს გაზეთ „რეზონანსში" გამოქვეყნდა ჟურნალისტ ე. ჩაფიძის პუბლიკაცია სათაურით – „ქურდებისა და პოლიციელების „დინამო". გაზეთის ამავე ნომრის სატიტულო გვერდზე გაკეთებულია წარწერა – „სუპერაფერისტი". წარწერის გვერდით მოთავსებულია კ. თარგამაძის ფოტოსურათი. გაზეთის პირველ გვერდზე არის შემდეგი ჩანაწერები: „დინამო თარგამაძეს გამარტივებული წესით" და „როგორ გააცუცურაკა თარგამაძემ შევარდნაძე". სარჩელის თანახმად, ამ სტატიაში გატარებულია იგივე აზრი, რაც წინა პუბლიკაციაში.

მოსარჩელეებმა მოითხოვეს გაზეთ „რეზონანსისა" და ჟურნალისტ ე. ჩაფიძისაგან გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა და კომპენსაციის გადახდა მორალური ზიანისათვის. მოპასუხე მხარის აზრით, მათ არ გაუვრცელებიათ ყალბი ცნობები, ხოლო რაც შეეხება ამა თუ იმ შეფასებას, – ეს ჟურნალისტისა და გაზეთის პოზიცია, მოვლენის ჟურნალისტისეული და გაზეთისეული აღქმაა.

საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი ჟურნალისტ ე. ჩაფიძისა და გაზეთი „რეზონანსის" მიმართ. საოლქო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე ე. ჩაფიძის მიერ გაზეთ „რეზონანსის" მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია არის მოსაზრებები, რაც მას ჩამოუყალიბდა ჟურნალისტური გამოძიებით მოპოვებული მასალების გაანალიზების შედეგად.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლსა და „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლთან ერთად, საოლქო სასამართლომ გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლი. საოლქო სასამართლო ასევე დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. კერძოდ, მან მიუთითა საქმეებზე: *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ* და *კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ*, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა სახელმწიფო მოხელეთა მიმართ, ვიდრე რიგითი მოქალაქეების მიმართ, რაც სახელმწიფო მოხელეებს აკისრებს ასეთი კრიტიკის მოთმენის ვალდებულებას, მიუხედავად მისი შეურაცხმყოფელი, აღმაშფოთებელი და შემაწუხებელი ხასიათისა.

მოსარჩელეებმა გაასაჩივრეს საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში. უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, თუმცა ამავდროულად გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციასთან და სხვა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებსა და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციასთან ერთად, უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება (*ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ, ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ, „სანდი თაიმსი" გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*).

7.5. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციისა და განსაკუთრებით ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ვ. ასათიანის[126] სარჩელს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის", გადაცემა „60 წუთის" წამყვანის ა. გოგიჩაიშვილისა და ი. კერესელიძის წინააღმდეგ.[127]

მოსარჩელე ვ. ასათიანის სარჩელის მიხედვით, 2001 წლის 1 აპრილს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2"-მა და ა. გოგიჩაიშვილმა გადაცემა „60 წუთის" მეშვეობით საჯაროდ გაავრცელეს მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაცია. მოსარჩელის აზრით, მოპასუხეებმა: ი. კერესელიძემ და გადაცემის ავტორმა ა. გოგიჩაიშვილმა გადაცემაში მოსარჩელე დაადანაშაულეს ორი ადამიანის მკვლელობაში, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობასა და სახელმწიფო კრედიტის არამიზნობრივად გამოყოფაში.

[126] აღსანიშნავია, რომ ვ. ასათიანს იმ დროისათვის, რომელსაც ეხება სასამართლო დავა, ეკავა მინისტრთა კაბინეტის აპარატის უფროსის თანამდებობა და, შესაბამისად, იგი იყო სახელმწიფო მოხელე.

[127] თბილისის საოლქო სასამართლოში ა. გოგიჩაიშვილმა ასევე შეიტანა შეგებებული სარჩელი ვ. ასათიანის წინააღმდეგ.

მოსარჩელე ვ. ასათიანი, სხვა საკითხებთან ერთად, უთითებს, რომ ა. გოგიჩაიშვილი, გადაცემაში გაკეთებული განმარტებით იმის შესახებ, რომ „ვ. ასათიანის შვილი უცხოეთიდან სასიკვდილო დიაგნოზით დაბრუნდა", უხეშად ჩაერია მის პირად და საოჯახო ცხოვრებაში და უმძიმესი ტრავმა მიაყენა მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

საოლქო სასამართლომ ვ. ასათიანის სარჩელი სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის", ა. გოგიჩაიშვილისა და ი. კერესელიძის მიმართ დააკმაყოფილა ნაწილობრივ. საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხეებმა დაარღვიეს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და 24-ე მუხლები, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლები. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ი. კერესელიძეს, ა. გოგიჩაიშვილსა და სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ს დაევალათ ვ. ასათიანის პატივისა და ღირსების შემლახველი მათ მიერ გავრცელებული ცნობების უარყოფა. საოლქო სასამართლომ უარი განაცხადა ვ. ასათიანის მიმართ ა. გოგიჩაიშვილის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს კონსტიტუციასთან, სხვა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებსა და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციასთან ერთად,[128] საოლქო სასამართლომ გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. იმის შეფასებისას, შელახა თუ არა ი. კერესელიძის გამონათქვამებმა ვ. ასათიანის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, საოლქო სასამართლომ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე – *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ*. საოლქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ პრეცედენტის თანახმად, „ზუსტად უნდა დადგინდეს ფაქტებსა და მოსაზრებებს შორის განსხვავება. ფაქტების არსებობა შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს მაშინ, როდესაც მოსაზრებები არ ექვემდებარება მტკიცებულებებს ...". საოლქო სასამართლომ ასევე მოიშველია ხსენებული საქმე და აღნიშნა, რომ „... შეხედულებების სიმართლის დამტკიცების მიმართ შეუძლებელია ამ მოთხოვნების შესრულება და იგი თავად არღვევს აზრის თავისუფლებას, რომელიც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი უფლების ფუნდამენტურ ნაწილს."

ამ პრეცედენტის გამოყენებით საოლქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ: „... კერესელიძის მიერ გავრცელებული ყველა განცხადება ცნობებია ფაქტების შესახებ, რომელსაც სჭირდება მტკიცება. სინამდვილესთან შესაბამისობის მტკიცების ტვირთი კი იმავე ლინგენსის საქმეზე დადგენილი სტანდარტით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ეკისრება მის გამავრცელებელს ..."

საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „მოპასუხეთა მიერ გავრცელებული ცნობები ფაქტების შესახებ აშკარად ლახავს ვალერი ასათიანის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, ვინაიდან ისინი შეიცავენ მტკიცებას მოსარჩელის მიერ კანონის, მორალის ნორმების დარღვევისა და უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოპასუხეებმა ვ. ასათიანს ბრალი დასდეს უმძიმეს დანაშაულთა – რიტუალური მკვლელობის, უცხო ქვეყნის სპეც-

[128] სამოქალაქო კოდექსი (მე-18 მუხლი) და კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ".

სამსახურებთან თანამშრომლობის, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და უფლებამოსილების გადამეტებაში. მოპასუხეებმა ვერც ერთი მტკიცებულებით ვერ უზრუნველყვეს მათი ვერსიის სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცება."

საოლქო სასამართლომ ასევე განიხილა ვ. ასათიანის მტკიცება სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ისა" და ჟურნალისტ ა. გოგიჩაიშვილის მიერ ვ. ასათიანის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის შესახებ, კერძოდ, ყურადღება გაამახვილა ჟურნალისტისა და სამაუწყებლო კომპანიის შესაძლო პასუხისგებაზე დაუდასტურებელი ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების გამო. საოლქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „რუსთავი-2-ისა" და ჟურნალისტ ა. გოგიჩაიშვილის მიერ „ტენდენციურად იქნა გაშუქებული ირაკლი კერესელიძის ზემოაღნიშნული ვერსია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ა. გოგიჩაიშვილმა ცნობებს თავისი დასკვნებით შესძინა დამაჯერებლობა და საზოგადოებას მიაწოდა როგორც უტყუარი და დადასტურებული ფაქტები, რითაც შელახა ვალერი ასათიანის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია." საოლქო სასამართლომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (*საქმე ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ*) საფუძველზე აღნიშნა, რომ ვ. ასათიანის მიმართ გაკეთებული განცხადებები, სასამართლოს აზრით, „... არის ცნობები ფაქტების შესახებ, რაც დამტკიცებას ექვემდებარება და რომლის სინამდვილესთან შესაბამისობის მტკიცების ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ლინგენსის საქმეზე დადგენილი სტანდარტის მიხედვით, ეკისრება მის გამავრცელებელს." საოლქო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ „დასახელებული პრეცედენტის მიხედვით: „ჟურნალისტები ასეთ შემთხვევაში ვერ გაექცევიან სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობას, თუკი ისინი ვერ დაამტკიცებენ თავიანთი განცხადებების სიმართლეს."[129]

ამის შედეგად საოლქო სასამართლომ ჩათვალა, რომ: „გადაცემაში „60 წუთი" მოპასუხე გოგიჩაიშვილის გამონათქვამი: „მკვლელობის წარმოდგენილი ვერსია ორივე შემთხვევაში დადასტურდა" ლახავს ვ. ასათიანის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას, ვინაიდან აღნიშნული გამონათქვამი წარმოადგენს ბრალდებას ვ. ასათიანის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება და არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით."

საოლქო სასამართლომ ასევე განიხილა ვ. ასათიანის მტკიცება მის პირად და საოჯახო ცხოვრებაში ჩარევის შესახებ. სასამართლომ მოპასუხეთა გამონათქვამი – „ვალერი ასათიანის შვილი უცხოეთიდან სასიკვდილო დიაგნოზით დაბრუნდა" – მიიჩნია ვ. ასათიანის პირად და საოჯახო ცხოვრებაში ჩარევად.

აღსანიშნავია, რომ საოლქო სასამართლომ საქმის მასალებიდან გამოარკვია: „2001 წლის 01 აპრილამდე ნიკა ასათიანის „სასიკვდილო დიაგნოზის" შესახებ საჯაროდ არავის განუცხადებია. აღნიშნული ცნობა საჯაროდ გახმაურდა ჟურნალისტ ა. გოგიჩაიშვილის მიერ 2001 წლის 01 აპრილს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის" გადაცემაში „60 წუთი", რომელმაც ი. კერესელიძისაგან მიღებული ინფორმაცია საჯაროდ ამცნო საზოგადოებას."

თავისი პოზიციის დასასაბუთებლად საოლქო სასამართლომ მიუთითა არა

[129] ამ საკითხზე თავისი პოზიციის დასასაბუთებლად საოლქო სასამართლომ ასევე გამოიყენა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *ოტო პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ*.

მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლსა[130] და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-8 მუხლზე,[131] არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის[132] მიერ კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებულ განმარტებაზე.

საოლქო სასამართლო დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მოხსენებას საქმეზე – *ვაან ოოსტერვიკი ბელგიის წინააღმდეგ* და აღნიშნა, რომ „პირადი ცხოვრების" უფლება არის უფლება პირად ცხოვრებაზე, ანუ პიროვნების უფლება იცხოვროს ისე, როგორც თავად სურს და (მისი ცხოვრების წესი) დაცული იყოს საჯაროობისაგან." ევროპული კომისიის ასეთი განმარტების საფუძველზე საოლქო სასამართლომ დაასკვნა, რომ „პირადი ცხოვრების საიდუმლოების გახმაურება არის აღნიშნული უფლების პატივისცემის ხელყოფა".

საოლქო სასამართლო ასევე დაეყრდნო ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც უშუალოდ ეხება პირის სამედიცინო მონაცემების კონფიდენციურობის დაცვას. საოლქო სასამართლომ მოიშველია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *„Z" ფინეთის წინააღმდეგ*, რომლის თანახმად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, არ გაამჟღავნოს პირის ავადმყოფობის მდგომარეობა.[133] ამასთანავე, საოლქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ეკისრება არა მხოლოდ ნეგატიური ვალდებულება – თავად არ გაამჟღავნოს პირად და საოჯახო ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, არამედ პოზიტიური ვალდებულება – „არ დაუშვას მესამე პირთა მიერ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების გახმაურება მისი თანხმობის გარეშე, რათა არ მოხდეს კონვენციის მე-8 მუხლის 1 ნაწილით გარანტირებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შელახვა."[134]

ამ ანალიზის საფუძველზე საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ: „მოპასუხეთა მიერ გავრცელებული ცნობები მოსარჩელის შვილის ავადმყოფობის შესახებ, წარმოადგენს ვ. ასათიანის პირადი საოჯახო ცხოვრების საიდუმლოებას, ვინაიდან ის არ ეხება პიროვნების საზოგადოებრივ ცხოვრებას და გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის. თუ პატივის, ღირსების,, საქმიანი რეპუტაციის დაცვის დროს კანონი იცავს პიროვნების ცხოვრების საზოგადოებრივ მხარეებს, სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გახმაურების უარყოფით, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვისას საქმე ეხება სრულიად საპირისპირო მოვლენას. პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ცნობები შესაძლოა, სინამდვილეს შეესაბამებოდეს, მაგრამ პიროვნება დაინტერესებულია მათი გახმაურებისაგან დაცვით." საოლქო სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ „ვ. ასათიანის შვილის ჯანმრთელობის

[130] კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება [...] ხელშეუხებელია".

[131] კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს, პატივი სცენ მის პირად და საოჯახო ცხოვრებას".

[132] ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ შეწყვიტა საქმიანობა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმის შედეგად.

[133] ამ საქმეში განაცხადის ავტორი დაავადებული იყო შიდსით, რის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებამ დაარღვია ევროპის კონვენციის მე-8 მუხლი.

[134] პოზიტიურ ვალდებულებასთან დაკავშირებით საოლქო სასამართლო დაეყრდნო ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს საქმეებზე: *ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ* და *კოგანი ირლანდიის წინააღმდეგ*.

მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებით ა. გოგიჩაიშვილმა უმძიმესი სულიერი ტრავმა მიაყენა ვ. ასათიანის ოჯახს და პირადად ნიკა ასათიანს, რომლისთვისაც ადრე არაფერი იყო ცნობილი მისი „სასიკვდილო დიაგნოზის" შესახებ."

ამ სასამართლო საქმის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ საოლქო სასამართლომ გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მის წინაშე არსებული დავის გადასაწყვეტად. საოლქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია ასევე იმით, რომ ის ნათელს ჰფენს საქართველოს სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობას. საოლქო სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „ზემოაღნიშნული [საქმე *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ*–ავტორის შენიშვნა] და სხვა ევროპული პრეცედენტებით დადგენილი სტანდარტები ავსებენ და აზუსტებენ ევროპული კონვენციითა და საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ნორმების შინაარსს." ამით საოლქო სასამართლომ დაადასტურა, ევროპის კონვენციასთან ერთად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობა.

7.6. მართალია, საქართველოს სასამართლოების პრაქტიკამ ცხადყო, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციასთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ჯერჯერობით ძირითადად გამოიყენება საკასაციო და სააპელაციო სასამართლო ინსტანციების მიერ, მაგრამ შეცდომა იქნებოდა დასკვნის გაკეთება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოებისათვის უცნობია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკა.

ამის დასტურად შეიძლება მოყვანილ იქნეს ჭიათურის რაიონული სასამართლოს მიერ 2002 წლის 3 აპრილს მიღებული გადაწყვეტილება.[135] საქმე ეხებოდა ჭიათურის რაიონის გამგებლის დ. ივანიშვილის სარჩელს რამდენიმე პოლიტიკური პარტიის წევრთა წინააღმდეგ, რომელშიც იგი მოითხოვდა თავისი და ჭიათურის რაიონის გამგეობის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების საჯაროდ უარყოფას. მოსარჩელემ სარჩელის საფუძვლად მიუთითა ასეთი გარემოება: 2001 წლის ნოემბრის თვეში ჭიათურის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მოპასუხეთა ინიციატივითა და ორგანიზატორობით გაიმართა მიტინგი, რომელზეც მოპასუხეები საზოგადოების წინაშე თავიანთ გამოსვლებში საჯაროდ აცხადებდნენ, რომ ჭიათურის ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლება – რაიონის დაქვემდებარებული სამსახურები წარმოადგენს მაფიოზურ კლანებს და მათი ხელმძღვანელი გამგებელი ხალხის ინტერესების ცინიკური და თავხედური უგულებელყოფის ხარჯზე ბრწყინვალედ ახერხებს სხვადასხვა მაფიოზურ-ფინანსურ-ოლიგარქიული კლანის დაცვასა და ლობირებას. ხსენებული ბრალდების შემცველი წერილი მოპასუხეთა ხელმოწერით გაეგზავნა საქართველოს პარლამენტის სპიკერატსა და ფრაქციების თავმჯდომარეებს.

მოპასუხეების აზრით, მათ არ გაუვრცელებიათ და არც ჰქონდათ გამგეობისა და გამგებლის შეურაცხმყოფელი ცნობების გავრცელების განზრახვა. მათ მიტინგზე და პარლამენტისადმი გაგზავნილ წერილში გამოხატეს საკუთარი აზრი, რომელიც ემყარებოდა რაიონში შექმნილ უმძიმეს სიტუაციას, აგრეთვე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და საგაზეთო სტატიების ურთიერთშეჯერების ანალიზს.

[135] ჭიათურის რაიონული სასამართლო, გადაწყვეტილება N2/64, 2002 წლის 3 აპრილი.

მოპასუხემ თავისი პოზიციის დასასაბუთებლად მოიშველია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლი და ამ მუხლთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები (*ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ; ბედფორდი დანიის წინააღმდეგ*).

ჭიათურის რაიონულმა სასამართლომ ჭიათურის რაიონის გამგებლის დ. ივანიშვილის სარჩელი უსაფუძვლოდ ჩათვალა და არ დააკმაყოფილა იგი. თავისი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი. ამას გარდა, რაიონული სასამართლო დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლს და მის განმარტებას ევროპული სასამართლოს პრეცედენტის (საქმე *კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ*) მიხედვით. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე რაიონულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფო მოხელეთა დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე რიგითი მოქალაქეების მიმართ, რის გამოც სახელმწიფო მოხელეებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა უნდა ითმინონ მათ სამსახურებრივ (საზოგადოებრივ) საქმიანობასთან დაკავშირებული კრიტიკა.

ზოგადად საქართველოს სასამართლოების პრაქტიკასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა ნაწილში სასამართლო, მართალია, პირდაპირ ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციას, მაგრამ არ მოიხსენიებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს თავის გადაწყვეტილებაში. მიუხედავად ამისა, საქართველოს სასამართლოების ზოგიერთი გადაწყვეტილების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ეროვნულმა სასამართლომ დავის გადასაწყვეტად გაითვალისწინა არა მხოლოდ ევროპის კონვენციის კონკრეტული დებულებები, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებაში ამ უკანასკნელზე პირდაპირ არ მიუთითა. ამის მტკიცების საფუძველს იძლევა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ისეთი განმარტება, რომელიც კონვენციის კონკრეტული დებულებიდან არ გამომდინარეობს, მაგრამ ასახავს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში გამოხატულ განმარტებასა და არგუმენტაციას.[136] ხსენებულის მტკიცების საფუძველს ასევე იძლევა საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებში გამოყენებული ფორმულირებები, რომლებიც ანალოგიურია ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში გამოყენებული ფორმულირებებისა.[137]

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზის შედეგად ასევე აღმოჩნდა გადაწყვეტილება, რომელშიც, მართალია, გამოყენებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია, მაგრამ იმის გამო, რომ საერთო სასამართლომ არ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, მან კონვენცია არ განმარტა იმ მნიშვნელობით, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ.

[136] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, განჩინება (გონიერულ ვადაში საქმის განხილვის უფლების შესახებ), 2001 წლის 17 ივლისი. იხ. „ადამიანის უფლებათა დაცვის სამაგალითო გადაწყვეტილებები" (2001 წ.), თბილისი, 2002 წელი, გვ. 16-19.

[137] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, განჩინება (გამოთქმული შეხედულებებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ), 2000 წლის 12 დეკემბერი. იხ. „ადამიანის უფლებათა დაცვის სამაგალითო გადაწყვეტილებები" (2001 წ.), თბილისი, 2002 წელი, გვ. 20-24.

საქმე ეხება მარნეულის რაიონულ სასამართლოში ერთ-ერთი რელიგიური მიმდინარეობის მიმდევრების მიერ შეტანილ სარჩელს რაიონის გამგებლისა და ადგილობრივი პოლიციის რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირის წინააღმდეგ, რომელშიც ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათ არ მიეცათ უფლება, დასწრებოდნენ ამ რელიგიური მიმდინარეობის მომხრეთა შეხვედრას.[138] ამის მიზეზად ისინი ამტკიცებდნენ, რომ რელიგიურ ნიადაგზე მათთან დაპირისპირებულმა მხარემ დაარბია ეს შეხვედრა და მათ მიაყენეს მატერიალური ზიანი და მორალური შეურაცხყოფა.

მოსარჩელეები ასევე ამტკიცებდნენ, რომ პოლიციის თანამშრომლებმა არ დაიცვეს მათი უფლებები, რის გამოც მოწინააღმდეგეებმა შეძლეს შეხვედრის ჩაშლა და მათი უფლებების ხელყოფა. საყურადღებოა რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ჩვენება, რომლის თანახმად, „პოლიციის კომპეტენციაში არ შედის სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის წევრების დაცვა, ამისათვის არსებობს დაცვის პოლიცია."

მოპასუხეებმა სარჩელი უსაფუძვლოდ ჩათვალეს იმის გამო, რომ რაიონის პოლიციის თანამშრომლებს მოსარჩელეებისათვის არ მიუყენებიათ არც სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა და არც მორალური თუ მატერიალური ზიანი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მის მარწმუნებლებს არ დაურბევიათ შეხვედრა და რომ არცერთ მოსარჩელეს არ დაუსახელებია პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც მათ მიაყენეს შეურაცხყოფა ან დაეხმარნენ მათთან დაპირისპირებულ მხარეს რელიგიური შეხვედრის დარბევაში.

სასამართლომ მოსარჩელეთა მოთხოვნა უსაფუძვლოდ ჩათვალა და არ დააკმაყოფილა. სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიცია ხელს არ უშლიდა რელიგიური მიმდინარეობის მომხრეებს რელიგიურ შეხვედრაზე დასასწრებად. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მოსარჩელეებს შეურაცხყოფა და მატერიალური ზიანი მიაყენა მათთან დაპირისპირებულმა მხარემ, რაშიც პოლიციის თანამშრომლებს ხელი არ შეუწყვიათ. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ვიდეომასალებით არ დადასტურდა პოლიციის თანამშრომელთა ჩარევა რელიგიური შეხვედრის დარბევაში.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია, რომლის თანახმად, პოლიციამ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-13 და მე-14 მუხლები. კონვენციის ამ მუხლების შინაარსის დასადგენად რაიონულმა სასამართლომ არ მოიშველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რაც, სავარაუდოდ, დაეხმარებოდა მას კონვენციის სწორ განმარტებასა და გამოყენებაში.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების მოშველიება, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოს სასამართლოების მიერ აუცილებელია არა მხოლოდ კონვენციის, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება.

1988 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა ავსტრიის წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში შეტანილი განაცხადი (საქმე *პლატფორმა „ექიმები სიცოცხლისათვის" ავსტრიის წინააღმდეგ*), რომელიც ეხება შეკრების თავისუფლებას (კონვენციის მე-11 მუხლი).[139] ევროპულ სასამართლოში განაცხადი შეიტანა ავსტრიელ ექიმთა ასოციაციამ, რომელიც ახორციელებდა აბორტის საწინააღმდეგო კამპანიას. საჩივარი ეხებოდა ასოციაციის ორ დემონსტრაციას, რომლის ჩატარებას ხელი შეუშალა ამ კამპანიის მოწინააღმდეგეთა ჯგუფმა. ასოციაციის წევრთა პირველი დემონსტრაციის დროს აბორტის მომხრეებმა ხელი შეუშალეს დემონსტრაციას, რისთვისაც გამოიყენეს ხმის გამაძლიერებლები და დემონსტრანტებს კვერცხები დაუშინეს. პოლიციელები, რომლებიც ესწრებოდნენ დემონსტრაციას, დაპირისპირებაში ჩაერივნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეებს შორის დაპირისპირება გამწვავდა და მისი ფიზიკურ ძალადობაში გადაზრდის რეალური საფრთხე შეიქმნა. აბორტის მოწინააღმდეგეთა ჯგუფმა ასევე შეუშალა ხელი ასოციაციის მეორე დემონსტრაციას.

ევროპულ სასამართლოში შეტანილ განაცხადში ასოციაცია ამტკიცებდა, რომ ავსტრიის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო დემონსტრანტები შეკრების თავისუფლების უფლებით, რომელიც გათვალისწინებულია ევროპის კონვენციის მე-11 მუხლით.[140] ამის საწინააღმდეგოდ, ავსტრიის მთავრობა ამტკიცებდა, რომ ევროპის კონვენციის მე-11 მუხლი არ აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს დემონსტრანტთა დაცვა. მთავრობის პოზიციით, საკმარისია, რომ დემონსტრანტებს თავად სახელმწიფომ არ შეუშალოს ხელი დემონსტრაციის განხორციელებაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით დაადგინა:

„მშვიდობიანი შეკრების ჭეშმარიტი, ეფექტიანი თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ჩაურევლობის მოვალეობით: სახელმწიფოს როლის წმინდა ნეგატიური კონცეფცია შეუთავსებელი იქნება მე-11 მუხლის ობიექტსა და მიზანთან. მე-8 მუხლის მსგავსად, მე-11 მუხლი ხანდახან მოითხოვს პოზიტიური ღონისძიების გატარებას, ინდივიდებს შორის ურთიერთობების სფეროშიც კი, თუ არსებობს ამის საჭიროება."[141]

ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ ნათელი მოჰფინა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულების ფარგლებს. ამ გადაწყვეტილებით ევროპის კონვენციის მე-11 მუხლი მონაწილე სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას–სახელმწიფომ უშუალოდ არ აკრძალოს დემონსტრაცია, არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც–სახელმწიფომ უზრუნველყოს დემონსტრაციის მშვიდობიანი ჩატარება, მათ შორის, დაიცვას დემონსტრანტები მათი იდეური მოწინააღმდეგეებისაგან.[142] აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით,

[138] იხ. მარნეულის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, N3/9-2002, 2002 წლის 13 მაისი; ასევე იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება, N3/413, 2000 წლის 24 მარტი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, ნაწილი I, N8, 2000 წელი, გვ. 373-376.

[139] საქმე *პლატფორმა „ექიმები სიცოცხლისათვის" ავსტრიის წინააღმდეგ*, 1988 წელი, Series A, N139.

[140] ევროპის კონვენციის მე-11(1) მუხლი ადგენს, რომ „ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლებაზე, თავისი ინტერესების დასაცავად პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების უფლების ჩათვლით." მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი აწესებს შესაძლო შეზღუდვებს ამ უფლების განხორციელებაზე.

[141] საქმე *პლატფორმა „ექიმები სიცოცხლისათვის" ავსტრიის წინააღმდეგ*, 1988 წელი, Series A, N139, 32-ე პუნქტი; ასევე იხ. *X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ*, 1985 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, 23-ე პუნქტი.

[142] J. Merrils, The Development of International Law by the European Court of Human Rights, 1993, 105-106; ასევე იხ. ლ. ჟილდჰაბერი, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 2002 წელი, გვ. 59-60.

სახელმწიფო ვერ გაიმართლებს თავს იმით, რომ იგი უშუალოდ არ არღვევს იურიდიული ან ფიზიკური პირის უფლებებს, არამედ მათი უფლებები ირღვევა მესამე მხარის (პირთა ან პირთა ჯგუფის) მიერ.[143]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ხსენებულ საქმესთან დაკავშირებით შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ამ პრეცედენტის გამოყენების შემთხვევაში მარნეულის რაიონული სასამართლო განსხვავებულად შეაფასებდა მის წინაშე არსებულ საქმეს.

რაც შეეხება საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებას, მიზანშეწონილია მისი პრაქტიკის მიმოხილვა.

უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე – *„ლელა ინწკირველი, ნინო გახოკიძე და ეკა ჩაჩანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"*.[144] კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელეები მოითხოვდნენ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობას. კერძოდ, მოსარჩელეები მიუთითებენ საგადასახადო კოდექსის ხსენებული მუხლების შეუსაბამობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან (საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება). მათი აზრით, სანოტარო საქმიანობა გადასახადების დაკისრების თვალსაზრისით არ შეიძლება გაუთანაბრდეს სამეწარმეო საქმიანობას. სარჩელის თანახმად, „არამეწარმის დაბეგვრა მეწარმის რეჟიმით, ანუ შესაბამისი გადასახადების დაკისრებით, არაკონსტიტუციურია და იგი ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულ საკუთრების უფლებას, რომლის მიხედვით, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებულია და უზრუნველყოფილია."[145]

ამ საქმეზე მოსარჩელეთა წარმომადგენელმა თავისი პოზიციის დასასაბუთებლად საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან ერთად, მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე – *დარბი შვედეთის წინააღმდეგ*.[146] ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საეკლესიო ბეგარის დაწესება იმ პირისათვის, რომელიც არ არის ეკლესიის წევრი, ხელყოფს ევროპის კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებულ საკუთრების უფლებას.[147]

[143] K. Starmer, European Human Rights Law: The Human Rights Act 1998 and the European Convention on Human Rights, 1999, 194-195; S. Jensen, The European Convention on Human Rights in Scandinavian Law: A Case Law Study, 1992, 179.

[144] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია, განმწესრიგებელი სხდომის განჩინება, N2/81/2, 1999 წლის 11 მაისი, იხ. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 1999, გვ. 108-119.

[145] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია, განმწესრიგებელი სხდომის განჩინება, N2/81/2, 1999 წლის 11 მაისი, იხ. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 1999, გვ. 110.

[146] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია, განმწესრიგებელი სხდომის განჩინება, N2/81/2, 1999 წლის 11 მაისი, იხ. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 1999, გვ. 110; ასევე იხ. *დერბი შვედეთის წინააღმდეგ*, 1990 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, 1990, Series A, N187.

[147] პირველი ოქმის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ „ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს უფლება, მშვიდობიანად სარგებლობდეს თავისი საკუთრებით. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას თავისი საკუთრება, გარდა საჯარო ინტერესისათვის და კანონითა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული პირობებით. [...]."

ამ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, სამწუხაროდ, არ მიეცა შესაძლებლობა, გამოეხატა თავისი შეხედულება სარჩელის მიმართ, განსაკუთრებით მოსარჩელის არგუმენტზე (რაც ამ ნაშრომის ინტერესის საგანია), რომელიც ემყარებოდა ევროპული სასამართლოს მოხსენიებულ პრეცედენტს. ამის მიზეზი ის იყო, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოუხდა ამ საქმეზე სამართალწარმოების შეწყვეტა სადავო აქტების გაუქმების გამო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის დამთავრების შემდეგ, როდესაც სასამართლო კოლეგია გადაწყვეტილების დასადგენად სათათბირო ოთახში გავიდა, საქართველოს პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლითაც გააუქმა სადავო დებულებები.[148]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილული საქმე *„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"*.[149]

მოსარჩელემ[150] დააყენა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მრავალი დებულების კონსტიტუციურობის საკითხი.[151] წინამდებარე ნაშრომში შეუძლებელია ხსენებული კანონის ყველა იმ სადავო დებულების განხილვა, რომლის კონსტიტუციურობაზე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელემ მოიშველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი თავისი პოზიციის დასასაბუთებლად, რისი მიზანი იყო იმის დემონსტრირება, თუ როგორ განმარტა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ უფლების შინაარსი.

მოსარჩელე დაეყრდნო ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებას, მათ შორის გადაწყვეტილებას საქმეზე – *სტანკოვი და მაკედონიელთა გაერ-*

[148] საყარაულოა, რომ სასამართლო პროცესის მსვლელობის შედეგად მოპასუხეებმა წინასწარ განჭვრიტეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსალოდნელი გადაწყვეტილება მოსარჩელეთა კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების სანაცვლოდ გადაწყვეტის შესახებ, რაც საქართველოს შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილებების შეტანის მიზეზი იყო.

[149] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება N2/2/180-183, 2002 წლის 5 ნოემბერი.

[150] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გააერთიანა 180-ე და 183-ე ნომრებით რეგისტრირებული სარჩელები მათი ერთობლივი განხილვის მიზნით, რადგან ორივე ეხებოდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობას. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განჩინება N2/2/183, 2002 წლის 27 მაისი.

[151] 180-ე ნომრით რეგისტრირებულ სარჩელზე – „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის „ა" და „ბ" პუნქტები, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი, მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი, მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, მე-14 მუხლის პირველი პუნქტი საქართველოს კონსტიტუციის მე-19, 24-ე და 25-ე მუხლებთან მიმართებით;
183-ე ნომრით რეგისტრირებულ სარჩელზე – „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-13, მე-14 მუხლების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის პირველ და მეორე პუნქტებთან მიმართებით.

თიანებული ორგანიზაცია „ილინდელი" ბულგარეთის წინააღმდეგ.[152] მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ მოიშველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რასაც სტიმული უნდა მიეცა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, რათა სადავო საკითხები განეხილა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში არ მოუხდენია ევროპული სასამართლოს პრეცედენტების ანალიზი.[153]

თუმცა აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა: „სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც არა თუ ფიზიკურ პირებს, პროფესიულ კავშირებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებსაც არ შეუძლიათ მიმართონ სტრასბურგის სასამართლოს მხოლოდ იმიტომ, რომ პრინციპულად სურთ გაასაჩივრონ სახელმწიფოს ესა თუ ის ქმედება." „სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის" მოხსენიების შემთხვევაშიც კი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიუთითა ევროპული სასამართლოს კონკრეტულ პრეცედენტზე (პრეცედენტებზე) და მითუმეტეს, გადაწყვეტილებაში არ მოუხდენია მისი (მათი) ანალიზი.

აშკარაა, რომ ამ საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავი შეიკავა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებისაგან. საკმარისი საფუძველია მტკიცებისათვის, რომ პრეცედენტული სამართლის გამოყენება სასამართლოს მიერ, ერთი მხრივ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა ამ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობდა საქართველოს სასამართლოთა მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პოპულარიზაციას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მცირე პრაქტიკის მიმოხილვის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ჯერჯერობით არ იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს თავის გადაწყვეტილებებში. ვერ იქნა აღმოჩენილი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც მან მოიშველია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, დაეყრდნო ამა თუ იმ კონკრეტულ პრეცედენტს სადავო უფლების შინაარსის დასადგენად.

ამ დასკვნას ადასტურებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ბესარიონ ზოიძე, რომელიც ასევე ამახვილებს ყურადღებას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენების მნიშვნელობაზე. მისი აზრით, „თუ განვლილ პრაქტიკას გადავხედავთ, საკმაოდ ფართოდ გამოგვიყენებია ჩვენ საერთაშორისო პაქტები და კონვენციები ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში. მაგრამ უშუალო ციტირება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებისა ჯერ არა გვქონია. ვფიქრობ, რომ ამ მიმართებით სერიოზული ნაბიჯები უნდა გადაიდგას.„[154]

[152] მოსარჩელემ ასევე მოიშველია ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: *თავისუფლებისა და დემოკრატიის პარტია თურქეთის წინააღმდეგ; ბართოლდი გერმანიის წინააღმდეგ; იანგი, ჯეიმსი და უებსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ; იერშილდი დანიის წინააღმდეგ; ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; პლატფორმა „ექიმები სიცოცხლისათვის" ავსტრიის წინააღმდეგ.*

[153] საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი.

[154] ბ. ზოიძე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 2002 წელი, გვ. 60.

მართალია, ამჟამად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ნელ-ნელა მის პრაქტიკაში ფეხს მოიკიდებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება. მით უმეტეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ენიჭება განსაკუთრებული როლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებაში. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტმა აღნიშნა საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით:

„... ეროვნულმა სასამართლოებმა, უწინარესად უზენაესმა და საკონსტიტუციომ (*ავტორის ხაზგასმა*), მზერა უნდა მიაპყრონ ... სტრასბურგის სამოსამართლო სამართალს და შეისწავლონ იგი, რათა ღრმად გაიცნობიეროს სამართლებრივი სახელმწიფოს თანაარსი ისეთი განვითარებული პრინციპები, როგორიც არის სამართლიანი სასამართლო განხილვა, ან აზრის გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლება„.[155]

8. პრეცედენტული სამართლის გამოყენება საქართველოს სასამართლოების მიერ ქვეყნის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება საქართველოს სასამართლოების მიერ მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის სწორი გამოყენებისათვის, არამედ საქართველოს კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოყვანილ იქნეს მაგალითი, რომელიც დაკავშირებულია სხვა სახელმწიფოსათვის პირთა გადაცემის მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობასთან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილით, „არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს. [...]."

ასევე აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით, „დანაშაულის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქე, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად შეიძლება გადაეცნენ სხვა სახელმწიფოს." ეს დებულება პირდაპირ მიუთითებს, რომ ასეთი გადაცემა განხორციელდება, თუ იგი გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

[155] ლ. ვილდაბერი, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 2002 წელი, გვ. 63.

ხსენებულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ადამიანის უფლებათა დაცვის იმ სტანდარტების განხილვა, რომლებიც ჩამოაყალიბა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირთა ექსტრადიციის საკითხზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე *სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.[156] სოერინგმა, რომელიც გერმანიის მოქალაქე იყო, 1985 წლის 30 მარტს ჩაიდინა თავისი მეგობარი გოგონას მშობლების მკვლელობა ამერიკის შეერთებული შტატების ვირჯინიის შტატში. მკვლელობის შემდეგ სოერინგი და მისი მეგობარი გოგონა მიიმალნენ. მოგვიანებით ისინი დააკავეს ინგლისში. სოერინგის დაკავების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გაერთიანებული სამეფოსაგან მოითხოვა მისი ექსტრადიცია, ამ სახელმწიფოებს შორის მოქმედი ხელშეკრულების თანახმად. სირთულეები ექსტრადიციის მიმართ წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ სოერინგს, როგორც დანაშაულის მთავარ შემსრულებელს, ემუქრებოდა სიკვდილით დასჯა აშშ-ში, ინგლისში კი სასჯელის ეს ფორმა გაუქმებული იყო.[157]

სოერინგმა შეიტანა განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში,[158] რომელშიც ამტკიცებდა, რომ დიდი ალბათობა იყო მის მიმართ სასიკვდილო განაჩენის გამოტანისა აშშ-ისათვის მისი გადაცემის შემთხვევაში. მან ასევე აღნიშნა, რომ გადაცემის შემთხვევაში იგი განიცდიდა „სიკვდილმისჯილთა საკნის სინდრომს", რის გამოც დაექვემდებარებოდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასა და დასჯას, რაც იკრძალება ევროპის კონვენციის მე-3 მუხლით.[159]

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, სოერინგი არ მოითხოვდა ექსტრადიციის შესახებ ბრძანების გაუქმებას იმ მიზეზით, რომ მის მიმართ შეიძლებოდა გამოტანილი ყოფილიყო სასიკვდილო განაჩენი, რადგან ევროპის კონვენციის მე-3 მუხლით სიკვდილით დასჯა არ განიხილება წამებად ან არაადამიანურ მოპყრობად, არამედ მოითხოვდა ექსტრადიციის შესახებ ბრძანების გაუქმებას იმ მიზეზით, რომ თუ მის მიმართ გამოტანილი იქნებოდა სასიკვდილო განაჩენი, რომლის აღსრულებას ვირჯინიის შტატში დიდი დრო დასჭირდებოდა, იგი განაჩენის აღსრულების მოლოდინის ხანგრძლივი დროის გამო განიცდიდა „სიკვდილმისჯილთა საკნის სინდრომს", რითაც დაექვემდებარებოდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასა და სასჯელს.

თავის მხრივ, გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ამტკიცებდა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ უნდა განიმარტოს ისე, რომ დააკისროს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იმ მოქმედებისათვის, რომელიც ხდება მისი

[156] 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, Series A, N161; ასევე იხ. A. Mowbray, Cases and Materials on the European Convention on Human Rights, 2001, 113-124.

[157] R. Lillich, Towards the Harmonisation of International Human Rights Law, in: Recht zwischen Umbruch und Bewahrung: Ferstschrift für Rudolf Bernhardt, 1995, 466.

[158] როგორც უკვე აღინიშნა, ევროპის კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმამდე, რომელიც 1998 წელს დასრულდა, განაცხადის დასაშვებობას იხილავდა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია, რომელიც იღებდა ინდივიდუალურ განაცხადებს.

[159] „სიკვდილმისჯილთა საკნის სინდრომი" ევროპულმა სასამართლომ აღწერა როგორც ისეთი გარემოებების ერთობლიობა, რომელშიც აღმოსნდებოდა განმცხადებელი, თუ მას მიუსჯიდნენ სიკვდილით დასჯას ვირჯინიის შტატისათვის გადაცემის შემთხვევაში, სადაც იგი უნდა წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობის ბრალდებით. იხ. 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, Series A, N161, 81-ე პუნქტი.

იურისდიქციის ფარგლებს გარეთ. გაერთიანებული სამეფოს პოზიციით, ექსტრადიცია არ იწვევს პირის გამცემი სახელმწიფოს პასუხისმგებლობას არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯისათვის, რომელსაც ეს პირი შეიძლება დაექვემდებაროს გამცემი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს გარეთ.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა შემდეგი:

„პასუხგასაცემია კითხვა, იწვევს თუ არა კონვენციის მე-3 მუხლი მონაწილე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას იმ პირის ექსტრადიცია სხვა სახელმწიფოში, სადაც იგი გახდება ან შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი. [...] საეჭვოა, რომ კონვენციის ძირითად ფასეულობებს, საკუთრივ „პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობას", რომელზეც უთითებს კონვენციის პრეამბულა, შეესატყვისებოდეს ის, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა გადასცენ პირი სხვა სახელმწიფოს, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ იგი შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, როგორი სასტიკიც არ უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დანაშაული. ასეთ გარემოებაში ექსტრადიცია, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე პირდაპირ არ არის მითითებული მე-3 მუხლის მოკლე და ზოგად ფორმულირებაში, აშკარად წინააღმდეგობრივი იქნებოდა ამ მუხლის სულისკვეთებასა და შინაარსთან და, სასამართლოს აზრით, ეს ნაგულისხმევი ვალდებულება გადაცემისაგან თავის შეკავების შესახებ ასევე ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც პირი იმ სახელმწიფოში, რომელსაც გადაეცემა, აღმოჩნდება რეალური რისკის წინაშე, გახდეს მოცემული მუხლით აკრძალული არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი."[160]

ევროპული სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილების მიხედვით, ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ეკრძალებათ პირის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეს პირი შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს.[161]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილისა და ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის მოკლე მიმოხილვის შედეგად შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა:

თუ საქართველოს სასამართლომ არ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, იგი სავარაუდოდ ვერ დაასკვნის, რომ, ერთი მხრივ, საქართველოს კანონმდებლობა, და, მეორე მხრივ, ევროპის კონვენცია და მისი პრეცედენტული სამართალი განსხვავებულ პირობებს ადგენს პირის გადაცემაზე უარის გაცხადების სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით. საქართველოს სასამართლო, სავარაუდოდ, ვერც წარმოიდგენს, რომ ევროპის კონვენციის მე-3 მუხლი შეიძლება ადგენდეს რაიმე მოთხოვნას ექსტრადიციასთან დაკავშირებით, კერძოდ იმას, რომ ეროვნულმა სასამართლომ, მისთვის საჩივრით მიმართვის

[160] 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, Series A, N161, 88-ე პუნქტი.

[161] J. Frowein, The European Convention on Human Rights as the Public Order of Europe, in: Collected Courses of the Academy of European Law, 1990, vol. I(2) 1992, 316-317; ასევე იხ. M. O'Boyle, Extradition and Expulsion under the European Convention on Human Rights: Reflection on the Soering Case, in: Human Rights and Constitutional Law, Essays in Honour of Brian Walsh, J. O'Reilly (Ed.), 1992, 93.

შემთხვევაში, უნდა გააუქმოს ბრძანება პირის ექსტრადიციის შესახებ, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეს პირი გადასაცემ სახელმწიფოში შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს.

შეიძლება გამოითქვას ეჭვი, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეს პირი გადასაცემ სახელმწიფოში შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს, საქართველოს სასამართლო არ გააუქმებს ბრძანებას ექსტრადიციის შესახებ, რადგან ამ საფუძვლით სხვა სახელმწიფოსათვის უარის გაცხადების საფუძველი გათვალისწინებული არ არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6(3) მუხლით. ამის შედეგი იქნება ის, რომ სახელმწიფო, რომელმაც გადასცა ეს პირი, დაარღვევს ევროპის კონვენციის მე-3 მუხლს.[162] ნიშანდობლივია, რომ ასეთ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა იმას, არის თუ არა მეორე სახელმწიფო, რომელსაც გადაეცემა პირი, ევროპის კონვენციის მონაწილე.[163]

ამიტომაც საქართველოს სასამართლოს წინაშე ასეთი დავის წარმოშობის შემთხვევაში მან, სისხლის სამართლის კოდექსთან და ევროპის კონვენციასთან ერთად, უნდა გამოიყენოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და მისი გათვალისწინებით განმარტოს სისხლის სამართლის კოდექსი. ეს საშუალებას მისცემს სასამართლოს, შეაფასოს კოდექსით, კონვენციითა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი საფუძვლები ექსტრადიციაზე უარის გაცხადების შესახებ და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არ დაარღვევს ევროპის კონვენციით დადგენილ ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს.

ამ მოკლე მიმოხილვიდან ნათელია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებით საქართველოს სასამართლოებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა საქართველოს კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრაში.

9. დასკვნა

ამ ნაშრომის შედეგად შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა:

ა) ეროვნულ სასამართლოებს ენიჭებათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებისას. ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი;

ბ) ევროპული სახელმწიფოების სასამართლოების აბსოლუტური უმრავლესობა, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციასთან ერთად, რეგულარულად იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ევრო-

[162] A. Morawa & C. Schreuer, The Role of Domestic Courts in the Enforcement of International Human Rights-A View from Austria, in: Enforcing International Human Rights in Domestic Courts, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 181.

[163] B. Simma, D.-E.Khan, M. Zöckler & R. Geiger, The Role of German Courts in the Enforcement of International Human Rights, in: Enforcing International Human Rights in Domestic Courts, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 99.

პული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებათა გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ, რომლებიც ეხებიან კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს, გამომდინარეობს არა კონვენციით გათვალისწინებული სახელმწიფოს ვალდებულებიდან, არამედ განპირობებულია პრაგმატული მოსაზრებით.

ძირითადი მოტივი, რომელიც განაპირობებს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენებას ეროვნული სასამართლოების მიერ, არის ის, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის დებულებათა ავტორიტეტულ განმარტებას (ინტერპრეტაციას).

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე, ის ასეთი გადაწყვეტილების (პრეცედენტის) მეშვეობით განმარტავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს. კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებით სასამართლო ადგენს სტანდარტს, რომლის მნიშვნელობა სცილდება კონკრეტულ სასამართლო საქმეს.

ეროვნული სასამართლოები ათვითცნობიერებენ, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის, მისი პრეცედენტული სამართლის გაანალიზების გარეშე ძალზე რთულია კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა შინაარსის დადგენა და, შესაბამისად, კონვენციის დებულებათა სწორი გამოყენება. კონვენციაში ჩამოყალიბებული მრავალი ნორმა ძალზე ზოგადად არის ფორმულირებული. ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით ზუსტდება ამა თუ იმ უფლების შინაარსი და ფარგლები, რაც შესაძლებლობას აძლევს ეროვნულ სასამართლოს, სწორად განმარტოს ეს უფლებები და თავისუფლებები.

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აზუსტებს კონვენციის დებულებათა შინაარსსა და ფარგლებს, ისევე როგორც გამოყენების სფეროს, ევროპულ სახელმწიფოთა ეროვნული სასამართლოები არ განიხილავენ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციას ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გარეშე, რადგან კონვენციის სტანდარტები გამოიხატება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.

ევროპის კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტები არ განისაზღვრება მხოლოდ კონვენციის ტექსტით. ისინი დადგენილია როგორც კონვენციის ტექსტით, ისე მის საფუძველზე მიღებული პრეცედენტული სამართლით. სხვა სიტყვებით, ევროპის კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტებში მოიაზრება არა მხოლოდ თავად კონვენციის ტექსტით გათვალისწინებული სტანდარტები, არამედ ასევე ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით ჩამოყალიბებული სტანდარტები. ეროვნულმა სასამართლოებმა ევროპის კონვენცია უნდა განმარტოს და გამოიყენოს იმ მნიშვნელობით, რომელიც მას მიანიჭა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ განპირობებულია ასევე იმით, რომ იგი აძლევს ეროვნულ სასამართლოებს იმ გადაწყვეტილების განჭვრეტის შესაძლებლობას, რომელსაც სავარაუდოდ მიიღებს ევროპული სასამართლო ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში განაცხადის შეტანის შემთხვევაში. თუ ეროვნულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ევროპული სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები ანალოგიურ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა, სავარაუდოა, რომ ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის შემთხვევაში ევროპული სასამართლო იმავეს დაადგენს.

იმის გამო, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი განიხილება კონვენციის დებულებათა ავტორიტეტულ განმარტებად, ეროვნული სასამართლოებისათვის არა მხოლოდ მიზანშეწონილი, არამედ აუცილებელიცაა, კონვენციასთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება;

გ) ადვოკატებს ენიჭებათ მნიშვნელოვანი როლი ეროვნული სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებაში და, შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვაში ევროპული სტანდარტებით.

ეროვნული სასამართლოების წინაშე ადვოკატებმა უნდა მოიშველიონ არა მხოლოდ ევროპის კონვენციის ტექსტი, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. ადვოკატის არგუმენტები ბევრად უფრო დამაჯერებელი იქნება, თუ იგი დაეყრდნობა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებს, დაასაბუთებს, რომ კონვენციით გათვალისწინებული უფლება ისე უნდა განიმარტოს, როგორც ეს მოახდინა ევროპულმა სასამართლომ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეროვნული სასამართლოს დარწმუნებას ადვოკატის პოზიციის მართებულობაში. თუ ადვოკატი მხოლოდ კონვენციის ტექსტს დაეყრდნო და არ მიუთითა ევროპული სასამართლოს კონკრეტულ პრეცედენტზე იმის დასტურად, როგორ განმარტა და გადაწყვიტა ევროპულმა სასამართლომ მსგავსი დავა, ადვოკატის მიერ კონვენციის მოშველიების ეფექტი შეზღუდული იქნება და, შესაბამისად, მცირე იქნება სასამართლოს მიერ ადვოკატის პოზიციის გაზიარების ალბათობაც;

დ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული არა მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელების დროს, არამედ ასევე ნორმაშემოქმედებით პროცესში. ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა არა მხოლოდ ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაზე, არამედ სახელმწიფოს კანონმდებლობაზე. მას შეუძლია სასარგებლო წვლილი შეიტანოს ეროვნული კანონმდებლობის დახვეწაში.

თუ სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან, მცირე იქნება ევროპის კონვენციის დარღვევის რისკი ქვეყნის ნორმატიული აქტის ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო. თუ სახელმწიფო მოქმედ ნორმატიულ აქტში ან ნორმატიული აქტის პროექტში აღმოაჩენს იმავე ნორმას, რომელიც ევროპულმა სასამართლომ თავის ადრინდელ პრეცედენტში უკვე მიიჩნია კონვენციის დარღვევად, ამ სახელმწიფომ უნდა მოახდინოს თავისი კანონმდებლობის კორექტირება, რაც უზრუნველყოფს ასეთი ნორმატიული აქტის (ან მისი პროექტის) შესაბამისობას ევროპულ სტანდარტებთან. თუ სახელმწიფო მოახდენს თავისი კანონმდებლობის კორექტირებას, აღარ იარსებებს კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევის ნორმატიული საფუძველი.

ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ როგორც მოქმედი ნორმატიული აქტები, ისე მათი პროექტები შემოწმდეს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ცხადია, საკანონმდებლო ხელისუფლებას განსაკუთრებული როლი ენიჭება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფაში.

ამდენად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება საშუალებას მისცემს ქვეყანას, შეაფასოს თავისი კანონმდებლობა და პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, მოახდინოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის კორექტირება, რაც ხელს შეუწყობს ზოგადად ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწას;

ე) ეროვნულ სასამართლოებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებით სახელმწიფოს კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი ვაკუუმის შევსებაში. კონკრეტული საქმის განხილვისას ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ სადავო საკითხი არ არის, ან მხოლოდ ნაწილობრივ არის მოწესრიგებული ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტით (მაგალითად, კანონით). ასეთ შემთხვევაში ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და მის მიხედვით გადაწყვიტოს დავა. კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი ვაკუუმის შესავსებად პრეცედენტული სამართლის გამოყენება ასევე შეუწყობს ხელს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მარეგულირებელი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის დახვეწას;

ვ) რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს სასამართლოების პრაქტიკას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია შემდეგი:

საქართველოს სასამართლოების საქმიანობის შესწავლამ დაადასტურა, რომ პრაქტიკაში უკვე არის საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების რამდენიმე შემთხვევა. საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის მოკლე მიმოხილვამაც კი ცხადყო, რომ საქართველოში ნელ-ნელა იცვლება იურისტების, მათ შორის მოსამართლეების შეხედულება მართლმსაჯულების განხორციელებაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლის შესახებ.

თუ ერთ-ერთ პირველ სასამართლო საქმეში, რომელშიც წარმოიშვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების საკითხი, საქართველოს სასამართლომ ვერ გაათვითცნობიერა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი, რაც ადვოკატის მხრიდან სადავო უფლების სწორი განმარტების მცდელობით გამოიხატებოდა, საქართველოს სასამართლოების მომდევნო გადაწყვეტილებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ ნელ-ნელა მკვიდრდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა. საქართველოს სასამართლოებში თანდათანობით ფეხს იკიდებს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე ამა თუ იმ უფლების განმარტებისა და სასამართლო დავის გადაწყვეტის პრაქტიკა.

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომელშიც გამოყენებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისის საოლქო სასამართლომ პირდაპირ აღნიშნა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით დადგენილი სტანდარტები ავსებს და აზუსტებს ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ნორმების შინაარსს. ამით საოლქო სასამართლომ დაადასტურა, ევროპის კონვენციასთან ერთად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობა მართლმსაჯულების განხორციელების დროს.

მართალია, ნელ-ნელა მკვიდრდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკა, რაც უდავოდ დადებითი მოვლენაა, საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის მიმოხილვა ადასტურებს, რომ საქართველოს ყველა სასამართლოს ჯერ არ გაუთვითცნობიერებია, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციასთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობა. ერთ-ერთი მიმოხილული საქმის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ, მართალია, სასამართლომ გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია, მაგრამ იმის გამო, რომ მან არ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ევროპის კონვენცია საქართველოს სასამართლომ არ განმარტა იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც იგი განმარტა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ.

რაც შეეხება საქართველოს სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენების ფორმას, აღსანიშნავია შემდეგი: საკმარისი არ არის, რომ ეროვნულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითოს მის მიერ გამოყენებული პრეცედენტის მხოლოდ სახელწოდებაზე. აუცილებელია, ეროვნულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში გააანალიზოს გამოყენებული პრეცედენტი, განიხილოს უფლების ის განმარტება, რომელიც მოახდინა ევროპულმა სასამართლომ, დაასაბუთოს, თუ რატომ იყენებს ეროვნული სასამართლო ამ პრეცედენტს და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პრეცედენტის იმ ნაწილის ციტირება, რომელიც უშუალოდ ეხება ეროვნული სასამართლოს წინაშე განსახილველ სადავო საკითხს. ცხადია, ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება ბევრად უფრო დამაჯერებელი იქნება, თუ ის კონკრეტულად მიუთითებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტზე, რომელმაც განაპირობა უფლების ასეთი განმარტება და სასამართლოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება.

ზოგადად აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ძირითადად გამოიყენება საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და თბილისის საოლქო სასამართლოში, თუმცა საყურადღებოა, რომ აღმოჩენილ იქნა პირველი ინსტანციის ერთი გადაწყვეტილება, რომელმაც ასევე გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

რაც შეეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებას, ის ჯერჯერობით არ იყენებს პრეცედენტულ სამართალს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ვერ იქნა აღმოჩენილი გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მოიშველია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, დაეყრდნო ამა თუ იმ კონკრეტულ პრეცედენტს სადავო უფლების შინაარსის დასადგენად. საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ნელ-ნელა დამკვიდრდება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ არ არის თვითმიზანი. პრეცედენტული სამართლის გამოყენება უბრალოდ იძლევა ამ სფეროში ქვეყნის კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწის შესაძლებლობას ადამიანის უფლებათა უფრო ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად.

აზრის თავისუფლება – ადამიანის უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება

კონსტანტინე კუბლაშვილი

„ადამიანმა უნდა გამოთქვას თავისი
აზრები – ეს უფლება კი არა, მოვალეობაა."

პერსი ბიში შელი

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით გაცხადებულია საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილება და სამართლებრივი სახელმწიფო. კონსტიტუციის საერთო კონცეფცია ეფუძნება თანამედროვე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს, რომლებიც მის ცალკეულ მუხლებშია ასახული. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც ადგენენ ობიექტურ ღირებულებათა სისტემას და დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველს ქმნიან. როგორც ძირითადი კონსტიტუციური გადაწყვეტილება, ისინი მოქმედებენ სამართლის ყველა სფეროს მიმართ და, იმავდროულად, წარმოადგენენ ძირითად წარმმართველს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებისათვის, ანუ სახელმწიფოს ყოველგვარი სახის საქმიანობისათვის. თვით ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შორის, დემოკრატიული წყობილებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა აზრის თავისუფლება. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება გავაანალიზოთ საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი აზრის თავისუფლების ძირითადი უფლება და წარმოვაჩინოთ მისი მნიშვნელობა.

I. შესავალი

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ასახულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში. აზრის თავისუფლება, კონკრეტულად, მე-19 მუხლით არის გარანტირებული. ამ ძირითადი უფლებისა და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის უკეთ გაგებისა და განმარტებისათვის თავდაპირველად გავეცნოთ აღნიშნული მუხლის ტექსტს:

მუხლი 19.

„1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს."

როგორც ვხედავთ, აზრის თავისუფლების ძირითად უფლებასთან ერთად მე-19 მუხლით სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებებიც არის უზრუნველყოფილი, თუმცა ამ მიმოხილვაში მხოლოდ აზრის თავისუფლებას შევეხებით, რადგან, თავის მხრივ, ამ (*სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის*) თავისუფლებებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული სახელმწიფოს თავისუფალი მოქალაქისათვის და ამდენად, მიზანშეწონილია მათი ცალკე ანალიზი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ყურადსაღებია კიდევ ერთი ფაქტორი: საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, ძირითადად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებას ეხება (მე-2 და მე-3 პუნქტები), მაგრამ მის პირველ პუნქტში, ფაქტობრივად, აზრის თავისუფლების შინაარსია მოცემული:

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით."

მოცემული დებულების პირველი წინადადებით კიდევ ერთი ძირითადი უფლება – *ინფორმაციის თავისუფლება*, არის უზრუნველყოფილი, ხოლო აზრის თავისუფლების შინაარსი მეორე წინადადებაშია ასახული. ასეთი დაჯგუფება საკმაოდ ლოგიკურია, რადგან ინფორმაციის თავისუფლება აზრის თავისუფლებისაგან სრულიად დამოუკიდებელია, თუმცა, იმავდროულად, მასთან უწყვეტ კავშირშია. ამდენად, მიზანშეწონილი იქნება ამ მიმოხილვაში, აზრის თავისუფლებასთან ერთად, განვიხილოთ ინფორმაციის თავისუფლებაც, მაგრამ გაცილებით მოკლედ.

სანამ უშუალოდ ანალიზს შევუდგებოდეთ, შევთანხმდეთ რამდენიმე ტერმინზე: ტექსტის გამარტივების მიზნით, საკმაოდ ვრცელი „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები" მოკლე და სხარტი „ძირითადი უფლებებით" შეიცვლება. გარდა ამისა, მიუხედავად კონსტიტუციის მე-19 მუხლში ცალ-ცალკე მითითებული „სიტყვის" და „აზრის" თავისუფლებისა, ამ გამოკვლევაში, ძირითადად, მხოლოდ „აზრის თავისუფლება" ან „აზრის თავისუფლების ძირითადი უფლება" იქნება გამოყენებული, რადგან ისინი („სიტყვა" და „აზრი") კონსტიტუციაში, ფაქტობრივად, სინონიმები და იდენტური მნიშვნელობის მქონენი არიან. „აზრის თავისუფლებას" აღვნიშნავთ აგრეთვე „აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლებით", „შეფასებითი გამონათქვამის" ნაცვლად ხშირად შესაძლოა „მოსაზრება", „შეხედულება" ან „შეფასებითი შეხედულება" გამოვიყენოთ, „ფაქტების" ნაცვლად, – „ფაქტების მტკიცება", ხოლო „ცრუ ფაქტების" ნაცვლად - „მცდარი" ან „ყალბი" ფაქტები.

II. ზოგადი მნიშვნელობა

თავდაპირველად მოკლედ შევეხოთ თავად ძირითად უფლებებს. დასაწყისშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძირითადი უფლებები არა მხოლოდ იცავს ადამიანს მისი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ჩარევებისაგან, არამედ, ამასთანავე, ობიექტური პრინციპებია, რომლებიც, როგორც ძირითადი კონსტიტუციურ-სამართლებრივი გადაწყვეტილება, მოქმედებენ სამართლის ყველა სფეროს მიმართ.[1] ძირითადი უფლებების ასეთი ფართო მოქმედება გამოიხატება ორგვარად: პირველი, სამართალის (კერძო თუ საჯარო) ნორმები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ძირითად უფლებებს და, მეორე, სამართლის ნორმები უნდა განიმარტოს ძირითადი უფლებების არსისა და სულისკვეთების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სამართლის მოქმედება სამართლის ნორმათა დადგენით კი არ მთავრდება, არამედ იგი ზეგავლენას ახდენს მათ გამოყენებაზეც. როდესაც სამართლებრივი დავის შესახებ გადაწყვეტილება უნდა დაეყრდნოს ნორმებს, რომლებიც ძირითადი უფლებებით გარანტირებულ თავისუფლებას ზღუდავს ან კონკრეტულ შემთხვევაში ძირითად უფლებებზე შემზღუდავად ზემოქმედებს, მაშინ ინტერპრეტაციისათვის ისევ ძირითადი უფლებები უნდა იქნეს მოხმობილი.

ძირითადი უფლებების ობიექტურ-სამართლებრივი შინაარსი, რომელიც უნდა გაითვალისწინონ საერთო სასამართლოებმა, მნიშვნელობას იძენს სუბიექტურ-სამართლებრივადაც. თუკი მოსამართლე ყურადღებას არ აქცევს ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ კანონებზე ძირითადი უფლებების ზეგავლენას, ამით იგი არღვევს არა მხოლოდ ობიექტურ სამართალს, არამედ მოსამართლე, როგორც საჯარო ხელისუფლების მფლობელი, თავისი გადაწყვეტილებით არღვევს (კონკრეტულ) ძირითად უფლებას, რადგან სასამართლო ვალდებულია „ხელისუფლების განხორციელებისას" გაითვალისწინოს ძირითადი უფლებები, ხოლო მოქალაქეს აქვს აღნიშნულის მოთხოვნის უფლება.

ამ გამოკვლევის მთავარ საგანთან – აზრის თავისუფლებასთან, დაკავშირებით მოქმედებს სწორედ ის პრინციპი, რომელიც ზემოთ ზოგადად იქნა ფორმულირებული ძირითადი უფლებების შესახებ: „ძირითადი უფლების შემზღუდავი მოქმედების დროს, კანონები დანახულ უნდა იქნეს ამ ძირითადი უფლების მნიშვნელობის გათვალისწინებით და მათი ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს იმგვარად, რომ ამ უფლების ღირებულებითი შინაარსი, რომელიც თავისუფალ დემოკრატიულ წყობილებაში ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აზრის თავისუფლებას აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს, ყველა შემთხვევაში ხელშეუხებელი და დაცული იქნება."[2] აქ უკვე კარგად ჩანს აზრის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა. ზემოთ აღინიშნა, რომ აზრის თავისუფლება სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის საფუძველია; ის არა მარტო მოქალაქეთა, არამედ ყველა ადამიანის საყოველთაო უფლებაა. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აზრის თავისუფლება დახასიათებულია როგორც *„ადამიანის პიროვნების უშუალო გამოხატულება საზოგადოებაში."*[3] საკუთარი აზრის თავისუფლად და შეუფერხებლად გამოთქმის გარეშე, წარმოუდგენელი და შეუძლებელია ადამიანის თვითგანვითარება. უპირველეს ყოვლისა, სწორედ დემოკრატია, როგორც სახელმწიფოს ფორმა, უზრუნველყოფს ყველა მოქალაქისათვის გარანტირებულ შესაძლებლობას თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი. აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება უზრუნველყოფს აზრთა მუდმივი ჭიდილის, ინტელექტუალური დაპირისპირების შესაძლებლობას, რაც დემოკრატიის სასიცოცხლო ელემენტია.

როგორც უკვე აღინიშნა, ინფორმაციის თავისუფლება აზრის თავისუფლებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, მაგრამ, იმავდროულად, მასთან უწყვეტ კავ-

[1] საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან" ადამიანის ძირითადი „უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით". ეს არის საქართველოს კონსტიტუციის უმნიშვნელოვანესი დებულება, თუნდაც იმიტომ, რომ არათუ *სახელმწიფო*, არამედ თვით *ხალხიც* კი, სახელმწიფოს სუვერენი და ხელისუფლების წყარო (მუხ. 5), შეზღუდულია ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით.

[2] BVerfGE 7, 198 (208).

[3] იქვე.

შირშია. იგი აზრის თავისუფლების წინაპირობაა, რადგან აზრის თავისუფლების გონივრული და პასუხისმგებლობით სავსე გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ მოქალაქეთა მიერ, რომლებსაც შეუძლიათ წინასწარ შეუფერხებლად მოიპოვონ ინფორმაცია. გარდა ამისა, ინფორმაციის ფლობას დიდი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებების მსგავსად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (პრესა, რადიო, ტელევიზია) თავისუფლებაც (24-ე მუხლის პირველი პუნქტი)[4] დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებითი ელემენტია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის, რადგან მოქალაქეს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც იცნობს სხვების აზრს და აქვს შესაძლებლობა ერთმანეთს შეადაროს, გააანალიზოს და აწონ-დაწონოს ისინი.

ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებით უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებები ხასიათდება ორი ნიშნით: პირველი, ეს არის კავშირი პირველი მუხლის მე-2 პუნქტთან, ანუ დემოკრატიის პრინციპთან – დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია თავისუფალი და კარგად ინფორმირებული აზრის გარეშე; მეორე ნიშანი არის ის, რომ აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებები შეიცავს ადამიანის ღირსებისა და ზოგადი პიროვნული უფლებიდან[5] (მე-16 და მე-17 მუხლები) გამომდინარე კომპონენტებს, რომელთა მიხედვითაც, ადამიანის ელემენტარული მოთხოვნილებაა აზრის გამოთქმა, თავისი ცოდნის გაფართოება და ყოველივე ამით საკუთარი პიროვნების განვითარება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებებს დემოკრატიული წყობილებისათვის, „უბრალოდ, ჩამომყალიბებელი" მნიშვნელობა აქვს.[6]

III. ცნება და დაცული სფერო

შესავალში უკვე მიეთითა იმ, ერთი შეხედვით, უჩვეულო გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუცია მე-19 მუხლით უზრუნველყოფს აზრის თავისუფლებას, 24-ე მუხლის პირველი პუნქტი კი დაწვრილებით განმარტავს აზრის თავისუფლების შინაარსს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი მიდგომა აზრის თავისუფლების განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ განაპირობა. რაც შეეხება კონკრეტულად 24-ე მუხლის პირველ პუნქტს, ამ დებულების მიხედვით, ყველა ადამიანს აქვს უფლება

[4] ინფორმაციის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებებს ხშირად *„კომუნიკაციის ძირითად უფლებებსაც"* უწოდებენ. ეს ტერმინი ამ ნაშრომშიც იქნება გამოყენებული.

[5] ეს უფლება გამომდინარეობს კონსტიტუციის მე-16 მუხლიდან, რომელიც აცხადებს, რომ *„ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება."* სამწუხაროა, რომ ამ ხნის მანძილზე (1995 წლიდან დღემდე) საკონსტიტუციო სასამართლომ, შესაბამისი სარჩელის არარსებობის გამო (რაშიც დიდი წვლილი საკონსტიტუციო სამართალწარმოების მეტად შეზღუდულ და მოუქნელ კანონმდებლობას მიუძღოდა), ვერ შეძლო განემარტა ამ ნორმის შინაარსი და ზოგადი პიროვნული უფლების მნიშვნელობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ 2002 წლის დასაწყისში საკონსტიტუციო სამართალწარმოების კანონმდებლობაში შეტანილი მრავალრიცხოვანი ცვლილებები და დამატებები დადებითად იმოქმედებენ და საკონსტიტუციო სასამართლო თავის სიტყვას იტყვის ამ, ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი, უფლების შესახებ.

თავისუფლად *„...გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით"* (პოზიტიური აზრის თავისუფლება). უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს, რომ აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცული სიკეთე არის არა უბრალოდ *გამოთქმა*, არამედ *აზრის გამოთქმა*. აქედან გამომდინარე, აუცილებელია განისაზღვროს, რა იგულისხმება „აზრში" და რომელ გამონათქვამებს გამორიცხავს ეს ცნება.

1. *აზრი (შეხედულება)*

კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ძირითადი უფლებით დაცულია აზრის არა მხოლოდ ზეპირად ან წერილობით, არამედ ნებისმიერი „სხვაგვარი საშუალებით" გამოთქმა და გავრცელება. გამოთქმის ამ სახეობათა შორის რანგირება არ არსებობს, ისინი თანაბრადაა უზრუნველყოფილი. „სხვაგვარი საშუალებები" მოიცავს აუდიოკასეტებს, ლაზერულ დისკებს, ჩამწერ მოწყობილობებს, ასევე, გამოსახულებით აზრის გამოთქმას, სუგესტიურ გამონათქვამებს ჟესტების, სიმბოლოების, პლაკატებისა და უნიფორმის საშუალებით. ასევე დაცულია, მაგალითად, გამონათქვამები ყრუ-მუნჯთა სალაპარაკო ენის მეშვეობით ან დუმილით. დუმილთან დაკავშირებით, შევნიშნავთ, რომ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულება უზრუნველყოფს ნეგატიური აზრის თავისუფლებასაც – ეს არის უფლება არ გამოთქვა აზრები და არ გაავრცელო ისინი. ნეგატიური აზრის თავისუფლება ადამიანს იცავს აგრეთვე იძულებისაგან გამოთქვას და გაავრცელოს სხვების შეხედულებები როგორც საკუთარი აზრი.

აზრის თავისუფლების ძირითადი უფლების მფლობელი და გამომყენებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს ზემოაღნიშნულ დაცულ საქმიანობას. აქ, ფიზიკური პირების გარდა, იგულისხმება აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირები.[7] რაც შეეხება სახელმწიფო ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მათ არ შეუძლიათ გამოიყენონ და თავის უფლებათა დასაცავად დაეყრდნონ აზრის თავისუფლების ძირითად უფლებას.[8]

ახლა კი კონკრეტულად „აზრის" ცნების შესახებ. იგი ფართოდ უნდა განიმარტოს. „აზრში" იგულისხმება ნებისმიერი *შეფასებითი გამონათქვამი*, რომელიც შედგება განსჯის, დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტებისაგან და რომლის მართლობა თუ მცდარობა მთლიანად პირად წარმოდგენებზეა დამოკიდებული. სხვაგვარად: აქ ლაპარაკია პირად შეხედულებაზე, რომელიც უყალიბდება ინდივიდს ურთიერთობების, მოვლენების, იდეებისა და პიროვნებების მიმართ. აზრის თავისუფლების ცენტრალურ სფეროს სწორედ *შეფასებითი შეხედულებების* გამოთქმის თავისუფლება წარმოადგენს. სხვა სიტყვებით, აზრს უმთავრესად ახა-

[6] BVerfGE 77, 65.

[7] იხ. საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლი.

[8] ძირითადი უფლებების მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ ისინი იცავენ ფიზიკურ პირებს სახელმწიფოს მხრიდან მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევებისაგან (ე.წ. *დამცავი უფლებები*). ამის გამო, ბუნებრივია, დაუშვებელია, რომ სახელმწიფო ორგანო ფლობდეს იმ უფლებებს, რომლებიც, თავისი არსით, მის (სახელმწიფო ხელისუფლების) წინააღმდეგ არის მიმართული და რომელთა საშუალებითაც საჭიროების შემთხვევაში მოქალაქე თავს იცავს სახელმწიფოსაგან. აღნიშნულ საკითხს, განსაკუთრებით კი იმ დეტალს, თუ რატომ შეუძლიათ ძირითადი უფლებებით სარგებლობა მხოლოდ კერძო და არა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ცალკე გამოკვლევა შეიძლება მიეძღვნას.

სიათებს ინდივიდის სუბიექტური დამოკიდებულება ინდივიდსა და მისი გამონათქვამის საგანთან.[9] გამონათქვამის ღირებულებითობისა თუ უღირსობის შესახებ მსჯელობისას, შეთანხმებამდე მისვლა უმრავლეს შემთხვევაში შეუძლებელია. ამით განსხვავდება შეხედულებები ფაქტებისაგან, რომელთა დროს წინა პლანზე გამოდის არა სუბიექტის დამოკიდებულება მისი გამონათქვამის შინაარსთან, არამედ გამონათქვამისა და რეალობის ურთიერთმიმართება (გამომთქმელი სუბიექტი კი ამ დროს უკანა პლანზე დგას). ასეთ შემთხვევებში ინდივიდის სუბიექტური შეხედულებისაგან დამოუკიდებლად რაიმე ობიექტურად უნდა არსებობდეს. აღნიშნულისაგან განსხვავებით, შეხედულება ყოველთვის სუბიექტზეა დამოკიდებული. ამიტომაც შეხედულებები შეიძლება იყოს არა მართალი ან მცდარი, არამედ სუბიექტურად სწორი ან არასწორი, ნაფიქრი ან დაუფიქრებელი, რაციონალური ან ემოციური, დასაბუთებული ან დაუსაბუთებელი და ა.შ.

მიუხედავად ამისა, შეხედულების დაცვა არ არის დამოკიდებული აღნიშნულ დაყოფაზე. იგი დაცულია ძირითადი უფლებით იმ შეფასებისაგან დამოუკიდებლად, რომელიც მან შეიძლება სხვადასხვა მხრიდან მიიღოს. ამდენად, კონსტიტუცია არ შემოიფარგლება მხოლოდ „ღირებული" აზრის დაცვით და არ განასხვავებს (როგორც უკვე აღვნიშნეთ) დასაბუთებულ და უსაფუძვლო, სწორ და მცდარ, რაციონალურ და ემოციურ, გონივრულ და პრიმიტიულ აზრებს. სახელმწიფოს აღჭურვა იმ უფლებით, რომ თავისი მოქალაქეების აზრები დაყოს „სწორ" და „არასწორ" აზრებად და მხოლოდ „სწორი" აზრები დაიცვას, „არასწორი" კი, შეძლებისდაგვარად, აკრძალოს, დაუშვებელია და ეწინააღმდეგება პლურალისტური დემოკრატიის პრინციპს. ამიტომ ყველაფერი, რაც კი შეხედულებას (მათ შორის, რა თქმა უნდა, გაბატონებული აზრისაგან განსხვავებული აზრი) გულისხმობს, ყოველთვის ხვდება კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში. შეხედულების დაცვა განსაკუთრებულად არ არის დამოკიდებული იმაზე, არღვევს თუ არა იგი სხვის უფლებებს, საფრთხეს უქმნის თუ არა საზოგადოებრივ სიკეთეს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თუ არა სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალური წესრიგის ძირითად პრინციპებს. გამონათქვამის ამ კრიტერიუმებმა შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა შეიძინოს მხოლოდ ძირითადი უფლების შეზღუდვის დროს და არა მისი დაცვის სფეროს განსაზღვრისას.

შეხედულება ძირითადი უფლებით დაცულია აზრის გამოსათქმელად არჩეული ფორმის მიუხედავად, ე.ი. მოიცავს არა მხოლოდ შინაარსს, არამედ ფორმასაც, რომლითაც იგი ჩვენ წინაშე წარმოდგება. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ აქ არ იგულისხმება აზრის გამოთქმის წერილობითი, ზეპირი, გამოსახულებითი ან სხვაგვარი ფორმები. საუბარია მხოლოდ შინაარსობრივ ფორმაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ აზრის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ წინასწარ კარგად მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი, არამედ, აგრეთვე, გადაჭარბებული, პოლემიკური, მწვავე, დაუფიქრებელი, სპონტანურად გამოთქმული, უხამსი გამონათქვამები. ამას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, რათა არ შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ, თითქოს, სრულიად შესაძლებელია შეხედულებას ჩამოშორდეს ძირითადი უფლებით გარანტირებული დაცვა, მისი მწვავე შინაარსობრივი ფორმის გამო. თავისუფალი საუბრისა და კამათის სპონტანურობა წინაპირობაა საჯარო დისკუსიის მრავალფ-

[9] NJW 1972, 811.

ეროვნებისა, რაც, თავის მხრივ, დემოკრატიის არსებობის ძირითად პირობას წარმოადგენს. ამ პლურალიზმის შესანარჩუნებლად აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ საჯარო დისკუსიისა და აზრთა ჭიდილის დროს შესაძლებელია გამოითქვას მწვავე, გადაჭარბებული და სხვაგვარი (ზემოთ დასახელებული) შეხედულებები. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დაცვის სფეროს განსაზღვრისას არ არსებობს აზრთა დიფერენციაცია. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ სახელმწიფოს მიეცემოდა საჯარელი და არასასურველი აზრებისა და გამოთქმის ფორმების დეფინიციის კომპეტენცია, რაც სრულიად მიუღებელია კონსტიტუციის ძირითადი პრინციპებისათვის და, კონკრეტულად, აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებისათვის.

აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულია გამოთქმული აზრის ზემოქმედების განზრახვაც. აზრის გამოთქმის, ანუ გარკვეული შეხედულების, მთავარი მიზანი სწორედ ის არის, რომ ზეგავლენა მოახდინოს სხვათა აზრის ჩამოყალიბების პროცესზე და დაარწმუნოს ისინი საკუთარი შეხედულების უპირატესობასა და სისწორეში. ზემოქმედება, რომელსაც ინდივიდის აზრი, წარმოთქმული სიტყვა ახდენს მსმენელზე, არ შეიძლება იყოს საფუძველი იმისა, რომ იგი მოვწყვიტოთ დაცულ სფეროს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აზრის თავისუფლება გარანტირებულია არა მხოლოდ ყოველი კონკრეტული აზრის შინაარსის, არამედ, აგრეთვე, ამ აზრის გამოთქმის მოტივის მიუხედავადაც. პოლიტიკური მიზეზებით აზრის გამოთქმა ისევე დაცულია აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით, როგორც ეკონომიკური საფუძვლით აზრის გამოთქმა. შეიძლება კონკრეტული გამონათქვამი მიმართული იყოს საკუთარი ეკონომიკური ინტერესის სასარგებლოდ, მაგრამ ასევე შესაძლებელია ის სპეციალურად იყოს კომერციერებული, მაგალითად, წერილობითი მოსაზრების ან ნაშრომის გაყიდვა ანდა მოხსენების წაკითხვაზე დასასწრებად შესასვლელი ბილეთის გაყიდვა. პრესის ბეჭდვა აზრის კომერციერების ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევაა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ძირითადი უფლება იცავს მხოლოდ აზრის გამოთქმას, ანუ გაცხადებას. იგი ვრცელდება მხოლოდ *არგუმენტებზე, ახსნა-განმარტებებსა* და არა ზეგავლენის სხვა საშუალებებზე, რომლებითაც აზრის გამომთქმელს სურს სხვა პირებზე ზემოქმედება. შესაბამისად, ბოიკოტისაკენ მოწოდება, რომელიც ემყარება არა მხოლოდ არგუმენტებით, წინადადებებით დარწმუნების ძალას, არამედ, იმავდროულად, იყენებს ისეთ საშუალებებს, რომლებიც სხვა პირებს ართმევს შესაძლებლობას გადაწყვეტილება მიიღონ შინაგანი თავისუფლების ფარგლებში და ყოველგვარი ეკონომიკური ზეწოლის გარეშე, არ არის დაცული აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით.[10]

2. *ფაქტები*

შეხედულების საწინააღმდეგო პოლუსზე დგას ფაქტის გადმოცემა – ცნობა, ინფორმაცია. *„ფაქტში" იგულისხმება ნამდვილად, რეალურად მომხდარი ან არსებული გარემოებები და საგნები, რომლებიც ექვემდებარება მტკიცებულებებით* დადასტურებას. ფაქტების შემთხვევაში ძირითადი უფლებით დაცვა სრულიადაც არ მოქმედებს ფართოდ და ყოვლისმომცველად. ისინი მხოლოდ შეხედულებასთან

[10] იხ. ქვემოთ, ნაშრომის V ნაწილი „კონკრეტული სასამართლო საქმეები".

დამაკავშირებელი ხიდის ფუნქციით ხვდებიან კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აზრები არ გამოითქმება ფაქტებთან რაიმე დამოკიდებულების გარეშე. ჩვეულებრივ, ისინი ეყრდნობიან და ეხებიან ფაქტებს, რომლებიც, თავის მხრივ, იძლევიან შეფასების საგანს ან საფუძველს. ობიექტური ფაქტის გადმოცემა და სუბიექტური შეხედულება ვერ შორდება ერთმანეთს. თეორიულად მხოლოდ შიშველი ფაქტების გადმოცემა შეიძლება არ იყოს დაცული აზრის თავისუფლებით, რადგან ფაქტი სულაც არ არის აზრი, მაგრამ ის, რომ მოცემული გამონათქვამი შეიცავს არა მარტო შეფასებით, არამედ, აგრეთვე, ფაქტობრივ ელემენტს, სრულებით არ გამორიცხავს შეხედულების არსებობას. ასეთ შემთხვევაში *აზრის დაყოფა „შეხედულებად" და „ფაქტის გადმოცემად" დაუშვებელია, აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცვის ქვეშ მთლიანი გამონათქვამი ექცევა*. ამდენად, ფაქტები დაცულია ძირითადი უფლებით, რადგან ისინი, თავის მხრივ, ხელს უწყობენ აზრის ჩამოყალიბებას.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: შეხედულებისაგან განსხვავებით, ფაქტები შეიძლება იყოს მართალი ან მცდარი, ანუ ფაქტს არ ახასიათებს პირადი წარმოდგენების, დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტები. შეხედულებასა და ფაქტს შორის ეს განსხვავება მნიშვნელობას იძენს დაცვის ფარგლების განსაზღვრის დროს. *აზრის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, არასწორი ინფორმაცია არ წარმოადგენს დაცვის ღირს სიკეთეს*. მაგრამ საყურადღებოა, რომ ეს მოსაზრება შეიცავს გარკვეულ ტენდენციას, რომელიც ეწინააღმდეგება ძირითადი უფლებით დაცვის შინაარსს. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროს შეიძლება მოსწყვიტო ყოველი არასწორი ფაქტი და „დაჩაგრო" იგი ძირითადი უფლებების მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად, ანუ მიუხედავად იმისა, გადმოიცა თუ არა ეს ფაქტი შეგნებულად ან შეუგნებლად, მისი მცდარობის ცოდნის გარეშე, საფუძვლიანი თუ ზედაპირული კვლევის საფუძველზე, სპონტანურად თუ კარგად დაფიქრების შემდეგ, რაიმე კონკრეტული მიზეზით თუ ამის გარეშე, ყველა ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს კომუნიკაციის პროცესის, ანუ საჯარო დისკუსიისა და აზრთა ჭიდილის მნიშვნელობის უგულებელყოფა, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებით აღიარებულ ძირითად უფლებას.

აქ კვლავ უნდა გავუსვათ ხაზი დასაწყისში აღნიშნულს: დემოკრატიული სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წარმოთქმულ სიტყვას, შეხედულებას, მასზე შეპასუხებასა და ამით წარმოშობილ საჯარო დისკუსიას, რის საფუძველზეც, ყოველ კონკრეტულ საკითხზე ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი. შესაბამისად, დაუშვებელია გამონათქვამის შეფასება საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესთან, ანუ კომუნიკაციასთან დაუკავშირებლად, იზოლირებულად და ამის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება. იგივე მოთხოვნა მოქმედებს ფაქტების მიმართაც. ფაქტების ანალიზის დროს აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ მათი მართლობა ან მცდარობა ყოველთვის თავიდანვე კი არ არის ცნობილი, არამედ ხშირად სწორედ კომუნიკაციის პროცესში იკვეთება და ზუსტდება. შეცდომები და სიცრუე ამ დროს გარდაუვალია. კომუნიკაციის, თავისუფალი საჯარო დისკუსიის პროცესი ძალიან შეიზღუდებოდა, თუკი მხოლოდ უეჭველი ფაქტები მოექცეოდა ძირითადი უფლების დაცვის ქვეშ, მცდარი ფაქტები კი ამ დაცვას თავიდანვე, ავტომატურად მოკლებული იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში დიდი სა-

ფრთხე იქმნება იმისა, რომ სანქციების შიშით არც მართალი ინფორმაცია გამოითქვას და აღარც საფუძვლიანი ეჭვი.

ამდენად, გამორიცხულია აზრის თავისუფლებით აშკარად ცრუ ფაქტების დაცვა, მაგრამ არ გამოირიცხება ჭორის ან ისეთი ფაქტების გადმოცემა და დაცვა, როდესაც აშკარად არ ჩანს, სწორია ისინი თუ არა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძირითადი უფლებით დაცვას არ არის მოკლებული ის გამონათქვამები, რომელთა მცდარობის გამორკვევა შემდგომი კვლევების საკითხია, ხოლო დაცული სფეროს ფარგლებში არ ხვდება ისეთი ფაქტები, რომელთა მცდარობის შესახებ კარგად იცის თავად გამომთქმელმა სუბიექტმა, ანუ შეგნებული სიცრუე, ან რომელთა მცდარობა ცხადია უკვე მათი გამოთქმის მომენტში; ეს ეხება აგრეთვე არასწორ ციტატას, ანუ ცრუ მტკიცებას, თითქოს ვილაცამ რაიმე კონკრეტული აზრი გამოთქვა. ასეთი ფაქტების დაუცველობით აზრის ჩამოყალიბების პროცესს ზიანი არ მიადგება, რადგან ისინი არაფერს ჰმატებს პასუხისმგებლობით სავსე აზრის ფორმირებას. ხოლო, თუკი ფაქტის მცდარობა მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი, ამით ეს მტკიცება უკუქცევით არ მოსწყდება ძირითადი უფლებით დაცულ სფეროს. რას ნიშნავს ასეთი გამონათქვამების დასაშვებობისათვის მათი მცდარობის აღმოჩენა? – ეს არის არა დაცვის სფეროს ფარგლების, არამედ ძირითადი უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული საკითხი.

3. *შეხედულებებისა და ფაქტების გამიჯვნა*

შეხედულებებისა და ფაქტების ერთმანეთისაგან გამიჯვნა საკმაოდ რთულია. ეს, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია უკვე აღნიშნულ გარემოებასთან: გამოთქმის ორივე ეს ფორმა ძალიან იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად საქმე გვაქვს სწორედ ისეთ გამონათქვამებთან, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ისე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მას. ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება. მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

ეს გამომდინარეობს ძირითადი უფლებებით დაცული სფეროს ფუნქციიდან. გამონათქვამის მიკუთვნება 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფეროსათვის ჯერ კიდევ არაფერს ამბობს მისი დასაშვებობის შესახებ. სამაგიეროდ, იგი აამოქმედებს ძირითადი უფლების დაცვის მექანიზმებს მაშინ, როდესაც დადგება საკითხი ამ ძირითადი უფლების შეზღუდვის საფუძვლების განხილვის შესახებ. შეზღუდვები ამ დროს აუცილებლად გამართლებული უნდა იყოს, ანუ კანონიერი საფუძველი უნდა ჰქონდეს. ხოლო გამონათქვამის თავიდანვე დაცული სფეროდან გამოყვანა მიგვიყვანს იქამდე, რომ აზრის თავისუფლების შეზღუდვას არავითარი გამამართლებელი კანონიერი საფუძველი აღარ დასჭირდება. გარდა ამისა, როდე-

საც გამონათქვამში ფაქტები და შეხედულებები ერთმანეთთან განუყოფლად არიან დაკავშირებული, ზემოაღნიშნული საშუალებით დაცულ სფეროში ვერ მოხვდება ვერც ფაქტობრივი და ვერც შეფასებითი ელემენტები. ამიტომაც დასაწყისშივე აღინიშნა, რომ ცნება - „აზრი", ფართოდ უნდა გავიგოთ და განვმარტოთ. ეს კი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ფაქტებსა და შეხედულებებს შორის განსხვავება წაიშლება. გამონათქვამის დასაშვებობა, ძირითადად, სწორედ ფაქტობრივი ელემენტების სისწორეზე იქნება დამოკიდებული.

4. გამოთქმის სხვა ფორმები

შეუძლებელია გამოთქმის ყველა ფორმის მოქცევა აზრის ზემოხსენებულ დანაწილებაში (შეხედულებები და ფაქტები). ეს კარგად ჩანს *კითხვების* სამართლებრივი შეფასების დროს. კითხვები ძირითადად გამოიყენება ფაქტების დადგენის მიზნით. მათი საშუალებით უნდა გაირკვეს (დადასტურდეს ან უარიყოს) ის ფაქტები, რომელთა არსებობის თუ არარსებობის შესახებ საჭიროა ინფორმაციის მოპოვება. თავად კითხვები არ წარმოადგენს ფაქტებს, თუმცა უშუალოდ არის მათთან დაკავშირებული. შედეგად, კითხვა არ შეიძლება იყოს მართალი ან მცდარი. პირიქით, კითხვები მიმართულია იმის გამოსარკვევად, თუ რა არის მართალი და რა – მცდარი. ამდენად, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საჯარო აზრის ჩამოყალიბების პროცესში. სწორედ პოლიტიკურ დისკუსიაშია კითხვები აუცილებელი საშუალება, რომლითაც ხალხს შეუძლია მიმართოს პასუხისმგებელ პირებს, რათა მოიპოვოს ის ინფორმაცია, რომელიც არ იქნება გაცემული საკუთარი ნებით. ამიტომ ნამდვილი კითხვები ყოველთვის ხვდება ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში, რაც, თავის მხრივ, აზრის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობის გათვალისწინებით, არ ნიშნავს იმას, რომ ღირსების შემლახავი კითხვები შეუზღუდავად უნდა იქნეს მიღებული.

5. ჩარევა

კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი უფლების დაცვის სფეროს ფარგლების განსაზღვრასთან დაკავშირებით, შესაძლოა საკამათო ბევრი იყოს, მაგრამ რაც შეეხება აზრის თავისუფლების შელახვის, მის დაცულ სფეროში ჩარევის საკითხს, აქ თითქმის არ წარმოიქმნება პრობლემები. სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აკრძალვა - გამოთქვა ან გაიმეორო რომელიმე აზრი, აგრეთვე, ამ აზრის უარყოფის მოთხოვნა, ჩარევის ნათელი მაგალითია. გამომდინარე იქიდან, რომ ძირითადი უფლების დაცვა მოიცავს არა მხოლოდ მისი შინაარსის, არამედ, აგრეთვე, მისი ფორმის დაცვას, ჩარევა სახეზე გვაქვს მაშინაც, როდესაც აკრძალვა ეხება მხოლოდ ფორმას ან ვრცელდება მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებზე, გარკვეულ დროში და გარემოებებზე. ჩარევას გულისხმობს აგრეთვე სანქციები, რომლებითაც გამყარებულია გამოთქმის აკრძალვა, როგორიცაა, მაგალითად, ზიანის ანაზღაურება. ამასთან, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ძირითადი უფლებით დაცული მოქმედება უშუალოდ შეიზღუდოს ან აიკრძალოს. საკმარისია ისიც, რომ დამდგარმა სამართლებრივმა შედეგებმა პრაქტიკულად ხელი შეუშალოს აზრის თავისუფლების ძირითადი უფლების განხორციელებას.

IV. შეზღუდვები

საქართველოს კონსტიტუცია მე-19 მუხლით უზრუნველყოფს *„სიტყვის, აზრის ... თავისუფლებას"*, იმავე მუხლის მე-3 პუნქტით კი დადგენილია ამ თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობა: *„დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს"*. სრულიად განსხვავებული და ძალიან ფართოა კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი შეზღუდვის შესაძლებლობები.[11] ეს დებულება მოიცავს მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ „სხვათა უფლებებს" და მათ შორის ღირსებას გამოყოფს, იმავდროულად, იგი ადგენს სხვა უამრავ პირობას, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია შეიზღუდოს 24-ე მუხლში მითითებული უფლებები (ინფორმაციის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებები). აზრის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის დებულებას და აზრის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ *„სხვათა უფლებების შელახვის"* შემთხვევაში. ამასთან, ბუნებრივია, რომ შეზღუდვა დასაშვებია მაშინ, როდესაც იგი ემყარება კანონს, ანუ გადმოცემულია კანონის ნორმებით, რომლებიც შეესაბამება კონსტიტუციურ-სამართლებრივ მოთხოვნებს.

საერთო სასამართლოში შესაბამისი საქმის განხილვის დროს აზრის თავისუფლებასთან დაკავშირებული კონსტიტუციური დებულებების მნიშვნელობა მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს სამ დონეზე: თავდაპირველად გამონათქვამის შინაარსის გაგების დროს (*შინაარსის დონე*), შემდეგ – შესაბამისი დებულებების განმარტებისას (*ნორმის განმარტების დონე*) და ბოლოს – კოლიდირებული სამართლებრივი პოზიციების შედარების დროს (*ნორმის შეფარდების დონე*).

1. გამონათქვამის გაგება

კონსტიტუცია უზრუნველყოფს აზრის გამოთქმის თავისუფლებას. გამონათქვამები მისი დაცვის უშუალო ობიექტებია. ისინი, ძირითადად, თავისუფალი უნდა იყოს და შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კონკრეტული პირობების არსებობისას, როდესაც, მაგალითად, შეუსაბამოდ ლახავს „სხვათა უფლებებს", ანუ მესამე პირთა კანონიერად დაცულ ინტერესებს. გვაქვს თუ არა ასეთი ზემოქმედება სახეზე, ეს დამოკიდებულია სწორედ გამონათქვამის შინაარსზე, მის ნამდვილ აზრზე. მაგრამ გამონათქვამის შინაარსი არ არის საბოლოოდ განსაზღვრული მხოლოდ მისი ტექსტის მიხედვით. მისი ნამდვილი შინაარსის დეფინიცია შესაძლებელია კონტექსტის მეშვეობით. ერთსა და იმავე გამონათქვამს სრულიად განსხვავებული შინაარსი შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა გარემოებაში. განსაკუთრებულ, ცალკეულ შემთხვევაში ისიც კი არის შესაძლებელი, რომ გამონათქვამი იმის საწინააღმდეგოს ნიშნავდეს, რასაც ადამიანი ამბობს. ამდენად, გამონათქვამის მთავარი აზრი

[11] 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს: *„ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად".*

ყოველთვის მისი ნამდვილი შინაარსის გამოკვეთისა და დადგენის შედეგია. არა თვით გამონათქვამი, როგორც ასეთი, არამედ სწორედ მისთვის მიცემული შინაარსობრივი მნიშვნელობა უდევს საფუძვლად მის სამართლებრივ შეფასებას.

გამონათქვამის ნამდვილი აზრის დადგენისას დაშვებულ შეცდომებს შესაძლოა ძირითადი უფლების სრულიად მიუღებელი შეზღუდვები მოჰყვეს. ასეთი შემთხვევა გვექნება, როდესაც ფიზიკური პირის დასჯის თუ დაჯარიმების მიზნით სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას იმ გამონათქვამის გამო, რომლის ნამდვილი აზრი სულ სხვაა და არ ემთხვევა გადაწყვეტილების საფუძვლად დადებულ შინაარსს. გარდა ამისა, შინაარსის გამოკვეთის დროს გასათვალისწინებელია ის, რომ გამონათქვამი სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული განსხვავებულ ურთიერთობაში. ასე ხდება, მაგალითად, როცა ერთ ცნებას ყოველდღიურ საუბარში და სპეციალისტთა შორის დისკუსიისას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. შინაარსი ამ შემთხვევაში უნდა დაზუსტდეს ყოველი კომუნიკაციის სახის მიხედვით.

2. *ნორმის განმარტება*

ამ ნაშრომის დასაწყისში ხაზგასმით აღვნიშნეთ ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ძირითადი უფლების შემზღუდავი ნებისმიერი კანონი გარკვეულ დამოკიდებულებაშია შეზღუდულ, მაგრამ, იმავდროულად, მასზე მაღლა მდგომ ძირითად უფლებასთან. ეს დამოკიდებულება, თავის მხრივ, მოითხოვს, რომ კანონის ნორმათა განმარტებისა და შეფარდების დონეებზე კიდევ ერთხელ მოხდეს შედარება, ერთი მხრივ, ძირითად უფლებასა და, მეორე მხრივ, კანონით დაცულ ინტერესს შორის, რომელსაც ემსახურება ძირითადი უფლების შემზღუდავი კანონი. ესაა სწორედ „მოედანი", რომელზეც „თამაშში" ერთვება კოლიდირებული სამართლებრივი სიკეთეები. შედარების მიზანი კი არის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კოლიდირებულ სიკეთეთა შესაბამისი დაქვემდებარება და ძირითადი უფლების გადაჭარბებულად შეზღუდვის თავიდან აცილება. ამასთან, ნორმის *განმარტება* და ნორმის *შეფარდება* განსხვავდება ერთმანეთისაგან იმით, რომ პირველთან შედარება ხორციელდება ზოგადი, დადგენილი წესების მიხედვით, ხოლო მეორესთან – საქმის გარემოებების მიხედვით.

შედარების დროს, ბუნებრივია, გათვალისწინებული უნდა იყოს პრინციპი, რომლის მიხედვითაც პიროვნების განვითარებისა და დემოკრატიისათვის აზრის თავისუფლებას უდიდეს მნიშვნელობა აქვს, ხოლო საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე დისკუსიისა და აზრთა ჭიდილისას უპირატესობა ენიჭება აზრის თავისუფლების ძირითად უფლებას. აქედან გამომდინარე, კანონის ნორმის ისეთი განმარტება, რომელიც საჯარო კრიტიკის დასაშვებობის ან ინფორმაციის გავრცელებისას გასათვალისწინებელი ვალდებულებების მიმართ გადაჭარბებულ და ძალზე მკაცრ მოთხოვნებს აყენებს, არ იქნება კონსტიტუციის დებულებათა შესაბამისი. აქვე აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ აზრის თავისუფლებისათვის უპირატესობის მინიჭების პრინციპის მიზანი არ არის შეურაცხმყოფელი გამოთქმებისა და აშკარად ცრუ ფაქტების გავრცელებაზე ნებართვის მიცემა ან მათი გამართლება. მისი მიზანია თავიდან აიცილოს ის პოტენციური საფრთხე, რომ საჯარო დისკუსია საზოგადოებრივად მნიშვნელოვან პრობლემებზე შებოჭილი და გაუშლელი არ დარჩეს სანქციების შიშით.

3. *ნორმის შეფარდება*

განსაკუთრებული ყურადღება მაინც ნორმათა შეფარდებას უნდა მიექცეს. ამ დროს წარმოიშობა კოლიზიები აზრის თავისუფლებასა და პიროვნების ღირსებას შორის. ასეთი კოლიზიები შეიძლება წარმოიშვას დაცვის ღირს სხვა სიკეთეებთან დაკავშირებითაც, მაგრამ ჩვენთვის გამორჩეულად საინტერესო სწორედ ღირსების დაცვასთან დაკავშირებული შემთხვევებია, რადგან „სხვათა უფლებებში", უპირველეს ყოვლისა, სხვა პირთა ღირსების ძირითადი უფლება იგულისხმება. აზრის თავისუფლებასა და ღირსების დაცვას შორის კონფლიქტში ყოველთვის აზრის თავისუფლებას (ან პირიქით, ღირსების დაცვას) რომ ეძლეოდეს უპირატესობა, ცხადია, შედეგი ყოველთვის წინასწარ ცნობილი, სასამართლო პროცესის რისკი კი – ძალიან მცირე იქნებოდა. ეს საკითხი იმდენად აქტუალურია ჩვენს სინამდვილეში, რომ საინტერესო იქნება აზრის თავისუფლებასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში არსებული სასამართლო პრაქტიკისათვის თვალის გადავლება:

ა) ამერიკული გზა: უპირატესობა. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ აზრის თავისუფლებისათვის ცალმხრივად და მუდმივად უპირატესობის მინიჭების გამო, ხშირად ისმის საყვედური ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს მიმართ. უმაღლესი სასამართლო გამონათქვამებს, რომლებიც მესამე პირის ღირსებას ლახავს, პირად და საზოგადოებრივ კამათში სხვადასხვაგვარად აფასებს. საზოგადოებრივ კამათთან დაკავშირებულ დავებში, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საჯარო მოხელეებთან, საჯარო საქმიანობასა ან საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებთან (*public figures, official conduct* ან *matters of public concern)* დროთა განმავლობაში უპირატესობა აშკარად გადაიხარა აზრის თავისუფლების სასარგებლოდ. დღეისათვის მოქმედი წესები ამერიკის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა 1964 წელს საქმეზე *„New York Times v. Sullivan"*. ამ წესების მიხედვით, საზოგადოებრივი კამათის დროს შეფასებითი გამონათქვამები ყოველთვის დასაშვებია, როგორი შეურაცხმყოფელი ან უფლებათა შემლახველიც არ უნდა იყოს ისინი. ასევე დასაშვებია ფაქტების წარდგენა, მიუხედავად მათი სისწორისა თუ მცდარობისა. გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც ცრუ ფაქტები გადმოცემულია შეგნებულად, მათი მცდარობის ცოდნით ან სიმართლესთან აშკარად დაუდევარი მოპყრობის შედეგად.

შინაარსობრივად შემზღუდავი ფარგლების დადგენა უმაღლესი სასამართლოს მიერ დღემდე უარყოფილია. ეს ყველაზე კარგად გამოჩნდა გადაწყვეტილებაში – *"Hustler Magazine v. Falwell"*, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიაში ცნობილი ე.წ. „შტრაუსის კარიკატურის" გადაწყვეტილების გამო.[12] ჟურნალმა – "Hustler Magazine", ფიქტიური სარეკლამო განცხადების სახით, გამოაქვეყნა სატირა ცნობილი საზოგადო მოღვაწის – ფალველის, შესახებ, რომელიც, თითქოს, თავად ყვებოდა და აღიარებდა ინცესტურ კავშირს საკუთარ დედასთან. ჟურნალს სურდა დაეკნინებინა მისი მორალური ავტორიტეტი და წარმოედგინა იგი, როგორც მწვალებელი. პირველი ინსტანციის სასამართლომ ეს ყველაფერი, მიუხედავად იმ-

[12] გადაწყვეტილებები შეგიძლიათ იხილოთ: Hustler Magazine v. Falwell: EuGRZ 1988, გვ. 249; „შტრაუსის კარიკატურა": NJW 1987, გვ. 2661; აგრეთვე მათი შედარება: ნოლტე, EuGRZ 1988, გვ. 253.

ისა, რომ ფალველის სახით საქმე ეხებოდა საჯარო პირს (*public figure*), მიიჩნია დასაშვები გამოთქმის ფარგლების გადაჭარბებად, რადგან, მისი აზრით, გამონათქვამები იყო "outrageous" (დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი). უმაღლესი სასამართლოს წევრებმა კი ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება და სასამართლოს სახელით მოსამართლე რენქვისტმა (*Chief Justice Rehnquist*) განაცხადა, რომ "outrageous" არ არის მისაღები და გამოსაყენებელი მასშტაბი გამონათქვამების დასაშვებობის თუ დაუშვებლობის განსაზღვრისათვის, და პირიქით, იგი შესაძლოა გადაიქცეს სუბიექტური მიკერძოებისა და მიმხრობის საგნად. საზოგადოებრივი კამათის დროს დაშვებულ უნდა იქნეს თვით თავხედური და ვულგარული გამონათქვამებიც კი კომუნიკაციის, საჯარო დისკუსიის თავისუფლების ინტერესების უზრუნველსაყოფად.

ამ გადაწყვეტილებისა და, საერთოდ, ამერიკაში გაბატონებული ასეთი შეხედულების საფუძველი არის ღრმა რწმენა იმისა, რომ სწორედ აბსოლუტურად შეუზღუდავი აზრთა ჭიდილი იმოქმედებს დადებითად ჭეშმარიტების დადგენაზე და საზოგადოების საკეთილდღეოდ. ამდენად, აზრის თავისუფლების საფრთხის გასანეიტრალებელი საშუალება არის *"more speech, not enforced silence"* (*„მეტი ლაპარაკი და არა იძულებითი დუმილი"*). ინდივიდუალურმა ინტერესებმა ზეინდივიდუალური კეთილდღეობისა და საჭიროებების წინაშე უკან უნდა დაიხიოს. ეს ყველაფერი უნდა აიტანოს ინდივიდმა, რადგან, საბოლოო ჯამში, სწორედ იგია ამ თავისუფლების ერთ-ერთი მომხმარებელი; რომ არა ეს, იგი გაცილებით უფრო ცუდად, შეზღუდულად იგრძნობდა თავს სახელმწიფოებრივად მოწესრიგებულ საკომუნიკაციო სისტემაში. სწორედ საზოგადოებაში თავისი სერიოზული ფუნქციის საფუძველზე იძენს აზრის თავისუფლება ასეთ განსაკუთრებულ უპირატესობასა და მნიშვნელობას. სხვა სიკეთეებთან შედარება ხდება არა საქმის შინაარსის, არამედ ზოგადი ნორმების მიხედვით და პიროვნების უფლებებთან კონფლიქტის დროს აზრის თავისუფლებას აქვს აბსოლუტური უპირატესობა.[13]

ბ) გერმანული გზა: შედარება. ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს მსგავსი გადაწყვეტილება გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს არასოდეს მიუღია. იგი ყოველთვის მოითხოვს საქმის გარემოებების მიხედვით კოლიდირებულ სამართლებრივ სიკეთეთა შედარებას, რაც უნდა განხორციელდეს გამოსაყენებელი კანონების ფარგლებში. ამასთან, არც ერთ კოლიდირებულ სამართლებრივ პოზიციას არა აქვს უპირატესობა. ამდენად, აზრის

[13] ცნობილი ამერიკელი კონსტიტუციონალისტი, პროფესორი ჰერმან შვარცი, აღნიშნულზე ასეთ კომენტარს აკეთებს: „მსოფლიოს თითქმის ყველა ერის წარმომადგენელმა, ვისთანაც მე მქონდა ამ თემაზე საუბარი, დაუჯერებლად მიიჩნია ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. არაამერიკელებისათვის სიტყვის თავისუფლება პოლიტიკური პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია და ამ პროცესის სხვა ნაწილების მსგავსად, იგი ექვემდებარება კანონს. ამერიკელებისათვის კი სიტყვის თავისუფლებას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენს კანონში ადამიანის უფლებების შესახებ სიტყვის თავისუფლება, რელიგიის თავისუფლებასთან ერთად, ერთ-ერთი პირველთაგანია. ამერიკელებისათვის ეს ნიშნავს არა მარტო აზრის გამოთქმის თავისუფლებას, არამედ ემოციის გამოხატვის თავისუფლებასაც, როგორც პოლიტიკური, ასევე ინდივიდუალური თვითრეალიზაციის თვალსაზრისით"; იხ.: „როგორ დავიცვათ თავისუფალი სიტყვა", სტატიათა კრებული სიტყვის თავისუფლების შესახებ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (გამომცემელი), ჰერმან შვარცი, „ცილისწამება და დემოკრატია", 2002 წ., გვ. 1-6.

თავისუფლება[14] არ სარგებლობს განსაკუთრებული მდგომარეობით ძირითად უფლებებს შორის. იგივე შეიძლება ითქვას პიროვნების ღირსების შესახებ.[15] პიროვნების ღირსების ძირითადი უფლება გერმანიის კონსტიტუციურ სამართალშემოქმედებაში დიდი მნიშვნელობით სარგებლობს, მაგრამ მას არა აქვს განსაკუთრებული მდგომარეობა. ამიტომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არც იმ შეხედულებას ავითარებს, რომ აზრის თავისუფლებასა და პიროვნების ღირსებას შორის კონფლიქტი კონსტიტუციის დონეზე და თანაც ღირსების დაცვის სასარგებლოდ თავიდანვე გადაწყვეტილია.[16]

გერმანიაში პიროვნების ღირსების კონსტიტუციური დაცვა განმტკიცებულია (თუმცა არა უშუალო და კონკრეტული მითითებით „პიროვნების ღირსებაზე") ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი აბზაცით.[17] იგი უკვე ცხადად ჩანს ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 აბზაცში, სადაც დაფიქსირებულია როგორც აზრის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მაგრამ მე-5 მუხლის მე-2 აბზაცი არ არღვევს ძირითადი უფლებების სისტემას და თავად, უშუალოდ არ ქმნის კონსტიტუციურ შეზღუდვებს. იგი ძირითადი უფლების შეზღუდვის უფლებამოსილებით აღჭურავს კანონმდებელს, თავად კი არ წარმოადგენს შეზღუდვას. ამისათვის იგი ყოველთვის მოითხოვს კანონის არსებობას, ხოლო ეს კანონი ისევე, როგორც ყველა სხვა ძირითადი უფლების შემზღუდავი კანონი, უნდა განიმარტოს და გამოყენებულ იქნეს შესაზღუდი ძირითადი უფლების ჭრილში, რათა ძირითადი უფლების ღირებულების მნიშვნელობა ნორმის შეფარდების დონეზეც დაცული და განმტკიცებული იყოს.

გ.ა.) ფაქტები. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალშემოქმედებით დადგენილია, რომ მხოლოდ ნამდვილი ფაქტების შემთხვევაში აზრის თავისუფლებას თითქმის ყოველთვის უპირატესობა აქვს კოლიდირებული სიკეთეების წინაშე, მაგრამ ეს წესიც არ არსებობს გამონაკლისის გარეშე. კერძოდ, მესამე პირთა ინტიმურ სფეროსთან დაკავშირებულ ინფორმაციებზე არ არსებობს რაიმე ლეგიტიმური ინტერესი, მაშინაც კი, როდესაც ისინი სიმართლეს შეესაბამება. გარკვეული გამონაკლისების ჩაუთვლელად, ასევე არ არსებობს ლეგიტიმური ინტერესი იმ ინფორმაციების მიმართ, რომლებიც ნდობის დარღვევის შედეგად იქნა მოპოვებული.[18] თუმცა სასამართლო პრაქტიკიდან იკვეთება, რომ აზრის თავისუფლება ზოგჯერ უკან იხევს თვით საზოგადოებისათვის საინტერესო სფეროებშიც. ასე მაგალითად, გერმანიის ერთ-ერთ სატელევიზიო კომპანიას – "ZDF"-ს, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირია, აეკრძალა დოკუმენ-

[14] გერმანიის ძირითადი კანონის მუხ. 5, აბზ. 1, წინადადება 1: „ყველას აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით და გამოსახულებით და შეუფერხებლად მიიღოს ინფორმაცია საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან".

[15] გერმანიის ძირითადი კანონის მუხ. 1, აბზ. 1: *„ადამიანის ღირსება ხელშეუვალია. მისი პატივისცემა და დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების მოვალეობაა".*

[16] NJW 1977, 799.

[17] გერმანიის ძირითადი კანონის მუხ. 2, *აბზ. 1: „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, თუკი ამით არ ილახება სხვათა უფლებები და არ ირღვევა კონსტიტუციური წესრიგი ან ზნეობის ნორმები".*

[18] NJW 1984, 1741 – „ვალრაფი-"ბილდი".

ტური ფილმის ჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ეხებოდა საზოგადოებისათვის მეტად საინტერესო თემას და დამნაშავეს, რომლის განთავისუფლების დღე ახლოვდებოდა. აკრძალვა დასაბუთდა იმით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ამ პირის რესოციალიზაცია.[19] რესოციალიზაცია აქ მიჩნეულ იქნა დიდმნიშვნელოვან სიკეთედ, ხოლო დამნაშავის განთავისუფლების დღეს ფილმის ჩვენება შეფასდა განსაკუთრებით ძლიერ საფრთხედ რესოციალიზაციის პროცესის მიმართ. ფილმის ჩვენება რომ ჩადენილი დანაშაულიდან მცირე ხნის შემდეგ მომხდარიყო, ანუ მასთან დროით კავშირში, მაშინ სიკეთეთა ეს შედარება სულ სხვაგვარად გადაწყდებოდა.

გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, არასწორი, მაგრამ აზრის თავისუფლებით დაცული ფაქტები, რომლებიც მესამე პირის ღირსებას ლახავს ან მას სხვაგვარ ზიანს აყენებს, ძირითადად, არ უნდა იქნეს უპრეტენზიოდ მიღებული. კოლიდირებული სიკეთე, კონკრეტულად კი პიროვნებისა და მისი ღირსების დაცვა, აქ, როგორც წესი, უპირატესობას იძენს. არსებობს გამონაკლისიც: შემთხვევები, როდესაც საქმე ეხება საჯარო პირს და მისი ღირსების შელახვას აზრის თავისუფლებით. საჯარო პირებისა და მათი საქმიანობის მიმართ საზოგადოების ინტერესი ყოველთვის ლეგიტიმურია და ხშირად ეს დავები აზრის თავისუფლების სასარგებლოდ მთავრდება. რაც შეეხება სხვა შემთხვევებს, როდესაც ძირითადად უპირატესობას იძენს პიროვნების ღირსების დაცვა, ამ დროს გადაჭარბებულად არ უნდა იქნეს მოთხოვნილი სიზუსტისა და ე.წ. „მზრუნველობის" ვალდებულებების შესრულება. როდესაც საერთო გამონათქვამი პრინციპში სიმართლეა, მცირე უზუსტობებს უკვე ნაკლები მნიშვნელობა აქვს.[20] მაგალითად, როდესაც საზოგადოებაში ცნობილ საჯარო პირზე იბეჭდება საგაზეთო წერილი, რომელშიც მითითებულია, რომ ამ პირის ოფიციალური შემოსავლების ოდენობიდან გამომდინარე დიდ ეჭვს იწვევს, თუ რა თანხებით აშენდა მისი ძვირადღირებული ოთხსართულიანი სახლი და სამი აგარაკი, ამ დროს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, თუკი აღმოჩნდება, რომ სინამდვილეში სახლი სამსართულიანია, აგარაკი კი მხოლოდ ერთი არსებობს. ამასთან, შეიძლება განსხვავებული იყოს შედეგი, როდესაც საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, არასწორი ფაქტების აკრძალვასთან და მეორე მხრივ, მათ შემდგომ გავრცელებასთან. მაშინ, როცა უკვე გამოთქმულია ფაქტი და დადასტურებულია, რომ იგი არ შეესაბამება სინამდვილეს, ასეთი ფაქტის გავრცელებაზე არავითარი ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს. ამდენად, სარჩელები ამ ფაქტების შემდგომი გავრცელების წინააღმდეგ ყოველთვის წარმატებას ჰპოვებენ.

გ.ბ.) შეხედულებები. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ შეხედულებების (შეფასებითი გამონათქვამების) მიმართაც დაადგინა წესები, რომლებითაც ჩამოყალიბებულია შედარების პრინციპი.

აზრის თავისუფლებამ ყოველთვის უკან უნდა დაიხიოს, როდესაც შეხედულებით შელახულია ადამიანის ღირსება. დაუშვებელია ადამიანის ღირსების, როგორც ყველა სხვა ძირითადი უფლების საფუძვლის, შედარება სხვა სიკეთეებთან. ეს დაადასტურა კიდეც ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოხსენებულ „შტრაუსის კარიკატურის" საქმეში, რომელიც ძალიან ჰგავს ამერიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ განხილულ *"Hustler Magazine v. Falwell"* საქმეს. ერთერთ სატირულ ჟურნალში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე შტრაუსი[21] გამოხატული იყო ღორის სახით, რომელიც მოსამართლის სამოსელში ჩაცმულ სხვა ღორებთან ატარებდა სექსუალურ აქტს. ჟურნალი ამით მიუთითებდა კონკრეტულ სასამართლო პროცესზე, რომელიც მოსარჩელე შტრაუსმა მოიგო. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აქ დაინახა მწვავე პოლემიკური კამათის ფარგლების გადაჭარბებით განხორციელებული შელახვა შტრაუსის ღირსებისა და დაადასტურა საერთო სასამართლოს მიერ ჟურნალისათვის გარკვეული ანაზღაურების დაკისრება.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, შეხედულებების დროს პიროვნების ღირსების დაცვის ინტერესი უპირატესობას ინარჩუნებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამონათქვამი შეფასდება როგორც ფორმალური შეურაცხყოფა ან უხამსი კრიტიკა. მაგრამ ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ძალიან ვიწროდ განსაზღვრა საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო პრაქტიკაში დანერგილი და განვითარებული ცნებისა „უხამსი კრიტიკა", რადგან შედეგობრივად იგი იწვევდა აზრის თავისუფლების შეზღუდვას. გამონათქვამის ღირსების შემლახველი შინაარსი ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი უხამსი კრიტიკაა. არც გადაჭარბებული და მწვავე კრიტიკაა ამისათვის საკმარისი. უხამსი კრიტიკა სახეზე გვაქვს მაშინ, როდესაც გამონათქვამის შინაარსის მიხედვით წინა პლანზე დგას არა კონკრეტულ საკითხზე არსებითი კამათი, არამედ პიროვნების დიფამირება.[22] სწორედ ასეთი იყო *ჰენშეიდის* მიერ *ჰაინრიხ ბიოლის* ნაწარმოებების შესახებ გამოქვეყნებული რეცენზიის საქმე, რომელშიც იგი ბიოლს უწოდებდა „ყველაზე ნაძირალა, კორუმპირებულ" ავტორს, მის ნაწარმოებებს კი „აყროლებულ განავლად" მოიხსენიებდა. ამ რეცენზიაში არ იყო პუნქტი, რომელიც ბიოლის პიროვნების ან მისი ნაწარმოებების შინაარსობრივ და არსებით კრიტიკას შეიცავდა.[23]

დანარჩენ შემთხვევებში შედარება უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით და აზრის თავისუფლებაში ჩარევის სიმძიმე, შესაბამისად, დაკავშირებული უნდა იყოს კოლიდირებულ, კონსტიტუციურ-სამართლებრივად დაცულ სიკეთეებში ჩარევის სიმძიმესთან. ამ დროს ასევე აუცილებელია კომუნიკაციის ხასიათის გათვალისწინება, ანუ გამონათქვამის კავშირისა სიტუაციასთან, რომელშიც იგი გამოითქვა. მიზეზი და რეაქცია აუცილებლად ურთიერთკავშირში უნდა იყოს.[24] ამის საფუძველზე, გარემოებების გათვალისწინებით, „საპასუხო დარტყმა" სხვაგვარად იქნება შეფასებული, ვიდრე „პირველი დარტყმა", და იმ პირმა, რომელიც საკუთარი გადაწყვეტილებით ჩაება საზოგადოებრივ აზრთა ჭიდილში, უფრო მეტი უნდა აიტანოს, ვიდრე მან, ვინც ამ ბრძოლაში თავისი ნებით არ ჩაბმულა, ანუ ჩათრეული აღმოჩნდა.[25]

[21] *ფრანც-იოზეფ შტრაუსი* 1950-იანი წლებიდან გარდაცვალებამდე (1988) გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გაელენიანი პოლიტიკოსი იყო, წლების მანძილზე თავმჯდომარეობდა მმართველ კოალიციაში შემავალ ქრისტიანულ-სოციალურ კავშირს, იყო ბავარიის პრემიერ-მინისტრი და ეჭირა გერმანიის სხვადასხვა დარგის ფედერალური მინისტრების პოსტები.
[22] NJW 1983, 1415 – „NPD"-ევროპა".
[23] NJW 1993, 1462 – „ბიოლი".
[24] NJW 1969, 227.
[25] NJW 1980, 2069 – „ხელოვნების კრიტიკა".

გ) *ქართული გზა?* როგორც ვნახეთ, ამერიკული და გერმანული სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან აზრის თავისუფლების ძირითად უფლებასთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებისა და დავების გადაწყვეტის საკითხებში. ამ სახელმწიფოებში წლების მანძილზე წარმოებული სასამართლო პრაქტიკით დადგინდა გარკვეული წესები, რომლებიც ამჟამად სტაბილურად გამოიყენება აზრის თავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. ამ ქვეყნების სამართალშემოქმედებათა მსგავსება ისაა, რომ ორივეგან ხაზგასმულია აზრის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. თუმცა, აშკარაა მათ შორის განსხვავება: ამერიკის შეერთებულ შტატებში პიროვნების უფლებებთან კონფლიქტის დროს აზრის თავისუფლებას აქვს აბსოლუტური უპირატესობა, გერმანიაში კი პირიქით, აზრის თავისუფლებამ ყოველთვის უკან უნდა დაიხიოს, როდესაც შეხედულებით (შეფასებითი გამონათქვამით) შელახულია პიროვნების ღირსება (*გარდა ერთეული შემთხვევებისა: როდესაც საქმე ეხება საჯარო პირის ღირსებას*). აქ შეგვიძლია შევჩერდეთ და დავსვათ კითხვა: როგორ უნდა შევაფასოთ ქართული სამართალშემოქმედება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და როგორი გზა შეიძლება აირჩიონ ქართველმა იურისტებმა, კონკრეტულად, მოსამართლეებმა?

აღნიშნულ კითხვაზე შესაძლოა სხვადასხვა პასუხი არსებობდეს, თუმცა ეჭვს არ იწვევს ერთი გარემოება: აზრის თავისუფლებასთან დაკავშირებით, მსგავსად სხვა ძირითადი უფლებებისა (გამონაკლისი მხოლოდ საკუთრების უფლებაა), ქართული სასამართლო პრაქტიკა, სამწუხაროდ, საკმაოდ მწირია. ამის ძირითადი მიზეზი, ალბათ, არის ის, რომ საქართველოში მხოლოდ 1995 წლის კონსტიტუციით შეიქმნა ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით განმტკიცებული ღირებულებათა სისტემა და ახალგაზრდა სახელმწიფოს სასამართლოებს ძირითადი უფლებების გამოყენებისა და მათი მნიშვნელობის განმარტების გაცილებით მცირე გამოცდილება აქვთ. რაც შეეხება აზრის თავისუფლებასა და პიროვნების ღირსებას შორის კოლიზიის გადაწყვეტის საკითხს, გამომდინარე ორივე ამ უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან, მას ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ.

დავიწყოთ იმით, რომ გერმანიაში ადამიანის ღირსება ყველა სხვა ძირითადი უფლების საფუძვლად არის მიჩნეული და თუნდაც ამის გამო გამოირჩევა განსაკუთრებული მნიშვნელობით. შესაბამისად, სრულიად ნათელი ხდება გერმანიის სასამართლოთა დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. სწორედ აღნიშნულის გამო ენიჭება ადამიანის ღირსებას აბსოლუტური უპირატესობა აზრის თავისუფლების (შეფასებითი გამონათქვამის შემთხვევაში) მიმართ. მაგრამ საქართველოს კონსტიტუცია მსგავსი დასკვნების გაკეთების საფუძველს არ იძლევა. ღირსების ძირითადი უფლების დიდი მნიშვნელობა აღიარებულია,[26] მაგრამ ასევე დიდია აზრის თავისუფლების მნიშვნელობაც. ანუ ღირსების უფლება არ სარგებლობს განსაკუთრებული მდგომარეობით ძირითად უფლებებს შორის. იგივე შეიძლება ითქვას აზრის თავისუფლებაზეც. შესაბამისად, ვფიქრობთ, ეს ურთიერთდამოკიდებულება უნდა დაედოს საფუძვლად მათ შორის კოლიზიის შემთხვევების გადაწყვეტას. კერძოდ, *ამ ორი ძირითადი უფლების კოლიზიისას უნდა მოხდეს მათი (კოლი-*

[26] საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია".

დირებული სიკეთეების) შედარება ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით. ნამდვილი ფაქტების შემთხვევაში აზრის თავისუფლებას ყოველთვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს (გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ ინტიმური სფერო იყოს). შედარება და არა თავიდანვე ღირსების დაცვისათვის უპირატესობის მიცემა უნდა მოხდეს მაშინაც, როდესაც საქმე ეხება ფორმალურ შეურაცხყოფას ან უხამს კრიტიკას. მოცემული საქმის ყოველი დეტალი ზედმიწევნით უნდა შემოწმდეს, რათა აზრის თავისუფლება უსაფუძვლოდ არ შეიზღუდოს. ამ დროს ასევე გასათვალისწინებელია ის, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ: კომუნიკაციის ხასიათი, ანუ გამონათქვამის კავშირი სიტუაციასთან, რომელშიც იგი გამოითქვა.

აღნიშნული კოლიზიების გადაწყვეტისას, ვფიქრობთ, მოსამართლეებმა უნდა გამოიყენონ ე.წ. ვარაუდის წესი, რომლის მიხედვითაც, იმ შემთხვევებში, თუ *საქმე საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანს ეხება, წინასწარ უპირატესობა ენიჭება აზრის თავისუფლებას.*

ვარაუდის წესის საფუძველია ის, რომ საჯარო კამათის დროს საქმე გვაქვს არა მხოლოდ ორ დაპირისპირებულ ინდივიდუალურ ინტერესთან, რომელთა შედარებაც უნდა მოხდეს, არამედ ამ ღია, საჯარო კამათში (კომუნიკაციაში) შემოდის აგრეთვე ზეინდივიდუალური ინტერესი, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული პროცესის არსებობა და განვითარება. თუმცა დემოკრატიის პრინციპთან უშუალო კავშირშია არა მხოლოდ კომუნიკაციის ძირითადი უფლებები; ფაქტობრივად, ყველა ძირითადი უფლება უზრუნველყოფს დემოკრატიის პროცესს იმით, რომ ბოჭავს სახელმწიფო ხელისუფლებას, საზღვრავს ინდივიდის პირად სფეროს, რომელშიც მას შეუძლია საკუთარი პიროვნება თავისი შეხედულებისამებრ განავითაროს, აგრეთვე ხელს უშლის იმას, რომ პოლიტიკურმა აქტიურობამ მოქალაქეებს ეკონომიკური ან პროფესიული პრობლემები შეუქმნას. თუმცა სხვა ძირითადი უფლებებისაგან განსხვავებით, კომუნიკაციის ძირითადი უფლებები უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოკრატიასთან: თავისუფალი აზრი და სიტყვა, თავისუფალი კომუნიკაცია და ამით შექმნილი საჯაროობა დემოკრატიის არსებობის მთავარი წინაპირობა და დემოკრატიის პრინციპის უმთავრეს შემადგენელი ნაწილია. მათთვის ხელის შეშლა მაშინვე პირდაპირ დარტყმას აყენებს დემოკრატიის განხორციელების შესაძლებლობას. ამდენად, კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლების დებულებათა გამოყენების დროს მუდმივად ყურადღება უნდა ექცეოდეს იმ უკურეაქციას, რომელსაც გამოიწვევს აზრის თავისუფლების ძირითადი უფლების შეზღუდვა დემოკრატიის პრინციპისათვის.

მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული არ ნიშნავს, რომ აზრის თავისუფლებას აბსოლუტური უპირატესობა ენიჭება. სწორედ დემოკრატიის პრინციპი არ მიიჩნევს დასაშვებად იმ გამონათქვამებს, რომლებიც შელახავს მესამე პირთა ძირითადი უფლებებით დაცულ სიკეთეებს. თვით სიტყვა „ვარაუდიც" არ ნიშნავს „აბსოლუტურ უპირატესობას". შესაბამისად, ვარაუდის წესი არ მოქმედებს როგორც აბსოლუტური უპირატესობის წესი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: ერთი მხრივ, თუკი დადგინდება, რომ გამონათქვამით შეგნებულად გავრცელდა ცრუ ფაქტები და უხამსი კრიტიკით დაირღვა სხვა პირის კანონიერი უფლებები, მაშინ შედარების შედეგად ღირსების დაცვას შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა, ხოლო, როდესაც გამონათქვამი ეხება საჯარო პირს ან საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხს და ხელს უწყობს საჯარო აზრის ჩამოყალიბების პროცესს,

აქ შედარება მაინც საჭიროა, მაგრამ, იმავდროულად, ვარაუდი წინასწარ აზრის თავისუფლების სასარგებლოდ უნდა გამოითქვას. ასეთი საკითხი შეიძლება იყოს, მაგალითად, რომელიმე თანამდებობის პირზე გავრცელებული ინფორმაცია და შემდეგ მასზე განვითარებული საჯარო დისკუსია. მიუხედავად იმისა, რომ დისკუსიის დროს უამრავი მწვავე, პოლემიკური, დაუფიქრებელი და ირონიულ-სარკასტული აზრი შეიძლება გამოითქვას, თანამდებობის პირმა, რომელიც საჯარო პირია, უნდა ითმინოს და აიტანოს ეს დისკუსია და გამოთქმული კრიტიკა. თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით მისი პიროვნება და საქმიანობა საზოგადოების ყურადღების ცენტრშია და მის შესახებ ყოველგვარ ინფორმაციაზე არსებობს საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი. იგი ხომ იძულებით არ დაუნიშნავთ თანამდებობაზე, თავისი სურვილით დაიკავა საპასუხისმგებლო პოსტი, შესაბამისად, თავიდანვე უნდა შეეგუოს, რომ მის პიროვნებასა და საქმიანობას ყოველთვის ყურადღება მიექცევა საზოგადოების, განსაკუთრებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, მხრიდან. ეს ზოგჯერ მეტად მწვავე, ზედმეტად კრიტიკული, მისი შეხედულებით „უსამართლო შეფასებები", რომლებიც ძლიერ განსხვავდება საკუთარი შეფასებებისაგან, მან, როგორც საჯარო პირმა, უნდა მოითმინოს და აიტანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ, თუკი იგი ჩათვლის, რომ საჯარო დისკუსიისას დაირღვა მისი უფლებები, სახეზე იქნება სწორედ ზემოხსენებული სახის კოლიზია, სადაც იმოქმედებს ვარაუდის წესი, ანუ წინასწარ უპირატესობა მიენიჭება აზრის თავისუფლებას, რადგან საქმე ეხება საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის საგანს და არა მოქალაქეთა დავას. თავისუფალ აზრსა და სიტყვას კი, განსაკუთრებით საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს; ვფიქრობთ, ქართული სასამართლოს პრაქტიკითაც უნდა დამკვიდრდეს ეს პრინციპი, თუნდაც იმიტომ, რომ აზრის თავისუფლებით შექმნილი საჯაროობა საქართველოს კონსტიტუციით დაფუძნებული დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის მთავარ წინაპირობას წარმოადგენს.

V. კონკრეტული სასამართლო საქმეები

როგორც აღინიშნა, საქართველოს სასამართლოთა პრაქტიკა, აზრის თავისუფლებასთან დაკავშირებით, საკმაოდ მწირია. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე, ძირითადად, ჯერ კიდევ უცხო ქვეყნების (უმთავრესად გერმანიის) კონკრეტული სასამართლო საქმეების განხილვა მოგვიწევს. ვფიქრობთ, კონკრეტულ საქმეთა განხილვით უფრო ნათელი გახდება აზრის თავისუფლების კონსტიტუციურ ნორმათა მნიშვნელობა, მათი ზემოთ მოცემული განმარტებები და ანალიზი.

1. თავდაპირველად რამდენიმე საქმე საკმაოდ დეტალურად იქნება წარმოდგენილი, მომდევნო საქმეებს კი მოკლედ მიმოვიხილავთ.[27] პირველი საქმე ეხება პრესით გავრცელებულ იმ საპირისპირო აზრს, ანუ შეპასუხებას, რომელიც „უმკლავდება" პრესიდან შემოტევას, და შესაბამის ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესზე.

ა) საქმის არსი: 1954 წელს ჟურნალი „შპიგელი" ამტკიცებდა, რომ შტუტგარტის სასამართლოს თავმჯდომარის, პროფ. შმიდტის, პოლიტიკურ მოღვაწეობაში

[27] ამ საქმეთა განხილვისას გამოიყენება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი დებულებები, რათა უფრო ნათლად იქნეს წარმოდგენილი ამ მიმოხილვაში გაანალიზებული აზრის თავისუფლების მნიშვნელობა.

აშკარად შეიმჩნეოდა ე.წ. „წითელი ხაზი." მან (შმიდტმა) დასაშვებად გამოაცხადა არსებული სამართლებრივი წესრიგის რევოლუციური ცვლილებები და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ მოწყობილ ერთ-ერთ შეხვედრაზე, პარტიისა და პროფკავშირების ფუნქციონერთა წინაშე, ოქტომბრის რევოლუციას უწოდა „ლეგიტიმური პოლიტიკური გაფიცვის მაგალითი". გარდა ამისა, იგი ერთ-ერთი ლანდტაგის[28] კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი დეპუტატისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის წინააღმდეგ გამოვიდა. შმიდტმა ეს მოსაზრებები ძალიან ენერგიულად გააპროტესტა, რამდენიმე გაზეთში ერთდროულად გამოხატა თავისი პოზიცია და მწვავედ უპასუხა „შპიგელში" გამოქვეყნებულ წერილს. პროფესორი აცხადებდა: „ვინ მოიფიქრა ტყუილი, მე არ ვიცი, მაგრამ „შპიგელი" მას ავრცელებს და აწვდის საზოგადოებას. სტატიაში უამრავია შეგნებული დამახინჯება ფაქტებისა. ეს სტატია წარმოადგენს პუბლიცისტიკის ისეთ სახეს, რომელიც პოლიტიკის სფეროში ზუსტად იგივეა, რაც პორნოგრაფია მორალის სფეროში. ეს არის ე.წ. „მადის აღმძვრელი" ლიტერატურა, რომლის არსებობაც, როგორც ჩანს, საჭიროა ცივილიზაციის ბიუჯეტისათვის."

„შპიგელის" პასუხისმგებელმა რედაქტორმა და გამომცემელმა შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი სხვადასხვა გაზეთში გამოქვეყნებული ზემოაღნიშნული ტექსტის გამო და სასამართლოში შეიტანეს შესაბამისი სარჩელი. პროფესორ შმიდტს, სასამართლოს 1956 წლის განაჩენით, შეურაცხყოფისათვის მიესაჯა 150 მარკის გადახდა და ერთკვირიანი პატიმრობა. სარჩელის ავტორებს მიეცათ გადაწყვეტილების გამოქვეყნების უფლება. პროფესორმა შმიდტმა კი თავის უფლებათა დასაცავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.

1. სასამართლო, რომელიც შეურაცხყოფის საქმეს იხილავს, იყენებს ღირსების დაცვასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებს. თუკი ღირსების დაცვის დებულებების განმარტებისას და გამოყენებისას სასამართლო სათანადოდ ვერ შეაფასებს კონსტიტუციით, კერძოდ, ძირითადი უფლებებით დადგენილ ღირებულებათა სისტემის მნიშვნელობას, მაშინ დარღვეული იქნება გასამართლებულის ძირითადი უფლებები. მოცემულ საქმეში სწორედ ასეთი შეცდომა დაუშვეს. საერთო სასამართლოს განაჩენმა დაარღვია მოსარჩელის ძირითადი უფლება, რომელიც გამომდინარეობს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტიდან, რადგან მასში არ არის გათვალისწინებული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების განსაკუთრებული მნიშვნელობა. შესაბამისად, აზრის თავისუფლების ძირითადი უფლების ზეგავლენა პიროვნების ღირსების დაცვის დებულებების განმარტებასა და შეფარდებაზე შეცდომით და არასაკმარისად იყო შეფასებული.

ზემოთ მოცემულ ანალიზში რამდენჯერმე აღინიშნა, რომ აზრის თავისუფლების ძირითად უფლებასა და მის შემზღუდავ კანონის ნორმებს შორის ურთიერთობა არ უნდა გავიგოთ როგორც ძირითადი უფლების ცალმხრივი შეზღუდვა ამ კანონების მხრიდან. აქ ხდება „ურთიერთზემოქმედება" იმ თვალსაზრისით, რომ თუმცა კანონის ნორმები კონსტიტუციის ტექსტის სიტყვასიტყვითი გაგებით ძირითად უფლებებს ზღუდავს და მათ შესაბამის ფარგლებს უდგენს, თავის მხრივ, თავისუფალ დემოკრატიულ სახელმწიფოში, ამ ძირითადი უფლების ღირებულებითი მნიშ-

[28] გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერაციული სუბიექტების - „ლანდების", უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

ვნელობიდან გამომდინარე, ისინი (ეს ნორმები) შესაბამისად უნდა განიმარტოს და ძირითადი უფლების შემზღუდავი ზემოქმედებისას თავადვე უნდა შეიზღუდოს. კონსტიტუციამ ძალიან დიდი მნიშვნელობა მიანიჭა აზრის თავისუფლებას. აზრის თავისუფლება, როგორც საზოგადოებაში პიროვნების უშუალო გამოხატულება, არის ერთ-ერთი უპირველესი ძირითად უფლებათაგანი, რაც მას უკვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. გარდა ამისა, ეს ძირითადი უფლება თავისუფალი დემოკრატიული წყობილებისათვის „უბრალოდ ჩამომყალიბებელია", რადგან იგი უზრუნველყოფს ადამიანთა შორის სულიერ, ინტელექტუალურ ჭიდილს, იდეებისა და ინტერესების თავისუფალ ურთიერთდაპირისპირებასა და კამათს, რაც დემოკრატიული სახელმწიფო წყობილებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია;

2. საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე თემებსა და საგნებზე თავისუფალი საჯარო დისკუსია უზრუნველყოფს საჯარო აზრის თავისუფალ ჩამოყალიბებას, რაც დემოკრატიული სახელმწიფოსათვის საჭირო პლურალისტურ გარემოში განსხვავებული მოტივების საფუძველზე გამოთქმული, მაგრამ ყველა შემთხვევაში თავისუფლად გამოხატული შეხედულებებით, უპირველეს ყოვლისა კი, სიტყვიერი გამოსვლითა და მასზე შეპასუხებით ხორციელდება. ყოველი მოქალაქისათვის, კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლების მიხედვით, უზრუნველყოფილია ამ საჯარო დისკუსიაში მონაწილეობის უფლება. პრესა, რადიოსა და ტელევიზიასთან ერთად, არის საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი. სწორედ ამიტომ, კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი უზრუნველყოფს პრესის (უფრო ზუსტად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების) თავისუფლებას.

გამომდინარე აქედან, აზრის თავისუფლების ძირითადი უფლების მნიშვნელობამ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში მოცემულ სიკეთეთა (ღირსებასა და აზრის თავისუფლებას შორის) შედარებაზე სერიოზული გავლენა უნდა მოახდინოს;

3. მოცემულ საქმეში საერთო სასამართლოებმა საქმის შინაარსი სრულიად არასამართლიანად მხოლოდ პიროვნული ღირსების დაცვის ინტერესის თვალსაზრისით დაინახეს და, იმავდროულად, არ შეაფასეს პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციების განსაკუთრებულობა და მისთვის დამახასიათებელი იმანენტური ელემენტის – საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, მნიშვნელობა.

გასათვალისწინებელია მოსარჩელის პოზიციაც, რომელსაც სრული უფლება აქვს თავად გადაწყვიტოს, თუ რა სახეს მისცემს საკუთარ შენატანს (შეხედულებას)სადისკუსიოდ გამოტანილ თემაში. მისი გადაწყვეტილების განმსაზღვრელი, ძირითადად, იქნება „შპიგელის" მსგავსი ინფორმაციები და ის საჭიროება, რომ შესაბამისი შეპასუხებით შეეწინააღმდეგოს გავრცელებული ცნობების ზეგავლენას საჯარო აზრის ჩამოყალიბებაზე. თუკი „შპიგელი" მოსარჩელეზე გავრცელებული ცნობებით მართლაც დასაბუთებულ ეჭვს აღძრავს, რომ მან („შპიგელმა") სიმართლის ფარდის ქვეშ არაზუსტი ინფორმაცია (ნაწილობრივი სიმართლე) მიაწოდა მკითხველს, მაშინ საჯარო დისკუსიაში მოსარჩელის შენატანი შეიძლება იყოს საგაზეთო სტატია, რომელშიც „შპიგელი", როგორც არაზუსტი ცნობების გამავრცელებელი, შესაბამისად იქნება გაკრიტიკებული. ამდენად, „შპიგელმა" თავად მისცა საფუძველი დამამცირებელ შეფასებას, რომელიც მის მიმართ გამოითქვა, ამიტომ იგი იძულებული და ვალდებული იყო, ძირითადად, მიეღო და მოეთმინა მსგავსი შეფასება, რომელიც მის ავტორიტეტს ამცირებდა და ლახავდა. ერთ-ერთი

საერთო სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის მიცემული უფლება მხოლოდ „შინაარსობრივად უარეყო" მის მიმართ წაყენებული პრეტენზიები და ბრალდებები - სრულებითაც არ იყო საკმარისი „შპიგელის" სტატიის მიერ საჯარო აზრის ჩამოყალიბების პროცესზე მოხდენილი ზეგავლენის შესამცირებლად ან უარსაყოფად. გამომდინარე იქიდან, რომ სტატიის საშუალებით საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესზე განხორციელებული ზემოქმედება გამოიწვია ზოგიერთი ფაქტის დამალვამ და აქცენტების სრულიად არასწორად დასმამ, „შინაარსობრივი შეპასუხება" საკმაოდ რთული იყო და მხოლოდ შინაარსობრივი ოპონირებით შეუძლებელი იქნებოდა იმ უარყოფითი შთაბეჭდილებების გაქარწყლება, რომლებიც შეექმნა აღნიშნული ყოველკვირეული და მეტად პოპულარული ჟურნალის უამრავ მკითხველს.

4. აღნიშნული დასაბუთების შეჯამების შედეგად, მივდივართ შემდეგ დასკვნამდე: სასამართლოები აღიარებენ, რომ მოსარჩელეს მხოლოდ პირადი ღირსების დასაცავად აქვს ლეგიტიმური ინტერესი და შეუძლია მხოლოდ „შინაარსობრივად უარყოს" გასაჩივრებული სტატია. მაგრამ კოდექსის შესაბამის ნორმაზე კონსტიტუციის 24-ე მუხლის ზემოქმედება, რაც, როგორც დავასაბუთეთ, ნამდვილად ხდება, მოითხოვს მოსარჩელის კიდევ ერთი ლეგიტიმური ინტერესის აღიარებას – ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხზე საჯარო აზრის ჩამოყალიბების პროცესზე და მისი გამონათქვამი შეფასდეს როგორც საზოგადოებისათვის მიწოდებული არასწორი ინფორმაციის საპირისპირო შეპასუხება. იმის გამო, რომ მსგავსი რამ გასაჩივრებულ განაჩენებში არ მომხდარა, ამით დაირღვა მოსარჩელის ძირითადი უფლება – აზრის თავისუფლება, რაც უზრუნველყოფილია კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებით.

ბ) შემდეგ საქმეში გაანალიზებულია აზრის თავისუფლების ძირითადი უფლების მნიშვნელობა კერძო დაცვის განმახორციელებელ ერთ-ერთ ფირმაზე გამოქვეყნებული ირონიულ-კრიტიკული მოსაზრებების შეფასებისას.

საქმის არსი: მოსარჩელეები ფლობდნენ გამომცემლობას, სადაც გამოიცემოდა საფოსტო ბარათების სერია, რომელიც ირონიულ-კრიტიკულად აფასებდა მიუნჰენის ტრადიციულ ურთიერთობებს. შავ-თეთრი ფოტოების სახით გამოცემული ბარათები ასახავდა სხვადასხვა მოტივს, რომლებიც ბარათის უკანა გვერდზე, შესაბამისად, მოკლედ იყო კომენტირებული. ერთ-ერთ ბარათზე, წინა მხარეს გამოსახული იყო მოღიმარი პირი, რომელსაც ეცვა შავი ტყავის ქურთუკი და ეხურა შავი ქუდი, ქურთუკსა და ქუდზე კი მიკრული ჰქონდა თავისი სამსახურის ემბლემის გამომხატველი ნიშანი. მისი თვალები დაფარული იყო გამუქებული ბეჭდური ლაქით. ამგვარად იყო წარმოდგენილი პირველი პროცესის მოსარჩელის, მიუნჰენში მოქმედი, „შავი შერიფის" სახელით ცნობილი, უსაფრთხოების კერძო სამსახურის ყოფილი დარაჯი. ბარათს უკანა გვერდზე წარწერა ჰქონდა: „სამართალი და წესრიგი – მიუნჰენი 1980". წინა გვერდზე მოცემული სურათი მასზე ასახული პირის ნებართვით იყო გადაღებული და გამოცემული.

თავდაპირველ პროცესზე მაშინდელი მოსარჩელე (უსაფრთხოების სამსახური) ახლანდელი მოსარჩელისაგან (გამომცემლობა) ითხოვდა გამოცემის შეწყვეტას და სრულ ინფორმაციას ამ ბარათის წარმოებისა და გაყიდვის მიმდინარეობის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ ეს მოთხოვნები უარყო, მაგრამ ზემდგომმა სასა-

მართლომ ახლანდელ მოსარჩელეს აუკრძალა იმ საფოსტო ბარათების წარმოება, რომლებზეც გამოსახული იყო უსაფრთხოების კერძო სამსახურის თანამშრომელი, იმავდროულად, მოსარჩელეს მოსთხოვა „შავი შერიფისათვის" მიეწოდებინა სრული ინფორმაცია დავის საგნის (ბარათის) რაოდენობის, წარმოების, გაყიდვისა და ამ პროცესით მიღებული სუფთა მოგების შესახებ.

მოსარჩელემ (გამომცემლობამ) თავის უფლებათა დასაცავად მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს.

1. მოცემულ საქმეში, საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს აეკრძალა იმ „საფოსტო ბარათების გავრცელება, რომლებზეც გამოსახული იყო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი". მიუხედავად კონკრეტული მითითებისა მხოლოდ ბარათის წინა გვერდზე დაბეჭდილი სურათის აკრძალვაზე, ამით, ფაქტობრივად, აიკრძალა სადავო საგნის (საფოსტო ბარათის) უკანა გვერდზე მოცემული წარწერის გავრცელებაც. შედეგად კი მოსარჩელეს აეკრძალა სურათით (წინა გვერდზე) და წერილობით (უკანა გვერდზე) გამოხატული აზრის გამოთქმა. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას უყურადღებოდ არ დაუტოვებია ის გარემოება, რომ აქ საქმე ეხებოდა არა ე.წ. „შავი შერიფის" გამოსახულებას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ გაკრიტიკებული იყო აღნიშნული კერძო დაწესებულება და/ან მისი პასუხისმგებელი პირები. მოკლე ტექსტის ძლიერი ზემოქმედება არაფერს ცვლის იმაში, რომ საქმე აზრის გამოთქმას ეხება. ასეთ მოკლე და დანაწევრებულ აზრსაც, მით უმეტეს სურათთან ერთად, თავისუფლად შეუძლია გადმოსცეს კრიტიკა უსაფრთხოების სამსახურის „შავი შერიფის" მიმართ: თავად სურათი, მასზე მოცემული განათება, მდგომარეობა და სახის გამომეტყველება გამოსახული პირისა, გამოხატავს მეგობრობისა და საშიშროების განსაკუთრებულ შერწყმას. ამ პირის თვალებზე გადაკრულ გამუქებულ ლაქებს შეუძლია გამოიწვიოს ასოციაცია პოლიციელთან, რომელიც პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ფოტოებში ხშირად სწორედ ასეთი სახითაა წარმოდგენილი. ტექსტი „სამართალი და წესრიგი" გარკვეულ პარალელს ავლებს არცთუ უმნიშვნელო იდიომასთან – "law and order" და არაორაზროვნად მიუთითებს, თუ რას ფიქრობენ მოსარჩელეები: ასე გამოიყურებიან წესრიგის დამცველები, რომლებიც პოლიციის ფუნქციებს ასრულებენ; ისინი ზრუნავენ წესრიგზე ან იმაზე, რასაც ისინი ამ სიტყვაში მოიაზრებენ; არ შეიძლება მათი მთლიანი ნდობა, არ ხერხდება მათი პასუხისმგებლობაში მიცემაც, რადგან ისინი საკუთარ სახეს არ აჩვენებენ;

2. ცხადია, რომ აზრის თავისუფლება შეზღუდულია კანონის გარკვეული ნორმებით, რომლებსაც განეკუთვნება კიდეც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები. მაგრამ ეს ნორმები, თავის მხრივ, უნდა განიმარტოს თავისუფალ დემოკრატიულ საზოგადოებაში აზრის თავისუფლების ძირითადი უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე და ძირითადი უფლების შემზღუდავი მოქმედების დროს ისევ აზრის თავისუფლების მნიშვნელობით თავადვე უნდა შეიზღუდოს.

სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლით დაცულ სფეროში, საერთო სასამართლოების მიერ დასაბუთებული და კონსტიტუციურ-სამართლებრივად დადასტურებული განმარტების თანახმად, ექცევა აგრეთვე ზოგადი პიროვნული უფლება. თუმცა საკითხავია: დარღვეულია კი დაცვის სამსახურის ზოგადი პიროვნული

უფლება საფოსტო ბარათით? ბარათი ხომ არა პირადად მოსარჩელეს (უსაფრთხოების სამსახურს), არამედ მის მხოლოდ ერთ მოსამსახურეს გვიჩვენებს. აქ კავშირი მოსარჩელესთან სურათზე გამოსახული პირის უნიფორმის მსგავსი შავი ტანსაცმლით შეიძლება დადგინდეს.

მიუხედავად ამისა, თუკი მაინც დადასტურდება, რომ გასაჩივრებული საფოსტო ბარათი ეხება მოსარჩელის ზოგად პიროვნულ უფლებას, ამას მსგავს შემთხვევებში მაინც არ შეიძლება ჰქონდეს უპირატესობა აზრის თავისუფლების მიმართ. როდესაც საქმე ეხება საზოგადოებრივ აზრთა ჭიდილს და ამ დისკუსიაში ვინმეს გარკვეულ შენატანს (ანუ მოსაზრებას), ამ დროს უკვე ვარაუდი გამოითქმება თავისუფალი დისკუსიისა და აზრის თავისუფლების სასარგებლოდ; აზრის თავისუფლების შემზღუდავი კანონის ნორმათა განმარტება, რომელიც საჯარო კრიტიკის დასაშვებობას გადამეტებულ მოთხოვნებს უყენებს, უკვე აღარ შეესაბამება კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებით გათვალისწინებულ აზრის თავისუფლების ძირითად უფლებას;

3. სწორედ ეს პრინციპი გამორჩა მხედველობიდან საერთო სასამართლოს. უსაფრთხოების სამსახური (მიუნჰენში არსებული ფირმა) და მისი საქმიანობა არის საჯარო ინტერესისა და ცხარე დისკუსიის საგანი. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა მაშინ, როდესაც წარმოიშვა გარკვეული ეჭვი: ხომ არ ჩაიდინეს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა დაუშვებელი გადაცდომები და სულაც სისხლის სამართლის დანაშაული თავიანთი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ მიმართულია ის პრეტენზიაც, რომ ისინი, როგორც კერძო („პარაპოლიციური") „წესრიგის დამცველები", ისეთ კომპეტენციებს ითხოვდნენ და ახორციელებდნენ, რომლებიც სამართლებრივ სახელმწიფოში მხოლოდ სახელმწიფო პოლიციურ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ.

ის, რომ აღნიშნული დისკუსია თავად უსაფრთხოების სამსახურმა და მისმა არცთუ გამჭვირვალე საქმიანობამ გამოიწვია, არ შეიძლება რაიმე ეჭვს იწვევდეს. თუნდაც მხოლოდ მისი თანამშრომლების უნიფორმის მსგავსი ტანსაცმელი – კოკარდიანი ქუდი, შავი ქურთუკი ფირმის ემბლემის გამომხატველი სამკერდე ნიშნით – ამკვიდრებს საზოგადოებაში ამ ფირმის სახელს. ამის გამო, ბუნებრივად წარმოიშვა მოსახლეობის სურვილი გაეგოთ, თუ როგორ გამოიყურებოდა ეს სამსახური, სახელად „შავი შერიფი". აქ უკვე გადამწყვეტი აღარ იყო საკითხი, რამდენად სამართლიანია ფორმის მიმართ გამოთქმული კრიტიკა. ყველა შემთხვევაში დაუშვებელია მოსარჩელეს (გამომცემლობას) აეკრძალოს გაჩაღებულ საჯარო დისკუსიაში მონაწილეობა შესაბამისი საფოსტო ბარათის გამოცემით.

მოსარჩელის მიერ გამოთქმული კრიტიკა დაუშვებელი არ არის იმ გარემოების მიუხედავადაც, რომ საფოსტო ბარათების წარმოებით მას გარკვეული კომერციული ინტერესებიც აქვს. ეს ინტერესი მეორეხარისხოვანია და უკანა პლანზე დგას მთავარ მიზანსა და ინტერესთან შედარებით: გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

4. ზემოაღნიშნული ანალიზიდან ცხადი ხდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არღვევს მოსარჩელის კონსტიტუციით უზრუნველყოფილ ძირითად უფლებას – აზრის თავისუფლებას.

გ) მომდევნო სასამართლო საქმე განსაკუთრებით საინტერესო და, იმავდროულად, მეტად რთულ სამართლებრივ საკითხს – ფაქტებისა და შეხედულების გამიჯვნას – ეხება.

საქმის არსი: მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ერთ-ერთი პუბლიკაციით შეილახა მისი ზოგადი პიროვნული უფლება. საგაზეთო სტატიაში მოსარჩელეს, რომელიც სამშენებლო ინსპექტორია, „უსაქმურობა" უსაყვედურეს. კომპეტენტურმა სასამართლომ უარყო წინასწარი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნა; მოსარჩელის მიერ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილი სარჩელიც არ დაკმაყოფილდა.

1. სასამართლომ ჩათვალა, რომ სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა. მოსარჩელეს უფლება არა აქვს მოითხოვოს გასაჩივრებულ საგაზეთო სტატიაში დაფიქსირებული გამონათქვამის უარყოფა. გასაჩივრებული გამონათქვამი (შეხედულება) მართლსაწინააღმდეგოდ არ ხელყოფს მოსარჩელის ზოგად პიროვნულ უფლებას. დაპირისპირებულ სამართლებრივ სიკეთეთა და ინტერესთა – ერთი მხრივ, მოსარჩელის ზოგადი პიროვნული უფლებისა და, მეორე მხრივ, მოპასუხის აზრის თავისუფლების შედარებისას მოპასუხის გამონათქვამი დაცულია აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით;

2. საქმე ეხება მოსარჩელის, როგორც სამშენებლო ინსპექტორის, პროფესიულ საქმიანობას. ასეთ მნიშვნელოვან საჯარო სფეროში საქმიანობა საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანია და, შესაბამისად, მოქმედებს ვარაუდი თავისუფალი სიტყვის სასარგებლოდ, თუკი არ დასტურდება აშკარად ცრუ ფაქტების შეგნებულად გამოთქმა და სახეზე არა გვაქვს უხამსი კრიტიკა;

3. კომპეტენტურმა საერთო სასამართლომ სამართლიანად შეაფასა გასაჩივრებული ციტატა არა როგორც ფაქტის მტკიცება, არამედ როგორც აზრის, შეფასებითი შეხედულების გამოთქმა, რომელიც მოცემულია ფაქტების ნიღაბქვეშ. დადასტურება იმისა, წარმოადგენს თუ არა გამონათქვამი ფაქტების მტკიცებას, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, შესაძლებელია თუ არა გამონათქვამის სისწორის გადამოწმება და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება. როგორც ჩვენს ანალიზში აღვნიშნეთ, შეფასებითი გამონათქვამი, ანუ შეხედულება, ფაქტებისაგან განსხვავებით, ხასიათდება პირადი დამოკიდებულების, წარმოდგენისა და შეფასების ელემენტებით. თუმცა ის გამონათქვამებიც, რომლებიც შეხედულებებს ეყრდნობა, შესაძლოა იყოს ფაქტების მტკიცება, თუკი ისინი, იმავდროულად, ადრესატის ცნობიერებაში იწვევს კონკრეტული, შეფასების ფორმით გამოხატული ფაქტების ასოციაციას, და პირიქით, მოცემული გამონათქვამის ფაქტობრივი შინაარსი უკანა პლანზე გადადის, თუკი იგი განუყოფელ კონტექსტში დგას შეფასებასთან და მთლიანობაში წარმოადგენს დაუკონკრეტებელ, ზოგად და შინაარსობრივად ღარიბ გამონათქვამს.

ამ კრიტერიუმების მიხედვით, მოპასუხის გამონათქვამი უნდა ჩავთვალოთ აზრის გამოთქმად. თუმცა, ერთი შეხედვით, სიტყვები „სამშენებლო ინსპექტორის უსაქმურობა" ფაქტის მტკიცებად და გადმოცემად გამოიყურება, მაგრამ იგი არ არის გამყარებული უფრო დეტალური ფაქტობრივი მასალით, რომელიც შეიძლებოდა შემოწმებულიყო და ამით სასამართლოს შესაბამისი მტკიცებულებები მოეპოვებინა. მკითხველისათვის ციტატისა და კონტექსტიდანაც მაინც გაუგებარი რჩება, ფაქტობრივად, რას ეფუძნება აღნიშნული კრიტიკა.

საერთო ჯამში, საგაზეთო სტატიით გაკრიტიკებულია მოსარჩელის ხელმძღვანელობა, რადგან სტატიაში წარმოდგენილია მოსაზრებები ფირმა „S"-ის ეკონომიკური სიძნელეების შესახებ. ეს მოსაზრებები ასევე მოკლებულია მტკიცებულებათა შესაძლო მოპოვების ფაქტობრივ საფუძველს. კერძოდ, ეს ეხება ისეთ წინადადებებს, როგორებიცაა: „უამრავი თათბირი გადაწყვეტილებების გარეშე" ან „არ ხორციელდება კონსტრუქციული თანამიმდევრობა სამშენებლო ინსპექტორის მხრიდან." მხოლოდ შემდეგი გამონათქვამი – „დღეს ირკვევა, რომ სამშენებლო ფირმას, რომელიც ჯერ კიდევ სამი წლის წინ ქალაქის სურვილით იმ რაიონში საქმიანობდა, სადაც ნაკვეთი ადგილებია განლაგებული, არ გააჩნია მშენებლობის ნებართვა" - შეიცავს შესაბამისი მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც არ არის გადამწყვეტი, რადგან აღნიშნული მონაცემები შესაძლებელია მოსცილდეს დანარჩენ ტექსტს. ისინი უშუალოდ არ არის დაკავშირებული ამ პროცესის საგნად ქცეულ გამოთქმასთან – „უსაქმურობა"; შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი წინადადება და მისი მონაცემები ცალკე უნდა შეფასდეს;

4. მოპასუხის მიერ გამოთქმული აზრი მოქცეულია დასაშვები კრიტიკის ფარგლებში და არ არის უხამსი კრიტიკა. გამოთქმული აზრი მხოლოდ იმის გამო, რომ მან დამამცირებლად იმოქმედა მესამე პირზე, არ შეიძლება ჩაითვალოს უხამსობად. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ თვით პოლემიკური, მწვავე და ზღვარგადასული კრიტიკაც კი გამოთქმულ აზრს არ აქცევს უხამს კრიტიკად. ასეთი შეხედულება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევა უხამს კრიტიკად, როდესაც მის შინაარსში წინა პლანზე დგას არა საქმიანი, არგუმენტირებული კრიტიკა და დაპირისპირება, არამედ პიროვნების დიფამირება.

გარდა ამისა, მოპასუხის გამონათქვამი ეხება მოსარჩელის პროფესიულ საქმიანობას. იგი მკაცრი და კრიტიკულია, რაც მოსარჩელემ, როგორც საჯარო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელმა პირმა, რომელიც, სხვებთან ერთად, ადგილობრივი სამშენებლო ფირმების განვითარებასა და მათ შესაძლებლობებს განსაზღვრავს, უნდა ითმინოს, მიუხედავად იმისა, ეს სამართლიანია თუ არა.

2. როგორც აღვნიშნეთ, მეორე ნაწილში მოკლედ განვიხილავთ კიდევ რამდენიმე კონკრეტულ საქმეს, რომლებიც აზრის თავისუფლების სხვადასხვა ასპექტს უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს.

ა) 1961 წლის ბოლოს, ბერლინის კედლის აგებიდან მცირე ხნის შემდეგ, „აქსელ-შპრინგერის" გამომცემლობამ გაზეთებითა და ჟურნალებით ყველა მოვაჭრეს გაუგზავნა წერილი, რომელიც შეიცავდა მოწოდებას, დაუყოვნებლივ შეეჩერებინათ იმ ჟურნალების გაყიდვა, რომლებშიც დაბეჭდილი იყო აღმოსავლეთ გერმანიის რადიო- და სატელევიზიო პროგრამები; მხოლოდ ასე თუ შეიძლებოდა აღმოსავლეთგერმანული პროპაგანდისადმი დაპირისპირება და მისი ზემოქმედების შემცირება. ეს მოწოდება უკავშირდებოდა მინიშნებას, რომ „აქსელ-შპრინგერი" აღარ მიაწვდიდა მასთან დაბეჭდილ გაზეთებსა და ჟურნალებს იმ მოვაჭრეებს, რომლებიც გააგრძელებდნენ აღმოსავლეთგერმანული რადიო- და სატელევიზიო პროგრამების შემცველი ჟურნალ-გაზეთების გაყიდვას. აშკარაა, რომ ამით მოვაჭრეები ძალიან მძიმე ეკონომიკური ზეწოლის ქვეშ მოექცეოდნენ. ბოიკოტისაკენ ეს მოწოდება უკვე აღარ იყო დაშვებული, რადგან იგი ეკონომიკური ზემოქმედებით ცდილობდა საკუთარი მოსაზრების განმტკიცებასა და სასურველი მიზნის მიღწევას; არ ეყრდ-

ნობოდა მხოლოდ არგუმენტებით დარწმუნების ძალას და, შესაბამისად, იყო არა საჯარო აზრთა ჭიდილის, არამედ ეკონომიკური დაპირისპირების შემადგენელი ნაწილი. ამიტომ აღნიშნული მოწოდება უკვე აღარ იყო დაცული აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით.[29]

ბ) ჰამბურგის ლანდტაგის ერთ-ერთმა დეპუტატმა 1953 წლის ფედერალური არჩევნების წინ თავისი, დაქირავებული ბინის ორი ფანჯრის ქვეშ, სახლის გარეთა კედელზე გააკრა თითო საარჩევნო პლაკატი ზომით – 86X120 სმ. პლაკატი ჩასმული იყო ხის ჩარჩოში, რომელსაც შემოვლებული ჰქონდა ღამის ელექტროგანათება. სახლის მესაკუთრემ (ბინის გამქირავებელმა), რომლის ნებართვა დეპუტატს არ ჰქონდა, მოითხოვა პლაკატების ჩამოხსნა, რადგან სახლის სხვა დამქირავებლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს. ბუნებრივია, მესაკუთრეს სურდა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი არეულობები და გაუგებრობანი საკუთარ სახლში. სასამართლოს გადაწყვეტილებით, პლაკატები უნდა ჩამოხსნილიყო, ვინაიდან სახლის კედელზე მათმა გაკვრამ დაარღვია მესაკუთრის საკუთრების უფლება, ხოლო დეპუტატს თავისი აზრის გამოთქმა სხვა გზითა და საშუალებითაც კარგად შეეძლო.[30]

გ) წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფი ერთ-ერთი პატიმარი, მეუღლისადმი მიწერილ წერილში თავისი სასამართლო პროცესის მიმდინარეობას აღწერდა შემდეგი სიტყვებით: მე არ შემიძლია სხვაგვარად დავახასიათო ეს პროცესი, თუ არა როგორც „ბინძური, ყოველგვარი სამართლის უარმყოფელი და დამცინავი სპექტაკლი". განაჩენი „სუფთა ინტერესებისა და შურისძიების განაჩენია". ეს არის „ურცხვი უზრდელობა", როდესაც სასამართლო „ფიცჩამორთმეულ პოლიციელს ყოველ დაწყევლილ ბინძურ ტყუილს უჯერებს". სასამართლომ მიიჩნია, რომ წერილი არაერთ „აშკარად მძიმე შეურაცხყოფას" შეიცავდა, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ წერილი დაიწერა განაჩენზე პირველი შთაბეჭდილებების ქვეშ და აღნიშნული აზრი (შეხედულება) გამოთქმული იყო მეუღლეთა განსაკუთრებით დაცულ კერძო, ინტიმურ სფეროში. შესაბამისად, ადმინისტრაციის მიერ წერილის შეჩერება პატიმრის აზრის თავისუფლებაში დაუშვებელ ჩარევას წარმოადგენდა.[31]

VI. დასკვნა

დაბოლოს, მოკლედ უნდა აღინიშნოს შემდეგი: აზრის თავისუფლებისა და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ გაცილებით მეტი შეიძლება ითქვას, მაგრამ ვფიქრობთ, ამ მოკლე ნაშრომში აისახა აზრის თავისუფლების ძირითადი მახასიათებლები, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოსათვის ამ ძირითადი უფლების მნიშვნელობის გაცნობიერებას იურისტთა და, ზოგადად, საზოგადოების მხრიდან. იმედს ვიტოვებთ, საქართველოს სასამართლოები თავიანთი სამართალშემოქმედებით განამტკიცებენ და დაამკვიდრებენ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უმნიშვნელოვანეს ძირითად უფლებას – აზრის თავისუფლებას.

[29] BVerfGE 25, 256.
[30] BVerfGE 7, 230ff.
[31] BVerfGE 35, 35ff.

ხელოვნების თავისუფლება და მისი მნიშვნელობა

კონსტანტინე კუბლაშვილი

„გენიასა და ხელოვნებას ღუპავენ
წესები და ნიმუშები."

უილიამ ჰეზლიტი

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებულ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ხელოვნების თავისუფლებას. ეს „გამორჩეულობა" გამოიხატება თუნდაც იმით, რომ საქართველოს კონსტიტუცია აღნიშნულ ძირითად უფლებას ცალკე მუხლს (23-ე) უთმობს, განსხვავებით, მაგალითად, გერმანიისა და იტალიის კონსტიტუციებისაგან, რომლებშიც ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება, სხვა უფლებებთან ერთად, ერთ მუხლში (გერმანიის ძირითადი კანონი – მე-5 მუხლი, იტალიის კონსტიტუცია – 33-ე მუხლი) არის გაერთიანებული.[1] საქართველოს კონსტიტუციის ეს თავისებურება, შესაძლებელია, გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ 1992-95 წლებში, მაშინ, როდესაც განიხილებოდა და მიღებულ იქნა საქართველოს კონსტიტუცია, პარლამენტში არცთუ მცირე იყო დეპუტატთა რიცხვი, რომლებიც ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები იყვნენ, ან უშუალო შეხება ჰქონდათ ხელოვნების სფეროსთან.[2] ასეა თუ ისე, კონსტიტუციამ განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ხელოვნების თავისუფლებას სხვა (ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვან) ძირითად უფლებათა გვერდით. კონსტიტუციის მიღებიდან უკვე შვიდი წელი გავიდა, საკონსტიტუციო სასამართლოს კი, სამწუხაროდ, ერთხელაც არ ჰქონია შესაძლებლობა, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, გამოეყენებინა კონსტიტუციური ნორმები ხელოვნების თავისუფლების შესახებ და განემარტა ისინი.[3]

ეს მიმოხილვა საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლში მოცემული დებულებების სამართლებრივი გაანალიზების, ფაქტობრივად, პირველი მცდელობაა, რომლის მიზანია ხელოვნების თავისუფლების მნიშვნელობის განმარტება და წარმოჩენა.

I. შესავალი

წარმოჩენილი საკითხის სამართლებრივი კუთხით გაანალიზებამდე, თავდაპირველად თვალი გადავავლოთ საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის შინაარსს:

[1] აღსანიშნავია, რომ ბელგიისა და დანიის კონსტიტუციების ძირითად უფლებათა კატალოგები საერთოდ არ შეიცავს დებულებებს ხელოვნების თავისუფლების შესახებ.
[2] აქ, ალბათ, საკმარისი იქნება ელდარ შენგელაიას, გიგა ლორთქიფანიძისა და თენგიზ აბულაძის დასახელება.
[3] ეს გამოწვეულია არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის შესახებ კანონმდებლობის არასრულყოფილებით (იმედი გვაქვს, ეს ნაკლი ნაწილობრივ გამოსწორდება 2002 წლის თებერვალში ამ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით), არამედ მეტწილად იმითაც, რომ მოსახლეობის უმრავლესობისათვის მიახლოებითაც კი არ არის ცნობილი, თუ რა ძალა და მნიშვნელობა აქვს ძირითად უფლებებს მათი დაცვის თვალსაზრისით და, შესაბამისად, არანაირი სარჩელი ამ უფლებების (მათ შორის ხელოვნების თავისუფლების) დარღვევის გამო არ შეტანილა საკონსტიტუციო სასამართლოში.

„1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.

2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.

3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს."

აღნიშნული მუხლის გაცნობისას, უპირველეს ყოვლისა, შესამჩნევია ერთი გარემოება: ტექსტში ვერ ვხვდებით სიტყვას – „ხელოვნება". პირველი პუნქტის მიხედვით, უზრუნველყოფილია „ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება". მიუხედავად ამისა, უმჯობესი და მოსახერხებელი იქნება ამ მიმოხილვაში (ძირითადად) გამოვიყენოთ ტერმინი - „ხელოვნების თავისუფლება" (ან „ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება"), მით უმეტეს, რომ მე-2 პუნქტში უკვე სხვა ტერმინებია მოცემული – „შემოქმედებითი პროცესი" და „შემოქმედებითი საქმიანობა". „ხელოვნების თავისუფლება", ვფიქრობ, მოიცავს სამივე ზემოხსენებული ტერმინის მნიშვნელობას და, შესაბამისად, სრულად ასახავს მთლიანად 23-ე მუხლის შინაარსს.[4]

როგორც ცნობილია, ძირითადი უფლებები, მათი შინაარსის მიხედვით, სამ ძირითად კატეგორიად იყოფა: ***თავისუფლების, თანასწორობისა და საპროცესო*** ძირითადი უფლებები. თუ გავითვალისწინებთ, რომ *თავისუფლების ძირითადი უფლებები* ადამიანებისათვის უზრუნველყოფენ საქმიანობისა და მოქმედების თავისუფალ სფეროს, რომელშიც სახელმწიფო საერთოდ ვერ ერევა ან ერევა მხოლოდ სპეციალური დასაბუთებით (მაგ., კანონის საფუძველზე), ცხადი გახდება, რომ *ხელოვნების თავისუფლება* ისევე, როგორც ძირითადი უფლებების უმეტესობა, სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია კიდევ ერთი დასკვნის გაკეთება: ძირითადი უფლებები წარმოადგენენ დაცვით უფლებებს. ისინი იცავენ ფიზიკურ პირებს (ყველა ადამიანს) მათი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისაგან. მაგრამ ზოგიერთი ძირითადი უფლების გამოყენება შეუძლია არა ყველა ადამიანს, არამედ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, *„საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა."* ასეთი გამონაკლისი კონსტიტუციაშივეა მოცემული, მაგალითად, 26-ე მუხლში, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად, *მხოლოდ „საქართველოს მოქალაქეებს" აქვთ „უფლება" „ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში."* ასევე მხოლოდ საქართველოს მო-

[4] აქვე შევნიშნავ, რომ ამ ნაშრომის ტექსტის სტილისტური გამარტივებისა და იმავდროულად, ლექსიკური გამრავალფეროვნების მიზნით, სინონიმური მნიშვნელობით გამოყენებული იქნება შემდეგი ტერმინები: „ხელოვნება", „ინტელექტუალური შემოქმედება", „შემოქმედება", „სახელოვნებო საქმიანობა", „შემოქმედებითი საქმიანობა"; „ხელოვანი", „შემოქმედი"; „ხელოვნების ქმნილება", „ხელოვნების ნაწარმოები", „შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი", „შემოქმედებითი ნაწარმოები".

ქალაქეს აქვს რეფერენდუმსა და არჩევნებში მონაწილეობისა (28-ე მუხლი) და სახელმწიფო თანამდებობების დაკავების უფლება (29-ე მუხლი). ამ (და სხვა მსგავს) უფლებებს აერთიანებენ ერთ ჯგუფში და „სამოქალაქო უფლებებს" უწოდებენ. რაც შეეხება ხელოვნების თავისუფლების ძირითად უფლებას, 23-ე მუხლის შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ იგი უზრუნველყოფილია არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქის, არამედ ყველა ადამიანისათვის და, შესაბამისად, არის არა „სამოქალაქო", არამედ „ადამიანის უფლება".[5]

II. ცნება

ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია – საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლით აღიარებული ეს ძირითადი უფლება, ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ ტერმინთა განმარტების შესაბამისად, შესაძლებელია ასეც გადმოვცეთ: *„ხელოვნება თავისუფალია"*. დაუშვებელია თავისუფლების ეს გარანტია შეიზღუდოს ისეთი დეფინიციით, რომელიც განსხვავებულად აფასებს გამოსახვის რამდენიმე ფორმას და მხოლოდ რამდენიმეს აღიარებს, როგორც „ხელოვნებას". ხელოვნების ცნება არ შემოიფარგლება ერთი რომელიმე კონკრეტული დონით ან რაიმე „ძვირფასი" თუ კლასიკური ხელოვნებით.[6] ხელოვნების (შემოქმედებითი საქმიანობის) მთავარი არსი არის თავისუფალი შემოქმედებითი პროცესი, რომლის დროსაც ხელოვანის შთაბეჭდილებები, გამოცდილება და წარმოდგენები უშუალო გამოხატულებას ჰპოვებს გამოსახვის კონკრეტული ფორმით. შემოქმედებითი საქმიანობა, ფაქტობრივად, წარმოადგენს ე.წ. „ნაერთს" გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი განცდებისა, რომელთა რაციონალური ახსნა შეუძლებელია. შემოქმედებითი პროცესის დროს ერთად მოქმედებს ინტუიცია, ფანტაზია და ხელოვნების გაგება. ეს პროცესი და მიღებული შედეგი (ხელოვნების ქმნილება) არის ხელოვანის პიროვნების უშუალო გამოხატულება, კერძოდ – ხელოვნება.[7] ზემოაღნიშნულ დებულებას ხელოვნების მატერიალურ ცნებას უწოდებენ. თუმცა, გაბატონებული სამართლებრივი შეხედულების თანახმად, ხელოვნების ამომწურავი განსაზღვრა შეუძლებელია. ჯერ ვერ მოხერხდა ასეთი დეფინიციის ჩამოყალიბება და, როგორც ჩანს, თანამედროვე ცოდნის დონის მიხედვით, ვერც მოხერხდება. ზემოხსენებული მატერიალური ცნების გარდა, დღეს გამოყოფენ ხელოვნების კიდევ ორ ცნებას: ფორმალურ და ე.წ. ღია ცნებებს.

ხელოვნების ფორმალური ცნება მოიცავს შემოქმედების სხვადასხვა ფორმას: მხატვრობას, პოეზიას, პროზას, მუსიკას, თეატრალურ და კინოხელოვნებას და ა.შ.

ხელოვნების ღია ცნების მიხედვით კი, შემოქმედებითი საქმიანობის საშუალებების მრავალფეროვნების გამო, შესაძლებელია ყოველი კონკრეტული ხე-

[5] აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ უშვებს ბევრ გამონაკლისს: ძირითადი უფლებების უმრავლესობის გამოყენება შეუძლია ყველა ადამიანს და არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. ავიღოთ, თუნდაც, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება: კონსტიტუციის 25-ე მუხლით, საჯაროდ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება აქვს *„ყველას"* და არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს; გერმანიის ძირითადი კანონით კი (მუხ. 8), იგივე უფლება შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ გერმანიის მოქალაქეებმა და არა უცხოელებმა ან მოქალაქეობის არმქონე პირებმა (იმავეს ითვალისწინებენ დანიის (მუხ. 79), საბერძნეთისა (მუხ. 11) და პორტუგალიის (მუხ. 45) კონსტიტუციებიც).

[6] BVerfGE 75, 369, 377.

[7] BVerfGE 30, 173, 188.

ლოვნების ქმნილება (შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი), ფართო ინტერპრეტაციის გამოყენებით სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობით იქნეს გაგებული და ამით მნახველს უსაზღვრო და მრავალფეროვანი ინფორმაცია მიეწოდოს.

III. დაცული სფერო

ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება ხელოვანისათვის უზრუნველყოფს თავისუფალ შემოქმედებით პროცესს. ეს განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის მიხედვით: *„შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია".* კონსტიტუცია ამ დებულებით იმპერატიულად და გარკვევით აცხადებს, რომ დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ შემოქმედისათვის დადგენა იმისა, თუ როგორ უნდა დაინახოს მან სინამდვილე და როგორ ასახოს ეს ხედვა საკუთარ შემოქმედებაში. მხოლოდ თავად ხელოვანს შეუძლია გადაწყვიტოს და განსაზღვროს სინამდვილესთან თავისი დამოკიდებულების „სისწორე". გარდა ამისა, *„შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურის დაუშვებლობა"* ნიშნავს, რომ *აკრძალულია შემოქმედებითი საქმიანობის მეთოდებზე, შინაარსსა და ტენდენციებზე ზემოქმედება, განსაკუთრებით შემოქმედებითი საქმიანობის სფეროს შეზღუდვა ან ამ სფეროში შეჭრა, ან შემოქმედებითი პროცესისათვის ზოგადი სავალდებულო წესების დადგენა.* აქედან გამომდინარე, გამორიცხული და დაუშვებელია ჩარევა ხელოვანის მიერ თემის არჩევის თავისუფლებასა და ამ თემის შემოქმედებით ასახვაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ე.წ. „ანგაჟირებული ხელოვნების" სფეროს, რომელიც აქტუალურ თემებთან განსაკუთრებულ წინააღმდეგობაშია.

ხელოვნების თავისუფლებით დაცულ სფეროში, უპირველეს ყოვლისა, შედის თვით *სახელოვნებო (შემოქმედებითი) საქმიანობა.* ხელოვნების თავისუფლება უზრუნველყოფს და იცავს, აგრეთვე, ხელოვნების ქმნილების საზოგადოების, ხალხის წინაშე წარდგენისა (მუზეუმში, გალერეაში) და *გავრცელების პროცესს,* რის გარეშეც ხელოვნებას რაიმე ზემოქმედების ძალა არ ექნებოდა. აქედან გამომდინარე, ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების გამოყენება შეუძლიათ არა მხოლოდ ხელოვნების ქმნილების ავტორებს, ანუ შემოქმედ პირებს, არამედ იმასაც, ვინც მონაწილეობს ხელოვნების ნაწარმოების გავრცელებაში, მაგ., გამომცემელს, მუსიკალური დისკების ან ფილმების პროდიუსერს. ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება შეიძლება გამოიყენოს არა მხოლოდ სახელგანთქმულმა და აღიარებულმა, პროფესიონალმა ხელოვანმა, არამედ ნებისმიერმა თვითნასწავლმა და ნაკლებად ცნობილმა სახელოვნებო საქმიანობით დაკავებულმა პირმაც. ამასთან, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა ღირებულების მქონეა მოცემული ხელოვნების ნაწარმოები, ანუ მაღალხარისხოვნად არის იგი შესრულებული თუ საშუალო ან დაბალი დონის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია. ხელოვნების თავისუფლებით დაცულ სფეროში ხვდებიან, აგრეთვე, ე.წ. აღმაშფოთებელი ან არაესთეტიური ნაწარმოებები და კონკრეტულ პირთა მიმართ აგრესიული გამონათქვამები, მაგ.: სატირა, კარიკატურა, პოპ-სიმღერები და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას გამოსახვის უჩვეულო ფორმებზეც, როგორებიცაა: პანტომიმა, ნაჭრებით შეფუთული საკანონმდებლო ორგანოს შენობა[8] და სხვ. რეკლამა რომელიმე ხელოვნების ქმ-

[8] ეს ფაქტი მოხდა გერმანიაში, სადაც ორმა მხატვარმა ნაჭრებით მთლიანად შეფუთა გერმანიის რაიხსტაგის (დღეს – ბუნდესტაგის ადგილსამყოფელი) ისტორიული შენობა. თითქმის ერთი წლის მანძილზე ამგვარად გაფორმებული შენობა მოსახლეობის დიდ ინტერესს და ითვლებოდა განსაკუთრებული, გამორჩეული შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად.

ნილების შესახებ ასევე დაცულია ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლებით.

ერთობ ყურადსაღებია 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება, რომელიც *„ინტელექტუალური საკუთრების უფლებას" „ხელშეუვალად"* აცხადებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი ცალსახად და გარკვევით აღიარებს საკუთრების უფლებას, როგორც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მოქალაქის – თავისუფალი პიროვნების – უმნიშვნელოვანეს უფლებას, როგორც ვხედავთ, კანონმდებელი 23-ე მუხლში მაინც გამოყოფს „ინტელექტუალური საკუთრების უფლებას" და ამით ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ეს ნიშნავს, რომ ხელოვნების თავისუფლება იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას, ანუ შემოქმედებითი ნაწარმოები მისი ავტორის (ხელოვანის) საკუთრებაა და ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაცულია როგორც კონსტიტუციური, ისე შესაბამისი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებით.

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლიდან გამომდინარე, *„ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე."* აღნიშნული დებულების, შესაბამისად, ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება შეიძლება გამოიყენონ არა მხოლოდ ფიზიკურმა, არამედ იურიდიულმა პირებმაც. ესენია, მაგალითად, სახელოვნებო, მუსიკალური სასწავლებლები, ანსამბლები, ორკესტრები, თეატრები და სხვა გაერთიანებები. აღნიშნული ძირითადი უფლების გამოყენება დასაშვებია არა მხოლოდ კერძო სამართლის, არამედ საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერაც. ეს გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: როგორც ცნობილია, საჯარო ხელისუფლება აფუძნებს და, იმავდროულად, უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის გაერთიანებების არსებობას, რომელთა საქმიანობაც უშუალოდ არის დაკავშირებული ხელოვნებასთან. ასეთია, მაგ., გალერეები, მუზეუმები, ორკესტრები და თეატრები. მათი საშუალებით საზოგადოება ახლოს ეცნობა ხელოვნების ნიმუშებს. ამასთან, მსგავსი გაერთიანებები ისეთსავე სახიფათო მდგომარეობაშია სახელმწიფოს მხრიდან მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევის თვალსაზრისით, როგორც ფიზიკური პირები. შესაბამისად, ისინიც ისევე უნდა იყვნენ დაცული ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლებით, როგორც ფიზიკური პირები. ამდენად, სახელოვნებო და მუსიკალურმა უმაღლესმა სასწავლებლებმა და თეატრებმაც (რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის იურიდიული პირები), საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სწორედ ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების გამოყენებით დაიცვან თავი სახელმწიფოს მხრიდან მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევისაგან.

IV. შეზღუდვები

ზემოთ მოცემული განხილვის საფუძველზე შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სახელმწიფო ხელს უშლის შემოქმედს სახელოვნებო საქმიანობის განხორციელებასა და ამ საქმიანობის შედეგის (ხელოვნების ქმნილების) გავრცელებაში. სახელმწიფომ ამისათვის შესაძლებელია გამოიყენოს აკრძალვები და სისხლისსამართლებრივი ან სხვა სახის სანქციები. თუმცა, ასეთი ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან შესაძლოა გამართლებული იყოს, თუკი

ის ეყრდნობა კანონიერ საფუძველს. საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი გარკვევით მიუთითებს, რომ *„შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს."* აღნიშნული დებულების ანალიზის შედეგად, უპირველეს ყოვლისა, აშკარა ხდება, რომ კონსტიტუციით არ არის შეზღუდული თვით სახელოვნებო საქმიანობა, ანუ შემოქმედებითი პროცესი. ამ ნაწილში ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება კონსტიტუციის მიერ აბსოლუტურად უზრუნველყოფილია და, შესაბამისად, დაუშვებელია მისი სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახით (მაგ., კანონით) შეზღუდვა. კონსტიტუცია გარკვეულ *შეზღუდვას აწესებს მხოლოდ სახელოვნებო საქმიანობის შედეგის („შემოქმედებითი ნაწარმოების") გავრცელების მიმართ.* ეს შემზღუდავი ნორმა, კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულების თანახმად, დაკავშირებულია *„სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებთან".* ამდენად, შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელება შესაძლებელია შეიზღუდოს ან აიკრძალოს მხოლოდ აღნიშნულ (სხვა ადამიანის კანონიერი უფლებების დარღვევის) და არა რაიმე სხვა საფუძველზე. ეს ნიშნავს, რომ დაუშვებელია შემოქმედებითი ნაწარმოების (მაგ., რომანის) ნაწილების იზოლირებულად, ერთმანეთისაგან მოწყვეტილად განხილვა და შემდეგ მასზე მსჯელობა არა როგორც სახელოვნებო საქმიანობის ერთ განსაზღვრულ ფორმაზე, არამედ როგორც კონკრეტული აზრის გამოთქმაზე, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება ამ შემოქმედებითი ნაწარმოების მიმართ კონსტიტუციით აზრის თავისუფლებისათვის დადგენილი შემზღუდავი ნორმების გამოყენება, რომლებიც გაცილებით მრავალრიცხოვანი და ფართოა, ვიდრე 23-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვა.[9]

„სხვა ადამიანის კანონიერ უფლებაში", ვფიქრობთ, უნდა ვიგულისხმოთ ყველა უფლება, რომელიც ადამიანს კონსტიტუციით ან კანონით აქვს მინიჭებული. ამ უფლებათა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ *ადამიანის ღირსება*, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება.[10] იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის ე.წ. *„ზოგად პიროვნულ უფლებაზე"*, რომელიც, მართალია, კონკრეტულად არ არის მითითებული საქართველოს კონსტიტუციაში, მაგრამ გამომდინარეობს მისი მე-16 მუხლიდან, რომლის მიხედვითაც, *„ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება".*[11] თუმცა ეს ყოველივე მაინც არ ნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ ან ადამიანის სხვა უფლებებს ე.წ. „გენერალური უპირატესობა" აქვთ ხელოვნების თავისუფლების მიმართ, რომელიც, თავის მხრივ, ასევე ძირითადი უფლებაა და საკმაოდ მნიშვნელოვანიც. ასეთ შემთხვევებში, ანუ როდესაც წარმოიშობა კოლიზია ხელოვნების თავისუფლებასა და კონსტიტუციით გარანტირებულ სხვა ძირითად უფლებებს შორის, მოცემული გარემოებების მიხედვით უნდა შეფასდეს, თუ რომელ უფლებას მიენიჭოს უპირატესობა. ამ პრინციპზე დაყრდნობით, სავარაუდოდ (თუკი მხედველობაში მივიღებთ ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციებს, ჩვეულებებსა და ურთიერთობებს), საქართველოში (გერმანიის სასამართლოს მსგავსად და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოსაგან განსხვავებით) სასამართლო უპირატესობას მიანიჭებს ადამიანის ღირსებას, როდესაც, მაგალითად, კარიკატურაზე ერთ-ერთი პოლიტიკოსი გამოსახულია სექსუალური აქტის ჩატარების პროცესში მყოფ ღორად.[12] როდესაც აშკარაა ადამიანის ღირსების ასეთი მძიმე შელახვა, მიუხედავად იმისა, რომ საქმე ეხება საჯარო პირს – ცნობილ პოლიტიკოსს, ამგვარი კარიკატურა (ალბათ) აღარ იქნება დაცული ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლებით. ამასთან, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ: დაუშვებელია იმ მოსაზრების მიღება, რომ ხელოვნების თავისუფლებასა და ადამიანის ღირსებას შორის კონფლიქტი კონსტიტუციის დონეზე და თანაც ღირსების დაცვის სასარგებლოდ, თავიდანვე გადაწყვეტილია. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ყოველი კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით გამოიყენება *აწონ-დაწონვის (ანუ შედარების) მეთოდი* და არსებული გარემოებების საფუძველზე უნდა გაირკვეს, თუ რომელ სამართლებრივ სიკეთეს მიენიჭოს უპირატესობა.

შედარების მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც ხელოვანი კრიტიკულად წარმოაჩენს ცოცხალ პიროვნებას და ამით ერევა მის "ზოგად პიროვნულ უფლებაში". ამ დროს უნდა გაირკვეს:

(ა) არის თუ არა ეს პიროვნება ხელოვანის მიერ იმდენად თავისებურად წარმოსახული (ანუ მნიშვნელოვნად გაუცხოებული), რომ მისი ინდივიდუალურ-კონკრეტული სახე გამოსახვის საყოველთაო-სიმბოლურ ფონთან შედარებით უკანა პლანზე გადადის და არ იგრძნობა; ან

(ბ) წარმოსახა თუ არა ხელოვანმა ეს პიროვნება შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად სინამდვილესთან მიახლოებულად, რითაც განსაკუთრებით ინტენსიურად ჩაერია მის პიროვნულ უფლებაში.

პირველ შემთხვევაში, უპირატესობა ხელოვნების თავისუფლებას უნდა მიეცეს, ხოლო მეორე შემთხვევაში, სავარაუდოდ, წინა პლანზე პიროვნული უფლების დაცვის ინტერესი გამოვა.

V. კონკრეტული სასამართლო საქმეები

ამ ნაშრომის დასაწყისში უკვე აღინიშნა, რომ, სამწუხაროდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საერთო სასამართლოების მსგავსად, კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან დღემდე არ ჰქონია საშუალება (ანუ არ განუხილავს

[9] საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, აზრის თავისუფლების ძირითადი უფლების განხორციელება *„შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად".*

[10] კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით, „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია".

[11] აღნიშნული უფლება იმდენად მნიშვნელოვანი და ვრცელია თავისი შინაარსით, რომ მისი აქ განხილვა და დაწვრილებითი ანალიზი შეუძლებელია. ამ უფლების შინაარსი და მნიშვნელობა აუცილებლად ცალკე სამართლებრივ ნაშრომში უნდა გაანალიზდეს და განიმარტოს.

[12] ეს ფაქტი გერმანიაში მოხდა და სასამართლომ პოლიტიკოსის ღირსების დაცვას უპირატესობა მიანიჭა ხელოვნების თავისუფლების ძირითად უფლებასთან შედარებით (BVerfGE 75, 369 - *„შტრაუსის კარიკატურა"*). სულ სხვაგვარად გადაწყვიტა მსგავსი საქმე ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ, როცა ადამიანის (საჯარო პირის) ღირსების გაცილებით უფრო მძიმე შელახვის მიუხედავად უპირატესობა მაინც აზრის თავისუფლების ძირითად უფლებას მისცა (იხ.: *Hustler Magazine v. Falwell*, აგრეთვე ამ საქმეთა შედარება: Nolte, EuGRZ 1988, 253).

შესაბამისი სარჩელი) გამოეყენებინა ხელოვნების თავისუფლების ძირითად უფლებასთან დაკავშირებული ნორმები და კონკრეტულ სასამართლო საქმეთა შესწავლის შემდეგ თავისი გადაწყვეტილებით განემარტა მათი მნიშვნელობა. ამდენად, ჯერჯერობით მხოლოდ უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა შეგვიძლია გამოვიყენოთ და განვიხილოთ რამდენიმე საინტერესო საქმე, რაც უფრო ნათლად დაგვანახებს ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების მნიშვნელობას და მის დამოკიდებულებას სხვა ძირითად უფლებებთან.

როგორც აღვნიშნეთ, ხელოვნების თავისუფლებით დაცულია სხვადასხვა პირის კარიკატურები და მათზე დაწერილი პოპ-სიმღერები. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება განვიხილოთ ორი საქმე, რომელშიც დაწვრილებით არის გადმოცემული და განმარტებული კარიკატურისა და პოპ-სიმღერის, როგორც ხელოვნების თავისუფლებით დაცული შემოქმედებითი საქმიანობის კონკრეტული ფორმის, შინაარსი და მნიშვნელობა მათი ადამიანის ღირსებასა და ზოგად პიროვნულ უფლებასთან კოლიზიის დროს.[13]

1. პირველი საქმე ეხება დავას ჟურნალ „პენტჰაუზსა" (Penthouse) და ერთერთ ცნობილ პოლიტიკოს ქალს შორის. *1985 წელს „პენტჰაუზის" გამომცემელმა (მოპასუხემ) გაავრცელა წლის „პენტჰაუზის VIP's კალენდარი" (Penthouse VIP's Kalender), რომლის 12 (თვეთა რაოდენობის შესაბამის) გვერდზე კარიკატურულად იყვნენ გამოსახული ცნობილი პოლიტიკოსები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. კალენდრის მარტის თვის გვერდზე წარმოდგენილი იყო პოლიტიკოსი ქალი (მოსარჩელე) შიშველ მდგომარეობაში, ნათლად ჩანდა მისი უკანა ტანი, წელზე შემორტყმული ჰქონდა რევოლვერის ქამარი და ბუდე, ხელში ეჭირა რევოლვერი და ეცვა მაღალი ჩექმები. ამ გამოსახულების გამო, მოსარჩელე, რომელიც თავს შეურაცხყოფილად, დამცირებულად და ღირსებაშელახულად თვლიდა, მოპასუხისაგან მოითხოვდა ზემოხსენებულ კალენდარში გამოქვეყნებული კარიკატურით მისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანის მატერიალურ (ფულად) ანაზღაურებას.*

საქმის შინაარსის გაცნობის შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს გასაჩივრებული გამოსახულების შესწავლა და ანალიზი, რის საფუძველზეც დადგინდება, შესაძლებელია თუ არა მოსარჩელეს ჰქონდეს მისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანის მატერიალური (ფულადი) ანაზღაურების პრეტენზია.

ა) დავიწყოთ იმით, რომ გასაჩივრებული გამოსახულება წარმოადგენს ხელოვნების ქმნილებას საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლით გარანტირებული ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების საფუძველზე. იგი არის დასრულებული შედეგი თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობისა, რომელშიც ავტორმა საკუთარი წარმოდგენები, გამოცდილება და შთაბეჭდილება გამოსახვის კონკრეტული ფორმის საშუალებით – ამ შემთხვევაში ხატვის ფორმით – საჩვენებლად გამოიტანა. ამდენად, უკვე საეჭვოა, მართლსაწინააღმდეგოდ დაირღვა თუ არა ამ გამოსახვით (რასაც ამტკიცებს მოსარჩელე) მოსარჩელის კანონიერი უფლებები. აქ არაფერი იცვლება იმითაც, რომ მოსარჩელე ასაჩივრებს არა მხოლოდ კონკრეტ-

[13] ამ საქმეთა განხილვისას გამოყენებული იქნება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი დებულებები, რათა უფრო ნათლად წარმოჩნდეს მიმოხილვაში გაანალიზებული ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების მნიშვნელობა.

ულ გამოსახულებას, არამედ, აგრეთვე, მოპასუხის მიერ მის გავრცელებასაც. საქმე ისაა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლით განმტკიცებული ნორმა იცავს არა მარტო ხელოვნების ნიმუშს (შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს), არამედ ხელოვნების მოქმედების სფეროსაც, ანუ მის გამოქვეყნებასა და გავრცელებას;

ბ) მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, უნდა გავიხსენოთ, რომ ხელოვნების თავისუფლება არ არის აბსოლუტურად შეუზღუდავი ძირითადი უფლება. შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელება შეიძლება აიკრძალოს, თუკი იგი არღვევს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს (კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი). ასეთია, მაგალითად, კონსტიტუციის მე-16 მუხლიდან გამომდინარე ადამიანის „ზოგადი პიროვნული უფლება". ამ უფლების განსაკუთრებით მძიმე შელახვის დროს შესაძლოა ხელოვნების თავისუფლებამ უკან დაიხიოს პიროვნული უფლების დაცვის ინტერესთან შედარებით. ამიტომ გასაჩივრებულ გამოსახულებასთან დაკავშირებით, ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ გარემოებას: აქ საქმე გვაქვს მხოლოდ ავტორის (შემოქმედის) ფანტაზიის ნაყოფთან, კონკრეტულად – ნახატთან, და არა მოსარჩელის ფოტო ან სხვა მსგავსი სახის სურათთან; იმავდროულად, გამოსახულება წარმოადგენს *კარიკატურას. კარიკატურა* კი სწორედ იმით ხასიათდება, რომ *ამ დროს შემოქმედებითი საშუალებით ხდება დამახინჯება და გაუცხოება რეალურად არსებული, მაგრამ არცთუ ნათელი და მკაფიო სიმართლისა, რათა ეს სიმართლე, ავტორის წარმოსახვის შესაბამისად, უკეთ გასაგები გახდეს. მეორე მხრივ, კარიკატურას მიზნად შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იუმორისტული ეფექტისა და შედეგის მიღწევა.* შესაბამისად, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ გასაჩივრებული გამოსახულება არის ნახატი (კარიკატურა), ანუ შემოქმედებითად გაუცხოებული გამოხატვა სინამდვილისა, რომელიც, თავისი შინაარსით, არ შეესაბამება სინამდვილეს და არც არის სავალდებულო, შეესაბამებოდეს მას. გამოსახულება აშკარად წარმოადგენს შემოქმედის გამოგონებას, მისი ფანტაზიის ნაყოფს, რითაც, ფაქტობრივად, არც არის გადმოცემული ავტორის რაიმე წარმოდგენა თუ აზრი, მისი მიზანი უფრო მეტად ტენდენციური შინაარსის გადმოცემაა. სწორედ ამ არგუმენტთა გამო, მოსარჩელის მტკიცების საწინააღმდეგოდ, აქ არ ხდება მოსარჩელის ინტიმურ სფეროში ჩარევა (ანუ მოსარჩელის პიროვნული უფლების დარღვევა), რადგან გასაჩივრებული გამოსახულებით მოსარჩელე არ არის „ნაჩვენები" (გამოსახული) ნამდვილად, რეალურად „შიშველი" ფორმით;

გ) ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეში უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოების განხილვას, მოხდა თუ არა გასაჩივრებული გამოსახულების მიერ მოსარჩელის ღირსების შელახვა დაუშვებელი ფორმითა და ზედმეტად მძიმე შეურაცხყოფით.

საქმის შინაარსიდან ცნობილია, რომ, მოსარჩელის აზრით, გასაჩივრებული ნახატი, უპირველეს ყოვლისა, ლახავს მისი, როგორც ქალის, ღირსებას, რადგან იგი ნახატზე წარმოდგენილია ქალისათვის შეურაცხმყოფელი, ღირსებაშემლახველი და სექსუალური ფორმით. ეს არგუმენტი არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს. გასაჩივრებული ნახატი, როგორც აღინიშნა, მოთავსებულია წლიურ კალენდარში, ანუ იგი ერთი დიდი ჟურნალის (ნაწარმოების) შემადგენელი ნაწილია. ამიტომაც ეს ნახატი უნდა განვიხილოთ არა ცალკე, არამედ სწორედ ამ კალენდარსა და მის შინაარსთან კავშირში. სწორედ ეს *(ურთიერთ)კავშირი*, ანუ ე.წ. *კონტექსტი*, არის ის, რაც, ერთი

მხრივ, ნათელს ხდის მასში ჩადებულ აზრს, მეორე მხრივ კი, აღწევს მკითხველამდე (მაყურებლამდე) და გადამწყვეტ გავლენას ახდენს მის წარმოდგენაზე კალენდრის მიმართ. სწორედ ამის შედეგად, ფაქტობრივად, სრულად წარმოჩნდება კალენდრის ობიექტური შინაარსი. მის წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია ისიც, რომ კალენდარი, მოსარჩელისა და დიდი ბრიტანეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის გარდა, მხოლოდ მამაკაცი პოლიტიკოსების კარიკატურებს შეიცავს, რომლებიც წარმოდგენილი არიან ისეთივე დამახინჯებული ფორმით, დაახლოებით იმავე პოზაში და, ძირითადად, შიშველი სახით, როგორც მოსარჩელე. ეს გარემოება ცხადად მიუთითებს, რომ მოსარჩელის გამოსახულება ნამდვილად არ არის მიმართული სპეციალურად მოსარჩელის, როგორც ქალის, მიმართ და, შესაბამისად, არ გამოსახავს ღირსებაშელახულად მას, როგორც ქალს.

ამასთანავე, ძნელად გასაზიარებელია მოსარჩელის ის არგუმენტი, რომ გამოსახულება მას წარმოადგენს ე.წ. „გამზადებულ მდგომარეობაში", ანუ როგორც მეძავს. ნახატზე ნათლად ჩანს, რომ მოქმედი პირი ეყრდნობა ხისაგან გაკეთებულ რაღაც საგანს, რომელსაც უფრო ცხენის უნაგირის ფორმა აქვს, რაც კარგად არის ცნობილი პოპულარული ჟანრის – „ვესტერნის" ფილმებიდან. ნახატის ეს ნაწილი, აგრეთვე სპეციალური ჩექმები, რევოლვერის ჩასადებ ბუდესა და ქამართან ერთად, აშკარად მიუთითებს ე.წ. „ვესტერნულ სცენაზე". ამ სცენის შინაარსს ვერ ცვლის ის პოზა, რომლითაც მოსარჩელე წარმოდგენილია მასზე (შიშველი უკანა ტანით), რადგან ეს პოზა მაინც არ აღძრავს ისეთ წარმოდგენას, თითქოს მოსარჩელე ე.წ. „გამზადებულ მდგომარეობაშია", როგორც მეძავი. ამ წარმოდგენასთან სრულიად შეუსაბამოა ისიც, რომ ნახატზე მოქმედ პირს მარჯვენა ხელში დიდი „ვესტერნული" რევოლვერი უჭირავს. ის ფაქტი, რომ იგი ნახატზე შიშველია, ასევე არ გვაძლევს ცალსახა საფუძველს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ინტერპრეტაციის გასაზიარებლად, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, კალენდარში მოთავსებული სხვა პოლიტიკოსებიც ძირითადად ასეთსავე ფორმაში არიან, რაც სრულიადაც არ ახდენს მსგავს შთაბეჭდილებას;

დ) ზემოხსენებული ანალიზის შემდეგ ცხადი ხდება, რომ უკვე შესაძლებელია ვიმსჯელოთ *მხოლოდ* იმ საკითხზე, რაიმე სხვა მიზეზების გამო ხომ არ იწვევს კარიკატურა მოსარჩელის, როგორც პიროვნებისა და პოლიტიკოსის, ღირსების შელახვას და, შესაბამისად, უნდა აუნაზღაურდეს თუ არა მას მიყენებული არამატერიალური ზიანი, ანუ უნდა მიეცეს თუ არა ფულადი ანაზღაურება.

აღნიშნული საკითხის განხილვის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ *მოსარჩელე, როგორც ცნობილი პოლიტიკოსი, მუდმივად საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. იგი საჯარო პირია და მისი საქმიანობა მთლიანად საჯაროობის პირობებში, საზოგადოების თვალწინ მიმდინარეობს.* ასეთი საქმიანობა კი ყოველთვის განუყოფლად არის დაკავშირებული ე.წ. „შეტევებთან", ანუ კრიტიკასთან, საზოგადოებრივ, პუბლიკაციურ თავდასხმებთან, ამ პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის სინამდვილესთან შეუსაბამო წარმოდგენასთან, რომელთაგან ბევრი საკმაოდ მწვავე და გადაჭარბებულია, ზოგიერთი კი მისი უფლებების შემლახველიც. ძალიან ხშირად ეს ყოველივე გამოიხატება აღნიშნული საჯარო პირის კარიკატურული გამოსახულებით. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკოსის ღირსება და მისი პიროვნული უფლება უფრო ნაკლები წონისაა, ვიდრე ნებისმიერი სხვა მოქალაქის, რომელიც არ ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას. თუმცა,

ვინაიდან პოლიტიკოსის საქმიანობის მიზანი სწორედ საჯარო ცხოვრების ცენტრში ყოფნა, საკუთარი პიროვნების საზოგადოებაში გამორჩეულად წარმოდგენა და დამკვიდრება, აგრეთვე, საზოგადოებრივ აზრზე გარკვეული ზემოქმედებაა, *მან თავიდანვე უნდა იცოდეს და შეეგუოს იმას, რომ მისი პიროვნება შეიძლება წარმოისახოს ისეთი სახითაც, რომელიც მნიშვნელოვნად გასცდება „წარმოსახვის მისთვის მოსაწონ ფარგლებს", ანუ იგი შეიძლება გამოისახოს სინამდვილესთან სრულიად შეუსაბამო ფორმითა თუ შინაარსით.* ეს ყველაფერი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ კარიკატურას ეხება. როგორც ზემოთ აღინიშნა, კარიკატურის მნიშვნელობა სწორედ ისაა, რომ მისი შინაარსით რაღაც უნდა წარმოისახოს დამახინჯებული, არასწორი, რეალობასთან შეუსაბამო ფორმით. სწორედ ამ ფორმით ეცნობა თავდაპირველად მის შინაარსს მნახველი, იგი გადმოცემული გამოსახულებით შეიგრძნობს კარიკატურის არსს. ამიტომაც კარიკატურაში ძალიან იშვიათად შეიძლება დავინახოთ ადამიანის ღირსებისა და პიროვნული უფლების მძიმე შელახვა. გასაჩივრებულ ნახატთან დაკავშირებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი „მძიმე შელახვა" ნამდვილად არ გვაქვს. ის ფაქტი, რომ გამოსახულებაზე მოსარჩელე შიშველია, სრულიადაც არ ნიშნავს მისი ღირსების მნიშვნელოვან შელახვას, რადგან, ჯერ ერთი, გამოსახულება მნახველის მიერ თავიდანვე აღიქმება როგორც კარიკატურა და არა რეალური შინაარსით და მეორეც, მოსარჩელის შიშველი ფორმით გამოსახვას სხვა პოლიტიკოსთა მსგავსი კარიკატურების კრებულში მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.[14]

2. მეორე საქმეც ხელოვნების თავისუფლებასა და ადამიანის ღირსებას, აგრეთვე ზოგად პიროვნულ უფლებას შორის კოლიზიის შემთხვევას ასახავს. თავდაპირველად გავეცნოთ საქმის შინაარსს: *მოსარჩელე მსოფლიოში ცნობილი ჩოგბურთელი ქალია. მოპასუხემ, „გიჟი მოსწავლეების" სახელით ცნობილმა პოპ-ჯგუფმა, 1992 წლის ზაფხულში ჩაწერა და გამოსცა ახალი სიმღერა სათაურით „მე მინდა სიყვარული გავაკეთო შტეფი გრაფთან" (I WANNA MAKE LOVE TO STEFFI GRAF). მოსარჩელე ამ სიმღერის გავრცელებაში ხედავს თავისი პიროვნული უფლების მძიმე დარღვევას და მოპასუხისაგან მოითხოვს მიყენებული არამატერიალური ზიანის შესაბამის მატერიალურ (ფულად) ანაზღაურებას.*

პირველი საქმისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევის განხილვისას, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე მხარემ სიმღერის გავრცელებით განსაკუთრებით მძიმედ დაარღვია კონსტიტუციით დაცული მოსარჩელის პიროვნული უფლება და

[14] სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და მიუთითა კიდევ ერთ გარემოებაზე: *მოსარჩელე ცნობილია თავისი პოლიტიკური გამოსვლებით ძალადობის წინააღმდეგ, მშვიდობისა და განიარაღების დასაცავად. კარიკატურა კი მას გამოსახავს რევოლვერით, ანუ იმ იარაღით ხელში, რომლით ძალადობის წინააღმდეგაც იგი, როგორც პოლიტიკოსი, ყოველთვის აქტიურად ილაშქრებს. კარიკატურის ეს ასპექტიც მიუთითებს არა იმაზე, რომ თითქოს მოსარჩელე სინამდვილეში ითხოვდეს იარაღის ფლობასა და გამოყენებას, რათა შემდეგ ეს იარაღი გამოყენებულ იქნეს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, არამედ, უფრო მეტად, აქ ურჯა ვიგულისხმოთ სწორედ ის, რომ ამით კარიკატურა სიმბოლურად წარმოსახავს და მიუთითებს მოსარჩელის სწორედ რომ სხვებისაგან გამორჩეულ, ენერგიულ და გაცილებით უფრო მუბრძოლ გამოსვლებზე თავისი პოლიტიკური შეხედულებების გავრცელებისა და განიარაღების მოთხოვნის მიზნით. კარიკატურაზე ზემოთ აღწერილი ფორმით მოყვანილი „გადატრიალება" და შეფასება მისი პოლიტიკური საქმიანობისა არ შეიძლება ჩაითვალოს მოსარჩელის კანონიერ უფლებათა (მით უმეტეს, „მძიმე") დარღვევად.* საქმის შინაარსი და სასამართლოს გადაწყვეტილება იხ.: NJW 1990, 32, S. 1996-1997.

მიყენებული არამატერიალური ზიანისათვის მოპასუხეს შესაბამისი მატერიალური (ფულადი) ანაზღაურება დააკისრა.[15] სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეხედულება. ალბათ, საინტერესო იქნება საქმის შინაარსის დაწვრილებით განხილვა და იმ გარემოებების ანალიზი, რომელთა საფუძველზე სასამართლოებმა ასეთი (შეიძლება ითქვას, საკამათო) გადაწყვეტილება მიიღეს.

ა) საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, სიმღერის რეფრენი შეიცავს მსმენელისათვის ფაქტის არსებობის მტკიცების ფორმით მიწოდებულ შინაარსს, რომ მოსარჩელემ (შტეფი გრაფმა) და მამამისმა ათასჯერ ჩაიდინეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. სიმღერის ტექსტში შტეფი გრაფი წარმოდგენილია „სექსუალური თაყვანისცემის ობიექტად" და ამით შეურაცხყოფილია მისი, როგორც ქალის, ღირსება. ის გამოთქმები, რომლებითაც გამოხატულია ეს „თაყვანისცემა", შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მძიმე ფორმის შეურაცხყოფად და ცილისწამებად. პირველი ინსტანციის სასამართლოს ასეთ შეფასებას შესაძლოა დავუპირისპიროთ ის არგუმენტი, რომ დაუშვებელია ხელოვნების ქმნილების (ამ შემთხვევაში – სიმღერის) ნაწილ-ნაწილ განხილვა, სიმღერიდან რეფრენის ამოღება და მხოლოდ მისი შეფასება. აუცილებელია სიმღერის მთლიანობაში (მელოდიისა და სასიმღერო ტექსტის ჩათვლით) მოსმენა და მისი საერთო ზემოქმედების შეფასება. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა სულ სხვა სურათი დაიხატოს და მოსარჩელის პიროვნული უფლების დარღვევა სულაც არ ჩაითვალოს „მძიმედ". სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ აქ მთავარი მაინც რეფრენი იყო (*რატომ?*), რომელშიც მოსარჩელეს „ერიცხება" ათასჯერადი სექსუალური კავშირი მამასთან. ეს მაშინვე ხდება გასაგები ყველა მსმენელისათვის, ვინც თუნდაც მინიმალურ დონეზე იცის ინგლისური ენა. ამ სიტყვების მელოდიასთან ერთად წარმოთქმას არ მივყავართ აღნიშნული ფაქტის გაუცხოებასთან სიტყვათა თამაშითა თუ ალეგორიებით, რაც ასევე საკამათო შეფასებაა, მაგრამ სასამართლო მაინც მიიჩნევს, რომ მსმენელს სწორედ პირდაპირ და ყოველგვარი შენიღბვის გარეშე მიეწოდება ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც პოპ-ჯგუფ „გიჟი მოსწავლეების" წევრებს სურთ „შტეფი გრაფთან სიყვარულის გაკეთება" „ისევე, როგორც ეს მანამდე ათასჯერ გაუკეთებია მამამისს". სასამართლოს აზრით, „ამ სიტყვების მელოდიური გახმოვანება არაფერს ცვლის მის შინაარსში."

ბ) როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლოსეული შეფასება საკამათოა და ბევრ კითხვას ბადებს. მაგალითად, ხომ არ შეიძლებოდა სასამართლოს უფრო დაწვრილებით განეხილა პოპ-ჯგუფის პოზიციების დასაცავად ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების ეფექტიანად გამოყენების საკითხი. აქ აუცილებლად უნდა გაირკვეს, არის თუ არა ეს სიმღერა ხელოვნების ერთ-ერთი სახე – სატირა, რომელსაც ახასიათებს გადაჭარბება, დამახინჯება და გაუცხოება, და ამ საფუძვლით ხომ არ შეიძლება სიმღერის დაქვემდებარება ისედაც რთულად განსასაზღვრი ხელოვნების სფეროსადმი. მართალია, ხელოვნების თავისუფლებაც არ არის აბსოლუტურად შეუზღუდავი ძირითადი უფლება და მასაც აქვს დადგენილი ფარგლები (გაიხსენეთ: საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი), პირველ რიგში, სწორედ ადამიანის ღირსებისა და პიროვნული უფლებების დაცვიდან გამომდინარე, მაგრამ, როგორც ჩვენს მიმოხილვაში აღვნიშნეთ, ღირსებისა და პიროვნული უფლების დაცვას არა აქვს თავიდანვე განსაზღვრული, ე.წ. „გენერალური უპირატესობა" ხელოვნების თავისუფლების მიმართ. ხელოვნების თავისუფლების ძირითად უფლებასა და ადამიანის პიროვნულ უფლებას შორის ხშირი კოლიზიისას, აუცილებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდეს შედარება ამ ერთმანეთის საწინააღმდეგო, მაგრამ ძირითადი უფლებებით დაცული ინტერესებისა. მოცემულ საქმეში, ასეთი აწონ-დაწონვის შედეგად, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს მოპასუხის ინტერესს. ასეთი გადაწყვეტილების საფუძვლად შესაძლებელია მოვიხმოთ ის პრინციპი (რომელსაც ეფუძნება გერმანიის მუდმივი სასამართლო პრაქტიკა), რომ კარიკატურებისა და სატირისათვის არსებითი და ტიპიურია გადაჭარბება, სინამდვილის დამახინჯება და გაუცხოება და რომ პიროვნებები, რომლებიც საჯარო ცხოვრების ცენტრში დგანან (როგორც ამ საქმეში შტეფი გრაფი), განსაკუთრებით ხშირად არიან სატირული გამოხატვის საგანი. უფრო მეტიც, მოსარჩელე, თავისი სპორტული მოღვაწეობის შედეგებისა და ავტორიტეტის მიხედვით, სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ მეცნიერებაში ცნობილი, ე.წ. „აბსოლუტური ისტორიული პიროვნებაა" (ამიტომაც დგას იგი საზოგადოების ყურადღების ცენტრში); ამდენად, იგი იძულებულია შეეგუოს და მოითმინოს, როდესაც მასსა და მამამისზე მედიის მიერ და, საერთოდ, საზოგადოებაში, ვრცელდება ჭორები თუ სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციები. მიუხედავად ასეთი მძლავრი არგუმენტებისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის სიმღერის შინაარსი აშკარად აჭარბებდა მოსათმენ (დასაშვებ) ფარგლებს. სასამართლოს აზრით, კონსტიტუციით დაცული თავისუფალი ადამიანის ღირსების ფუნდამენტში ჩარევის დროს (და ეს ფუნდამენტი ადამიანის პიროვნული უფლებაა) ყოველთვის სახეზე გვაქვს აღნიშნული ძირითადი უფლების მძიმე დარღვევა. სასამართლომ იქვე მიუთითა, რომ ასეთი დარღვევები, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, უკვე აღარ არის დაცული (გადაფარული) ხელოვნების თავისუფლებით.[16] შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოცემულ დავაშიც მოსარჩელის პიროვნული უფლების დარღვევა მოპასუხის მიერ არ შეიძლება გამართლდეს ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების დაცვის საფუძვლით.[17]

3. კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ეხება ცნობილი მწერლის შემოქმედებით ნაწარმოებს (რომანს) და გერმანიაში მის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ საინ-

[15] ცნობისათვის: სასამართლომ 60 000 გერმანული მარკით განსაზღვრა ეს თანხა.

[16] BVerfGE 75, 369 = NJW 1987, 2661.

[17] ცნობისათვის: *სასამართლოს ასეთ გადაწყვეტილებას შესაძლოა დამატებითი სტიმული მისცა თავად მოპასუხის მოქმედებამ სიმღერის გავრცელების შემდეგ. მათ არ გამოუთქვამთ სინანული მოსარჩელის მიმართ ამ სიმღერის დაწერისა თუ გავრცელების გამო, პირიქით, ცდილობდნენ საჯაროდ დაემტკიცებინათ, რომ აქ სრულიადაც არ ირღვეოდა „ესოდენ მძიმედ" მოსარჩელის პიროვნული უფლება. მეორე მხრივ, მათ, იმავდროულად, სურდათ ხელი შეეშალათ პრესასა და ტელევიზიასთან, რათა ეს თემა საზოგადოებისათვის ცნობილი გამხდარიყო და ამის გაკეთება შეძლეს კიდეც ძალიან მალე. მათ ასევე პრესით გავრცელეს ინფორმაცია მოსარჩელის მიერ სასამართლო საქმის წარმოების დაწყების შესახებ და ძალიან ცნობილი სატელევიზიო გადაცემა გამოიყენეს იმისათვის, რომ მათი პოპ-ჯგუფისა და სიმღერის მიმართ საზოგადოებისა და, ზოგადად, მოსახლეობის ყურადღება (მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში, მაგ., „თინეიჯერებში") დამატებით გაზრდილიყო.* საქმის შინაარსი და სასამართლოს დასაბუთება იხ.: NJW 1994, H. 30, S. 1963-64.

ერესო (სამართლებრივ) ისტორიას. თავდაპირველად აუცილებელია დაწვრილებით გავეცნოთ საქმის შინაარსს, რათა ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ამ მეტად რთული საქმის ყველა დეტალზე.

თომას მანის შვილმა, გერმანიაში საკმაოდ ცნობილმა მწერალმა, კლაუს მანმა, 1936 წელს ჰოლანდიაში გამოაქვეყნა თავისი ნაწარმოები - „მეფისტო – ერთი კარიერის რომანი". ეს თხზულება 1956 წელს გამოიცა აღმოსავლეთ ბერლინში. 1963 წლისათვის კი მისი გამოცემა გფრ-ში მზადდებოდა. რომანში ასახული იყო უნიჭიერესი მსახიობის, ჰენდრიკ ჰოფგენის, აღმასვლა, რომელიც უარყოფს თავის პოლიტიკურ შეხედულებებს, გაწყვეტს ყოველგვარ ადამიანურ კავშირებს და მოიშორებს ეთიკურ თვისებებს, რათა ნაციონალ-სოციალისტურ ხელისუფლებას შეეკრას და გაიკეთოს ხელოვანის ბრწყინვალე კარიერა. კლაუს მანი თავისი რომანის მთავარ გმირს ახასიათებდა სიტყვებით: მას არა აქვს ნებისყოფა, მას ახასიათებს მხოლოდ პატივმოყვარეობა, განდიდების მანია და ნარცისიზმი; ის „არ არის ადამიანი, იგი მხოლოდ კომედიანტია".

კლაუს მანს ამ პერსონაჟის პროტოტიპად გამოყენებული ჰყავდა გუსტავ გრუნდგენსის პიროვნება. ეს იყო სახელგანთქმული მსახიობი, 1934-45 წლებში ბერლინის მსახიობთა სახლის, 1945 წლიდან სიკვდილამდე (1963) კი – დასავლეთ გერმანიის მსახიობთა სახლების ინტენდანტი. 20-იან წლებში გრუნდგენსი მეგობრობდა კლაუს მანთან, ცოლად მოიყვანა მისი და, რომელსაც მოკლე ხანში გაშორდა. რომანის მთავარი გმირის, ჰენდრიკ ჰოფგენის, მრავალი ნიშანი – გარეგნული შესახედაობა, პიესები, რომლებშიც ის მთავარ როლებს განასახიერებდა, და მათი ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, პრუსიის სახელმწიფო საბჭოს წევრობა და გენერალ-ინტენდანტის თანამდებობაზე დანიშვნა შეესაბამებოდა გრუნდგენსის გარეგნობასა და მის მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზას. რომანში ასევე მოქმედებდნენ პირები გრუნდგენსის მაშინდელი ახლო წრიდან. გრუნდგენსისა და რომანის მთავარი გმირის ურთიერთობის თაობაზე კლაუს მანმა 1942 წელს აღნიშნა, რომ მას თავისი ყოფილი სიძე მიაჩნდა „იდეალურ მოღალატედ", ცინიზმისა და კორუფციის განსახიერებად. მისი სასირცხვილო დიდება იმდენად მომხიბლავი იყო, რომ მან, კლაუს მანმა, გადაწყვიტა „მეფისტო-გრუნდგენსის" პორტრეტი გამოესახა სატირულ რომანში. თუმცა მოგვიანებით მან რომანს დაურთო განმარტება, რომ ყველა პერსონაჟი იყო ზოგადი ტიპი და არა პროტოტიპი.

გრუნდგენსის სარჩელის საფუძველზე, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ შვილმა გააგრძელა, სასამართლომ აკრძალა ნაწარმოების გამოქვეყნება გფრ-ში, რადგან, სასამართლოს აზრით, გრუნდგენსის პიროვნება, რომელიც აშკარად პროტოტიპად იყო გამოყენებული, კლაუს მანის მიერ გამოგონილი ნიშან-თვისებებითა და დეტალებით, ძირითადად, ნეგატიურად იყო წარმოდგენილი. აქ სასამართლომ იხელმძღვანელა ჩვენს მიმოხილვაში აღწერილი პრინციპით, რომლის მიხედვითაც, თუკი ხელოვანმა მოცემული პიროვნება სინამდვილესთან მაქსიმალურად მიახლოებულად წარმოსახა და, ამასთან, მის სახეს დაამატა უარყოფითი თვისებები და ხასიათის ნიშნები, ამ შემთხვევაში ხელოვანი განსაკუთრებით ინტენსიურად ერევა მის პიროვნულ უფლებაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ თუმცა რომანი წარმოადგენს ხელოვნების ქმნილებას, მაგრამ, იმავდროულად, იგი არის „პასკვილი რომანის ფორმით" და შეიცავს ზეპირ შეურაცხყოფასა და ცილისწამებებს. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ძალაში დატოვა ეს გადაწყვეტილება (ხმათა თანაბრად გაყოფის გამო: 4 – 4) და აღიარა საერთო სასამართლოს ზემოხსენებული შეფასებები, რაც ავტომატურად ნიშნავს პიროვნების დაცვისა და გრუნდგენსის ხსოვნის უპირატესობას ხელოვნების თავისუფლების მიმართ. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საფუძვლით უარყო რომანის გამოქვეყნების აკრძალვის წინააღმდეგ მიმართული გამომცემლის საკონსტიტუციო სარჩელი.

აღწერილ საქმესთან დაკავშირებით, აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი: ერთი მხრივ, აშკარაა, რომ საქმე მეტად რთული იყო. როგორც შინაარსიდან ჩანს, იმდენად ძნელი გახდა საერთო აზრამდე მისვლა, რომ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლეთა შორის ხმები თანაბრად გაიყო. შედეგად, სასამართლომ ვერ დაადგინა, ეწინააღმდეგებოდა თუ არა საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება რომანის გამოქვეყნების აკრძალვის შესახებ გერმანიის ძირითად კანონს. მხოლოდ ხმების თანაბრად გაყოფის გამო დარჩა ძალაში საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება; მეორე მხრივ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვილად შესაძლებელია საქმე სხვაგვარად გადაწყვეტილიყო, ანუ მოსამართლეთა უმრავლესობას ჩაეთვალა, რომ, მიუხედავად გრუნდგენსის პიროვნების თავისებურად (და თუნდაც უარყოფითად) წარმოსახვისა, უპირატესობა მაინც ხელოვნების თავისუფლების დაცვისათვის უნდა მიენიჭებინათ, რადგან გრუნდგენსი, საქვეყნოდ ცნობილი და დიდი გავლენის მქონე პიროვნება, როგორც საჯარო პირი (ანუ ე.წ. „აბსოლუტური ისტორიული პიროვნება") იძულებული იყო მოეთმინა და შეგუებოდა მასზე გარკვეულწილად დამახინჯებული და გაზვიადებული ამბის გავრცელებას. სავარაუდოა, რომ რომანის ავტორის გრუნდგენსთან ურთიერთობის დეტალებმა (რაკი ისინი ერთმანეთს იცნობდნენ და მცირე ხანს ენათესავებოდნენ კიდეც) და მისმა კომენტარებმა, რომლებშიც ის აშკარად მიუთითებდა გრუნდგენსზე, როგორც პროტოტიპზე, და სრულიად უარყოფითად ახასიათებდა მას, როგორც პიროვნებას, სასამართლოს წევრებს შორის ზემოხსენებული აზრთა უთანხმოება გამოიწვია, რის შედეგადაც, ფაქტობრივად, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს დონეზე ვერ გაირკვა, თუ ასეთ შემთხვევაში რომელ კოლიდირებულ სამართლებრივ სიკეთეს უნდა მისცემოდა უპირატესობა.[18]

4. დაბოლოს, ძალიან მოკლედ კიდევ ერთი საქმის შესახებ, რომელიც საფრანგეთის ერთ-ერთ სასამართლოს ჰქონდა წარმოებაში. საქმე ეხება აფიშას, როგორც კონკრეტული კინოფილმის რეკლამას, რომელიც, როგორც ჩვენს მიმოხილვაში აღვნიშნეთ, *ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლებით არის დაცული.*

საფრანგეთში კათოლიკეთა ერთ-ერთი ჯგუფი ითხოვდა ბერძნული წარმოშობის ფრანგი რეჟისორის, *კონსტანტინ კოსტა გავრასის,* ახალი ფილმის - „ამინ", სარეკლამო აფიშის აკრძალვას. აფიშაზე გამოსახული იყო სვასტიკისა და ჯვრის კომბინაცია, ფილმი კი მოგვითხრობს ნაცისტების მბრძანებლობის პერიოდში კათოლიკური ეკლესიის ისტორიის საიდუმლოებით მოცულ ეპიზოდებზე. მოსარჩელეთა აზრით, აფიშა მათ რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფდა, რადგან „მასზე ერთად არის მოცემული აბსოლუტური სიძულვილისა და აბსოლუტური სიყვარულის სიმბოლოები". ბუნებრივია, რომ ასეთი არგუმენტით ხელოვნების თავისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებას ნამდვილად არა აქვს პერსპექტივა. სასამართლომ

[18] საქმის შინაარსი იხ.: Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts, Studienauswahl (Bd. 1-100), Hrsg. J. Schwabe, 7. Aufl., Hamburg, 2000.

სრულიად სამართლიანად გადაწყვიტა, რომ, ჯერ ერთი, არ არსებობს კანონი, ანუ სამართლებრივი საფუძველი, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელი იქნებოდა აფიშების გავრცელების აკრძალვა. და, მეორე, რაც შეეხება აფიშის შინაარსს, ასევე დაუშვებელია დაწესდეს კონკრეტული ნორმები, თუ რა უნდა გამოისახოს აფიშაზე და რა - არა. უფრო ზუსტად, დაუშვებელია იმის დადგენა, ჯვარი რომელ საგნებსა თუ სიმბოლოებთან ერთად და რა მდგომარეობაში უნდა გამოისახოს აფიშაზე. ყოველი აფიშა გამოხატავს მისი ავტორის, ანუ ხელოვანის წარმოდგენას კონკრეტული ფილმის (თუ სპექტაკლის) შესახებ და ამ ხელოვანის ფანტაზიის ნაყოფია. ამდენად, აფიშის გავრცელების აკრძალვა ან მისი შინაარსის შეცვლის მოთხოვნა ხელოვანთა შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვას ნიშნავს, რაც დაუშვებელი და ანტიკონსტიტუციურია. საქმის განმხილველმა სასამართლომ სწორედ ასეთი დასაბუთებით არ დააკმაყოფილა აღნიშნული სარჩელი.[19]

VI. დასკვნა

ამ მოკლე მიმოხილვაში შეძლებისდაგვარად განვიხილეთ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების ყველა მთავარი მახასიათებელი ნიშანი და ანალიზის, განსაკუთრებით კი კონკრეტულ საქმეთა შინაარსის განხილვის, შედეგად წარმოჩნდა მისი მნიშვნელობა. შესაძლოა საქართველოს საერთო სასამართლოებში ან საკონსტიტუციო სასამართლოში ხელოვნების თავისუფლებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას მოსამართლეებმა გამოიყენონ კიდეც ამ მიმოხილვაში მოცემული ანალიზი. თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანი იქნება ის, რომ ასეთი საქმეების განხილვის შედეგად მოსამართლეებმა თავიანთი გადაწყვეტილებებით შეძლონ ხელოვნების თავისუფლების შესახებ საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული დებულებების ოფიციალური განმარტება, რითაც საყოველთაოდ ცნობილი გახდება მოცემული ძირითადი უფლების დიდი მნიშვნელობა.

[19] საქმის შესახებ მოკლე ინფორმაცია იხ.: გაზეთი „ალია", 2-4 მარტი, N-26, 2002.

გაეროს უშიშროების საბჭოს N1373(2001) რეზოლუცია და საქართველოს ვალდებულებები ადამიანის უფლებათა სფეროში

გოჩა ლორთქიფანიძე

1. შესავალი

2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში განხორციელებული ტერორისტული აქტების შედეგად განსაკუთრებული სიმწვავით წამოიჭრა საერთაშორისოსამართლებრივი წესრიგის არსებული სახით ფუნქციონირების საკითხი. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა თავდაცვის უფლების ფარგლებში არასახელმწიფოებრივი აქტორების, ანუ ტერორისტული ჯგუფების წინააღმდეგ ძალის გამოყენების ფორმალიზებით უშიშროების საბჭოს N1368(2001) და N1373(2001) რეზოლუციების სახით. საერთაშორისო თანამეგობრობა დადგა რთული ამოცანის წინაშე – როგორ შეუთავსოს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებელ მოთხოვნას. აღნიშნული საკითხი ხშირად განიხილება როგორც დაპირისპირება *პიროვნულ უფლებებსა და თავისუფლებებსა და საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესებს შორის*. სინამდვილეში ასეთი დაპირისპირება არაკორექტულია, რადგან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და ჰუმანიტარული სამართალი სტრუქტურულად საკმაოდ კარგად არიან აღჭურვილი ე.წ. საგანგებო მდგომარეობათა რეგულირებისათვის.[1]

ამ მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული N1373(2001) რეზოლუციის განხილვა, რომელიც განსაზღვრავს ტერორიზმის წინააღმდეგ ანტიტერორისტული კოალიციისა და, მთლიანობაში, საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის პოლიტიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს. რეზოლუციაში მოცემული პოლიტიკურ-სამართლებრივი რეჟიმი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საერთაშორისოსამართლებრივი ურთიერთობების სისტემაზე, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების იმპლემენტაციაზე. უფრო მეტიც, საერთაშორისო სამართლის ანალიტიკოსების აზრით, N1373(2001) რეზოლუციამ თავისი ყოვლისმომცველობის ამბიციით ერთგვარად დაჩრდილა კიდეც გაეროს გენერალური ასამბლეის მეექვსე (სამართლებრივი) კომიტეტის საქმიანობა, რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისოსამართლებრივ ხელშეკრულებათა შემუშავების ძირითად ორგანოს წარმოადგენდა. ამ მოსაზრებას განამტკიცებს თვით რეზოლუციის ენა, რომელიც უფრო საერთაშორისოსამართლებრივი ხელშეკრულებებისთვის არის დამახასიათებელი.[2]

N1373(2001) რეზოლუციის ანალიზი შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტების გამოყოფის საშუალებას იძლევა:

[1] იხილეთ გაეროს ადამიანის უფლებათა უზენაესი კომისრის, ქალბატონ მერი რობინსონის გამოსვლა ადამიანის უფლებათა კომისიის 2002 წლის 20 მარტის სხდომაზე.

[2] 1373(2001) რეზოლუციაში გამოყენებულია კონსტრუქცია: „სახელმწიფოები ვალდებულია .. (States shall...

ა) აშშ-ში 11 სექტემბერს მომხდარი და, საერთოდ, მსგავსი ნებისმიერი ტერორისტული აქტის შეფასება, როგორც „საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ ნათელყოფს საერთაშორისო თანამეგობრობის მიდგომას ტერორისტულ დაჯგუფებათა და მათი მფარველი სახელმწიფოების წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს გაერო-ს წესდების VII თავით გათვალისწინებული ღონისძიებები, სანქციებისა და ძალის გამოყენების ჩათვლით;

ბ) აღსანიშნავია, რომ რეზოლუციაში სახელმწიფოთა ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლება მოცემულია არა მარტო სახელმწიფოების, არამედ არასახელმწიფოებრივ ელემენტებთან (ტერორისტულ ორგანიზაციებთან) მიმართებით;

გ) ხაზგასმულია კავშირი, ერთი მხრივ, ტერორისტულ აქტებსა და, მეორე მხრივ, შეუწყნარებლობასა და ექსტრემიზმს შორის; თუ გავითვალისწინებთ, რომ თავდაცვის უფლება სახელმწიფოს მიერ გამოიყენება სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიისას, შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ რეზოლუცია მიანიშნებს ასეთი გაგების ტრანსფორმაციაზე;

დ) მკაფიოდ განსაზღვრულია ყოველი სახელმწიფოს ვალდებულება თავი შეიკავოს სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტების ორგანიზების, პროვოცირების, აქტების განხორციელებაში მონაწილეობისაგან, არ დაუშვას საკუთარ ტერიტორიაზე ტერორისტული საქმიანობა;

ე) რეზოლუცია მიღებულია გაერო-ს წესდების VII თავის საფუძველზე, რაც განაპირობებს მის სავალდებულო ხასიათს. მნიშვნელოვანია, რომ VII თავის მიხედვით გადაწყვეტილების შემცველი რეზოლუციის მიღებისას მასში ჩამოყალიბებულ ვალდებულებებს უპირატესი ძალა აქვთ, კონკრეტული სახელმწიფოს ნებისმიერ სხვა საერთაშორისოსამართლებრივ ვალდებულებებთან შედარებით (გაეროს წესდების 103-ე მუხლი);

ვ) ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში სახელმწიფოთა ვალდებულებები ფართოდაა განსაზღვრული და მოიცავს ტერორისტული აქტების თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას, მათი ფინანსირების აღკვეთას, ტერორისტული აქტების შეგნებულად დაფინანსების კრიმინალიზაციის, ტერორისტებისა და მათი ხელშემწყობების ფინანსური აქტივების გაყინვას, სახელმწიფოთა ტერიტორიებიდან ფინანსური საშუალებების ტერორისტებისათვის გადაცემის, აგრეთვე, ტერორისტების ნებისმიერი ფორმით, მათ შორის პოლიტიკური და დიპლომატიური მხარდაჭერის არდაშვების ღონისძიებებს;

ზ) რეზოლუცია სახელმწიფოებს ავალდებულებს გაცვალონ ინფორმაცია ტერორისტების საქმიანობისა და მათი გადაადგილების შესახებ, აგრეთვე ითანამშრომლონ ტერორისტული აქტების გამოძიების საქმეში. ხაზგასმულია ასევე სახელმწიფოების მიერ ღონისძიებათა გატარების აუცილებლობა შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რათა არ იქნეს დაშვებული ტერორისტული აქტების განმახორციელებლების, ორგანიზატორების ან ხელშემწყობების მიერ ლტოლვილის სტატუსის ბოროტად გამოყენება და პოლიტიკური მოტივით უარი არ ეთქვას თხოვნას მათი ექსტრადიციის თაობაზე;

თ) რეზოლუცია საერთაშორისო ტერორიზმს განიხილავს ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობასთან, ასევე „ფულის გათეთრებასთან“ კავშირში. მასში გამოხატულია მოწოდება სახელმწიფოებისადმი შეუერთდნენ საერთაშორისო კონვენციებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

რეზოლუციის შესრულებაზე ზედამხედველობას უზრუნველყოფს უშიშროების საბჭოს წევრებისაგან შემდგარი კომიტეტი ტერორიზმის საკითხებზე, რომელსაც თავმჯდომარეობს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი. მას სამი მოადგილე ჰყავს, მათ შორის რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი. წევრი-სახელმწიფოებისათვის ტექნიკური ექსპერტიზით დახმარება კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

აღსანიშნავია, რომ 157-მა სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ,[3] დადგენილ ვადაში წარუდგინა ანგარიში გაერო–ს რეზოლუციის შესრულების შესახებ.

2. N1373(2001) რეზოლუციისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებათა თანაფარდობა

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისათვის კარგად ცნობილი გაეროს წესდების 103-ე მუხლი ადგენს წესდებით განსაზღვრული ვალდებულებების პრიმატს გაეროს წევრ-სახელმწიფოთა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან მიმართებით.[4] ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ წესდების VII თავის საფუძველზე მიღებულ რეზოლუციაში განმტკიცებული ვალდებულებები ავტომატურად აჩერებს ყველა სხვა საერთაშორისოსამართლებრივი ნორმის მოქმედებას.

გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული ნებისმიერი რეზოლუციის, კონკრეტულ შემთხვევაში N1373(2001) რეზოლუციის ანალიზისას აუცილებელია შემდეგი ორი მომენტის გათვალისწინება:

1) წესდების 103-ე მუხლის ეფექტი შეზღუდულია ***erga omnes*** ვალდებულებების მიმართ. მიუხედავად უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მოთხოვნებისა, მისი იმპლემენტაციისათვის, მაგალითად, აბსოლუტურად დაუშვებელია წამების გამოყენება სახელმწიფოთა მიერ, რადგან ეს უკანასკნელი საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმას წარმოადგენს;

2) რეზოლუციით გათვალისწინებული ვალდებულებების დადგენისას, წესდების 103-ე მუხლთან ერთად, აუცილებელია კონკრეტული რეზოლუციის შინაარსის დადგენა, რომელიც აწესებს რეზოლუციისა და სახელმწიფოთა სხვა საერთაშორისოსამართლებრივი ვალდებულებების ურთიერთმიმართების პარამეტრებს.

N1373(2001) რეზოლუციის პრეამბულის მე-5 პუნქტში გაეროს უშიშროების საბჭო ადასტურებს „ წესდების შესაბამისად, (ავტორის ხაზგასმა) საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის ტერორისტული აქტებით გამოწვეულ საფრთხეთა წინააღმდეგ ნებისმიერი საშუალებით ბრძოლის საჭიროებას“.[5] ასევე მნიშვნელო-

[3] იხილეთ გაერო-ს უშიშროების საბჭოს დოკუმენტი S/2002/3 2 January 2002, annex, Report from Georgia, submitted pursuant to paragraph 6 of resolution 1373 (2001).

[4] გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონის 6(2) მუხლის თანახმად, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი აქტების მიმართ.“

[5] S/Res/1373(2001), 28 September 2001.

ვანია, რომ უშიშროების საბჭო ანტიტერორისტულ ღონისძიებების გატარების პროცესში აქცენტს აკეთებს სახელმწიფოთა თანამშრომლობასა და ტერორიზმის საკითხებზე შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების სრულ შესრულებაზე.[6] ამ საერთაშორისო კონვენციების ფარგლებს გარეთ დამატებითი ანტიტერორისტული ღონისძიებების გატარების შემთხვევაშიც სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ სამართლებრივი საშუალებები (ხაზგასმა ავტ.)[7]. ამ ფორმულირებებს კიდევ უფრო აძლიერებს N1373(2001) რეზოლუციის ძირითადი ნაწილის 3 (f) პუნქტი, რომელშიც უშიშროების საბჭო მოუწოდებს სახელმწიფოებს „ლტოლვილის სტატუსის მინიჭებამდე განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები ეროვნული და საერთაშორისო სამართლის შესაბამისი დებულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ხაზგასმა ავტ.), რათა გაარკვიონ, რომ თავშესაფრის მაძიებელი არ გეგმავს ტერორისტულ აქტს, ხელი არ შეუწყვია ან მონაწილეობა არ მიუღია მის განხორციელებაში".

ამრიგად, ნათელია, რომ N1373(2001) რეზოლუციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლის, კერძოდ კი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, რაც გულისხმობს მათ შესრულებას ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

3. N1373(2001) რეზოლუცია და საქართველო

3.1. ტერორისტული დანაშაულების შემადგენლობის საკითხი

მართალია, ტერორისტული დანაშაულების შემადგენლობის საკითხი უშუალოდ სისხლის სამართლისა და მართლმსაჯულების განსჯადია, მაგრამ მისი არასათანადო კონკრეტიზაცია რეალურად ქმნის ანტიტერორისტული კამპანიის ფარგლებში ტერორიზმსა ან მის ხელშეწყობაში ეჭვმიტანილი პირების უფლებების დარღვევის საფრთხეს.

როგორც ეს გაეროს ანტიტერორისტული კომიტეტისათვის საქართველოს მიერ მიწოდებულ ანგარიშშია მითითებული, საქართველო 12 ძირითადი ანტიტერორისტული კონვენციიდან მხოლოდ 5-ის მონაწილეა.[8] N1373(2001) რეზოლუციის შესრულების თვალსაზრისით, აუცილებელია ყველა 12-ვე კონვენციასთან შეერთება, რათა მათში გათვალისწინებული ტერორისტული დანაშაულების სახეები, თუ ისინი არ კონკრეტდება შესაბამისი კანონმდებლობით, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მიხედვით, ქვეყნის სამართლებრივი სისტემის ნაწილი გახდეს. პირველ რიგში, აუცილებელია, რომ საქართველომ მოახდინოს ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის 1999 წლის 9 დეკემბრის საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს სასამართლოების მიერ სახელმწიფოსათვის ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებების უშუალოდ გამოყენების თავის არიდების პრაქტიკას, ალბათ, უმჯობესია N1373(2001) რეზოლუციაში მოცემული აქტების კრიმინალიზაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ან ტერორიზმთან ბრძოლის ცალკე, კომპლექსური კანონით შემუშავდეს, როგორც ეს ბევრმა ქვეყანამ გააკეთა.[9]

მნიშვნელოვანია აგრეთვე ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს: „იმ პირების ფონდებისა და სხვა ფინანსური აქტივებისა თუ ეკონომიკური რესურსების დაუყოვნებლივ გაყინვას, ვინც ჩადის ან ცდილობს ჩაიდინოს ტერორისტული აქტი, მონაწილეობს ან ხელს უწყობს ტერორისტული აქტის განხორციელებას; წარმონაქმნების [ფონდებისა და სხვა ფინანსური აქტივებისა თუ ეკონომიკური რესურსების დაუყოვნებლივ გაყინვას], რომლებიც ასეთი პირების საკუთრებაშია ან მათ მიერ კონტროლდება პირდაპირ ან არაპირდაპირ; წარმონაქმნებისა და პირების [ფონდებისა და სხვა ფინანსური აქტივებისა თუ ეკონომიკური რესურსების დაუყოვნებლივ გაყინვას], რომლებიც მოქმედებენ ზემოხსენებული პირებისა და წარმონაქმნების სახელით ან მათი მითითებებით, იმ ფონდების ჩათვლით, რომლებიც მიღებულია ან წარმოშობილია საკუთრებიდან, რომელსაც ფლობენ ან პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ ასეთი პირები და მათთან დაკავშირებული პირები" (მუხლი 2(c)). აღსანიშნავია, რომ N1373(2001) რეზოლუციაში მოცემული დანაშაულების შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია სუბიექტური მხარე, ე.ი. დანაშაულია არა დაჯგუფებისა თუ პირისათვის გაწეული ფინანსური დახმარება, არამედ იგივე აქტი, როცა იგი ხორციელდება შეგნებულად ან იმის გაცნობიერებით, რომ გამოყენებული იქნება ტერორისტული აქტების განსახორციელებლად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სრულად არ იცნობს N1373(2001) რეზოლუციაში მოცემულ დანაშაულთა სახეებს. მისი 328-ე მუხლი (უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ასეთ ორგანიზაციაში გაერთიანება ან დახმარება) ძალზე ფართოა და არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ შეესაბამება ანტიტერორისტული რეზოლუციის მოთხოვნებს.

პირველ რიგში, საგრძნობი განსხვავებაა დანაშაულის ობიექტური მხარის მახასიათებლებში. ზემოაღნიშნული ნორმის დისპოზიციაში მითითებულია ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე ან მისთვის დახმარებაზე, როდესაც რეზოლუციის 1-ლი პუნქტის (b) ქვეპუნქტის მიხედვით, დასჯადი უნდა გახდეს ტერორისტული აქტების განხორციელების ფინანსური საშუალებებით შეგნებული უზრუნველყოფა ან ფინანსური საშუალებების შეგროვება. გამოსავალი არც რეზოლუციის 1-ლი პუნქტის (b) ქვეპუნქტში მოცემული ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლით (ტერორიზმი) კვალიფიცირებაშია, რადგან ამ შემთხვევაში დახმარება სისხლისსამართლებრივი დელიქტია მაშინ, როდესაც უკვე სახეზეა ტერორისტული აქტის განხორციელების მცდელობა. ამავე დროს, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ რეზოლუციის 1-ლი პუნქტის (b) ქვეპუნქტი ეყრდნობა ტერორიზმის დაფინანსებისათვის საერთაშორისო კონვენციის მე-2 და მე-4 მუხლებს, რომელთა მიხედვით, ტერორიზმის დაფინანსება თავისთავად დასრულებული დანაშაულებრივი აქტია, თუ პირს შეგნებული აქვს, რომ იგი ფინანსური საშუალებებით უზრუნველყოფს ან აგროვებს ასეთ საშუალებებს ტერორისტული აქტების განხორციელების მიზნით. ამრიგად, ასეთი სახის დანაშაულის კვალიფიცირებ-

[6] იხილეთ 1373(2001) რეზოლუციის პრეამბულის მე-7 პუნქტი.
[7] იხ. იქვე, მე-8 პუნქტი.
[8] იხილეთ გვ. 3, Report of Georgia submitted pursuant to paragraph 6 of resolution 1373 (2001), S/2002/3, January 2, 2002.

[9] მაგალითისთვის იხილეთ: A Bill to amend the UK Anti-terrorism, Crime and Security Act 2000, ასევე Canada Anti-terrorist Act 2001.

ისათვის აუცილებელი არ არის იმის დადგენა, რეალურად გამოიყენეს თუ არა შეგროვებული ფინანსური სახსრები ტერორისტული აქტისათვის.[10]

შესაბამისად, პრობლემურია იმის მტკიცება, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს N1373(2001) რეზოლუციის 1(c) და 1(d) პუნქტებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.[11] საქართველოს კანონმდებლობა, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით, ვერ უზრუნველყოფს ამ მუხლების მოთხოვნების შესრულებას იმდენად, რამდენადაც ტერორიზმის დაფინანსება შესაძლოა მოხდეს სავსებით ლეგალური წყაროების, მაგალითად, საქველმოქმედო და ჰუმანიტარული ორგანიზაციების ფონდების გამოყენებით. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა უზრუნველყოს ფინანსური სახსრების მონიტორინგი ისე, რომ არ შეილახოს ადამიანის პირადი ცხოვრებისა და ქონების მშვიდობიანად განკარგვის უფლებები.

საქართველოს მიერ ანტიტერორისტული კომიტეტისათვის წარდგენილ ანგარიშში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირთა და ორგანიზაციათა სია. ამასთან, ძალაშია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებულება, რომელიც კრძალავს იმ პირებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, რომლებიც დაკავშირებული არიან ტერორისტულ საქმიანობასთან.[12] გაურკვეველია, არსებობს თუ არა სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმები პირის ან ორგანიზაციის ტერორიზმში ეჭვმიტანილების სიაში შესაყვანად და, შესაბამისად, მათი აქტივების ან საფინანსო რესურსების გასაყინად.

ასეთი სამართლებრივი ვაკუუმის არსებობისას, მხოლოდ ფინანსთა მინისტრის დისკრეციული უფლების საფუძველზე ორგანიზაციებისა და პირების იდენტიფიცირება და მათი აქტივების გაყინვა საქართველოს დააყენებს ადამიანის უფლებების ევროპის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის საფრთხის წინაშე, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებას მშვიდობიანად განკარგოს თავისი ქონება.

3.2. ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხი

როგორც აღინიშნა, N1373(2001) რეზოლუციის 3(f) პუნქტი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს არ მიანიჭონ ლტოლვილის სტატუსი ტერორისტულ საქმიანობაში ჩაბმულ პირებს.

მოცემული საკითხის ანალიზისას, მიზანშეწონილია გამოვყოთ ორი ასპექტი: პირველი, როდესაც პირი, რომელმაც ხელი შეუწყო ან ჩაიდინა ტერორისტული დანაშაული, ფაქტობრივად, ავტომატურად ხვდება ლტოლვილების შესახებ ჟენევის 1951 წლის კონვენციის 1(f) მუხლის მოქმედების ქვეშ, რომელიც კონვენციის დაცვის რეჟიმიდან იღებს პირებს, ვინც ჩაიდინა სამხედრო დანაშაული, დანაშაული მშვიდობის, ადამიანობის წინააღმდეგ ან არაპოლიტიკური დანაშაული.[13] უფრო რთუ-

[10] დამატებით იხილეთ Informal Paper prepared by Dr. Walter Gehr (the Spokesman of the Counter-Terrorism Committee's group of Experts), presented at a briefing with Member States on 4 April 2002.

[11] ibidem, supra 8.

[12] იხილეთ გვ. 3, Report of Georgia submitted pursuant to paragraph 6 of resolution 1373 (2001), S/2002/3, January 2, 2002, გვ. 5.

[13] საქართველო 1951 წლის ლტოლვილთა შესახებ კონვენციის მხარეა, ხოლო 1(f) მუხლი ლტოლვილთა შესახებ საქართველოს კანონის 1(2) მუხლის ანალოგიურია.

ლია ის შემთხვევები, როდესაც თავშესაფრის მაძიებელი დანაშაულის ჩადენის პროცესშია და მასზე სათანადო ინფორმაცია არ არსებობს. თუ ასეთმა პირმა მაინც მოახერხა საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მიღება, იგივე კონვენცია, ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, უშვებს მისი გაძევების შესაძლებლობას, თუმცა აუცილებლად გარკვეული პროცედურული გარანტიების სრული დაცვით.

„ლტოლვილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლი ითვალისწინებს ასეთი პირების უფლებების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს, კერძოდ, „სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებანი, რომლებიც ლახავენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ლტოლვილთა უფლებებს, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით". ანალოგიურად, „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის 28(4)-ე მუხლით, „გადაწყვეტილება საქართველოდან უცხოელთა გაძევების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით". მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-13 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, ეს საშუალებები უნდა იყოს ეფექტიანი, ე.ი. პირი, რომლის მიმართ გაძევების გადაწყვეტილება ხორციელდება, უნდა იყოს ინფორმირებული გადაწყვეტილების, ასევე, იმ სამხილის შესახებ, რომლის საფუძველზეც მიიღეს გადაწყვეტილება. ყოველივე ამის მიზანია პირისათვის ეფექტიანი დაცვის უფლების უზრუნველყოფა.

ნებისმიერ შემთხვევაში, რეზოლუციის 1-ლი პუნქტის (f) ქვეპუნქტში მითითებული კატეგორიის პირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სახელმწიფო არ თავისუფლდება არდაბრუნების (non-refoulement) ფუნდამენტური ვალდებულებისაგან, რომელიც საერთაშორისოსამართლებრივ ჩვეულებად ჩამოყალიბდა. დაუშვებელია პირის დაბრუნება იმ ქვეყანაში, სადაც საფრთხე შეიძლება შეექმნას მის სიცოცხლესა და თავისუფლებას. საქართველოსთან მიმართებით, ეს პრინციპი განმტკიცებულია 1984 წლის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციისა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის მე-3 მუხლების მოთხოვნებით.

3.3. ანტიტერორისტული ღონისძიებები და ადამიანის უფლებათა დაცვის რეჟიმი

ტერორიზმთან ბრძოლა, N1373(2001) რეზოლუციის კონტექსტში, ამ მოვლენის კომპლექსურობისა და დამანგრეველი პოტენციალის გათვალისწინებით, აუცილებელს ხდის საგანგებო ღონისძიებების გატარებას, რისთვისაც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია, ორ რეჟიმს ითვალისწინებს: ომის ან სხვა საზოგადოებრივი საგანგებო მდგომარეობისას სახელმწიფოს შეუძლია გადაუხვიოს ამ აქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს ან შეზღუდოს უფლებები ამ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში გათვალისწინებულ საფუძველზე. ორივე შემთხვევაში გატარებული ღონისძიებები უნდა იყოს გამჭვირვალე, პროპორციული და აუცილებელი.[14]

[14] იხილეთ: Introductory Statement by Mary Robinson, United Nations Commissioner for Human rights, Commission on Human Rights, 58th session, 20 March 2002, Item 4.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია მოქმედების საკმაოდ დიდ თავისუფლებას, ე.წ. „შეფასების [ფართო] ფარგლებს" (wide margin of appreciation) უტოვებენ სახელმწიფოს ღონისძიებების გასატარებლად, როდესაც საზოგადოების უსაფრთხოება რისკის ქვეშ დგება, თუმცა, მთლიანობაში, სახელმწიფოს ქმედება რჩება ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონტროლის ქვეშ. ტერორიზმთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა კომიტეტისა[15] და სტრასბურგის ორგანოთა იურისპრუდენცია საკმაოდ თანმიმდევრულია, თუმცა სტრასბურგის ორგანოები, კონვენციის მუხლების მოქნილი ინტერპრეტაციით, ცდილობენ საკონვენციო რეჟიმი შეინარჩუნონ უცვლელად, რათა სახელმწიფოებს ნაკლებად ჰქონდეთ მისწრაფება ტერორიზმის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებისას გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-15 მუხლი (გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს). მაგალითად, ბროგანის საქმეში[16] კომპეტენტურ სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენამდე ტერორიზმში ეჭვმიტანილის დაკავების პერიოდის შეფასებისას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ განასხვავა „ნორმალური" და „საგანგებო" (სპეციალური) გარემოებები და ტერორიზმი საგანგებო გარემოებას მიაკუთვნა. ტერორიზმთან დაკავშირებულ გარემოებებში, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის აზრით, გამართლებულია ინდივიდუალური უფლების მეტად შეზღუდვა, ვიდრე ეს მოხდებოდა ნორმალურ გარემოებებში. ამდენად, ეჭვმიტანილის დაკავების ხანგრძლივი პერიოდი შეფასდა როგორც სრულ შესაბამისობაში ყოფნა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებთან.[17] ასეთი მიდგომის ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ მოქმედების თავისუფლებასთან ერთად სახელმწიფოებს მოეთხოვებათ უფრო მეტად განამტკიცონ კონვენციით გათვალისწინებული იურიდიული გარანტიები, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი პოლიციის მიერ თავისი უფლებების ბოროტად გამოყენება.

ამრიგად, საქართველომ N1373(2001) რეზოლუციის იმპლემენტაციისას უნდა გაითვალისწინოს ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და სტრასბურგის ორგანოების ეს პრაქტიკა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თავისუფლებისა და უსაფრთხოების, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებებისა და წამების აკრძალვის ეფექტიანი და ძლიერი იურიდიული გარანტიების შექმნას.

4. დასკვნა

განხილულ საკითხთა მოკლე ანალიზიდანაც კი ნათელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა მრავალ ცვლილებას საჭიროებს N1373(2001) რეზოლუციის შესასრულებლად. ასევე, პირველი რიგის ღონისძიებაა ამ ანტიტერორისტულ კონვენციებთან საქართველოს შეერთება და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ 1999 წელს მიღებული საერთაშორისო კონვენციის გადაუდებლად რატიფიცირება.

N1373(2001) რეზოლუცია უნდა შესრულდეს საერთაშორისო სამართლის, კერძოდ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა გათვალ-

[15] Communication No. 58/1979 : Sweden. 08/04/81, CCPR/C/12/D/58/1979, 8 April 1981.
[16] Brogan and others (10/1987/133/184-187), Judgment, 29 November 1988.
[17] უფრო სრულად იხილეთ: EJIL on-line, Human Rights, Terrorism and Police Custody.

ისწინებით. საქართველოსთან მიმართებით ეს გულისხმობს, პირველ რიგში, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტითა და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით განმტკიცებულ ვალდებულებათა შესრულებას. სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია პარლამენტის მიერ ყოველ სამ წელიწადში ანტიტერორისტული კანონმდებლობის გადასინჯვის პრაქტიკის შემოღება.

საქართველომ მხარი უნდა დაუჭიროს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის, ქალბატონ მერი რობინსონის წინადადებას ადამიანის უფლებათა კომისიის ფარგლებში ისეთი მექანიზმის შექმნის შესახებ, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ანტიტერორისტული ღონისძიებების ზეგავლენას ადამიანის უფლებათა დაცვაზე და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

მიზანშეწონილია საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ანტიტერორისტული კომიტეტის ეგიდით საგანგებო მუშა ჯგუფის შექმნა, რომელიც ანტიტერორისტული ღონისძიებების პირობებში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მოისმენს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, უშიშროების სამინისტროს ინფორმაციას და შეიმუშავებს კონკრეტულ წინადადებებს ადამიანის უფლებათა დაცვის განსამტკიცებლად.

სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში: პროგლემები და პრიორიტეტები

გივი მიქანაძე

1. შექმნის ისტორია

საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე სახელმწიფო მშენებლობისა და კონსტიტუციური წყობილების ჩამოყალიბების პროცესში გამოიკვეთა ადამიანის უფლებათა დამცავი სამართლებრივი მექანიზმების შექმნის აუცილებლობა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა უცხო ქვეყნების გამოცდილებას სამართლის განვითარების, ისტორიული ფესვების, ტრადიციებისა და ტენდენციების გათვალისწინებით. ამგვარ პირობებში ომბუდსმენის ინსტიტუტი, როგორც თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში სამართლებრივი სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, ძალზე მიმზიდველი ხდება საქართველოსათვის.

ომბუდსმენის ინსტიტუტი პირველად შვედეთში 1809 წელს დაარსდა. დასაწყისშივე ომბუდსმენი აღიჭურვა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა ორგანოთა საქმიანობაზე კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების ფუნქციით. მას დაევალა ადმინისტრაციის თვითნებობისაგან მოქალაქეთა უფლებების დაცვა. 1919 წლიდან მოყოლებული, მსგავსი ორგანოები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაარსდა. პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ომბუდსმენის ინსტიტუტი ფეხს 80-იანი წლების ბოლოს იკიდებს, როდესაც 1988 წელს პოლონეთში ფუნქციონირება დაიწყო მოქალაქეთა უფლებების რწმუნებულმა.

ომბუდსმენის ქართული ვარიანტი — სახალხო დამცველის თანამდებობა, საქართველოში პირველად 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის საფუძველზე შემოიღეს, რომლის უფლებამოსილება და საქმიანობის ფორმა მოგვიანებით „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" მიღებული ორგანული კანონით განისაზღვრა.

სახალხო დამცველის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა 1992 წლის 20 აპრილს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის დეკრეტით შექმნილი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნებათშორისი ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი", რომელსაც სულ მალე შეეცვალა დასახელება და ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების კომიტეტი". სახალხო დამცველის ინსტიტუტის ჩამოყალიბება სწორედ ამ კომიტეტის ბაზაზე მოხდა.

თავდაპირველად არსებობდა „სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის ორი კანონპროექტი - „საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების" კომიტეტისა და პარლამენტის „ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა" კომიტეტის კანონპროექტები. სახელმწიფო კომიტეტის კანონპროექტი ითვალისწინებდა ომბუდსმენის ფართო უფლებამოსილებებს. ასე მაგალითად: აღნიშნული კანონპროექტით სახალხო დამცველს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება ეძლეოდა.

აგრეთვე მას, სარეკომენდაციო ზეგავლენის გარდა, შეეძლო სავალდებულო დისციპლინური და ადმინისტრაციული ზეგავლენის მოხდენა. კანონპროექტი საპარლამენტო კომიტეტმა დაიწუნა და საგრძნობლად შეამცირა. საპარლამენტო კომიტეტის კანონპროექტით სახალხო დამცველს ყველა არსებითი უფლებამოსილება ერთმეოდა და იგი ფორმალობად იქცეოდა. სწორედ აღნიშნული უთანხმოების გათვალისწინებით გაიმართა ორი კომიტეტის ერთობლივი დისკუსია, რასაც შედეგად კომპრომისული კანონპროექტის შედგენა მოჰყვა. ეს უკანასკნელი 1995 წლის დასასრულს გაიგზავნა ჟენევის ადამიანის უფლებათა ცენტრში, რომლის დადებითი დასკვნის შემდეგაც კანონპროექტი განსახილველად წარედგინა საქართველოს პარლამენტს. პარლამენტმა არსებითი ცვლილებების გარეშე, ხმათა უმრავლესობით, 1996 წლის 16 მაისს მიიღო ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ".

საქართველოს რეალობაში სახალხო დამცველის ინსტიტუტმა ფუნქციონირება მხოლოდ 1997 წლის მიწურულს დაიწყო, მას შემდეგ, რაც 29 ოქტომბერს აირჩიეს პირველი სახალხო დამცველი.

2. ომბუდსმენის ინსტიტუტის საჭიროება

უნებურად ჩნდება კითხვა – რამ განაპირობა საქართველოში სახალხო დამცველის ინსტიტუტის შექმნა?

საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, ომბუდსმენის ინსტიტუტზე მოთხოვნილება ყველაზე მეტად მაშინ წარმოიშობა, როდესაც მოქმედ ინსტიტუტებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიმართ საკონტროლო ფუნქციების განხორციელების უნარი არ შესწევთ და საჭიროა ადმინისტრაციის თვითნებობისაგან მოქალაქეთა უფლებების დამატებითი დაცვა. ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნა მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც ხელისუფლების დანაწილების თეორიასთან, ისე საზოგადოების თანამედროვე განვითარებასა და სახელმწიფოს ადმინისტრაციული საქმიანობის გაფართოებასთან. ეს უკანასკნელი კი იწვევს სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის უთანხმოების ზრდას. აღნიშნულს ხელს უწყობს სახელმწიფო აპარატში თანამშრომელთა რიცხვის მუდმივი ზრდა, სამართლებრივი ნორმების დიდი რაოდენობა, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე პარლამენტის საინფორმაციო დეფიციტი, ადმინისტრაციულ სასამართლოთა საქმეებით გადატვირთვა და სხვა. ასეთ პირობებში მოქალაქე ყოველდღიურად განიცდის ადმინისტრაციულ და სხვა ბიუროკრატიულ ორგანოთა ზემოქმედებას, რაც სახელმწიფოსადმი მის უნდობლობასა და უკმაყოფილებასა იწვევს.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტის გავრცელება და ზოგიერთი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემაში ჩართვა განპირობებულია საზოგადოების ცხოვრების ყველა სოციალურ სფეროში სახელმწიფოს შეღწევით, სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციების გაფართოებით სახელმწიფოებრივი რეგულირების გზით, რაც საკანონმდებლო ხელისუფლების როლსა და ადმინისტრაციული აპარატის პოზიციებს განამტკიცებს. გარდა ამისა, ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნა განპირობებულია სახელმწიფოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში სამართლებრივი

ფუნქციების გაფართოებით, სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციების გაზრდით, რის საფუძველზეც წინა პლანზე გამოდის აღმასრულებელი ხელისუფლება და იქმნება ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა პერსონალიზაციისა და ინდივიდუალიზაციის საჭიროება. ომბუდსმენი სხვა სახელმწიფო ორგანოებთან მიმართებით აფართოებს პარლამენტის ტრადიციულ საკონტროლო ფუნქციებს. სწორედ ამიტომ მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ და საქართველომაც მათ კვალობაზე ომბუდსმენის ინსტიტუტის ჩამოყალიბებით შეავსო მოქმედი საკონტროლო ფორმები.

მეორე საკითხია, თუ რამდენად ეფექტიანია სახალხო დამცველის საქმიანობა საქართველოში და რა დამაბრკოლებელი ფაქტორები უდგას მას წინ. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის ანალიზისა და მისი სხვა ქვეყნების ანალოგიურ ინსტიტუტებთან შედარების საფუძველზე.

3. სახელწოდება

ომბუდსმენის ქართულმა დასახელებამ — „სახალხო დამცველი", ანუ ხალხის დამცველი – ამ ინსტიტუტთან მიმართებით ნეგატიური როლი შეასრულა. მოსახლეობის სამართლებრივი განათლების დაბალი დონისა და ომბუდსმენის ინსტიტუტის ფუნქციებში გაურკვევლობის ფონზე სახალხო დამცველი, თავისი დასახელებიდან გამომდინარე, საზოგადოებამ აღიქვა ყოვლისშემძლე თანამდებობად, რომელსაც, მოსახლეობის აზრით, უნდა გადაეწყვიტა მოქალაქეთა ყოველი კონკრეტული პრობლემა, მიუხედავად იმისა, ფლობს თუ არა სახალხო დამცველი ამგვარ უფლებამოსილებას ორგანული კანონის მიხედვით. შედეგად, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უკმაყოფილო აღმოჩნდა სახალხო დამცველის მოღვაწეობით, რამეთუ ამ უკანასკნელმა ვერ მოახერხა მათი დარწმუნება, რომ მისი კომპეტენცია არ არის ყოვლისმომცველი და შემოიფარგლება ორგანული კანონით.

საერთაშორისო პრაქტიკაში ხშირია ომბუდსმენის სხვადასხვა სახელწოდება. კერძოდ, საფრანგეთში მას მედიატორს უწოდებენ, პორტუგალიაში — იუსტიციის პროვედორს, ესპანეთში, საქართველოს მსგავსად — სახალხო დამცველს, პოლონეთში — რწმუნებულს და სხვა. მიუხედავად სახელწოდებების ასეთი მრავალფეროვნებისა, ტერმინ „ომბუდსმენს" შენარჩუნებული აქვს თავისი განსაკუთრებული ადგილი, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ამ მექანიზმის საერთო აღმნიშვნელს. თუმცა ბოლო წლების პრაქტიკამ ეს ტერმინი „ომბუდსპერსონით" შეცვალა.[1]

4. ომბუდსმენის არჩევა-გათავისუფლება

სახალხო დამცველის დამოუკიდებლობა გარანტირებულია ორგანულ კანონში ასახულ ნორმათა მთელი რიგით (იმუნიტეტი, სამართლებრივი გარანტიები), თუმცა დამოუკიდებლად არსებობისათვის და ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საჭიროა კანონის სრულყოფა. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეობის გარდა, საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე ასარჩევ პირს არ წაეყენება

[1] Ombudsperson – ომბუდსმენის თანამდებობაზე მყოფი პირის საერთო აღმნიშვნელი ტერმინი, განურჩევლად მისი სქესისა; მანამდე გამოიყენებოდა ტერმინები: Ombudsman, Ombudswoman.

სხვა რაიმე მოთხოვნა, რაც ბადებს ეჭვს, რომ აღნიშნული თავისუფლად შეიძლება იქნეს გამოყენებული პარლამენტში მყოფ პარტიებს შორის „პოლიტიკური გარიგების" განსახორციელებლად. სახალხო დამცველის თანამდებობა, საერთაშორისო სტანდარტებითა და საქართველოს კონსტიტუციისა და ორგანული კანონის თანახმად, სრულიად აპოლიტიკურია. სწორედ ამიტომ, სახალხო დამცველად უნდა მოხდეს იმ პირის არჩევა, რომელიც იქნება სულ მცირე 35 წლის, ექნება უმაღლესი იურიდიული განათლება და არ იქნება არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი. აღნიშნული მოთხოვნების არსებობა დიდად შეუწყობს ხელს სახალხო დამცველის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლად ფუნქციონირებას.

ომბუდსმენის კანდიდატებისათვის ყველა ქვეყანაში განსხვავებული მოთხოვნებია დაწესებული: შვედეთში ომბუდსმენი შეიძლება გახდეს მხოლოდ იურიდიული განათლებისა და მაღალი ავტორიტეტის მქონე პირი; დანიის ომბუდსმენობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლეებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. რუსეთის ადამიანის უფლებათა რწმუნებული სულ მცირე 35 წლის, რუსეთის მოქალაქე უნდა იყოს და მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში.

საქართველოში სახალხო დამცველს ირჩევს პარლამენტი 5 წლის ვადით, სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით; შვედეთში, დანიაში, ფინეთში, პოლონეთსა და პორტუგალიაში ეს ვადა 4 წელია; ესპანეთსა და რუსეთში — 5 წელი; ავსტრალიაში, ნიდერლანდებსა და საფრანგეთში — 6 წელი. ქვეყანათა უმრავლესობაში ომბუდსმენს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ირჩევს. ასე მაგალითად: დანიის ომბუდსმენს ფოლკეტინგი ირჩევს ხმათა უმრავლესობით, პორტუგალიაში იუსტიციის პროვედორის ასარჩევად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერა. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ომბუდსმენის ინსტიტუტმა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დანიშვნითი სახე მიიღო. კერძოდ: საფრანგეთში მედიატორი ინიშნება სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით, დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო რწმუნებულს კი ნიშნავს დედოფალი.

საქართველოს სახალხო დამცველის არჩევისას რამდენიმე კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში, თუ კენჭისყრით ვერც ერთმა საკმარისი ხმების რაოდენობა ვერ მიიღო, კენჭისყრიდან არა უადრეს 7 და არა უგვიანეს 14 დღისა, ტარდება ხელახალი არჩევნები. არჩევნების ერთ ციკლში ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

სახალხო დამცველის კანდიდატურის წამოყენების უფლებით სარგებლობს საქართველოს პრეზიდენტი, საპარლამენტო ფრაქცია და პარლამენტის წევრთა ჯგუფი, შემდგარი, სულ მცირე, ათი კაცისაგან, რომლებიც არც ერთ ფრაქციაში არ შედიან; პოლონეთში რწმუნებულის კანდიდატურის წარდგენის უფლება სეიმის მარშალს ან 35 დეპუტატისაგან შემდგარ ჯგუფს აქვს; ნიდერლანდებში ეროვნული ომბუდსმენის თანამდებობაზე სულ მცირე სამ კანდიდატურას ერთობლივი რეკომენდაციის ფორმით ასახელებენ სახელმწიფო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე, უზენაესი სასამართლოსა და გენერალური სააუდიტორო საქმიანობის პალატის თავმჯდომარეები.

ერთი და იგივე პირი საქართველოს სახალხო დამცველად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. ანალოგიური წესი მოქმედებს პოლონეთსა და რუსეთ-

ში. საფრანგეთის მედიატორის თანამდებობის დაკავება კი შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ.

საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს იმპიჩმენტის პროცედურას სახალხო დამცველის მიმართ. თუმცა ორგანული კანონით განსაზღვრულია ის შემთხვევები, როდესაც სახალხო დამცველს შეიძლება ვადამდე შეუწყდეს უფლებამოსილება. კერძოდ: საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის, ზედიზედ 4 თვის განმავლობაში მოვალეობის შეუსრულებლობის, მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის, სასამართლოს მიერ მისი ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობის, მის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის წარმოების, ნებაყოფლობით გადადგომისა და გარდაცვალების შემთხვევაში.

სხვა ქვეყნების პრაქტიკიდან ყურადსაღებია რამდენიმე საფუძველი, რომელმაც შეიძლება ომბუდსმენის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა გამოიწვიოს. ასე მაგალითად, ნიდერლანდებში ეს შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც ეროვნულ ომბუდსმენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაუწესდება მზრუნველობა და მეურვეობა, გამოცხადდება გაკოტრებულად, მიიღებს მორატორიუმს ან აღეკვეთება თავისუფლება ვალების გამო;[2] აგრეთვე, თუ იგი თავისი მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად იწვევს ქვედა პალატის სერიოზულ უნდობლობას; უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან ომბუდსმენის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლად მისთვის უნდობლობის გამოცხადება დაფიქსირებულია შვედეთის კანონითაც. პოლონეთში რწმუნებულის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია ამ უკანასკნელის მიერ ფიცის დარღვევის შემთხვევაში.

ზოგიერთ ქვეყანაში დადგენილია მაქსიმალური ასაკობრივი ზღვარი, რომლის მიღწევაც ავტომატურად წყვეტს მოქმედი ომბუდსმენის უფლებამოსილებას. კერძოდ, დანიაში ომბუდსმენს უფლებამოსილების ვადა უწყდება იმ თვის დასასრულს, როდესაც ის მიაღწევს 70 წელს; ნიდერლანდებში ქვედა პალატა ომბუდსმენს უფლებამოსილების ვადას უწყვეტს იმ თვის მომდევნო თვის დასაწყისიდან, როდესაც მას 65 წელი შეუსრულდა, ხოლო დიდ ბრიტანეთში საპარლამენტო რწმუნებულმა ყველა შემთხვევაში უნდა გაათავისუფლოს თანამდებობა იმ წლის დასასრულს, როცა იგი 65 წლის გახდება.

„სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონი იცნობს სახალხო დამცველის უფლებამოსილების დროებით შეჩერებასაც. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პარლამენტი თანხმობას მისცემს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების ან დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილებას, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების საბოლოო მიღებამდე მას უფლებამოსილება შეუჩერდება და აღდგება გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ან მარეაბილიტირებელ საფუძველზე საქმის შეწყვეტის შემთხვევაში; ნიდერლანდებში ქვედა პალატა ომბუდსმენს უფლებამოსილებას დროებით უჩერებს, თუ იგი დააპატიმრეს, მის წინააღმდეგ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე სასამართ-

[2] სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის თანახმად, „არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველზე"

ლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც საბოლოო არ არის და გასაჩივრებას ექვემდებარება, მას დაუწესდა მზრუნველობა და მეურვეობა, გამოცხადდა გაკოტრებულად, მიიღო მორატორიუმი ან აღეკვეთა თავისუფლება ვალების გამო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც საბოლოო არ არის და გასაჩივრებას ექვემდებარება.

საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს ახალი სახალხო დამცველის არჩევამდე მის მოვალეობას ასრულებს საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე. ორგანულ კანონში დაკონკრეტებულია ვადები, რომელთა განმავლობაშიც უნდა მოხდეს ახალი სახალხო დამცველის არჩევა თანამდებობაზე მყოფი სახალხო დამცველის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემთხვევაში — ვადის გასვლამდე არა უადრეს 60 და ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 30 დღისა. თუმცა კანონში არაფერია აღნიშნული, თუ რა ვადებში უნდა მოხდეს ახალი სახალხო დამცველის არჩევა, თუ მოქმედ სახალხო დამცველს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება. აღნიშნული ნორმის საფუძველზე პარლამენტმა შეიძლება განუსაზღვრელი ვადით არ განახორციელოს ახალი სახალხო დამცველის არჩევა და ამით, ფაქტობრივად, მოახდინოს ამ ინსტიტუტის პარალიზება. მსგავსი სიტუაცია საქართველოში შეიქმნა 1999-2000 წლებში, როდესაც პირველი სახალხო დამცველი 1999 წლის სექტემბერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ნებაყოფლობით გადადგა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო პარლამენტმა ახალი სახალხო დამცველი მხოლოდ 2000 წლის ივნისში აირჩია. ფაქტობრივად, ჩანასახში მყოფი ინსტიტუტი თითქმის ერთი წლის განმავლობაში სახალხო დამცველის გარეშე დარჩა. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ორგანულ კანონში შესატანია დამატება, რომლითაც განისაზღვრება ის ვადა, რომელშიც უნდა მოხდეს ახალი სახალხო დამცველის არჩევა თანამდებობაზე მყოფის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში.

რუსეთის ადამიანის უფლებათა რწმუნებულის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში სახელმწიფო სათათბირომ ახალი რწმუნებული უნდა დანიშნოს ორი თვის განმავლობაში წინა რწმუნებულის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების დღიდან.

5. ფუნქციები

სახალხო დამცველის მნიშვნელობა მისი ფუნქციებიდან და მოქმედების არეალიდან გამომდინარეობს. ამიტომაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კანონით მისთვის განსაზღვრული კომპეტენცია.

სახალხო დამცველი საქართველოს ტერიტორიაზე ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. ამ მიზნით იგი ზედამხედველობს სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობისა და იურიდიულ პირთა საქმიანობას, აფასებს მათ მიერ მიღებულ აქტებს, აძლევს მათ რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

სახალხო დამცველის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობის

წარმოებაა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირება როგორც საერთაშორისო ნორმებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ, ასევე იმ ეროვნულ და საერთაშორისო მექანიზმებზე, რომელთა უშუალო ფუნქციასაც ადამიანის უფლებების დაცვაა. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტი უკვე ოთხი წელიწადია ფუნქციონირებს, ინფორმაცია მისი არსებობისა და ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების შესახებ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის უცნობია, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს ადგილობრივ დონეზე ამ უკანასკნელთა უფლებების დარღვევას ადმინისტრაციული ორგანოებისა და თანამდებობის პირების მხრიდან.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანო, თანამდებობის თუ იურიდიული პირი ვალდებულია ყოველმხრივ დაეხმაროს სახალხო დამცველს, მოთხოვნიდან 15 დღის ვადაში წარუდგინოს მასალები, საბუთები და სხვა ინფორმაცია, რომელიც მას ესაჭიროება თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად. აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ სახალხო დამცველის თანხმობით. ამასთან, სახალხო დამცველს, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო, კომერციული ან კანონით დაცული სხვა საიდუმლოს შემცველი ინფორმაცია გადაეცემა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.[3]

სახელმწიფო ორგანო, თანამდებობის ან იურიდიული პირი, რომელსაც რეკომენდაციით ან წინადადებით მიმართავს სახალხო დამცველი, ვალდებულია ერთი თვის ვადაში განიხილოს მიმართვა და წერილობით აცნობოს მას განხილვის შედეგები. მსგავსი ნორმის უზრუნველყოფას წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173[4]-ე მუხლი — „სახალხო დამცველის მოთხოვნის შეუსრულებლობა" და სისხლის სამართლის კოდექსის 352-ე მუხლი — „სახალხო დამცველზე ზემოქმედება". თუმცა დღემდე სახალხო დამცველის პრაქტიკაში, მიუხედავად სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოსა თუ თანამდებობის პირის მხრიდან სახალხო დამცველის მოთხოვნების შეუსრულებლობისა, მათი პასუხისმგებლობის საკითხი აღნიშნულ ნორმათა გამოყენების გზით არ დამდგარა.

6. ვის და როგორ შეუძლია მიმართვა

მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველისათვის მიმართვის უფლებით, საქართველოს მოქალაქეების გარდა, სარგებლობენ საქართველოში მყოფი უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირები. ლიტვის სეიმის ომბუდსმენისათვის საჩივრის წარდგენის უფლება მხოლოდ ლიტვის მოქალაქეს აქვს. საქართველოს სახალხო დამცველისათვის მთავარია, რომ უფლებების დამრღვევი იყოს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაცია, დაწესებულება, საწარმო, თანამდებობის ან იურიდიული პირი და მათ მიერ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციით, კანონებითა და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი უფლებები და თავისუფლებები, რომელთა მონაწილეც არის საქართველო. ორგანული კანონით დასაშვებია საჩივრის ან განცხადების წარდგენა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერაც. ამ მხრივ არის მსგავსება პოლონეთის კანონთან, რომლის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „რწმუნებული მოქმედებას იწყებს მოქალაქეების ან მათი ორგანიზაციების განცხადების საფუძველზე". ბევრ ქვეყანაში ომბუდსმენისათვის განცხადებით მიმართვის უფლება მხოლოდ ფიზიკურ პირებს აქვთ (ნიდერლანდები, რუსეთი), საფრანგეთში კი ამ უფლებით სარგებლობა ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია.

საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიმართვის ფორმა პირდაპირია, ანუ ფიზიკურ პირს ან არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია უშუალოდ გაუგზავნოს განცხადება და საჩივარი სახალხო დამცველს. განსხვავებული სიტუაციაა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში, სადაც მოქმედებს ე.წ. „საპარლამენტო ფილტრი", რაც ფიზიკურ პირთა მიერ ომბუდსმენისათვის განცხადების პარლამენტის წევრის მეშვეობით მიწოდებას გულისხმობს.

განცხადება და საჩივარი საქართველოს სახალხო დამცველს სამი გზით წარედგინება — შემოსული წერილების, სახალხო დამცველის აპარატში პირადად მისული მოქალაქისა და სატელეფონო ზარების მეშვეობით. თუმცა პრაქტიკაში, ძირითადად, მიმართვის პირველი ორი ფორმა გამოიყენება.

სახალხო დამცველის მიერ განცხადებისა და საჩივრის განხილვისათვის აუცილებელია, რომ განმცხადებელი სადავოდ ხდიდეს კონკრეტულ საკითხზე მიღებული ზემდგომი ორგანოს, ადმინისტრაციული ორგანოს, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას და განცხადება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ეხებოდეს. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის კომპეტენციას არ განეკუთვნება ფიზიკურ პირთა შორის არსებული დავები.

ზემოხსენებული პირობების დაცვით განცხადებისა და საჩივრის წარდგენა აძლევს სახალხო დამცველს მისი განხილვის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ორგანული კანონით არ არის დადგენილი განცხადებისა და საჩივრის განხილვისათვის ხანდაზმულობის ვადა. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონი ომბუდსმენის შესახებ, მათ შორის ორგანული კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) შესახებ", იზიარებს საჩივარზე ხანდაზმულობის არსებობას — „განმცხადებელი აჭარის ა/რ-ის სახალხო დამცველს განცხადებას ან საჩივარს წარუდგენს არა უგვიანეს ერთი წლისა იმ დღიდან, როდესაც განმცხადებლისათვის ცნობილი გახდა მისი უფლებებისა თუ თავისუფლებების დარღვევის თაობაზე" (მუხლი 14, პირველი პუნქტი). ანალოგიური ხანდაზმულობის ვადაა დაწესებული დიდ ბრიტანეთში. ნორვეგიაში, რუსეთში, ლიტვაში კი ეს ვადა 3 თვეს შეადგენს.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის კანონპროექტის მე-17 მუხლი ადგენდა ხანდაზმულობის ვადას, მაგრამ საკომიტეტო განხილვისას გადაწყდა აღნიშნული პუნქტის ორგანულ კანონში სამომავლოდ შეტანა. სახალხო დამცველის ინსტიტუტის არსებობის ოთხწლიანმა გამოცდილებამ აშკარად გამოავლინა ხანდაზმულობის ვადის დადგენის აუცილებლობა სახალხო დამცველის მისამართით გაგზავნილი განცხადებებისა და საჩივრებისათვის.

[3] „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებას საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების თაობაზე იღებს იმ სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი, სადაც ხორციელდება სამუშაო ან ინახება ასეთ ინფორმაციასთან დაკავშირებული ცნობების შემცველები და რომელიც უფლებამოსილია გასცეს საიდუმლოებასთან დაშვება.

ომბუდსმენის საქმიანობა, ადამიანის უფლებების დამცველის სხვა ორგანოებისაგან განსხვავებით, უფრო დემოკრატიულია და განმტკიცებულია უფასოდ გაწეული სამსახურის პრინციპით. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოს სახალხო დამცველია, რომლის მიერაც დაინტერესებული პირისათვის გაწეული სამსახური უფასოა. ამასთან, განცხადება და საჩივარი არ იბეგრება სახელმწიფო გადასახადით.

სახალხო დამცველი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და აღნიშნულის ერთ-ერთ გარანტს წარმოადგენს მის უფლებამოსილებაში არსებული მძლავრი იარაღი — საკუთარი ინიციატივით შეამოწმოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობა, მათი დარღვევის ფაქტები. ერთი შეხედვით სახალხო დამცველისათვის ორგანული კანონის საფუძველზე ამგვარი უფლების მინიჭება აძლიერებს მის სტატუსს, თუმცა ამ ნორმაში ჩადებულია შეზღუდვა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი დაბრკოლება შეუქმნას სახალხო დამცველს ზემოხსენებული უფლებამოსილების რეალიზაციისას. კერძოდ, სახალხო დამცველს შეუძლია საკუთარი ინიციატივით განახორციელოს შემოწმება, თუ მისთვის ცნობილი გახდება შემოწმების ობიექტის, კონკრეტული დარღვევის შესახებ. შესაბამისად, თუ სახალხო დამცველისთვის არ არის ცნობილი კონკრეტული დარღვევების შესახებ, მას არა აქვს უფლება საკუთარი ინიციატივით განახორციელოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შემოწმება სხვადასხვა უწყებასა და დაწესებულებაში. ამ ნორმის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინასწარი დაკავების საკნებში, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებსა და სამხედრო ნაწილებში ადამიანის უფლებათა არსებული მდგომარეობის დასადგენად და თუ ორგანული კანონის მე-12 მუხლიდან არ იქნა ამოღებული ფრაზა – „თუ მისთვის ცნობილი გახდება ეს დარღვევები", სახალხო დამცველი საკუთარი ინიციატივით შემოწმებისას შეიძლება მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს წააწყდეს.

შემოწმების ჩატარებისას სახალხო დამცველი დაუბრკოლებლად შედის სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის სამხედრო ქვედანაყოფში, დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში. მას შეუძლია მოითხოვოს და მიიღოს შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, საბუთი და სხვა მასალა, აგრეთვე ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე ნებისმიერი თანამდებობის პირისაგან. საჭიროების შემთხვევაში, სახალხო დამცველი სახელმწიფო და/ან არასახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით ატარებს საექსპერტო გამოკვლევებს.

შემოწმების შედეგების მიხედვით, სახალხო დამცველს უფლება აქვს ადამიანის დარღვეულ უფლებათა და თავისუფლებათა აღსადგენად რეკომენდაციები გაუგზავნოს იმ სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის ან იურიდიულ პირს, რომლის მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა დარღვევა, რაც შეუსაბამობაშია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე და 234-ე მუხლებთან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მითითებული მუხლები გვერდს უვლის სახალხო დამცველის რეკომენდაციით გაგზავნის უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივი რეგულირების საკითხებს, ითვალისწინებს სამართალწარმოების მონაწილის, აგრეთვე სხვა პირის და ორგანოს (მათ შორის შეიძლება ვიგულისხმოთ სახალხო დამცველიც) უფლებას კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს იმ ორგანოს ან თანამდებობის პირის მოქმედება, რომელიც პროცესს აწარმოებს. აღნიშნულით ხდება სახალხო დამცველისათვის ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების უგულებელყოფა, რომლის აღმოსაფხვრელადაც საჭიროა სახალხო დამცველის დაფიქსირება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესაბამისი დამატებების შეტანის მეშვეობით.

წინააღმდეგობაა, აგრეთვე, სახალხო დამცველისათვის ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე" პუნქტით მინიჭებულ უფლებას[4] და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 594-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს შორის, რაც გამოიხატება შემდეგში: სსსკ 594-ე მუხლის მე-3 ნაწილი საერთოდ არ ითვალისწინებს სახალხო დამცველს და საჩივრის შეტანის უფლებას მხარეებს ანიჭებს. ამასთან, მსგავსი საჩივრით მიმართვის უფლებით სარგებლობს სხვა დაინტერესებული პირიც (აქ შეიძლება სახალხო დამცველიც ვიგულისხმოთ) მხოლოდ მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში.

ანალოგიური შეუსაბამობით ხასიათდება ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე" პუნქტისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლების მოთხოვნები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი და გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების მოტივით მხოლოდ დაინტერესებული მხარის განცხადებით.

ზემოხსენებულიდან აშკარაა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში სახალხო დამცველის დაუფიქსირებლობა უგულებელყოფს მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას რეკომენდაციით მიმართოს შესაბამის სასამართლო ინსტანციას ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების თაობაზე.

7. ურთიერთობა საკონსტიტუციო სასამართლოსთან

საქართველოს სახალხო დამცველს არა აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. მიუხედავად ამისა, იგი უფლებამოსილია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის მიზნით წინადადებები წარუდგინოს პარლამენტს კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ. ამასთან, სახალხო დამცველი სარგებლობს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის უფლებით კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გაუქმების მოთხოვნის თაობაზე, თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. თუმცა, როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, სახალხო დამცველის ამგვარი ზემოქმედების იარაღის რეალურად ასამოქმედებლად საჭიროა საკანონმდებლო უზრუნველყოფა — შესატანია დამატება „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" ორგანულ კანონში საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავთან დაკავშირებით სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელის რიგგარეშე განხილვის უფლებამ-

[4] აღნიშნული პუნქტი ითვალისწინებს სახალხო დამცველის უფლებას რეკომენდაციით მიმართოს შესაბამის სასამართლო ინსტანციას ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების თაობაზე, თუკი შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სასამართლო წარმოების პროცესში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევას შეეძლო არსებითად ემოქმედა სასამართლო გადაწყვეტილების მიღებაზე.

ოსილების მინიჭების მიზნით. ასე მაგალითად, 1999 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან შეუსაბამობას ეხებოდა[5]. აღნიშნული საკონსტიტუციო სარჩელი განხილვას ორ წელიწადს ელოდა და როდესაც პროცესი დაინიშნა, რამდენიმე დღით ადრე საქართველოს პარლამენტმა ცვლილება შეიტანა შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის 1-ლ, მე-2 და მე-3 პუნქტებში, ხოლო პრეზიდენტმა იმავე დღეს ხელი მოაწერა ცვლილებას და იგი გამოქვეყნებისთანავე შევიდა კანონიერ ძალაში. შესაბამისად, საჭირო აღარ გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს ჩარევა, თუმცა იმ გარემოებამ, რომ სარჩელის განხილვის დანიშვნას ორი წელი დასჭირდა, შეაფერხა შრომის კანონთა კოდექსში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან ცვლილების შეტანა, რითაც აღნიშნულ პერიოდში ასობით მოქალაქის უფლებები დაირღვა.

საკონსტიტუციო სასამართლოში რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს სახალხო დამცველს, თუ, ამომრჩეველთა მოთხოვნის მიუხედავად, არ დაინიშნა რეფერენდუმი. სახალხო დამცველს იმ შემთხვევაშიც შეუძლია მიმართოს კონსტიტუციური სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ მიიჩნევს, რომ რეფერენდუმი ეწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიისა და შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირებისათვის, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავს ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

8. ომბუდსმენის ანგარიშები და მოხსენებები

ომბუდსმენი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისადმი მიმართვით აიძულებს მათ, კანონის შესაბამისად განიხილონ სადავო სიტუაციები. ომბუდსმენი დამოუკიდებელია თავისი ფუნქციების განხორციელებისას და კონკრეტული საქმის შესასწავლად ფლობს ყველა საჭირო უფლებამოსილებას. მის საქმიანობას აქვს ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი, რადგან იგი წლიური მუშაობის შედეგებს წარუდგენს პარლამენტს ანგარიშის სახით.

საქართველოს სახალხო დამცველისათვის ორგანული კანონით წაყენებული მოთხოვნა ამ მხრივ განსხვავდება. 1999 წელს ევროპის საბჭომ საქართველოს ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას ერთ-ერთ მოთხოვნად წაუყენა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანულ კანონში შემდეგი ცვლილების შეტანა — სახალხო დამცველს პარლამენტისთვის ანგარიში არა წელიწადში ერთხელ, არამედ ექვს თვეში ერთხელ უნდა წარედგინა. საქართველოს პარლამენტმა 1999 წლის 23 ივნისს დააკმაყოფილა ევროპის საბჭოს აღნიშნული მოთხ-

[5] შრომის კანონთა კოდექსის თანახმად, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ და წინანდელ სამუშაოზე აღდგენილ მუშაკს ან მოსამსახურეს სასამართლო გადაწყვეტილებით აუნაზღაურდება იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა, სხვა შემთხვევაში – არა უმეტეს ერთი წლისა. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით ვადის დათქმის გარეშე გარანტირებულია ყველასათვის უკანონოდ მიყენებული ზარალის ანაზღაურება; მოქალაქე არ შეიძლება შეიზღუდოს გაცდენილის ვადით და მას სრულად უნდა აუნაზღაურდეს უკანონოდ დათხოვნის შედეგად მიყენებული ზარალი.

ოვნა, ჩამოაყალიბა რა ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი შემდეგი რედაქციით: „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ექვს თვეში ერთხელ, კალენდარული წლის მარტსა და ოქტომბერში". თუმცა ორგანულ კანონში განხორციელებული ეს ცვლილება მოქმედმა სახალხო დამცველმა დაარღვია, როდესაც 2002 წლის მარტში პარლამენტს სახალხო დამცველის ანგარიში არ წარედგინა.

ანგარიშის უმთავრესი დანიშნულებაა პარლამენტს ეცნობოს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ, მიეთითოს იმ საკანონმდებლო აქტებზე, რომლებიც არღვევს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს მათში ცვლილებების შეტანის ან გაუქმების რეკომენდაციით, მხილებულ იქნეს ის სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები, რომელთა ქმედებებმაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა დარღვევა. აღნიშნული ანგარიში ქვეყნდება პარლამენტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ასევე გამოიცემა სახალხო დამცველის აპარატის მიერ, რითაც ხდება მოსახლეობის ინფორმირება გაწეული საქმიანობისა და არსებული ვითარების შესახებ. სახალხო დამცველის ანგარიშში ასახულ ფაქტებსა და კომენტარებზე, აგრეთვე მიღწეულ შედეგებზე, დიდად არის დამოკიდებული საზოგადოებაში ამ ინსტიტუტისადმი ნდობა და მისი ავტორიტეტის გაზრდა.

ექვსთვიანი ანგარიშების გარდა, სახალხო დამცველს შეუძლია წერილობით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს და მოხსენებით წარდგეს საქართველოს პარლამენტის წინაშე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უხეში და/ან მასობრივი დარღვევის შემთხვევაში. აღნიშნული ვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სახალხო დამცველის ხელთ არსებული რეაგირების საშუალებები არასაკმარისი იქნება კონკრეტულ სიტუაციაზე ეფექტიანი ზემოქმედებისათვის.

მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ომბუდსმენი აქტიურად თანამშრომლობს მასმედიასთან და იყენებს მას ზემოქმედების საშუალების სახით შესაბამისი ორგანოების მიერ დარღვეული უფლებების აღსადგენად და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში გამოვლენილ ხარვეზთა გამოსააშკარავებლად. მასმედიასთან ურთიერთობით ომბუდსმენი ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას გაწეული საქმიანობისა და მიღწეული შედეგების შესახებ, რაც მისი ავტორიტეტის ამაღლებას და ამ ინსტიტუტის სახელმწიფო ორგანოებზე ზემოქმედების გაძლიერებას უწყობს ხელს. აღნიშნული კი, საბოლოო ჯამში, ადამიანის დარღვეული უფლების აღდგენის მეტ შესაძლებლობას იძლევა.

9. სამუშაო აპარატი

სახალხო დამცველის საქმიანობის უზრუნველსაყოფად შექმნილია სახალხო დამცველის აპარატი, რომელსაც ხელმძღვანელობს სახალხო დამცველის მოადგილე. სახალხო დამცველის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ერთპიროვნულად სახალხო დამცველი. ნიდერლანდებში ეროვნული ომბუდსმენის მოადგილეს მისივე წარდგინებით ნიშნავს პარლამენტის ქვედა პალატა. შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე მოადგილის დანიშვნა, ეროვნული ომბუდსმენის შეხედულებისამებრ. საქართველოს სახალხო დამცველს ორგანული კანონით მხოლოდ ერთი მოადგილე ჰყავს.

საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ მთელს მსოფლიოში სახელმწიფოებრივი საქმიანობის კრიტიკის მიუხედავად, ომბუდსმენი ხელს უწყობს ადმინისტრაციისადმი ნდობის გაზრდას. სწორედ ამიტომ ეს ინსტიტუტი ითვლება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში კანონიერებისა და სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცების მნიშვნელოვან ფაქტორად. თუმცა საქართველოს სახალხო დამცველისათვის ძნელი იქნება ამგვარი საქმიანობის წარმართვა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანულ კანონში და სხვა ზემოთ ჩამოთვლილ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების განხორციელების გარეშე.

10. რეგიონული ომბუდსმენები

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, საქართველოს სახალხო დამცველის გარდა, ორი დამოუკიდებელი პირი, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო დამცველები და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთში დანიშნული სამხარეო რწმუნებულები ახორციელებენ.

მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ფედერაციული მოწყობის სახელმწიფოებში ფუნქციონირებს როგორც ცენტრალური, ისე მის სუბიექტებში არსებული ომბუდსმენის ინსტიტუტები, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებელია. საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია არსებობდეს აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო დამცველის ინსტიტუტები, როგორც ფედერაციის სუბიექტებში ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველი ორგანოები, თუმცა საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე დაუშვებელია სახალხო დამცველის სამხარეო რწმუნებულის ინსტიტუტების შექმნა/არსებობა, რამეთუ სახალხო დამცველის ინსტიტუტი არის ცენტრალიზებული ორგანო, ხოლო ადგილზე მოქმედი რწმუნებულები იწვევენ ამ ინსტიტუტის დეცენტრალიზაციას და არსებობს რეალური საფრთხე მათი ადგილობრივი ხელისუფლების ზეგავლენის ქვეშ მოხვედრისა.

11. აჭარის ა/რ სახალხო დამცველი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1998 წლის 20 მარტს მიიღო ავტონომიური რესპუბლიკის ორგანული კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) შესახებ", რომელიც, ძირითადად, იზიარებს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონით დადგენილ პრინციპებსა და დებულებებს. სწორედ ამიტომ საინტერესოა იმ განსხვავებებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც ამ ორ კანონს შორის არსებობს.

აჭარის ა/რ-ის სახალხო დამცველის კანდიდატურისათვის საქართველოს მოქალაქეობის გარდა წაყენებულია ასაკობრივი ცენზის მოთხოვნა, რაც სულ მცირე 30 წელს შეადგენს. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს — აჭარის ა/რ-ის მეთაურს,[6] ა/რ-ის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ერთ მესამედს ან უზენაესი საბჭოს უმრავლესობის ფრაქციას. აჭარის ა/რ-ის ომბუდსმენის თანამდებობაზე ერთი და იმავე პირის ხელახალი უფლებამოსილების ვადით არჩევა შეზღუდული არ არის.

[6] 2001 წელს აჭარის ა/რ-ის კონსტიტუციაში ეს ორი თანამდებობა გაიმიჯნა, მაგრამ ორგანულ კანონში არ მომხდარა ცვლილების შეტანა, რომლითაც განისაზღვრებოდა, აღნიშნული ორი თანამდებობიდან რომელს დარჩა სახალხო დამცველის კანდიდატურის წარდგენის უფლება, თუ ორივეს დაუკანონდა ეს უფლება.

აჭარის ა/რ-ის სახალხო დამცველის უფლებამოსილების შეჩერებისას ან იმ შემთხვევაში, როდესაც ომბუდსმენის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელება შეუძლებელია ახალი უფლებამოსილების შეძენამდე, სახალხო დამცველის თანამდებობა დროებით გარდაიქმნება დანიშვნით თანამდებობად. ასეთ შემთხვევაში სახალხო დამცველის უფლებამოსილებას ასრულებს აჭარის ა/რ-ის უზენაესი საბჭოს მიერ დროებით დანიშნული სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელი. ორგანული კანონით განსაზღვრული არ არის ვადა, რომელშიც ახალი სახალხო დამცველის არჩევა უნდა მოხდეს. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მსგავს სიტუაციაში სახალხო დამცველად ხელისუფალთათვის მიზანშეწონილი კანდიდატურის უვადოდ დანიშვნა, რომელიც ვერ იქნება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი თავის საქმიანობაში ნებისმიერ დროს მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობის არსებობის პირობებში. აჭარის ა/რ ორგანული კანონის შემთხვევაში ადგილი აქვს სახალხო დამცველის ინსტიტუტის დამოუკიდებლობის უგულებელყოფასა და მისი ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოებისადმი სრული დამორჩილების მცდელობას.

კალენდარული წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს ორი თვისა, აჭარის ა/რ-ის სახალხო დამცველი აჭარის ა/რ-ის უზენაეს საბჭოს წარუდგენს ინფორმაციას აჭარის ა/რ-ის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. თუ ავტონომიური რესპუბლიკის ომბუდსმენი მიიჩნევს, რომ საკითხი უზენაესი საბჭოს რეაგირებას მოითხოვს, უფლება აქვს თავისი ინიციატივით შეიტანოს მოხსენება აჭარის ა/რ-ის უზენაეს საბჭოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევისა და სათანადო რეაგირების შესახებ. აჭარის ა/რ-ის სახალხო დამცველის ყოველწლიური მოხსენებებისა და ინფორმაციების გამოქვეყნების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს აჭარის ა/რ-ის უზენაესი საბჭო, რაც სახალხო დამცველის საქმიანობაში პირდაპირ ჩარევასა და მისი დამოუკიდებლობის შეზღუდვას წარმოადგენს. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ფუნქციონირებს ომბუდსმენის ინსტიტუტი, ამ უკანასკნელის საქმიანობაში ერთ-ერთი უმძლავრესი იარაღი საზოგადოების მხარდაჭერაა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მასმედიის საშუალებებით გაწეული საქმიანობისა და კონკრეტული უფლებების დამრღვევ თანამდებობის პირთა შესახებ მოსახლეობის ინფორმირებით მიიღწევა. ომბუდსმენისათვის მსგავსი შეზღუდვის დაწესებას შეიძლება მოსახლეობაში ამ სამსახურის ავტორიტეტის დაცემა, მისი პარალიზება და ფორმალობად გადაქცევა მოჰყვეს.

ყოველივე ზემოხსენებული მიუთითებს, რომ აჭარის ა/რ-ის სახალხო დამცველის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად საქმიანობა დიდ ეჭვს იწვევს. აუცილებელია ორგანულ კანონში ძირეული ცვლილებების შეტანა, რაც ხელს შეუწყობს აჭარის ა/რ-ის ამ ინსტიტუტის გააქტიურებას და უფრო ეფექტიან მოღვაწეობას. ორგანულ კანონში აუცილებელია შემდეგი ცვლილებების შეტანა:

1) დაფიქსირდეს კონკრეტული ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს ახალი სახალხო დამცველის არჩევა მოქმედი უფლებამოსილების ვადამდე შეჩერების შემთხვევაში ან იმ დროს, როდესაც ომბუდსმენის მიერ მისი უფლე-

ბამოსილების განხორციელება შეუძლებელია ახალი უფლებამოსილების შეძენამდე (მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი);

2) იმავე მუხლიდან ამოსაღებია სახალხო დამცველის თანამდებობის დანიშვნით თანამდებობად გარდაქმნა. იმ პერიოდში, სანამ აირჩევა ახალი სახალხო დამცველი, ომბუდსმენის უფლებამოსილების დელეგირება მის მოადგილეზე უნდა განხორციელდეს;

3) ორგანული კანონიდან ამოღებულ უნდა იქნეს 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად „აჭარის ა/რ-ის სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) ყოველწლიური ინფორმაცია და მოხსენებები შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით" და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „აჭარის ა/რ-ის სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) ყოველწლიური ინფორმაცია ქვეყნდება აჭარის ა/რ-ის უზენაესი საბჭოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. მოხსენება შეიძლება გამოქვეყნდეს აჭარის ა/რ სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) გადაწყვეტილებით".

12. აფხაზეთის ა/რ-ის სახალხო დამცველი

შედარებით რთულია აფხაზეთის სახალხო დამცველის მდგომარეობა. აფხაზეთის ა/რ-ის სახალხო დამცველის ინსტიტუტი 1998 წლის 4 აგვისტოს ჩამოყალიბდა 1992 წლის დეკემბრიდან მოქმედ აფხაზეთის ა/რ-ის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ბაზაზე. თუმცა, დებულება აფხაზეთის ა/რ-ის სახალხო დამცველის შესახებ ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მიერ მხოლოდ 1999 წლის 4 აპრილს იქნა მიღებული, რაც მეტყველებს იმაზე, რომ 8 თვის განმავლობაში აფხაზეთის ა/რ-ის სახალხო დამცველის ინსტიტუტი ყოველგვარი იურიდიული ბაზის გარეშე ფუნქციონირებდა. შეშფოთებას იწვევს ის ფაქტიც, რომ აფხაზეთის ა/რ-ის სახალხო დამცველის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქმიანობის უზრუნველსაყოფად მიღებულ იქნა არა ორგანული კანონი, როგორც ეს საქართველოს სახალხო დამცველისა და აჭარის ა/რ სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) შემთხვევაში გვაქვს, არამედ დებულება, რამაც ჩანასახშივე განაპირობა ამ ინსტიტუტის სუსტი როლი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში.

„აფხაზეთის ა/რ-ის სახალხო დამცველის დებულება" თითქმის იდენტურია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონისა, თუმცა არის რიგი განსხვავებები, რომელზეც მსურს ყურადღების გამახვილება.

აფხაზეთის ა/რ-ის სახალხო დამცველის კანდიდატურის წარდგენის უფლებით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს წევრთა სულ ცოტა ხუთკაციანი ჯგუფი სარგებლობს. აფხაზეთის ა/რ-ის სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, აფხაზეთიდან ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. თუმცა აფხაზეთის ა/რ-ის სახალხო დამცველი, არსებული რეალობის გათვალისწინებით, ვერ ახორციელებს თავისი უფლებამოსილებას აფხაზეთის ა/რ-ის ტერიტორიაზე და უმთავრესად დაკავებულია აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალი პირების უფლებათა დაცვით. შესაბამისად, იგი საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალი

პირების, აგრეთვე, საქართველოს იმ მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებს განიხილავს, რომელთა ოჯახის წევრიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის იბრძოდა, დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ავტონომიურ რესპუბლიკებში სახალხო დამცველის ინსტიტუტების შექმნა, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველისაგან ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებს, არ გამორიცხავს მათთან აქტიურ თანამშრომლობას, რაც განპირობებულია როგორც „აჭარის ა/რ-ის სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონით, ისე დებულებით „აფხაზეთის ა/რ სახალხო დამცველის შესახებ".

13. გოლოთქმა

საქართველოში სახალხო დამცველის ინსტიტუტის დაფუძნებით შეივსო ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველი ორგანოები. მნიშვნელოვანი იყო ამ ინსტიტუტის შექმნა, რაც წარმატებით განხორციელდა. შემდგომი ნაბიჯი უნდა იყოს მისი საქმიანობისთვის ყოველმხრივი ხელშეწყობა, რაც უპირველესად საკანონმდებლო ცვლილებებს გულისხმობს.

ომბუდსმენის ინსტიტუტს განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ მექანიზმებს შორის, რომლებიც ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს სახელმწიფო ორგანოთა თვითნებობისაგან იცავენ. ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება განპირობებული იყო სახელმწიფო ორგანოთა მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევისას უფლებების დაცვის აუცილებლობით, მოქალაქეებში ბიუროკრატიული სისტემის მიმართ დაუცველობის გრძნობის შემცირების, მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებისა და პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ჰუმანიზირების მიზნით. სწორედ ამიტომ ამ ინსტიტუტის სწორ და მიზანმიმართულ ფუნქციონირებას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი მშენებლობის გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნებისათვის.

ადამიანის უფლებათა სამართლის მიმართება სახელმწიფოთა საერთაშორისო პასუხისმგებლობის სამართალთან

ალექსანდრე ორახელაშვილი

1. შესავალი

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიმართება სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის სამართალთან რთული და მრავალგანზომილებიანი საკითხია, რასაც დიდი ყურადღება ეთმობა როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ისე სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანოების, მათ შორის საერთაშორისო სასამართლოების, საქმიანობაში. რამდენადაც ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია ამ პრობლემის სრული მოცულობით გაშუქება, შემოვიფარგლებით მხოლოდ ორი პრობლემატური საკითხის განხილვით, რომლებიც სადღეისოდ ძალზე აქტუალურია. პირველი საკითხი შეეხება საერთაშორისო პასუხისმგებლობის სტანდარტებს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტით დადგენილი ვალდებულებების დარღვევისათვის; მეორე კი – საერთაშორისო პასუხისმგებლობის რეჟიმს ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის, ამ უკანასკნელთა ნორმატიული ბუნებიდან გამომდინარე.

2. არამართლზომიერი აქტის ბუნება და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მიხედვით

ადამიანის უფლებათა დამცავი ნორმების შინაარსს შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს იმის დადგენისას, თუ რა სახის ფაქტები და გარემოებები იწვევს ადამიანის უფლების დარღვევას. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის ვალდებულებებს შეიცავს ესა თუ ის ნორმატიული დოკუმენტი. მთელი რიგი უნივერსალური და რეგიონული კონვენციებისა, როგორებიცაა, მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (1966 წ.) და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია (1950 წ.), სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას დაიცვან ამ აქტებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები. ზოგიერთი საერთაშორისო აქტი, როგორიცაა, მაგალითად, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (1966 წ.), უფრო ნაკლებად ხისტ დებულებებს შეიცავს. მაგალითად, ამ უკანასკნელი პაქტის მე-2 მუხლის მიხედვით, თითოეული სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ზომები როგორც ინდივიდუალურად, ისე საერთაშორისო თანამშრომლობის გზით და მის განკარგულებაში არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით, ამ პაქტში მოცემული უფლებების სრული რეალიზაციის მიზნით. ისმის კითხვა: აკისრებს თუ არა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი სახელმწიფოებს *სრულფასოვან იურიდიულ ვალდებულებებს*, რომელთა დარღვევა იწვევს სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობას?

გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური უფლებების კომიტეტის მოსაზრებით, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი აკისრებს სახელმწიფოებს სრულფასოვან საერთაშორისო ვალდებულებებს. კომიტეტს მიაჩნია, რომ პაქტის მე-2 მუხლის არსებული ფორმულირება ფართო და მოქნილ მიდგომას განასახიერებს, მაგრამ ეს არ იძლევა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ძირითადი მოთხოვნების იგნორირების უფლებას. შესაბამისად, თითოეულმა სახელმწიფომ საკუთარ სამართლებრივ სისტემაში უნდა გაითვალისწინოს და უზრუნველყოს ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვისა და შესაბამისი სამთავრობო ანგარიშვალდებულების მექანიზმები. ამ კუთხით კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასამართლო დაცვის საშუალებებს. აღნიშნული კომიტეტი თვლის, რომ სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 27-ე მუხლი, რომელიც გამორიცხავს შიდასახელმწიფო სამართალს, როგორც საერთაშორისო ვალდებულების დარღვევის მალეგალიზებელ ფაქტორს, სრულად გამოიყენება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მიმართ.[1]

პაქტის მე-2 მუხლის მიხედვით, პაქტში მოცემული უფლებების სრული რეალიზაცია თანდათანობით უნდა იქნეს მიღწეული. ამ მიზნის მისაღწევად კი გამიზნული ნაბიჯები უნდა გადაიდგას სახელმწიფოსათვის პაქტის ძალაში შესვლიდან გონივრულ მოკლე ვადაში. ეს ზომები უნდა იყოს გამიზნული, კონკრეტული და მიმართული პაქტში მოცემული ვალდებულებების შესრულებისაკენ.[2] ის ფაქტი, რომ პაქტი სახელმწიფოებს ვალდებულებების შესასრულებლად გარკვეულ დროს აძლევს, არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ პაქტში მოცემულ ვალდებულებებს აზრი დაეკარგოს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალობათა გათვალისწინებით პაქტი სახელმწიფოებს მოქნილ ვალდებულებებს აკისრებს, ეს იმგვარად უნდა იქნეს გაგებული, რომ სახელმწიფომ რაც შეიძლება ეფექტიანი ღონისძიებები გაატაროს პაქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.[3] სხვა სიტყვებით, პაქტის მე-2 მუხლში მოცემული მოქნილი ფორმულირება ითვალისწინებს სახელმწიფოების შესაძლო დროებით დაბრკოლებებს ვალდებულებების სრული რეალიზაციისას, მაგრამ არამც და არამც არ წარმოადგენს გამართლებას სახელმწიფოებისათვის, რომლებიც პაქტში მოცემულ უფლებებს არ უზრუნველყოფენ თავიანთი მოსახლეობისათვის. პაქტის მე-2 მუხლი, სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 31-ე მუხლის მიხედვით, უნდა განიმარტოს პაქტის ობიექტისა და მიზნის შესაბამისად, ანუ ეს დებულება გაგებულ უნდა იქნეს იმ სახით, რომ ხელი შეეწყოს პაქტის ფუნქციონირებას და არ მოხდეს მისი დაბრკოლება. ეკონომიკური და სოციალური უფლებების კომიტეტის მიერ პაქტის მე-2 მუხლის განმარტება ზუსტად შეესაბამება ვენის 1969 წლის კონვენციის მოთხოვნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახელმწიფოს, პაქტში მოცემულ უფლებებთან დაკავშირებით, მხოლოდ „პროგრესული რეალიზაციის“ ვალდებულება ეკისრება, თავად ეს პროგრესული რეალიზაციის

[1] CESCR General comment 9 (The domestic application of the Covenant), 03/12/98 E/C.12/1998/24, paras. 1-3.
[2] CESCR General comment 3 (The nature of States parties obligations) 14/12/90, para. 2.
[3] იქვე, para. 9.

ვალდებულება სრულფასოვან ვალდებულებას წარმოადგენს და სახელმწიფოს მიერ მისი შესრულების შეფასება დამოუკიდებელ საერთაშორისო-სამართლებრივ სტანდარტებს ექვემდებარება. შესაძლებელია, რომ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი სხვა საერთაშორისო აქტებისაგან, მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტისაგან, განსხვავებული შინაარსის ვალდებულებებს შეიცავდეს, მაგრამ პაქტში მოცემული ვალდებულებები ისევე სავალდებულოა, როგორც ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებაში მოცემული ვალდებულებები.

ასეთი მიდგომის სისწორეს ადასტურებს გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის პოზიციაც. სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ კომისიის პროექტის მე-12 მუხლის მიხედვით, „სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ვალდებულება ირღვევა, როდესაც ამ სახელმწიფოს მოქმედება არ შეესაბამება ვალდებულების მოთხოვნებს, მიუხედავად ამ ვალდებულების საფუძვლის ან ხასიათისა.“[4] აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტში მოცემული ვალდებულებების ბუნება და ხასიათი არ წარმოადგენს ამ ვალდებულებების დამრღვევი სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობის ხელშემშლელ გარემოებას.

ამ მიდგომას ასევე ადასტურებს ამავე პროექტის მე-15 მუხლი, რომელიც ეხება სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას ე.წ. „შედგენილი არამართლზომიერი აქტებისათვის“. ეს ისეთი არამართლზომიერი აქტებია, როდესაც სახელმწიფოს მოქმედება ან უმოქმედობა, მის სხვა მოქმედებებსა და უმოქმედობებთან ერთად, წარმოადგენს საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ სათავე დაუდოს საერთაშორისო ვალდებულების დარღვევას.[5] ცხადია, რომ პაქტში მოცემულ ვალდებულებებთან სახელმწიფოს ქმედების შეუსაბამობის ნებისმიერი აქტი ვერ დაფიქსირდება როგორც საერთაშორისო ვალდებულების დარღვევა. მაგალითად, თუ სახელმწიფო მისთვის პაქტის ძალაში შესვლიდან რამდენიმე დღის ან კვირის შემდეგ ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ისეთ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს, როგორიცაა შრომის, განათლების ან ჯანმრთელობის დაცვის უფლება, მას საერთაშორისო პასუხისმგებლობა, ალბათ, არ დაეკისრება, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, პაქტის მე-2 მუხლი მოითხოვს სოციალური და ეკონომიკური უფლებების პროგრესულ და არა დაუყოვნებლივ რეალიზაციას. თუმცა თუ სახელმწიფოსათვის პაქტის ძალაში შესვლიდან გასულია რამდენიმე წელი, მაშინ სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია და „პროგრესული რეალიზაციის“ ცნებას გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს. პაქტის ძალაში შესვლის შემდეგ გასული დროის მონაკვეთი იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფასდეს, თუ რამდენად მოახდინა სახელმწიფომ მისი ვალდებულებების პროგრესული რეალიზაცია, კერძოდ, გაატარა თუ არა შესაბამისი საკანონმდებლო, მათ შორის საბიუჯეტო და ადმინისტრაციული, ღონისძიებები ამ მიზნის მისაღწევად. თუ სახელმწიფო გამუდმებით არ მიმართავს შესაბამის ღონისძიებებს, მაშინ შესაძლებელია ეს ფაქტი დაფიქსირდეს როგორც საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევა შედგენილი არამართლზომიერი აქტის მეშვეობით. საერთაშორისო სამართლის კომისიის პროექტის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი[6] იძლევა იმის საშუალებას, რომ სახელმწიფოსათვის პაქტის ძალაში შესვლის მომენტიდან მოყოლებული შეფასდეს ამ სახელმწიფოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც განხორციელდა პაქტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ან რომელიც შეიძლება განხორციელებულიყო, მაგრამ არ განხორციელებულა, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს ქმედების შეუსაბამობა პაქტით ნაკისრ ვალდებულებებთან. ეს მოიცავს შეფასებებს საკანონმდებლო საქმიანობასა და ასევე გამოყოფილ საბიუჯეტო დაფინანსებასთან დაკავშირებით. თუ, მაგალითად, სახელმწიფო რვაცხრა წლის მანძილზე გამუდმებით არ გამოყოფს დაფინანსებას ჯანმრთელობის დაცვის სისტემისათვის, მაშინ ამ სახელმწიფოს ქმედება კვალიფიცირდება როგორც მის მიერ „პროგრესული რეალიზაციის“ ვალდებულების დარღვევა, შედგენილი არამართლზომიერი აქტის მეშვეობით. ეს არის არა მარტო სპეციფიკური უფლებების დარღვევა, არამედ პაქტის მე-2 მუხლში მოცემული „პროგრესული რეალიზაციის“ ზოგადი ვალდებულების დარღვევაც.

ამასთანავე, თუ ვიხელმძღვანელებთ კომისიის პროექტის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმით, „პროგრესული რეალიზაციის“ ვალდებულების დარღვევას ადგილი აქვს უკვე სახელმწიფოს იმ პირველი მოქმედებიდან ან უმოქმედობიდან მოყოლებული, რომელიც პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს არ შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიმართ პაქტის ძალაში შესვლიდან რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში ამ სახელმწიფოს მიერ პაქტში მოცემული ვალდებულებების შეუსრულებლობა, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს პაქტის დარღვევას, ეს მოქმედებები და უმოქმედობები მაინც ინარჩუნებს სამართლებრივ მნიშვნელობას. კერძოდ, ისინი გამოიყენება ათვლის წერტილად სახელმწიფოს შემდგომი მოქმედებებისა და უმოქმედობების კონტექსტში. თუ სახელმწიფომ გარკვეული მომენტისათვის, მაგალითად, მისთვის პაქტის ძალაში შესვლიდან წლების გასვლის შემდეგ, დაარღვია პაქტის მე-2 მუხლში მოცემული პროგრესული, ანუ თანდათანობითი რეალიზაციის ვალდებულება, ეს დარღვევა მოიცავს სახელმწიფოს ნებისმიერ მოქმედებასა და უმოქმედობას პაქტის ძალაში შესვლის შემდეგ და სახელმწიფოს ეკისრება საერთაშორისო პასუხისმგებლობა მისი ვალდებულებების დარღვევისათვის პაქტის ძალაში შესვლის პირველი დღიდან.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის სრულფასოვანი სავალდებულო ძალის პროცედურულ–ინსტიტუციური გაგრძელებაა ეკონომიკური და სოციალური უფლებების კომიტეტის როლი სახელმწიფოების მიერ პაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას, რადგან სწორედ ამ კომიტეტმა უნდა განსაზღვროს სახელმწიფოს მიერ მისი ვალდებულებების დარღვევის ფაქტები კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე. კომიტეტი სახელმწიფოებისაგან ითხოვს დეტალურ მოხსენებას, თუ რა ღონისძიებები ტარდება პაქტში მოცემული ვალდებულებების შესასრულებლად. სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი მოსაზრება მათ მიერ განხორციელებული თუ განსახორციელებელი ღონისძიებების აუცილებლობისა თუ მიზანშეწონილობის შესახებ, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას იმის შესახებ, მიიღო თუ არა სახელმწიფომ საჭირო ზომები ვალდებულებების შესასრულებლად, იღებს თავად კომიტეტი.[7] ეს იმის შეფასებასაც მოიცავს, იყენებს თუ არა სახელმწიფო მის ხელთ არსებულ

[4] Report of the International Law Commission, Fifty-third Session, UN. Doc. A/56/10, at 124.
[5] Id., 146.
[6] Id., 146.
[7] CESCR General comment 3 (The nature of States parties obligations) 14/12/90, para. 4.

რესურსებს პაქტში ასახულ ვალდებულებათა შესასრულებლად. მაგალითად, თუ სახელმწიფო პოლიციის შენახვაზე ხარჯავს იმაზე სამჯერ მეტს, ვიდრე ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენახვაზე, ამ სახელმწიფოს არ შეუძლია განაცხადოს, რომ საკუთარი რესურსების სიმწირე არ აძლევს საშუალებას პაქტში დაფიქსირებული უფლებების სრული მოცულობით განხორციელებისათვის.

გარდა იმისა, რომ კომიტეტი აფიქსირებს ეკონომიკურ, სოციალურ, და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის სრულფასოვან სავალდებულო ძალას, იგი გამოყოფს სხვა, დამატებით გარემოებებს, როდესაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს პაქტში მოცემული უფლებების დარღვევისათვის. სახელმწიფო პასუხისმგებელია პაქტის დარღვევისათვის არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მარტო მოქმედებს, არამედ მაშინაც, როდესაც მისი მოქმედება სხვა სუბიექტთან ერთად ხორციელდება ან როდესაც იგი უბიძგებს სხვა სახელმწიფოს პაქტში მოცემული უფლებების დარღვევისაკენ. ამას მოწმობს ის ორი ფუნდამენტური ნიშანი, რომელიც პაქტში ასახულ ვალდებულებებს ახასიათებს, მიუხედავად მათი ე.წ. მოქნილი და პროგრესული ხასიათისა:

ა) ეკონომიკური და სოციალური უფლებები წარმოადგენს სრულფასოვან შეზღუდვას გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებზე. თუმცა უშიშროების საბჭოს გააჩნია უფლება შემოიღოს ეკონომიკური სანქციები საერთაშორისო სამართლის უხეშად დამრღვევი სახელმწიფოს მიმართ[8] და ეს სანქციები უნდა შეესაბამებოდეს ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვის მოთხოვნებს. მოცემული პირობა გასათვალისწინებელია როგორც სანქციების შეფარდების, ისე მათი განხორციელებისას. მოსახლეობას უნდა ჰქონდეს საშუალება ისარგებლოს თავისი ეკონომიკური და სოციალური უფლებებით, მიუხედავად იმისა, ამა თუ იმ ქვეყნის მმართველი ელიტა არღვევს თუ არა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ნორმებს. ეს პრინციპი გამომდინარეობს თავად გაერო-ს წესდების 1-ლ, 55-ე და 56-ე მუხლებიდან.[9]

ბ) სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ეკონომიკური და სოციალური უფლებები, როდესაც ისინი მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია) მიერ ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის კრედიტის გაცემის სახით დახმარების გაწევასთან დაკავშირებით. როგორც წესი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები კრედიტებს გასცემენ გარკვეული მოთხოვნებითა და პირობებით, რომლებიც უკავშირდება იმ ღონისძიებებს, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარი ეკონომიკური და სოციალური სისტემის ფარგლებში უნდა გაატაროს. ამ კონტექსტში ეკონომიკური და სოციალური უფლებები შეიძლება საკმაოდ მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდეს და საფინანსო ინსტიტუტების მითითებათა შესრულებამ მათი სერიოზული დარღვევები გამოიწვიოს. აქედან გამომდინარე, გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური უფლებების კომიტეტი ცდილობს, რომ სახელმწიფოებმა, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ფარგლებში, მხედველობაში მიიღონ, თუ რამდენად უზრუნველყოფს კრედიტის მოსარგებლე სახელმწიფო ეკონომიკური და სოციალური უფლებების სრული მოცულობით დაცვას. ეროვნული მოხსენების განხილვის დროს კომიტეტი რეგულარულად ითხოვს სახელმწიფოებისაგან ინფორმაციას, თუ რა პოზიციას იკავებენ ისინი, როდესაც ესა თუ ის პროექტი იწვევს კრედიტის მოსარგებლე სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური და სოციალური უფლებების დარღვევას.

[8] იხ. გაერო-ს წესდების 39-ე, 41-ე და 42-ე მუხლები.

[9] CESCR General Comment 8 (The relationship between economic sanctions and respect for economic, social and cultural rights), 12/12/97, E/C.12/1997/8.

მაგალითად, საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიისა და იაპონიის მოხსენებების განხილვისას, ეკონომიკური და სოციალური უფლებების კომიტეტმა ამ სახელმწიფოებისაგან მოითხოვა მიმართონ ყველა საჭირო ზომას იმისათვის, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკის მიმართულებები და გადაწყვეტილებები შესაბამისობაში იყოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტით სახელმწიფოთა მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან.[10]

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი სახელმწიფოებს აკისრებს სრულფასოვან საერთაშორისო ვალდებულებებს, რომელთა დარღვევისათვის დგება სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა. ადამიანის უფლებათა სამართლისა და საერთაშორისო პასუხისმგებლობის სამართლის ერთობლივი მოქმედების პროცესი წარმოშობს იმ გარანტიებს, რომლებიც სახელმწიფოებს არ აძლევს საშუალებას გამუდმებით ამოეფარონ „პროგრესული რეალიზაციის" ცნებას პაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისას.

3. საერთაშორისო პასუხისმგებლობის რეჟიმი ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის

საერთაშორისო პასუხისმგებლობის რეჟიმის ადამიანის უფლებების სფეროში გამოყენების საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია ადამიანის უფლებათა მარეგულირებელი ნორმების იურიდიული ბუნება. ამ მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებები არ წარმოადგენს იმ ნორმათა ერთადერთ კატეგორიას, რომლებიც ადამიანს იცავს, და ამ მხრივ განსხვავდება ინდივიდუალური უფლებებისაგან. ეს ორი კატეგორია საერთაშორისო სამართალში განსხვავებული კრიტერიუმებით რეგულირდება. ტრადიციული დიპლომატიური დაცვის ტიპის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობები უკავშირდება ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვას. ეს ურთიერთობები ხასიათდება იმით, რომ სახელმწიფო გამოდის თავისი მოქალაქის დამცავის როლში, როდესაც ამ უკანასკნელის უფლებები ირღვევა სხვა სახელმწიფოს მიერ. საერთაშორისო სასამართლოს განხილული აქვს რამდენიმე ასეთი საქმე.[11] ***LaGrand***-ის საქმეზე საერთაშორისო სასა-

[10] Concluding Observations of the Committee on Economic, Social and Cultural Rights: France, 30/11/2001, E/C.12/1/Add.72, para. 32; Concluding Observations of the Committee on Economic, Social and Cultural Rights: Belgium, 01/12/2000 E/C.12/1/Add.54, para. 31; Concluding Observations of the Committee on Economic, Social and Cultural Rights: Germany, 24/09/2001 E/C.12/1/Add.68 para. 31; Concluding Observations of the Committee on Economic, Social and Cultural Rights: Germany, 24/09/2001 E/C.12/1/Add.67 para. 37.

[11] ამ საქმეთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, არის *Nottebohm*-ისა (ICJ Reports, 1955) და *Barcelona Traction*-ის (ICJ Reports, 1964, 1970) საქმეები. ამჟამად საერთაშორისო სასამართლოს წინაშე განხილვის პროცესშია ლიხტენშტაინ-გერმანიის დავა ჩეხოსლოვაკიაში მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამორთმეული ქონების შესახებ, ასევე კონგოს მიმართვა მისი მოქალაქის, აჰმადო საიდო დიალოს, უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.

მართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქეების უფლება – ისარგებლონ მათი მოქალაქეობის სახელმწიფოს კონსულის მომსახურებით, წარმოადგენს ინდივიდუალურ უფლებას. თუმცა საერთაშორისო სასამართლოს არ დაუმტკიცებია, რომ იგივე უფლება ადამიანის ძირითად უფლებას წარმოადგენს.[12]

არც თეორიაში და არც სასამართლო პრაქტიკაში ნათელი განსხვავება ინდივიდუალურ და ადამიანის უფლებებს შორის მოცემული არ არის. ამასთანავე, როგორც ინდივიდუალური, ისე ადამიანის უფლებები იცავს ინდივიდებს, რაც ამ ორი კატეგორიის უფლებებს ერთმანეთთან აახლოვებს. მიუხედავად ამისა, მათ შორის განსხვავების დანახვა მაინც შესაძლებელია. ინდივიდუალური უფლებები იცავს ადამიანს, როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეს. ადამიანის უფლებები იცავს ადამიანს, როგორც ასეთს. თუ ადამიანის ინდივიდუალური უფლება დაირღვა, საერთაშორისო-სამართლებრივი გარანტია მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ამ ადამიანის მოქალაქეობის სახელმწიფოს შეუძლია პრეტენზია განუცხადოს დამრღვევ სახელმწიფოს და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რადგან ამ შემთხვევაში ინდივიდის უფლების დარღვევის შედეგად მხოლოდ ეს სახელმწიფო ითვლება დაზარალებულად. თუ მოქალაქეობის სახელმწიფომ ასეთი ნება არ გამოხატა, საკითხი, როგორც წესი, საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების სფეროს ფარგლებს გარეთაა და ამ საკითხის წამოჭრა სხვას არავის შეუძლია. მაგალითად, ლაგრანდისა და ლოტებომის უფლებათა დარღვევის პრეტენზიები, შესაბამისად, გერმანიასა და ლიხტენშტაინს რომ არ წარედგინათ საერთაშორისო სასამართლოსათვის, საერთაშორისო-სამართლებრივი დავის წარმოშობის საფუძველი ამ საკითხებთან დაკავშირებით არ იარსებებდა, რადგან ინდივიდუალური უფლების დარღვევის საერთაშორისო-სამართლებრივი უშუალობა დამოკიდებულია მოქალაქეობის სახელმწიფოს ნებაზე. ასე რომ საკითხი, პასუხისმგებლობის რომელი რეჟიმი გამოიყენება ინდივიდის უფლების კონკრეტულ დარღვევასთან დაკავშირებით, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის დარღვევას აქვს ადგილი — ინდივიდუალური უფლებისას თუ ადამიანის უფლებისას.

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის სამართლის მიზნებისათვის, ადამიანის უფლებები განეკუთვნება მრავალმხრივი საერთაშორისო ვალდებულებების კატეგორიას, ანუ იმ ვალდებულებათა კატეგორიას, რომლებიც იცავს არა ცალკეული სახელმწიფოების, არამედ მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესებს. ეს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა მარეგულირებელი ნორმებისა და ვალდებულებების განსაკუთრებულ ნიშან-თვისებას, რომელიც მათ ორდინარული ნორმებისა და ვალდებულებებისაგან განასხვავებს.

ზოგადად, საერთაშორისო სამართალი მიიჩნევა სისტემად, რომელიც უფლებებსა და ვალდებულებებს წარმოუქმნის უშუალოდ სახელმწიფოებს. შესაბამისად, ეს უფლებები და ვალდებულებები უნდა განასახიერებდეს ამ სახელმწიფოთა ინდივიდუალურ ინტერესებს. მიუხედავად იმისა, თუ რა წყაროს ეფუძნება ესა თუ ის საერთაშორისო ვალდებულება — ჩვეულებით სამართალს, ორმხრივ თუ მრავალმხრივ ხელშეკრულებებს — იგი მიიჩნევა ცალკეული სახელმწიფოების ინდივიდუალური ინტერესების დამცველად. თუ სახელმწიფოს მიმართ არსებული

[12] *LaGrand* case, International Court of Justice, General List No. 121, 2001.

ვალდებულება დაირღვა, სამართალდარღვევის შედეგების ლიკვიდაცია უნდა მოხდეს დაზარალებული და დამრღვევი სახელმწიფოების ორმხრივი ურთიერთობების ფარგლებში. მაგალითად, თუ ორ ქვეყანას შორის არსებობს სავაჭრო ან სატრანზიტო ხელშეკრულება, იგი მხოლოდ ამ ორი სახელმწიფოს ინტერესებს იცავს. თუ ერთ-ერთი სახელმწიფო ხელშეკრულებას დაარღვევს, მაგალითად, ხელშეკრულებასთან შეუსაბამო ტარიფის დაწესების გზით, იგი ამით მხოლოდ ხელშეკრულების მეორე მხარის ინტერესებს ხელყოფს. მხოლოდ ეს მეორე სახელმწიფოა დაზარალებული და სხვა არავინ. მსგავსი სიტუაცია გვხვდება უნივერსალური ნორმების შემთხვევაში. სახელმწიფოთა ტერიტორიული ზღვის რეჟიმი, რომელიც რეგულირდება გაერო-ს 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენციით და ასევე ჩვეულებითი სამართლით, იცავს ცალკეული სახელმწიფოს ინდივიდუალურ ინტერესებს. თუ ერთი რომელიმე სახელმწიფო დაარღვევს მეორე სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვის რეჟიმს, მაგალითად, უკანონო თევზჭერის წარმოების გზით, დაზარალებული მხოლოდ ეს მეორე სახელმწიფოა და სხვა არავინ. მხოლოდ ამ სახელმწიფოს აქვს უფლება მოითხოვოს, რომ დამრღვევმა სახელმწიფომ შეწყვიტოს უკანონო ქმედება და მოახდინოს ზიანის ანაზღაურება. ეს მათი ორმხრივი ურთიერთობის საქმეა.

ამის პარალელურად არსებობს მთელი რიგი ფუნდამენტური ვალდებულებებისა, რომელთა დაცვა ორმხრივობის საფუძველზე არც ერთი სახელმწიფოს სამართლებრივ ინტერესებში არ იქნებოდა და რომლებიც, შესაბამისად, მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესების საგანს წარმოადგენს. ეს გამოიხატება ***erga omnes*** ვალდებულებების აღიარებაში. მათი განსაზღვრება საერთაშორისო სასამართლომ მოგვცა ***Barcelona Traction***-ის საქმეზე (1970):

„33. ...არსებითად უნდა განსხვავდეს ერთმანეთისაგან ის ვალდებულებები, რომლებიც სახელმწიფოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ აკისრია და ის ვალდებულებები, რომლებიც სახელმწიფოს წარმოექმნება სხვა სახელმწიფოს მიმართ დიპლომატიური დაცვის სფეროში. პირველი თავისი ბუნებით წარმოადგენს ყველა სახელმწიფოს პრობლემას. მათში მოცემული უფლებების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ყველა სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს მათი დაცვის ინტერესი. ეს არის ***erga omnes*** ვალდებულებები.

34. კერძოდ, ასეთი ვალდებულებები წარმოიშობა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში აგრესიის აქტის, გენოციდის კანონგარეშე გამოცხადებიდან, იმ პრინციპებსა და ნორმებიდან, რომლებიც ეხება ადამიანის ძირითად უფლებებს, მონობისა და რასობრივი დისკრიმინაციის ჩათვლით. ზოგი მათგანი დამკვიდრდა საერთო საერთაშორისო სამართალში; სხვები მოცემულია უნივერსალური ან კვაზიუნივერსალური ხასიათის საერთაშორისო დოკუმენტებში.“[13]

საერთაშორისო სასამართლოს მიდგომა მიანიშნებს, რომ ***erga omnes*** ვალდებულება არის საერთაშორისო ვალდებულებათა თვისობრივად განსხვავებული ტიპი, რომლის დაცვაშიც დაინტერესებულად ითვლება ყველა სახელმწიფო, მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა. შესაბამისად, ყველა სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს პრეტენზია ამ ვალდებულებათა დარღვევასთან დაკავშირებით.[14]

[13] ICJ Reports, 1970; *Interpretation of the Genocide Convention* (Advisory Opinion), ICJ Reports, 1951.

[14] *erga omnes* ვალდებულებების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. Meron, *Human Rights and Humanitarian Norms as Customary Law* (1989), 188-201.

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ პროექტზე მუშაობისას გაერო-ს საერთაშორისო სამართლის კომისიამ ***Barcelona Traction***-ის საქმეზე ხაზგასმულ „არსებით განსხვავებაზე" დაყრდნობით აღნიშნა, რომ მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ არსებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის დასმის უფლება აქვს ნებისმიერ სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, მიადგა თუ არა მას უშუალო ზიანი შესაბამისი არამართლზომიერი აქტის შედეგად.[15]

როდესაც სახელმწიფო წამოჭრის სხვა სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის საკითხს, მას უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მოქმედებს არა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის აგენტი. მას შეუძლია მოითხოვოს სამართალდარღვევის შეწყვეტა და განუმეორებლობის გარანტიების მიღება. რაც შეეხება კომპენსაციას, მისი მოთხოვნა სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ უშუალოდ დაზარალებული პირების ინტერესებიდან გამომდინარე, ანუ – არა თავად ამ სახელმწიფოსათვის, არამედ უშუალოდ დაზარალებული პირებისათვის. ეს განასხვავებს ადამიანის უფლებათა კონტექსტს ტრადიციული დიპლომატიური დაცვის ურთიერთობების კონტექსტისაგან. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინდივიდის უფლების დარღვევაზე პრეტენზიის განცხადების უფლება აქვს მხოლოდ მისი მოქალაქეობის სახელმწიფოს. შესაბამისად, თუმცა მოქალაქეობის სახელმწიფო, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურებას, კერძოდ კი კომპენსაციას, ითხოვს მისი მოქალაქის დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით და მოთხოვნილი კომპენსაციის მოცულობა შეესაბამება დარღვევის ბუნებასა და მოცულობას, კომპენსაციის მოთხოვნა ხდება მოქალაქეობის სახელმწიფოს, და არა დაზარალებული ინდივიდის, სახელით. მიღებული კომპენსაცია ეკუთვნის მოქალაქეობის სახელმწიფოს, რომელიც, პრინციპში, არ არის ვალდებული გადასცეს ამოღებული კომპენსაცია მის დაზარალებულ მოქალაქეს (თუმცა უმეტეს შემთხვევებში დაზარალებული ინდივიდი იღებს ამ თანხას). ამისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა კონტექსტში საერთაშორისო სამართალი უშუალოდ მიუთითებს, რომ კომპენსაციის მოთხოვნა მოხდეს უშუალოდ დაზარალებული ინდივიდის სახელით და მასვე გადაეცეს.

აღნიშნული განსხვავება, რომელიც სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის მეორად სამართლებრივ ურთიერთობებს უკავშირდება, ემყარება იმ პირველადი საერთაშორისო ვალდებულებების ბუნებასა და ეფექტს, რომელთა დარღვევასთან მიმართებით დგება საერთაშორისო პასუხისმგებლობა. თუ ინდივიდის უფლება დაირღვა იმ ნორმის დარღვევით, რომელიც ტრადიციული ორმხრივი საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობების კონტექსტში მოქმედებს, როგორც პრეტენზიის წამოყენება, ისე უშუალოდ ინდივიდისათვის ზიანის ანაზღაურება დამოკიდებულია მოქალაქეობის სახელმწიფოს ნებაზე. მეორე მხრივ, თუ ინდივიდის უფლება დაირღვა მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესების დამცველი ნორმის დარღვევით, მაშინ ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს უფლება წამოჭრას პასუხისმგებლობის საკითხი, მოქალაქეობის სახელმწიფოს ნებისა და პოზიციის მიუხედავად, კომპენსაცია კი ეკუთვნის უშუალოდ დაზარალებულ ინდივიდს. ამ პოზიციას ემხრობა საერთაშორისო სამართლის კომისიის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თუ სახელმწიფო აცხადებს პრეტენზიას ადამიანის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით და მოითხოვს კომპენსაციას, მან უნდა დაამტკიცოს, რომ იგი მოქმედებს უშუალოდ დაზარალებული ინდივიდის, და არა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.[16]

[15] Commentary to Article 48, in Crawford, *The International Law Commission's Articles on State Responsibility* (2002), 278. ამასთანავე, კომისიამ აღნიშნა, რომ მისი ამოცანა მდგომარეობს მხოლოდ *erga omnes* ვალდებულებების დარღვევის შედეგების განსაზღვრაში და არა იმ ვალდებულებების ამომწურავი ჩამონათვალის დადგენაში, რომლებიც *erga omnes* ხასიათს ატარებს (იქვე).

ინდივიდუალურ უფლებასა და ადამიანის უფლებას შორის განსხვავების ილუსტრირება შეიძლება კონკრეტული მაგალითებითაც. მაგალითად, უცხოელი მოქალაქის საკუთრებაში მყოფი საწარმოს კონფისკაცია ან ექსპროპრიაცია სათანადო კომპენსაციის გადახდის გარეშე წარმოადგენს ინდივიდუალური უფლების დარღვევას და პრეტენზიის წაყენების უფლება აქვს მხოლოდ მოქალაქეობის სახელმწიფოს დიპლომატიური დაცვის ფარგლებში. ხოლო იმავე უცხოელი მოქალაქის წამების ფაქტი წარმოადგენს ადამიანის უფლების დარღვევას, რაც სამართლებრივ ინტერესს წარმოუქმნის არა მარტო ამ ადამიანის მოქალაქეობის სახელმწიფოს, არამედ ყველა სხვა სახელმწიფოს, რომელიც უფლებამოსილია იმოქმედოს საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესებში.

შემდეგი საკითხი, რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის რეჟიმს უკავშირდება, არის კონტრზომების საკითხი. ზოგადად, კონტრზომა მდგომარეობს იმაში, რომ არამართლზომიერი აქტით ხელყოფილ სახელმწიფოს უფლება აქვს არ შეასრულოს მისი ესა თუ ის ვალდებულება დამრღვევი სახელმწიფოს მიმართ. ადამიანის უფლებათა კონტექსტში ამ საკითხის მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, აქვს თუ არა სახელმწიფოს, რომელსაც ადამიანის უფლებათა დარღვევით უშუალო ზიანი არ მიდგომია, უფლება შეუფარდოს კონტრზომები დამრღვევ სახელმწიფოს, მაგალითად, დაარღვიოს სავაჭრო ან სატრანზიტო ხელშეკრულება, რომელიც მას და დამრღვევ სახელმწიფოს შორის მოქმედებს. საერთაშორისო სამართლის კომისიამ ამ საკითხის განხილვისას გაითვალისწინა, რომ არსებობს გარკვეული პრაქტიკა ამ მიმართებით, როდესაც გარკვეული სახელმწიფოები იყენებენ კონტრზომებს ადამიანის უფლებათა დარღვევების საპასუხოდ. ეს პრაქტიკა მოიცავს სახელმწიფოების რეაქციას 70-90-იან წლებში მომხდარ ადამიანის უფლებათა მასიურ დარღვევაზე, როგორებიცაა, მაგალითად: შეერთებული შტატების მიერ უგანდაში მასიური დარღვევების საპასუხოდ ამ ქვეყნიდან საქონლისა და პროდუქციის იმპორტის აკრძალვა; პოლონეთში ადამიანის უფლებების დარღვევის საპასუხოდ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ავიაკომპანიების დასავლეთის ქვეყნებში რეისების გაუქმება; კოლექტიური კონტრზომები იუგოსლავიის, ერაყის, სამხრეთ აფრიკის მიმართ.[17] მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართლის კომისიამ აღნიშნა, რომ მოცემული პრაქტიკა არ არის საკმარისად ერთგვაროვანი და ჩამოყალიბებული, რათა საფუძველი დაუდოს სახელმწიფოთა უფლებას დააკისრონ კონტრზომები სხვა სახელმწიფოებს ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების საპასუხოდ. კომისიამ მოიშველია დიდი ბრიტანეთის პოზიცია მის მიერ კოსოვოში მიმდინარე მოვლენების საპასუხოდ იუგო-

[16] Crawford, *The International Law Commission's Articles on State Responsibility* (2002), 279.

[17] Commentary to Article 54, in Crawford, *The International Law Commission's Articles on State Responsibility* (2002), 303-304.

სლავიის ავიაკომპანიის რეისების გაუქმებასთან დაკავშირებით. დიდი ბრიტანეთის პოზიციით, ეს მოქმედება გამომდინარეობდა არა მისი იურიდიული უფლებიდან – გამოეყენებინა კონტრზომა, არამედ კოსოვოში მიმდინარე მოვლენებისადმი მისი მორალური დამოკიდებულებიდან. ასეთი არაერთგვაროვანი პრაქტიკის ფონზე საერთაშორისო სამართლის კომისიამ მიზანშეუწონლად მიიჩნია მიეღო დებულება, რომელიც სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევების საპასუხოდ კონტრზომების გამოყენების უფლებას დაადასტურებდა.[18]

მიუხედავად საერთაშორისო სამართლის კომისიის თავშეკავებული მიდგომისა, პრაქტიკის არაერთგვაროვნება, როგორც ასეთი, არ შეიძლება იყოს გადამწყვეტი გარემოება ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების საპასუხოდ კონტრზომების გამოყენებისათვის. მიგვაჩნია, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დარღვეული პირველადი ვალდებულების ბუნებასა და ეფექტს. თუ ვალდებულება იცავს მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესებს და აძლევს ნებისმიერ სახელმწიფოს პრეტენზიის გაცხადების უფლებას, ეს ფაქტი საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს მიეცეს კონტრზომების გამოყენების უფლებაც.

იურიდიულ ლიტერატურაში, პრაქტიკის ნაკლოვანებების მიუხედავად, ამ მოსაზრების საკმაო მხარდაჭერაა გამოხატული. მაგალითად, გერმანელი იურისტი, ბრუნო სიმა, ამართლებს მოსაზრებას, რომ ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევის შემთხვევაში ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს კონტრზომებისთვის მიმართვის უფლება.[19] ფროვაინსაც მიაჩნია, რომ სახელმწიფოებს აქვთ უფლება გაატარონ საპასუხო ღონისძიებები, მაგალითად, სავაჭრო ემბარგო.[20] შვეიცარელი იურისტი, კრისტიან დომინისი კი უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ სახელმწიფოებს აქვთ კონტრზომების გამოყენების უფლება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არსებობს მოცემულ დარღვევასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის ინსტიტუციური მექანიზმები.[21] ისიც აღინიშნება, რომ თუ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული *erga omnes* ვალდებულებების დარღვევის საპასუხოდ კონტრზომების გამოყენება არ დაიშვება, ამ ვალდებულებების განხორციელება და შესრულება ვერ მოხდება.[22] როგორც იტალიელი იურისტი, ჯ. გაია, აცხადებს, არაპირდაპირ ხელყოფილი სახელმწიფოების მიერ კონტრზომების გამოყენების უფლება პირდაპირ კავშირშია მოცემულ კონტექსტში საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესების დაცვასა და უზრუნველყოფასთან.[23]

ყოველივე აღნიშნული მოწმობს, რომ ადამიანის უფლებათა სერიოზული და მასიური დარღვევის შემთხვევაში, ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს უფლება გაატაროს დამრღვევი სახელმწიფოს მიმართ არაძალისმიერი ეკონომიკური იძულებითი

[18] Id., 304-305.

[19] Simma, Injury and Countermeasures, in Weiler, Cassese & Spinedi (ed.), *International Crimes of State* (1989), 313; Simma, Bilateralism and Community Interest in the Law of State Responsibility, in Dinsterin & Tabori (ed.), *Festschrift Rosenne* (1989), 842.

[20] Frowein, Staatengemeinschaftsinteresse – Probleme bei Formulierung und Durchsetzung, Hailbronner, Ress & Stein (Hrsg.), *Staat und Völkerrechtsordnung*, Festschrift für Karl Doehring (1989), 228.

[21] Dominice, The International Responsibility of States for Breach of Multilateral Obligations, 10 *European Journal of International Law* (1999), 362-363.

[22] Shapira, The erga omnes Applicability of Human Rights, 30 *Archiv des Völkerrechts* (1992), 22.

[23] Gaja, in Weiler, Cassese & Spinedi (ed.), *International Crimes of State* (1989), 155-156.

ღონისძიებები. ამ მოსაზრების დამაჯერებლობას ეჭვქვეშ ვერ აყენებს ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო სამართლის კომისიის პროექტში ამ საკითხთან დაკავშირებით ხარვეზია დატოვებული. თავად კომისიის პროექტის 54-ე მუხლიც მიუთითებს, რომ საერთაშორისო სამართლის კომისიის პოზიცია არ ზღუდავს სახელმწიფოების უფლებას გაატარონ კანონიერი ღონისძიებები ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების მიმართ. კანონიერია თუ არა ესა თუ ის ღონისძიება, უნდა განისაზღვროს საერთო საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით და ამ მიმართებით დარღვეული პირველადი ვალდებულების ბუნება და მისი იურიდიული შედეგები გადამწყვეტ კრიტერიუმებს წარმოადგენს.

გაკეთებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადამიანის უფლებები წარმოადგენს სპეციფიურ საფუძველს სახელმწიფოების უფლებისათვის გამოიყენონ კონტრზომები. ამის პარალელურად, ადამიანის უფლებები, გარკვეულწილად, ზღუდავს სახელმწიფოების უფლებაუნარიანობას ამ მიმართებით. კონტრზომა ითვლება აკრძალულად, თუ იგი თავად იწვევს ადამიანის უფლებების დარღვევას. ეს ადასტურებს ადამიანის უფლებათა განსაკუთრებულ იერარქიულ სტატუსს საერთაშორისო სამართალში. მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოებს საერთაშორისო სამართლის მიხედვით აქვთ კონტრზომების გამოყენების სუვერენული უფლება, ეს უფლება იზღუდება ადამიანის უფლებების მარეგულირებელი ნორმებით. სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ საერთაშორისო სამართლის კომისიის პროექტის 50-ე მუხლის 1(b) პუნქტის მიხედვით, კონტრზომების გატარებით არ უნდა დაირღვეს ის ვალდებულებები, რომლებიც ასახავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.

როგორც აღინიშნა, დაუშვებელია კონტრზომების გამოყენებით *erga omnes* ვალდებულებების დარღვევა.[24] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებული უფლებების კონტრზომის მეშვეობით დარღვევის უფლებას საერთაშორისო სამართალი არ იძლევა.[25]

აღნიშნული ნორმა კავშირშია პარალელურ მოთხოვნასთან, რომელიც მოცემულია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციაში. მისი მე-60 მუხლი ეხება სახელმწიფოს უფლებას გააუქმოს საერთაშორისო ხელშეკრულება, თუ მეორე მხარე ამ ხელშეკრულებას არსებითად არღვევს. მე-60 მუხლის მე-3 პუნქტით, არსებით დარღვევას ადგილი აქვს, თუ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფო უარს აცხადებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებზე ვენის კონვენციასთან შეუსაბამო გზით ან არღვევს ხელშეკრულების ისეთ დებულებას, რომელიც არსებითია ამ ხელშეკრულების ობიექტისა და მიზნის მისაღწევად.

თუ სახელმწიფოს მხრიდან ადგილი აქვს ასეთ მოქმედებას, ხელშეკრულების სხვა მხარეებს უფლება აქვთ გაწყვიტონ ხელშეკრულება. თუმცა მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს შეზღუდვას ამ ზოგადი ნორმის მოქმედებაზე: ხელშეკრულების გაუქმების უფლება არ ვრცელდება იმ ჰუმანიტარული ხასიათის ხელშეკრულება-

[24] Tanzi, Is Damage a Distinct Condition for the Existence of an Internationally Wrongful Act? Spinedi & Simma (ed.), *United Nations Codification on State Responsibility* (1988), 31.

[25] Zemanek, The Unilateral Enforcement of International Obligations, 47 *Zeitschrift für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht* (1987), 39-40.

ზე, რომლებიც ადამიანის უფლებებს იცავს. ამას შეესაბამება საერთაშორისო სასამართლოს პოზიცია, რომელიც გამოხატულია ნამიბიის შესახებ საკონსულტაციო დასკვნაში, სადაც საერთაშორისო სასამართლომ მიანიშნა, რომ სახელმწიფოებმა არ უნდა გამოიყენონ სამხრეთ აფრიკასთან დადებული ხელშეკრულებები, როდესაც მათი გამოყენება ამ სახელმწიფოს უკანონო ოკუპაციის ქვეშ მყოფ ნამიბიას ეხება. მაგრამ საერთაშორისო სასამართლომ იქვე დაამატა, რომ ეს პრინციპი არ ვრცელდება ადამიანის უფლებათა დამცავ მრავალმხრივ ხელშეკრულებებზე, რომელთა მიზანია ნამიბიის მოსახლეობის, როგორც ასეთის, უფლებებისა და ინტერესების დაცვა.[26]

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის სამართლის ნორმა, რომელიც კრძალავს კონტრზომებს ადამიანის უფლებების წინააღმდეგ და საერთაშორისო ხელშეკრულებების სამართლის ნორმა, რომელიც კრძალავს ადამიანის უფლებათა დამცავი ხელშეკრულებების ნაცვალგების საფუძველზე შეწყვეტას, საერთო კონცეპტუალურ საფუძველს ემყარება. ეს საფუძველია ადამიანის უფლებების ნორმატიული ბუნება. ადამიანის უფლებათა დამცავი ნორმები იცავს მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის, და არა ცალკეული სახელმწიფოების, ინტერესებს. შესაბამისად, აღნიშნული ნორმები იერარქიულად უფრო მაღლა დგას, ვიდრე სახელმწიფოთა ჩვეულებრივი ვალდებულებები. ამ უკანასკნელთა მოქმედებასა და შესრულებასთან დაკავშირებული ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები არ ახდენს სამართლებრივ გავლენას იმ ფუნდამენტურ ვალდებულებებზე, რომლებიც სახელმწიფოებს მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ეკისრებათ.

4. დასკვნა

წინამდებარე სტატიაში განხილული პრობლემები ადასტურებს ადამიანის უფლებათა მარეგულირებელი ნორმების მრავალფეროვან და მრავალგანზომილებიან ხასიათს. ერთი მხრივ, ადამიანის უფლებები ნებისმიერ სიტუაციაში ემყარება სრულფასოვან საერთაშორისო ვალდებულებებს და ბადებს კონკრეტულ შედეგებს სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის სამართლის სფეროში. ამის მაგალითია ეკონომიკურ და სოციალურ უფლებათა საერთაშორისო პაქტით დადგენილი რეჟიმი. მეორე მხრივ, ადამიანის უფლებები, გამოხატავს რა მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის ლეგიტიმურ ინტერესებს, ბადებს სპეციფიკურ შედეგებს დარღვევაზე რეაქციის თვალსაზრისით. ეს გამოიხატება იმით, რომ ადამიანის უფლებების სისტემატური და მასიური დარღვევისას ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს უფლება დამრღვევი სახელმწიფოების მიმართ გამოიყენოს არაძალისმიერი კონტრზომები, მათ შორის ეკონომიკური და სავაჭრო სანქციების სახით.

[26] *ICJ Reports*, 1971, 55.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი

მერაბ ტურავა

შესავალი

1998 წლის 15 ივნისიდან 17 ივლისამდე რომში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, ჩატარდა სახელმწიფოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლების დიპლომატიური კონფერენცია, რომლის მიზანი იყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაარსება. იგი მიიწვიეს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის საფუძველზე.[1] ცხრაწლიანი მოსამზადებელი სამუშაოებისა და თითქმის ხუთკვირიანი დისკუსიების შემდეგ[2] რომის კონფერენციაზე სახელმწიფოთა დიდმა უმრავლესობამ, მათ შორის საქართველომ, მხარი დაუჭირა ,,სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტს."[3]

სტატუტი ქმნის სამართლებრივ საფუძველს *პირველად* მსოფლიო ისტორიაში მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს შექმნისა და ფუნქციონირებისათვის. მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო, რომელიც ამოქმედდება ჰააგაში, უფლებამოსილი იქნება განახორციელოს მართლმსაჯულება მხოლოდ *ფიზიკური* პირების მიმართ, ვისაც ბრალი მიუძღვით შემდეგი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში: „გენოციდი", „დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ", „ომის დანაშაული" ან „აგრესია".[4]

რომის სტატუტიდან გამომდინარე, თითოეული სახელმწიფო ვალდებულია აღკვეთოს საერთაშორისო დანაშაულები. საერთაშორისო სასამართლოსათვის საქმის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს არა აქვს შესაძლებლობა ან სურვილი შეასრულოს სტატუტიდან გამომდინარე საერთაშორისო ვალდებულება, კერძოდ, მის ტერიტორიაზე ან მისი მოქალაქის მიერ ჩადენილი ერთ-ერთი დასახელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიმართ განახორციელოს ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა და მართლმსაჯულება. ასეთი სიტუაცია შეიძლება შეიქმნას მაშინ, როდესაც სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოთა სისტემა ომის შედეგად მოშლილია; აგრეთვე მაშინ, როდესაც სათანადო შიდასახელმწიფოებრივ ორგანოთა სისტემა იმ ადამიანების კონტროლს ექვემდებარება, რომელთაც თავად მიუძღვით ბრალი აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში, რის გამოც შეუძლებელია ეფექტიანი სისხ-

[1] იხ. გაეროს გენერალური ასამბლეის 1997 წლის 15 დეკემბრის №52/160 რეზოლუცია.

[2] 1989 წლის 4 დეკემბრის № 44/39 რეზოლუციით გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაავალა საერთაშორისო სამართლის კომისიას, ემუშავა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის საკითხზე.

[3] კენჭისყრის შედეგები ასეთია: 120-მა სახელმწიფომ ხმა მისცა სტატუტს, 7 სახელმწიფო გამოვიდა წინააღმდეგი, ხოლო 21-მა თავი შეიკავა.

[4] იხ. სტატუტის მე-5 მუხლი. „აგრესიის" დანაშაულის შემადგენლობა სტატუტით ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული.

ლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიზანს შიდასახელმწიფოებრივი მართლმსაჯულების ორგანოების შეცვლა არ წარმოადგენს, იგი არც შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების ზემდგომი ინსტანციაა, რომელიც სახელმწიფოში დადგენილი სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტილებების საერთაშორისო შემოწმებას მოახდენს.

ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, სურს თვითონ განახორციელოს თავისი სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია, თუ საქმე განსახილველად გადასცეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს. სტატუტის რატიფიკაციის შემთხვევაში, თუ სახელმწიფო თავის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას შესაბამისობაში არ მოიყვანს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის ნორმებთან, მას არ ექნება ასეთი არჩევანის შესაძლებლობა.

საერთაშორისო სასამართლოს არსებობის ძირითად წინაპირობაა „*დამატებითი იურისდიქციის*“ პრინციპი.[5] ეს პრინციპი განსხვავდება „პრიორიტეტული იურისდიქციის“ პრინციპისაგან, რომელიც გამოიყენება ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის საქმეებზე შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალებისათვის. თუ ამ სასამართლოების ბრალმდებელს სურს, საქმე განიხილოს სპეციალურმა სასამართლომ, არ გახდება საჭირო იმის გარკვევა, ხომ არ იყო არასაკმარისი მცდელობა მართლმსაჯულების ეროვნულ დონეზე განხორციელებისათვის.

ამდენად, სტატუტი იძლევა შესაძლებლობას, უპირველეს ყოვლისა, დამნაშავეები დაისაჯონ ეროვნული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შიდასახელმწიფოებრივ იურისდიქციას არ შეუძლია ან უარს ამბობს მართლმსაჯულების განხორციელებაზე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებამოსილება. გარდა ამისა, ამ სასამართლოს შეუძლია განახორციელოს თავისი იურისდიქცია იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულ დონეზე ჩასატარებელი პროცედურები არ არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც მოითხოვენ სათანადო პროცედურების ჩატარებას და რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო სამართლით ან ტარდება იმგვარად, რომ იგი შექმნილ ვითარებაში არ შეესატყვისება მისწრაფებას, შესაბამისი პირი გადაეცეს ობიექტურ და მიუკერძოებელ მართლმსაჯულებას.[6] ამდენად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არავითარ შემთხვევაში არ ცვლის ეროვნულ სასამართლო ორგანოებს, იგი მხოლოდ მართლმსაჯულების მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი სისტემის დამატებაა.

სტატუტის 126-ე მუხლის თანახმად, სტატუტი ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ივლისს.[7]

ნებისმიერი სახელმწიფო, მათ შორის საქართველო, უნდა მიისწრაფვოდეს იმ სახელმწიფოთა შორის ადგილის დამკვიდრებისაკენ, რომლებიც რომის სტატუტის რატიფიკაციას მოახდენენ. რომის სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ მოიწვევა ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა, სადაც მიიღებენ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, ჩატარდება მოსამართლეთა და ბრალმდებელთა არჩევნები, მოხდება სასამართლოს „პროცედურისა და მტკიცების წესებისა“ და „დანაშაულის ელემენტების“ (დამხმარე საშუალება სტატუტში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობების განმარტებისათვის) მიღება, სასამართლოს გაეროსთან ურთიერთობის განხილვა, პრივილეგიებისა და იმუნიტეტების განსაზღვრა სასამართლო პერსონალისათვის, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხების გადაწყვეტა.

რატიფიკაციის შედეგად შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტთან. ეს ნიშნავს, რომ მოქმედ კანონმდებლობაში შეტანილი იქნება შესაბამისი ცვლილებები ისევე, როგორც საჭიროების შემთხვევაში, მიღებულ იქნება შესაბამისი კანონები, რათა სახელმწიფოს ჰქონდეს შესაძლებლობა დამოუკიდებლად განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირების მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს ისეთი დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთა დასჯადობაც შედის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში. გარდა ამისა, რომის სტატუტში დეტალურად არის მოცემული თანამშრომლობის პროცედურა, რაც შესაბამისად უნდა აისახოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. თითოეულმა სახელმწიფომ ინდივიდუალურად უნდა განსაზღვროს სტატუტის იმპლემენტაციის ხარისხი და ტიპი, ვინაიდან ყველა სახელმწიფოს მეტ-ნაკლებად განსხვავებული საკანონმდებლო ბაზა აქვს.

რომის სტატუტის რატიფიკაციასთან დაკავშირებით არსებობს სახელმწიფოთა ორი განსხვავებული პოზიცია:

1) სახელმწიფოთა ერთმა ჯგუფმა ჯერ მოახდინა სტატუტის, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულების, რატიფიკაცია, ხოლო შემდეგ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანა სტატუტის ნორმებთან. იმდენად, რამდენადაც სასამართლოს შექმნამდე გარკვეული დროის მონაკვეთი არსებობდა, სახელმწიფოს ჰქონდა ასეთი შესაბამისობის შესაძლებლობა, ვინაიდან სტატუტიდან გამომდინარე ვალდებულებები სამართლებრივი თანამშრომლობის სფეროში უცბად არ ამოქმედებულა.

2) სახელმწიფოთა მეორე ჯგუფმა ჯერ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას შეუსაბამა სტატუტის ნორმები და შემდეგ მოახდინა ამ უკანასკნელის რატიფიკაცია ან სტატუტის რატიფიკაციისათვის წარდგენის დროს ასევე წარადგინა იმ ცვლილებათა პროექტი, რომელიც მოითხოვს სტატუტის რატიფიკაციას.

საქართველოსათვის პირველი გზა მიუღებელია, ვინაიდან საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ ითვალისწინებს დებულებას იმის შესახებ, რომ დაუშვებელია საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია, რომელიც ეწინააღმდეგება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად აუცილებელია საერთაშორისო ხელშეკრულების სარატიფიკაციოდ წარდგენასთან ერთად პარლამენტს წარედგინოს პროექტი იმის შესახებ, თუ რა ცვლილებებს იწვევს ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. ამ კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, „სისხლის სამართლის საერთაშორისო

[5] „დამატებითი იურისდიქციის“ პრინციპმა ასახვა პოვა სტატუტის მე-17 მუხლში.

[6] იხ. სტატუტის მე-20 მუხლი.

[7] დღეისათვის არსებული მონაცემებით, სტატუტს ხელი მოაწერა 139-მა სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ. ამ უკანასკნელმა ეს ხელმოწერა განახორციელა 1998 წლის 18 ივლისს, მაგრამ ხელშეკრულების რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტს ჯერ არ მოუხდენია. 2002 წლის 1 ივნისის მონაცემებით, კონვენციის რატიფიკაციათა რიცხვმა 67-ს მიაღწია.

სასამართლოს სტატუტი" ეკუთვნის იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა რიცხვს, რომლის სავალდებულოდ აღიარებისათვის თანხმობას საქართველოს პარლამენტი რატიფიკაციის (ან შეერთების) გზით გამოხატავს. ასეთ საერთაშორისო ხელშეკრულებას საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის (ან მასთან შეერთებისათვის) წარუდგენს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი. ამ კანონის მე-15(2) მუხლის მიხედვით, რატიფიცირებისათვის (ან შეერთებისათვის) წარდგენილ ხელშეკრულებას უნდა ახლდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნა საქართველოს კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობისა და შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ. კანონის მე-15(4) მუხლის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი რატიფიკაციისათვის (ან შეერთებისათვის) წარდგენილ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანონპროექტს საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

1. მოკლე ისტორიული ექსკურსი

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის იდეას ასი წლის ისტორია აქვს. ეს საკითხი პირველად 1899 წელს წამოიჭრა, საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ ჰააგის I კონვენციასთან დაკავშირებით. მთელი ამ ხნის მანძილზე შეიქმნა არანაკლებ 11 ოფიციალური და 10 არაოფიციალური პროექტი. ესენია ორგანიზაციების ან ცალკეული მეცნიერების მიერ შემუშავებული პროექტები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის შესახებ. ასევე შემუშავდა საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდექსის, როგორც კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტის, 3 პროექტი.

რომის 1998 წლის სტატუტს წინ უძღოდა ერთსაუკუნოვანი მისწრაფება საერთაშორისო სასამართლოს შექმნისათვის. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იდეა განსაკუთრებით აქტუალური ხდებოდა იმ დროს, როდესაც, სისხლისმღვრელი ომების შედეგად, ადამიანთა მართლშეგნება განსაკუთრებით იზრდებოდა. საუკუნის განმავლობაში ომებისა თუ ტერორისტული აქტების განხორციელების შემდეგ რამდენჯერმე გამოითქვა ასეთი სასამართლოს შექმნის სურვილი, მაგრამ უშედეგოდ. ასე იყო პირველი მსოფლიო ომისა და ვერსალის ხელშეკრულების შემდეგ; მოგვიანებით, 1919 წელს, თურქეთის მხრიდან სომხების მიმართ განხორციელებული გენოციდის შემდეგ; ასევე იუგოსლავიის მეფის ალექსანდრე I-ის მკვლელობის შემდეგ, როდესაც 1937 წელს ერთა ლიგის მიერ მიღებული ანტი-ტერორიზმის კონვენცია საერთაშორისო სასამართლოს შექმნას ითვალისწინებდა, მაგრამ მისი რატიფიცირება არ მოხდა.

თანამედროვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს აღმოცენების ისტორია იწყება წარუმატებელი წინადადებით ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო ტრიბუნალი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კი ნიურნბერგისა და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალებმა მსოფლიო საზოგადოების თვალთახედვის არეში წინა პლანზე წამოსწიეს მუდმივმოქმედი სასამართლოს შექმნის აუცილებლობა.

საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდიფიკაციის დასაწყისად და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ჩანასახად შეიძლება მივიჩნიოთ 1945

წლის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება და 1946 წლის ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი. აღნიშნული დოკუმენტებისათვის იურიდიული ძალის მინიჭების მიზნით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1946 წლის დეკემბერში სპეციალური რეზოლუციით დაადასტურა ნიურნბერგის ტრიბუნალის სტატუტით აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპები.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი საერთაშორისო სასამართლოს შესაქმნელად გადაიდგა 1948 წლის კონვენციით გენოციდის შესახებ. 1948 წლის 9 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო *კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისი დასჯადობის შესახებ*. ამ კონვენციის მე-6 მუხლი ითვალისწინებდა აღნიშნული სასამართლოს შექმნას.

1949-1954 წლებში გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისია ამუშავებს პროექტს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესახებ, მაგრამ პროექტის შემუშავება ჩერდება „ცივი ომის" ძლევამოსილი სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობის გამო. 1981 წლის დეკემბერში გენერალურმა ასამბლეამ სთხოვა საერთაშორისო სამართლის კომისიას, დანაშაულთა კოდექსის ჩამოყალიბების საკითხს დაბრუნებოდა. 1989 წელს „ცივი ომის" დასასრულმა გაზარდა გაეროს მშვიდობიანი ოპერაციების რიცხვი და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის იდეა უფრო აქტუალური გახადა.

1989 წლის ივნისში, ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით, *ტრინიდადმა და ტობაგომ* ხელახლა დააყენეს წინადადება სასამართლოს დაფუძნების შესახებ. გენერალურმა ასამბლეამ საერთაშორისო სამართლის კომისიას სტატუტის პროექტის მომზადება დაავალა, ხოლო 1992 წელს მასზე მუშაობის დასრულება მოსთხოვა.

1992 წელს ბოსნია-ჰერცოგოვინაში ომის, გენოციდისა და ჟენევის კონვენციების დარღვევებმა და მათთვის დროებითი *ad hoc* ტრიბუნალის დაფუძნებამ (1993 წელს) გააძლიერა დისკუსიები მუდმივი სასამართლოს ჩამოყალიბების შესახებ.

1993 წელს საერთაშორისო სამართლის კომისიამ გენერალურ ასამბლეას განხილვისათვის წარუდგინა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის პროექტი.

1994 წლის რუანდის ომმა უშიშროების საბჭო იძულებული გახადა დაეფუძნებინა მეორე *ad hoc* ტრიბუნალი რუანდისათვის.

1994 წელს საერთაშორისო სამართლის კომისიამ გენერალურ ასამბლეას წარუდგინა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის საბოლოო პროექტი და ურჩია მოეწვია დიპლომატიური კონფერენცია, რათა განეხილათ შეთანხმება და მიეღოთ სტატუტი, რომელიც მალე ამოქმედდებოდა. გენერალურმა ასამბლეამ შექმნა *ad hoc* კომიტეტი, რათა მას განეხილა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის პროექტი.

1995 წელს *ad hoc* კომიტეტმა გამართა სამი ორკვირიანი შეხვედრა გაეროს შტაბბინაში. ამავე წლის დეკემბერში გენერალურმა ასამბლეამ ჩამოაყალიბა მოსამზადებელი კომიტეტი, რომელსაც უნდა დაესრულებინა სტატუტის ტექსტი დიპლომატიურ კონფერენციაზე წარსადგენად.

1996-1998 წლებში გენერალურმა ასამბლეამ მოიწვია მოსამზადებელი კომიტეტის ექვსი შეხვედრა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის პროექტზე მუშაობის გასაგრძელებლად.

1997 წლის სექტემბერში სამხრეთ აფრიკის განვითარების კავშირის 14 ერმა წარადგინა 10 მთავარი პრინციპი, რომელიც, მათი აზრით, უნდა ჩადებულიყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტში.

1997 წლის დეკემბერში გაერთიანებული სამეფო უშიშროების საბჭოს სხვა მუდმივი წევრებისგან განსხვავებულ პოზიციაზე დადგა. მან უარყო *სინგაპურის შეთანხმების* მოსაზრება შეზღუდულიყო უშიშროების საბჭოს ზეგავლენა სასამართლოზე.

1998 წლის იანვარში მუშა ჯგუფების თავმჯდომარეები და მოსამზადებელი კომიტეტის კოორდინატორები შეხვდნენ ზუთვენში (ჰოლანდია), რათა შეთანხმებულიყვნენ მოსამზადებელი კომიტეტის უკანასკნელ სამუშაოზე. *ზუთვენის მოხსენებამ* აარჩია სტატუტის სხვადასხვა პროექტი, რომლებიც შემუშავდა მოსამზადებელი კომიტეტის ორი წლის მუშაობის მანძილზე.

1998 წლის 26 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, მადლენ ოლბრაიტისადმი მიწერილ წერილში შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, ტესს ჰელმსმა განაცხადა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი მიუღებელია სენატისათვის, თუ აშშ-ს არ ექნება სასამართლოს გადაწყვეტილებებზე ვეტოს უფლება.

ამ ისტორიული მოვლენების შემდგომ, როგორც ვთქვით, 1998 წლის 15 ივნისიდან 17 ივლისამდე რომში გაეროს ეგიდით ჩატარდა დიპლომატიური კონფერენცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დასაფუძნებლად. კონფერენციაზე სახელმწიფოთა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სტატუტს, რომელიც აწესებდა მუდმივმოქმედ სასამართლოს.

რომის სტატუტის თანახმად, ყოველი სახელმწიფო ვალდებულია აღკვეთოს საერთაშორისო დანაშაულები. სასამართლოს საქმე გადაეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს არა აქვს შესაძლებლობა, შეასრულოს აღნიშნული ვალდებულება. თვით ეს ვალდებულება წარმოიშობა არა სტატუტიდან, არამედ სხვა ხელშეკრულებებიდან, კერძოდ: 1948 წლის კონვენციიდან „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისი დასჯადობის შესახებ", 1949 წლის ჟენევის კონვენციებიდან და სხვ. გარდა სამართლებრივი ვალდებულებისა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფომ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, პირი მისცეს სამართალში შიდა სასამართლოში, თუ გადასცეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს. ასე რომ, სტატუტი იძლევა შესაძლებლობას, განვსაჯოთ დამნაშავე, პირველ რიგში, შიდასახელმწიფოებრივი სამართლით და მხოლოდ შემდგომ ამისა, სათანადო პირობების არსებობისას, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია განახორციელოს თავისი იურისდიქცია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ნიურნბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალები, რომელთა იურისდიქცია ვრცელდებოდა გერმანული და იაპონური აგრესიის დროს განხორციელებულ ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, იძლევიან ისტორიულ მაგალითს 1993 და 1994 წლებში გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი *ad hoc* სასამართლოებისათვის ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მიმართ ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ტერიტორიებზე.

ორივე ეს სასამართლო შეიქმნა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით. გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად, იგი შეიქმნა როგორც იურიდიული ინტერვენციის საშუალება „სამართლიანობის გზით მშვიდობის" აღდგენისა და განმტკიცებისათვის.

რომის კონფერენციაზე შეჯამდა განვლილი მიღწევები საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში. ამასთან, ამავე სფეროში დიდი ნაბიჯი გადაიდგა: სახელმწიფოთა რომის დიპლომატიურმა კონფერენციამ შექმნა არა *ad hoc* სასამართლო ან საერთაშორისო სასამართლო ორგანო გაეროს რეზოლუციით, არამედ სრულიად ახალი, მუდმივმოქმედი და დამოუკიდებელი საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანო, რომელიც შეიქმნა პირდაპირ სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების მიერ. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 162 სახელმწიფო. როგორც აღვნიშნეთ, 120 სახელმწიფო მოწონებით შეხვდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის იდეას.

2. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია

სტატუტის მე-12 მუხლით, სახელმწიფო, რომელიც სტატუტის ხელშეკრულების მონაწილე ხდება, აღიარებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ავტომატურ იურისდიქციას ამ სტატუტის მე-5 მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულების მიმართ (გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ომის დანაშაულები და აგრესია). ეს ე.წ. ავტომატური იურისდიქცია („*inherent jurisdiction*") საერთაშორისო სამართლის კომისიის 1994 წლის პროექტში მხოლოდ გენოციდის დანაშაულისათვის იყო გათვალისწინებული, ხოლო სხვა დანარჩენი დანაშაულებისთვის – არა. სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელება, რომელიც მიმართული იქნებოდა ადამიანურობისა და ომის დანაშაულების წინააღმდეგ, დამოკიდებული იყო სახელმწიფოთა კენჭისყრაზე. ზოგიერთი სახელმწიფო დისკუსიის დროს უფრო შორს წავიდა და წამოაყენა მოსაზრება, რომ სასამართლომ შეიძლება თავისი იურისდიქცია მხოლოდ მაშინ განახორციელოს, როდესაც: (ა) სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც დანაშაული მოხდა, (ბ) სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც ამ ქმედების ჩამდენი პირია, (გ) სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც მსხვერპლია და (დ) სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე ეჭვმიტანილი დაკავებულ იქნა, გასცემს ინდივიდუალურ თანხმობას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ თავისი იურისდიქციის განხორციელების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის განხორციელება დაეწყო, სასამართლოს უნდა მიეღო კუმულაციური თანხმობა ყველა „მონაწილე სახელმწიფოს" მხრიდან. ასეთი სისტემის შემოღება სასამართლოს ბევრ შემთხვევაში პრობლემებს შეუქმნიდა. სახელმწიფოთა წარმომადგენლების შეკრების დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მიღწეულ იქნა ე.წ. „ავტომატური იურისდიქცია", რომელიც ეფუძნება ალტერნატიულ და არა კუმულაციურ კრიტერიუმებს, ამასთან, წარმოადგენს პრობლემის მარტივ და შედეგიან გადაწყვეტას, რაც აისახა სტატუტში.

სტატუტი, ამავე დროს, ითვალისწინებს, რომ ის სახელმწიფო, რომელიც სტატუტის ხელშეკრულების მონაწილე არ არის, უფლებამოსილია სასამართლოს

იურისდიქცია სასამართლოს რეგისტრატორთან (კანცლერთან) განაცხადის წარდგენის გზით აღიაროს. აღნიშნულთან დაკავშირებით სტატუტი ამბობს, რომ ასეთი აღიარება შეიძლება მოხდეს კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით (მუხ. 12, აბზ. 3). ხელშეკრულების არამონაწილე სახელმწიფო, რომელიც სასამართლოს სტატუტს მე-12 მუხლის მე-3 აბზაცის მიხედვით აღიარებს, ვალდებულია ითანამშრომლოს სასამართლოსთან, როგორც ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფომ. ამით ის, მე-9 ნაწილიდან გამომდინარე, სტატუტში მოცემულ ყველა ვალდებულებას იღებს.

საკითხი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების შემხებლობის შესახებ, დიდი ხნის განმავლობაში იყო სადავო. მე-12 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, სასამართლოს შეუძლია განახორციელოს თავისი იურისდიქცია, როდესაც ან სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც დანაშაული იქნა ჩადენილი (დანაშაულის ჩადენის სახელმწიფო) ან სახელმწიფო, რომლის მოქალაქეობაც აქვს პირს, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში (დანაშაულის ჩამდენის სახელმწიფო), სტატუტის ხელშეკრულების მონაწილეა (ან, შესაბამისად, აღიარა იურისდიქცია მე-12 მუხლის მე-3 აბზაცის მიხედვით).

ზოგიერთი ევროპული ქვეყანა, რომელიც ერთიანდება ე.წ. ,,თანამოაზრეთა ჯგუფში", მათ შორის შვეიცარია, იმ პოზიციაზე დგას, რომ სტატუტში გათვალისწინებული იყოს კიდევ ერთი შემხებლობის პუნქტი: სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც დაკავებულ იქნა პირი, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა (დეტენციის სახელმწიფო). ეს მოთხოვნა რომის კონფერენციაზე, სამწუხაროდ, უარყოფილ იქნა, რათა სტატუტში ჩადებულიყო ე.წ. ავტომატური იურისდიქციის კონცეფცია. დანაშაულის ჩადენის ადგილისა და დამნაშავის სახელმწიფოს პრინციპის აღიარებით სახელმწიფო სტატუტის ამოქმედების პირველ ფაზაში ჯერ კიდევ არ ფლობს შესაბამის, უნივერსალური ხასიათის მქონე იურისდიქციას. სტატუტის უნივერსალური ხასიათი უნდა განსაზღვროს სტატუტის ამოქმედების შემდგომ ეტაპზე რატიფიკაციის (ან შეერთების) რიცხვის ზრდამ.

სასამართლო არ არის შეზღუდული იურისდიქციის ფარგლებით, კერძოდ, მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მისი მოქალაქის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევებით, არამედ თავის იურისდიქციას ახორციელებს აგრეთვე იმ შემთხვევებზე, როცა გაეროს უშიშროების საბჭო, გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე, პროკურორს მოახსენებს იმ ვითარების შესახებ, რომლის მიხედვითაც არსებობს ეჭვი, რომ ჩადენილია ერთი ან მეტი ამგვარი დანაშაული (მუხ. 13, „ბ" ქვეპუნქტი).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ აქ მოცემული წესებიდან ერთი გამონაკლისი 124-ე მუხლშია მითითებული, რითაც შეიძლება ისარგებლოს ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელიც სტატუტის მონაწილე ხდება. კერძოდ, ეს მუხლი ითვალისწინებს, რომ რომის სტატუტის მე-12 მუხლის 1-ლ პუნქტში მოცემული დებულებების მიუხედავად, სახელმწიფოს, როდესაც ის სტატუტის მონაწილე ხდება, შეუძლია განაცხადოს, რომ სტატუტის ძალაში შესვლიდან 7 წლის განმავლობაში ის არ ცნობს სასამართლოს იურისდიქციას მე-8 მუხლში განსაზღვრული დანაშაულის კატეგორიის მიმართ („ომის დანაშაულები"), როდესაც არსებობს ეჭვი, რომ დანაშაული ჩადენილია მისი ქვეშევრდომის მიერ ან მის ტერიტორიაზე. ეს განცხადება შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს.

2.1. კომპლემენტარობის პრინციპი

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს უფლებამოსილება შიდასახელმწიფოებრივ სისხლისსამართლებრივ დევნასთან მიმართებაში არის კომპლემენტარული. ეს ნიშნავს, რომ თვით უმძიმესი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი, რომელსაც საერთაშორისო რეზონანსი აქვს, უპირველეს ყოვლისა, გამოყენებულ უნდა იქნეს შიდასახელმწიფოებრივი სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები. ეს დებულება გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ საერთაშორისო კომისიის 1994 წლის პროექტში (პრეამბულის მე-3 აბზაცსა და პროექტის 35-ე მუხლში) და იგი რომში გამართული შეხვედრის დროს თითქმის უდისკუსიოდ მიიღეს. ეს დებულება განსხვავდება ყველა წინამორბედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, მათ შორის, ორივე – ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის - *ad hoc* ტრიბუნალების მუშაობის პრინციპებისაგან და სამართლებრივი თვალსაზრისით სიახლეს წარმოადგენს. მუდმივმოქმედი სასამართლო ორგანოს სახით ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო უფლებამოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში აამოქმედოს თავისი სამართლებრივი მექანიზმები, როცა ზესახელმწიფოებრივი სასამართლო ინსტანციის გამოყენების ნამდვილი საჭიროება დადგება. ეს სასამართლო მხოლოდ მაშინ უნდა ამოქმედდეს, როდესაც უფლებამოსილი ქვეყანა უუნაროა ან არ სურს თავად სათანადოდ ჩაატაროს გამოძიება, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მართლმსაჯულება.

სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულება ჩაენაცვლება ეროვნულ მართლმსაჯულებას, რომელსაც, სტატუტის მიხედვით, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აქვს უპირატესობა.

კომპლემენტარულობის პრინციპით მიიღწევა ის, რომ არ მოხდეს საერთაშორისო სასამართლოს აპარატის არასაჭიროდ გაზრდა. რომის სტატუტის მიზანია, სისხლისსამართლებრივი დევნის ხარვეზები შეავსოს, სადაც ეს შესაძლებელია, რომ ამით საერთაშორისო საზოგადოებისათვის აუტანელი დაუსჯელობა აღმოიფხვრას. იმავდროულად, ამ კონცეფციით ისიც მიიღწევა (და ეს სწორედ რომის სტატუტის დამსახურებაა), რომ ცალკეული სახელმწიფოების პასუხისმგებლობა, სისხლისსამართლებრივი დევნის თვალსაზრისით, გაიზრდება.

სტატუტის მე-17 მუხლში კომპლემენტარულობა მოცემულია როგორც დასაშვებადობასთან დაკავშირებული საკითხი. იგი კავშირშია იმ დებულებებთან, რომლებიც დადასტურებულია პრეამბულასა (აბზ. მე-10) და პირველ მუხლში, სადაც ასევე მოცემულია კომპლემენტარულობის პრინციპი. მე-17 მუხლში კი ასახულია კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც საქმე უნდა შეფასდეს როგორც მიუღებელი. მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, ის გარემოება, რომ სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ამ საკითხზე (კომპეტენციის კომპეტენცია). სასამართლო გადაწყვეტს, რომ საქმე არ არის მისაღები, როდესაც ,,საქმეს იძიებს ან სისხლისსამართლებრივ დევნას აღძრავს მოცემულ საქმეზე იურისდიქციის მქონე სახელმწიფო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სახელმწიფოს არ სურს ან უუნაროა სათანადოდ ჩაატაროს გამოძიება ან განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა" (მუხ. 17 (1) (ა)).

საქმე ასევე მიუღებელია, როცა „საქმე გამოიძია მოცემულ საქმეზე იურისდიქციის მქონე სახელმწიფომ და გადაწყვიტა, არ აღძრას სისხლისსამართლებრივი

დევნა შესაბამისი პირის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება მიღწეულ იქნა იმის გამო, რომ სახელმწიფოს არ სურს ან უუნაროა სათანადოდ ჩაატაროს გამოძიება ან განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა" (მუხ. 17 (1) (გ)).

გარდა ამისა, საქმე ასევე მიუღებელია, როცა „შესაბამისი პირი უკვე გასამართლებულ იქნა იმ ქმედებისათვის, რომელიც განცხადების საგანს წარმოადგენს". (მუხ 17 (1) (გ)). სტატუტის მე-20 მუხლის („*ne bis in idem*") თანახმად, დაუშვებელია პირის ორჯერ გასამართლება ერთი და იმავე ქმედებისათვის, ამ მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული გამონაკლისი შემთხვევების გარდა.

დაბოლოს, საქმის განხილვა მიუღებელია, როცა „საქმე არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ სასამართლოს შემდგომი მოქმედება მიზანშეწონილად ჩაითვალოს" (მუხ 17 (1) (დ)).

სტატუტის მე-17 მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, სასამართლო ცალკეულ შემთხვევაში, „სურვილის არსებობის" დადგენის დროს, მხედველობაში იღებს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ საპროცესო ნორმებს. ამისთვის იგი ითვალისწინებს იმ ფაქტორს, რომ:

- სამართალწარმოება განხორციელდა ან ხორციელდება, ანდა ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილება გამოტანილი იყო იმ მიზნით, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში არსებული დანაშაულისათვის შესაბამისი პირი დაეცვა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, ან არსებობს სხვა გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის პირის საერთაშორისო სასამართლოს მართლმსაჯულებისათვის გადაცემის მიზანს;
- სამართალწარმოების განხორციელების პროცესი დაუსაბუთებლად დაყოვნდა, რაც, არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, არ შეესაბამება შესაბამისი პირის მართლმსაჯულებისათვის გადაცემის მიზანს;
- სამართალწარმოება არ განხორციელდა ან არ ხორციელდება დამოუკიდებლად ან მიუკერძოებლად, ან ხორციელდება ისეთი სახით, რომელიც, არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, არ შეესაბამება შესაბამისი პირის მართლმსაჯულებისათვის გადაცემის მიზანს (*„de traduire en justice" „to bring to justice"*).

სახელმწიფოს „უუნარობაზე" განახორციელოს სისხლის სამართლის სამართალწარმოება, საუბარია სტატუტის მე-17 მუხლის მე-3 აბზაცში: იმისათვის, რომ ცალკეულ შემთხვევაში დადგინდეს სახელმწიფოს უუნარობა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ითვალისწინებს, შესწევს თუ არა სახელმწიფოს უნარი, ეროვნული სასამართლოს მთლიანი ან არსებითი მარცხის ან მისი არარსებობის გამო, მიიღოს თავის განკარგულებაში ბრალდებული ან საჭირო მტკიცებულება ან ჩვენება, ან თუ სხვა მიზეზის გამო, არ ძალუძს სამართალწარმოების განხორციელება.

კომპლემენტარულობის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სამართლებრივი პრობლემა გადაწყდეს იმ საფეხურზე, სადაც ეს ყველაზე უკეთ შეიძლება. თუ შიდასახელმწიფოებრივ ინსტანციებს შესწევთ უნარი და აქვთ სურვილი სერიოზული სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელონ სტატუტით გათვალისწინებული საერთაშორისო დანაშაულების მიმართ, არ არის საჭირო საერთაშორისო ინსტანცია ჩაერთოს მართლმსაჯულების განხორციელებაში. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებებისათვის დაწესებული სასჯელის სიმკაცრე არ არის მნიშვნელოვანი.

2.2. პროცესის გახსნა

იურისდიქციისა და დასაშვებადობის საკითხის რეგულირებით ჯერ კიდევ არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ ვის შეუძლია სასამართლოს სამართალწარმოება გახსნას და რა პროცედურებია ამისათვის გათვალისწინებული. ამ კითხვაზე პასუხი მოცემულია სტატუტის მე-13-15 და მე-18-19 მუხლებში.

სტატუტის შემუშავებისა და მიღების პროცესში უდავო იყო ის საკითხი, რომ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია პროცესი სასამართლოს წინაშე გახსნას. სტატუტის მე-14 მუხლი ითვალისწინებს, რომ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოახსენოს პროკურორს ვითარება, რომლის მიხედვითაც არსებობს ეჭვი, რომ ჩადენილია სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი ერთი ან რამდენიმე დანაშაული და სთხოვოს მას ვითარების გამოძიება.

სადავო იყო ის საკითხი, უნდა ყოფილიყო თუ არა უშიშროების საბჭოც უფლებამოსილი მიემართა სასამართლოსათვის ვითარების შესახებ გამოძიების ჩატარების მიზნით. ამ შესაძლებლობის საწინააღმდეგოდ ითქვა, რომ უშიშროების საბჭოს, საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულების ფარგლებში (რომლის მონაწილე არც თვითონ და არც მისი მუდმივი და არამუდმივი წევრები ერთობლივად არიან), არ უნდა ჰქონოდა რაიმე კომპეტენცია. ამ, ერთი შეხედვით, თითქოს ნათელ არგუმენტს დაუპირისპირდა სხვა მოსაზრებები: უშიშროების საბჭომ, წარსულში გაეროს წესდების VII თავზე დაყრდნობით, ორი *ad hoc* საერთაშორისო ტრიბუნალი შექმნა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, როგორც მუდმივმოქმედი ორგანოს, შექმნის ერთ-ერთი მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ ასეთი სპეციალური ტრიბუნალების შექმნა აღარ ყოფილიყო საჭირო. ამ მიზნის მისაღწევად უშიშროების საბჭოს უნდა მისცემოდა შესაძლებლობა, რომ მისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო. ასეთი შესაძლებლობა - საერთაშორისო სასამართლოს წინაშე პროცესის გახსნა - ნიშნავს არა იმას, რომ უშიშროების საბჭოს მიეცეს ახალი უფლებამოსილება, არამედ უფრო იმას, რომ ის უფლებამოსილებები განუმტკიცდეს, რომელიც მას, გაეროს წესდებიდან გამომდინარე, უკვე ჰქონდა. სტატუტის მე-13 მუხლის (ბ) ქვეპუნქტი მიჰყვება ამ პოზიციას და ითვალისწინებს, რომ უშიშროების საბჭო, რომელიც მოქმედებს გაეროს წესდების მე-7 თავის შესაბამისად, ვითარების გამოძიების მიზნით პროკურორს მოახსენებს იმ მდგომარეობის შესახებ, როცა არსებობს ეჭვი ერთი ან რამდენიმე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულის ჩადენის თაობაზე.

უფრო საკამათო იყო მესამე საკითხი – შეიძლება თუ არა სასამართლოს მოქმედებას საფუძვლად დაედოს ის, რომ ბრალმდებელმა თვითონ გადაწყვიტა პროცესის გახსნა. ამ პოზიციის მოწინააღმდეგეები ავითარებდნენ აზრს, რომ ამით ბრალმდებელს ეძლევა უფლებამოსილება, რაც პოლიტიკური მიზნებისათვის შეიძლება ბოროტად გამოიყენოს. სახელმწიფოთა ჯგუფის წარმომადგენლების, ე.წ. „თანამოაზრეთა ჯგუფის", ზემოქმედებით ბრალმდებელს მიეცა უფლებამოსილება, თავისი ინიციატივით დაიწყოს გამოძიება სასამართლოს იურისდიქციაში შემავა-

ლი სავარაუდო დანაშაულების შესახებ. ინსტიტუციურმა და პროცესუალურმა გარანტიებმა (მექანიზმებმა) უნდა უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს ამ სამსახურის „პოლიტიზება". ამიტომ წინასწარი წარმოების პალატა ბრალმდებლის მთელ რიგ საგამოძიებო მოქმედებებსა და ბრალდების წაყენებაზე სასამართლო კონტროლს ახორციელებს.

სტატუტის მე-15 მუხლის შესაბამისად, ბრალმდებელს შეუძლია დაიწყოს გამოძიება ამა თუ იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომლის რეალობაც მან გადაამოწმა. მას შეუძლია სახელმწიფოებისაგან, გაეროს ორგანოებისაგან, სახელმწიფოთაშორისი ან არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციებისაგან თუ სხვა სათანადო ადგილებიდან დამატებითი ინფორმაცია გამოითხოვოს და სასამართლოს ადგილმდებარეობის ადგილას მოწმეთა წერილობითი ან ზეპირი ჩვენებები მიიღოს. თუ ბრალმდებელი მივა დასკვნამდე, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი გამოძიების ჩასატარებლად, მაშინ იგი წინასწარი წარმოების პალატას წარუდგენს შესაბამის შუამდგომლობას და თუ იგი დაასკვნის, რომ შუამდგომლობა და მისი დამადასტურებელი მასალა სარწმუნოა, იძლევა ნებართვას გამოძიების ჩატარების შესახებ. ეს გადაწყვეტილება არავითარ შემთხვევაში არ გახლავთ პრეიუდიცია სასამართლოს მიერ გვიან მიღებული გადაწყვეტილებებისათვის სასამართლოს იურისდიქციისა და საქმის დასაშვებადობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. თუ წინასწარი წარმოების პალატა უარს იტყვის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ბრალმდებელმა, ახალ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მოგვიანებით ახალი შუამდგომლობა წარმოადგინოს.

მე-18 მუხლში აღწერილია ის პროცედურა, რომლის მიხედვითაც სასამართლო დასაშვებობის შესახებ წინასწარ გადაწყვეტილებას იღებს. თუ ბრალმდებელი დაიწყებს გამოძიებას იმ საფუძველზე, რომ მონაწილე სახელმწიფომ მას მოახსენა ვითარების შესახებ ან თუ ის საკუთარი ინიციატივით მოქმედებს, იგი შეტყობინებას უგზავნის *ყველა მონაწილე სახელმწიფოს და სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, განახორციელებდნენ იურისდიქციას ასეთ დანაშაულებზე*. ეს შეტყობინება შეიძლება კონფიდენციალური იყოს. სახელმწიფოს, რომელიც თვითონ იძიებს ან გამოიძია ასეთი საქმე, შეუძლია სასამართლოს ამის შესახებ ერთი თვის განმავლობაში აცნობოს. ამ სახელმწიფოს თხოვნით, ბრალმდებელი თავის გამოძიებას სახელმწიფოს მიერ გამოძიების ჩატარების სასარგებლოდ აჩერებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინასწარი წარმოების პალატა გადაწყვეტს, რომ გამოძიება ბრალმდებელმა აწარმოოს. თუ ბრალმდებელმა შეაჩერა გამოძიება და ძიება გადასცა სახელმწიფოს, მას შეუძლია მოსთხოვოს შესაბამის სახელმწიფოს მისთვის პერიოდულად ინფორმაციის მიწოდება გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შემდგომი ზომების შესახებ. მე-18 მუხლის შესაბამისად, მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება არის გარდამავალი, დროებითი ხასიათის და არ გულისხმობს რაიმე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას სასამართლოს იურისდიქციისა და საქმის დასაშვებობის შესახებ. თუმცა ასეთი გადაწყვეტილება, თავისი მნიშვნელოვანი შედეგების თვალსაზრისით, პროცესის მონაწილეებისათვის წარმოშობს გასაჩივრების უფლებას, რის გამოც შესაბამის სახელმწიფოს ან პროკურორს შეუძლია წინასწარი წარმოების პალატის გადაწყვეტილება აპელაციის წესით გაასაჩივროს სააპელაციო პალატაში, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს გამარტივებული წესით.

სასამართლოს იურისდიქციის ან საქმის წარმოებაში მისაღებობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ საუბარია სტატუტის მე-19 მუხლში. სტატუტი არ განსაზღვრავს, ზუსტად რა დროს უნდა იქნეს მიღებული ასეთი გადაწყვეტილება, არამედ გამოკვეთს მხოლოდ ძირითად მიმართულებებს. მე-19 მუხლის 1-ლ აბზაცში აღნიშნულია, რომ სასამართლო თავის მიერ წარმოებაში მიღებულ ნებისმიერ საქმეზე უნდა დარწმუნდეს, რომ ამ საქმეზე მისი იურისდიქცია ვრცელდება. მას შეუძლია საკუთარი ინიციატივით საქმის დასაშვებობის საკითხი გადაწყვიტოს მე-17 მუხლის მიხედვით.

საქმის დასაშვებობისა და სასამართლოს იურისდიქციის შესახებ საჩივარი შეიძლება შეიტანოს: ბრალდებულმა ან იმ პირმა, რომლის მიმართაც დაპატიმრების ბრძანება (ორდერი) ან სასამართლოს მოწვევა (უწყება) არსებობს, *სახელმწიფომ, რომელიც ამ საქმეზე გამოძიებას ან სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს ან განახორციელა*, ისევე, როგორც იმ სახელმწიფომ, რომელსაც, მე-12 მუხლის თანახმად, ამ საქმეზე გააჩნია იურისდიქცია (ქმედების სახელმწიფო ან დამნაშავის სახელმწიფო). თითოეულს ამ პირებიდან ან სახელმწიფოებიდან შეუძლია სასამართლოს იურისდიქცია გაასაჩივროს მხოლოდ ერთხელ (გამონაკლის შემთხვევაში, სასამართლოს ნებართვით, ერთზე მეტჯერ). ამასთან, გასაჩივრება, როგორც წესი, უნდა მოხდეს მთავარ პროცესზე სასამართლო განხილვის დაწყებამდე ან დაწყების დროს (განხილვის დასაწყისისათვის). ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს წინასწარი წარმოების პალატა. თუ გასაჩივრება, გამონაკლის შემთხვევაში, მოხდა მთავარ პროცესზე სასამართლოს განხილვის დაწყების შემდეგ, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო წარმოების პალატა. სასამართლო იურისდიქციისა და საქმის დასაშვებადობის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრება შეიძლება სააპელაციო პალატაში. ბრალმდებელს შეუძლია სასამართლოს იურისდიქციის ან საქმის დასაშვებობის საკითხი საკუთარი ინიციატივითაც წარუდგინოს სასამართლოს. მე-19 მუხლის თანახმად, ჩატარებული პროცესი, როგორც წესი, იწვევს საქმის გამოძიების გადადებას ბრალმდებლის მიერ, ვიდრე სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას. ამასთან, ბრალმდებელს შეუძლია სასამართლოსაგან ითხოვოს ნებართვა, ჩაატაროს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები იმ მიზნით, რომ არ განადგურდეს მტკიცებულებები, როდესაც სახეზეა ერთჯერადი შესაძლებლობა მნიშვნელოვან მტკიცებულებათა მოსაპოვებლად ან არსებობს ყურადსაღები საშიშროება, რომ მტკიცებულებები მოგვიანებით არ იქნება ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, მას შეუძლია, სასამართლოს ნებართვით, მოწმეთა წერილობითი ან ზეპირი ჩვენებები მოიპოვოს ან დაასრულოს პროტესტის წარდგენამდე მის მიერ დაწყებულ მტკიცებულებათა შეგროვება და განხილვა. ასევე მას შეუძლია შესაბამის სახელმწიფოსთან თანამშრომლობით თავიდან აიცილოს იმ პირთა მიმალვა, რომელთა მიმართ პროკურორმა უკვე მოითხოვა დაპატიმრების ორდერი (ბრძანება). მე-19 მუხლით გათვალისწინებული პროცედურით, თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ საქმე, მე-17 მუხლის თანახმად, მიუღებელია, მაშინ პროკურორს შეუძლია თხოვნა გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე წარადგინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება ახალი გარემოებები, რომლებიც, მე-17 მუხლის შესაბამისად, აბათილებს საქმის მიუღებლად ცნობის საფუძველს.

მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ პროცესის გახსნის კრიტიკულ ფაზაში და იურისდიქციის ეროვნულიდან საერთაშორისო სამართლებრივ სფეროში გადასვ-

ლის დროს მრავალმხრივი ინსტიტუციური და პროცესუალური გარანტიები არსებობს. ბრალმდებელი ფლობს შედარებით ძლიერ და დამოუკიდებელ სამართლებრივ მდგომარეობას, ვინაიდან მას შეუძლია პროცესი თავისი ინიციატივით გახსნას (დაიწყოს გამოძიება). ამასთან, იგი ყველა გადამწყვეტ მომენტში ექვემდებარება სასამართლოს წინასწარი წარმოების პალატის სამართლებრივ კონტროლს.

2.3. „Ne bis in idem" და უკუქცევითი ძალის აკრძალვა

ყურადღება უნდა გავამახვილოთ სტატუტის ორ მნიშვნელოვან მომენტზე: ორმაგი სისხლისსამართლებრივი დევნის (შესაბამისად, ორჯერ მსჯავრდების) დაუშვებლობა და უკუძალის აკრძალვა.

სტატუტის მე-20 მუხლი ეძღვნება პრინციპს „Ne bis in idem", რაც გულისხმობს პირის მიმართ ერთი და იმავე ქმედებისათვის ორმაგი სისხლისსამართლებრივი დევნის (ორჯერ მსჯავრდების) აკრძალვას. ეს აკრძალვა სტატუტში სამ სხვადასხვა კონტექსტში მოიხსენიება. თვით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან მიმართებით: დაუშვებელია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ პირი გაასამართლოს იმ ქმედებისათვის, რომლისთვისაც ამ სასამართლომ იგი ადრე უკვე გაამტყუნა ან გაამართლა. გამონაკლისია თვით სტატუტით გათვალისწინებული გასაჩივრებისა და გადასინჯვის შემთხვევები (VIII ნაწილი). შემდეგი აკრძალვა მიმართულია შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების წინააღმდეგ: დაუშვებელია, პირი გაასამართლოს სხვა სასამართლომ იმ დანაშაულის გამო, რომლისთვისაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ეს პირი დამნაშავედ ცნო ან გაამართლა. აკრძალვა მოქმედებს ასევე საპირისპირო მიმართულებითაც: ის, ვინც სხვა (განსაკუთრებით შიდასახელმწიფოებრივი) სასამართლოს მიერ გასამართლებული იყო რაიმე ქმედებისათვის, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ არ შეიძლება გაასამართლოს იმავე ქმედებისათვის. გამონაკლისია ის შემთხვევები, როცა სხვა სასამართლოში საქმის წარმოება:

1) ემსახურებოდა სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულების ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან აღნიშნული პირის უსაფუძვლოდ გათავისუფლების მიზნებს;

2) პროცესი არ წარიმართა დამოუკიდებლად ან მიუკერძოებლად, საერთაშორისო სამართლის აღიარებული საპროცესო ნორმების შესაბამისად, და განხორციელდა ისეთი სახით, რომელიც, მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, შეუთავსებელი იყო შესაბამისი პირის მართლმსაჯულებისათვის გადაცემის მიზანთან.

პრინციპი *„Ne bis in idem"* წარმოადგენს მე-17 მუხლში მოცემული კომპლემენტარულობის პრინციპის ინდივიდუალურ-სამართლებრივ მომენტს.

სტატუტის მეორე არსებითი მომენტი არის მისი უკუძალის აკრძალვა. სტატუტის მე-11 მუხლიდან გამომდინარე, სასამართლო თავის იურისდიქციას ახორციელებს მხოლოდ იმ დანაშაულზე, რომელიც ჩადენილია სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ (შესაბამისად, სახელმწიფოსათვის ძალაში შესვლის შემდეგ, რომლის თვისებაზე, როგორც ხელშეკრულების მონაწილეზე, დამოკიდებულია სასამართლოს იურისდიქცია: მუხ. 12). განსხვავებული წესია განსაზღვრული მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო, ხელშეკრულებაში მონაწილეობის გარეშე, მე-12 მუხლის მე-3 აბზაცის მიხედვით აღიარებს სასამართლოს იურისდიქციას მოცემულ დანაშაულთან მიმართებაში. სტატუტის უკუძალის აკრძალვა შეიძლება დღემდე მსოფლიოში ჩადენილი სისხლისსამართლებრივი უსამართლობების გამო, სამწუხარო იყოს. ამასთან, ასეთი გადაწყვეტა, პოლიტიკური და სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი მოსაზრებებიდან გამომდინარე, ერთადერთი სწორი გზა იყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაქმნელად. გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოთა დიდმა რაოდენობამ რაც შეიძლება მალე მოახდინოს სტატუტის რატიფიკაცია.

2.4. სასამართლოს ურთიერთობა გაეროსთან, განსაკუთრებით უშიშროების საბჭოსთან

როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო წარმოადგენს მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ინსტანციას, ე.წ. „ხელშეკრულების ორგანოს". სასამართლო არ არის გაეროს ორგანო, შესაბამისად, – მის წინაშე ანგარიშვალდებული. რომის სტატუტი და მისი შემდგომი განვითარება რევიზიის გზით ასევე არ წარმოადგენს გაეროს ორგანოს (მაგალითად, გენერალური ასამბლეის) ზრუნვის საგანს. სასამართლოსთან მიმართებაში წარმოშობილი მთელი რიგი საკითხების რეგულირებისათვის არსებობს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა, რომლის სამართლებრივი ბუნება განსაზღვრულია სტატუტის 112-ე მუხლში.

უკვე აღინიშნა უშიშროების საბჭოს შესაძლებლობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად, ვითარების მოხსენების შესახებ. ასეთი შემთხვევა გაეროსათვის, სხვა გარემოებებთან ერთად, ფინანსურ შედეგებს წარმოშობს. კერძოდ, 115-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ უშიშროების საბჭოს მიერ წამოყენებული სიტუაციის გამოკვლევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას ახდენს გაერო, გენერალური ასამბლეის დამტკიცებით. ეს და სხვა საკითხები განიხილება ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პირველი ასამბლეის მიერ, სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი სასამართლოს დაფინანსების წესებისა და სასამართლოსა და გაეროს შორის შეთანხმების შესახებ.

სტატუტის მე-16 მუხლი უშიშროების საბჭოს შესაძლებლობას აძლევს გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის გადადების მიზნით მიმართოს სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში, სტატუტის შესაბამისად, გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ შეიძლება დაიწყოს ან გაგრძელდეს თორმეტი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭო სასამართლოს წარუდგენს ასეთ თხოვნას. უშიშროების საბჭოს ეს კომპეტენცია – ჩაერიოს სამართლებრივ პროცესში, ერთი შეხედვით, ძნელად გასაგებია, მაგრამ იგი გამომდინარეობს გამართლებული სიტუაციიდან. სასამართლოს მიზანია ის დანაშაულები, რომლებიც მთელ კაცობრიობას ეხება, სათანადოდ დასაჯოს და ამით მიაღწიოს პრევენციულ და უშუალოდ მასტაბილიზირებელ ფაქტს. უშიშროების საბჭოს კი აქვს უშუალოდ მშვიდობის მიღწევისა და შენარჩუნების ფუნქცია. ამ ორივე ინსტანციის ამოცანები ერთმანეთს ავსებენ. თავისი როლის შესასრულებლად, უშიშროების საბჭო შეიძლება იძულებული იყოს კონფლიქტის კრიტიკულ ფაზაში მასში მონაწილე მხარეების ლიდერებთან

მოლაპარაკებები აწარმოოს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანებს დანაშაულები აქვთ ჩადენილი. ასეთი პირების დაპატიმრება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ ან მათ მიმართ ბრალდების წაყენება შეიძლება მშვიდობის დამყარების პროცესში, გამონაკლის შემთხვევებში, არამიზანშეწონილი იყოს. წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი მშვიდობის მიღწევისა და შენარჩუნების უშუალო ინტერესსა და დამნაშავეთა დასჯის ინტერესს შორის, რომელიც ასევე მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას ისახავს მიზნად.

სტატუტით გათვალისწინებულია იმის შესაძლებლობა, რომ უშიშროების საბჭოს, გაეროს წესდების VII თავზე დაყრდნობით, შეუძლია მიიღოს რეზოლუცია, რომელიც სასამართლოს ავალებს დაიცვას გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში 12-თვიანი მორატორიუმი. ეს გადავადება შეიძლება ხელახალი რეზოლუციით გაგრძელდეს. ასეთი გადაწყვეტის პრობლემა არის ის, რომ, შიდა დებულებების თანახმად, უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღების დროს (გაეროს წესდება, მუხ. 27, აბზ. 3) საკმარისია უშიშროების საბჭოს ერთი მუდმივი წევრის ვეტო, რომ ასეთი რეზოლუცია არ იქნეს მიღებული. ამასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციები საუბრობდნენ „კონსტრუქციული ვეტოს“ შესახებ, სახელდობრ, ეს იქნება ვეტო საერთაშორისო სასამართლო პროცესის გაგრძელების სასარგებლოდ. ამდენად, სახელმწიფო უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნებიდან მინიმუმ 9, ყველა 5 მუდმივი წევრი სახელმწიფოს ჩათვლით, გადავადების თაობაზე თანახმანი უნდა ყოფილიყვნენ, რასაც შეეძლო უშიშროების საბჭოს ინტერვენციის უფლების ბოროტად გამოყენება გამოეწვია. ეს მოცემულია სტატუტის მე-16 მუხლში. ამასთან, სწორად იქნა აღიარებული, რომ მართლაც შეიძლება ისეთი სიტუაციები წარმოიშვას, როდესაც ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესი დროის მცირე მონაკვეთში უკვე დაწყებული ან დასაწყები შეიარაღებული კონფლიქტის ჩაქრობის ინტერესის უკან დადგეს.

2.5. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, როგორც ეროვნული სასამართლო სისტემის დამატებითი ორგანო

2.5.1. რომის სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობები, რაც უნდა აისახოს შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს უფლებამოსილება შემოიფარგლება მხოლოდ უმძიმესი დანაშაულების დასჯადობით.

რომის სტატუტის მე-5 მუხლი განსაზღვრავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებს. სასამართლოს იურისდიქციას მიეკუთვნება მხოლოდ ყველაზე სერიოზული დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთა ჩადენა მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის აღშფოთებას იწვევს. იგი იხილავს ოთხი კატეგორიის დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეებს. ესენია: (1) გენოციდი, (2) ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, (3) ომის დანაშაული და (4) აგრესია. ამ უკანასკნელი დანაშაულის შემადგენლობა ჯერ არ არის განსაზღვრული.

ეროვნული სასამართლო სისტემის პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, ყველა ამ დანაშაულის ჩადენისათვის შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.[8]

გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისა და ომის დანაშაულების შემადგენლობები მოცემულია როგორც რომის სტატუტში, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი ამ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს აკისრებს საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ ვალდებულებას შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასახოს არა მხოლოდ დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები, რაც ჩამოთვლილია სტატუტის მე-5 მუხლში, არამედ, აგრეთვე, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს სისხლის სამართლის იმ ზოგად პრინციპებთან, რაც მოცემულია სტატუტში. ესენია: უნივერსალური იურისდიქცია, კანონიერება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია, მეთაურის პასუხისმგებლობა მისი უმოქმედობის დროს, დანაშაულის ჩადენა უკანონო ბრძანების შესრულებით, პასუხისმგებლობის აცილების მიზნით თანამდებობრივ მდგომარეობაზე მითითების დაუშვებლობა და ა.შ. გარდა კონკრეტული შემადგენლობებისა, სტატუტი იხილავს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: დანაშაულის მომზადება, მცდელობა, თანამონაწილეობა და სხვა ზოგადი პრინციპები. შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის კოდექსი არა მარტო უნდა ასახავდეს რომის სტატუტში მოცემული დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობებს, არამედ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რომის სტატუტში მოცემულ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის პრინციპებს.

ჟენევის კონვენციებში მოცემული საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი ვალდებულებების სრული ასახვა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში არ ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ასახული იქნება ყველა იმ დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ არის მოქცეული. საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ იქნება დამაკმაყოფილებელი, ვინაიდან განსაკუთრებით ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებსა და ომის დანაშაულებთან მიმართებით სტატუტში მოცემულ საკითხთა წრე გაცილებით უფრო ფართოა.

დანაშაულის ამა თუ იმ შემადგენლობის ინტერპრეტაციის დროს აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ დოკუმენტით – „დანაშაულის ელემენტების შესახებ“, რომელიც შეიმუშავა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამზა-

[8] დღეისათვის არსებობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობების შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის კარგი გამოცდილება. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედებს 2002 წლის 26 იუნისის სპეციალური კანონი: „საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდექსი“ (Völkerstrafgesetzbuch), რომელიც პირველ ნაწილში (§1-5) არეგულირებს ზოგადი ნაწილის საკითხებს, მეორე ნაწილში კი მოცემულია დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები: გენოციდი (§6), დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ (§7), ომის დანაშაულები (§8-12), სხვა დანაშაულები (§13-14). ომის დანაშაულები კი იყოფა პიროვნებების წინააღმდეგ (§8), საკუთრებისა და სხვა უფლებების წინააღმდეგ (§9), ჰუმანიტარული ორგანიზაციებისა და ემბლემების წინააღმდეგ (§9) მიმართულ დანაშაულებად, ასევე შემადგენლობებად, რომლითაც დასჯადია ომის წარმოების აკრძალული მეთოდებისა (§11) და აკრძალული საშუალებების (§12) გამოყენება.

დებელმა კომისიამ. სტატუტის მე-9 მუხლი ადგენს, რომ იგი ეხმარება სასამართლოს სტატუტის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების ინტერპრეტაციაში. ეს დოკუმენტი მიიღება და მასში ცვლილება შეიტანება მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის წევრების მიერ ხმათა 2/3-ით.

2.5.2. დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები

2.5.2.1. გენოციდი

არის განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რომლის შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია ის, რომ მისი ჩადენა ხდება ამა თუ იმ ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი მოსპობის განზრახვით.

გენოციდის ობიექტური შემადგენლობა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ქმედებაში, როგორიცაა ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ჯგუფის წევრთა მკვლელობა, სერიოზული სხეულებრივი დაზიანება ან ასეთი ჯგუფის წევრთათვის სერიოზული ფსიქიკური ზიანის მიყენება, ან ისეთი ცხოვრებისეული პირობების შექმნა, რაც მიმართულია მათი სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური განადგურებისაკენ, ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც გამიზნულია ასეთ ჯგუფში შობადობის შემცირების ან მოსპობისაკენ, ერთი ჯგუფიდან მეორისათვის ბავშვების იძულებითი გადაცემა და ა.შ.

ამ დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა გამოიხატება პირის განზრახვით – ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების *მიზნით* განახორციელოს ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა.

გენოციდის აკრძალვა ითვლება ***jus cogens*** ნორმად და გამოიყენება როგორც ***erga omnes***. საერთაშორისო ხელშეკრულებით პასუხისმგებლობა გენოციდისათვის პირველად გათვალისწინებულ იქნა 1948 წლის კონვენციით გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და მისთვის დასჯის შესახებ. რომის სტატუტის მე-6 მუხლი იმეორებს გენოციდის დეფინიციას, რაც მოცემულია კონვენციის მე-2 მუხლში, ხოლო ამავე დოკუმენტის მე-3 მუხლში აღნიშნულ დასჯადობის ფარგლებს სრულად მოიცავს რომის სტატუტის მე-3 ნაწილში მოცემული სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები. კერძოდ, კონვენციის მე-3 მუხლით დასჯადია: (1) გენოციდი; (2) გენოციდის ჩადენის შეთქმულება; (3) გენოციდის პირდაპირი და საჯარო წამქეზებლობა; (4) გენოციდის მცდელობა; (5) გენოციდში თანამონაწილეობა.

გენოციდის კონვენცია დღემდე რატიფიცირებული აქვს 132 სახელმწიფოს. ექს-იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები ფლობენ იურისდიქციას გენოციდის დანაშაულის დასჯადობაზე. რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდების მე-2 მუხლი, ისევე, როგორც ექს-იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდების მე-4 მუხლი, ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გენოციდის დანაშაულისათვის.

„გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარი მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ" 1948 წლის 9 დეკემბრის კონვენციას საქართველო შეუერთდა 1993 წლის 18 მაისს, ხოლო იმავე წლის 11 ოქტომბერს საქართველოსათვის ძალაში შევიდა, რითაც იგი საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი გახდა.

საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლში მოცემულია გენოციდის დანაშაულის შემადგენლობა. აღნიშნული მუხლის თანახმად, გენოციდი არის ქმედება, რომელიც ჩადენილია შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატა ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნით, შობადობის ძალით შემცირებით ან ბავშვის იძულებითი გადაცემით ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორისათვის, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლი სრულყოფილად ასახავს გენოციდის დანაშაულის შემადგენლობას, რაც მოცემულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მე-6 მუხლში.

2.5.2.2. ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით, საუბარია ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევაზე, რომელსაც ადგილი აქვს ფართომასშტაბურად ან სისტემატურად და მიმართულია სამოქალაქო პირების წინააღმდეგ. სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ასეთი ქმედებების ჩადენა, როგორც წესი, ხდება არა გარეშე ძალის, არამედ საკუთარი სახელმწიფოს მიერ. ისევე, როგორც გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მშვიდობიან ვითარებაში, ასევე შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები განისაზღვრება როგორც მოქმედება, რომელიც ჩადენილია „ნებისმიერ სამოქალაქო პირზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, თუ ასეთი თავდასხმა ჩადენილია შეგნებულად". თვით ქმედების ობიექტური შემადგენლობა მოცემულია სტატუტის მე-7 მუხლში. იგი შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სახის ქმედებებში: მკვლელობა, განადგურება, დამონება, დეპორტაცია, წამება, სქესობრივი ძალადობა და ა.შ.

რომის სტატუტში მოცემული ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების განსაზღვრება განსხვავებულია ამ სახის დანაშაულების ადრინდელი დეფინიციებისაგან. ასე მაგალითად, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩამონათვალში გაჩნდა ისეთი ქმედებები, როგორებიცაა: სექსუალური ხასიათის დანაშაული და ადამიანთა ფართომასშტაბური იძულებითი გაუჩინარება.

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სისხლისსამართლებრივი კრიმინალიზაცია პირველად მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ. 90-იან წლებში შესაბამისი კომპეტენციით აღიჭურვა აგრეთვე, ექს-იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები. ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები დღეს საყოველთაოდ არის აღიარებული როგორც საერთაშორისო ადათობრივი სამართლის მიერ აკრძალული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 408-ე მუხლის - დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ - დისპოზიციის თანახმად, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული განსაზღვრულია როგორც ნებისმიერი ქმედება, რომელიც ჩადენილია სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, რაც გამოიხატა მკვლელობით, ადამიანთა მასობრივი განადგურებით, დეპორტაციითა და სხვა არაჰუმანური ქმედებით, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას, - და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

სტატუტის მე-7 მუხლის მსგავსად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად განიხილავს ისეთ ქმედებას, რომელიც ჩადენილია „სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში“. სტატუტის მე-7 მუხლში მითითებულია სუბიექტურად ასეთი ქმედების შეგნებულად ჩადენაზე. ამ სუბიექტურ მომენტზე მითითებას კოდექსის 408-ე მუხლში ვერ ვხვდებით, მაგრამ კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, ეს დანაშაული შეიძლება მხოლოდ განზრახ იქნეს ჩადენილი.

კოდექსის 408-ე მუხლში ჩამოთვლილია ქმედების ობიექტური შემადგენლობის ისეთი ელემენტები, როგორებიცაა: მკვლელობა, ადამიანთა მასობრივი განადგურება, დეპორტაცია და ამის შემდეგ გაკეთებულია ზოგადი მითითება: *და სხვა არაჰუმანური ქმედება, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას.*

სტატუტის მე-7 მუხლში აღნიშნული ქმედების ობიექტური შემადგენლობის ჩამონათვალი უფრო დიდია, მაგრამ არც აქ არის ამომწურავი; აქაც მითითებულია სხვა არაადამიანურ განზრახ ქმედებებზე, რომლებიც იწვევენ მძიმე ტანჯვას, სხეულის მძიმე დაზიანებას ანდა მძიმე ზიანს აყენებენ პირის ფსიქიკურ ან ფიზიკურ ჯანმრთელობას.

მთლიანობაში, სისხლის სამართლის კოდექსის 408-ე მუხლი შეესაბამება სტატუტის მე-7 მუხლში მოცემულ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემადგენლობას. ამ საკითხთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის კოდექსი არ საჭიროებს აუცილებელ ცვლილებას, თუმცა შესაძლებელია, რომ კოდექსის 408-ე მუხლის დისპოზიციას დაემატოს შემდეგი სიტყვები: „და რომლის დასჯადობაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მე-7 მუხლით“.

2.5.2.3. ომის დანაშაულები

სტატუტის მე-8 მუხლი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს აძლევს კომპეტენციას თავისი იურისდიქცია განახორციელოს ომის დანაშაულებზე. ომის დანაშაულების შემადგენლობაში, სტატუტის მიხედვით, მოიაზრება შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ საერთაშორისო სამართლის მთელი რიგი მძიმე დარღვევებისა, რომლებიც ჩამოთვლილია მე-8 მუხლის მე-2 აბზაცში. ეს მძიმე დარღვევები შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი), ასევე არასაერთაშორისო (შიდასახელმწიფოებრივი) შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ „მძიმე დარღვევები“ და „ომის დანაშაულები“, მართალია, თავიანთი მნიშვნელობით, ნაწილობრივ ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ისინი არ არიან იდენტური ცნებები. ტერმინი – „მძიმე დარღვევები“, გამოყენებულია ჟენევის ოთხ კონვენციასა და პირველ დამატებით ოქმში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ზოგიერთი დარღვევის აღსანიშნავად, რომლებიც ჩადენილია საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში ამ დოკუმენტებით დაცული პირების ან ობიექტების წინააღმდეგ. „მძიმე დარღვევები“ არის „ომის დანაშაულები“ ჟენევის კონვენციების პირველი დამატებითი ოქმის 85(5)-ე მუხლის მიხედვით, მაგრამ ყველა ომის დანაშაული არ არის „მძიმე დარღვევა“. ამდენად, სტატუტში გამოყენებული ტერმინი – „ომის დანაშაულები“, უფრო ფართოა იმ გაგებით, რომ ის მოიცავს იმ ქმედებებსაც, რომლებსაც ჟენევის კონვენციები და პირველი დამატებითი ოქმი არ ანიჭებს „მძიმე დარღვევების“ კვალიფიკაციას.

ომის დანაშაულების შემადგენლობის ამსახველი სტატუტის მე-8 მუხლი მოიცავს ყველა მძიმე დარღვევას, რაც გათვალისწინებულია 1949 წლის ჟენევის კონვენციებით და იმეორებს უკვე დამკვიდრებულ ენას. იგი ასევე მოიცავს საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში მოქმედი კანონებისა და ჩვეულებების მძიმე დარღვევებს. ეს შემადგენლობა ასახავს უფრო ფართო მოცულობის წესებს, მოყოლებული 1907 წლის ჰააგის წესებიდან და, შედარებით შეზღუდულად, 1977 წლის პირველი დამატებითი ოქმის დებულებებს, მაგრამ გარკვეულწილად შეცვლილი ენით. ამიტომ ამ მუხლში გაერთიანდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მრავალი მძიმე დარღვევა. მიუხედავად ამისა, რომის სტატუტში მოცემული ომის დანაშაულების შემადგენლობა არ მოიცავს ყველა დარღვევას, კერძოდ, ამ მუხლში არ შესულა პირველი დამატებითი ოქმით გათვალისწინებული ზოგიერთი დანაშაული. ამიტომ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა რომის სტატუტთან არ გულისხმობს ჟენევის კონვენციებისა და მათი დამატებითი ოქმების რატიფიკაციით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილ ასახვას შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. ჟენევის კონვენციების პირველ დამატებით ოქმში მოცემული დანაშაულის ზოგიერთი შემადგენლობა არ არის მოცემული ან არასრულყოფილადაა ასახული რომის სტატუტში, რის გამოც საჭიროა შემოწმდეს, ასახულია თუ არა იგი შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, განსაკუთრებით პირველი დამატებითი ოქმის მე-11 და 85-ე მუხლები. საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა გაითვალისწინა ეს მომენტი 411-ე მუხლის პირველ ნაწილსა და 412-ე მუხლში, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ამდენად, სტატუტი მოიცავს ომის დანაშაულების უფრო ფართო კატალოგს. მართალია, სახელმწიფოები ვალდებული არ არიან თავიანთ კანონმდებლობაში სიტყვასიტყვით გადაიტანონ სტატუტით გათვალისწინებული შემადგენლობები, მაგრამ უნდა შეეძლოთ სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულის შემადგენლობებზე თავისი იურისდიქციის განხორციელება და ამ დანაშაულის ჩამდენი პირების დასჯა.

სტატუტის კომპეტენციაში არ შედის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნებისმიერი დარღვევის დასჯადობა. მხოლოდ ისეთი დანაშაულები, რომლებიც დასახელებულია სტატუტში, ექვემდებარება ამ სასამართლოს იურისდიქციას. ამით არაფერი იცვლება სახელმწიფოს ვალდებულებებთან მიმართებაში, განსაკუთრებით, როგორც ეს მოცემულია ჟენევის ოთხ კონვენციასა და მათ ორ დამატებით

ოქმში – სისხლის სამართლის წესით აღიკვეთოს შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი დარღვევა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებულ იქნეს თანაზომიერი დასჯა კონვენციებსა და მათ დამატებით ოქმებში მოცემული ომის ყველა დანაშაულისათვის.

სტატუტში მოცემული პერსპექტივიდან გამომდინარე, მომავალში ომის დანაშაულების მიმართ შესაძლებელი უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, მიუხედავად იმისა, თუ სად არის იგი ჩადენილი და ვინ არის მისი ჩამდენი. დღეისათვის სასამართლოს იურისდიქცია არ ვრცელდება ომის ყველა დანაშაულზე. სასამართლო უფლებამოსილია გაასამართლოს პირი მხოლოდ მის იურისდიქციაში შემავალი ერთ-ერთი დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია სტატუტის მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან ამ სახელმწიფოს მოქალაქის მიერ. ამ პრინციპიდან გამონაკლისია ის შემთხვევა, როცა სასამართლოს ვითარებას მოახსენებს უშიშროების საბჭო, რომელიც მოქმედებს გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნას, ამ მხრივ, პრევენციული მნიშვნელობა აქვს: თუ სახელმწიფო, რომელმაც ომის დანაშაულის ჩამდენი უნდა დასაჯოს, თავის ვალდებულებას არ ასრულებს, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შეუძლია პროცესი თვითონ ჩაატაროს (კომპლემენტარულობის პრინციპი).

რაც შეეხება ომის დანაშაულების დასჯადობას, ეს საერთაშორისო დონეზე პირველად მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნიურნბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების მიერ. 90-იან წლებში საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქციით აღიჭურვა ექსიუგოსლავიისა და რუანდის სასამართლო ტრიბუნალები.

ა) სახელმწიფოთაშორისი შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი ომის დანაშაულები

სტატუტის მე-8 მუხლის მე-2 აბზაცის (a) და (b) ქვეპუნქტებში მოცემულია იმ ომის დანაშაულთა შემადგენლობები, რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნეს *სახელმწიფოთაშორისი შეიარაღებული კონფლიქტის დროს.*

რვა დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც ჩამოთვლილია (a) ქვეპუნქტში, მთლიანად და სიტყვასიტყვით შეესაბამება ომის დანაშაულის შემადგენლობებს. იგი მოცემულია ჟენევის 1949 წლის ოთხ კონვენციაში (მუხ. 50, კონვენცია I, მუხ. 51, კონვენცია II, მუხ. 130 კონვენცია III, მუხ. 147, კონვენცია IV).

მე-8 მუხლის მე-2 აბზაცის (b) ქვეპუნქტი მოიცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დანარჩენ 26 მძიმე დარღვევას, როგორც ეს აღიარებულია საერთაშორისო ადათობრივი სამართლის მიერ. ამ მძიმე დარღვევების უმრავლესობა, იმავდროულად, მოცემულია საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ასე მაგალითად, რეგლამენტი, რომელიც შეეხება ომის წარმოების კანონებსა და ჩვეულებებს — 1907, ჰააგის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ — 1945, ჟენევის კონვენციების 1977 წლის I დამატებით ოქმი ისევე, როგორც კონვენცია ქიმიური იარაღის შესახებ - 1993.

ბ) შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი ომის დანაშაულები

მე-8 მუხლის მე-2 აბზაცის (d) და (f) ქვეპუნქტებში მოცემულია ომის დანაშაულის შემადგენლობები, რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნეს შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ეს უკანასკნელი კი განმარტებულია როგორც კონფლიქტი, რომელსაც არა აქვს საერთაშორისო ხასიათი.

არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტთა რიცხვს არ ეკუთვნის შიდა წესრიგის დარღვევები და დაძაბულობები, როგორებიცაა: არეულობები, ძალადობის ცალკეული და სპორადული ან სხვა მსგავსი ხასიათის აქტები. ის ეხება შეიარაღებულ კონფლიქტებს სახელმწიფოს ტერიტორიაზე, როდესაც მიმდინარეობს ხანგრძლივი შეიარაღებული კონფლიქტი სამთავრობო ძალებსა და ორგანიზებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის ან ასეთ ერთმანეთთან დაპირისპირებულ დაჯგუფებებს შორის.

იმ დანაშაულის შემადგენლობები, რომელზეც სასამართლო ახორციელებს თავის იურისდიქციას, მოცემულია მე-8 მუხლის მე-2 აბზაცის (c) და (e) ქვეპუნქტებში.

(c) ქვეპუნქტით კრიმინალიზებულია ჟენევის 1949 წლის კონვენციებისათვის საერთო მე-3 მუხლის მძიმე დარღვევები. იგი ჟენევის კონვენციების ერთადერთი დებულებაა, რომელიც გამოიყენება აგრეთვე შიდასახელმწიფოებრივ შეიარაღებულ კონფლიქტებში. დასჯადია შემდეგი დანაშაულები:

- ჩადენილი იმ პირის მიმართ, ვინც უშუალოდ არ მონაწილეობს საომარ მოქმედებებში, მათ შორის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების მიმართ,
- ვინც დადო იარაღი და
- სხვა ისეთი პირის მიმართ, რომელიც ავადმყოფობის, ჭრილობის, ტყვედ ჩავარდნის ან სხვა მიზეზით საბრძოლო ოპერაციებში არ მონაწილეობს.

(e) ქვეპუნქტი ეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა დარღვევებს, რაც ჟენევის კონვენციებისათვის საერთო მე-3 მუხლში არ არის მოცემული, მაგრამ საერთაშორისო ადათობრივი სამართლის ხასიათი აქვს. ამ დებულებების უმრავლესობა შეესაბამება იმ დარღვევებს, რაც მოცემულია მე-8 მუხლის მე-2 აბზაცის (b) ქვეპუნქტში საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევებისათვის.

(e) ქვეპუნქტი, ძირითადად, შეესაბამება ჟენევის კონვენციების 1977 წლის მე-2 დამატებითი ოქმის (არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ) შინაარსს. (e) ქვეპუნქტი გავრცობილია არასაერთაშორისო კონფლიქტების ომის წარმოების მეთოდების სფეროში მთელი რიგი საერთაშორისო ადათობრივ-სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც დღემდე საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებების საგანი არ ყოფილან.

უნდა აღინიშნოს ასევე მე-8 მუხლის მე-3 აბზაცის შესახებ, რაც სტატუტში შეტანილ იქნა ზოგიერთი სახელმწიფოს შიშით, რათა სასამართლო არ ჩარეულიყო მათ საშინაო საქმეებში. მე-3 აბზაცში ნათქვამია, რომ „არაფერი ხელყოფს მთავრობის პასუხისმგებლობას – დაიცვას ან აღადგინოს სამართალი და წესრიგი სახელმწიფოში ან ყველა კანონიერი საშუალებით დაიცვას სახელმწიფოს ერთიანობა და

ტერიტორიული მთლიანობა". ეს წესი მოქმედებს იმ პირობით, რომ სახელმწიფო იყენებს მხოლოდ ლეგიტიმურ საშუალებებს, რაც შეესაბამება საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს, განსაკუთრებით, მოწოდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.

გ) ომის დანაშაულის შემადგენლობების შინაარსი

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო თავის იურისდიქციას ახორციელებს ომის დანაშაულებზე, კერძოდ, თუ ისინი ჩადენილია გეგმის ან პოლიტიკის ნაწილის სახით ან ამგვარ დანაშაულთა ფართომასშტაბიანი ჩადენის ნაწილის სახით (მე-8 მუხლის პირველი ნაწილი).

სტატუტის მე-8 მუხლში ჩამოთვლილია ომის დანაშაულთა ოთხი კატეგორია.

ომის დანაშაულთა პირველი ორი კატეგორია შეიძლება ჩადენილ იქნეს სახელმწიფოთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს. იგი შეიძლება გამოიხატოს შემდეგ ქმედებებში:

1) ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების მძიმე დარღვევები, რაც მოცემულია სტატუტის 8.2.ა. მუხლში. ამ დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური შემადგენლობა ასე გამოიხატება:

- განზრახ მკვლელობა;
- წამება ან არაადამიანური მოპყრობა, მათ შორის, ბიოლოგიური ექსპერიმენტები;
- მძიმე ტანჯვის, სხეულის მძიმე დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება;
- საკუთრების უკანონო, უაზრო და ფართომასშტაბიანი განადგურება და მითვისება, რაც გაუმართლებელია სამხედრო აუცილებლობით;
- სამხედრო ტყვის ან სხვა დაცვის ქვეშ მყოფი პირის იძულება იმსახუროს მოწინააღმდეგე სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში;
- სამხედრო ტყვის ან სხვა დაცვის ქვეშ მყოფი პირისთვის სამართლიანი და ნორმალური სასამართლო განხილვის უფლების ჩამორთმევა;
- უკანონო დეპორტაცია ან გადაადგილება ან უკანონო თავისუფლების აღკვეთა;
- მძევლების აყვანა.

2) იმ კანონებისა და ჩვეულებების მძიმე დარღვევები, რომლებიც, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, გამოიყენება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს. დანაშაულთა ამ კატეგორიას ეკუთვნის ზოგიერთი სერიოზული დარღვევა, რომელიც გათვალისწინებულია პირველ დამატებით ოქმში (მაგალითად, ჰააგის სამართლის დებულებების დარღვევა და ზოგიერთი სხვა დარღვევა, რომელიც კვალიფიცირდება როგორც სერიოზული დარღვევა, უკანასკნელი წლების კონფლიქტების რეალობის გათვალისწინებით). იგი შეიძლება გამოიხატოს შემდეგ ქმედებებში:

- განზრახ თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობაზე ან ცალკეულ სამოქალაქო პირებზე, რომლებიც საომარ მოქმედებებში უშუალოდ არ მონაწილეობენ;
- განზრახ თავდასხმა სამოქალაქო ობიექტებზე, ე.ი. ობიექტებზე, რომლებიც სამხედრო სამიზნეს არ წარმოადგენს;

- დარტყმის განზრახ მიყენება ჰუმანიტარულ დახმარებაში ან მშვიდობის მხარდამჭერ მისიაში გაეროს წესდების შესაბამისად მონაწილე პერსონალზე, ობიექტებზე, მასალებზე, ქვედანაყოფებზე ან გადასაზიდ საშუალებებზე, ვიდრე მათ აქვთ დაცვის ის უფლება, რაც ენიჭება სამოქალაქო პირებს ან სამოქალაქო ობიექტებს შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის შესაბამისად;
- განზრახ თავდასხმა, როდესაც ცნობილია, რომ ასეთი ქმედება გამოიწვევს სამოქალაქო პირთა შემთხვევით დაღუპვას ან დაზიანებას ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანებას ანდა ბუნებრივი გარემოს ფართომასშტაბიან, ხანგრძლივ და მნიშვნელოვან ზიანს, რომელიც არათანაზომიერი იქნებოდა კონკრეტული და უშუალოდ მოსალოდნელი საერთო სამხედრო უპირატესობისა;
- ნებისმიერი საშუალებით ქალაქებზე, სოფლებზე, საცხოვრებლებზე ან შენობებზე თავდასხმა ან მათი დაბომბვა, რომლებიც არ არიან დაცული და არ წარმოადგენენ სამხედრო სამიზნეს;
- იმ კომბატანტის მოკვლა ან დაჭრა, რომელმაც დადო იარაღი ან აღარ გააჩნია დაცვის საშუალება და უსიტყვოდ დანებდა;
- დროებით ცეცხლის შეწყვეტის აღმნიშვნელი ალმის, ეროვნული დროშის ანდა გაეროს ან მოწინააღმდეგის განმასხვავებელი სამხედრო ნიშნისა და ფორმის, აგრეთვე, ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებული განმასხვავებელი ემბლემების არასათანადო გამოყენება, რამაც ადამიანის სიკვდილი ან მათი მძიმე ფიზიკური დაზიანება გამოიწვია;
- ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის პირდაპირ ან არაპირდაპირ გადაყვანა თავის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ან ოკუპირებული ტერიტორიის მთელი მოსახლეობის ან მისი ნაწილის დეპორტაცია ან გადაადგილება ამ ტერიტორიის საზღვრის ფარგლებში ან მის გარეთ;
- რელიგიური, საგანმანათლებლო, ხელოვნების, სამეცნიერო ან საქველმოქმედო მიზნებისათვის განკუთვნილ შენობებზე, ისტორიულ ძეგლებზე, საავადმყოფოებზე ან ავადმყოფთა და დაჭრილთა თავმოყრის ადგილებზე დარტყმების განზრახ მიყენება, თუ ისინი არ წარმოადგენენ სამხედრო სამიზნეს;
- მოწინააღმდეგის განკარგულებაში მყოფი პირების ფიზიკური დამახინჯება ან მათზე ნებისმიერი სახის სამეცნიერო ან სამედიცინო ექსპერიმენტის ჩატარება, რაც გაუმართლებელია აღნიშნული პირის სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული მკურნალობის თვალსაზრისით; ამასთან, არ ხორციელდება ამ პირის ინტერესებიდან გამომდინარე და იწვევს ამ პირის ან პირთა სიკვდილს ან სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს მათ ჯანმრთელობას;
- მოწინააღმდეგე მხარის ქვეშევრდომთა ან მისი შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ღალატით მკვლელობა ან მათთვის ჭრილობის მიყენება;
- იმის გამოცხადება, რომ დანდობა არ იქნება;
- მოწინააღმდეგის საკუთრების განადგურება ან ხელში ჩაგდება, თუ ეს განადგურება ან ხელში ჩაგდება იმპერატიული სამხედრო აუცილებლობით არ იყო განპირობებული;
- იმის გამოცხადება, რომ მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეთა უფლებები და სარჩელები სასამართლოში გაუქმებული, შეჩერებული ან მიუღებელია;

- მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეთა იძულება მონაწილეობა მიიღონ თავიანთი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო მოქმედებებში, მიუხედავად იმისა, იყვნენ თუ არა ისინი ომის დაწყებამდე მეომარი მხარის სამსახურში;
- ქალაქის ან ადგილმდებარეობის გაძარცვა, თუნდაც შტურმით აღებისას;
- შხამიანი ნივთიერების ან მოწამლული იარაღის გამოყენება;
- მგუდავი, მომწამვლელი ან სხვა აირების, აგრეთვე, ყოველგვარი მსგავსი სითხის, მასალის ან საშუალების გამოყენება;
- ისეთი ტყვიების გამოყენება, რომლებიც ადვილად ფეთქდება ან ბრტყელდება ადამიანის სხეულში, მაგ., როგორიცაა მყარგარსიანი ტყვიები, რომელთა გარსი არ ფარავს ტყვიის მთელ გულას ან აქვს ჩანაჭრები;
- ისეთი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ტექნიკის, აგრეთვე, ბრძოლის წარმოების ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც იწვევენ გადაჭარბებულ ზიანს ან უსარგებლო ტანჯვას, ან – შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის ნორმათა განურჩეველ დარღვევას, ამასთან, თუ ასეთი იარაღი, საბრძოლო მასალა ან ტექნიკა, აგრეთვე ბრძოლის წარმოების ასეთი მეთოდები, ექვემდებარება საყოველთაო აკრძალვას და შესწორების სახით შეტანილია სტატუტის დანართში, 121-ე და 123-ე მუხლების სათანადო დებულებების შესაბამისად;
- ადამიანის ღირსების შელახვა, კერძოდ, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;
- გაუპატიურება, სქესობრივ მორჩილებაში ყოლა, პროსტიტუციის იძულება, იძულებითი ორსულობა, რაც განსაზღვრულია სტატუტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის (ფ) ქვეპუნქტით, ძალადობით სტერილიზაცია ან სქესობრივი ძალადობის სხვა სახე, რომელიც ასევე წარმოადგენს ჟენევის კონვენციების მძიმე დარღვევას;
- სამოქალაქო ან სხვა დაცვის ქვეშ მყოფი პირის თანდასწრების გამოყენება ცალკეული პუნქტების, რაიონების ან შეიარაღებული ძალების სამხედრო მოქმედებებისაგან დაცვის მიზნით;
- დარტყმის განზრახ მიყენება იმ შენობებზე, მასალებზე, სამედიცინო დაწესებულებებზე ან სატრანსპორტო საშუალებებსა და პერსონალზე, რომლებიც, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებულ განმასხვავებელ ემბლემას იყენებენ;
- ომის წარმოების საშუალების სახით სამოქალაქო მოსახლეობაში შიმშილის განზრახ გამოწვევა სასიცოცხლო მნიშვნელობის საგნების ჩამორთმევით, მათ შორის, ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებული დახმარების გაწევისათვის განზრახ ხელის შეშლა;
- თხუთმეტი წლის ასაკამდე ბავშვების გაწვევა ან შეგროვება ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის ან მათი გამოყენება სამხედრო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

ომის დანაშაულთა მესამე და მეოთხე კატეგორია, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მიხედვით, შეიძლება ჩადენილ იქნეს არასახელმწიფოთაშორისი (არასაერთაშორისო) შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში. იგი არ ეხება შიდა წესრიგის დარღვევებსა და დაძაბულობებს, როგორებიცაა:

არეულობები, ძალადობის აქტიური და სპორადული ან სხვა მსგავსი ხასიათის აქტები. ის ეხება შეიარაღებულ კონფლიქტებს სახელმწიფოს ტერიტორიაზე, როდესაც მიმდინარეობს შეიარაღებული კონფლიქტი სამთავრობო ძალებსა და ორგანიზებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის ან ასეთ დაჯგუფებებს შორის. იგი წარმოადგენს:

1) 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის ოთხი კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლის სერიოზულ დარღვევებს. კერძოდ, ქმედება, ჩადენილი იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ საომარ მოქმედებებში, მათ შორის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი იმ პირების წინააღმდეგ, რომელთაც დადეს იარაღი ან აღარ შესწევთ ბრძოლის უნარი, ავადმყოფობის, მიღებული ჭრილობის, პატიმრობის ან სხვა მიზეზის გამო. ასეთ ქმედებათა ობიექტური შემადგენლობა შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს:

- ძალადობა, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლის ან პიროვნების წინააღმდეგ, კერძოდ, მკვლელობა ნებისმიერი ფორმით, დამახინჯება, სასტიკი მოპყრობა ან წამება;
- ადამიანის ღირსების შელახვა, კერძოდ, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;
- მძევლების აყვანა;
- განაჩენის გამოტანა ან მისი აღსრულება სათანადო საკანონმდებლო პროცედურით შექმნილი სასამართლოს მიერ წინასწარი განხილვის გარეშე, იმ ყველა იურიდიული გარანტიის დაცვით, რაც საყოველთაოდ სავალდებულოდ არის აღიარებული.

2) არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული კანონებისა და ჩვეულებების სხვა სერიოზული (მძიმე) დარღვევები, რომელთა უმრავლესობა აკრძალულია მეორე დამატებითი ოქმით. ასეთი დარღვევების ობიექტური შემადგენლობა შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს:

- დარტყმის განზრახ მიყენება სამოქალაქო მოსახლეობაზე, ან ცალკეულ სამოქალაქო პირებზე, რომლებიც არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში;
- დარტყმების განზრახ მიყენება იმ შენობებზე, მასალებზე, სამედიცინო დაწესებულებებზე ან სატრანსპორტო საშუალებებსა და პერსონალზე, რომლებიც, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებულ განმასხვავებელ ემბლემებს იყენებენ;
- დარტყმის განზრახ მიყენება ჰუმანიტარულ დახმარებაში ან მშვიდობის მხარდამჭერ მისიაში გაეროს წესდების შესაბამისად მონაწილე პერსონალზე, დანადგარებზე, ობიექტებზე, მასალებზე, გადასაზიდ საშუალებებზე, ვიდრე მათ აქვთ დაცვის ის უფლება, რაც ენიჭებათ სამოქალაქო პირებს ან სამოქალაქო ობიექტებს შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის შესაბამისად;
- რელიგიური, საგანმანათლებლო, ხელოვნების, სამეცნიერო ან საქველმოქმედო მიზნებისთვის განკუთვნილ შენობებზე, ისტორიულ ძეგლებზე, ჰოსპიტლებზე ან ავადმყოფთა და დაჭრილთა თავმოყრის ადგილებზე განზრახ დარტყმების მიყენება, თუ ისინი არ წარმოადგენენ სამხედრო ობიექტებს;

- ქალაქის ან ადგილმდებარეობის გაძარცვა, თუნდაც შტურმით აღებისას;
- გაუპატიურება, სქესობრივ მორჩილებაში ყოლა, პროსტიტუციის იძულება, იძულებითი ორსულობა, რაც განსაზღვრულია სტატუტის მე-7 მუხლის მე-2 (ფ) პუნქტით, ძალადობით სტერილიზაცია ან სქესობრივი ძალადობის სხვა სახე, რომელიც ასევე წარმოადგენს ჟენევის ოთხი კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლის მძიმე დარღვევას;
- თხუთმეტი წლის ასაკამდე ბავშვების გაწვევა ან შეგროვება ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში ან დაჯგუფებებში სამსახურისათვის ან მათი გამოყენება სამხედრო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად;
- ბრძანების გაცემა იმის შესახებ, რომ კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზების გამო, სამოქალაქო მოსახლეობა გადაყვანილ იქნეს სხვა ადგილას, თუ ამას არ მოითხოვს სამოქალაქო პირთა უსაფრთხოება ან აუცილებელი სამხედრო მიზეზები;
- მოწინააღმდეგე მხარის კომბატანტის ღალატით მკვლელობა ან ჭრილობის მიყენება;
- იმის გამოცხადება, რომ დანდობა არ იქნება;
- კონფლიქტში მონაწილე მოწინააღმდეგე მხარის განკარგულებაში მყოფი პირების ფიზიკური დამახინჯება ან მათზე ნებისმიერი სახის სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩატარება, რომელიც გაუმართლებელია აღნიშნული პირის სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული მკურნალობის თვალსაზრისით, ამასთან, არ ხორციელდება ამ პირის ინტერესებიდან გამომდინარე და იწვევს ამ პირის ან პირთა სიკვდილს ან სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს მათ ჯანმრთელობას;
- მოწინააღმდეგის საკუთრების განადგურება ან ხელში ჩაგდება, თუ ეს განადგურება ან ხელში ჩაგდება განპირობებული არ იყო იმპერატიული სამხედრო აუცილებლობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქმედება, რომელიც, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის შესაბამისად, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, არ წარმოადგენს სერიოზულ დარღვევას ჟენევის კონვენციებისა და I დამატებითი ოქმის მიხედვით. ამ ხელშეკრულებების მონაწილე თითოეული სახელმწიფო ვალდებულია ეროვნულ დონეზე აღკვეთოს ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სერიოზული დარღვევები, რისთვისაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში უნდა გაითვალისწინოს ასეთ ქმედებათა სისხლისსამართლებრივი დასჯადობა. იმ შემთხვევაშიც კი, როცა სახელმწიფო ასრულებს ამ საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ ვალდებულებას, ზოგიერთი ქმედების შემადგენლობა, რაც მოცემულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტში, არ იქნება გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. მაგალითად: „იმის გამოცხადება, რომ დანდობა არ იქნება“, „თხუთმეტი წლის ასაკამდე ბავშვების გაწვევა ან შეგროვება ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში“ და ა.შ. ან დანაშაულებრივი ქმედებები, ჩადენილი არასაერთაშორისო (შიდასახელმწიფოებრივი) შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში. სტატუტის მონაწილე თითოეულმა სახელმწიფომ თავის კანონმდებლობაში სრულყოფილად უნდა ასახოს სტატუტით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებათა დასჯადობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ საერთაშორისო სასამართლო იქნება უფლებამოსილი, განიხილოს ასეთ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებული საქმეები. სახელმწიფოს არ ექნება საშუალება თავისი სასამართლო ორგანოების მეშვეობით განახორციელოს სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია ასეთ ქმედებათა ჩამდენ პირთა მიმართ და ასეთი საქმეები განსახილველად უნდა გადაეცეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს. თუ სახელმწიფოს სურს განახორციელოს თავისი სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია სტატუტით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედების მიმართ, მან თავისი კანონმდებლობა სტატუტის ნორმებთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს. ამით მას ექნება შესაძლებლობა სრული მოცულობით განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირის მიმართ, ვინც სტატუტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა ბრალეულად.

ჟენევის კონვენციებისა და I დამატებითი ოქმის მოთხოვნით, სერიოზული დარღვევები ეროვნულ დონეზე უნდა აღიკვეთოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩადენილია საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ამასთან, სახელმწიფო არ არის შეზღუდული გააფართოვოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ სისხლისსამართლებრივ ვალდებულებათა წრე და სისხლის სამართლის წესით დასჯადად გამოაცხადოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა როგორც სახელმწიფოთაშორისი, ისე შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს. როგორც ყოფილი იუგოსლავიის, ასევე რუანდის საქმეებზე შექმნილი საერთაშორისო ტრიბუნალები ფლობენ უფლებამოსილებას განიხილონ ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევასთან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტების დროს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით განიხილოს საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევასთან ყოველგვარი შეიარაღებული კონფლიქტების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებულია სახელმწიფოს ვალდებულება – დააწესოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სახელმწიფოთაშორისი შეიარაღებული კონფლიქტების დროს ჩადენილ *სერიოზულ დარღვევებზე* - ომის დანაშაულებზე, მაგრამ არ არსებობს ამგვარი ვალდებულება შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის დროს ჩადენილ მსგავს ქმედებათა მიმართ, საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე, საერთაშორისო სასამართლოს სტატუტსა და სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ამ მუხლებით დასჯად ქმედებად გამოაცხადა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა როგორც *სახელმწიფოთაშორისი*, ისე *შიდასახელმწიფოებრივი* კონფლიქტის დროს; ასევე, სტატუტის ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად, გააფართოვა ომის დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის წრე და დასჯადად გამოაცხადა ისეთი ქმედებებიც, რომლებიც ჟენევის კონვენციებით სერიოზულ დარღვევად არ არის გამოცხადებული.

2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი „სამხედრო დანაშაულთა“ თავში ითვალისწინებდა ზოგიერთ შემადგენლობას, რომელიც შეი-

ძლება დაკვალიფიცირდეს როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა, მაგრამ ამ ნორმების ყველაზე დიდი ნაკლი იყო ის, რომ „სამხედრო დანაშაულის" შემსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სამხედრო პირი, ხოლო სამოქალაქო პირის სისხლისსამართლებრივი დევნა ამ ქმედებათა შესრულებისათვის არ იყო შესაძლებელი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ომის დანაშაულის შემადგენლობები, რაც მოცემულია სამ – 411-ე, 412-ე, 413-ე — მუხლში, ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახი დარღვევისათვის როგორც სახელმწიფოთაშორისი (საერთაშორისო), ისე შიდასახელმწიფოებრივი (არასაერთაშორისო) შეიარაღებული კონფლიქტის დროს. სამივე შემადგენლობისათვის საერთოა ის, რომ მათი ჩადენა შეიძლება მხოლოდ განზრახ. ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ნებისმიერი დანაშაულისათვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, იწყება 14 წლის ასაკიდან. ეს ზოგადი წესი ვრცელდება აგრეთვე ომის დანაშაულის შემადგენლობებზე. ობიექტური მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული ომის დანაშაულის შემადგენლობები შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ქმედებაში. დანაშაულებრივი ქმედების საშიშროების ხასიათის მიხედვით, სხვადასხვა შემადგენლობისათვის დაწესებულია განსხვავებული სანქციები.

კოდექსის 411-ე მუხლის მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისაა:

„2. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, მიმართული იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში ან არა აქვთ თავდაცვის საშუალებები, აგრეთვე დაჭრილთა, ავადმყოფთა, სამედიცინო და სასულიერო პერსონალის, სანიტარული ნაწილების, სანიტარული სატრანსპორტო საშუალებების, სამხედრო ტყვეების, სამოქალაქო პირების, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან საომარი მოქმედებების ზონაში მყოფი სამოქალაქო მოსახლეობის, დევნილების, აპატრიდების, საომარი მოქმედებების დროს დაცვით მოსარგებლე სხვა პირების წინააღმდეგ, კერძოდ:

ა) განზრახ მკვლელობა;

ბ) წამება ან სხვა არაჰუმანური მოპყრობა, სამედიცინო ექსპერიმენტის ჩათვლით;

გ) განზრახ მძიმე ტანჯვის ან სერიოზული ტრავმის მიყენება, რაც საფრთხეს უქმნის პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას;

დ) სამხედრო ტყვის ან დაცვით მოსარგებლე სხვა პირის იძულება, იმსახუროს მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებში;

ე) სასამართლოს მიერ საქმის მიუკერძოებლად წარმოების უფლების ჩამორთმევა სამხედრო ტყვისათვის ან დაცვით მოსარგებლე სხვა პირისათვის;

ვ) დაცვით მოსარგებლე პირის დეპორტაცია ან სხვაგვარი არამართლზომიერი გასახლება ანდა დაპატიმრება;

ზ) მძევლად აყვანა;

თ) თვითნებური და ფართომასშტაბიანი ნგრევა ან ქონების მითვისება, რაც არ იყო გამოწვეული საომარი აუცილებლობით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით".

კოდექსის 411-ე მუხლის II ნაწილი ჩამოყალიბდა ჟენევის I კონვენციის 50-ე, II კონვენციის 51-ე, III კონვენციის 130-ე და IV კონვენციის 147-ე მუხლების მიხედვით.

კოდექსის 411-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული ომის დანაშაულის შემადგენლობები, ჟენევის კონვენციების მიხედვით, ხასიათდება როგორც სერიოზული დარღვევები. დანაშაულის ეს შემადგენლობები სრულ შესაბამისობაშია რომის სტატუტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის (a) ქვეპუნქტში მოცემულ ომის დანაშაულის შემადგენლობებთან, რაც, სტატუტის მიხედვით, ომის დანაშაულების პირველ კატეგორიად ითვლება.

კოდექსის 411-ე მუხლის I ნაწილის შინაარსი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

„1. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, კერძოდ:

ა) სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო პირებზე თავდასხმა;

ბ) სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო ობიექტებზე განურჩეველი თავდასხმა, როცა ცნობილია, რომ ეს გამოიწვევს მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში ან დააზიანებს სამოქალაქო ობიექტებს;

გ) მომეტებული საშიშროების შემცველ ნაგებობაზე ან დანადგარზე თავდასხმა, როცა ცნობილია რომ ეს გამოიწვევს მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში ან დააზიანებს სამოქალაქო ობიექტებს;

დ) დაუცველ ადგილზე ან დემილიტარიზებულ ზონაზე თავდასხმა;

ე) პირზე თავდასხმა, როცა ცნობილია, რომ მან შეწყვიტა საომარ მოქმედებაში მონაწილეობა;

ვ) წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის ანდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიერ აღიარებული სხვა დაცვითი ნიშნის ან სიგნალის ვერაგულად გამოყენება;

ზ) ოკუპანტი ქვეყნის მიერ თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაყვანა ანდა ოკუპირებული ქვეყნის სამოქალაქო მოსახლეობის ან სამოქალაქო პირების დეპორტაცია ან სხვაგვარი არამართლზომიერი გასახლება ამ ტერიტორიის ფარგლებსა თუ მის გარეთ;

თ) სამხედრო ტყვეების ან სამოქალაქო პირების რეპატრიაციის უსაფუძვლოდ შეფერხება;

ი) აპართეიდი ან რასობრივ დისკრიმინაციაზე დაფუძნებული სხვა არაჰუმანური მოქმედება, რომელიც ამცირებს ადამიანის ღირსებას;

კ) ისტორიულ ძეგლზე, ხელოვნების ნიმუშზე ან საკულტო ადგილზე, როგორც ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის ნაწილზე, თავდასხმა, რამაც მისი განადგურება გამოიწვია, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე".

კოდექსის 411-ე მუხლის I ნაწილი ჩამოყალიბებულია ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 85-ე მუხლის შესაბამისად.

კოდექსის 412-ე მუხლის – „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი

შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნით ან ფიზიკური დასახიჩრებით“ – შინაარსი ასეთია:

„მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლების დაცვით მოსარგებლე დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ ისეთი სამედიცინო პროცედურის ჩატარება, რომელსაც არ მოითხოვს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და რომელიც არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ სამედიცინო ნორმებს, თუნდაც ამ პირის თანხმობით, კერძოდ:

ა) ისეთი მოქმედება, რომელმაც გამოიწვია ფიზიკური დასახიჩრება;

ბ) სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება;

გ) გადანერგვისათვის ოპერაციის ჩასატარებლად ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღება,–

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე“.

კოდექსის 412-ე მუხლის შინაარსი ჩამოყალიბებულია ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის მე-11 მუხლის შესაბამისად.

კოდექსის 413-ე მუხლი ეძღვნება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სხვა დარღვევას, კერძოდ:

„ქმედება, რომელიც არ შეიცავს ამ კოდექსის 411-ე ან 412-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, კერძოდ:

ა) მოროდიორობა, ესე იგი საომარი მოქმედების დროს მოკლულის ან დაჭრილის ნივთის დაუფლება, აგრეთვე მოქალაქეთა იმ ქონების დაუფლება, რომელიც დატოვებულია საომარი მოქმედების ზონაში;

ბ) მოქალაქეთა გამოყენება ჯარის ან ობიექტების სამხედრო ოპერაციებისაგან დასაცავად;

გ) სამხედრო ოპერაციაში ან შეიარაღებულ კონფლიქტში ისეთი საშუალების, მასალის ან მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება, რომელიც აკრძალულია საერთაშორისო ხელშეკრულებით;

დ) ომის სხვა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით და არ ისჯება ამ კოდექსის 411-ე ან 412-ე მუხლით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ოც წლამდე“.

ეს მუხლი არ იძლევა დასჯად ქმედებათა ამომწურავ ჩამონათვალს, არამედ ბლანკეტურია და აკეთებს ზოგად მითითებას *საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებზე.*

როგორც რომის სტატუტის მე-8 მუხლისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, ახალ სისხლის სამართლის კოდექსში ასახვა ჰპოვა ომის დანაშაულის შემადგენლობებმა, რომლებიც გამომდინარეობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროებიდან – ჟენევის კონვენციებსა და მათი დამატებითი ოქმებიდან. ამასთან, ვინაიდან მათში მოცემული ომის დანაშაულის კატალოგი მთლიანად არ ემთხვევა სტატუტში მოცემულ ომის დანაშაულის კატალოგს, მთელ რიგ ახალ შემადგენლობებს შეესაბამება კოდექსის 413-ე მუხლის დ ქვეპუნქტი, რომელიც აკეთებს ზოგად მითითებას: *ომის სხვა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.* სტატუტის რატიფიკაციის შემთხვევაში არ არის აუცილებელი, მაგრამ შესაძლებელია მთელი რიგი კონკრეტული შემადგენლობების კოდექსში გადატანა, რაც ასევე გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს სისხლის სამართლის იდეიდან. იმისათვის, რომ ნორმის ადრესატს დაკონკრეტებული ჰქონდეს მართლწინააღმდეგობის შეგნება, სასურველია არა ბლანკეტური ნორმის არსებობა, არამედ ნორმის შინაარსის კონკრეტულად ჩამოყალიბება. ეს იქნება არა შემაფერხებელი გარემოება სტატუტის რატიფიკაციის დროს, არამედ სტატუტის რატიფიკაციის შემდეგ ჩასატარებელი სასურველი სამუშაო.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს ზოგად ნორმებს: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, გაუპატიურება, სხვისი ქონების განადგურება ან დაზიანება და ა.შ., რომელთა გამოყენება ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება „ომის დანაშაულების“ კვალიფიკაციისათვის.

2.5.2.4. აგრესია

აგრესიის დანაშაულთან დაკავშირებით, სტატუტი რაიმე სიახლით არ გამოირჩევა. ჯერ კიდევ ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდება შეიცავდა აგრესიის შემადგენლობას. ამასთან, სასამართლოს თავისი იურისდიქცია, სტატუტის მიხედვით, აგრესიის დანაშაულთან მიმართებაში არ შეუძლია განახორციელოს ავტომატურად, რადგან სახელმწიფოები სტატუტის შემუშავებისა და მიღების დროს ვერ შეთანხმდნენ აგრესიის დეფინიციაზე. ყველაზე ადრე, სტატუტის ამოქმედებიდან შვიდი წლის შემდეგ, შესაძლებელია სტატუტის გადასინჯვის კონფერენციაზე გადაწყდეს საკითხი აგრესიის შემადგენლობის დეფინიციის შესახებ. შესაბამისი პროცედურა უნდა ჩატარდეს სტატუტის 121-ე და 123-ე მუხლების შესაბამისად. ეს, სხვა გარემოებებთან ერთად, ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს შეუძლია მიღება გადადოს, რითაც ეძლევა შესაძლებლობა აგრესია თავისი მოქალაქეებისათვის ან მის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის მიმართ გამორიცხოს. აგრესიის დეფინიცია შესაბამისობაში უნდა იყოს გაეროს წესდების დებულებებთან. სასამართლოს მოსამზადებელი კომისია, ამ საკითხთან დაკავშირებით, ატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XVII თავი, სახელწოდებით ,,დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ“, შეიცავს ორ მუხლს, რომელიც აგრესიას ეხება. კერძოდ, კოდექსის 404-ე მუხლი - „აგრესიული ომის მომზადება ან წარმოება“, ჩამოყალიბებულია შემდეგი შემადგენლობის სახით:

„1. აგრესიული ომის დაგეგმვა ან მომზადება,–

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 7-დან 15 წლამდე.

2. აგრესიული ომის გაჩაღება ან წარმოება,–

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 10-დან 20-მდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით“.

კოდექსის 405-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია „მოწოდება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ“.

„1. საქვეყნოდ მოწოდება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 წლამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი საინფორმაციო საშუალებით ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2-დან 5 წლამდე, თანამდებობის დაკავებით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე".

სტატუტის ნორმებიდან გამომდინარე, საკმარისი საფუძველია მტკიცებისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ცვლილებებსა და დამატებებს, აგრესიის შემადგენლობასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე არ საჭიროებს.

2.5.3. სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები და სასჯელები

როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი ამ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს აკისრებს საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ ვალდებულებას შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასახოს არა მხოლოდ დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები, რაც ჩამოთვლილია სტატუტის მე-5 მუხლში და მოცემულია ამავე სტატუტის მე-6-8 მუხლებში, არამედ, აგრეთვე, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს სისხლის სამართლის იმ ზოგად პრინციპებთან, რაც წარმოდგენილია სტატუტის მე-3 ნაწილში („სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები"). ესენია: უნივერსალური იურისდიქცია, კანონიერებისა და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია, მეთაურის პასუხისმგებლობა მისი უმოქმედობის დროს, დანაშაულის ჩადენა უკანონო ბრძანების შესრულებით, პასუხისმგებლობის აცილების მიზნით თანამდებობრივ მდგომარეობაზე მითითების დაუშვებლობა, თანამონაწილეობის ფორმები, ხანდაზმულობის ვადების გამოყენების დაუშვებლობა და ა.შ. სტატუტში ასევე მოცემულია სასჯელების შესახებ.

2.5.3.1. სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები

საერთაშორისო სამართლის კომისიის 1994 წლის პროექტი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის შესახებ შეიცავდა არა სისხლის სამართლის ზოგად დებულებებს, არამედ მხოლოდ მითითებას გამოსაყენებელ სამართლის წყაროებზე, ესენია: სტატუტი, გამოსაყენებელი ხელშეკრულებები, საერთაშორისო სამართლის პრინციპები და, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული სამართლის ნორმები (პროექტის 33-ე მუხლი). ეს უბრალო მითითება ბევრმა ქვეყანამ ჩათვალა ხარვეზიანად. მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, მათი არგუმენტაციით, უნდა ფლობდეს სისხლის სამართლის ზოგად დებულებებს, რომ ამით სრულყოფილად უპასუხებდეს ლეგალურობის პრინციპს: „*nullum crimen sine lege*". საერთაშორისო სასამართლომ, უნივერსალურობის პრეტენზიით, სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოს მსოფლიოს სხვადასხვა სამართლებრივი ტრადიციის მიღწევებს.

საქმე ეხება იმას, რომ სტატუტში პასუხი გასცემოდა ზოგიერთ ისეთ საკითხს, რაც ეროვნული სისხლის სამართლის კანონის ზოგად ნაწილში არის დარეგულირებული. ეს საკითხებია: ლეგალურობის პრინციპი, თანამონაწილეობის ფორმების აღწერა, როგორებიცაა: წამქეზებლობა და დახმარება, მცდელობის, შეცდომის დეფინიცია ან იმ საფუძვლების ჩამოთვლა, რაც ცალკეულ შემთხვევაში დასჯადობის გამომრიცხველ გარემოებებს წარმოადგენს. იმის მცდელობა, რომ სისხლის

სამართლის ასეთი ზოგადი პრინციპები საერთაშორისო დონეზე იქნეს ფორმულირებული, რთული საქმეა. თავდაპირველად ჩამოყალიბდა პოზიცია, რომ ასეთი მცდელობა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სტატუტით.

დისკუსიების შედეგად შეჯერდა პოზიციები, რათა „ზოგადი პრინციპების" შესახებ ჩამოყალიბებულ დებულებებს მხოლოდ სტატუტში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობისა და საერთაშორისო სასამართლოს მიერ ჩატარებული პროცესის მიმართ ჰქონდეს მოქმედება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ უნდა შექმნილიყო საერთაშორისო სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რომელსაც უნივერსალური ხასიათი ექნებოდა და სახელმწიფოების მიერ სავალდებულოდ იქნებოდა გამოსაყენებადი. კონკრეტულად რომ ითქვას, სტატუტში მოცემული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის დებულებები ასახვა ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, როგორც წესი, არ არის სავალდებულო. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ მომენტზე, რომ შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, სტატუტის მე-17 მუხლიდან გამომდინარე, კომპლემენტარულობის პრინციპის ქვეშ იმყოფება, რის გამოც, აუცილებელია სტატუტის ზოგადი ნაწილის დებულებებს შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი ისე არ ეწინააღმდეგებოდეს, რომ საჭირო გახდეს მისი ამოქმედება. ეს ნიშნავს იმას, რომ ეროვნულ სამართალში არ უნდა იყოს დასჯადობის ხარვეზები ან დასჯადობის ისეთი მიუღებელი გამომრიცხველი გარემოებები, რაც აუცილებელს გახდის სასამართლოს მიერ სტატუტის მე-17 მუხლის ამოქმედებას, ვინაიდან სახელმწიფოს ,,არ სურს'' ან ,,არა აქვს უნარი'' განახორციელოს სათანადო სისხლისსამართლებრივი დევნა.

სტატუტში მოცემულია ისეთი ზოგადი პრინციპები, როგორებიცაა: „არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე" (მუხ. 22), „არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე" (მუხ.23), უკუძალის აკრძალვა (მუხ.24) და ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობა (მუხ.29). დარეგულირებულია შემსრულებლობისა და თანამონაწილეობის ფორმები (მუხ.25), სამხედრო მეთაურებისა და სხვა უფროსების პასუხისმგებლობა (მუხ.28), ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები (მუხ.30), დასჯადობის გამომრიცხველი გარემოებანი (მუხ.31), შეცდომა (მუხ.32) და მოქმედება ბრძანების ან სამართლის ნორმის საფუძველზე (მუხ.33). 26-ე მუხლი გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ბავშვებისა და 18 წლამდე არასრულწლოვნების მიმართ. მეტად მნიშვნელოვანია სტატუტის 27-ე მუხლი, რომლის თანახმად, იმუნიტეტები ისევე, როგორც სპეციალური ეროვნული თუ საერთაშორისო საპროცესო ნორმები, რაც დაკავშირებულია პირის ოფიციალურ ფუნქციასთან, არ არის სასამართლოს იურისდიქციის განხორციელებისათვის დამაბრკოლებელი გარემოება.[9]

[9] სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტში მოცემული სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისობის შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმებთან. იხ.: მ. ტურავა, საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, წიგნში: საქართველო და საერთაშორისო სამართალი, კ. კორკელია (რედ.), თბ., 2001, გვ. 194-227; ამ საკითხზე იხ. აგრეთვე: C. Kress, Die Kristallisation eines Allgemeinen Teils des Völkerstrafrechts: Die Allgemeinen Prinzipien des Strafrechts in Statut des Internationalen Strafgerichtshofs, in: Humanitäres Völkerrecht, Nr. 1, 1999. Kai Ambos, Der Allgemeine Teil des Völkerstrafrechts, Ansätze einer Dogmatisierung, Berlin, 2002. Helmut Kreicker, Die völkerstrafrechtliche Unverjährbarkeit und die Regelung im Völkerstrafgesetzbuch, Neue Justiz, 6/2002.

2.5.3.2. სასჯელები

23-ე მუხლში აღნიშნული პრინციპის – „არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე," მიხედვით, სტატუტის მე-7 თავში მოცემულია სასჯელები, რომელთა გამოყენებაც სასამართლოს შეუძლია.

საერთაშორისო სისხლის სამართლის კომისიის 1994 წლის პროექტისაგან განსხვავებით, სტატუტმა შიდასახელმწიფოებრივ სამართალში არსებულ სასჯელთა სისტემაზე უბრალოდ მითითება კი არ გააკეთა, მაგალითად, იმ სახელმწიფოს სანქციათა სისტემაზე, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა დანაშაული, არამედ თვითონ შექმნა მუხლები სანქციების შესახებ. სტატუტის მე-5 მუხლში მოცემულ დანაშაულთათვის ეროვნული კანონმდებლობით, ალბათ, სხვაგვარად აღწერილ დანაშაულის შემადგენლობებსა და მათ სანქციებზე მითითებას შეეძლო სიძნელეები გამოეწვია. შესაძლებელია, რომ იქ მოცემული სანქციები სრულიად არაადეკვატური ყოფილიყო ან ისეთი სასჯელები ყოფილიყო გათვალისწინებული, რომელთა გამოყენებაც საერთაშორისო სასამართლოს არ შეუძლია (სიკვდილით დასჯა ან სხეულებრივი სასჯელები). ამან გამოიწვია ის, რომ თვით სტატუტში ჩამოყალიბებულიყო ის სასჯელები, რაც გამოიყენება სასამართლოს მიერ.

77-ე მუხლი ძირითადი სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 30 წლამდე ვადით. სასჯელის ეს უმაღლესი ვადა შეიძლება გაიზარდოს გამონაკლის შემთხვევაში და შეიცვალოს უვადო თავისუფლების აღკვეთით, თუ ეს გამართლებულია დანაშაულის განსაკუთრებული სიმძიმითა და დამნაშავის პიროვნული თვისებებით.

სასამართლო უფლებამოსილია გადასინჯოს (მუხლი 110) თავდაპირველად შეფარდებული სასჯელის ღონისძიება მისი მოხდის 2/3-ის გავლის შემდეგ, უვადო თავისუფლების აღკვეთის დროს 25 წლის გავლის შემდეგ და ამ დროიდან რეგულარული მონაკვეთებით. როგორც დამატებითი სასჯელის ღონისძიება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯარიმა და ქონების ჩამორთმევა. ეს ქონება, სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეიძლება გადაეცეს ქონების მართვის სპეციალურ ფონდს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად მსხვერპლისა და მისი ახლობლების სასარგებლოდ.

ფონდი, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის გადაწყვეტილებით, შეიქმნება და იმ კრიტერიუმებით იმართება, როგორც იგი განსაზღვრავს.

სასამართლო სასჯელს ადგენს 78-ე მუხლში მოცემული საფუძვლებით. მე-80 მუხლი განსაზღვრავს, რომ სტატუტის მე-7 თავს არა აქვს ზეგავლენა ეროვნული სამართლის მიხედვით გათვალისწინებული სასჯელებისა და სასჯელის სახეების გამოყენებაზე, ამიტომ მისი შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ასახვის არავითარი ვალდებულება არსებობს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სანქციათა სისტემა მოცემულია მე-40 მუხლში.

სიკვდილით დასჯის გაუქმება

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას. მართალია, 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის[10] მე-2 მუხლი ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, არ შეიცავს ნორმებს, რომლებიც სიკვდილით დასჯის გაუქმებას მოითხოვენ, მაგრამ კონვენციის მე-6 ოქმი[11] კრძალავს მის გამოყენებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს. ჰუმანურობისა და კაცთმოყვარეობის პრინციპებიდან გამომდინარე, ვინაიდან სიცოცხლე ადამიანის უზენაესი უფლებაა, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, 1997 წლის 11 ნოემბერს სიკვდილით დასჯა საქართველოში გაუქმდა საკანონმდებლო გზით, რაც ეთანხმება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 ოქმის მოთხოვნას. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-2 ფაკულტატიური ოქმი[12] კრძალავს სიკვდილით დასჯას, როგორც სასჯელის ღონისძიებას.

უვადო თავისუფლების აღკვეთა, კოდექსის 51-ე მუხლის მიხედვით, შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. რომის სტატუტით გათვალისწინებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემადგენლობები. საქართველოს კანონმდებლობით უვადო თავისუფლების აღკვეთა არ ენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია 18 წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა 60 წელი.

კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ინიშნება 20 წლამდე ვადით. დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელთა შეჯამებისას თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს, ხოლო განაჩენთა ერთობლიობით სასჯელთა შეჯამებისას – 30 წელს.

კოდექსის მე-12 მუხლის მიხედვით, კოდექსში მოცემული რომის სტატუტის შესაბამისი დანაშაულები ეკუთვნის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ განზრახ ქმედებებს, რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით.

კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მსჯავრდებულმა, ფაქტობრივად, მოიხადა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ 3/4. ამავე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, მსჯავრდებული უვადო თავისუფლების მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან, ფაქტობრივად, მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 25 წელი

[10] საქართველოსათვის ძალაში შევიდა 1999 წლის 20 მაისს.

[11] საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2000 წლის 13 აპრილს.

[12] საქართველოსათვის ძალაში შესვლის თარიღია 1999 წლის 22 ივნისი. აღსანიშნავია, რომ 1999 წლის 2 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება სიკვდილით დასჯის გაუქმებისადმი მიძღვნილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატიურ ოქმთან შეერთების თაობაზე.

და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა.

რაც შეეხება ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევის, როგორც დამატებითი სასჯელის ღონისძიების, გამოყენებას: კოდექსის 42-ე მუხლი არეგულირებს ჯარიმის დანიშვნას ევროპის ქვეყნებში მიღებული ე.წ. დღიური ანაზღაურების სისტემით, ხოლო ქონების ჩამორთმევის შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლი ითვალისწინებს ე.წ. საპროცესო კონფისკაციას. მის მე-4 თავში მოცემული წესითა და პროცედურით შესაძლებელია სამოქალაქო სარჩელის წარდგენა სისხლის სამართლის პროცესში ან სისხლის სამართლის პროცესის დამთავრების შემდეგ. პირს, რომელსაც უშუალოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მიადგა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი.

დასკვნა

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის ძალაში შესვლით (2002 წლის 1 ივლისი) პირველად ამოქმედდა სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო. მართალია, საქართველოს პარლამენტს ჯერ არ მოუხდენია ამ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია, მაგრამ ამ მიმართულებით დღეისათვის მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაოებია ჩატარებული.

საქართველოს მიერ ამ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია უკავშირდება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს ამ სტატუტის ნორმებთან. ამ მიზნით განვიხილეთ სტატუტის ძირითადი დებულებები და ის პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს სტატუტის დებულებებიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით, აუცილებელია შემუშავდეს სისხლისსამართლებრივი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივი ასპექტები, უნდა ჩამოყალიბდეს საკანონმდებლო დებულებები, რომლებიც დაარეგულირებენ სახელმწიფოს თანამშრომლობას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან.[13]

საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის კოდექსი არ მოითხოვენ ცვლილებას ან დამატებას. რაც შეეხება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის სფეროს, აუცილებელია, რომ შემუშავდეს სპეციალური კანონპროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტს რომის სტატუტის რატიფიკაციის დროს უნდა წარედგინოს.

[13] დღეისათვის არსებობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის შესახებ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შემუშავების კარგი გამოცდილება. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 2002 წლის 1 ივლისიდან მოქმედებს „კანონი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის შესახებ" (Gesetz über die Zusammenarbeit mit dem Internationalen Strafgerichtshof). ასეთივე კანონი შემუშავებულია შვეიცარიასა და სხვა ქვეყნებში.

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ

ლალი ფაფიაშვილი

1. შესავალი

დიდია ევროპის კონვენციისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა საქართველოს კანონმდებლობის განვითარებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დამკვიდრების საქმეში. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესი საქართველოში შეუქცევად ხასიათს ღებულობს, კვლავაც არსებობს ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების ხელყოფის შემთხვევები, ჯერ კიდევ არასრულყოფილია საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით აღიარებული ადამიანის უფლებათა დამცავი ეროვნული გარანტიები.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის იმ ზოგიერთი დებულების განხილვა, რომლებთანაც დაკავშირებულია სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტების მნიშვნელოვანი ნაწილი. მე-5 მუხლი, კონვენციის სხვა დებულებებთან შედარებით, დეტალურად აწესრიგებს პიროვნების თავისუფლების დაცვის გარანტიებს, რაც მიუთითებს კონვენციით ამ უფლებისათვის მინიჭებულ მნიშვნელობაზე. იგი უზრუნველყოფს პიროვნული თავისუფლების გარანტიების დაცვას, ხელს უწყობს და გარკვეულწილად აჩქარებს კიდეც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმას კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში.

ნებისმიერი აქტი, რომელიც პირთა თავისუფლებას ხელყოფს, უნდა ემყარებოდეს არა მხოლოდ მე-5 მუხლში აღნიშნულ საფუძვლებს, არამედ იყოს „კანონიერი", ე.ი., სულ ცოტა, ნებადართული ეროვნული კანონმდებლობით, როგორც საფუძვლების, ისე შესაბამისი პროცედურის თვალსაზრისით. მაგრამ ერთია, როდესაც ეროვნული კონსტიტუცია შეიცავს პიროვნული თავისუფლების უზრუნველმყოფელ ბრწყინვალედ ჩამოყალიბებულ გარანტიას და მეორეა სამართლებრივი სისტემა, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებების მეშვეობით უზრუნველყოფს სწრაფ და ეფექტიან დაცვას პირის თავისუფლების აღმკვეთი ნებისმიერი ოფიციალური ორგანოს წინააღმდეგ. „მარტივი და, როგორც წესი, ძალიან მცირე მოგების მომტანია პიროვნული თავისუფლების უფლების დეკლარირება, ჭეშმარიტი სირთულე მისი განხორციელების უზრუნველყოფაა."[1]

მე-5 მუხლის მე-2-5 პუნქტები ადგენს უკანონოდ დაკავებული პირის გათავისუფლების გარანტიებს. პიროვნების ფიზიკურ თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიულ ქვეყნებ-

[1] A. Dicey, Law and Constitution, 1959, 221.

ში, რომლებიც აღიარებენ დემოკრატიულ ღირებულებებს, იგი, როგორც წესი, თავისთავად იგულისხმება. ეს უფლება ყველა იმ სახელმწიფოებრივი სისტემის ქვაკუთხედია, რომელსაც აქვს კანონიერების პატივისცემისა და დაცვის პრეტენზია. ასეთი დებულებები ემსახურება სახელმწიფო ორგანოების ფუნდამენტურ მოვალეობას დაიცვან ყოველი ადამიანის უფლება ფიზიკურ უსაფრთხოებაზე.[2]

უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და მასში მოცემული ვალდებულებების არსის ღრმა შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გაცნობას. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არსებით გავლენას ახდენს ევროპული სამართლის დოქტრინის ფორმირებასა და განვითარებაზე.[3] წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან თავიანთი კანონმდებლობა შეუსაბამონ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. კონვენციის ობიექტი და მიზანი მოითხოვს მისი დებულებების იმგვარად განმარტებასა და გამოყენებას, რომ კონვენციით გათვალისწინებული გარანტიები ქმედითი და ეფექტიანი იყოს.[4]

2. ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები

ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ნებისმიერ დაპატიმრებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ მისი დაპატიმრების მიზეზებისა და წაყენებული ბრალდების შესახებ.

ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება ნებისმიერი საფუძვლით და არა მხოლოდ სისხლის სამართლის ბრალდებასთან დაკავშირებით[5] განხორციელებულ როგორც თავდაპირველ, ისე გათავისუფლების შემდეგ ხელახალი დაკავების შემთხვევებზე.[6]

ხსენებული მუხლის მიზანია უზრუნველყოს დაკავებული პირის ინფორმირება მისი დაკავების მიზეზების შესახებ,[7] რათა მან შეძლოს სახელმწიფოს მიერ მის მიმართ განხორციელებული ქმედების კანონიერების განსაზღვრა და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით მისთვის მინიჭებული შესაძლებლობის გამოყენება. ამისათვის კი იგი დროულად და სათანადოდ უნდა იყოს ინფორმირებული მისი დაკავების მიზეზების თაობაზე. დაკავების მომენტში ზოგადი ფორმით მიწოდებული ეს ინფორმაცია უნდა ეხებოდეს ამ ქმედების სამართლებრივ საფუძვლებს და საკმარისი უნდა იყოს მისი დასაბუთებისათვის.[8] ეს არ გულისხმობს სამართალდარღვევაში მონაწილეობის ეჭვის საფუძვლებში პირის გარკვევის აუცილებლობას[9] და „დაკავების მომენტში დაკავების განმახორციელებელი პირის მიერ ინფორმაციის სრულად მიწოდების მოვალეობას, თუ „დაკავებული პირი ინფორმირებულია მისი დაკავების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ, ერთდროულად ან სხვადასხვა ეტაპზე, დაკავების მომდევნო პერიოდში მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამ-

[2] European Human Rights Law: Text and Materials, M. Janis, R. Kay, & A. Bradley, 1995, 298.
[3] Карташкин В.А., Права человека в международном и внутрогосударственном праве, М, 1995, г. 90.
[4] *Soering* v *UK*, A161(1989).
[5] *Van Der Leer* v *Netherlands,* A 170-A, para. 27 (1990).
[6] *X v Belgium*, N4741/71, 43 CD 14 at 19 (1973). *Cf* v *UK,* A46, para. 66 (1981).
[7] Fox , Campbell and Harley v UK A182 para 40 (1990).
[8] *X* v *UK,* N4220/69, 14 YB 250 at 278 (1971).
[9] *McVeigh, O'Neil and Evans* v *UK,* N8022/77, 8025/77, 8027/77, 25 DR 15-45 (1981).

ისად".[10] პირი საკმარისად უნდა იქნეს ინფორმირებული იმ ფაქტებისა და მტკიცებულებების შესახებ, რომლებიც, სავარაუდოდ, საფუძვლად დაედება გადაწყვეტილებას მისი დაკავების შესახებ, რათა მან შეძლოს განცხადების გაკეთება შერაცხული სამართალდარღვევის აღიარების ან უარყოფის თაობაზე.[11] თუ პირი დაიკითხა მის დაკავებამდე და შეხვდა სხვა ეჭვმიტანილებსაც, იგი სრულყოფილად უნდა იქნეს ინფორმირებული მისი დაკავების მიზეზებისა და მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების ხასიათის შესახებ, მაგრამ შემდგომი ზუსტი ინფორმაციის მიწოდება აუცილებელი არ არის.[12] ინფორმაციის საკმარისობა საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით განისაზღვრება და მისი შინაარსი, გარკვეულწილად, დაკავების სახეზეა დამოკიდებული (მაგალითად, დეპორტაციის ან გაძევების მიზნით მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის f) ქვეპუნქტის შესაბამისად დაკავებულ პირს უფლება აქვს იცოდეს მის მიმართ ასეთი წარმოების მიმდინარეობის, და არა სამართალწარმოების მიზეზების, შესახებ.[13] ინფორმაცია უნდა იყოს საკმარისად დეტალური, რათა გასაგები გახდეს თავისუფლების აღკვეთის ექვსი საფუძვლიდან რომლის გამოყენებაა გათვალისწინებული.[14]

მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი მოითხოვს დაკავებული პირის ინფორმირებას მისი დაკავების მიზეზების შესახებ. ამავე დროს, არ არის სავალდებულო დაკავებული პირის მკაფიოდ, პირდაპირ ინფორმირება მისი დაკავების მიზეზების შესახებ, თუ ეს ცხადია დაკავების გარემომცველი გარემოებებიდან.[15]

საჭიროა თუ არა დეპორტაციის ან ექსტრადიციის მოლოდინში დაკავებული პირის ინფორმირება მისი დაკავების მიზნებისა და მის მიმართ განსახორციელებელი ქმედების მიზეზების თაობაზე? – ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, მისთვის რა ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო იმისათვის, რათა მას შესაძლებლობა მიეცეს სადავო გახადოს მისი დაკავების კანონიერება.

თუ პირს ქმედუუნარობის ან შეზღუდული ქმედუნარიანობის გამო არ შეუძლია გაიგოს აღნიშნული ინფორმაციის არსი, ეს ინფორმაცია უნდა წარედგინოს ადვოკატს,[16] მზრუნველს,[17] ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც უფლებამოსილია იმოქმედოს მისი სახელითა და ინტერესებისათვის.

დაკავების მიზეზები უნდა განიმარტოს „დაკავებული პირისათვის გასაგებ ენაზე", რაც გულისხმობს, რომ დაკავების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი უნდა გადმოიცეს მარტივ და არატექნიკურ ენაზე.[18] მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი არ მოითხოვს დაკავების მიზეზების რაიმე კონკრეტული გზით განმარტებას,[19] მა-

[10] *Fox, Campbell and Hartley* v *UK,* A 182, para. 40 (1990).
[11] *X* v *FRG,* N8098/74 DR 16, 11, at 114 (1978).
[12] N1936/63 YB 7, 224 at 244 (1964).
[13] *Caprino* v *UK,* DR22, para. 65, 5, at 12 (1980).
[14] მე-5 მუხლის 1(c) პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ არის აუცილებელი ყველა იმ ბრალდების მითითება, რომლებიც შეიძლება მოგვიანებით წაეყენოს დაკავებულ პირს.
[15] *Fox, Campbell and Hartley* v *UK,* A182 (1990); ასევე იხ. *Neumeister* v *Austria,* N1936/63, 7YB 224 (1964); *Freda* v *Italy,* N8916/80, 21 DR 250 (1980); *B* v *France,* N10179/82, 52 DR111 (1987).
[16] *X* v *UK,* B41 (1980) Comm. Rep. para. 111.
[17] *X* v *UK,* B41 paras. 102-108, 33-34 (1980).
[18] *Fox, Campbell and Hartley* v *UK,* A182, para. 40 (1990).
[19] *X* v *Netherlands,* N2621/65, 9 YB, 474 at 480 (1966).

გალითად წერილობით,[20] ორდერის ან დაკავებისათვის უფლებამოსილების მიმნიჭებელი სხვა დოკუმენტის ტექსტში მითითებას,[21] არ უზრუნველყოფს დაკავებული პირის უფლებას ადვოკატზე.[22] თუ დაკავების განმახორციელებელი პირი თვითონ არ საუბრობს დაკავებული პირის ენაზე, მაშინ ასეთი ინფორმაცია წარდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო ბრალმდებლის ან მაგისტრატის მიერ, თუ დაპატიმრებული დაუყოვნებლივ იქნება მასთან მიყვანილი.

თუ პირის ადგილსამყოფელი უცნობია, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მას უნდა მიეწოდოს მისი ადგილსამყოფელის დადგენისთანავე.[23]

მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ფარავს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს[24] და, გარკვეულწილად, მე-6 მუხლის მე-3(a) პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას. მაგრამ მე-6 მუხლის მე-3(a) პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან შედარებით, „უფრო დეტალური და სპეციფიკურია",[25] ვინაიდან ამ უკანასკნელის მიზანია ხელი შეუწყოს პირის დაკავების კანონიერების სადავოდ გახდომას, ხოლო მე-6 მუხლის მე-3(a) პუნქტის მიზანია უზრუნველყოს ბრალდებული პირი მისი დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციით.

მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ერთ-ერთი დანიშნულებაა შესაძლებლობა მისცეს დაკავებულ პირს გამოთქვას აზრი სამართალდარღვევაში მისი ბრალეულობა-უდანაშაულობის თაობაზე,[26] მაშინაც კი, თუ იგი ქმედუუნაროა და მოიპოვოს გათავისუფლება სასამართლო პროცედურისადმი მიმართვის გარეშე.[27]

3. ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები

ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ენიჭება უფლება:

1. დაუყოვნებლივ წარდგეს მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელების უფლების მქონე სხვა პირის წინაშე;

2. გათავისუფლებულ იქნეს „გონივრულ ვადაში", სასამართლო განხილვაზე ან სასამართლო განხილვამდე.

მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის წინაპირობას პირადი თავისუფლების უფლება და უდანაშაულობის პრეზუმფცია წარმოადგენს. მისი მიზანია პირადი თავისუფლების შეზღუდვაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება[28] და სისხლის სამართლის პროცესში აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან „თვითნებობის საშიშროების

[20] *X* v *Netherlands*, N1211/61, 5 YB, 224 at 228 (1962).
[21] *X* v *Netherlands*, N2621/65, 9 YB, 474 at 480 (1966).
[22] *X* v *Denmark*, N8828/79, 30 DR, 93 at 94 (1982).
[23] *Keus* v *Netherlands*, A 185-C, para. 22 (1990); *X* v *UK*, N7125/75, 1 Digest 458 (1977).
[24] *X* v *UK*, A46, para. 66 (1981).
[25] *Nielsen* v *Denmark*, N343/57, 2YB, 412 at 462 (1959), *GSM* v *Austria*, N9614/81, 31 DR 119 (1983).
[26] *X* v *FRG*, N8098/77, DR 16, 111-114 (1978).
[27] *X* v *UK*, N8010/77, 16 DR, 101-114 (1979).
[28] *Brogan* v *UK*, A145-B, para. 58 (1988).

მინიმუმამდე შემცირებაა", ასევე მე-5 მუხლის 1(c) პუნქტით გათვალისწინებული დაკავების ზღვრული ვადის განსაზღვრა და ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მხრიდან დაკავების მიზანშეუწონლად გაგრძელების აღკვეთა.[29] ამ გარანტიას „განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ სახელმწიფოებში ენიჭება, სადაც არსებობს პოლიციის მხრიდან წამების ან სასტიკი მოპყრობის რეალური საშიშროება", ვინაიდან ასეთი მეთოდების გამოყენება ხანგრძლივ კვალს არ ტოვებს.

მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება, როგორც წესი, ვრცელდება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (c) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაკავების შემთხვევებზე,[30] მაგრამ მისი გამოყენება შესაძლებელია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (c) ქვეპუნქტთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა სახის დაკავებასთან მიმართებითაც, „ვინაიდან ეს არის ზოგადი პრინციპი, რომელიც გამოიყენება, როდესაც პირი დაპატიმრებულია ქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც არის იგი ეჭვმიტანილი".[31] ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება პირის პირობითად გათავისუფლების,[32] სასამართლოს განაჩენით დაკისრებული სასჯელის მოხდის,[33] გადაცემის ან გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების მოლოდინში დაკავებულ პირებზე.

3.1 *დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა უფლება „გონივრულ ვადაში" სასამართლო განხილვაზე*

დაკავებულ ბრალდებულთა უფლება „გონივრულ ვადაში" სასამართლო განხილვაზე გულისხმობს, რომ ბრალდებულთა წინასწარი დაკავება არ უნდა გაგრძელდეს გონივრულ ვადაზე უფრო მეტ ხანს.[34] მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი და სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ ადგენს სასამართლო განხილვამდე დაკავების მაქსიმალურ ხანგრძლივობას, ანუ „გონივრული ვადის" ზედა ზღვარს. „გონივრული ვადის" ცნება უნდა განისაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებებზე დაყრდნობით, დაკავების საფუძვლებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულს აღკვეთილი აქვს თავისუფლება. ძნელია ცალსახად იმის თქმა, თუ როდის ჩაითვლება სასამართლომდელი დაკავება მიუღებლად.[35] გონივრულობის დაუზუსტებელი ცნება, წინასწარი დაკავების კონკრეტული ვადის მითითების გარეშე, როგორც ჩანს, საკმაოდ სუსტია. სწორედ ამიტომ ენიჭება პრეცედენტული სამართლის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა.

აღნიშნული ვადა მოიცავს დროის მონაკვეთს სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ ეჭვის საფუძველზე ბრალდებულის დაკავებიდან საქმის განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მის მსჯავრდებამდე ან გამართლებამდე. ამდენად, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება სააპელაციო

[29] *Wemhoff* v *FRG*, A7, 21, para. 4 (1968); *Stogmuller* v *Austria*, A-9, 39, para. 3 (1969).
[30] *De Wilde, Ooms and Versyp* v *Belgium*, A-12, 39, para. 71(1971); *Lawles* v *Ireland*, A4, 51, para, 14 (1971).
[31] *Ireland* v *UK*, N25/1/1076, YB 19, 512-574.
[32] *Campbell* v *UK*, N8233/78 (1979), unpublished.
[33] *Bracegirdle* v *UK*, N5020/71 (1972), unpublished.
[34] *Wemhoff* v *FRG*, A7, 22, para 5.
[35] *Stogmuller* v *Austria*, A9, 39, para. 4.

წარმოების მოლოდინში ბრალდებულის დაკავებაზე.[36]

თავისუფლების აღკვეთის საწყისი მომენტის განსაზღვრა იშვიათად ქმნის სირთულეებს. გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც დაკავების პერიოდი წყდება[37] ან განკარგულება დაკავების შესახებ ეხება პირს, რომელიც უკვე დაკავებულია სხვა საფუძვლით.[38] უფრო ძნელია იმ მომენტის განსაზღვრა, როდის უნდა ჩაითვალოს ხელახალი დაკავება დამთავრებულად. სასამართლოს განმარტებით, წინასწარი პატიმრობის დამთავრების ვადად უნდა ჩაითვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დღე.[39] მაგრამ დაკავების დასრულების მომენტი განსაზღვრული არ არის, თუ, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, განაჩენის აღსრულება დაიშვება მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ.[40]

დაკავების პერიოდების გონივრულობასთან დაკავშირებული მოსაზრებების „ფართო განსხვავების" შესამცირებლად[41] სასამართლომ შეიმუშავა დაკავების ხანგრძლივობის „გონივრულობის" განმსაზღვრელი კრიტერიუმები.

თავდაპირველად ევროპული კომისია დაკავების ხანგრძლივობის შეფასების შვიდ კრიტერიუმს იყენებდა,[42] მაგრამ საქმეზე - *Wemhoff* v *FRG* სასამართლომ უპირატესობა, სპეციალურ კრიტერიუმებთან შედარებით, ზოგად მოსაზრებებს მიანიჭა:

1. სახელმწიფოს მიერ დაკავების დასაბუთებისათვის მოყვანილი მოტივების საკმარისობა და შესაბამისობა – ე.ი., რამდენად მართლზომიერია ეროვნული ორგანოების მიერ მოცემულ შემთხვევაში საზოგადოებრივი ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება თავისუფლებაზე პირის უფლებასთან შედარებით.[43]

იმის განსაზღვრისათვის, საკმარისად დიდია თუ არა საშიშროება, რამაც შეიძლება გაამართლოს პირის დაკავება, ევროპული სასამართლო, სხვა გარემოებებთან ერთად, ითვალისწინებს ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა განადგურების,[44] ახალი სამართალდარღვევის ჩადენის,[45] მისი მიმალვის საშიშროებას,[46] ბრალდებულის „პირის ხასიათს, მის ზნეობას, საცხოვრებელ ადგილს, პროფესიას, ოჯახურ და სხვაგვარ კავშირებს იმ სახელმწიფოსთან, რომელშიც იგი დევნას განიცდის".

2. ეროვნული ხელისუფლების ორგანოების ან ბრალდებულის მხრიდან პროცესის გაჭიანურება.[47] არსებით გარემოებებს, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული (ისევე, როგორც მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან მიმართებით), მიეკუთვნება საქმის სირთულე, ბრალდებულის ქცევა და ეროვნული ორგანოების ეფექტიანი მუშაობა. დაწვრილებით განიხილება ეროვნული ორგანოების ქმედება საქმის არსისა და სირთულის გათვალისწინებით.[48] გამოძიების ორგანოების პასიურობა, რაც დაკავების ვადის განმავლობაში მათი მხრიდან ჯეროვანი მონდომების და სისწრაფის გარეშე მოქმედებას გულისხმობს, მე-3 პუნქტის მოთხოვნათა ხელყოფას წარმოადგენს.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლო განხილვამდე პირის დაკავების ვადის „გონივრულობის" საკითხის გადაწყვეტისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები.:

1. დაკავების ფაქტობრივი ხანგრძლივობა;

2. წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა სამართალდარღვევის ხასიათთან და, შესაბამისად, სასჯელთან მიმართებით;

3. მატერიალური, მორალური და სხვა სახის შედეგები დაკავებულისათვის;

4. ბრალდებულის ქცევა;

5. გამოძიების წარმოების წესი;

6. შესაბამისი სასამართლო ორგანოების ქცევა.

სასამართლო განხილვის მოლოდინში ბრალდებულის ორი ან მეტი დამოუკიდებელი ვადით დაკავების შემთხვევაში, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული „გონივრული ვადის" მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხის განხილვისათვის, უნდა შეიკრიბოს დაკავებაში ყოფნის ყველა ვადა.[49] სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ხელყოფის შესახებ განაცხადების განხილვისას დაკავების პერიოდი, განაცხადის შეტანიდან გადაწყვეტილების მიღებამდე, შეიძლება ასევე გაითვალისწინოს, თუ ეს საქმე კვლავაც ეროვნული სასამართლოს განხილვის მოლოდინშია; მეორე მხრივ, დაკავების ხანგრძლივობა, რომელიც წინ უსწრებდა პირის იმ სახელმწიფოში ექსტრადირებას, სადაც იგი ბრალდებულ იქნა, არ წარმოადგენს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის კონტროლის საგანს.[50]

უეჭველია, რომ საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, ბრალდებულის სხვადასხვა პერიოდით გონივრულად დაკავების შემთხვევაშიც კი შეიძლება ადგილი ჰქონდეს მე-3 პუნქტის ხელყოფას, თუ სამართალწარმოება მნიშვნელოვანი ვადით გაგრძელდება ნებისმიერი მიზეზით.[51] ხელყოფა ხდება მაშინაც, თუ სამართალწარმოების პროცესში არსებობს დროის მონაკვეთები, რომელთა განმავლობაში პრაქტიკულად არაფერი ან ძალიან ცოტა რამ კეთდება, არანაირი ან უმნიშვნელო პრო-

[36] სააპელაციო სამართალწარმოების მიზანშეწონილობა შეიძლება გადამოწმდეს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული „გონივრული" დროის გარანტიის საფუძველზე. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების წინაპირობას მე-5 მუხლის 1(c) პუნქტი წარმოადგენს. შესაბამისად, ვინაიდან ბრალდებულის მსჯავრდების შემდეგ დაკავების საფუძველი, მე-5 მუხლის 1(c) პუნქტის ნაცვლად, მე-5 მუხლის 1(a) პუნქტი ხდება, ისპობა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების წინაპირობაც.

[37] *Neumeister* v *Austria*, (1968) A8, 37, para. 6; *Herczegfalvy* v *Austria*, N10533/83, Comm. rep. 1/3/1991, para. 225.

[38] N10533/83, para 224.

[39] *Wemhoff* v *FRG*, A7 (1968), იქვე.

[40] *Ringeisen* v *Austria*, A13 (1971).

[41] *Wemhoff* v *FRG* A7, 24, para. 11 (1968).

[42] იქვე, para. 2, at 15-16.

[43] იქვე, para 16, at 25.

[44] იქვე, para. 13-14, at 25; *Ringeisen* v *Austria*, A13, at 42-43, paras. 105-106 (1971); *Letellier* v *France*, A207, paras. 37-39 (1991).

[45] *Stogmuller* v *Austria*, A9, at 43, para. 13-14 (1969); *Matznetter* v *Austria*, A10, at 32-33, paras. 7-11 (1969).

[46] *Wemhoff* v *FRG*, A7, at 25, paras. 13-15 (1968); *Neumeister* v *Austria*, A8, at 38-40, paras. 9-12 (1968); *Letellier* v *France*, A207, paras. 40-43 (1991).

[47] *Wemhoff* v *FRG*, A7, at 25, para. 16 (1968).

[48] იქვე, para. 17, at 26.

[49] *Kommache* v *France*, A218, para. 44 (1991).

[50] *X* v *Italy and FRG*, N5078/71, 46 CD35 (1972).

[51] *Wemhoff* v *FRG*, A7, 26, para. 16 (1968).

გრესი იქნება მიღწეული.[52] სასამართლო განხილვამდე ბრალდებულის მიერ პატიმრობაში გატარებული ვადის დასაბუთება უნდა შეფასდეს მისი დაკავების ფაქტთან ერთად.

სასამართლო განხილვასთან მიმართებით „გონივრული ვადის" მოთხოვნა, შეესაბამება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ანალოგიურ მოთხოვნას, რომელიც ეხება ყველა ბრალდებულს, მიუხედავად იმისა, დაკავებული არიან ისინი, თუ არა. მაგრამ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით დასაშვები ვადა უფრო ხანმოკლეა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ვადასთან შედარებით, ვინაიდან აღნიშნული პუნქტის მიზანია პირის დაკავების ხანგრძლივობის შეზღუდვა და არა მაქსიმალურად სწრაფი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფა.[53] ამიტომ ერთნაირი ხანგრძლივობის დროის მონაკვეთი შეიძლება შეესაბამებოდეს მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს და, ამავე დროს, ხელყოფდეს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს. დაკავების ხანგრძლივობის მიზანშეწონილობა არ არის დამოკიდებული სასამართლოსათვის დაკავებული პირის წარდგენის დაყოვნების გონივრულობაზე.

3.2. სასამართლო განხილვამდე გარანტიით გათავისუფლების უფლება

მიუხედავად იმისა, რომ მე-3 პუნქტის ფორმულირება, ერთი შეხედვით, სასამართლო ორგანოებს ანიჭებს არჩევანის შესაძლებლობას, იგი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს სასამართლო ორგანოებს ეძლევათ არჩევანის შესაძლებლობა გონივრულ ვადაში ბრალდებულის სასამართლოსათვის გადაცემასა და სასამართლო განხილვამდე გარანტიით მის გათავისუფლებას შორის.[54]

სასამართლო განხილვამდე გარანტიით გათავისუფლების შესაძლებლობა არ არის აბსოლუტური უფლება. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი არ გულისხმობს თავდებქვეშ გათავისუფლების უფლებას, როგორც ასეთს.[55] სასამართლო განხილვის მოლოდინში პირის დაკავების „საკმარისი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე" მიზეზების არარსებობის შემთხვევაში სახელმწიფოს მოვალეობა – გაათავისუფლოს დაკავებული პირი[56] – სამართალდარღვევის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირებისათვის მინიჭებული სასამართლო განხილვის მოლოდინში დაკავების ვადის შემცირების საშუალებაა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა გამოცხადების გარანტიით სასამართლო განხილვამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შემდეგი ოთხი საფუძველი:

1. *გაქცევის საშიშროება* – გამოცხადების გარანტიით სასამართლო განხილვამდე გათავისუფლებაზე აღნიშნული საფუძვლით უარის თქმისათვის „უნდა არსებობდეს მთელი რიგი გარემოებებისა ვარაუდისათვის, რომ მიმალვის შედეგები ბრალდებულს უფრო ნაკლებ ბოროტებად მიაჩნია, ვიდრე განგრძობადი თავისუფლების აღკვეთა."[57] თუ ბრალდებულის დაკავების ერთადერთ საფუძველს ბრალდებულის სასამართლოში გამოუცხადებლობის საშიშროება წარმოადგენს, ის უნდა გათავისუფლდეს, თუკი შესაძლებელია სასამართლოზე მისი გამოცხადების უზრუნველმყოფელი გარანტიების მოპოვება.[58]

[52] *Toth* v *Austria*, A224 (1991); *Tomasi* v *France*, A241-A (1992).
[53] *Matznetter* v *Austria*, A10, 34, para. 12 (1969).
[54] *Neumeister* v *Austria*, A8, 37, para. 4 (1968).
[55] *Swiatkowski* v *UK*, N6148/73, Dec. 5/7/76, unpublished (1976).
[56] *Wemhoff* v *FRG*, A7 24 (1968).
[57] *Stogmuller* v *Austria*, A 9, 44 (1969).

სასამართლო განხილვაზე გამოცხადების უზრუნველმყოფელი გარანტიები შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ ფინანსურ საქმეებზე ეს, როგორც წესი, გირაოს გულისხმობს.[59] მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიის მიზანია ბრალდებულის სასამართლო განხილვაზე დასწრების უზრუნველყოფა და არა დანაკარგის რეპარაცია. ამიტომ გარანტიის სახით გირაოს გამოყენების შემთხვევაში უნდა გათვალისწინებულ იქნეს მისი მიზანი – ბრალდებულის გაქცევის თავიდან აცილება.[60] მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში ბრალდებულის გაქცევის საშიშროების თავიდან აცილებისათვის გირაოს ნებისმიერი ოდენობა შეიძლება არასაკმარისი იყოს.[61]

თანხის ისეთი ოდენობის დაწესება, რომელიც აღემატება ბრალდებულის გაქცევის თავიდან აცილების მიზნის მიღწევისათვის საჭირო ოდენობას, ხელყოფს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს.[62]

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს „სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ხასიათი, ზნეობა, საქმიანობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, ბრალდებულის მიერ გაქცევის დაგეგმვა,[63] მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრე,[64] სასჯელის ხანგრძლივობა და ა.შ".

2. *მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა*. იგი გულისხმობს ბრალდებულის მიერ დოკუმენტების განადგურებას,[65] სხვა შესაძლო ეჭვმიტანილების გაფრთხილებას ან მათთან შეთქმულებას,[66] მოწმეებზე ზეგავლენას[67] და ა.შ.

აღნიშნული საფუძვლით სასამართლო განხილვის მოლოდინში ბრალდებულის გამოცხადების გარანტიით გათავისუფლებაზე უარის თქმისთვის საჭიროა ბრალდებულის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.[68] ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ, რაც უფრო დიდხანს გრძელდება დაკავების პროცესი და რაც უფრო მეტად მიიწევს წინ გამოძიება, მით ნაკლებად სავარაუდოა, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა კვლავაც იქნება დაკავების გამამართლებელი საკმარისი საფუძველი.[69]

[58] *Wemhoff* v *FRG*, A7, 25, para. 15 (1968); *Letellier* v *France*, A207, para. 46 (1991).
[59] *Wemhoff* v *FRG*, A7, 25, para. 15 (1968).
[60] *Neumeister* v *Austia*, A8, 40 (1968).
[61] *Neumeister* v *Austia*, A8, 40 (1968).
[62] *Schertenlieb* v *Switzerland*, N8339/78, 23 DR 137 at 196 (1980), Comm. rep.; CM Res DH (81)9.
[63] *Matznetter* v *Austria*, A10, 23 (1969).
[64] უნდა აღინიშნოს, რომ თავისთავად სასჯელის სიმკაცრე არ ქმნის გარანტიით გათავისუფლებაზე უარის თქმისა და ბრალდებულის მიმალვის საშიშროების მოტივით წინასწარი (სასამართლომდელი) დაკავების გამართლების საკმარის საფუძველს. *Letellier* v *France*, A207, para.43 (1991).
[65] *Wemhoff* v *FRG*, A7, 25, para. 15 (1968); *W* v *Switzerland*, A254-A (1993).
[66] *Wemhoff* v *FRG*, A7, 25, (1968).
[67] *Letellier* v *France*, A207 (1991).
[68] *Clooth* v *Belgium*, A225, para. 44 (1991).
[69] *Clooth* v *Belgium*, A225, para. 43 (1991).

3. *ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება.* ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს საკმარისი საფუძველი რწმენისათვის, რომ გათავისუფლების შემთხვევაში ბრალდებული ჩაიდენს მის მიერ უკვე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის ანალოგიურ დანაშაულს ან დანაშაულებს.[70] ამასთან, არ არის აუცილებელი რომელიმე კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვის არსებობა.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ, ერთი მხრივ, პრევენციული დაკავება, რომელიც არ არის დაკავშირებული დაკავებული პირის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოებასთან და, მეორე მხრივ, იმ პირის დაკავება, ვინც უკვე საფუძვლიანად არის ეჭვმიტანილი სერიოზული სამართალდარღვევის ჩადენაში და ვის საქმესთან მიმართებითაც არსებობს სპეციალური „გარემოებები".[71]

4. *საჯარო წესრიგის დაცვა.* ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირთა დაკავება, რომელთაც ემუქრება პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის, შეიძლება დასაბუთდეს საზოგადოებრივი წესრიგის ხელყოფის თავიდან აცილების მოტივით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი „დაეფუძნება გარემოებას, რომ ბრალდებულის გათავისუფლება ზიანს მიაყენებს საჯარო წესრიგს". მეტიც, დაკავება კარგავს კანონიერ ხასიათს, როგორც კი მოისპობა საჯარო სიმშვიდისათვის საშიშროების მიყენების საფრთხე.[72]

სასამართლო განხილვის მოლოდინში გამოცხადების გარანტიით პირის გათავისუფლება, პირველ რიგში, კონვენციის წევრი ქვეყნების პრეროგატივა და მათი შეფასების საგანია. სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფა ბრალდებულისა და საზოგადოების დაცვის ინტერესებს შორის, ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში დაინტერესებასა და სამართლიან სამართალწარმოებას შორის, პირველ რიგში, ეროვნული ორგანოების ამოცანაა. მაგრამ ევროპული სასამართლო უფლებამოსილია კონვენციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით განიხილოს გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე ეროვნული ორგანოების მიერ უარის თქმის საფუძვლები.

3.3. მოსამართლესთან ან სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელ სხვა პირთან დაუყოვნებლივ წარდგენა

ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი მოითხოვს, რომ დაკავებული პირი „დაუყოვნებლივ" წარდგეს მოსამართლის ან სხვა თანამდებობის პირის წინაშე. ტერმინის - „დაუყოვნებლივ", შეფასება უნდა მოხდეს მე-5 მუხლის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარე. მაგრამ ამ თავისებურებებისათვის მინიჭებულ მნიშვნელობას არ შეუძლია ზეგავლენა იქონიოს დასაცავი უფლების არსზე და დააკნინოს იგი, ე.ი. გაათავისუფლოს სახელმწიფო დაკავებულის სწრაფი გათავისუფლების ან მოსამართლესთან მისი დაუყოვნებელი მიყვანის მოვალეობისაგან.[73]

ცნება - „დაუყოვნებლივ" ინგლისურ ტექსტში უფრო ფართოა, ფრანგულ ტექსტში მის შესატყვისთან (*aussitot)* შედარებით. ამდენად, ამ ცნებისათვის მინიჭებული მოქნილობის ხარისხი შეზღუდულია".[74]

მართალია, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის კანონმდებლობა მოითხოვს სამართალდარღვევის ჩადენაში ეჭვმიტანილი დაკავებული პირის მოსამართლესთან დაუყოვნებლივ მიყვანას, დროითი ზღვარი ყველა მათგანში განსხვავებულია.[75]

დრო, რომელიც საჭიროა საქმის სასამართლო განხილვისათვის მოსამზადებლად, არ უკავშირდება წინასწარი დაკავების გამართლებისათვის აუცილებელ ვადებს. აღნიშნულთან დაკავშირებით ტერმინი - „დაუყოვნებლივ", გულისხმობს რამდენიმე დღეს მაშინ, როდესაც „გონივრული ვადა" ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გულისხმობდეს რამდენიმე თვეს და ზოგჯერ წლებსაც კი. ეს შეესაბამება სიტყვის - „დაუყოვნებლივ", პირდაპირ მნიშვნელობას და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიზანს, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, „აღმასრულებელი ხელისუფლების თვითნებობის" რისკის მინიმუმამდე შემცირებას გულისხმობს. აღნიშნული ცნების უფრო ფართო ინტერპრეტაციას შეუძლია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიის შესუსტება, რაც დაუშვებელია.[76]

დაკავების მაქსიმალური ვადა (მოსამართლესთან მიყვანამდე) არ უნდა აღემატებოდეს 4 დღეს.[77] შესაბამისად, პირის დაკავება სამნახევარი დღით არ ეწინააღმდეგება ცნების - „დაუყოვნებლივ", არსს.[78] მაგრამ ნებისმიერი დაკავება 4 დღეზე მეტი ხნით, თუნდაც განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას (მაგალითად, საზოგადოების ტერორისაგან დაცვის მიზნით), მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა ხელყოფას წარმოადგენს[79]. შესაბამისად, სასამართლოსათვის წარდგენის გარეშე პოლიციაში პატიმრობაში გატარებული 4 დღე და 6 საათი სცილდება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი ნაწილით ნებადართულ ვადას. „სპეციალური თავისებურებების" კონტექსტში, კერძოდ, სამხედრო დანაშაულთან მიმართებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ „სამხედრო ცხოვრების მოთხოვნებისა და სამართლიანობის გათვალისწინების შემთხვევაშიც კი, ხუთდღიანი დაყოვნება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა ხელყოფას წარმოადგენს.[80]

იქმნება წარუმატებელი დიქოტომია სასამართლოსათვის დაუყოვნებელი გადაცემის თავდაპირველი გარანტიის უზრუნველყოფისაკენ სწრაფვასა (რომელიც გათვალისწინებულია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით) და ხანგრძლივ, შემდგომში სანქცირებულ გამოძიებას შორის. „განსასჯელი დგება არჩევანის წინაშე – აირჩიოს პროცესისათვის უფრო ღრმა მომზადება ან უფრო სწრაფი პროცედურა. გარკვეულ ხარისხამდე იგი იძულებულია თავად იტვირთოს ასეთი არჩევანის შედეგები.[81] „ზედ-

[70] *Clooth* v *Belgium*, A225, para. 40 (1991); *B* v *Austria*, A175; *Toth* v *Austria*, A224 (1991).
[71] *Matznetter* v *Austria*, A10 (1969).
[72] *Letellier* v *France*, A207, paras. 47-51(1991).
[73] *Brogan and Others* v *UK*, A145-B, 32, para. 59 (1988).

[74] *Brogan and Others* v *UK*, A145-B (1988).
[75] *X* v *Netherlands*, N2894/66, YB 9, 564, 566-568 (1966).
[76] European Human Rights Law: Text and Materials, M. Janis, R. Kay & A. Bradley, 1995, 344.
[77] *Egue* v *France*, N11256/84, Dec. 9/5/88.
[78] *McConnell* v *UK*, N14671/89, Dec 11.1.90, unpublished.
[79] *Schiesse* v *Switzerland*, A34, 12-13, paras. 27-31 (1979).
[80] *Koster* v *Netherlands*, A221 (1991). ასევე იხ. *Jong, Baljet and Van Den Brink* v *Netherlands*, A77, para. 53 (1984); *Duinhof and Duijf* v *Netherlands*, A79 (1984); *Van Der Sluijs, Zuiderveld and Klappe* v *Netherlands*, A78 (1984).
[81] *Schertenleib* v *Switzerland*, N8339/78, 23DR, paras. 185-187, Comm. rep., 1980; *Toth* v *Austria*, N311894/85, paras. 86, 112, Comm. rep., 1990.

მიწევნითობამ, რომელიც მოითხოვება, არ უნდა შეუშალოს ხელი სასამართლოს, ნათელი მოჰფინოს გამოვლენილ გარემოებებს, როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარეს მისცეს მტკიცებულებათა წარმოდგენისა და განმარტებების გაკეთების შესაძლებლობა, გადაწყვეტილება სამართალდარღვევის ფაქტის არსებობისა და დასჯის შესახებ მხოლოდ სრულყოფილი განსჯის შემდეგ გამოიტანოს.[82]

საქმის სირთულე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ საშუალებების ეფექტიანობითა და შედეგიანობით განისაზღვრება, რომლებიც აქვს სახელმწიფოს თავისი კანონმდებლობის გამოყენებისათვის. გასათვალისწინებელია საკუთარი თავის დაცვის საშუალებებზე მოქმედი ის უარყოფითი შედეგებიც, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს დაკავებას ბრალდებულისათვის.[83]

4. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები

ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებას სასამართლო განხილვაზე, რომლის განმავლობაშიც სასამართლო სწრაფად წყვეტს დაკავების კანონიერების საკითხს და გამოაქვს დადგენილება გათავისუფლების შესახებ, თუ უკანონოდ მიიჩნევს დაკავებას.

კანონიერების ცნება გულისხმობს დაკავების განხილვას "როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ასევე კონვენციის ტექსტისა და ზოგადი პრინციპების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვების მიზნების საფუძველზე".[84]

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი წარმოადგენს *Habeas Corpus*-ის საერთაშორისო ანალოგს. იგი ზოგადი ხასიათისაა და მასში ფორმულირებული უფლების არსებობა არ არის დამოკიდებული დაკავების ან დაპატიმრების მიზეზზე, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული გარანტია ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის ყველა – როგორც მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ, ისე სხვა შემთხვევაზე.[85] გამონაკლისია ეროვნული ორგანოების მიერ სასამართლო განხილვის დაწყებამდე პირის გათავისუფლებისა და ის შემთხვევები, როდესაც დაკავებას მოსდევს პირის დაუყოვნებელი გაძევება სახელმწიფოს ტერიტორიიდან.[86]

ამ მუხლის მიზანია უზრუნველყოს პირი დაკავების კანონიერების შემოწმების რეალური და ქმედითი შესაძლებლობით, მაგრამ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი მოითხოვს დაკავების მხოლოდ არსებითი საფუძვლების, და არა დაკავების ყველა დეტალის ან ასპექტის, სასამართლო გადასინჯვას.[87]

საჭიროა თუ არა დაკავების კანონიერების დამატებითი სასამართლო გადასინჯვა, თუ დაკავების ნებართვა სასამართლომ გასცა?

[82] *Wemhoff* v *FRG*, A7, 26, para. 17 (1968).
[83] T. Buergenthal, Comparison of the Jurisprudence of National Courts with that of the Organs of the Convention, in: A.H.Robertson (Ed.), Human Rights in National and International Law, 1968, 163.
[84] *Brogan and Others* v *UK*, A145-B, 34, para. 65 (1988); *E* v *Norway*, A181-A, 21, para. 49 (1990); *Bouamar* v *Belgium*, A129, para.60 (1988); *Zamir* v *UK*, N9174/80, 40DR, 42-58 (1983), Comm. rep; *Whitehead* v Italy, N13930/88, 60DR, 272-283 (1989).
[85] *De Jong, Baljet and van den Brink* v *Netherlands*, A77, 25, para. 57 (1984).
[86] *X and Y* v *Sweden*, N376/76; 7447/76, DR7, 123 (1976), unpublished.
[87] *Ashingdane* v *UK*, A93, para. 52 (1985).

შესაბამისი პროცედურის დაცვით, სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის შესახებ თავდაპირველი გადაწყვეტილების მიღებისას, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ინკორპორირებულია აღნიშნულ გადაწყვეტილებაში.[88] ამ შემთხვევაში ზემდგომ სასამართლო ორგანომ უნდა შეძლოს ქვემდგომი სასამართლოს მიერ პირის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვა.

ადმინისტრაციული ორგანოების მიერ პირის თავისუფლების აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, წევრ-სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

„ინკორპორაციული ზედამხედველობის" ნათელი მაგალითია თავისუფლების აღკვეთა „კომპეტენტური სასამართლოს მიერ პირის მსჯავრდების შემდეგ".[89]

არც თავდაპირველი სასამართლო გადასინჯვა და არც საჭიროებისას ინკორპორაციული ზედამხედველობა ანიჭებს უპირობოდ იურიდიულ ძალას დაკავების მთელ პერიოდს, ვინაიდან შეიძლება შეიცვალოს დაკავების შესახებ თავდაპირველი გადაწყვეტილების საფუძვლები.

მიუხედავად იმისა, რომ პრეცედენტულ სამართალში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დავები არ არის მრავალრიცხოვანი, სახელმწიფოს მოვალეობა ამ საკითხებში დამოკიდებულია:

1. თავისუფლების აღკვეთის სახეზე;[90]
2. დაკავების კანონიერების კონტროლის პერიოდულობაზე.[91]

5. დაკავების კანონიერების შემოწმება

ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს უწყვეტი სასამართლომდელი დაკავების შემოწმებას რეგულარული პერიოდულობით. დაკავების კანონიერების უზრუნველყოფისათვის დაკავების პერიოდული შემოწმება შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს მაშინაც, თუ:

1. დაკავება განხორციელდა დანაშაულისათვის მსჯავრდების შემდეგ;
2. სასჯელი შეიცავს განუსაზღვრელობის ელემენტს;
3. შესაძლებელია დადგინდეს ცვლილებები დაკავების ხასიათში თავდაპირველ ხანგრძლივობასთან შედარებით;
4. საჭიროა რაიმე ახალი საკითხის განხილვა.

შემოწმების მიზანია უზრუნველყოს უწყვეტი დაკავების შესაბამისობა იმ მიზნებთან, რასაც ისახავდა დაკავების შემფარდებელი სასამართლო.[92] მისი განხორციელების უფლება აქვს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს შემოწმების შედეგების ხელმისაწვდომობა პროცესის მონაწილისათვის.

[88] *De Wilde, Ooms and Versyp* v *Belgium*, A12, para. 73 (1971).
[89] *De Wilde, Ooms and Versyp* v *Belgium*, A12, 40, para. 76 (1971).
[90] *X* v *UK*, A46, para. 52, 22 (1981).
[91] *Bezicheri* v *Italy*, A161 (1989).
[92] *Weeks* v *UK*, A114 (1987), para 69, 42-43; *Thynne, Wilson and Gunnell* v *UK*, A190-A, para. 80, at 30 (1990).

შემოწმება უნდა ხორციელდებოდეს რეგულარულად.[93] კონტროლის სიხშირე დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე, დაკავების ხასიათსა და ფორმაზე, დაკავების მიზანზე. სასამართლომდელი დაკავება მკაცრად შეზღუდული ხანგრძლივობის უნდა იყოს და, შესაბამისად, კონტროლიც დროის მცირე ინტერვალებში უნდა განხორციელდეს. ლოდინის ხანგრძლივობა, რომელიც აითვლება თვეობით და არა კვირაობით, ეწინააღმდეგება მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ „სისწრაფის" მოთხოვნას. ამიტომ, როგორც წესი, მიზანშეწონილია სასამართლომდელი დაკავების ყოველთვიური გადასინჯვა.[94] გამონაკლისია პირის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევები, როდესაც მისაღებია კონტროლის შედარებით ხანგრძლივი ინტერვალები.[95] მაგრამ ამ შემთხვევაში პერიოდი 1 წლის ხანგრძლივობით მიჩნეულ იქნა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა ხელყოფად.[96] თუ არსებობს პირის გონივრული მდგომარეობის შეცვლის მტკიცებულება, სასამართლო განხილვა შეიძლება უფრო ხანმოკლე დროის მონაკვეთებში გახდეს საჭირო.[97]

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოვალეობის მოცულობა იცვლება დაკავების ფორმებისა და გარემოებებიდან გამომდინარე. იმის განსაზღვრისათვის, ითვალისწინებს თუ არა სამართალწარმოება ადეკვატურ გარანტიებს, ყურადღება უნდა მიექცეს სამართალწარმოების პირობებს.[98] სასამართლომ შეიმუშავა შემდეგი ზოგადი პრინციპები:

1. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი უნდა იყოს ეფექტიანი და საკმარისად განსაზღვრული;[99]

2. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა, რომელსაც შეუძლია მოითხოვოს განმცხადებლის სახელით პროცესუალური გარანტიების შესრულება[100] და მიიღოს გადაწყვეტილება მოცემული პირის გათავისუფლების შესახებ;[101]

3. დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობის დაუყოვნებლივი უზრუნველყოფა.

ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის საშუალებები ეფექტიანი უნდა იყოს, ე.ი. იძლეოდეს დაკავების კანონიერების ეჭვქვეშ დაყენების,[102] გადაწყვეტილების დისკრეციული და არსებითი ელემენტების შემოწმების, და არა მხოლოდ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტის ან პროცესის მსვლელობისას ხარვეზის დადგენის შესაძლებლობას.[103]

[93] *Winterwerp* v *Netherlands*, A33, 22, para. 55 (1979); *X* v *UK*, A46, 22, para. 51 (1981); *Toth* v *Austria*, A224, 18, para. 67 (1991).
[94] *Bezicheri* v *Italy*, A164, 10-11, para 21 (1989). უფრო ხანმოკლე დროის შუალედებთან დაკავშირებით სასამართლოს არ გამოუხატავს თავისი პოზიცია (იხ. *Luberty* v Italy, A75, para. 25 (1984); *Van der Leer* v *Netherlands*, A170-A (1990), *Koendjbiharie* v *Netherlands*, A185-B (1990).
[95] *Bezicheri* v *Italy*, A164, at 10 (1989).
[96] *Herczegfalvy* v *Austria*, A244 (1992).
[97] *M* v *FRG*, N10272/83, 38DR, 104 (1984).
[98] *Winterwerp* v *Netherlands*, A33, para. 57, at 23; *Bouamar* v *Belgium*, A129, para. 60, 57, at p. 23-24 (1988).
[99] *Van Droogenbroeck* v *Belgium*, A50, para. 54, (1982).
[100] *Van Droogenbroeck* v *Belgium*, A50, para. 21, at 42-44 (1982)
[101] *X* v *UK*, A46, para. 61, at 26 (1981); ასევე იხ. *Van Droogenbroeck* v *Belgium*, A50 (1982); *Weeks* v *UK*, A114 (1987); *Thynne, Wilson and Gunnell* v *UK*, A190-A (1990).
[102] *X* v *UK*, A46, para. 17.
[103] *E* v *Norway*, A181-A, para. 60, at 25 (1990); *Ireland* v *UK*, A25, para. 200, 76 (1978).

მუხლთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის ეფექტიანობა ერთიანობაში განიხილება, ვინაიდან „ერთი პროცესის აშკარა დეფექტები შეიძლება გამოსწორდეს სხვა პროცესში ხელმისაწვდომი (არსებული) გარანტიებით„.[104]

გარკვეული სირთულე შეიძლება არსებობდეს, ერთი მხრივ, პროცესუალური სამართლიანობის უზრუნველყოფასა და, მეორე მხრივ, გადაწვეტილების „სწრაფად" გამოტანას შორის. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაკავების კანონიერების შემოწმება „სწრაფად უნდა იქნეს ხელმისაწვდომი.[105] ეს მოთხოვნა ეხება როგორც კონტროლის, ასევე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას[106]. ამდენად, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი შეიცავს ორ დამოუკიდებელ მოთხოვნას:[107]

1. თავისუფლებააღკვეთილი პირისათვის დაკავების კანონიერების სასამართლო კონტროლის დაკავებისთანავე ხელმისაწვდომობა;

2. ამ საშუალების დროულად განხორციელება.

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი მოითხოვს, რომ გადაწყვეტილება დაკავების კანონიერების შესახებ სწრაფად იქნეს მიღებული. აღნიშნული მიზნისათვის დროის ათვლა, როგორც წესი, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების დაწყების მომენტიდან იწყება.[108] თუ სასამართლოში მიმართვამდე თავისუფლებააღკვეთილ პირს დაცვის ადმინისტრაციული საშუალების გამოყენება სჭირდება, დროის ათვლა ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის გადაცემის მომენტიდან იწყება.[109] მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა ხელყოფას ადგილი იმ შემთხვევაში ექნება, თუ თავისუფლებააღკვეთილ პირს მოუწევს დაცდა, ვიდრე მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დაცვის საშუალება მისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

დროის ათვლა მთავრდება დაკავების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მომენტში. თუ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანას არ ესწრებოდა თავისუფლებააღკვეთილი პირი ან მისი ადვოკატი, მაშინ ბოლო ვადა აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მათი შეტყობინების დღე იქნება.[110] აქ არ იგულისხმება იმ პირის გათავისუფლების დღე, ვისი დაკავებაც უკანონოდ იქნა ცნობილი.[111] ამავე დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გასაჩივრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე გასული ვადის ხანგრძლივობა, თუ ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთი გასაჩივრების შესაძლებლობას.

საკითხის გადასაწყვეტად – სწრაფად იქნა თუ არა მიღებული გადაწყვეტილება – გამოიყენება იგივე კრიტერიუმები და მიდგომები, რაც იმ საკითხის გადასაწყვეტად, დაცული იყო თუ არა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები გონივრულ ვადაში სასამართლო განხ-

[104] *Winterwerp* v *Netherlands*, A33, para. 62 (1979).
[105] *Neumeister* v *Austria*, A8, para. 24, at 43 (1968).
[106] *Sanchez-Reisse* v *Switzerland*, A107, para. 55, at 20 (1986).
[107] *De Jong, Balajet and Van Den Brink* v *Netherlands*, A77, para. 58 (1984); *X v UK*, B41, para. 138 (1980) Comm. rep.
[108] *Van Der Leer* v *Netherlands*, A170-A (1990).
[109] *Sanchez-Reisse* v *Switzerland*, A107, para. 54 (1986); *Ireland* v *UK*, A25, para. 200 (1978).
[110] *Koendjbiharie* v *Netherlands*, A185-B, para. 28 (1990).
[111] *Luberti* v *Italy*, A75 (1984).

ილვის ჩატარების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიღებისათვის დროითი ზღვარი დადგენილი არ არის. საკითხი წყდება საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე.[112]

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით დაცული უფლება პროცესუალური უფლებაა, რომელიც, გარკვეულწილად, ეხმიანება მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს, თუმცა მათ შორის მკაფიო განსხვავებაც არსებობს. პირველ შემთხვევაში საუბარია დაკავების კანონიერების გასაჩივრებაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში – სისხლის სამართლებრივი ბრალდების ან სამოქალაქო უფლებისა თუ მოვალეობის განსაზღვრაზე. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი წინასწარი წესით დაკავებულ პირს ანიჭებს სასამართლოში მიმართვის უფლებას მისი დაკავების ან პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ამ პრინციპთაგან ბევრი ერთნაირად გამოიყენება როგორც მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან, ისე მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან მიმართებით. აქ არ არის აუცილებელი მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ყველა მოთხოვნის დაცვა, შეიძლება გამარტივებული პროცედურების გამოყენებაც. არ არის აუცილებელი პირის დასწრება და გადაწყვეტილების ღია სხდომაზე გამოტანა, ასევე არ არის ნათელი, საჭიროა თუ არა მხარეთა კამათი.[113]

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სასამართლო განხილვა ყოველთვის არ უნდა ხორციელდებოდეს იმ გარანტიების თანხლებით, რომლებიც აუცილებელია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად სისხლის ან სამოქალაქო სამართლებრივი დავისათვის. მაგრამ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მარეგულირებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს „საშუალებათა თანასწორობის" პრინციპი წარმოადგენს. სასამართლოს აზრით, ამ პრინციპის დაცვისათვის პირს უნდა ჰქონდეს სასამართლოში პირადად გამოსვლისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სასამართლო განხილვისას გარკვეული სახის წარმომადგენლობაზე უფლება, სასამართლოში გამოცხადებისა და სასამართლოს მიერ უშუალოდ მისი ან მისი წარმომადგენლის მოსმენის შესაძლებლობა.[114]

მიუხედავად იმისა, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ ითვალისწინებს ადვოკატთან კომუნიკაციის უფლებას,[115] ცალკეულ შემთხვევაში (მაგალითად, როდესაც ბრალდებული ძალიან ახალგაზრდაა), სასამართლო განხილვის შეჯიბრებითობის უზრუნველსაყოფად შეიძლება საჭირო იყოს პირისათვის სასამართლოში იურიდიული წარმომადგენლობისა[116] და საქმის გაცნობის შესაძლებლობის მინიჭება. საქმის მასალები, რომლებიც გამოძიების ორგანოების მიერ გამოიყენება წინასწარი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბრალდებულისათვის.[117] წინააღმდეგ შემთხვევაში თავისუფლებააღკვეთილ პირს არ ექნება თავისუფლების აღკვეთის საკითხთან დაკავშირებული ძირითადი პროცესუალური გარანტია.

„დაკავების აუცილებლობისა და ბრალეულობის შემდგომ შეფასებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. დაუშვებელია უარის თქმა დაკავებისას მასალების

[112] *Sanchez-Reisse* v *Switzerland*, A107, para. 55 (1986).
[113] *Sanchez-Reisse v Switzerland*, A107, para. 51, at 19 (1986).
[114] *Winterwerp* v *Netherlands*, A33 (1979).
[115] *X* v *Denmark*, N8829/79, 30DR, 93-94 (1982).
[116] *Bouamar* v *Belgium*, A129, para. 60, at 32 (1988).
[117] *Lamy* v *Belgium*, A151 (1989).

გასაცნობად წარდგენაზე მაშინ, როდესაც ეს მოითხოვება კანონით ბრალეულობის შეფასებისას."[118]

სასამართლო განასხვავებს დაკავების შესახებ თავდაპირველ გადაწყვეტილებას დაკავების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებისაგან, როდესაც შეიძლება ახალი საკითხები ან ფაქტები აღმოჩნდეს. მაგრამ ორივე შემთხვევაში ნებისმიერი ორგანო, რომელიც აკმაყოფილებს „სასამართლოს" მოთხოვნებს, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უნდა იყოს დამოუკიდებელი და ჰქონდეს შესაძლებლობა განახორციელოს დაკავება კანონისა და ფაქტების საფუძველზე ან, შესაბამისად, გაათავისუფლოს პირი, თუ სახელმწიფომ ვერ დაასაბუთა დაკავების აუცილებლობა.[119]

6. კომპენსაციის უფლება

კონვენცია ადგენს კომპენსაციის შესაძლებლობას მასში გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისათვის. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის უფლება, ამ მუხლის დებულებათა დარღვევით განხორციელებული თავისუფლების აღკვეთისათვის, ავსებს 50-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებას „სამართლიან ანაზღაურებაზე". 50-ე მუხლი წარმოადგენს ზოგადი ხასიათის დებულებას, რომელიც არეგულირებს „სამართლიანი კომპენსაციის" მინიჭების უფლებას, როდესაც სასამართლო აღმოაჩენს ერთი ან რამდენიმე გარანტირებული უფლების ხელყოფის ფაქტს და მოქმედი ეროვნული სამართალი არ ითვალისწინებს ადეკვატურ კომპენსაციას. მაგრამ „სამართლიანი ანაზღაურების" მინიჭება მხოლოდ ევროპული სასამართლოს კომპეტენციაა, მაშინ, როდესაც მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაცია უნდა განხორციელდეს ეროვნული სასამართლოების მიერ იმ ორგანოებთან მიმართებით, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა უკანონო დაპატიმრების ან დაკავებისათვის. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მოთხოვნის დაკმაყოფილება არ გამორიცხავს 50-ე მუხლის შესაბამისად აღნიშნული საკითხის ევროპული სასამართლოს მიერ გადასინჯვას.[120] ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ 50-ე მუხლის მე-2 პუნქტისაგან განსხვავებით, მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი განმცხადებელთა მცირე ინტერესს იწვევს, რითაც აიხსნება პრეცედენტულ სამართალში ამ პუნქტთან დაკავშირებული პრეცედენტების შედარებითი სიმცირე.

მე-5 პუნქტის გამოყენების წინაპირობას მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე უფლების ხელყოფა წარმოადგენს. ამავე დროს, ნებისმიერი ოდენობის კომპენსაციის გადახდა არ ართმევს მას „დაზარალებულის" სტატუსს მე-5 მუხლით გარანტირებული უფლებების ხელყოფასთან დაკავშირებით[121]. აღნიშნული დებულების მიუხედავად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობით კომპენსაცია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულს შეუძლია დაამტკიცოს მისთვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტი, ვინაიდან „კომპენსაციის შესახებ საკითხი არ დგება მატერიალური და მორალური ზიანის გარეშე, რომელიც ანაზღაურდეს".[122]

[118] *Lamy* v *Belgium*, A151, para. 29, at 16 (1989); *Weeks* v *UK*, A114. para. 66, at 32 (1987).
[119] *De Wilde, Ooms and Versyp* v *Belgium*, A12 (1971); *Weeks* v *UK*, A114 (1987).
[120] *Brogan and Other v UK*, A145-B (1988); *Ciulla* v *Italy* A148 (1989).
[121] *Woukam Moudefo* v *France*, N10868/84, A141-B, para. 1, at 79 (1988); *Egue* v *France*, N11256/84, para. 1 (1988), unpublished.
[122] *Wassink* v *Netherlands*, A185-A , para. 38, at 14 (1990).

მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უფლება კომპენსაციაზე მოიცავს როგორც მატერიალურ, ასევე მორალურ ზიანს. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ადგენს მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის გამოყენების ორ პირობას:

1. კომპენსაციის მოთხოვნა მე-5 მუხლის დებულებათა ხელყოფით განხორციელებული დაკავების ან დაპატიმრებისთვის უნდა დაყენებულ იქნეს ეროვნული სამართალწარმოებისას;

2. უნდა არსებობდეს მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე არსებითი დებულების ხელყოფა.[123]

7. დასკვნა

პიროვნების თავისუფლება ევროპის კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის განუყოფელი ნაწილია. სხვა საერთაშორისო დოკუმენტებისაგან განსხვავებით, ევროპის კონვენციის მე-5 მუხლი ზედმიწევნით დეტალურად განსაზღვრავს პიროვნული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის საფუძვლებს, ითვალისწინებს პიროვნული თავისუფლების დაცვას კლასიკური და არა ფართო მნიშვნელობით.

სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირთა ხელშეუხებლობისა და თავისუფლების რეალური განხორციელებისათვის ეროვნული სამართალწარმოებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მე-5 მუხლის დებულებათა სწორ და ერთმნიშვნელოვან განმარტებას, პრეცედენტული სამართლის მოთხოვნათა დაცვას ენიჭება.

[123] *Murray* v *UK*, A300-A (1994).

სიტყვის თავისუფლება – დემოკრატიული პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ელემენტი

პაატა ცნობილაძე

სიტყვის თავისუფლება საქართველოში განხორციელებული პოლიტიკური რეფორმის უდავო მიღწევაა. პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების სისტემაში აზრის გამოხატვის თავისუფლებას ან სიტყვის თავისუფლებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან იგი ცივილიზებული საზოგადოების საფუძველთა საფუძველია და დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის შეფასებით კრიტერიუმია. დაუბრკოლებელი თვითგამოხატვის მოთხოვნილება იმანენტურად ახასიათებს ადამიანს, რომელსაც „აქვს უფლება იყოს თავისთავადი, თუ ეს არ უშლის სხვებს, იყვნენ ასეთებივე."[1] ამასთან ერთად, სიტყვის თავისუფლება, არსებითად, ესაა ადამიანური ინდივიდუალობის გამოვლინების, თვითმყოფადობის დამკვიდრების და ყოველი პიროვნების უნიკალურობის არსებით ფაქტორი.

სიტყვისა და აზრის თავისუფლება, ისევე როგორც საჯარო დისკუსიების თავისუფლება სამოქალაქო მნიშვნელობის პრობლემებზე, არის დემოკრატიული ტოლერანტული საზოგადოების არსებობის ფორმა. ასეთი საზოგადოება გამოდის იქიდან, რომ ნებისმიერ აზრს არ შეიძლება ჩამოერთვას უფლება განაცხადოს თავისი თავის შესახებ. იდეური პლურალიზმი, ე. ი. პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი და სხვა იდეებისა და ღირებულებების სიმდიდრე და მრავალფეროვნება, ხელს უწყობს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას. ამასთან, საზოგადოების პლურალიზმი არ არის ისტორიული რელიქტი, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება დაიძლიოს; პირიქით, დემოკრატიის განვითარების შესაბამისად ისიც იზრდება.[2]

რაში მდგომარეობს სიტყვის თავისუფლების სუბიექტური უფლების ბუნება? ესა თუ ის სუბიექტური უფლება იურიდიულად უზრუნველყოფს კონკრეტული პირის თავისუფლებას იმოქმედოს დამოუკიდებლად კანონის ფარგლებში, ამასთან, შეარჩიოს საკუთარი ქცევის სახე და ფორმა. სუბიექტური უფლება აზრისა და სიტყვის თავისუფლებაზე შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეს გამოხატოს თავისი დამოკიდებულება გარემომცველი სამყაროს მოვლენებთან, თავისუფლად მოიძიოს, მიიღოს და საკუთარი შეხედულებისამებრ გაავრცელოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ნებისმიერი სახის საშუალებებით. დაუშვებელია რაიმე ძალადობრივი ზემოქმედება ადამიანზე იძულებით გამოხატოს თავისი აზრი ან უარი თქვას მასზე. სიტყვის თავისუფლების უმნიშვნელოვანესი იურიდიული შედეგების რიცხვს განეკუთვნება მოქალაქის ნებისმიერი დევნის არამართლზომიერება მის მიერ გამოთქმული აზრებისათვის მოქმედი კანონმდებლობის დაცვის პირობით, ასევე მოქალაქეთა დისკრიმინაციის დაუშვებლობა მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების მოტივით.

ნებისმიერი სუბიექტური უფლების გარანტია ეყრდნობა მისი სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის მექანიზმს. განსახილველი უფლება გულისხმობს სუბიექ-

[1] Ключевский В.О. Исторические портреты, М., 1990, с. 35.
[2] Юридический конфликт: процедуры разрешения, М., 1995, с. 8.

ტის შესაძლებლობას მიმართოს სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის მექანიზმს. აქ იგულისხმება სუბიექტის შესაძლებლობა დახმარებისათვის მიმართოს სახელმწიფო ორგანოებს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის მხრიდან თავისი უფლების უკანონო შეზღუდვის შემთხვევაში. მაგალითად, მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს ზუსტი ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობის შესახებ. ნებისმიერი დაინტერესებული პირი უფლებამოსილია სასამართლო წესით ასევე მოითხოვოს არა მხოლოდ თავისი ღირსების, პატივის ან საქმიანი რეპუტაციის შემლახავი მონაცემების გაბათილება, არამედ მორალური ზიანისა და ზარალის ანაზღაურებაც, რომელიც მიყენებულია მსგავსი მონაცემებით.

აზრისა და სიტყვის თავისუფლებას საკმაოდ რთული ხასიათი აქვს. სიტყვის თავისუფლების კვლევისას, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ მისი სტრუქტურული ელემენტები: პირველი, ეს არის ყოველი ადამიანის თავისუფლება გამოხატოს თავისი აზრები და იდეები კანონის მოთხოვნათა დაცვის პირობით; მეორე – ეს არის ბეჭდვისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება (გულისხმობს ცენზურის აკრძალვას და საინფორმაციო ორგანოების შექმნისა და მათით სარგებლობის უფლებას), რაც აზრის გამოხატვის თავისუფლების მატერიალიზების საშუალებას იძლევა; დაბოლოს, სიტყვის თავისუფლება გულისხმობს უფლებას იყო ინფორმირებული, ე.ი. – ინფორმაციის წყაროების ხელმისაწვდომობას. ეს ელემენტები მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული.

სიტყვის თავისუფლების კლასიკური ნორმატიული ფორმულირება მოცემულია ადამიანისა და მოქალაქის უფლების 1789 წლის საფრანგეთის დეკლარაციაში: „ყოველ ადამიანს შეუძლია თავისუფლად გამოთქვას, დაწეროს, დაბეჭდოს საკუთარი მოსაზრებები და პასუხი აგოს მხოლოდ ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში“ (მე-11 მუხლი). ეს განმარტება, რომელიც გამსჭვალულია განმანათლებლობის იდეალებით, შემდგომში მოგვევლინა ნიმუშად მრავალი ქვეყნის კანონმდებლობისათვის.

1791 წელს ძალაში შესული ადამიანის უფლებათა ამერიკული ბილის ქვაკუთხედს უდავოდ წარმოადგენს აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება. იგი ითვალისწინებს, რომ კონგრესი არ გამოსცემს ისეთ კანონებს, რომლებიც შეზღუდავს მოქალაქეთა ფუნდამენტურ, მათ შორის სიტყვისა და ბეჭდვის, თავისუფლებას.

ამრიგად, თუ ჩვენთვის საინტერესო პრობლემას ისტორიულ ასპექტში გადავხედავთ, უნდა აღინიშნოს, რომ უკვე XVIII საუკუნის ბოლოს დასავლური ქვეყნების პოლიტიკურ-სამართლებრივი ფილოსოფიისა და კონსტიტუციონალიზმის ფარგლებში განმტკიცდა პოლიტიკური და სხვა შეხედულებების გამოხატვისა და ბეჭდვის თავისუფლების სოციალური ღირებულების იდეა. საწყისი ლიბერალური პოზიცია, ეს იყო თითოეულის უფლების უპირობო განმტკიცებით აბსოლუტურად თავისუფლად განეხილა ნებისმიერი საკითხი, რომელიც განსჯის საგანი გახდებოდა. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა შემდეგ არგუმენტებს: რამდენადაც საზოგადოება არასოდეს ქმნის ინტელექტუალურ ერთიანობას და არ შეუძლია გამოხატოს რაიმე ერთი იდეით, თითოეული მისი წევრთაგანი ინარჩუნებს ინდივიდუალობას, ამა თუ იმ პრობლემის საკუთარი ინტერპრეტაციის უფლებას. შედეგად, არავინ შეიძლება იყოს შეზღუდული თავის უფლებებში სიტყვის, საკუთარი

შეხედულებების დაწერის ან პუბლიკაციის თავისუფლებებთან მიმართებით. მაგალითად, სიტყვის თავისუფლების საყოველთაოდ ცნობილი ინგლისელი ქომაგი ტ. ერსკინი მკაფიოდ აყალიბებს შეხედულებებისა და მრწამსის გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპების არსს. მისი აზრით, ძირითადი სამართლებრივი გარანტია გამოიხატება იმით, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოაქვეყნოს ყველაფერი, რასაც თავისი გონება და სინდისი, როგორც არ უნდა ცდებოდეს ის, კარნახობს ჭეშმარიტების სახით.[3]

„ბეჭდვის თავისუფლების“ ლიბერალური დოქტრინის ფუძემდებელთა რიცხვს ამერიკაში, პირველ ყოვლისა, მიეკუთვნებიან: ჯ. მედისონი, დ. ჰეი, ტ. უორტმანი, დ. ტომსონი, რომელთა ნაშრომებში ასევე აისახა საუკუნის იდეური ტრადიციები. ბეჭდვის თავისუფლების, როგორც აბსოლუტური თავისუფლების, კონცეფცია, რომელიც არ ექვემდებარება შეზღუდვას არც ერთ გარემოებაში, ამერიკული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში პირველად ჩამოაყალიბა დ. ჰეიმ. ჰეის შემდგომ უორტმანი ამტკიცებდა, რომ, რამდენადაც საზოგადოების უფლება სხვა არაფერია, თუ არა მისი წევრების ინდივიდუალური უფლება, ანუ თითოეულ ინდივიდს აქვს შეუზღუდავი უფლება თავისუფლად გამოხატოს აზრი ნებისმიერ პოლიტიკურ საკითხზე. ეს თეორიული დებულება ლოგიკურად გამომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ თავად საზოგადოებას აქვს უფლება აბსოლუტურად თავისუფლად გამოიკვლიოს ნებისმიერი პრობლემა, რომელიც მის ინტერესს ეხება. უორტმანის აზრით, სიტყვისა და აზრის შეუზღუდავი თავისუფლება განპირობებულია თავად ადამიანის ბუნებით, იმ ფაქტით, რომ გონება ადამიანის ბუნებრივი მონაპოვარია, ხოლო შემეცნების შესაძლებლობა – ჭკუის განუყოფელი ატრიბუტი.[4]

რასაკვირველია, XVIII–XIX ს.ს. მიჯნაზე ამერიკაში მრავალრიცხოვანი ტრაქტატებისა და პამფლეტების აღმოცენება ბეჭდვის თავისუფლების პრობლემებით შექმნილი ისტორიული სიტუაციით აიხსნება. პირველ ყოვლისა, ეს განპირობებული იყო პოლიტიკური დისკუსიების შეუზღუდავი თავისუფლების პროპაგანდისა და პოლიტიკური პარტიების მიერ ისეთი უმნიშვნელოვანესი იარაღის გამოყენების აუცილებლობით, როგორიცაა პრესა. გარდა ამისა, „რესპუბლიკური“ ოპოზიცია მოითხოვდა „აჯანყების წაქეზების შესახებ“ კანონის გაუქმებას. კანონმა, რომელიც აშშ-ის ფედერალურმა კონგრესმა მიიღო, დაადგინა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა „განზრახი, ცრუ“ პუბლიკაციებისათვის, რომლებიც სახელს უტეხენ პრეზიდენტსა და კონგრესს.

თუმცა „ბეჭდვის თავისუფლების“ ლიბერალურ დოქტრინას აქვს უფრო არსებითი, ფუძემდებლური მნიშვნელობა – ის გამოიხატება ისეთი ფუნდამენტური კრიტერიუმების დადგენით, რომლებსაც დღესაც ეფუძნება სამოქალაქო თავისუფლებები განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში. ამ დოქტრინამ ხელი შეუწყო საზოგადოებრივ ცნობიერებაში პოლიტიკური რეჟიმისა და სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების იდეის დანერგვას, რომელთა ღერძსაც სიტყვის თავისუფლება წარმოადგენს. როგორც ცნობილია, სამოქალაქო თავისუფლებებით სარგებლობა, არსებითად, უზრუნველყოფილი იყო მეტ-ნაკლებად განვითარებული ქვეყნების კონსტიტუციებით ჯერ კიდევ კლასიკური ლიბერალიზმის ეპოქაში.

[3] L. Levy, Freedom of Speech and Press in Early American History: Legacy of Suppression, N.Y. 1963, 256.
[4] Freedom of the Press from Zenger to Jefferson, 1966, 231-232.

თანამედროვე ამერიკელი სამართალმცოდნე ნ. დორსენი, აზრისა და სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობაზე მსჯელობისას, ასკვნის, რომ „სიტყვის თავისუფლების თითქმის უნივერსალური პრიმატი ეფუძნება რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ღირებულებას". დორსენის აზრით, ასეთებია: სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობა თვითმმართველობისათვის მოქმედი დემოკრატიის დროს, მისი სარგებლიანობა სიმართლის გარკვევისათვის და მისი გამოყენება ხელისუფლების მიერ კანონის დარღვევის გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად, ასევე შესაძლებლობა დაუშვას ადამიანის პირადი თვითგამოხატვა, რომელსაც თან არ ახლავს მის მიმართ რეპრესიების გამოყენების შიში.[5]

თუ დავახასიათებთ სიტყვისა და აზრის თავისუფლების პრობლემას საბჭოთა პერიოდის საქართველოში, ძნელია იმის მტკიცება, რომ მათი გამოვლინება სულ მცირედით მაინც ყოფილიყო შესაძლებელი. თავისი შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება უახლოეს პერიოდამდე საბჭოთა მოქალაქეთა უმრავლესობისათვის დაიყვანებოდა პრობლემის განხილვის შეკვეცილ ფორმებამდე და ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მხარდაჭერამდე. ამასთან, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მიერ გამოიყენებოდა „საბჭოთა ხალხის ერთიანი აზრის" ფორმულა, რომელიც სოლიდარობას უცხადებდა სახელმწიფოს პოლიტიკას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა მთელი თაობები ცხოვრობდნენ ობიექტური ინფორმაციის არარსებობისა და იდეოლოგიური სტერეოტიპების ტოტალური თავსმოხვევის პირობებში. შედეგად, ჩამოყალიბდა ისეთი სიტუაცია, როდესაც პარტიისა და სახელმწიფოს გადაწყვეტილებათა „საყოველთაო მხარდაჭერა" სხვა არაფერი იყო, თუ არა საბჭოთა საზოგადოებაში გამჯდარი პოლიტიკური აპათიის, ხშირად შიშისა და ტოტალიტარიზმის სხვა გამოვლინებების მაჩვენებელი.

როგორც უკვე აღინიშნა, სიტყვის თავისუფლება დოქტრინის მიხედვით განიმარტება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სუბიექტურ უფლებად, რაც ადამიანს მოაზროვნე არსებად ახასიათებს. თანამედროვე საზოგადოებაში სისტემა, რომელიც აგებულია პლურალიზმსა და სხვადასხვა პარტიის, ასოციაციისა თუ მიმდინარეობის ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკაზე, საკმაოდ მონოლითურია. სიტყვის თავისუფლებას პოსტტოტალიტარულ საზოგადოებაში უნდა დაუბრუნდეს თავისი ნამდვილი, პირველადი აზრი, რომელიც მთლიანად პიროვნების თავისუფლების უზრუნველსაყოფად მოცემული უფლების განსაკუთრებულ ღირებულებად ცნობას გულისხმობს.

როგორც ცნობილია, ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც დიდად განაპირობა სიტყვის თავისუფლების დეფორმაცია საქართველოში, იყო ხელისუფლებისა და მთლიანად საზოგადოების ტოტალური ჩაკეტილობა, რაც სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. ერთაზროვნებით ხანგრძლივი ტკბობა ვლინდებოდა მრავალი საკითხით: იდეოლოგიური დოგმატიზმით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მკაცრ კონტროლით ცენზურის ინსტიტუტის შემოღების გზით და, საბოლოო ჯამში, აზრისა და სიტყვის თავისუფლების ჩახშობით. სახელმწიფო დიდ ზეგავლენას ახდენდა პირად რწმენაზე, რაც იწვევდა სინდისის თავისუფლების შეზღუდვას. სრულიად გასაგებია, რომ ამ საზოგადოებაში სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების ტრადიციის უქონლობა მასობრივ ცნობიერებას აბსოლუტურად დაუცველად აქცევდა ნებისმიერი პროპაგანდის წინაშე.

[5] Н. Дорсен, Природа и пределы гражданских свобод в США, М., 1994, с. 275.

გასაკვირი არ არის, რომ ისეთი ღირებულებები, როგორიცაა: ინდივიდის სულიერი დამოუკიდებლობა, მათ შორის რელიგიური თავისუფლება, შევიწროვებული იყო კომუნისტური იდეოლოგიით. რთულია არ დავეთანხმოთ ა. მენს, რომელიც აღნიშნავდა, რომ „საბჭოთა ექსპერიმენტში მარქსისტულმა ეტატიზმმა განადიდა პოლიტიკური ხელისუფლება აბსოლუტური ღირებულების ხარისხში და, აქედან გამომდინარე, ყველა სხვა ღირებულების უპირობო უარყოფა დაამკვიდრა." შედეგად, საზოგადოება, რომელიც აგებული იყო თავისუფალი აზროვნების მოშთობის იდეოლოგიაზე, იძულებული გახდა შერიგებოდა ტოტალური აკრძალვის პოლიტიკას. ეტყობა, სწორედ ამას უკავშირდება მრავალი ათეული წლის განმავლობაში არარსებული ხალხის მორჩილება ხელისუფლების მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილებისადმი, იქნებოდა ეს კანონიერი და სამართლიანი, თუ არა.

ჩვენი საზოგადოების განვითარების სამწუხარო გამოცდილება მოწმობს, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში დაიწყო სოციალურ-ფსიქოლოგიური იძულებისა და ნებისმიერი ოპოზიციის დათრგუნვის პროცესი.[6] მიუხედავად იმისა, რომ 1918-21 წლებში იყო მცდელობა საქართველოში ახალი ღირებულებების დამკვიდრებისა, ცნობილი მოვლენების გამო ეს შეუძლებელი გახდა და პირიქით, უფრო მძლავრი დამატებითი იმპულსი მიეცა ქვეყნიდან ეროვნული ინტელიგენციის უდიდესი წარმომადგენლების იძულებით გაძევებას. შემდგომ ათწლეულებში ინტელიგენციის ბედი ტრაგიკული იყო. განსხვავებული აზრის გამოვლენისა და სოციალური სინამდვილის კრიტიკის მცდელობის სულ მცირე გამოვლინებაზეც კი ტოტალიტარული რეჟიმი მკაცრი რეპრესიებით რეაგირებდა.

30–40-იან წლებში სამამულო ინტელიგენციის ყველაზე საღად მოაზროვნე ნაწილი რეპრესირებულ იქნა. ბუნებრივია, კომუნისტურ ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა ის გარემოება, რომ ინტელიგენტებს ახასიათებთ ფიქრი, მოვლენათა შეფასება, აზრთა ურთიერთგაზიარება. ოპოზიციური იდეოლოგიის მატარებელთა წინააღმდეგ ბრძოლა ხორციელდებოდა ბეჭდვითი სიტყვის შეზღუდვის გზითაც.

მთელი საბჭოთა ისტორიის მანძილზე, გარდაქმნის უკანასკნელი წლების ჩათვლით, განსხვავებული აზრის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად გამოიყენებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიტიკური მიზანშეწონილობის პრინციპით. კერძოდ, უცხოეთში გამოცემული ლიტერატურის ცენზურის გარეშე საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გავრცელება კვალიფიცირდებოდა როგორც „იდეოლოგიური დივერსია" და ისჯებოდა სისხლის სამართლის წესით, თუმცა სსრკ-ის კონსტიტუციის 50-ე მუხლში ფორმალურად დეკლარირებული იყო სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლე-

[6] მრავალი ავტორის აზრით, იდეური ბატონობის დაკარგვა არის ავტორიტარული რეჟიმის მქონე პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვებისა და შემდგომი მონოპოლიზაციის ინსტრუმენტი. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა კუბელი მწერლის შეხედულება, რომელიც ამტკიცებს, რომ „ძალადობა სიტყვაზე" და დიქტატორული რეჟიმის დამყარება ერთმანეთს განაპირობებს. „ტოტალიტარიზმის" წინააღმდეგ საუკეთესო საშუალება არის თავისუფალი სიტყვა, როგორც ადამიანთა გონებრივი, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგი, რომელსაც თან არ ახლავს შიშის გრძნობა" და შემდეგ: „გარემო, რომელიც უშვებს მრავალფეროვნებას საუკეთესო წამალია ყოველგვარი ტირანიისაგან თავდასაცავად, რამდენადაც ცხოვრება ასეთ საზოგადოებაში მიედინება სიმართლისა და გონების ზეიმის ყარაულებში". იხ. К . Монтанср, Трактат о процветании, М., 1995, 75-77.

ბა. არსებული პრაქტიკა აბსოლუტურად შეუთავსებელი იყო ცივილიზებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების ზოგადად მიღებულ სტანდარტებთან და მშვენივრად ჯდებოდა „ყაზარმული“ სისტემის ფარგლებში. ამით პარტოკრატიული სახელმწიფო ხელისუფლება მიიღტვოდა გადაევადებინა ავტორიტარული რეჟიმის კრახი ძალადური ზომებით, რომლებიც სისასტიკით უტოლდებოდა სასჯელებს მძიმე დანაშაულებისათვის.

როდესაც საქართველოში გარდაქმნის სახელწოდებით დაწყებული პროცესების შედეგად საზოგადოებაში გაიმართა მწვავე პოლემიკა ყველაზე მტკივნეულ პრობლემებზე, ხელისუფლება იძულებული გახდა უარი ეთქვა სისხლისსამართლებრივი რეპრესიების გამოყენებაზე, თუმცა ანტიდემოკრატიული რეჟიმის პირობებში ინდივიდისა და სახელმწიფოს თანაფარდობის პრობლემა სიტყვის, აზრის, რწმენის თავისუფლების კონტექსტში წყდებოდა ცალსახად – სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ტოტალიტარული რეჟიმის ნგრევის შემდგომ სულ უფრო მეტ ადამიანს ესმის, რომ საზოგადოების რადიკალური განახლება წარმოუდგენელია პიროვნების ინტელექტუალური თავისუფლების, აზრთა უშიშარი გაცვლის შესაძლებლობის გარეშე. ერთადერთი სწორი გზა, ჩვენი ყველანაირი ავადმყოფობის წამალი, არის სიტყვის თავისუფლება, თავისუფლება იმისა, რომ გქონდეს საკუთარი აზრი და შეგეძლოს გამოთქვა ის.

1988-1989 წლებში თანდათანობით დაიწყო იდეოლოგიური დიქტატისა და საზოგადოების ჰუმანიზაციის პროცესი. ეროვნული მოძრაობის გააქტიურების შემდგომ ქვეყანაში უქმდება ზედამხედველობა პერიოდულ გამოცემებსა და მხატვრულ ნაწარმოებებზე.

რასაკვირველია, პოსტტოტალიტარულ საქართველოში მანამდე აკრძალული ლიტერატურის (მათ შორის ყველა თაობის მწერალ-ემიგრანტების შემოქმედებათა) გამოქვეყნებამ ხელი შეუწყო საზოგადოების ზნეობრივ და გონებრივ განვითარებას. ინფორმაციის გავრცელების უფლების დემონოპოლიზაციის პროცესში დაიწყო საჯარო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შექმნა (ბეჭდვითი ორგანოები, ტელეარხები, რადიოსადგურები).

ამ მოვლენებმა ხელი შეუწყო სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის დაწყებას საქართველოში. ბუნებრივია, ქვეყანაში, რომელიც გამოდის ტოტალიტარული სახელმწიფოს მაპარალიზებელი წნეხიდან, არ შეიძლება სწრაფად აღმოცენდეს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის სრულყოფილი ფორმები.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია აცხადებს სიტყვისა და აზრის თავისუფლებას (მე-19 მუხლი). იმ დებულებათა რიცხვს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ უფლებას, განეკუთვნება დებულებები სიტყვისა და აზრის გამო ადამიანის დევნის, ასევე საკუთარი შეხედულებების გამოთქმის, იძულების დაუშვებლობის (მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი), ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლების (23-ე მუხლი), ინფორმაციის თავისუფლად მიღების, გავრცელების, ზეპირად ან წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით აზრის გამოთქმისა და გავრცელების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების, ცენზურის აკრძალვის (24-ე მუხლი) შესახებ.

თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სიტყვის თავისუფლებით სარგებლობის უფლება ადამიანს განსაკუთრებულ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს აკისრებს, ის დაკავშირებულია განსაზღვრულ შეზღუდვებთან. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მე-19 მუხლის მე-3 ნაწ.) ითვალისწინებს განსახილველი თავისუფლების კანონიერ შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებელია: სხვა პირთა უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობრიობის დასაცავად. საქართველოს კონსტიტუცია აკონკრეტებს ამ დებულებებს 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში.

ამრიგად, კონსტიტუციამ გაითვალისწინა აზრისა და სიტყვის თავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც თავის გამოხატულებას ჰპოვებს რიგ კანონებში. მათ შორის უნდა გამოვყოთ საქართველოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ და კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ”. თუ განვიხილავთ ამ საკანონმდებლო აქტების მუხლებს, ძნელი არ არის შევამჩნიოთ, რომ იურიდიული ჩარჩოები, რომლებშიც ხორციელდება სიტყვის თავისუფლება საქართველოში, მთლიანობაში ეხმიანება საერთაშორისო-სამართლებრივ მოთხოვნებს. საკმარისია გავიხსენოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სიტყვის თავისუფლების ხელყოფისათვის.

არასწორი იქნებოდა უკვე მიღებული კანონების მნიშვნელობათა დაკნინება, მაგრამ შეუძლებელია არ დავინახოთ, რომ სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიების რეალიზაციის სამართლებრივი მექანიზმები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. როგორც განვითარებული დემოკრატიის ქვეყნების საკანონმდებლო პრაქტიკა მოწმობს, სახელმწიფოს მხრიდან აზრისა და სიტყვის თავისუფლების მხარდაჭერა გულისხმობს ზოგი სპეციალური საკანონმდებლო აქტის მიღებას. მათგან უნდა აღვნიშნოთ ისეთი აქტები, როგორიცაა: კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფინანსური საჯაროობისა და პლურალიზმის კონცენტრაციისა და უზრუნველყოფის შეზღუდვის შესახებ.

ახლა, ფაქტობრივად პირველად, ხანგრძლივი იდეოლოგიური დიქტატის შემდეგ ადამიანებმა მოიპოვეს შესაძლებლობა დაუბრკოლებლად გამოხატონ თავიანთი პოზიცია ნებისმიერ პრობლემაზე. უკანასკნელი წლები იძლევა იმის იმედს, რომ საქართველო შეძლებს „კომუნიზმის ნანგრევებიდან გამოსვლას,“[7] მაგრამ საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ნგრევის ფაქტი თავისთავად სულაც არ განაპირობებს დემოკრატიული რეჟიმის დამკვიდრებას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს საზოგადოებაში ახალი პოლიტიკური სისტემის (თავისი არსით, განვითარების მიზნებით, ფუნქციონირების რეჟიმით და ა. შ.) შექმნის პროცესში ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი პრესტიჟისა და მხარდაჭერის ამაღლება-გაძლიერება საზოგადოების მხრიდან.

ცხადია, ამჟამად საქართველოში არსებულ დრამატულ სიტუაციაში ახალი სახელმწიფოებრიობა და პოლიტიკური სისტემა სტაბილურად ფუნქციონირებას მხოლოდ მოქალაქეთა უმრავლესობის მხარდაჭერის პირობით შეძლებს. ყველაზე მთავარი არის არა მხოლოდ მოსახლეობის ფართო მასების თანხმობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, არამედ ასევე გაცნობიერებული მონაწილეობა მათში, ნებაყოფლობითი სამოქალაქო თანამშრომლობა. ამასთან, ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, რომლითაც დემოკრატიულად მოწყობილ საზოგადოებაში სარგებლობენ სხვადასხვა თეორიული და იდეურ-პოლიტიკური მიმართულების წარ-

[7] Ф. Солженицин, Выбраться из под обломков коммунизма, М., 1994.

მომადგენლები საკუთარი მოსაზრებების ოპონენტებამდე დასაყვანად, მათი კრიტიკისა და საკუთარი პოზიციების დასასაბუთებლად, არის რეალური, კანონით გარანტირებული აზრისა და სიტყვის თავისუფლება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სხვადასხვა, ხშირად კონფლიქტური პოზიციებისა და აზრების გამომჟღავნება ობიექტურად დიდ როლს ასრულებს, რამეთუ ამით სამოქალაქო საზოგადოებაში წარმოიშობა კონსტრუქციული და მასზე „მომუშავე" სოციალურ-პოლიტიკური შეფასებები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, გამოხატავენ უმრავლესობის ინტერესებს. ამრიგად, გამჭვირვალობა და იდეოლოგიური პლურალიზმი აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოებისათვის, რამდენადაც ისინი მთელი ხალხის ინტერესების დაცვის ჭეშმარიტებად ყველაზე ეფექტიანი საშუალებებია.

თუმცა, სამწუხაროდ, საზოგადოებრივი ცხოვრების განმასხვავებელი ნიშანია საჯარო დიალოგისა და საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის სათანადო კულტურის არარსებობა. ცხადია, რომ „ბარიკადული" ფსიქოლოგიის ისეთი გამოვლინებები, როგორიცაა: უაპელაციო წაყრუება, საწინააღმდეგო მოსაზრებების შეუწყნარებლობა და სხვა, შეუთავსებელია აზრისა და სიტყვის ნამდვილი თავისუფლების დამკვიდრებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ ვამცირებ პოზიტიურ როლს, რომელსაც ასრულებს მოქალაქის უფლება თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი, მაინც აღვნიშნავ, რომ საქართველოს სინამდვილისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური დაძაბულობის პირობებში შეიმჩნევა დაშორების ტენდენცია სამართლის ნორმასა და მისი რეალიზაციის პრაქტიკას შორის. სინამდვილეში სიტყვის თავისუფლება ხშირად იცვლება დემაგოგიით, პოლიტიკანობით და განსხვავებული აზრის დათრგუნვითაც კი. უდავოა ერთი: ასეთი პლურალიზმი შეურაცხმყოფელია ფორმირების პროცესში მყოფი სამოქალაქო საზოგადოებისათვის. დემოკრატიულ სახელმწიფოში ადმინისტრაციული შეზღუდვებისაგან თავისუფალი პრესა ვალდებულია მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის იხელმძღვანელოს ზნეობრივი იმპერატივებით და მკაფიო ზღვარი გაავლოს განსხვავებული აზრის დათრგუნვასა და კანონში დაფიქსირებული აკრძალვების დემონსტრატიულ დარღვევას შორის.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ არ შეიძლება აზრისა და სიტყვის თავისუფლების დისკრედიტაცია: დემოკრატია და პლურალიზმი საზოგადოებამ უნდა ისწავლოს. ზნეობრივად ჯანმრთელი, სამოქალაქო ღირსების მფლობელი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ურთიერთგაგება, ურთიერთდათმობა და კომპრომისის ძიებისადმი სწრაფვა უკიდურესი შეხედულებების გამომხატველებს შორის. ცივილიზებულ სახელმწიფოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკუსიის მსვლელობისას არავის აქვს უფლება სხვას ძალით მოახვიოს თავს საკუთარი მოსაზრებები, ძირი გამოუთხაროს სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიულ პრინციპებს.

თუ ზემოაღნიშნულს მხედველობაში მივიღებთ, ისმის ბუნებრივი კითხვა: *შეიძინა თუ არა საქართველოში სიტყვის თავისუფლებამ შეუქცევადი ხასიათი?* მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უდავოდ პოზიტიური წინსვლა ამ მიმართულებით, ჯერჯერობით არ არის საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ისტორიული რევანშისა და ადრე არსებული წესების რესტავრაციის პრობლემა საქართველოში, ევროპული პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, საბოლოოდ მოხსნილია. არ

შეიძლება გამოვრიცხოთ დამუხრუჭების ალბათობა სიტყვის თავისუფლების განვითარების გზაზე, რისი საშიშროებაც ნამდვილად არსებობს.[8]

ცხადია, რომ საზოგადოებაში, რომელსაც არ ახასიათებს პოლიტიკური და სამართლებრივი სიმწიფისა და ზნეობრიობის მაღალი დონე, ნებისმიერი დემოკრატიული მექანიზმი, თავისუფალი პრესის ჩათვლით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს არადემოკრატიული მიზნებით. როგორც აღნიშნავდა პ. ნოვგოროდცევი, დემოკრატიის ბუნება და უპირატესობა სწორედ ისაა, რომ ის თავისი შემწყნარებლობით უხსნის სივრცეს ისეთ მიმართულებებს, რომლებიც ესწრაფვიან მისსავე უარყოფას.[9]

თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ საქართველო გავიდა იმ გზაზე, რომელიც ემთხვევა ზოგადცივილიზებული განვითარების ვექტორს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მოქალაქეები იწყებენ არა მხოლოდ სიტყვის თავისუფლების, როგორც უმაღლესი ღირებულების, აღქმას, არამედ იმის გაცნობიერებასაც, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური და შეგნებული მონაწილეობა ძირითადად შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც მოქალაქის უფლება, თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრები, გარანტირებულია კანონით.

პოზიტიური ცვლილებები საზოგადოებრივ ცნობიერებაში მოწმობს იმასაც, რომ კანონით გარანტირებული სიტყვის თავისუფლება თავისთავად ახდენს მოქალაქის დამოუკიდებელი აზროვნებისა და ცალკეული ინდივიდის სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის კულტივირებას, რითაც ამაღლებს საზოგადოების პოლიტიკურ კულტურას და აჩვევს მას აზრის თავისუფლებას. გვქონდეს სწორი წარმოდგენა სიტყვის თავისუფლებაზე, ნიშნავს ცხადად წარმოვიდგინოთ, რომ ის არის ფაქტორი, რომელიც ახდენს სახელმწიფოს ბუნების განსაზღვრას. აზრისა და სიტყვის რეალურ თავისუფლებას შეუძლია არა მხოლოდ აგვაცილოს ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემისაკენ მიბრუნება, არამედ ასევე მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყოს დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, შექმნას სტაბილური პირობები მისი შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

---

[8] საკმარისია გავიხსენოთ ტელეკომპანია „რუსთავი 2"-თან დაკავშირებული საკმაოდ გახმაურებული შემთხვევა.

[9] М. Новгородцев, Об общественном идеале, М., 1991.

სიცოცხლის უფლება ფეტუსისთვის

ლაშა ჭელიძე

„ერთი ადამიანის უფლება – გაიკეთოს აბორტი,
– არის მეორე ადამიანის სიცოცხლის უფლების დარღვევა".[1]
ჯონ ტ. ნუნანი

1. შესავალი

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 28 იანვრის №59 განკარგულებით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს[2] დაევალა კანონპროექტის მომზადება ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის შესახებ, რის საფუძველზეც აღნიშნულმა სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი.

კანონპროექტის მიხედვით, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა დაშვებულია ორსულობის პირველი 12 კვირის განმავლობაში უპირობოდ, ორსულის სურვილისამებრ; ორსულობის 12-22 კვირის განმავლობაში – მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით, ხოლო 22 კვირაზე ხანგრძლივი ფეხმძიმობისას – მხოლოდ მაშინ, როდესაც ორსულობა ან მშობიარობა საფრთხეს უქმნის ქალის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, ან დადგენილია ნაყოფის მძიმე პათოლოგია, სერიოზული ფიზიკური დეფექტი.

საკითხი - არის თუ არა ემბრიონი/ფეტუსი[3] უფლებების მატარებელი და აქვს თუ არა მას სპეციალური დაცვის უფლება – ხშირად კამათის საგანი ხდება მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს შორის.[4] აბორტთან დაკავშირებული პრობლემები და ემბრიონი/ფეტუსის დაცვა მრავალ ქვეყანაში სადავო საკითხად ითვლება.[5]

ცხადია, ამ პრობლემასთან მიმართებით არც საქართველოა გამონაკლისი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განვიხილოთ ფეტუსის სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

2. ფეტუსის სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმები

2.1. სიცოცხლის უფლება

სიცოცხლის უფლების თანამედროვე დეფინიციას საფუძველი ჩაეყარა XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში. ამ დროისათვის ადამიანის უფლებათა კონცეფცია ჩამოყალიბდა ბუნებით სამართალზე დაყრდნობით, რომლის თანახმად, ადამიანს აქვს ხელშეუვალი უფლებები, მათ შორის არის სიცოცხლის უფლება.[6]

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან სიცოცხლის უფლება მიიჩნევა ყველაზე ფუნდამენტურ უფლებად, სხვა დანარჩენი მისგან გამომდინარეობს. სიცოცხლის უფლება რომ არ იყოს, მაშინ ადამიანის დანარჩენ უფლებათა არსებობას აზრი არ ექნებოდა.

მრავალი საერთაშორისო აქტი აღიარებს სიცოცხლის უფლებას ადამიანის ძირითად, ხელშეუვალ უფლებად. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „სიცოცხლის უფლება უზენაესი უფლებაა, რომლის დარღვევაც თვით საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი დაუშვებელია".[7] სიცოცხლის უფლება არის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა.[8] მეცნიერები მას საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმად მიიჩნევენ.[9]

სიცოცხლის უფლების ძირითადი საერთაშორისო სტანდარტები მოცემულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლში, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლში, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-2 მუხლში, ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის მე-4 მუხლსა და ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკის ქარტიის მე-4 მუხლში.[10]

2.1.1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიღებულ იქნა 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ. საყოველთაო დეკლარაციაში ასახულმა ფუნდამენტურმა პრინციპებმა გავლენა მოახდინა მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაზე, რაც ამ საერთაშორისო აქტის უმნიშვნელოვანეს როლზე მეტყველებს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება".[11]

დეკლარაციის *travaux préparatoires*[12] დროს ზოგიერთმა სახელმწიფომ (მაგ., ჩილე, ლიბია) წარმოადგინა შესაბამისი მუხლის პროექტი, რომლის თანახმად, დეკლარაცია ითვალისწინებდა სიცოცხლის უფლების დაცვას ჩასახვის მომენტიდან. ზოგიერთი ქვეყანა, მათ შორის დანია, აშშ და საბჭოთა კავშირი, ხსენებული მუხ-

[1] John T. Noonan, (Ed.), The Morality of Abortion, Legal and Historical Perspectives, 1970, xvii.
[2] 2002 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით ხსენებულ სამინისტროს ეწოდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.
[3] განვითარების სტადიის პირველი 8 კვირის განმავლობაში დაუბადებელ ბავშვს ეწოდება ემბრიონი, ხოლო ფეხმძიმობის დარჩენილ დროს – ფეტუსი. C. Clayman, The Human Body, 1999, 200.
[4] L. Rehof, in: G. Alfredsson, A. Eide (Eds.), The Universal Declaration of Human Rights. A Common Standard of Achievement, 1999, 95.
[5] S.J. Frankowski & G.F. Cole (Eds.) Abortion and Protection of the Human Fetus, 1987, xv.
[6] A. Redelbach, Protection of the Right to Life by Law and by Other Means, in: B.G. Ramcharan (Ed.), The Right to Life in International Law – International Studies in Human Rights, 1985, 182.
[7] იქვე, 184.
[8] B.G. Ramcharan, The Concept and Dimensions of the Right to Life, in: B.G. Ramcharan (Ed.), The Right to Life in International Law – International Studies in Human Rights, 1985, 3.
[9] M. Nowak, UN Covenant on Civil and Political Rights – CCPR Commentary, 1993, 104. A. Redelbach, Protection of the Right to Life by Law and by Other Means, in: B.G. Ramcharan, (Ed.), The Right to Life in International Law – International Studies in Human Rights, 1985, 185.
[10] B.G. Ramcharan, "The Concept and Dimensions of the Right to Life", in B.G. Ramcharan, ed., *The Right to Life in International Law – International Studies in Human Rights*, Martinus Nijhoff Publishers, 1985, 2-3.
[11] G. Melander & G. Alfredsson (Eds.), The Raoul Wallenberg Compilation of Human Rights Instruments, 1997, 28.
[12] მოსამზადებელი სამუშაოები (ფრანგ.).

ლის პროექტს არ დაეთანხმა იმ საბაბით, რომ ბევრ ქვეყანას არ გააჩნია აბორტის შესახებ კანონები. დეკლარაცია კი მხოლოდ და მხოლოდ იმ შინაარსს უნდა შეიცავდეს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნისათვის იქნება მისაღები.

2.1.2. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი შეიცავს ე.წ. „პირველი თაობის" ადამიანის უფლებებს, რომლებმაც უმრავლესი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობაში, როგორც XVIII და XIX საუკუნეებში გრანდიოზული რევოლუციების შედეგებმა, ჰპოვა ასახვა.[13] სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი მიღებულ იქნა 1966 წელს. იგი ძალაში შევიდა 1976 წელს.[14]

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის თანდაყოლილი უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს მიერ კი არ არის მინიჭებული, არამედ ადამიანის განუყოფელი ნაწილია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტს, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლზე გაკეთებული ორი კომენტარიდან არც ერთში არ უხსენებია დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის უფლება. კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა აღნიშნა, რომ აბორტის თემა პაქტის ხელმომწერ სახელმწიფოებში მეტად სადავოა და ამიტომ მე-6 მუხლით შეუძლებელია ზემოაღნიშნული საკითხის გადაწყვეტა. ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრებმა აბორტთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა მიანდეს სახელმწიფოებს.

ზოგიერთმა ქვეყანამ გააკეთა დათქმა, რომლის თანახმად, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტს სიცოცხლის უფლება უნდა დაეცვა ჩასახვის მომენტიდან. ზოგიერთი ქვეყნის პოზიციით, პაქტის თანახმად, სიცოცხლის უფლების დაცვა უნდა დაიწყოს არა ჩასახვის, არამედ დაბადების მომენტიდან.[15]

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გენერალური ასამბლეის მესამე კომიტეტში სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის პროექტზე მუშაობისას ზოგიერთმა სახელმწიფომ წარმოადგინა დამატება, რაც პაქტის მე-6 მუხლში სიტყვების – „ჩასახვის მომენტიდან", წარუმატებელი ცდა აღმოჩნდა, ხოლო აღნიშნული სიტყვების უარყოფის ძირითადი მიზეზები შემდეგი იყო:

1. სახელმწიფოს არ შეუძლია ჩასახვის მომენტის განსაზღვრა და, მაშასადამე, მას არ შეუძლია დაიწყოს ფეტუსის სიცოცხლის დაცვა;

2. ამ საკითხთან დაკავშირებით შიდასახელმწიფოებრივი რეგულირება სხვადასხვა სახელმწიფოში მნიშვნელოვნად განსხვავდება.

საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლთან დაკავშირებით არსებობს სამედიცინო, ეთიკური და იურიდიული ხასიათის უამრავი პრინციპული პრობლემა, რაც, ერთი

[13] M. Nowak, UN Covenant on Civil and Political Rights – CCPR Commentary, 1993, xvii.
[14] იქვე, გვ. xxi.
[15] J. Nieuwenhove, Abortion: A Life for Unborn Children?, in: E. Verhellen (Ed.), Monitoring Children's Rights, 1996, 786.

მხრივ, ადამიანის სიცოცხლის დეფინიციაში, მის დასაწყისსა და დასასრულში, ხოლო, მეორე მხრივ, – სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფის განსაზღვრაში გამოიხატება.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა კომიტეტი „აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა პაქტის ხელმომწერი სახელმწიფოების მხრიდან ყველა იმ შესაძლო პოზიტიური ღონისძიების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს სიცოცხლის კოეფიციენტის გაზრდას".[16]

2.1.3. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია მიღებულ იქნა 1950 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს.[17] კონვენციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ იგი შემუშავდა, რათა საწყისი ნაბიჯები გადაედგა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებული კონკრეტული უფლებების კოლექტიური შესრულებისათვის.[18]

ევროპის კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით, „ყველა ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით უნდა იქნეს დაცული."[19]

ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიამ თავი შეიკავა აბორტის კონტექსტში სიცოცხლესთან დაკავშირებით რაიმე დეფინიციის გაკეთებისაგან. მათი აზრით, ევროპის კონვენციამ სამართლიანად გამოხატა თავშეკავება აბორტის ყველა საქმესთან დაკავშირებით და მან კანონმდებელს დაუტოვა შესაბამისი ნორმების ჩამოყალიბებისათვის თავისუფალი ქმედების უფლება. კომისიის წევრთა შეხედულებით, ეს მიდგომა, რაც გამოიხატება იმით, რომ ამ საკითხის ირგვლივ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა – ერთი მხრივ, ითვალისწინებს ქალთა ინტერესებს, ხოლო, მეორე მხრივ, – დაუბადებელი ბავშვის სამართლებრივი დაცვის საჭიროებას.

ცნობილი მეცნიერი მ. ნოვაკი აღნიშნავს, რომ აქვს თუ არა დაუბადებელ ბავშვს სიცოცხლის უფლება, კონვენციით არ არის გადაწყვეტილი.[20] მისი აზრით, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-2 მუხლი არ იძლევა იმის კონკრეტულ განსაზღვრებას, თუ რა ეტაპზე იწყება სიცოცხლის დაცვა.[21]

ვან დაიკისა და ვან ჰუფის არგუმენტის თანახმად, შესიტყვება – „ყველა ადამიანი", არ გამორიცხავს იმას, რომ მე-2 მუხლი იცავს დაუბადებელი არსების სიცოცხლეს. მათი აზრით, თუ ევროპის კონვენციის მე-2 მუხლი მოიცავს ფეტუსის სიცოცხლის დაცვას, მაშინ *abortus provocatus*[22] უნდა აიკრძალოს, ხოლო აბორტის გაკეთებისათვის დაწესდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.[23]

[16] H. Kabaalioglu, The Obligation to Respect and to Ensure the Right to Life, in: B.G. Ramcharan (Ed.), The Right to Life in International Law – International Studies in Human Rights, 1985, 180.
[17] A.H. Robertson & J.G. Merrills, Human Rights in the World, 1993, 104.
[18] G. Melander & G. Alfredsson (Eds.), The Raoul Wallenberg Compilation of Human Rights Instruments, 1997, 81.
[19] იქვე, გვ. 82.
[20] E. Shorts & C. de Than, Civil Liberties - Legal Principles of Individual Freedom, 1998, 445.
[21] M. Nowak, UN Covenant on Civil and Political Rights – CCPR Commentary, 1993, 123.
[22] პროვოცირებული აბორტი (ლათ).
[23] P. van Dijk & G.J.H. van Hoof, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, 1998, 301.

აქვე აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება იმის შესახებ, იცავს თუ არა კონვენციის მე-2 მუხლი დაუბადებელ ბავშვს.[24]

2.1.4. ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია

ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია მიღებულ იქნა 1969 წლის 22 ნოემბერს. იგი ძალაში შევიდა 1978 წლის 18 ივლისს.[25]

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დოკუმენტთა შორის მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია გვევლინება ჩასახვის მომენტიდან სიცოცხლის უფლების უდავო დამცველად.[26]

ამერიკის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანს აქვს თავისი სიცოცხლის პატივისცემის უფლება. აღნიშნული უფლება დაცულია ჩასახვის მომენტიდან".[27]

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ამერიკის კონვენციის მე-4 მუხლი ზოგადად იცავს სიცოცხლის უფლებას ჩასახვის მომენტიდან.[28] *San Jose*-ს სესიის დროს, სადაც აბორტის საკითხს განიხილავდნენ, მოხდა იმის აღიარება, რომ სიტყვა „ზოგადად" შემდგომში ამ კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს ღიად უტოვებს შესაძლებლობას, რომ კონვენციის ხელმომწერმა ამა თუ იმ სახელმწიფომ თავის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში „აბორტის ყველაზე გამოკვეთილი შემთხვევები" შეიტანოს. რაც შეეხება იმ საკითხის შეფასებას, ეწინააღმდეგება თუ არა აბორტის გაკეთება კონვენციის მე-4 მუხლის სტანდარტებს, საჭიროა იმის გათვალისწინება, თუ რა გარემოებებში კეთდება აბორტი. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - *Baby Boy* (1981 წელი). კომისიამ ხსენებულ საქმესთან დაკავშირებით გადაწყვიტა, რომ კვალიფიკაცია შეიცავს აბორტის დაშვებას, *inter alia*, დედის სიცოცხლის დასაცავად და გაუპატიურების შემთხვევაში.[29]

უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის შეხედულების გათვალისწინება ამ მეტად სადავო საკითხზე არ არის იურიდიულად სავალდებულო. ამ თავში განხილული საერთაშორისო აქტებიდან გამომდინარე ბუნდოვანია, იცავს თუ არა საერთაშორისო სამართალი დაბადებამდე სიცოცხლის უფლებას. უნდა აღინიშნოს, რომ მათგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის მე-4 მუხლი სიტყვებით – „ჩასახვის მომენტიდან", ნათლად ასახავს დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის უფლების დაცვას. აქედან გამომდინარე, ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ ამერიკის კონვენცია იცავს სიცოცხლის უფლებას ჩასახვის მომენტიდან, და ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის ჩარჩოებში ემბრიონს/ფეტუსს აქვს სიცოცხლის უფლების დამცავი მექანიზმი.

[24] P. Leach, Taking a Case to the European Court of Human Rights, 2001, 113.
[25] A.H. Robertson & J.G. Merrills, Human Rights in the World, 1993, 165.
[26] L. Rehof, in: G. Alfredsson & A. Eide (Eds.), The Universal Declaration of Human Rights. A Common Standard of Achievement, 1999, 95.
[27] G. Melander & G. Alfredsson (Eds.), The Raoul Wallenberg Compilation of Human Rights Instruments1997, 156.
[28] M. Nowak, UN Covenant on Civil and Political Rights – CCPR Commentary, 1993, 123.
[29] S. Detrick, A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, 1999, 133.

2.1.5. ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია

1981 წელს აფრიკის გაერთიანების ორგანიზაციის სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურთა ასამბლეამ მიიღო ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია, რომელიც ძალაში შევიდა 1986 წლის 21 ოქტომბერს.[30]

ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკის ქარტიის მე-4 მუხლის თანახმად, „ადამიანები ხელშეუხებელნი არიან. ყველა ადამიანს მინიჭებული უნდა ჰქონდეს თავისი სიცოცხლის დაფასებისა და პიროვნების ხელშეუვალობის უფლება."[31]

აფრიკული ქარტია გამოხატავს ამ კონტინენტის ტრადიციებსა და ღირებულებებს. ეს უკანასკნელი ერთადერთია ადამიანის უფლებათა ყველა იმ საერთაშორისო ინსტრუმენტთა შორის, რომლებიც უფლებებთან ერთად ვალდებულებებსაც აცხადებს. აფრიკული ქარტია ითვალისწინებს ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის თანახმად: „ყველა ადამიანს მინიჭებული უნდა ჰქონდეს თავისი სიცოცხლის პატივისცემის უფლება."[32]

ქარტია მიმართულია „სიცოცხლის დაცვისაკენ" და სახელმწიფოებისაგან მოითხოვს ყველა ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვას. აღსანიშნავია, რომ აფრიკული ქარტიის მე-4 მუხლი იცავს სიცოცხლის უფლებას ჩასახვის მომენტიდან, ადამიანის სიცოცხლეზე რაიმე კონკრეტული მინიშნების გარეშე.

2.1.6. ბავშვის უფლებათა კონვენცია

ბავშვის უფლებათა კონვენცია მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წლის 20 ნოემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს.[33]

ბავშვის უფლებათა კონვენციის პრეამბულის მე-9 აბზაცში აღნიშნულია შემდეგი: „ვითვალისწინებთ რა ბავშვის უფლებათა დეკლარაციაში აღნიშნულს, ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, საჭიროებს სპეციალურ დაცვასა და ზრუნვას, შესაბამისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ასევე დაბადების შემდგომ პერიოდში."[34]

ბავშვის უფლებათა კონვენციის *travaux préparatoires* ადასტურებს, რომ პრეამბულის მე-9 აბზაცთან დაკავშირებით დიდი დებატები გაიმართა, განსაკუთრებით კი შემდეგი სიტყვების ირგვლივ: „როგორც დაბადებამდე, ასევე დაბადების შემდგომ." ერთი მხრივ, დელეგატების დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა 1959 წლის გაეროს ბავშვის უფლებათა დეკლარაციის კონცეფციის შენარჩუნებას. მეორე მხრივ, ზოგიერთმა დელეგატმა გამოთქვა აზრი, რომ დაუბადებელი ბავშვი ჯერ არ წარმოადგენს იმ ადამიანს, ვისი უფლებებიც დაცულ უნდა იქნეს. მიუხედავად ამისა, დელეგატების გარკვეულმა ნაწილმა მოითხოვა მათი აზრის გათვალისწინება, რაც

[30] H. Steiner & P. Alston, International Human Rights in Context: Law, Politics, Morals, 1996, 689.
[31] G. Melander & G. Alfredsson (Eds.), The Raoul Wallenberg Compilation of Human Rights Instruments, 1997, 192.
[32] A. Redelbach, Protection of the Right to Life by Law and by Other Means, in: B.G. Ramcharan (Ed.), The Right to Life in International Law Law – Internatiioanl Studies in Human Rights, 1985, 204.
[33] A. Lopatka, The Rights of the Child are Universal: The Perspective of the UN Convention on the Rights of the Child, in: M. Freeman & P. Veerman (Eds.), The Ideologies of Children's Rights, 1992, 48.
[34] G. Melander & G. Alfredsson (Eds.), The Raoul Wallenberg Compilation of Human Rights Instruments, 1997, 280.

გამოიხატა იმით, რომ კონვენციამ არ უნდა გაუკეთოს იგნორირება იმ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, რასაც დაუბადებელი ბავშვის უფლებები ჰქვია.

საბოლოოდ, შეთანხმების საფუძველზე მოხდა 1959 წლის გაეროს ბავშვის უფლებათა დეკლარაციის შესაბამისი ნაწილის ციტირება ბავშვის უფლებათა კონვენციის პრეამბულის მე-9 აბზაცში.

ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, რომ ფეტუსი, როგორც დაუბადებელი ბავშვი, „ბავშვის უფლებათა დეკლარაციაში" განხილულია როგორც ბავშვი: „მას ენიჭება უფლება გაიზარდოს და განვითარდეს. ბავშვი და მისი დედა უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სპეციალური ზრუნვითა და დაცვით, დაბადებამდე და დაბადების შემდგომი პერიოდის განმავლობაში ადეკვატური ზრუნვის ჩათვლით".

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ბავშვის სტატუსის განმსაზღვრელ ათ პრინციპში ცნება „ბავშვი" მოიცავს ბავშვს საშვილოსნოშიც. „მაშინ, როდესაც ბავშვი უნდა იყოს „პირველთა რიგში", მას არ უნდა ექცეოდნენ გულგრილად, მასზე უნდა ზრუნავდნენ დაბადებამდე, რათა არ მოხდეს დედის სურვილისამებრ ბავშვის სიცოცხლის ხელყოფა.[35] ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიოს ცივილიზებული ერების უმეტესობამ გაითავისა, რომ არსება დაბადებამდე ითვლება „ბავშვად", რომელსაც სამართლებრივი დაცვა სჭირდება.

ბავშვის უფლებათა კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის „ბავშვი" გულისხმობს თვრამეტ წელს მიუღწეველ პირს. ამასთან, კონვენციის პირველი მუხლით, სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს, რომ ბავშვობის პერიოდი იწყება არა დაბადების, არამედ ჩასახვის მომენტიდან.[36]

ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიკაციის დროს არგენტინამ გააკეთა დათქმა, რომლის მიხედვით, „პირველი მუხლი იმგვარად უნდა იქნეს განმარტებული, რომ „ბავშვი" ნიშნავდეს ყველა ადამიანს ჩასახვის მომენტიდან 18 წლის ასაკამდე".[37] თუ საერთაშორისო კონვენციის ტექსტი სიტყვასიტყვით განიმარტება, შეიძლება იმის მტკიცება, რომ კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებული ცნება – „ადამიანი", გაგებულ უნდა იქნეს სიცოცხლედ, რომელიც ჩასახვის მომენტიდან იწყება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონვენციის თანახმად, ბავშვობის დასაწყისი კონვენციის თითოეულმა ხელმომწერმა სახელმწიფომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით უნდა განსაზღვროს.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, „კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის თანდაყოლილი უფლება. კონვენციის ხელმომწერმა სახელმწიფოებმა მაქსიმალურად მაღალ დონეზე უნდა მოახდინონ ბავშვის გადარჩენისა და განვითარების უზრუნველყოფა."[38]

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლი იცავს სიცოცხლის უფლებას, დაუბადებელი ადამიანის სიცოცხლეზე რაიმე კონკრეტული მითითების გარეშე.

[35] D. Louisell & J. Noonan, Constitutional Balance, in: J. Noonan (Ed.), The Morality of Abortion, Legal and Historical Perspectives, 1970, 260.
[36] G. Melander & G. Alfredsson (Eds.), The Raoul Wallenberg Compilation of Human Rights Instruments, 1997, 280.
[37] S. Detrick, A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, 1999, 53.
[38] G. Melander & G. Alfredsson (Eds.), The Raoul Wallenberg Compilation of Human Rights Instruments, 1997, 281.

2.2. აქვს თუ არა ფეტუსს სიცოცხლის უფლება?

როგორც უკვე აღინიშნა, საკითხი, აქვს თუ არა ფეტუსს სიცოცხლის უფლება, მეტად სადავო პრობლემაა.[39] ფაქტობრივად, აბორტთან დაკავშირებული საკითხები ცხადყოფს, რომ კანონით შეუძლებელია სიცოცხლის განვითარების პროცესის განსაზღვრა და მას არ ძალუძს მოახდინოს დიფერენციაცია იმათ შორის, თუ რა არის დაშვებული და რა არ არის აკრძალული.[40]

ეკუთვნის თუ არა ფეტუსს სიცოცხლის უფლება, აბორტების ირგვლივ შექმნილ დებატებთან დაკავშირებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ფეტუსის სიცოცხლის მხარდამჭერთა არგუმენტით, ფეტუსი არის ცოცხალი არსება. თუ ფეტუსი ცოცხალი არსებაა, მას აქვს სიცოცხლის უფლება.[41]

ყველაზე ფუნდამენტური საკითხი, რომელიც კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საჭიროებს პასუხის გაცემას, არის ის, თუ როგორ უნდა განისაზღვროს არსების ადამიანობა. აბორტის მომხრეთა აზრით, ემბრიონი/ფეტუსი საზოგადოების მიერ არ არის მიღებული ადამიანად, მას არ ძალუძს დაამყაროს ურთიერთობა სხვასთან, ამიტომაც იგი არ არის საზოგადოების წევრი.

ცხადია, რომ ამა თუ იმ არსების ადამიანად აღიარებისათვის არ არის საჭირო საზოგადოების მიერ მისი აღიარება. ადამიანობის შეზღუდვისა და გარკვეული ჯგუფების გამოყოფის ნებისმიერი ცდა წარმოშობს ისეთი ძალაუფლებისა და პრეცედენტის შექმნის საშიშროებას, რომელიც საშუალებას მისცემს საზოგადოების მაკონტროლებელ ჯგუფებს გამოყონ სხვა ჯგუფები მხოლოდ მათთვის მიღებული სტანდარტების მიხედვით.

„სიცოცხლის უფლების საკითხი განეკუთვნება სამართლებრივ სფეროს, რომელიც მოიცავს პერიოდს ჩასახვის მომენტიდან ადამიანის გარდაცვალებამდე."[42] ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ის მტკიცებულება, რომლის თანახმადაც ადამიანის სიცოცხლე ჩასახვის მომენტიდან იწყება, სრული ჭეშმარიტებაა.[43]

3. ფეტუსის სიცოცხლის უფლების სამართლებრივი დაცვა საქართველოში

3.1. დიდი სჯულის კანონი

საქართველოს კონსტიტუციით, ქართველი ერი „აღიარებს მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში".[44] აქედან გა-

[39] J. van Nieuwenhove, Abortion: A Life for Unborn Children?, in: E. Verhellen (Ed.), Monitoring Children's Rights, 1996, 785. A. Redelbach, Protection of the Right to Life by Law and by Other Means, in: B.G. Ramcharan (Ed.), The Right to Life in International Law Law – Internatiioanl Studies in Human Rights, 1985, 197-198.
[40] J. van Nieuwenhove, Abortion: A Life for Unborn Children?, in: Eugeen Verhellen (Ed.), Monitoring Children's Rights, 1996, 785.
[41] იქვე, 791.
[42] L. Rehof, in: G. Alfredsson & A. Eide (Eds.), The Universal Declaration of Human Rights. A Common Standard of Achievement, 1999, 94.
[43] K. Baier, When does the Right to life begin? in: J. Pennock & J. Chapman (Eds.), Human Rights, 1981, 201. J. Noonan, An Almost Absolute Value in History, in: J. Noonan (Ed.), The Morality of Abortion: Legal and Historical Perspectives, 1970, 57. A. Redelbach, Protection of the Right to Life by Law and by Other Means, in: B.G. Ramcharan (Ed.), The Right to Life in International Law Law – Internatiioanl Studies in Human Rights, 1985, 198.
[44] საქართველოს კონსტიტუცია, 1995, I თავი, ზოგადი ნაწილი, მე-9 მუხლი.

2.2. აქვს თუ არა ფეტუსს სიცოცხლის უფლება?

როგორც უკვე აღინიშნა, საკითხი, აქვს თუ არა ფეტუსს სიცოცხლის უფლება, მეტად სადავო პრობლემაა.[39] ფაქტობრივად, აბორტთან დაკავშირებული საკითხები ცხადყოფს, რომ კანონით შეუძლებელია სიცოცხლის განვითარების პროცესის განსაზღვრა და მას არ ძალუძს მოახდინოს დიფერენციაცია იმათ შორის, თუ რა არის დაშვებული და რა არ არის აკრძალული.[40]

ეკუთვნის თუ არა ფეტუსს სიცოცხლის უფლება, აბორტების ირგვლივ შექმნილ დებატებთან დაკავშირებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ფეტუსის სიცოცხლის მხარდამჭერთა არგუმენტით, ფეტუსი არის ცოცხალი არსება. თუ ფეტუსი ცოცხალი არსებაა, მას აქვს სიცოცხლის უფლება.[41]

ყველაზე ფუნდამენტური საკითხი, რომელიც კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საჭიროებს პასუხის გაცემას, არის ის, თუ როგორ უნდა განისაზღვროს არსების ადამიანობა. აბორტის მომხრეთა აზრით, ემბრიონი/ფეტუსი საზოგადოების მიერ არ არის მიღებული ადამიანად, მას არ ძალუძს დაამყაროს ურთიერთობა სხვასთან, ამიტომაც იგი არ არის საზოგადოების წევრი.

ცხადია, რომ ამა თუ იმ არსების ადამიანად აღიარებისათვის არ არის საჭირო საზოგადოების მიერ მისი აღიარება. ადამიანობის შეზღუდვისა და გარკვეული ჯგუფების გამოყოფის ნებისმიერი ცდა წარმოშობს ისეთი ძალაუფლებისა და პრეცედენტის შექმნის საშიშროებას, რომელიც საშუალებას მისცემს საზოგადოების მაკონტროლებელ ჯგუფებს გამოყონ სხვა ჯგუფები მხოლოდ მათთვის მიღებული სტანდარტების მიხედვით.

„სიცოცხლის უფლების საკითხი განეკუთვნება სამართლებრივ სფეროს, რომელიც მოიცავს პერიოდს ჩასახვის მომენტიდან ადამიანის გარდაცვალებამდე.“[42] ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ის მტკიცებულება, რომლის თანახმადაც ადამიანის სიცოცხლე ჩასახვის მომენტიდან იწყება, სრული ჭეშმარიტებაა.[43]

3. ფეტუსის სიცოცხლის უფლების სამართლებრივი დაცვა საქართველოში

3.1. დიდი სჯულის კანონი

საქართველოს კონსტიტუციით, ქართველი ერი „აღიარებს მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში“.[44] აქედან გა-

[39] J. van Nieuwenhove, Abortion: A Life for Unborn Children?, in: E. Verhellen (Ed.), Monitoring Children's Rights, 1996, 785. A. Redelbach, Protection of the Right to Life by Law and by Other Means, in: B.G. Ramcharan (Ed.), The Right to Life in International Law Law – Internatiioanl Studies in Human Rights, 1985, 197-198.

[40] J. van Nieuwenhove, Abortion: A Life for Unborn Children?, in: Eugeen Verhellen (Ed.), Monitoring Children's Rights, 1996, 785.

[41] იქვე, 791.

[42] L. Rehof, in: G. Alfredsson & A. Eide (Eds.), The Universal Declaration of Human Rights. A Common Standard of Achievement, 1999, 94.

[43] K. Baier, When does the Right to life begin? in: J. Pennock & J. Chapman (Eds.), Human Rights, 1981, 201. J. Noonan, An Almost Absolute Value in History, in: J. Noonan (Ed.), The Morality of Abortion: Legal and Historical Perspectives, 1970, 57. A. Redelbach, Protection of the Right to Life by Law and by Other Means, in: B.G. Ramcharan (Ed.), The Right to Life in International Law Law – Internatiioanl Studies in Human Rights, 1985, 198.

[44] საქართველოს კონსტიტუცია, 1995, I თავი, ზოგადი ნაწილი, მე-9 მუხლი.

მომდინარე, მეტად მნიშვნელოვანი უნდა იყოს, თუ როგორ არეგულირებს ამ საკითხს დიდი სჯულის კანონი:

მსოფლიოს მეექვსე კრების 91-ე კანონის, ანკვირიის ადგილობრივი კრების 21-ე კანონისა და ბასილი დიდის II და VIII კანონების თანახმად: „დედანი, რომლებიც მუცელში კლავენ ჩვილს, კაცისმკვლელები არიან და კაცისმკვლელის კანონითვე უნდა დაისაჯონ“.[45]

3.2. საქართველოს კონსტიტუცია

კონსტიტუციური სამართლის სოციალისტური დოქტრინა დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა მოქალაქეების უზრუნველყოფას ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმით. მიუხედავად ამისა, საბჭოთა დოქტრინა, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებდა არა სამოქალაქო და პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე. სწორედ ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციები ჯერ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს განსაზღვრავენ, ხოლო ამის შემდეგ – სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ უარყო სოციალისტური დოქტრინის პრინციპები და ყველა უფლება (როგორც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული, ისე სამოქალაქო და პოლიტიკური) თანაბარმნიშვნელოვნად აღიარა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15(1) მუხლის თანახმად, „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი“. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-15(1) მუხლი სიცოცხლის უფლებას იცავს ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვაზე რაიმე კონკრეტული მითითების გარეშე. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს სასამართლოთა როლი იმის დადგენაში, იცავს თუ არა კონსტიტუციის მე-15(1) მუხლი ფეტუსის სიცოცხლის უფლებას.

3.3. კანონპროექტი ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის შესახებ

როგორც დასაწყისში აღინიშნა, კანონპროექტი ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 28 იანვრის №59 განკარგულების თანახმად, მოამზადა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში მისი ავტორები აღნიშნავენ, რომ „რეპროდუქციული სფეროს საკანონმდებლო უზრუნველყოფა ცივილიზებული ქვეყნების სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი და, ამავე დროს, რთული და წინააღმდეგობრივი შეხედულებებით აღსავსე ნაწილია. ეს სრულად ეხება ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის საკანონმდებლო რეგულირებასაც.“ განმარტებით ბარათში ასევე აღინიშნება, რომ ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებში ოდითგანვე არსებულ აზრთა სხვადასხვაობას ფეხმძიმე ქალისა და ნაყოფის ინტერესების კონფლიქტამდე მივყავართ.

კანონპროექტის თანახმად, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა დაშვებულია: ორსულობის პირველი 12 კვირის განმავლობაში – უპირობოდ, ორსულის სურ-

[45] *დიდი სჯულის კანონი*, მსოფლიოს მეექვსე კრება: 91-ე კანონი; ანკვირიის ადგილობრივი კრება: 21-ე კანონი; ბასილი დიდის კანონები: II და VIII., თბ., 1975, გვ. 240, 401, 475, 479.

მომდინარე, მეტად მნიშვნელოვანი უნდა იყოს, თუ როგორ არეგულირებს ამ საკითხს დიდი სჯულის კანონი:

მსოფლიოს მეექვსე კრების 91-ე კანონის, ანკვირიის ადგილობრივი კრების 21-ე კანონისა და ბასილი დიდის II და VIII კანონების თანახმად: „დედანი, რომლებიც მუცელში კლავენ ჩვილს, კაცისმკვლელები არიან და კაცისმკვლელის კანონითვე უნდა დაისაჯონ".[45]

3.2. საქართველოს კონსტიტუცია

კონსტიტუციური სამართლის სოციალისტური დოქტრინა დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა მოქალაქეების უზრუნველყოფას ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმით. მიუხედავად ამისა, საბჭოთა დოქტრინა, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებდა არა სამოქალაქო და პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე. სწორედ ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციები ჯერ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს განსაზღვრავენ, ხოლო ამის შემდეგ – სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ უარყო სოციალისტური დოქტრინის პრინციპები და ყველა უფლება (როგორც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული, ისე სამოქალაქო და პოლიტიკური) თანაბარმნიშვნელოვნად აღიარა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15(1) მუხლის თანახმად, „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი". ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-15(1) მუხლი სიცოცხლის უფლებას იცავს ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვაზე რაიმე კონკრეტული მითითების გარეშე. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს სასამართლოთა როლი იმის დადგენაში, იცავს თუ არა კონსტიტუციის მე-15(1) მუხლი ფეტუსის სიცოცხლის უფლებას.

3.3. კანონპროექტი ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის შესახებ

როგორც დასაწყისში აღინიშნა, კანონპროექტი ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 28 იანვრის №59 განკარგულების თანახმად, მოამზადა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში მისი ავტორები აღნიშნავენ, რომ „რეპროდუქციული სფეროს საკანონმდებლო უზრუნველყოფა ცივილიზებული ქვეყნების სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი და, ამავე დროს, რთული და წინააღმდეგობრივი შეხედულებებით აღსავსე ნაწილია. ეს სრულად ეხება ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის საკანონმდებლო რეგულირებასაც." განმარტებით ბარათში ასევე აღინიშნება, რომ ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებში ოდითგანვე არსებულ აზრთა სხვადასხვაობას ფეხმძიმე ქალისა და ნაყოფის ინტერესების კონფლიქტამდე მივყავართ.

კანონპროექტის თანახმად, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა დაშვებულია: ორსულობის პირველი 12 კვირის განმავლობაში – უპირობოდ, ორსულის სურვილისამებრ, ხოლო ორსულობის 12-22 კვირის განმავლობაში – მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით (რომელთა ჩამონათვალიც მოცემულია კანონპროექტში), 22 კვირაზე ხანგრძლივი ფეხმძიმობისას – მხოლოდ მაშინ, როდესაც ორსულობა და მშობიარობა საფრთხეს უქმნის ქალის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, ან დადგენილია ნაყოფის მძიმე პათოლოგია, სერიოზული ფიზიკური დეფექტი, რაც შემდგომში მნიშვნელოვნად იმოქმედებს ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაზე.

[45] *დიდი სჯულის კანონი*, მსოფლიოს მეექვსე კრება: 91-ე კანონი; ანკვირიის ადგილობრივი კრება: 21-ე კანონი; ბასილი დიდის კანონები: II და VIII., თბ., 1975, გვ. 240, 401, 475, 479.

„ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის შესახებ" კანონპროექტის ზოგადი დებულებების თანახმად, „ეს კანონი აწესრიგებს ურთიერთობებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ორსულობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის პროცედურის ჩატარებისას, იცავს, ერთი მხრივ, ქალის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, ხოლო მეორე მხრივ – ნაყოფის სიცოცხლეს."

განმარტებით ბარათში კანონპროექტის ავტორები აღნიშნავენ, თითქოს „საზოგადოებამ გამონახა შუალედური გზა", რაც არ უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების შეხედულებას ამ მეტად პრობლემატურ საკითხზე. იმ პერიოდში, როდესაც ხსენებულ პროექტზე მიმდინარეობდა მუშაობა, საზოგადოებამ გამოთქვა უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კანონპროექტის ავტორებმა არ გაითვალისწინეს საზოგადოების, ***inter alia***, ექიმების შეხედულება, მეტიც, საზოგადოების აზრით, აბორტი დანაშაულად არის მიჩნეული, ეს კონცეფცია კი გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, რაც გამოიხატება იმით, რომ სახელმწიფომ „ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის შესახებ" კანონპროექტი კი არა, ემბრიონის/ფეტუსის დამცველი სამართლებრივი მექანიზმი უნდა შეიმუშავოს.

განსაკუთრებით ყურადსაღებია კანონპროექტის ზოგადი დებულება, რომლის თანახმად, „ეს კანონი [...] იცავს ნაყოფის სიცოცხლეს", რაც წინააღმდეგობრივია თვით კანონპროექტის კონცეფციასთან გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი ემბრიონის/ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვას კი არ ითვალისწინებს, არამედ კანონპროექტის ტექსტში არც კი არის ნახსენები რაიმე ამგვარი.

4. დასკვნა

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის შემუშავებისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ამ საკითხებზე არსებულ საზოგადოებრივ აზრს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნეს ის საყოველთაო პრინციპები და ღირებულებები, რომელთა არარსებობის შემთხვევაში საზოგადოებას თვითგანადგურების საშიშროება დაემუქრება.

სახელმწიფომ, სანამ იგი აბორტთან დაკავშირებული ახალი კანონმდებლობის შემუშავებას დაიწყებს, უნდა გაითვალისწინოს, რომ ისეთ პრობლემატურ საკითხზე მუშაობა, როგორიცაა ფეხმძიმობის ხელოვნურად შეწყვეტა, არ არის მხოლოდ კანონმდებლების საქმე. ამ საკითხზე კონცეპტუალური მიდგომის ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღონ ეკლესიის წარმომადგენლებმა, საეკლესიო ხელისუფლებამ და, ზოგადად, საზოგადოებამ.

ფეტუსის სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით ყურადსაღებია, რომ 3 კვირის დაუბადებელ ბავშვს აქვს გულისცემა, მისი ტვინი კი 6 კვირის ასაკში იწყებს ფუნქციონირებას. ცოცხალი ორგანიზმი ჩასახვის მომენტიდან წარმოიშობა და მაშინვე ხდება გენეტიკური კოდისა და ადამიანის პიროვნული პოტენციალის მატარებელი. დაუბადებელ ბავშვს თავის უჯრედებში აქვს 46 ქრომოსომა, ეს უკანასკნელი კი მეცნიერებისათვის ადამიანის გენეტიკური კოდის განმსაზღვრელი პირობაა.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი არ უკრძალავს სახელმწიფოს თავად განსაზღვროს მომენტი, როდის იწყება ადამიანის სიცოცხლე.[46] სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს ის საკითხი, იწყება თუ არა სიცოცხლე ჩასახვის მომენტიდან და, შესაბამისად, ამ მომენტიდან უზრუნველყოს მისი დაცვა.

სიცოცხლეს ყველა ადამიანი ჩასახვის მომენტიდან იწყებს. ეს დადასტურდა მრავალი მეცნიერული გამოკვლევით. დედის უფლება – გაიკეთოს აბორტი, ემბრიონის/ფეტუსის სიცოცხლის უფლების დარღვევაა. დემოკრატიულმა სახელმწიფომ იმგვარად უნდა გადაწყვიტოს ეს პრობლემა, რომ არ დაუშვას ცოცხალი არსების სიცოცხლის უფლების დარღვევა.

[46] G. van Bueren, The International Law on the Rights of the Child, Martinus Nijhoff Publishers, 1995, 34.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის საზედამხედველო სისტემების შედარებითი ანალიზი

ნინო ხაინდრავა

1. შესავალი

უდავოა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი იჭრება ისეთ სფეროებში, რომლებიც ადრე სახელმწიფოთა საშინაო, სუვერენულ კომპეტენციას განეკუთვნებოდა. ეს მოვლენა განაპირობა ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობამ, რომლის გარეშე ძალზე რთული იქნებოდა წარმატების მიღწევა სახელმწიფოების მიერ ინდივიდუალურად. ერთ-ერთ ასეთ სფეროს განეკუთვნება ადამიანის უფლებათა დაცვა, რომელიც, ალბათ, ყველაზე აქტუალურია თანამედროვე ეტაპზე.

ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას უზრუნველყოფს სხვადასხვა ინსტიტუტი, მათ შორის სასამართლოები. ადამიანის უფლებათა დაცვას ასევე ემსახურება ადამიანის უფლებათა დაცვისათვის სპეციალურად შექმნილი ინსტიტუტები, როგორიცაა: ომბუდსმენი და ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები. მიუხედავად ამ ინსტიტუტების არსებობისა, აშკარაა, რომ მხოლოდ ეროვნულ დონეზე მოქმედი ორგანოების საქმიანობა არ არის საკმარისი ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის. სწორედ ამიტომ ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის ფუნქცია ნაწილობრივ იტვირთა საერთაშორისო დონეზე შექმნილმა ორგანოებმა.

ძირითადი გარდატეხა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის განვითარებაში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მოხდა, კერძოდ, 1945 წელს, როდესაც შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რასაც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღება მოჰყვა (1948 წელი).

გაეროს ორგანოთა უმრავლესობა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დაკავებულია ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემებით. ძირითადი პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ეკისრება გაეროს გენერალურ ასამბლეასა და ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს. ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად გენერალური ასამბლეა ქმნის დამხმარე ორგანოებსაც, რომლებიც საწესდებო (არასახელშეკრულებო) ორგანოებად არიან ცნობილი.

გაეროს საწესდებო ორგანოების საქმიანობასთან ერთად სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელშეკრულებო ორგანოებს, ანუ იმ ორგანოებს, რომლებიც შექმნილია კონკრეტულ საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე. ამ ორგანოთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომელიც შეიქმნა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის საფუძველზე.

უნივერსალურ დონეზე მოქმედ ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემასთან ერთად, ადამიანის უფლებათა დაცვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ რეგიონ-

ულ ორგანიზაციებს, მათ შორის ევროპის საბჭოს. ევროპის საბჭოს ეგიდით 1950 წლის 4 ნოემბერს ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. ევროპის კონვენციის შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

ამ ორ საერთაშორისო ორგანოს, ანუ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით შექმნილ ადამიანის უფლებათა კომიტეტსა და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით დაარსებულ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის მრავალი მსგავსებაა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ ორივე ორგანოს იურისდიქცია ვრცელდება საქართველოზე, საინტერესოა ამ ორგანოების სტრუქტურის, საქმიანობისა და უფლებამოსილების შედარებითი ანალიზი.

2. ადამიანის უფლებათა კომიტეტი

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა კომიტეტი შეიქმნა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის საფუძველზე. ეს პაქტი, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებაა, ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი განსაზღვრავს ადამიანის ძირითად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, ხოლო მეორე ადგენს ამ უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმს.[1]

პაქტს თან ერთვის ორი ფაკულტატიური ოქმი. პირველი აღიარებს კომიტეტის უფლებას „მიიღოს და განიხილოს შეტყობინება მისი იურისდიქციის ქვემდებარე პირებისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აღნიშნული მონაწილე სახელმწიფოს მიერ პაქტში მოყვანილი რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლი არიან."[2] მეორე ფაკულტატიური ოქმით იკრძალება სიკვდილით დასჯა.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი შედგება თვრამეტი დამოუკიდებელი ექსპერტისაგან. მისი წევრების არჩევის კრიტერიუმებია: მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეობა, მაღალი ზნეობრივი თვისებები და კომპეტენტურობა ადამიანის უფლებათა საკითხებში. ექსპერტები მოქმედებენ პირადად და არა როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლები.[3]

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი ადგენს, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს:

ა) სახელმწიფო მოხსენებები;

ბ) სახელმწიფოთაშორისი განაცხადები;

გ) ინდივიდუალური განაცხადები.

ა) სახელმწიფო მოხსენებები

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-40 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები „კისრულობენ ვალდებულებას წარადგინონ მოხსენებები წინამდებარე პაქტით აღიარებულ უფლებათა განხორციელებისათვის მათ მიერ დასახული ღონისძიებებისა და პროგრესის შესახებ, რომელსაც ამ უფლებათა გამოყენებისა მიაღწიეს ... ".

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიიღო „ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპები", რომლითაც განსაზღვრა, რომ მოხსენების მომზადებისას სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს კომიტეტის მიერ მიღებული ზოგადი კომენტარები. ამ პრინციპებით განისაზღვრა მოთხოვნები როგორც პირველადი, ისე პერიოდული მოხსენებებისათვის.

პირველად მოხსენებაში სახელმწიფომ ზოგადად უნდა აღწეროს:

ა) პაქტით აღიარებული უფლებების იმპლემენტაციისათვის ჩამოყალიბებული სამართლებრივი ბაზა;

ბ) საკანონმდებლო და პრაქტიკული ღონისძიებები, რომელთა საფუძველზეც უზრუნველყოფილ იქნა პაქტით აღიარებული უფლებების დაცვა;

გ) პროგრესი, რომელსაც სახელმწიფომ მიაღწია მის იურისდიქციაში მყოფი პირების მიმართ პაქტით აღიარებულ უფლებათა გამოყენებით.

გარდა ამისა, „ერთიანმა სახელმძღვანელო პრინციპებმა" განსაზღვრა, რომ თითოეულ სახელმწიფო მოხსენებას თან უნდა დაერთოს ამ მოხსენებაში გამოყენებული ნორმატიული აქტის ტექსტები.[4]

პირველადი მოხსენების გარდა, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან წარუდგინონ კომიტეტს პერიოდული მოხსენებები.[5]

„ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპების" მიხედვით, პერიოდულ მოხსენებაში ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს კომიტეტის მიერ წინა მოხსენებასთან დაკავშირებით გაკეთებულ დასკვნებზე, რეკომენდაციებსა და შენიშვნებზე. ამას გარდა, პერიოდულ მოხსენებით მიღწეული პროგრამების თაობაზე დამატებით უნდა მიეთითოს პაქტით აღიარებულ უფლებათა გამოყენებაში უკანასკნელი მოხსენების წარდგენიდან მომდევნო მოხსენებამდე.[6]

სახელმწიფო მოხსენებებთან დაკავშირებით დროთა განმავლობაში წამოიჭრა მოხსენებების წარდგენის პერიოდულობის საკითხი. პირველადი მოხსენების წარდგენასთან დაკავშირებით პაქტით პირდაპირ განისაზღვრა, რომ ასეთი მოხსენება ადამიანის უფლებათა კომიტეტს უნდა წარედგინოს შესაბამისი სახელმწიფოს მიმართ ამ პაქტის ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადაში. პერიოდულ მოხსენებასთან დაკავშირებით პაქტში მიეთითა ზოგადი ფრაზა – „ნებისმიერ შემთხვევაში, კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად". სწორედ ამიტომ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა ამ დებულების დაკონკრეტება და თავის მე-13 სესიაზე მიიღო „გადაწყვეტილება პერიოდულობის შესახებ", სადაც დაადგინა, რომ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები თავის პერიოდულ მოხსენებებს წარუდგენენ კომიტეტს 5 წელიწადში ერთხელ პირველადი მოხსენების წარდგენის დღიდან,

[1] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის 28-ე მუხლი.
[2] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის პირველი ფაკულტატიური ოქმის 1-ლი მუხლი.
[3] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის 28-ე მუხლი.
[4] Consolidated Guidelines for State Reports under the ICCPR, Article-D, CCPR/C/66/GUI/Rev.2, 26/02/2001. იხ. გაეროს ინტერნეტ-გვერდზე: [www.un.org].
[5] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი.
[6] Consolidated Guidelines for State Reports under the ICCPR, Article-D, CCPR/C/66/GUI/Rev.2, 26/02/2001. იხ. გაეროს ინტერნეტ-გვერდზე: [www.un.org].

თუმცა ეს არ გამორიცხავს კომიტეტის უფლებამოსილებას მოითხოვოს პაქტის მონაწილე სახელმწიფოსაგან მოხსენების წარდგენა ნებისმიერ სხვა დროს.[7]

იმის გამო, რომ სახელმწიფოები ხშირად აგვიანებდნენ პერიოდული მოხსენებების წარდგენას, „გადაწყვეტილებაში პერიოდულობის შესახებ" შევიდა შესწორება, რომელმაც დაადგინა, რომ „იმ შემთხვევებში, თუ ერთი წლის თავზე ან კომიტეტის მიერ დადგენილ სხვა ვადაში სახელმწიფო წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას, რომელიც მოჰყვება მისი პირველადი მოხსენებისა ან ნებისმიერი შემდგომი პერიოდული მოხსენების განხილვას და ეს დამატებითი ინფორმაცია განიხილება მომხსენებელი სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ერთობლივ შეხვედრაზე, კომიტეტი, თუ საჭიროდ მიიჩნევს, განსაზღვრავს ამ სახელმწიფოს მიერ შემდეგი პერიოდული მოხსენების წარდგენის თარიღს."[8]

განსაკუთრებით საინტერესოა სახელმწიფოთა მიერ კომიტეტისათვის წარდგენილი ინფორმაციის ობიექტურობის საკითხი. ზოგ შემთხვევაში, სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა კომიტეტისათვის წარდგენილი ინფორმაცია ზედმეტად პოზიტიურია და შეიძლება სრულად არ ასახავდეს სახელმწიფოში არსებულ საკანონმდებლო თუ პრაქტიკულ სირთულეებს პაქტით გათვალისწინებულ უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. ამიტომ კომიტეტმა აუცილებლად ჩათვალა დამატებითი და, რაც მთავარია, დამოუკიდებლად მომზადებული ინფორმაციის მიღება, რომელიც მიწოდებული იქნებოდა გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებების ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

პაქტის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილით „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ შეუძლია დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებს გაუგზავნოს მოხსენებათა ის ნაწილები, რომლებიც შეიძლება მათი კომპეტენციის სფეროს ეხებოდეს." უკვე შემდგომ ეტაპზე კომიტეტს შეუძლია მოიწვიოს ეს სპეციალიზებული დაწესებულებები მოხსენების შესაბამისი ნაწილის კონკრეტული კომენტარებისათვის. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გაეროს ისეთ სპეციალიზებულ დაწესებულებებს, როგორიცაა შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და იუნესკო. მათთან თანამშრომლობამ დადებითი წვლილი შეიტანა ადამიანის უფლებათა კომიტეტის საქმიანობაში.

გარდა ამ ძირითადი დებულებისა, პაქტში არაფერია მითითებული სხვა წყაროებზე, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მიღებულ ინფორმაციაზე. მიუხედავად ამისა, კომიტეტის წევრებმა აღიარეს კომიტეტის უფლებამოსილება, მიიღოს ინფორმაცია ასეთი წყაროებიდან. კომიტეტის აზრით, კომიტეტს არა აქვს საკითხთა შესწავლის დამოუკიდებელი მექანიზმი და რადგანაც სახელმწიფო მოხსენებები, როგორც წესი, არასრული და პოზიტიურია, ის ვერ შეიზღუდება მხოლოდ ოფიციალური ინფორმაციის მიღებით.[9] პაქტის მე-40 მუხლით გათვალისწინებულ ბოლო სტადიაზე კომიტეტი სწავლობს ამ მოხსენებებს, დამატებით ინფორმაციასთან ერთად, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და მომხსენებელ სახელმწიფოს უგზავნის თავის დასკვნასა და ზოგადი ხასიათის კომენტარებს. ზოგადი ხასიათის კომენტარები ეგზავნება ასევე გაეროს გენერალურ მდივანს.

[7] Decision on Periodicity, Doc. A/36/40, Ax. V.
[8] Amendment to the Periodicity Decision", Doc. A/37/40, Ax. IV.
[9] D. MacGoldrick, The Human Rights Committee, 1991, 57-59.

ინონ მოხსენებები წინამდებარე პაქტით აღიარებულ უფლებათა განხორციელებისათვის მათ მიერ დასახული ღონისძიებებისა და პროგრესის შესახებ, რომელსაც ამ უფლებათა გამოყენებისა მიაღწიეს ... ".

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიიღო „ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპები", რომლითაც განსაზღვრა, რომ მოხსენების მომზადებისას სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს კომიტეტის მიერ მიღებული ზოგადი კომენტარები. ამ პრინციპებით განისაზღვრა მოთხოვნები როგორც პირველადი, ისე პერიოდული მოხსენებებისათვის.

პირველად მოხსენებაში სახელმწიფომ ზოგადად უნდა აღწეროს:

ა) პაქტით აღიარებული უფლებების იმპლემენტაციისათვის ჩამოყალიბებული სამართლებრივი ბაზა;

ბ) საკანონმდებლო და პრაქტიკული ღონისძიებები, რომელთა საფუძველზეც უზრუნველყოფილ იქნა პაქტით აღიარებული უფლებების დაცვა;

გ) პროგრესი, რომელსაც სახელმწიფომ მიაღწია მის იურისდიქციაში მყოფი პირების მიმართ პაქტით აღიარებულ უფლებათა გამოყენებით.

გარდა ამისა, „ერთიანმა სახელმძღვანელო პრინციპებმა" განსაზღვრა, რომ თითოეულ სახელმწიფო მოხსენებას თან უნდა დაერთოს ამ მოხსენებაში გამოყენებული ნორმატიული აქტის ტექსტები.[4]

პირველადი მოხსენების გარდა, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულები არიან წარუდგინონ კომიტეტს პერიოდული მოხსენებები.[5]

„ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპების" მიხედვით, პერიოდულ მოხსენებაში ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს კომიტეტის მიერ წინა მოხსენებასთან დაკავშირებით გაკეთებულ დასკვნებზე, რეკომენდაციებსა და შენიშვნებზე. ამას გარდა, პერიოდულ მოხსენებით მიღწეული პროგრამების თაობაზე დამატებით უნდა მიეთითოს პაქტით აღიარებულ უფლებათა გამოყენებაში უკანასკნელი მოხსენების წარდგენიდან მომდევნო მოხსენებამდე.[6]

სახელმწიფო მოხსენებებთან დაკავშირებით დროთა განმავლობაში წამოიჭრა მოხსენებების წარდგენის პერიოდულობის საკითხი. პირველადი მოხსენების წარდგენასთან დაკავშირებით პაქტით პირდაპირ განისაზღვრა, რომ ასეთი მოხსენება ადამიანის უფლებათა კომიტეტს უნდა წარედგინოს შესაბამისი სახელმწიფოს მიმართ ამ პაქტის ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადაში. პერიოდულ მოხსენებასთან დაკავშირებით პაქტში მიეთითა ზოგადი ფრაზა – „ნებისმიერ შემთხვევაში, კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად". სწორედ ამიტომ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა ამ დებულების დაკონკრეტება და თავის მე-13 სესიაზე მიიღო „გადაწყვეტილება პერიოდულობის შესახებ", სადაც დაადგინა, რომ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები თავის პერიოდულ მოხსენებებს წარუდგენენ კომიტეტს 5 წელიწადში ერთხელ პირველადი მოხსენების წარდგენის დღიდან,

[4] Consolidated Guidelines for State Reports under the ICCPR, Article-D, CCPR/C/66/GUI/Rev.2, 26/02/2001. იხ. გაეროს ინტერნეტ-გვერდზე: [www.un.org].
[5] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი.
[6] Consolidated Guidelines for State Reports under the ICCPR, Article-D, CCPR/C/66/GUI/Rev.2, 26/02/2001. იხ. გაეროს ინტერნეტ-გვერდზე: [www.un.org].

თუმცა ეს არ გამორიცხავს კომიტეტის უფლებამოსილებას მოითხოვოს პაქტის მონაწილე სახელმწიფოსაგან მოხსენების წარდგენა ნებისმიერ სხვა დროს.[7]

იმის გამო, რომ სახელმწიფოები ხშირად აგვიანებდნენ პერიოდული მოხსენებების წარდგენას, „გადაწყვეტილებაში პერიოდულობის შესახებ" შევიდა შესწორება, რომელმაც დაადგინა, რომ „იმ შემთხვევებში, თუ ერთი წლის თავზე ან კომიტეტის მიერ დადგენილ სხვა ვადაში სახელმწიფო წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას, რომელიც მოჰყვება მისი პირველადი მოხსენებისა ან ნებისმიერი შემდგომი პერიოდული მოხსენების განხილვას და ეს დამატებითი ინფორმაცია განიხილება მომხსენებელი სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ერთობლივ შეხვედრაზე, კომიტეტი, თუ საჭიროდ მიიჩნევს, განსაზღვრავს ამ სახელმწიფოს მიერ შემდეგი პერიოდული მოხსენების წარდგენის თარიღს."[8]

განსაკუთრებით საინტერესოა სახელმწიფოთა მიერ კომიტეტისათვის წარდგენილი ინფორმაციის ობიექტურობის საკითხი. ზოგ შემთხვევაში, სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა კომიტეტისათვის წარდგენილი ინფორმაცია ზედმეტად პოზიტიურია და შეიძლება სრულად არ ასახავდეს სახელმწიფოში არსებულ საკანონმდებლო თუ პრაქტიკულ სირთულეებს პაქტით გათვალისწინებულ უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. ამიტომ კომიტეტმა აუცილებლად ჩათვალა დამატებითი და, რაც მთავარია, დამოუკიდებლად მომზადებული ინფორმაციის მიღება, რომელიც მიწოდებული იქნებოდა გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებების ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

პაქტის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილით „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ შეუძლია დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებს გაუგზავნოს მოხსენებათა ის ნაწილები, რომლებიც შეიძლება მათი კომპეტენციის სფეროს ეხებოდეს." უკვე შემდგომ ეტაპზე კომიტეტს შეუძლია მოიწვიოს ეს სპეციალიზებული დაწესებულებები მოხსენების შესაბამისი ნაწილის კონკრეტული კომენტარებისათვის. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გაეროს ისეთ სპეციალიზებულ დაწესებულებებს, როგორიცაა შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და იუნესკო. მათთან თანამშრომლობამ დადებითი წვლილი შეიტანა ადამიანის უფლებათა კომიტეტის საქმიანობაში.

გარდა ამ ძირითადი დებულებისა, პაქტში არაფერია მითითებული სხვა წყაროებზე, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მიღებულ ინფორმაციაზე. მიუხედავად ამისა, კომიტეტის წევრებმა აღიარეს კომიტეტის უფლებამოსილება, მიიღოს ინფორმაცია ასეთი წყაროებიდან. კომიტეტის აზრით, კომიტეტს არა აქვს საკითხთა შესწავლის დამოუკიდებელი მექანიზმი და რადგანაც სახელმწიფო მოხსენებები, როგორც წესი, არასრული და პოზიტიურია, ის ვერ შეიზღუდება მხოლოდ ოფიციალური ინფორმაციის მიღებით.[9] პაქტის მე-40 მუხლით გათვალისწინებულ ბოლო სტადიაზე კომიტეტი სწავლობს ამ მოხსენებებს, დამატებით ინფორმაციასთან ერთად, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და მომხსენებელ სახელმწიფოს უგზავნის თავის დასკვნასა და ზოგადი ხასიათის კომენტარებს. ზოგადი ხასიათის კომენტარები ეგზავნება ასევე გაეროს გენერალურ მდივანს.

[7] Decision on Periodicity, Doc. A/36/40, Ax. V.
[8] Amendment to the Periodicity Decision", Doc. A/37/40, Ax. IV.
[9] D. MacGoldrick, The Human Rights Committee, 1991, 57-59.

ბ) სახელმწიფოთაშორისი განაცხადები

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 41-ე მუხლი აღიარებს მონაწილე სახელმწიფოს უფლებას, გააგზავნოს კომიტეტში განაცხადი სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ ამ პაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ. ამგვარი განაცხადი ეგზავნება ჯერ პაქტის მონაწილე შესაბამის სახელმწიფოს, ხოლო სადავო საკითხების შეუთანხმებლობის შემთხვევაში — ადამიანის უფლებათა კომიტეტს.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს სახელმწიფოთაშორისი განაცხადი, თუ:

ა) ორივე სახელმწიფომ გააკეთა პაქტის 41-ე მუხლით გათვალისწინებული განცხადება;

ბ) დაცულია პაქტის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი ვადები;

გ) ამოწურულია ყველა შიდასამართლებრივი პროცედურა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად, ან იგი გაუმართლებლად ჭიანურდება ხანგრძლივი დროით.[10]

პირველი პირობის თანახმად, ადამიანის უფლებათა კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს მხოლოდ იმ სახელმწიფოს მიერ და იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ წარდგენილი განაცხადი, რომელთაც აღიარეს კომიტეტის ეს უფლებამოსილება. ეს აღიარება გამოიხატება სპეციალურ განცხადებაში, რომელიც დეპონირებულ უნდა იქნეს გაეროს გენერალურ მდივანთან.[11] ამგვარად, სახელმწიფოთაშორისი განაცხადის განხილვის პროცედურას მხოლოდ ფაკულტატიური ხასიათი აქვს.

რაც შეეხება მეორე და მესამე პირობას, ისინი გამოხატულია პაქტის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით, რომლებშიც დადგენილია: თუ წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს წინამდებარე პაქტის დებულებებს, მას შეუძლია ამის შესახებ შეატყობინოს აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოს. ამ შეტყობინების მიღების დღიდან სამი თვის განმავლობაში მიმღებმა სახელმწიფომ წერილობით უნდა წარუდგინოს ასეთი ცნობის გამგზავნ სახელმწიფოს განმარტება, სადაც ნათელი მოეფინება, თუ რა ღონისძიებები გაატარა, გაატარებს, ან ხელმისაწვდომია ამ საკითხის მოსაგვარებლად.

თუ მას შემდეგ, რაც მეორე სახელმწიფომ მიიღო პირველი შეტყობინება, საკითხი ექვსი თვის განმავლობაში დამაკმაყოფილებლად არ გადაწყდა ორივე დაინტერესებული სახელმწიფოსათვის, თითოეულ ამ სახელმწიფოს უფლება აქვს ეს საკითხი გადასცეს ადამიანის უფლებათა კომიტეტს. თუ ადამიანის უფლებათა კომიტეტისათვის ამ პაქტის 41-ე მუხლის საფუძველზე გადაცემული სახელმწიფოთაშორისი განაცხადი მონაწილე სახელმწიფოთათვის დამაკმაყოფილებლად არ გადაწყდება, კომიტეტს შეუძლია დაინტერესებულ სახელმწიფოთა წინასწარი თანხმობით, დანიშნოს სპეციალური შემთანხმებელი კომისია, რომელსაც დაეკისრება პაქტის დებულებათა დაცვის საფუძველზე წამოჭრილი საკითხების მორიგებით

[10] Rules of Procedure of the Human Rigths Committee, rule-76., CCRP/C/3/Rev. 6. 24/04/2001. იხ. გაეროს ინტერნეტ-გვერდზე: [www.un.org].
[11] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის 41-ე მუხლი.

გადაწყვეტა. დაბოლოს, თუ შემთანხმებელი კომისიის მუშაობასაც არ მოჰყვა დადებითი შედეგი, კომიტეტი უფლებამოსილია შემოიფარგლოს მოკლე მოხსენებით, რომელსაც თან დაერთვება დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წერილობით და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერი.[12]

გ) ინდივიდუალური განაცხადები

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის პირველი ფაკულტატიური ოქმით კომიტეტს მიეცა უფლებამოსილება, მიიღოს და განიხილოს განაცხადები ცალკეული პირებისაგან, რომელთაც მიაჩნიათ, რომ დაირღვა პაქტით აღიარებული მათი რომელიმე უფლება.

ინდივიდუალური განაცხადების განხილვა პირობითად სამ ეტაპს მოიცავს:

ა) განაცხადთა რეგისტრაცია;

ბ) განაცხადთა დასაშვებობის განხილვა;

გ) განაცხადთა არსებითი განხილვა.

პირებმა, რომლებიც მიმართავენ ადამიანის უფლებათა კომიტეტს ინდივიდუალური განაცხადით, უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ძირითადი პირობები, რომლებიც ჩამოყალიბდა ფაკულტატიური ოქმის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-5 მუხლებით და კომიტეტის შესახებ შესაბამისი დებულებებით:

ა) განაცხადი უნდა ეხებოდეს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებულ ერთი ან რამდენიმე უფლების დარღვევას;

ბ) განაცხადი უნდა იყოს წარდგენილი ამ უფლებათა დარღვევის მსხვერპლის ან მისი წარმომადგენლის, ანუ იმ პირის მიერ, რომელიც უფლებამოსილია იმოქმედოს მსხვერპლის სახელით;

გ) სახელმწიფო, რომლის წინააღმდეგ არის მიმართული განაცხადი, უნდა იყოს პირველი ფაკულტატიური ოქმის მონაწილე;

დ) განაცხადი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ პირს ან პირთა ჯგუფს, რომელზეც ვრცელდება იმ სახელმწიფოს იურისდიქცია, რომლის წინააღმდეგ არის იგი მიმართული;

ე) განაცხადი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იმ უფლებებს, რომლებიც დაირღვა პაქტის ძალაში შესვლის შემდეგ, ან დაირღვა მის ძალაში შესვლამდე, მაგრამ გრძელდებოდა იმ დროსაც, როდესაც სახელმწიფო გახდა ამ პაქტის მონაწილე;

ვ) აუცილებელია, რომ ამოწურული იყოს ქვეყნის შიგნით არსებული სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება. თუმცა ეს წესი არ მოქმედებს, თუ ამ ქვეყნის შიგნით არსებული სამართლებრივი საშუალებების ამოწურვა არაგონივრულად ხანგრძლივი ვადით ჭიანურდება;

ზ) კომიტეტი ვერ განიხილავს განაცხადს, თუ იგივე საკითხი ერთდროულად განიხილება საერთაშორისო გამოძიების ან მოწესრიგების სხვა პროცედურით;

თ) განაცხადი არ უნდა იყოს ანონიმური და არ უნდა წარმოადგენდეს ბსეთი განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებას;

ი) განაცხადი უნდა შეესაბამებოდეს პაქტის დებულებებს.

[12] იქვე, 42-ე მუხლი.

ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ მიღებული წესებით გათვალისწინებულია დამხმარე ორგანოების შექმნა, რომელთა ძირითადი ფუნქციაც იქნებოდა ინდივიდუალური განაცხადის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა,[13] კერძოდ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის არა უმეტეს 5 წევრისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს ინდივიდუალური განაცხადების დასაშვებობას და აკეთებს შესაბამის რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დამატებითი ოქმის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-5(2) მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება.

განაცხადის დასაშვებად გამოცხადების შემდეგ იწყება მისი არსებითი განხილვა. ფაკულტატიური ოქმის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, „განაცხადის მიმღები სახელმწიფო ექვსი თვის მანძილზე წარუდგენს კომიტეტს წერილობით განმარტებებს ან განცხადებებს, სადაც განმარტებულ იქნება ეს საკითხი და ნებისმიერი ღონისძიება, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა, რომელიც შეიძლება ამ სახელმწიფოს მიერ იყო გამოყენებული". ეს ექვსთვიანი ვადა არის დროის ერთადერთი შეზღუდვა, რომელიც ფაკულტატიური ოქმით არის გათვალისწინებული. სახელმწიფოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია უნდა გადაეგზავნოს შეტყობინების ავტორსაც, რომელსაც შეუძლია კომიტეტის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ვადაში წარადგინოს საპასუხო წერილობითი ინფორმაცია. როგორც წესი, ამ შემთხვევაში კომიტეტის მიერ დგინდება ექვსკვირიანი ვადა. გარდა ამისა, კომიტეტი, სამუშაო ჯგუფი ან სპეციალური მომხსენებელი უფლებამოსილია მოითხოვოს განაცხადის ავტორისაგან ან შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოსაგან წინასწარ განსაზღვრულ ვადებში წარადგინონ დამატებითი წერილობითი ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხთან მიმართებით[14].

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა პროცედურულ წესებში ცვლილების შეტანა, რომლის საფუძველზეც მას მიეცა უფლება ინდივიდუალური განაცხადის არსებითი განხილვის ეტაპზე შეეწყვიტა მისი განხილვა და გამოეცხადებინა იგი დაუშვებლად ახლად მიღებულ დამატებით ინფორმაციასა და განმარტებებზე დაყრდნობით[15].

განხილვის ბოლო სტადიაზე ადამიანის უფლებათა კომიტეტი აყალიბებს თავის მოსაზრებას ინდივიდუალურ განაცხადთან დაკავშირებით და აცნობებს მას როგორც მის ავტორს, ასევე მონაწილე სახელმწიფოს.[16] კომიტეტის შეხედულებანი წინასწარ შეიძლება გადაეცეს სამუშაო ჯგუფს ან სპეციალურ მომხსენებელს შესაბამისი რეკომენდაციებისათვის, რომელთა საფუძველზეც უკვე მოხდება კომიტეტის მოსაზრების საბოლოო ფორმულირება. კომიტეტის ნებისმიერი წევრი, რომელიც მონაწილეობდა ინდივიდუალური განაცხადის განხილვაში, უფლებამოსილია მოითხოვოს, რომ მისი განსხვავებული მოსაზრება თან დაერთოს კომიტეტის საბოლოო გადაწყვეტილებას.

აღსანიშნავია, რომ კომიტეტი აკისრებს თავის მიერ დანიშნულ სპეციალურ

[13] Rules of Procedure of the Human Rigths Committee, rule-89, CCRP/C/3/Rev. 6. 24/04/2001. იხ. გაეროს ინტერნეტ-გვერდზე: [www.un.org].
[14] იქვე, rule-91/4, CCRP/C/3/Rev. 6. 24/04/2001.
[15] იქვე, rule-93/4, CCRP/C/3/Rev. 6. 24/04/2001.
[16] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური ოქმის მე-5(4) მუხლი.

მომხსენებელს ვალდებულებას თვალყური ადევნოს შესაბამისი სახელმწიფოს მიერ კომიტეტის მოსაზრებების შესრულებას. ამისთვის მოქმედებს სისტემატური მოხსენებების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კომიტეტის მუდმივ ინფორმირებას იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება მისი მოსაზრებები. ეს ინფორმაცია ქვეყნდება კომიტეტის ყოველწლიურ მოხსენებაში.[17]

ასევე აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილებებს არა აქვს იურიდიულად სავალდებულო ძალა, მათ მხოლოდ მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. კომიტეტის იურიდიულად არასავალდებულო გადაწყვეტილებები და იძულების მექანიზმების არარსებობა დაზარალებულის დაცვის ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა. ხშირ შემთხვევაში, კომიტეტის მოსაზრების ოფიციალური პუბლიკაცია სანქციის ერთადერთი სახეა, რომელსაც შეიძლება დაექვემდებაროს პაქტით გარანტირებული უფლებების დამრღვევი სახელმწიფო.

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციამ არა მხოლოდ აღიარა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, არამედ შექმნა მათი დაცვის განსაკუთრებული მექანიზმიც. პირველ ეტაპზე ეს მექანიზმი სამი ორგანოსაგან შედგებოდა. ეს ორგანოები – ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი – აკონტროლებდნენ სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. 1998 წლის 1 ნოემბრიდან, ევროპის კონვენციის მე-11 ოქმის ძალაში შესვლასთან ერთად, პირველი ორი ორგანო გაერთიანდა, რის შედეგადაც შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი სასამართლო, რომელიც სტრასბურგში (საფრანგეთი) მდებარეობს.

ევროპული სასამართლოს წევრები აირჩევიან ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ იმ კანდიდატთა სიიდან, რომელიც მას წევრმა სახელმწიფოებმა წარუდგინა. ევროპულ სასამართლოში მოსამართლეები მსახურობენ პირადად და მათი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში არ უნდა იყვნენ დაკავებული მათ „დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან" შეუთავსებელი საქმიანობით.[18]

ევროპული სასამართლო მოწოდებულია უზრუნველყოს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ კონვენციით დეკლარირებული უფლებების საყოველთაო და ეფექტიანი აღიარება და დაცვა. ის ახორციელებს ამ ფუნქციას კონკრეტული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის გზით. სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს სახელმწიფოთაშორისი და ინდივიდუალური განაცხადები, ასევე გასცეს საკონსულტაციო დასკვნები კონვენციის განმარტებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე.

3.1. სახელმწიფოთაშორისი განაცხადები

ევროპის კონვენციით „ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციისა და

[17] Rules of Procedure of the Human Rigths Committee, rule-95, CCRP/C/3/Rev. 6. 24/04/2001. იხ. გაეროს ინტერნეტ-გვერდზე: [www.un.org].

[18] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის 21-ე მუხლი.

მისი ოქმების სავარაუდო დარღვევის თაობაზე."[19]

სახელმწიფოთაშორისმა განაცხადმა უნდა დააკმაყოფილოს ორი ძირითადი პირობა: ამოწურული უნდა იყოს ქვეყნის შიგნით არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები და მისი წარდგენა სასამართლოში უნდა მოხდეს ექვსთვიანი ვადის გასვლამდე, მას შემდეგ, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება.[20]

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა ზემოაღნიშნული უფლება განსხვავდება ე. წ. „დიპლომატიური დაცვისაგან", რომლის დროსაც ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფო და, შესაბამისად, მისი მოქალაქეები აუცილებლად დაზარალებულ მხარეს უნდა წარმოადგენდნენ. ევროპის კონვენციით აღიარებულ იქნა სახელმწიფოთა უფლება შეიტანონ განაცხადი კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც არღვევს კონვენციის დებულებებს. ამ შემთხვევაში რაიმე მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, თუ რომელი სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებები ირღვევა. მოსარჩელე სახელმწიფო ან მისი მოქალაქეები შეიძლება სულაც არ წარმოადგენდნენ დაზარალებულ მხარეს. მეტიც, განაცხადი შეიძლება შეტანილ იქნეს კონვენციის ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს მიერ თვით იმ მონაწილე სახელმწიფოს წინააღმდეგაც კი, რომლის მოქალაქეთა უფლებებიც ირღვევა.[21]

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოთაშორისი განაცხადის შეტანა არ საჭიროებს ერთ-ერთ მხარედ დაზარალებული სახელმწიფოს გამოსვლას, ნათელია, რომ კონვენციის 24-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მეტად ფართო უფლებამოსილება ენიჭება განსაზღვროს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს კონვენციის დებულებების სავარაუდო დარღვევად. ასე მაგალითად, მან დაადგინა, რომ მიიღებს განსახილველად მონაწილე სახელმწიფოს განაცხადს, რომელიც მიმართულია მეორე სახელმწიფოს კანონმდებლობისა თუ პრაქტიკის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა სახეზე კონვენციის დარღვევის კონკრეტული ფაქტები და დაზარალებული პირები, ანუ გარანტირებული უფლებების სავარაუდო დარღვევა საკმარისი საფუძველია განაცხადის წარსადგენად.

კონვენციის 33-ე მუხლით გათვალისწინებული განაცხადის მიღებისთანავე სასამართლოს თავმჯდომარე დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის მოპასუხე სახელმწიფოს განაცხადის შემოტანის შესახებ და გადასცემს განაცხადს სასამართლოს ერთ-ერთ პალატას განსახილველად. შემდგომში, უკვე პალატის თავმჯდომარის ინიციატივით, მოპასუხე სახელმწიფო წარადგენს წერილობით მოსაზრებებს განაცხადის დასაშვებობასთან დაკავშირებით. ამ მოსაზრებებს შეიძლება მოჰყვეს საპასუხო წერილობითი მოსაზრებანი მოსარჩელე სახელმწიფოსაგან. განაცხადის დასაშვებად გამოცხადებამდე პალატამ შეიძლება მოითხოვოს მხარეებისაგან დამატებითი წერილობითი ინფორმაციის წარდგენა.

განაცხადის დასაშვებად გამოცხადებისთანავე პალატის თავმჯდომარე მონაწილე სახელმწიფოებთან კონსულტაციების შემდეგ განსაზღვრავს შესაბამის წერილობით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ზეპირ პროცედურას და მონაწილე მხა-

[19] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის 33-ე მუხლი.

[20] იქვე, 35-ე მუხლის I-ლი პუნქტი.

[21] D. Gomien, D. Harris, L. Zwaak, Law and Practice of the European Convention on Human Rights and the European Social Charter, 1996, 39.

რეებისათვის ადგენს კონკრეტულ ვადებს წერილობითი მოსაზრებების წარსადგენად. განაცხადის განხილვის დროს პალატამ უნდა გაითვალისწინოს მომხსენებელი მოსამართლის წინასწარ გაკეთებული დასკვნა ამ განაცხადთან დაკავშირებით.[22]

3.2. ინდივიდუალური განაცხადები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით „სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისა თუ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მოვალე არიან არ შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას."[23]

ევროპის კონვენციით დადგენილია, რომ ევროპულ სასამართლოში ინდივიდუალური განაცხადის შეტანისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების დაკმაყოფილება:

ა) განაცხადის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ის უფლება, რომელიც გარანტირებულია კონვენციით ან მისი დამატებითი ოქმებით. ასე მაგალითად, კონვენცია არ ითვალისწინებს ერის თვითგამორკვევის უფლებას, ისევე როგორც ზოგადად სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს (გარდა კონვენციის 1-ლი და მე-12 ოქმით გათვალისწინებული შემთხვევებისა) და, შესაბამისად, ამ უფლებების დარღვევა არ შეიძლება გასაჩივრდეს ევროპულ სასამართლოში, ანუ სასამართლოს იურისდიქცია ეფუძნება მხოლოდ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციას;

ბ) განაცხადის ავტორი შეიძლება იყოს მხოლოდ დაზარალებული. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც განაცხადი წარდგენილია პირთა ჯგუფის მიერ, თითოეულმა უნდა დაასაბუთოს თავისი პირადი პრეტენზიები.

აქ, სახელმწიფოთაშორისი განაცხადისაგან განსხვავებით, განაცხადის

ავტორი ვერ მოითხოვს სახელმწიფოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შემოწმებას ***in abstracto***. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ ცალკე გამოყო პოტენციური[24] და არაპირდაპირი[25] დაზარალებულების კატეგორიები და მათაც მიანიჭა განსაკუთრებულ შემთხვევებში ინდივიდუალური განაცხადის წარდგენის უფლება;

გ) განაცხადის სასამართლოში გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალების ამოწურვის შემდეგ, ანუ დაზარალებულმა პირველ რიგში უნდა გამოიყენოს სახელმწიფოში მისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით სამართლებრივი დაცვის საშუალებად, საერთო სასამართ-

[22] Rules of the European Court of Human Rights, Rule 51, იხ. ევროპული სასამართლოს ინტერნეტგვერდზე: [www.echr.coe.int]

[23] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის 34-ე მუხლი.

[24] მაგალითად, ჰომოსექსუალები აღიარებულ იქნენ პოტენციურ დაზარალებულებად იმ სახელმწიფოებში, სადაც ჰომოსექსუალიზმი სისხლისსამართლებრივ დანაშაულად ითვლება.

[25] მაგალითად, დაზარალებულის ახლო ნათესავები.

მისი ოქმების სავარაუდო დარღვევის თაობაზე."[19]

სახელმწიფოთაშორისმა განაცხადმა უნდა დააკმაყოფილოს ორი ძირითადი პირობა: ამოწურული უნდა იყოს ქვეყნის შიგნით არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები და მისი წარდგენა სასამართლოში უნდა მოხდეს ექვსთვიანი ვადის გასვლამდე, მას შემდეგ, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება.[20]

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა ზემოაღნიშნული უფლება განსხვავდება ე. წ. „დიპლომატიური დაცვისაგან", რომლის დროსაც ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფო და, შესაბამისად, მისი მოქალაქეები აუცილებლად დაზარალებულ მხარეს უნდა წარმოადგენდნენ. ევროპის კონვენციით აღიარებულ იქნა სახელმწიფოთა უფლება შეიტანონ განაცხადი კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც არღვევს კონვენციის დებულებებს. ამ შემთხვევაში რაიმე მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, თუ რომელი სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებები ირღვევა. მოსარჩელე სახელმწიფო ან მისი მოქალაქეები შეიძლება სულაც არ წარმოადგენდნენ დაზარალებულ მხარეს. მეტიც, განაცხადი შეიძლება შეტანილ იქნეს კონვენციის ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს მიერ თვით იმ მონაწილე სახელმწიფოს წინააღმდეგაც კი, რომლის მოქალაქეთა უფლებებიც ირღვევა.[21]

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოთაშორისი განაცხადის შეტანა არ საჭიროებს ერთ-ერთ მხარედ დაზარალებული სახელმწიფოს გამოსვლას, ნათელია, რომ კონვენციის 24-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მეტად ფართო უფლებამოსილება ენიჭება განსაზღვროს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს კონვენციის დებულებების სავარაუდო დარღვევად. ასე მაგალითად, მან დაადგინა, რომ მიიღებს განსახილველად მონაწილე სახელმწიფოს განაცხადს, რომელიც მიმართულია მეორე სახელმწიფოს კანონმდებლობისა თუ პრაქტიკის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა სახეზე კონვენციის დარღვევის კონკრეტული ფაქტები და დაზარალებული პირები, ანუ გარანტირებული უფლებების სავარაუდო დარღვევა საკმარისი საფუძველია განაცხადის წარსადგენად.

კონვენციის 33-ე მუხლით გათვალისწინებული განაცხადის მიღებისთანავე სასამართლოს თავმჯდომარე დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის მოპასუხე სახელმწიფოს განაცხადის შემოტანის შესახებ და გადასცემს განაცხადს სასამართლოს ერთ-ერთ პალატას განსახილველად. შემდგომში, უკვე პალატის თავმჯდომარის ინიციატივით, მოპასუხე სახელმწიფო წარადგენს წერილობით მოსაზრებებს განაცხადის დასაშვებობასთან დაკავშირებით. ამ მოსაზრებებს შეიძლება მოჰყვეს საპასუხო წერილობითი მოსაზრებანი მოსარჩელე სახელმწიფოსაგან. განაცხადის დასაშვებად გამოცხადებამდე პალატამ შეიძლება მოითხოვოს მხარეებისაგან დამატებითი წერილობითი ინფორმაციის წარდგენა.

განაცხადის დასაშვებად გამოცხადებისთანავე პალატის თავმჯდომარე მონაწილე სახელმწიფოებთან კონსულტაციების შემდეგ განსაზღვრავს შესაბამის წერილობით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ზეპირ პროცედურას და მონაწილე მხა-

[19] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის 33-ე მუხლი.

[20] იქვე, 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[21] D. Gomien, D. Harris, L. Zwaak, Law and Practice of the European Convention on Human Rights and the European Social Charter, 1996, 39.

რეებისათვის ადგენს კონკრეტულ ვადებს წერილობითი მოსაზრებების წარსადგენად. განაცხადის განხილვის დროს პალატამ უნდა გაითვალისწინოს მომხსენებელი მოსამართლის წინასწარ გაკეთებული დასკვნა ამ განაცხადთან დაკავშირებით.[22]

3.2. ინდივიდუალური განაცხადები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით „სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისა თუ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მოვალე არიან არ შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას."[23]

ევროპის კონვენციით დადგენილია, რომ ევროპულ სასამართლოში ინდივიდუალური განაცხადის შეტანისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების დაკმაყოფილება:

ა) განაცხადის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ის უფლება, რომელიც გარანტირებულია კონვენციით ან მისი დამატებითი ოქმებით. ასე მაგალითად, კონვენცია არ ითვალისწინებს ერის თვითგამორკვევის უფლებას, ისევე როგორც ზოგადად სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს (გარდა კონვენციის 1-ლი და მე-12 ოქმით გათვალისწინებული შემთხვევებისა) და, შესაბამისად, ამ უფლებების დარღვევა არ შეიძლება გასაჩივრდეს ევროპულ სასამართლოში, ანუ სასამართლოს იურისდიქცია ეფუძნება მხოლოდ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციას;

ბ) განაცხადის ავტორი შეიძლება იყოს მხოლოდ დაზარალებული. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც განაცხადი წარდგენილია პირთა ჯგუფის მიერ, თითოეულმა უნდა დაასაბუთოს თავისი პირადი პრეტენზიები.

აქ, სახელმწიფოთაშორისი განაცხადისაგან განსხვავებით, განაცხადის

ავტორი ვერ მოითხოვს სახელმწიფოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შემოწმებას ***in abstracto***. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ ცალკე გამოყო პოტენციური[24] და არაპირდაპირი[25] დაზარალებულების კატეგორიები და მათაც მიანიჭა განსაკუთრებულ შემთხვევებში ინდივიდუალური განაცხადის წარდგენის უფლება;

გ) განაცხადის სასამართლოში გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალების ამოწურვის შემდეგ, ანუ დაზარალებულმა პირველ რიგში უნდა გამოიყენოს სახელმწიფოში მისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით სამართლებრივი დაცვის საშუალებად, საერთო სასამართლებთან ერთად, აღიარებულია საკონსტიტუციო სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა აუცილებელია, თუ ადამიანის უფლებათა დარღვევა გამოწვეულია საქართველოს ნორმატიული აქტის შეუსაბამობით საქართველოს კონსტიტუციასთან.

იმაზე მსჯელობისას, ამოიწურა თუ არა ქვეყნის შიგნით არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, სასამართლო იხილავს შესაბამისი საქმის არსს, ასევე შიდა კანონმდებლობით ხელმისაწვდომი საშუალებების ეფექტიანობას. ამდენად, დაზარალებული უფლებამოსილია მიმართოს მისთვის ხელმისაწვდომ სასამართლოებს და ვალდებული არ არის ეძიოს სამართალი ცალკეულ სოციალურ სამსახურებში ან მოითხოვოს სასჯელის გაუქმება აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. ამ ღონისძიებებს ევროპული სასამართლო განიხილავს როგორც „საგანგებო" და არა როგორც „ეფექტიან" საშუალებებს.

ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამოწურვის წესი დაფუძნებულია სუბსიდიურობის პრინციპზე, რომლის თანახმად, სახელმწიფოს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოასწოროს ადამიანის უფლებათა შესაძლო დარღვევა, სანამ იგი დაექვემდებარება საერთაშორისო ზედამხედველობის პროცედურას;[26]

დ) საჩივრის შეტანა შესაძლებელია ექვსთვიანი ვადის ამოწურვამდე მას შემდეგ, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით მიღებულ იქნა უმაღლესი სასამართლო ინსტანციის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება. სხვა გადაწყვეტილებათა თარიღებს მნიშვნელობა არა აქვს.

თარიღი, რომლიდანაც იწყება ექვსთვიანი ვადის ათვლა, არის არა მხოლოდ უმაღლესი სასამართლო ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიღების თარიღი, არამედ ის თარიღიც, როდესაც განმცხადებელმა შეიტყო ამ გადაწყვეტილების შესახებ და ამდენად, მიეცა შესაძლებლობა განაცხადი შეეტანა ევროპულ სასამართლოში.

ინდივიდუალური განაცხადის შეტანის უფლებაზე დაწესებული ექვსთვიანი ვადის მოთხოვნის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება კონკრეტულ და განსაზღვრულ მოვლენებს, ხოლო, თუ შეუძლებელია სახელმწიფო ხელისუფლების გადაწყვეტილებათა და ქმედებათა გასაჩივრება, ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ძალაში შედის შესაბამისი საბოლოო გადაწყვეტილება.[27] თუ განაცხადი ეხება სამართლებრივი დებულების მოქმედებას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დროში უფლებების შეუზღუდავი დარღვევა, არ არსებობს საწყისი ვადა, რომლიდანაც ექვსთვიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს.[28]

ე) განაცხადის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ სახელმწიფოს მიმართ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არა აქვს უფლება განიხილოს ის დარღვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამ კონვენციის შესაბამისი სახელმ-

[22] Rules of the European Court of Human Rights, Rule 51, იხ. ევროპული სასამართლოს ინტერნეტგვერდზე: [www.echr.coe.int]

[23] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის 34-ე მუხლი.

[24] მაგალითად, ჰომოსექსუალები აღიარებულ იქნენ პოტენციურ დაზარალებულებად იმ სახელმწიფოებში, სადაც ჰომოსექსუალიზმი სისხლისსამართლებრივ დანაშაულად ითვლება.

[25] მაგალითად, დაზარალებულის ახლო ნათესავები.

[26] D. Gomien, D. Harris, L. Zwaak, Law and Practice of the European Convention on Human Rights and the European Social Charter, 1996, 55.

[27] No. 8206/78, Dec. 10.7.81, D. R. 25, 147 (151).

[28] No. 8317/78, Dec. 15/5/80, D. R. 20, 44 (76).

წიფოსათვის ძალაში შესვლამდე. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ იგი უფლებამოსილია განიხილოს ის დარღვევაც, რომელსაც ადგილი ჰქონდა კონვენციის ძალაში შესვლამდე, მაგრამ გრძელდებოდა იმ დროსაც, როდესაც სახელმწიფომ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება (ე.წ. „განგრძობადი" დარღვევა).

გარდა ამ ძირითადი კრიტერიუმებისა, ინდივიდუალური განაცხადის დასაშვებად გამოცხადებისათვის დადგენილია დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც განისაზღვრა ევროპის კონვენციით. ამ მოთხოვნების თანახმად, ინდივიდუალური განაცხადი:

ა) არ უნდა იყოს ანონიმური;

ბ) არსებითად არ უნდა ეხებოდეს საკითხს, რომელიც უკვე განიხილა სასამართლომ ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიებისა თუ მოგვარების სხვა პროცედურას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი არ შეიცავს ახალ ინფორმაციას.

ეს პირობა ასახავს პრინციპს, რომლის მიხედვითაც ერთი და იმავე საკითხის განხილვა არ უნდა მოხდეს ორჯერ. ამ შემთხვევაში „არსებითი მსგავსების" ორი პირობაა გათვალისწინებული: პირველი ეხება სასამართლოს მიერ უკვე განხილულ განაცხადს, ხოლო მეორე — სხვა საერთაშორისო ორგანოებისათვის გადაცემულ საქმეს;

გ) სასამართლოს შეუძლია დაუშვებლად გამოაცხადოს ინდივიდუალური განაცხადი, თუ იგი „შეუთავსებელია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად დაუსაბუთებელია ან სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებაა." შეუთავსებლობის კრიტერიუმი ძირითადად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მიიჩნევა, რომ რომელიმე განაცხადის თემა არ შედის სასამართლოს კომპეტენციაში. აშკარად დაუსაბუთებლობის კრიტერიუმი ათავისუფლებს სასამართლოს იმ განაცხადების განხილვის ვალდებულებისაგან, რომლებიც წინასწარი განხილვისას არ ცხადყოფენ, რომ შესაძლებელია სახეზე იყოს კონვენციით აღიარებული უფლების დარღვევა.

რაც შეეხება 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირობას – „სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებას", იგი ძირითადად ამოქმედდება მაშინ, როდესაც განმცხადებელი უპასუხოდ ტოვებს თავისი განაცხადის განხილვასთან დაკავშირებულ სასამართლოს შეტყობინებებს, ან როდესაც განმცხადებელი აკეთებს შეურაცხმყოფელ განცხადებებს მოპასუხე სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიმართ.

მას შემდეგ, რაც სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს განაცხადს, ამოქმედდება მორიგების პროცედურა. ევროპის კონვენციით, განაცხადის დასაშვებად გამოცხადების შემდეგ სასამართლო შესთავაზებს შესაბამის მხარეებს თავის სამსახურს საქმის მორიგებით დასრულების უზრუნველსაყოფად. ამგვარი პროცედურა უნდა წარიმართოს კონფიდენციალურად.

ამ შემთხვევაში სასამართლოს ორი ფუნქცია აქვს: პირველი — შუამავლობა მხარეებს შორის და მეორე — მორიგება ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე. სასამართლოს, როგორც ადამიანის უფლებათა მიუკერძოებელი დამცველის, ეს ფუნქცია ძალზე მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი

დარღვევის შედეგები ეხება არა მხოლოდ განმცხადებლის ინტერესებს და როდესაც ამ შედეგებმა შეიძლება მოითხოვოს სახელმწიფოსაგან ზოგადი ღონისძიებების გატარება, რათა გამოირიცხოს იმავე უფლების დარღვევა მომავალში. სწორედ ამიტომ ხშირად მხარეებს შორის საქმის მორიგებით დასრულება ხერხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოპასუხე სახელმწიფო ატარებს ადმინისტრაციულ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში საკანონმდებლო ღონისძიებებსაც კი, რათა მომავალში თავიდან აიცილოს კონვენციის შესაძლო დარღვევები.[29]

საქმის მორიგების დასრულების შემთხვევაში სასამართლო იღებს საქმეს თავისი სიიდან და შემოიფარგლება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვით.[30]

საქმის არსებითი განხილვის მეორე პროცედურა განსაზღვრულია კონვენციის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით სასამართლო აგრძელებს მიღებული განაცხადის განხილვას დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით. მას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი საკითხის გამოძიება და ამ შემთხვევაში სახელმწიფოები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ მას.

ინდივიდუალური და სახელმწიფოთაშორისი განაცხადების არსებითი განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია ძირითადად ევროპული სასამართლოს პალატებს ეკისრებათ. თუმცა „იმ შემთხვევაში, როდესაც პალატის განხილვაში მყოფი საქმე წამოჭრის სერიოზულ საკითხებს, რომლებიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებას, ან როდესაც პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეუთავსებელი შედეგი, პალატას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გადაწყვეტილების გამოტანამდე გადასცეს იურისდიქცია დიდ პალატას, თუკი საქმის არც ერთი მხარე არ იქნება ამის წინააღმდეგი."[31] გარდა ამისა, პალატის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი თვის ვადაში საქმის ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის გადაცემა დიდი პალატისათვის, თუმცა დიდი პალატა უფლებამოსილია მიიღოს განსახილველად მხოლოდ ის საქმე, რომელიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებულ სერიოზულ საკითხებს.

სამართალწარმოების პროცესში უზრუნველყოფილია მესამე დაინტერესებული მხარის მონაწილეობა. კერძოდ, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომლის ერთ-ერთი მოქალაქე არის განმცხადებელი, შეუძლია წარადგინოს წერილობითი კომენტარები და მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენაში. გარდა ამისა, პალატის თავმჯდომარის ნებართვით ნებისმიერ სხვა მაღალ ხელშემკვრელ სახელმწიფოსაც ან პირს, რომელიც არ არის სამართალწარმოების ერთ-ერთი მხარე, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში და წარმოადგინოს წერილობითი კომენტარები, თუ ეს მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარეობს.[32]

---

[29] D. Gomien, D. Harris, L. Zwaak, Law and Practice of the European Convention on Human Rights and the European Social Charter, 1996, 67-69.

[30] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის 39-ე მუხლი.

[31] იქვე, 30-ე მუხლი.

[32] იქვე, 36-ე მუხლი.

პალატების გადაწყვეტილებები საბოლოოა, თუ მხარეები განაცხადებენ, რომ ისინი არ მოითხოვენ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემას, ან თუ მხარეებმა არ გამოიყენეს დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის უფლება გადაწყვეტილების მიღებიდან სამი თვის ვადაში, ან თუ დიდმა პალატამ უარი თქვა საქმის მიღებაზე. რაც შეეხება დიდ პალატას, მისი ყველა გადაწყვეტილება საბოლოოა.

საგულისხმოა, რომ ევროპული სასამართლო არ წარმოადგენს უმაღლეს ინსტანციას კონვენციის წევრი სახელმწიფოების სასამართლო სისტემებთან მიმართებით. ამიტომ მას არ შეუძლია გააუქმოს შესაბამისი სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მის კომპეტენციაში არ შედის გადაწყვეტილებათა მიღება *in abstracto* იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მონაწილე სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივი სამართალი კონვენციის ცალკეულ დებულებას.[33] სასამართლოს ფუნქციაა მხოლოდ კონკრეტული საჩივრების განხილვა კონვენციის დარღვევის ფაქტების გამოვლენის მიზნით.

ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იურიდიულად სავალდებულოა მხოლოდ კონკრეტულ საქმეში მონაწილე მხარეებისათვის.[34] თუმცა, არც თუ ისე იშვიათად, სასამართლო გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა სცდება ცალკეული სახელმწიფოების ეროვნულ საზღვრებს და გარკვეულ ზეგავლენას ახდენს კონვენციის სხვა წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მათი წევრობის დროებითი შეჩერება ან, საბოლოო ჯამში, მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებით, შესაბამისი სახელმწიფოს გარიცხვა ორგანიზაციიდან. ხშირად სახელმწიფო იძულებულია მის წინააღმდეგ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად ცვლილებები შეიტანოს თავის კანონმდებლობაში და/ან სასამართლო პრაქტიკაში, რათა არ განმეორდეს მსგავსი დარღვევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრთა კომიტეტს აკისრია ვალდებულება გააკონტროლოს სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულება და მის მიერ განხორციელებული კონტროლი ვრცელდება არა მხოლოდ ფულადი კომპენსაციის დროულ გადახდაზე, არამედ სასამართლო განხილვის დროს ეროვნულ კანონმდებლობაში თუ სასამართლო პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებაზეც.

3.3. საკონსულტაციო დასკვნები

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით, „მინისტრთა კომიტეტის თხოვნით, სასამართლოს შეუძლია წარმოადგინოს საკონსულტაციო დასკვნა სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებას . . .“[35]

საკონსულტაციო დასკვნებს ამზადებს დიდი პალატა. მას არა აქვს უფლება განიხილოს ის საკითხები, რომლებიც ეხება კონვენციის პირველი ნაწილითა და დამატებითი ოქმებით აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსის ან

[33] იხ. საქმე: *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ*, 1979 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება.
[34] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[35] იქვე, 47-ე მუხლი.

ფარგლების განმარტებას, აგრეთვე ის საკითხები, რომლებიც კონვენციის ძალით განსაკუთრებული მიმართვის საფუძველზე შეიძლება სასამართლოს ან მინისტრთა კომიტეტის კომპეტენციას დაექვემდებაროს. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში თვით სასამართლო განსაზღვრავს, აქვს თუ არა მას უფლება შესაბამის საკითხთან მიმართებით წარადგინოს თავისი საკონსულტაციო დასკვნები.

4. საზედამხედველო სისტემების შედარებითი ანალიზი

წინა ორ თავში განხილულ იქნა ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შექმნის წესი, სტრუქტურა და უფლებამოსილება. ამ ორი საერთაშორისო ორგანოს ზოგადი დახასიათების შემდეგ აუცილებელია მათი შედარება, რათა დადგინდეს მათ შორის მსგავსებანი და განსხვავებანი.

ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შექმნის წესთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის მსგავსება, რომ როგორც ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ისე ევროპული სასამართლო შექმნილია კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს და ადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მაკონტროლებელ ორგანოთა უფლებამოსილებას.

ხსენებულ საზედამხედველო ორგანოებს შორის აშკარაა განსხვავება მათი შემადგენლობის მიხედვით, თუმცა იგი უფრო ტექნიკური ხასიათისაა, ვიდრე არსებითი. თუ ევროპის სასამართლოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მონაწილეთა რაოდენობით, ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრების რაოდენობა ფიქსირებულია და არ არის დამოკიდებული პაქტის მონაწილე სახელმწიფოების რაოდენობის ზრდაზე. თუმცა ეს გასაგებიც არის, რადგან პაქტი მიღებულია უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით, რის გამოც გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს პაქტის რატიფიცირება. ყველა წევრ სახელმწიფოს რომ შეეძლოს თავისი კანდიდატის წარდგენა კომიტეტის წევრად, ადამიანის უფლებათა კომიტეტი უზარმაზარ ორგანოდ ჩამოყალიბდებოდა, რომელსაც ძალზე გაუჭირდებოდა სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება.

ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შედარება განსაკუთრებით საინტერესოა მათი იურისდიქციის საკითხთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია ადგენს ევროპული სასამართლოს ავტომატურ იურისდიქციას იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებმაც მოახდინეს ევროპის კონვენციის რატიფიცირება. სხვა სიტყვებით, სახელმწიფო, რომელიც მოახდენს ევროპის კონვენციის რატიფიცირებას, ავტომატურად აღიარებს ევროპული სასამართლოს იურისდიქციას მიიღოს და განიხილოს განაცხადები ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ევროპული სასამართლოს იურისდიქციის ავტომატური აღიარება ეხება როგორც სახელმწიფოთაშორის, ისე ინდივიდუალურ განაცხადებს.[36]

[36] იქვე, 33-ე და 34-ე მუხლები.

ადამიანის უფლებათა კომიტეტის კომპეტენცია განსხვავდება ევროპული სასამართლოს კომპეტენციისაგან იმით, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით სახელმწიფოთაშორისი და ინდივიდუალური განაცხადების განხილვის პროცედურა მხოლოდ ფაკულტატიური ხასიათისაა. სახელმწიფოთაშორის განაცხადებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ პაქტი ადგენს, რომ სახელმწიფომ უნდა გააკეთოს სპეციალური განცხადება პაქტის 41-ე მუხლის მიმართ, რომლითაც აღიარებს კომიტეტის ასეთ იურისდიქციას. თუ სახელმწიფომ არ აღიარა კომიტეტის იურისდიქცია, იგი არ იქნება უფლებამოსილი, მიიღოს და განიხილოს ასეთი სახელმწიფოთაშორისი განაცხადი. ინდივიდუალურ განაცხადებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო, პაქტთან ერთად, უნდა გახდეს პაქტის ფაკულტატიური ოქმის მონაწილე, რომელიც ადგენს ადამიანის უფლებათა კომიტეტისათვის პირის მიერ მიმართვის უფლებას. ცხადია, თუ სახელმწიფო არ გახდა პაქტის დამატებითი ოქმის მონაწილე, ადამიანის უფლებათა კომიტეტი არ იქნება უფლებამოსილი განიხილოს ინდივიდუალური განაცხადები ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ასევე აშკარაა განსხვავება ადამიანის უფლებათა კომიტეტსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის ზედამხედველობის ფორმასთან დაკავშირებით. განსხვავებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსაგან, ადამიანის უფლებათა კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს პირველადი და პერიოდული მოხსენებები იმ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომლებიც გაატარა სახელმწიფომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის განსახორციელებლად.

ასევე არსებობს განსხვავება ადამიანის უფლებათა კომიტეტსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის საკონსულტაციო იურისდიქციასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა კომიტეტისაგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უფლებამოსილია გასცეს საკონსულტაციო დასკვნები სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებას.

მიმართვის პირობებთან დაკავშირებით ერთადერთი არსებითი განსხვავება ადამიანის უფლებათა კომიტეტსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის არის ექვსთვიანი ვადა, რომელიც პირდაპირ დადგენილია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში. ევროპულ სასამართლოში ინდივიდუალური განაცხადის შეტანა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არ არის გასული ექვსი თვე მას შემდეგ, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით მიღებულია უმაღლესი სასამართლო ინსტანციის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური ოქმი დროის ამგვარ შეზღუდვას არ ითვალისწინებს.

ასევე არსებობს განსხვავება ამ ორ ორგანოს შორის სამართალწარმოების ფორმასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოება ხორციელდება როგორც წერილობით, ისე ზეპირად. ადამიანის უფლებათა კომიტეტში, ისევე როგორც გაეროს ეგიდით მიღებულ ადამიანის უფლებათა სხვა მსგავს ორგანოებში, ინდივიდუალური განაცხადი განიხილება მხოლოდ წერილობითი ფორმით.

სახელმწიფოთაშორის განაცხადებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ თუ ადამიანის უფლებათა კომიტეტში სახელმწიფოთაშორისი განაცხადის განხილვა

ფარგლების განმარტებას, აგრეთვე ის საკითხები, რომლებიც კონვენციის ძალით განსაკუთრებული მიმართვის საფუძველზე შეიძლება სასამართლოს ან მინისტრთა კომიტეტის კომპეტენციას დაექვემდებაროს. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში თვით სასამართლო განსაზღვრავს, აქვს თუ არა მას უფლება შესაბამის საკითხთან მიმართებით წარადგინოს თავისი საკონსულტაციო დასკვნები.

4. საზედამხედველო სისტემების შედარებითი ანალიზი

წინა ორ თავში განხილულ იქნა ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შექმნის წესი, სტრუქტურა და უფლებამოსილება. ამ ორი საერთაშორისო ორგანოს ზოგადი დახასიათების შემდეგ აუცილებელია მათი შედარება, რათა დადგინდეს მათ შორის მსგავსებანი და განსხვავებანი.

ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შექმნის წესთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის მსგავსება, რომ როგორც ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ისე ევროპული სასამართლო შექმნილია კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს და ადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მაკონტროლებელ ორგანოთა უფლებამოსილებას.

ხსენებულ საზედამხედველო ორგანოებს შორის აშკარაა განსხვავება მათი შემადგენლობის მიხედვით, თუმცა იგი უფრო ტექნიკური ხასიათისაა, ვიდრე არსებითი. თუ ევროპის სასამართლოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მონაწილეთა რაოდენობით, ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრების რაოდენობა ფიქსირებულია და არ არის დამოკიდებული პაქტის მონაწილე სახელმწიფოების რაოდენობის ზრდაზე. თუმცა ეს განსაგებიც არის, რადგან პაქტი მიღებულია უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით, რის გამოც გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს პაქტის რატიფიცირება. ყველა წევრ სახელმწიფოს რომ შეეძლოს თავისი კანდიდატის წარდგენა კომიტეტის წევრად, ადამიანის უფლებათა კომიტეტი უზარმაზარ ორგანოდ ჩამოყალიბდებოდა, რომელსაც ძალზე გაუჭირდებოდა სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება.

ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შედარება განსაკუთრებით საინტერესოა მათი იურისდიქციის საკითხთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია ადგენს ევროპული სასამართლოს ავტომატურ იურისდიქციას იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებმაც მოახდინეს ევროპის კონვენციის რატიფიცირება. სხვა სიტყვებით, სახელმწიფო, რომელიც მოახდენს ევროპის კონვენციის რატიფიცირებას, ავტომატურად აღიარებს ევროპული სასამართლოს იურისდიქციას მიიღოს და განიხილოს განაცხადები ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ევროპული სასამართლოს იურისდიქციის ავტომატური აღიარება ეხება როგორც სახელმწიფოთაშორის, ისე ინდივიდუალურ განაცხადებს.[36]

[36] იქვე, 33-ე და 34-ე მუხლები.

ადამიანის უფლებათა კომიტეტის კომპეტენცია განსხვავდება ევროპული სასამართლოს კომპეტენციისაგან იმით, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით სახელმწიფოთაშორისი და ინდივიდუალური განაცხადების განხილვის პროცედურა მხოლოდ ფაკულტატიური ხასიათისაა. სახელმწიფოთაშორის განაცხადებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ პაქტი ადგენს, რომ სახელმწიფომ უნდა გააკეთოს სპეციალური განცხადება პაქტის 41-ე მუხლის მიმართ, რომლითაც აღიარებს კომიტეტის ასეთ იურისდიქციას. თუ სახელმწიფომ არ აღიარა კომიტეტის იურისდიქცია, იგი არ იქნება უფლებამოსილი, მიიღოს და განიხილოს ასეთი სახელმწიფოთაშორისი განაცხადი. ინდივიდუალურ განაცხადებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო, პაქტთან ერთად, უნდა გახდეს პაქტის ფაკულტატიური ოქმის მონაწილე, რომელიც ადგენს ადამიანის უფლებათა კომიტეტისათვის პირის მიერ მიმართვის უფლებას. ცხადია, თუ სახელმწიფო არ გახდა პაქტის დამატებითი ოქმის მონაწილე, ადამიანის უფლებათა კომიტეტი არ იქნება უფლებამოსილი განიხილოს ინდივიდუალური განაცხადები ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ასევე აშკარაა განსხვავება ადამიანის უფლებათა კომიტეტსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის ზედამხედველობის ფორმასთან დაკავშირებით. განსხვავებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსაგან, ადამიანის უფლებათა კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს პირველადი და პერიოდული მოხსენებები იმ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომლებიც გაატარა სახელმწიფომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის განსახორციელებლად.

ასევე არსებობს განსხვავება ადამიანის უფლებათა კომიტეტსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის საკონსულტაციო იურისდიქციასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა კომიტეტისაგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უფლებამოსილია გასცეს საკონსულტაციო დასკვნები სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებას.

მიმართვის პირობებთან დაკავშირებით ერთადერთი არსებითი განსხვავება ადამიანის უფლებათა კომიტეტსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის არის ექვსთვიანი ვადა, რომელიც პირდაპირ დადგენილია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში. ევროპულ სასამართლოში ინდივიდუალური განაცხადის შეტანა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არ არის გასული ექვსი თვე მას შემდეგ, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით მიღებულია უმაღლესი სასამართლო ინსტანციის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური ოქმი დროის ამგვარ შეზღუდვას არ ითვალისწინებს.

ასევე არსებობს განსხვავება ამ ორ ორგანოს შორის სამართალწარმოების ფორმასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოება ხორციელდება როგორც წერილობით, ისე ზეპირად. ადამიანის უფლებათა კომიტეტში, ისევე როგორც გაეროს ეგიდით მიღებულ ადამიანის უფლებათა სხვა მსგავს ორგანოებში, ინდივიდუალური განაცხადი განიხილება მხოლოდ წერილობითი ფორმით.

სახელმწიფოთაშორის განაცხადებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ თუ ადამიანის უფლებათა კომიტეტში სახელმწიფოთაშორისი განაცხადის განხილვა

მონაწილე სახელმწიფოთათვის არადამაკმაყოფილებლად გადაწყდა და სპეციალური შემთანხმებელი კომისიის მუშაობასაც არ მოჰყვა სასურველი შედეგი, კომიტეტი უფლებამოსილია შემოიფარგლოს მოკლე მოხსენებით, რომელსაც თან ერთვის დაინტერესებულ სახელმწიფოთა წერილობითი წარდგინებანი და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერი. ამ თვალსაზრისით ევროპული სასამართლოს საქმიანობა გაცილებით ეფექტიანია, რადგან იგი იღებს შესაბამისი სახელმწიფოსათვის იურიდიულად სავალდებულო გადაწყვეტილებას.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორ ორგანოს შორის მდგომარეობს მათ გადაწყვეტილებათა იურიდიული ბუნებაში. ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება იურიდიულად სავალდებულოა, რაც განაპირობებს ზოგადად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეფექტიანობას.

5. დასკვნა

ადამიანის უფლებათა სფეროში სახელმწიფოთა ვალდებულებების შესრულებაზე საერთაშორისო კონტროლის სისტემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა ამ სფეროს საერთაშორისო რეგულირების პროცესში. საზედამხედველო ორგანოთა როლი და მნიშვნელობა ამ მიმართებით მუდმივად იზრდება. სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ამ ორგანოთა ფუნქციებსა და ვალდებულებებს გაეროსა და ევროპის საბჭოს საქმიანობაში.

საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გავლენა ადამიანის უფლებათა საკითხების რეგულირებასთან დაკავშირებით სულ უფრო იზრდება. მრავალი საკითხი, რომელიც აქამდე სახელმწიფოთა შიდა კომპეტენციას განეკუთვნებოდა, დღეს უკვე საერთაშორისო რეგულირების საგანია. საერთაშორისო სამართლის როლის გაზრდა ასევე გამოიხატება იმ მექანიზმების განმტკიცებით, რომლის მეშვეობით ხორციელდება ზედამხედველობა ამ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე.

ორი საერთაშორისო ორგანოს საქმიანობის შედარებიდან ნათელია, რომ მათ შორის მრავალი მსგავსებაა როგორც იურისდიქციის, ისე ზედამხედველობის ფორმების თვალსაზრისით. ასეთი მსგავსების მიუხედავად აშკარაა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით შექმნილ სისტემას მრავალი უპირატესობა აქვს, რაც გამოხატება სასამართლოს ავტომატური იურისდიქციით სახელმწიფოთაშორისი და ინდივიდუალური განაცხადების მიმართ, საქმეთა განხილვის პროცედურებით და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა იურიდიულად სავალდებულო ძალით.

საერთაშორისო დონეზე მოქმედი ადამიანის უფლებათა დამცველი ინსტიტუტების მიუხედავად, მხედველობაშია მისაღები მათი სუბსიდიური როლი ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების მიმართ. სახელმწიფოებმა მაქსიმალურად ეფექტიანი ნაბიჯები უნდა გადადგან იმისათვის, რათა უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ დონეზე. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში უნდა იყოს საჭირო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების გამოყენება. ეჭვს გარეშეა, რომ რაც უფრო ეფექტიანად არის დაცული ადამიანის უფლებები ეროვნულ დონეზე, მით უფრო ნაკლებია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების გამოყენების საჭიროება.

ავტორთა შესახებ

ლეძსო ასათაშვილი – საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების მაგისტრი (სორბონის უნივერსიტეტი, პარიზი); ამჟამად მექსიკის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის აღმასრულებელი სამდივნოს არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი.

ზურაგ გურდული – საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლობის იურიდიული მრჩეველი; თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ლექტორი.

გაგა გაგრიჩიძე – ევროპის სამართლის მაგისტრი (საარბრიუკენი, გერმანია), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კავკასიის ბიუროს კონსულტანტი სამართლებრივ საკითხებში.

ირაკლი გივიაშვილი – სამართლის მაგისტრი (ჰაიდელბერგი, გერმანია); საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის ევროპის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსი.

ევა გოცირიძე – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (თსუ), საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის დირექტორი.

ლევან იზორია – სამართლის დოქტორი (გიოტინგენი, გერმანია), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის დოცენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

კონსტანტინე კორკელია – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (თსუ), საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (წარჩინებით) (ლეიდენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოცენტი.

კონსტანტინე კუბლაშვილი – სამართლის დოქტორი (ჰანოვერი, გერმანია).

გოჩა ლორთქიფანიძე – გაეროსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის უფროსი მრჩეველი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

გივი მიქანაძე – კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის თავმჯდომარე.

ალექსანდრე ორახელაშვილი – საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (ლეიდენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები); საერთაშორისო სამართლის დოქტორანტი, კემბრიჯის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი.

მერაგ ტურავა – სამართლის დოქტორი (ბერლინი, გერმანია); საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე.

ლალი ფაფიაშვილი – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (თსუ), საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი თანაშემწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

პაატა ცნობილაძე – მსოფლიო იურისტთა ასოციაციის ეროვნული პრეზიდენტი, საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალ "სამართლის" რედაქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

ლაშა ჭელიძე – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (ლუნდის უნივერსიტეტი, შვედეთი); ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს გენერალური წარმომადგენელი, იუსტიციის სამინისტრო.

ნინო ხაინდრავა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.